გახსენით ლინკი და მოიწონეთ გვერდი

https://www.facebook.com/eExistentialCrisisA1/

რიუნოსკე აკუტაგავა

დიალოგი წყვდიადში

რიუნოსკე აკუტაგავა 1
დიალოგი წყვდიადში..... 1
რასიომონის კარიბჭე 3
ოისი კურანოსკეს ერთი დღე..... 8
MENZURA ZOILI 16
ხელოვნებით შეპყრობილი 42
როგორ განეშორა თავი ტანს 47
ჯოჯოხეთის სურათები..... 53
ქრისტიანის სიკვდილი 74
მანდარინები..... 82
ეჭვი 84
ძურიანო კიტისკე 94
როგორ სწამდა ბისეის 97
ჯადოქარი 104
მაგიის სასწაულები 119
ამბავი ერთი შურისგებისა 125
სუსანოო-ნო-მიკოტო ხანდაზმულობისას 138
ნანკინელი ქრისტე 145
უცნაური შემთხვევა..... 154
უსიერ ტყეში..... 157
გენერალი 165
ამბავი სიკეთის საზღაურისა 184
ბაღი..... 196
როკუნომიელი ქალი..... 202
ო-გინი..... 207
ხინა-თოჯინები..... 213
თოვლია..... 223
სანემონის დანაშაული..... 230
დიალოგი წყვდიადში..... 240
წყლის კაცების ქვეყანაში..... 248
ცხოვრება იდიოტისა 283
ფიქრები ლიტერატურაზე 297

რასიომონის კარიბჭე

ეს ამბავი ასე მოხდა: ერთხელ, საღამოს პირზე, ვინმე მსახური რასიომონის კარიბჭის ქვეშ წვიმას შეჰფარვოდა და გადადარებას უცდიდა.

ფართო კარიბჭეში არავინ იყო მის გარდა. მარტო ერთი ჭრიჭინა იჯდა მსხვილ, მრგვალ სვეტზე, ალაგ-ალაგ რომ გადასცლოდა წითელი ლაქი. რაკი რასიომონის კარიბჭე სუძაკუს ხალხმრავალ ქუჩაზეა აღმართული, მის ქვშ იტიმეგასათი[1] თუ მომიებოსით[2] თავშემკულ ბარე რამდენიმე ქალსა და ჯეელ კაცს შეეძლო წვიმაში გადაყუდება. არადა, მსახურის მეტი არავინ იყო.

ეს იმით აიხსნებოდა, ბოლო ორი-სამი წლის განმავლობაში კიოტოს ზედიზედ თავს დაატყდა ათასი უბედურება: ხან მიწისძვრა, ხან გრიგალი, ხან ხანძარი, ხან შიმშილობა. ჰოდა, უჩვეულოდ დაცარიელდა დედაქალაქი. ძველი მატეანენი მოგვითხრობენ, საქმე იქამდე მივიდა, ბუდას ქანდაკებებსა[3] და სატაძრო ავეჯეულობას დაუწყეს მტვრევა და გზის პირებში შეშად იყიდებოდა გალაქული, ოქროცურვილი ავეჯის ნალეწიო. აი, ასეთი ამბები ტრიალებდა დედაქალაქში. ამიტომ, რასაკვირველია, არც რასიომონის კარიბჭის მისახედავად აიტკივებდა თავს ვინმე და, რახან ასე უპატრონოდ იყო მიგდებული, შიგ მელიებმა და მაჩვებმა დაიბუდეს.

ქურდებმაც დაიდეს ბინა. ბოლოს ხალხმა გაუპატიოსნებელი მკვდრების მოტანა და დაყრაც დაიწყო. და როცა მზე თვალს მიეფარებოდა, ისე შემზარავი ხდებოდა აქაურობა, ძეხორციელი ვერ ბედავდა კარიბჭესთან მიახლოებას. სამაგიეროდ, საიდანღაც აურაცხელი ყვავი იყრიდა თავს. დღისით ყრანტალით ბოინობდნენ სახურავის ბოლოებაპრეხილი თავხეების ზეგარდმო. შებინდებისას, როცა კარიბჭეს ალისფერი დაფიონი დაადგებოდა, ფრინველები ისე მკაფიოდ ირჩეოდნენ ცის კაბადონზე, თითქოს ქუნჯუთის მარცვალი მიმობნეულაო. ყვავები, ცხადია, გვამების საკორტნად აკითხავდნენ ზემო იარუსს. თუმცაღა ახლა ერთიც არა ჩანდა, ალბათ იმიტომ, რომ გვიანი ჟამი იდგა. მხოლოდ ქვის ნახევრადჩამოშლილ საფეხურებს - ბზარებში მაღალი ბალახი რომ ამოზრდოდა - აქა-იქ თეთრად აჩნდა გამხმარი სკინტლი. სულ ზემო, მეშვიდე საფეხურზე ჩამომჯდარი, ცისფერი სუფთა ტანსაცმლით მოსილი მსახური დროდადრო ხელს ჰკიდებდა და ისინჯავდა მარჯვენა ღაწვზე ამოძგიბულ ძირმაგარას, თან უაზროდ მისჩერებოდა წვიმას.

ავტორმა ზემოთ გვაუწყა, მსახური გადადარებას უცდიდაო. მაგრამ, კაცმა რომ თქვას, წვიმას თუნდაც გადაეღო, მსახურს არსად ჰქონდა წასასვლელი. ჩვეულებრივი დროება ყოფილიყო, ცხადია, ადგებოდა და თავის ბატონს მიუბრუნდებოდა, მაგრამ რამდენიმე დღეა დაითხოვა იგი ბატონმა. უკვე ითქვა, კიოტო იმ დროს უჩვეულოდ იყო დაცარიელებულიო. ჰოდა, ის ამბავი, რომ ბატონმა დაითხოვა მასთან წლების განმავლობაში ნამსახური კაცი, ერთი კერძო

გამოვლინება იყო საყოველთაო ჭირისა. ამიტომ, იქნებ უფრო მართებული ყოფილიყო, იმის ნაცვლად, მსახური გადადარებას უცდიდაო, ასე გვეთქვა: „წვიმისაგან კარიბჭეში

შედევნილი მსახური წაწყმედილივით იჯდა და არ იცოდა, თავი რა წყალისთვის მიეცა“. აქეთ კიდევ, ამინდიც ხელს უწყობდა ამ ხეიანისდროინდელი მსახურის[4] უგუნებობას. წვიმა მაიმუნის საათის მიწურულს[5] დაიწყო, მას შემდეგ დიოდა და ოდნავადაც არ ეტყობოდა, გადაღებას თუ დაადგებოდა საშველი. ჰოდა, მსახურიც, რომ არ უსმენდა და მაინც ისმენდა სუძაკუს ქუჩაზე დამდინარე წყლის თქრიალს, ისევ და ისევ ართავდა უთავბოლო ფიქრებს, ცდილობდა გადაეწყვიტა, როგორჩაექნია ხელი ყველაფერზედა როგორ გაეტანა თავი თუნდაც მარტო სახვალიოდ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ - როგორ მოეგვარებინა ის, რაიც არასგზით გვარდებოდა.

წვიმა გაბმული შრიალით მოიწევდა შორეთიდან და გარს ეხვეოდა კარიბჭეს. ბინდი დაბლა და დაბლა სწევდა ზეცას - კაცს, ზედამხედველს ასე მოეჩვენებოდა, კარიბჭის კრამიტიანი სახურავის კიდე ბიჯგად შესდგომია მძიმე, შავ ღრუბლებსო.

იმის მოსაგვარებლად, რაც არასგზით გვარდებოდა, მსახურს არ სჭირდებოდა საშუალებათა რჩევა. საქმე თუ ამაზე მიდგებოდა, არსებითად, ერთადერთი გზა ჰქონდა - შიმშილით უნდა მომკვდარიყო სადმე, ღობის ძირას ან ქუჩაში. მერე მის გვამს აქ, კარიბჭის ზემო იარუსზე

ამოიტანდნენ და ძაღლივით მიაგდებდნენ. ხოლო რჩევას თუკი არ დაიწყებდა... მსახურმა ფიქრით უკვე რამდენჯერმე განვლო ეს გზა და სულ ერთსა და იმავეს მიადგა. ეს „თუკი“ იყო. მსახურს დასაშვებად მიაჩნდა, არ დაეწყო იწილო-ბიწილო და ნებისმიერი საშუალება ესინჯა, მაგრამ ვერა და ვერ გაბედა იმის აღიარება, რაც ამ „თუკის“ ბუნებრივად მოსდევდა: ეწადა თუ არ ეწადა, ერთი სახსარიღა იყო, - ქურდობა უნდა ეკისრა.

მსახურმა მაგრად დააცხინკა და უილაჯოდ წამოიმართა. კიოტოში ახლა საღამოს სიგრილე უნდა ყოფილიყო, მაგრამ ისე ციოდა, ღუმელი მოენატრებოდა კაცს. კარიბჭის სვეტებში თავისუფლად დასეირნობდა ქარი და სიბნელე. ის წეღანდელი ჭრიჭინა, წითლად გალაქულ სვეტზე მიმჯდარი, უკვე სადღაც მიმალულიყო.

მსახურს ყვითელი, უსახელო ჯუბა ეცვა და ზემოდან ცისფერი კიმონო[6] ჰქონდა მოსხმული. ასწურა კიმონოში გახვეული ბეჭები, თავი მხრებში ჩარგო და მიმოიხედა: ადგილი თუ ვნახე, საცა წვიმასაც შევეფარები და არც ვინმე დამინახავს, კი ღირს აქ გავათიო და ერთი გემოზე გამოვიძინოო, გაიფიქრა. იღბლად, მაშინვე შენიშნა კარიბჭის ზემოთ, კოშკში ამავალი ფართო კიბე, წითლადვე გალაქული. ვინმე კაცთაგანი თუკი იყო ზემოთ, უპატრონო მკვდარიღა იქნებოდა. მსახურმა გვერდზე ჩამოკიდებულ მახვილზე მოივლო ხელი, რათა ქარქაშიდან არ ამოვარდნოდა და ძირა საფეხურს ააბიჯა წნულ ხამლში ჩადგმული ფეხი.

რამდენიმე წუთი გავიდა. მაღლა, რასიომონის კარიბჭის კოშკში ამავალი ფართო კიბის შუაწელზე, კატასავით მოკუნტული და სუნთქვაშეკრული ვიღაც სულიერი ზემო სართულს ზვერავდა. კოშკიდან ჩამოწვერილი სინათლე მკრთალად უშუქებდა მარჯვენა ლოყას. სწორედ იმ ლოყას, რომელზედაც მოკლე ჯაგარში წითლად ამოღუებული თელგამიანი მუწუკი აჩნდა. თავდაპირველად მსახურს ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ ზევით არავინ იყო გვამების გარდა. მაგრამ ორი-სამი საფეხური რომ

აიარა, დაატყო, ვიღაც დადიოდა იქ, სანთელს დააბორიალებდა. ეს მაშინვე თვალში ეცემოდა კაცს, რადგან აბლაბუდით კუთხეებმობლარდნილ ჭერზე მკრთალი, ყვითელი ათინათი დაფარფატებდა. რაღაც ამბავი იყო, რასიომონის კარიბჭის კოშკში ამ დელგმიან საღამოს ტყუილუბრალოდ არ ენთებოდა ის სანთელი.

მსახურმა ხვლიკივით უჩუმრად იწყო ასვლა, ბოლოს ლამის ცოცვით აიპარა ზემო საფეხურამდე. აქ, რამდენადაც შესაძლებელი იყო, მთელი ტანით გაეკრა კიბეს და, რაც კი შეეძლო წაიგრძელა კისერი, ფრთხილად შეიხედა შიგნით.

ხმები როგორც დადიოდა, კოშკშიმართლაც ჭერეხივით ეყარაგვამები, მაგრამ რაკიღა სინათლე დიდად არ აშუქებდა იქაურობას, მსახურმა ვერ გაარკვია, მაინც რამდენი გვამი იქნებოდა. ერთადერთი, რაც ბუნდოვნად გაარჩია ამ დომხალში, ის იყო, რომ ზოგ მკვდარს ტანსაცმელი ეცვა და ზოგიც ტიტველი ეგდო. რასაკვირველია, მამაკაცები და დედაკაცები განურჩევლად

აღრეულიყო ერთმანეთში. მიყრილ-მოყრილიყვნენ იატაკზე, პირები ღიად დარჩენოდათ, თიხის თოჯინებივით გაეჩაჩხათ ხელები. მათი შემხედვარე კიდეც დაეჭვდებოდა, ნეტა ოდესმე ცოცხალი ადამიანები თუ იყვნენ ესენიო. მკრთალი სინათლე სხეულთა გამობურცულ ნაწილებს აშუქებდა მხოლოდ, მხრებსა თუ მკერდებს, რის გამოც ჩაღრმავებებში ჩრდილები კიდევ უფრო ბნელი ჩანდა. იწვნენ დამუნჯებულები, სამარადისოდ დადუმებულნი.

მსახურს მკვდართა სიმყრალე ეცა და უნებლიეთ ცხვირზე ააფარებინა ხელი. მაგრამ წამიც და, ისე შესძრა უჩვეულო სანახავმა, ცხვირზე ხელის მიფარება ხომ დაავიწყდა და დაავიწყდა, ლამის ყნოსვის უნარიც დაკარგა.

მხოლოდ ამ წამს გაიცხადა მისმა მზერამ გვამებზე დაყუნცული სხეული. თმაჭაღარა დედაბერი იყო, გაჩხინკული, ცქრანტი, მაიმუნისდარი. კიმონო ეცვა ხინოკის ქერქის ფერისა[7], მარჯვენა ხელში ფიჭვის აპრიალებული კვარი ეჭირა და ერთ-ერთი მიცვალებულის სახეს თვალჩაციებით დასცქეროდა. გრძელი თმა მიანიშნებდა, რომ ქალის გვამი უნდა ყოფილიყო.

შიშითა და ცნობისწადილით ატანილ მსახურს თითქოს სუნთქვაც კი დაავიწყდა. მემატიანის ძველი გამოთქმა რომ ვიხმაროთ, იგრძნო, როგორ „ებურცებოდა თავზე კანი“. სანამ მსახური აქეთ ამ დღეში იყო, დედაბერმა იატაკის ღრიჭოში ჩაამაგრა კვარი, ორივე ხელი იმ

ამოჩემებული მიცვალებულის თავისკენ წაიღო და სწორედ მაიმუნივით, შვილს რომ თავში ტილებს უხილავს ხოლმე, ქალის გრძელ თმას ღერ-ღერად დაუწყო პუტვა. ეტყობა, თმის ღერებიც ადვილად ჰყვებოდა ამ ქიჩმაჩობას.

იმისდაკვალად, რაც მეტ ღერ თმას დააძრობდა გვამს დედაბერი, ცოტცოტაობით ცხრებოდა მსახურის გულში ჩაბუდებული შიში. იმავე დროს, თანდათან უმძაფრდებოდა დედაბრისადმი ზიზღი. არა, „დედაბრისადმი“ ალბათ ვერაა სავსებით მართებული თქმა. უფრო სწორად, მსახურს წამიდან წამზე უძლიერდებოდა ზიზღი საერთოდ ყოველგვარი ბოროტებისადმი. ახლა ვინმეს ერთხელაც რომ მიეცა იგივე კითხვა, რაზედაც თავად ფიქრობდა ქვემოთ, კარიბჭის კიბეზე მჯდომი -

შიმშილით მომკვდარიყო თუ ქურდობა ეკისრა - უეჭველად წამითაც არ იორჭოფებდა და შიმშილით სიკვდილს ირჩევდა. ავკაცობისადმი სიძულვილი ისე ძალუმად აუბრიალდა გულში, როგორც იატაკში ჩარჭმული აი, ეს კვარი ბრიალებდა.

მსახური, რასაკვირველია, ბაიბურში არ იყო, რისთვის ბდღვნიდა დედაბერი მიცვალებულის თმას. მაშასადამე, ლოგიკურად რომ ითქვას, არც ისე ეცოდინებოდა, სიკეთე იყო ეს თუ ბოროტება. მაგრამ მარტო ისიც კი მიაჩნდა დაუშვებელ ბოროტებად რასიომონის კარიბჭის კოშკში გვამს თმას აგლეჯდნენ. რაღა თქმა უნდა, ის სულ დაავიწყდა, აგერ ახლა თვითონაც რომ ქურდობას ეპირებოდა.

და აჰა, მახვილის ვადაზე მოივლოხელი. დაძგიბა ფეხები, ერთი ნახტომით შევარდა კოშკში და გრძელი ნაბიჯით მივიდა დედაბერთან. დედაბერი რომ დაიზაფრა, რაღა სათქმელია.

მსახურს თვალი ჰკიდა თუ არა, შურდულნაკრავივით წამოიჭრა, გვამებზე გადაბარბაცდა და, დაბნეულმა, გაქცევა სცადა.

- შესდექ! სად გარბიხარ! - დასჭყივლა მსახურმა და გზა უყელა. დედაბერმა მაინც სცადა, მისთვის ხელი ეკრა და გამსხლტარიყო, მაგრამ კაცმა არ გაუშვა, უკანვე წააპორწიალა. ერთხანს ერთმანეთს ჩაფრენილნი სავსებით უჩუმრად იბრძოდნენ გვამთა შორის. მაგრამ იმთავითვე ცხადი იყო, ვინ ვის დასჯაბნიდა. ბოლოს და ბოლოს მსახურმა ადვილად გადაუგრიხა ქათმის ფეხებივით გაჩხინკული, გაძვალტყავებული ხელები და იატაკზე დასცა დედაბერი.

- თქვი, რასა შვრებოდი! არ იტყვი და ინანებ, იცოდე!

მერე ხელის კვრით მოიცილა იგი, ამოიწვადა მახვილი და ზედ თვალებზე მიუტანა იარაღის მოელვარე წვერი. მაგრამ დედაბერი არას ამბობდა. ხელები უცახცახებდა, ქოშინებდა, თვალები ისე გადმოეკარკლა, ლამის ბუდეებიდან ამოცვენოდა, მაგრამ ჯიუტად დუმდა, როგორც მუნჯი. მაშინღა გაისიგრძეგანა მსახურმა, რომ მთლიანად მის ხელთ იყო ამ დედაბრის სიცოცხლე. ეს

რომ შეიგრძნო, როგორღაც შეუმჩნევლად დაუნელდა გულში მოგიზგიზე ბზარი. შერჩა სიმშვიდე და კმაყოფილება, ნებისმიერი საქმის წარმატებით აღსრულებისას რომ ეუფლება ხოლმე ადამიანს. დახედა ძირს გართხმულ დედაბერს და ხმა მოულბა:

- ყარაული არ გეგონო, წეღან ჩამოვიარე კარიბჭესთან. არც შენს გაბაწვრას ვაპირებ, ოღონდ ეს მითხარი, რას იქმოდი ამ დროს აქ, ამ კოშკში?

დედაბერმა კიდევ უფრო დაჭყიტა ისედაც დაჭყეტილი, ქუთუთოებშეწითლებული თვალები და სახეზე მიაჩრედა მსახურს. მტაცებელი ფრინველის მახვილი მზერით სახეზე მიაჩერდა. მერე, თითქოს რაღაცას ღეჭავსო, გასძრა დაპრანჭული, თითქმის ზედ ცხვირზე მიმსჭვალული ტუჩ-პირი. წრიპა ყელზე წამოწვეტილი ხვანჩიც აუმოძრავდა. და ამ ყელიდან მსახურის ყურს მოედინა ყრუ, ხლიჩინა ხმა, თითქოს ყვავმა დაიყრანტალაო:

- თმას ვაგლეჯდი... თმას... პარიკისათვის.

ეს ითქვა და მსახურიც განიხიბლა: მოლოდინის საწინაღმდეგოდ, სავსებით ჩვეულებრივი გამოდგა დედაბრის პასუხი. იმედი გაუცრუვდა. ამ იმედგაცრუებასთან ერთად ხელახლა მოეძალა სიბრაზე, ოდნავ ზიზღნარევი. დედაბერმა, ეტყობა, იგრძნო ეს. კვლავ დაიყრანტალა, თან არც გვამის თავზე აბდღვნილ თმას უშვებდა ხელს.

- მართალია, იქნება კია ცუდი საქმე, მიცვალებულს რომ თმას აგლეჯს ვინმე, მაგრამ ეგენი, აქ რომ წვანან, ყველაფრის ღირსები არიან. თუ გინდა, ეს ქალი აიღე, ახლა რომ თმას ვაგლეჯდი: ოთხ-ოთხი სუნის[8] სიგრძეზე ჭრიდა გველებს, ახმობდა და მერე ხმელ თევზად ასაღებდა, სასახლის მცველები ყიდულობდნენ... ამით ედგა სული. ჭირს რომ არ მოეკლა, ახლაც ამით იცხოვრებდა. არადა, ხალხი ლაპარაკობდა, ძალიან გემრიელ თევზს ყიდისო. ჩაფრები საუზმეზე სულ ამის თევზსა ჭამდნენ. მაინც ვერ ვიტყვი, ცუდს შვრებოდნენ-მეთქი. სხვა რა გზა ჰქონდა, ასე რომ არ მოქცეულიყო, შიმშილით ამოძვრებოდა სული. მეც მაგიტომ მგონია, არც მე ვშვრები, არა, ცუდს! მეც შიმშილით მოვკვდები, ასე რომ არ ვქნა! ჩემი ნებით არა ვარ ცუდის მქნელი. ეს ქალი რომ წამოდგეს, არც დამადანაშაულებდა, ამან ხომ კარგად იცოდა, გაჭირვება რასაც ჩაადენინებდა ხოლმე კაცს. აი, რა თქვა დედაბერმა.

მსახური გულცივად ისმენდა მის ნაუბარს, მახვილი ჩაეგო, მარცხენა ხელი დაედო ვადაზე. თავისთავად იგულისხმებოდა, რომ არ დროს მარჯვენა ხელს ხანგამოშვებით ავლებდა ლოყაზე ამოწიფინებულ ძირმაგარას. ოღონდ ეგაა, სანამ დედაბერს უსმენდა, მის გულში თანდათან მტკიცდებოდა გამბედაობა. ის გამბედაობა, ადრე, კარიბჭის საფეხურებზე მჯდომს რომ არ ჰყოფნიდა. და იგი მიმართული იყო სწორედ რომ საპირისპიროდ იმ სულისკვეთებისა, რაც

აგერ ახლა ამოძრავებდა კოშკში ამოსულსა და დედაბრის შემპყრობელს. უკვე აღარ ყოყმანობდა, შიმშილით მომკვდარიყო თუ ქურდობას შესდგომოდა; ეგ კი არა, ამ წუთში, დასტურ, ისე შორს იყო შიმშილით სიკვდილზე ფიქრისაგან, რომ ეს ფიქრი აზრადაც ვერ მოუვიდოდა თავში.

- აი, თურმე რა ყოფილა! - დამცინავად ჩაილაპარაკა მან, როცა დედაბერმა სათქმელს თავი მოუსკვნა. მერე წინ წადგა ნაბიჯი, უცებ ხელი უშვა ძირმაგარას, დედაბერს ქეჩოში სწვდა და დაჰყვირა: - აბა, მეც გართმევ და არ დამემდურო! სხვაფრივ მეც შიმშილით უნდა მოვკვდე!

მსწრაფლ შემოაცალა კიმონო, მერე როცა დედაბერი სამოსელზე დაებღაუჭა, წიხლი მიაზილა და პირდაპირ გვამებზე მიაგდო. კიბეზე ხუთიოდე ნაბიჯი იყო. მსახურმა ამოიღლიავა დედაბრისათვის წანაგლეჯი კინომო ხინოკის ქერქის ფერისა, თვალისდახამხამებაში ჩაირბინა ციცაბო კიბე და შეერია ღამეულ წკვარამს.

დიდ ხანს არ გაუვლია, მკვდარივით უძრავად მწოლიარე დედაბერიც წამოიმართა გვამებიდან. შიშველი იყო. კაცი ვერ გაიგებდა, ტიროდა თუ ბურტყუნებდა. ჯერაც მოპრიალე კვარის შუქზე გასასვლელამდე მიფორთხდა. დაიხარა, ძირს გადაიხედა, ჭაღარა თმის მოკლე ბურძგები ჩამოეშალა შუბლზე. ბნელი, უძირო ღამე მოსდგომოდა კარიბჭეს. მას შემდეგ მსახური უკვალოდ გაქრა.

აპრილი, ***1915***წ.

თარგმნა გიორგი ბაქანიძემ

ოისი კურანოსკეს ერთი დღე

[14]

მჭიდროდ მოხურულ სიოძის[15] მზის კაშკაშა შუქი ეფინა და ძველი ალუბლის ჩრდილი ნახატივით გამოსახულიყო განათებული კედლის სივრცეზე. ოისი კურანოსკე, ასანო ტაკუმი-ნო-კამის ყოფილი ვასალი, ხოლო ამჟამად თავად ჰოსოკავას სახლის ტუსაღი, სიოძისკენ ზურგშექცეული იჯდა და თავაუღებლივ კითხულობდა. წიგნი „სამმეფობის“ რომელიღაც ტომი[16] უნდა ყოფილიყო, ჰოსოკავას ერთ-ერთმა აზნაურმა რომ ათხოვა.

ამ ოთახში ჩვეულებრივ ცხრა კაცი იყრიდა თავს. მაგრამ ამწუთას კატაოკა გენგოემონი საჭირო ოთახში გასულიყო: ჰაიამი ტოძაემონი ქვემო სართულში იჯდა და ჩვეულებისამებრ ლაყბობდა: დანარჩენი ექვსი - ოისიდა ტიუძაემონი, ჰარა სოემონი, მასა კიუდაიუ, ინოდერა ძიუნაი, ჰორიბე იაჰეი და ჰაძამა კიჰეი - თითქოს ვერ ამჩნევდნენ მოკაშკაშე მზეს: ზოგი წიგნს ჩაღრმავებოდა, სხვანი წერილის წერით იყვნენ გართულნი. ექვსივე ხანდაზმული იყო და იქნებ სწორედ ამიტომაც გაზაფხულის სურნელებით აღვსილ ოთახში მკვდრული სიჩუმე დამკვიდრებულიყო. ხანგამოშვებით ვინმე ხმადაბლა თუ ჩაახველებდა, მაგრამ ეს არ არღვევდა მყუდროებას.

კურანოსკემ თვალი მოწყვიტა „სამმეფობას“, მზერა სადღაც შორს მიმართა და ხელები მის წინ მდგარ მაყალს მიუფიცხა. ცხაურით გადახურულ მაყალში ღადარი ღვიოდა და ლამაზი ნაპერწკლები ანათებდა ნაცარს. კურანოსკე გრძნობდა მათგან მოდენილ სითბოს და მთელი მისი არსება მშვიდ კმაყოფილებას მოეცვა. ეს იგივე განცდა იყო, შარშან, უკანასკნელი თვის მეთხუთმეტე დღეს ლექსად რომ გამოთქვა, როცა მათი დაღუპული პატრონის სისხლი უკვე აღებული ჰქონდათ და ყველანი ერთად სენგაკუძის ტაძრად მიემართებოდნენ:

აჰა, ჟამი სანეტარო! საზრუნავი
უკუმეყარა: აღსრულდა... სისხლი
სისხლისა წილ.
პირმანგმა მთვარემ
ღრუბლითგამო გამოანათა.

რა მძიმე იყო ის ორი წელი, აკოს ციხე-კოშკიდან წასვლის შემდეგ რომ გაატარა! რა ხრიკებს არ მიმართავდა იგი იმ დაუსრულებელი დღეებისა და თვეების მანძილზე! ადვილი არ იყო მოთმინებით ლოდინი და გულფიცხელი მეგობრების შეკავება, ვიდრე შესაფერი ჟამი დადგებოდა. ესეც არ იყოს, ფხიზლად ზვერავდა მას მტრის სახლიდან მოგზავნილი საისაკუ. თავაშვებული ღრეობებით შეცდომაში შეჰყავდა ეს კაცი და თან იჭვიანი თანამზრახველების

იჭვებიც უნდა გაეფანტა. მოაგონდა იამასინასა და მარუიამაში მათი მაშინდელი თავყრილობა და კვლავინდებურად გული დაუმძიმდა. მაგრამ მოსახდენი ხომ მოხდა.

აღუსრულებელი მხოლოდ განაჩენი დარჩა, ორმოცდაშვიდის მიმართ გამოსატანი განაჩენი. მაგრამ განაჩენიც დიდხანს არ დააყოვნებდა. ასეა, მოსახდენი მოხდა. უბრალოდ როდი აღსრულებულა შურისგება, ყველაფერი ისე მოგვარდა, როგორც მის ზნეობრივ მოთხოვნილებებს შეეფერებოდა. იგი კმაყოფილი იყო არა მარტოოდენ ვალის მოხდით, არამედ იმითაც, რომ მაღალზნეობრივი საწყისები სინამდვილედ ექცა. როგორადაც უნდა განესაჯა შურისგების მიზანი და საშუალებანი, კმაყოფილების გრძნობას მისას სინდისის ქენჯნა არ წამლავდა. მეტი რაღა უნდოდა? არსებობდა კი მისთვის სხვა რამ უმაღლესი კმაყოფილება?

ამის გაფიქრებისას კურანოსკეს შუბლზე ნათელი გადაეფინა და იოსიდა ტიუძემონს მიუბრუნდა, რომელიც, ეტყობა, წიგნის კითხვით დაღლილიყო და მუხლებზე თითებით რაღაცას ხაზავდა.

- დღეს ალბათ გარეთ თბილა...

- ალბათ... ასე რომ ზიხარ, ძალაუნებურად ძილი მოგერევა კაცს. ალბათ, იმიტომ, ძალზე რომ თბილა.

კურანოსკეს გაეღიმა. მის გონებაში ამოტივტივდნენ სტრიქონები, ახალწლის დღეს საახალწლო ღვინით შემთვრალმა ტომიმორი საკაემონმა რომ შეთხზა:

გაზაფხულია, და
სამურაისაც ძილის
არ შერცხვება.

ეს სტრიქონებიც იმავ კმაყოფილებით სუნთქავდნენ, ამჟამად რომ გრძნობდა კურანოსკე.

- ეს მოთენთილობაც სწორედ იმას ნიშნავს, რომ განზრახული აღსრულებულია.

- ალბათ ასეა.

ტიუძაემონმა ჩიბუხი გააბოლა. მოცისფრო კვამლმა ოდნავ შებინდდა ნაშუადღევის გაზაფხულისეული ჰაერი და შეუბღალავ მყუდროებაში განქარდა.

- ვინ იფიქრებდა, კიდევ თუ მოვესწრებოდით ოდესმე ასეთ მშვიდ დღეებს.

- აბა! სიზმრადაც არ დამსიზმრებია, რომ კვლავ შევხვდებოდი ახალ წელს.

- სულ მგონია, რომ ჩვენ ნამდვილად ბედნიერები ვართ, და კმაყოფილი ღიმილით გადახედეს ერთმანეთს.

ამ წამს კურანოსკეს უკან, სიოძის მიღმა, კაცის ჩრდილი რომ არ მომდგარიყო, ეს ჩრდილი რომ არ გამქრალიყო ანაზდად, ვიდრე სიოძის გვერდზე გასწევდნენ, და იმ ჩრდილის ნაცვლად ჰაიამი ტოძაემონის ზორბა ტანი არ გამოჩენილიყო ოთახში, იქნებ კურანოსკე კვლავ მინებებოდა გაზაფხლის სითბოს და კმაყოფილებისა და სიამაყის

გრძნობას. მაგრამ ახლა ღაჟღაჟა, პირმოცინარი ტომაემონი უბოდიშოდ შემოვარდა ოთახში, თუმცა განსაკუთრებული ყურადღება არავის მიუქცევია მისთვის.

- გატყობთ, დიდად გიმხიარულნიათ ქვემოთ.

ტაუმაემონს ნაღვლიანად გაეცინა, კვამლი გადასცდა და ხველა აუტყდა. ონოდერა ძიუნაიმ, რომელიც მთელი ამ ხნის განმავლობაში წერით იყო გართული, თითქოს რაღაც გაახსენდაო, თავი აიღო, მაგრამ იმავ წამს ქაღალდს დახედა და სასწრაფოდ განაგრძო წერა. ცოლს თუ სწერდა კიოტოში წერილს. კურანოსკეს ღიმილისგან თვალები მოეწკურა.

- მაინც რა ითქვა საგულისხმო?

- ლაყბობა იყო, მეტი არაფერი. თუმცა რატომ? როცა ტიკამაცუ ძინგოროს ამბავს ყვებოდა, თვით დენემონსაც კი მოერია ცრემლი. კიდევ რა იყო? ჰო... აი, რა. მას შემდეგ რაც თავადი კირი მოვკალით, მთელ ედოში შურისგების შემთხვევები გახშირებულა.

- ვინ ფიქრობდა!

ტიუმაემონმა გაკვირვებით გადახედა ტომაემონს, რატომღაც კმაყოფილი დარჩა, ამ საგანზე რომ ჩამოვარდა საუბარი.

- სამიოდე ასეთი შემთხვევა გვიამბეს. ერთი ძალზე სასაცილოა, მინამინატებორიში მომხდარა. ბრინჯის დუქნის პატრონი აბანოში წაჰკიდებია მეზობელ მღებავს. რომელიღაცას მდუღარე წყალი შეუსხამს მეორესთვის, ისე, ტყუილუბრალოდ. საპასუხოდ ოსტატს კარგა მაგრად უბეგვია ეს შენი მედუქნე. თურმე ნუ იტყვი, მედუქნის ბიჭს ბრაზი ჩაუხვევია გულში და, როცა მღებავი ღამით ქუჩაში გამოსულა, შიგ ბეჭებში ჩაურტყამს დანა. თან დაუყოლებია: „ესეც შენ, ჩემი პატრონისთვისაო!“

ტომაემონი ხელის მოძრაობით ასურათებდა ნაამბობს, თან მთელი ხმით როხროხებდა.

- ოჰ! ეს ხომ უბრალო შეხლა-შემოხლაა!

- ძაან კი დაზარალდა მღებავი. მაგრამ საკვირველი ესაა, რომ ყველა იმ ბიჭის მხარს იჭერს, კარგად მოიქცაო მედუქნის შეგირდი. იმავე ქუჩის მესამე უბანშიც მომხდარა ამგვარი შემთხვევა, კიძი-მატის უბანშიც განმეორებულა და კიდევ სადღაც, ერთი სიტყვით, მთელ ქალაქს მოსდებია. ასე ამბობენ, ჩვენი მაგალითი გადაიღესო. სასაცილო არაა განა?

ტომაემონმა და ტიუმაემონმა ერთმანეთს გადახედეს და გაეცინათ. თუმცა ეს ამბები უბრალო კინკლაობა იყო, მაგრამ მათ მაინც სიამოვნებდათ, რომ ედოელებზე ასეთი გავლენა მოუხდენია მათ მიერ აღსრულებულ შურისგებას. მხოლოდ კურანოსკეს არ გაუცინია, შუბლზე ხელი ჰქონდა მიდებული და უკმაყოფილოდ დუმდა. ტომაემონის ნაამბობმა უცნაურად შეუმღვრია კმაყოფილების გრძნობა, წეღან რომ დაეუფლა მის არსებას. განათუ პასუხისმგებლობა იგრძნო ედოელთა საქციელის გამო. არა, სულაც არ ქენჯნიდა სინდისი, რომ მათ თავგანწირულ შურისგებას ასეთნაირად

გამოეხმაურნენ ქალაქის მდაბიონი. მაინც იგრძნო, რომ გაზაფხულის სითბოთი გამთბარ მის სულში რაღაც სიცივე შეიპარა.

სიმართლე რომ ითქვას, კურანოსკეს კიდეც უკვირდა, რომ მათმა საქციელმა ასეთი გავლენა იქონია ხალხზე. ამ ამბებმა, რაზეც ტიუძაემონთან ერთად სხვა დროს ბევრს იცინებდა, ახლა კმაყოფილებით აღვსილ მის სულში რაღაც უსიამოვნების თესლი ჩააგდეს.

მაგრამ იმ ორმა ვერ შეამჩნია, რომ არც კი გაუღიმია კურანოსკეს. პირიქით, გულმართალი და კეთილი ტოძაემონი ალბათ დარწმუნებული იყო, რომ მისი ნაამბობი კურანოსკესაც გაართობდა. სხვაგვარად რომ ეფიქრა, ხომ არ ჩავიდოდა ქვემო სართულზე ჰოსოკავას ვასალი, ჰორიუტი დენდემონის მოსაყვანად, რომელიც ამ დღეს ზედამხედველობდა პატიმართ. „დენდემონს დავუძახებ“, - ეს უთხრა ტიუძაემონს, ფარდა გადასწია და ქვემოთ ჩავიდა. და მალე კვლავინდებურად მომღიმარი და ხალისიანი დაბრუნდა აყლაყუდა დენდემონთან ერთად.

- გმადლობთ, რომ გაისარჯეთ და მოგვინახულეთ, - ღიმილით შეეგება ტიუძაიმონი. ალალი გულის კაცი იყო დენდემონი, ამიტომაც მასა და პატიმრებს შორის თავიდანვე გულითადი ურთიერთობა დამყარდა, თითქოს ძველი მეგობრები ყოფილიყვნენ.

- ტოძაემონმა მითხრა, უსათუოდ ამომყევიო. მეც ამოველ, თუმცა, ვატყობ, ხელი შეგიშალეთ.

დენდემონი ჩამოჯდა, ხშირი წარბები აქაჩა და კუნთები ისე აუთამაშდა ლოყებზე, თითქოს ახლა სიცილი წასკდებაო. თან ოთახში მყოფთ ავლებდა მზერას. ახლა კი ყველა მიესალმა მას, წერილის მწერალიცა და წიგნის მკითხველიც. კურანოსკემ თავაზიანად დაუკრა თავი. ცოტა სასაცილო კი გამოუვიდა, რომ ჰარიბე იაჰეიმ, „ტაიჰეიკის“ რომელიღაც ტომზე[17] რომ

თვლემდა, მოწიწებით დაჰხარა თავი და რულმორეულს სათვალე გადმოუვარდა. თვით ჰიძამა კიჰეიც გააცინა ამან, თეჯირისაკენ მიბრუნდა. სიცილს ძლივს იკავებდა.

- არც თქვენ გყვარებიათ მოხუცები, დენდემონ ბატონო, ისე იშვიათად გვეწვევით ხოლმე.

მისთვის უჩვეულო, წყნარი ხმით წარმოთქვა კურანოსკემ. ალბათ ჯერ კიდევ შერჩენოდა მკერდში წეღანდელი თბილი განცდა კმაყოფილებისა, თუმცა ოდნავ უგუნებოდ შექმნილიყო.

- როგორ გეკადრებათ! უბრალოდ, მოცლა არა მაქვს, ხან ვინ შემაჩერებს, ხან ვინა, ამბებს მაყოლებენ.

- აგერ ახლა თქვეს, საინტერესო ამბავი მოგიყოლიათ ქვევით, - ლაპარაკში ჩაერია ტიუძაიმონი.

- საინტერესო ამბავი? მაინც რომელი?

- აი ისა, ედოელმა მდაბიორებმა რომ მიბაძეს ჩვენს შურისგებას. ამას არ უამბობდით ქვემოთ? - თქვა ტომაემონმა და ღიმილით გადახედა დენდემონსა და კორანოსკეს.

- ჰო... ამას ამბობთ? მაინც რა უცნაურია ადამიანი! მდაბიორნი რომ მდაბიორნი არიან, ისინიც

კი აღაფრთოვანა თქვენმა გმირობამ და პატრონისადმი ერთგულებაში მოგბაძეს. ღმერთმა ქნას და კეთილისმყოფელი გავლენა იქონიოს ამ ამბავმა ჩვენს გადაგვარებულ საზოგადოებაზე! სხვა არა იყოს რა, ბალანგებს რომ აღარ ეტანებიან, ესეც კარგი ნიშანია.

არ ესიამოვნა კურანოსკეს, ამგვარი მიმართულება რომ მიიღო საუბარმა, მაშინ განზრახ შთაგონებულ კილოზე და მდაბიური სიტყვის მოქცევით შეეცადა სხვა მხრივ წარემართა საუბარი.

- მადლობის მეტი რა გვეთქმის, პატრონისადმი ერთგულება რაღაი შეგვიქეთ. ისე, მე რომ მკითხოთ, ნამეტანი კი უნდა გვრცხვენოდეს, - კურანოსკემ თვალი მიმოავლო შეკრებილთ და განაგრძო. - რატომო, იკითხავთ? აი, რას გეტყვით: ბევრია სამურაი აკოს ტომში, აქ მხოლოდ დაბალი რანგისანი ვართ დატყვევებულნი. თავდაპირველად თუმცა გვეხმარებოდა თვით წინამძღოლი ტომისა ოკუნო სიოგენი, მაგრამ შუა გზაზე პირი გვიშალა და მიგვატოვა. აბა ვინ იფიქრებდა ამას? ჩვენ შორის იყვნენ სინდო გენსირო, კავამურა დემბეი, კომურა გენიემონი. ჰარა საემონზე წარჩინებულნი გახლავან ესენი. სწორედ ამ ხალხმა გადაიფიქრა განზრახული, როცა საქმე საქმეზე მიდგა. მათ შორის ჩემი ნათესავებიც ერივნენ. განა ეს ჩვენი სირცხვილი არაა?

კურანოკეს ამ სიტყვების შემდეგ ოთახში გამეფებული მხიარულება ერთბაშად განქარდა, ყველას სიდინჯე დაეუფლა ანაზდად. მაშინ ტომაემონმა მუშტები შეკრა და რამდენჯერ დაიბაგუნა მუხლებზე.

- მართალია! აბა ტაკადა გომბეი კაცია? პირუტყვზე უარესი არაა?

წარბები აქაჩა და ჰორიბე იაჰეის გადახედა დასტურის მოლოდინში. გულფიცხმა იაჰეიმაც არ დააყოვნა:

- იმ დილით, რომ გავდიოდით, გავიფიქრე: ახლა რომ სადმე გადამეყაროს, პირში შეფურთხებას არ ვაკმარებ-მეთქი. გავიხედე და არ გამოგვეცხადა თავისი ურცხვი სიფათით! გვეუბნება: „აღსრულდა თქვენი ნატვრა. გიხაროდეთ!“

- ტაკადა კი ვიცოდი, ვინც იყო, - ახლა მასა კიუდაიუმ შეაწია სიტყვა, - მაგრამ ეს ოიამადა სეძაემონიც კაი შვილი ბრძანებულა.

ამის თქმა და მაშინვე მოჰყვნენ განდგომილთა ლანძღვა-თრევას ჰარა სოემონი და ონოდერა ძიუნაი. თვით მუდამ მდუმარე ჰაძამა კიჰეიც კი აკანტურებდა დასტურის ნიშნად ჭაღარა თავს.

- საკვირველია, მე და ჩემმა ღმერთმა, ერთ ტომში როგორ რიგდებოდით თქვენისთანა ერთგული ყმები და ის უღირსნი? ყველა მათ ლანძღავს, სამურაებზე რომ არაფერი

ვთქვა, მდაბიორთაც კი ვერ მოუთმენიათ მათი სიმდაბლე, უჰ, ის ძაღლიშვილები, ის მუხანათებიო! ოკობაიასი მოკუნოსკემ შარშამ ხარაკირი გაიკეთა[18], მერე ხმა გავარდა, ნათესავებიც მიჰყვნენო მას. იქნებ ეს მართალიც არ იყოს, მაგრამ რაღაი საქმე აქამდე მივიდა, სირცხვილს ვერ ასცდებიან. ახლა, როცა შურისგების შემთხვევები გახშირდა, რა იცი, არ გამოჩნდეს ვინმე და ერთიანად არ ამოჟუჟოს ეგ ხალხი იმ საბაბით, რომ სამართლიანობისადმი გმირული სამსახური ედოს ქალაქის ჩვეულებაა[19], თანაც თქვენც კარგა ხანია გამწყრალი ხართ მათზე.

ამას ამბობდა გაცხარებული დენდემონი, თითქოს დატუსაღებული სამურაების ამბავი მისი სისხლხორცეული საქმე ყოფილიყოს. თითქოს ნანობდა კიდეც, რომ იმ განდგომილთა ამოწყვეტის უფლება არა ჰქონდა. ლანძღვის აზარტმა გაიტაცა ოისიდა ტუძაემონიც, ჰარა სოემონი, ჰაიამი ტოძაემონი, ჰორიბე იაჰეი. არავინ დატოვეს მოუხსენებელი უღირს ვასალებსა და ტომის უკუღმართ შვილებს შორის.

ამ აურზაურში ერთადერთი კაცი, ოისი კურანოსკე არ ჩარეულა. იგი უფრო და უფრო ეთიშებოდა საუბარს, მის მიერ წამოწყებულს. უფრო და უფრო იღრუბლებოდა, ხელები მაყალზე მიეფიცხებინა და ფიქრიან მზერას არ აშორებდა ღადარს.

არ ეგონა კურანოსკეს, რომ მის მიერ ჩამოგდებული სიტყვა ასეთგვარ საუბარს მოიტანდა, კიდევ უფრო მოულოდნელი რამ მოხდა: ახლა იქ მყოფნი თითქოსდა ყოფილი თანამზრახველების ღალატის საზღაურად უფრო და უფრო ადიდებდნენ თავიანთ ერთგულებას. ამის გაგონებაზე მის მკერდში მქროლ ნიავს გაზაფხულისას კვლავ მოაკლდა სითბო. მას ხომ იმისათვის არ გამოუთქვამს სინანული განდგომილთა მიმართ, რომ საუბარი საწინააღმდეგო მხრისკენ შეეტრიალებინათ! მას მართლაც აწუხებდა თანამზარხველთა ღალატი, მაგრამ მხოლოდ ეცოდებოდა ეს ორგული სამურაები, რომელნიც სიძულვილის ღირსნი იყვნენ მხოლოდ. კურანოსკეს არ ეუცხოებოდა ადამიანური მერყეობა და ცხოვრების ტრიალი, ამიტომაც ბუნებრივად უჩნდა ეს ღალატი. თუ აქ მოსატანია სიტყვა „გულწრფელობა“, გულწრფელად მოიქცნენ სამწუხაროდ ის სამურაები. ამის გამო გულმოწყალედ უყურებდა მათ საქციელს კურანოსკე. მით უმეტეს ახლა, როცა შურისგება უკვე აღსრულებული იყო, ისინი მხოლოდ სინანულის ღიმილს თუ იწვევდნენ მისას. სხვანი ერთგულების რაინდებად გვიხსენიებენ, ვითომ რატომ უნდა ჩაითვალოს ისინი პირუტყვებად? დიდი განსხვავება როდია ჩვენსა და მათ შორის. კურანოსკეს, რომელსაც წეღან არ ეპრიანებოდა ედოელ მდაბიორთა წამხედურობის გაგონება, ახლა დენდემონის მიერ გამოთქმულმა საზოგადოებრივმა აზრმა დაანახა, თუ როგორი გამოძახილი ჰპოვა ამ გავლენამ განდგომილებს შორის. ნაღველი ნაღველზე მოეძალა კურანოსკეს, მაგრამ წინ იყო საბოლოო დარტყმა.

დენდემონმა კურანოსკეს დუმილი მის თავმდაბლობას მიაწერა და ია, ამ ხიგოელმა გაუთლელმა სამურაიმ, რომელიც ეთაყვანებოდა კურანოსკეს და ბუსიდოს ცოცხალ მაგალითად რაცხდა, თავისი თაყვანისცემის დასტურად ერთბაშად შეატრიალა საუბრის თემა და კურანოსკეს ერთგულებისა და თავდადების ქება-დიდებას მოჰყვა.

- ერთი ნავალი კაცისაგან გამიგონია, თურმე ჩინეთში ერთი სამურაი ისე ბეჯითად ზვერავდა თავისი პატრონის მტერს, რომ მუგუზალიც კი გადაუყლაპავს

დასამუნჯებლად. მთელი ამ ხნის განმავლობაში თავისი სურვილის წინააღმდეგ, მტრების თვალის ასახვევად, თავაშვებულ ცხოვრებას ეწეოდა?

- ამგვარი შესავალის შემდეგ დენდემონმა სათითაოდ გაიხსენა ყველაფერი, რასაც ჰყვებოდნენ ერთი წლის წინათ კურანოსკეზე, როცა იგი წრეგადასულ ღრეობებს მართავდა. მერე რა ძნელი იყო კურანოსკესათვის თავის მოგიჟიანება. ის დაუსრულებელი სეირნობანი ტაკაოსა და ატაგოს წითელი ნეკერჩხლებისაკენ; მერე რა მტანჯველი იყო კურანოსკესათვის, რომელიც შურისგების გულისათვის თავს არ იზოგავდა, ღამეული ქეიფები სიმაბარასა და გიონში[20] ალუბლების დღესასწაულზე!

- გამიგონია, ასეთი სიმღერა დადიოდა იმხანად კიოტოში: „ოისი განა კლდე ყოფილა, ქვასავით

მყარი არ ყოფილა“, ოისი ფურცელივით მჩატე ყოფილა“. დიდი სიმარჯვე უნდა მოეხმარა, ასეთნაირად რომ გაეცურებინა ხალხი, ამას წინათ თვით ამანო იაძაემონმაც კი შეაქო იგი; აი, მესმის ჭეშმარიტი გმირობაო. მართლაც ასეა.

- რას ამბობთ! ეს რა სალაპარაკოა! - ნაძალადევად გაეპასუხა კურანოსკე.

მისმა თავდაჭერილმა პასუხმა, როგორც ჩანს, არ დააკმაყოფილა გულუბრყვილო დენდემონი და იგი კიდევ უფრო გაიტაცა ტყვე სამურაის ხოტბის ჟინმა. მან ზურგი შეაქცია კურანოსკეს და ახლა ონოდერა ძიუნაის მიუბრუნდა, რომელთანაც ერთ დროს კიოტოში მსახურობდა, და უფრო მეტი სიცხადით იწყო აღტაცების გამოხატვა. ძიუნაი გამოცდილი კაცი იყო და დენდემონის ყმაწვილური სიცხადე სასაცილოდ და ამაღელვებლადაც უჩნდა. მანაც მხარი აუბა დენდემონს და დაწვრილებით უამბო, როგორ მიიპარებოდა ხოლმე ბერად გადაცმული კურანოსკე იუგირისთან, მასუიელ მეძავ ქალთან, რათა მტრისაგან მოგზავნილი საისაკუ მოეღორებინა.

კურანოსკემ, ამ დარბაისელმა კაცმა, სალაღობო სიმღერაც კი შეთხზა. მთელ ედოს მოედო ეს სიმღერა, ყველა საროსკიპოში მღეროდნენ მას. მღეროდნენ, როგორ მიბანცალებდა შავ ანაფორაში გადაცმული, მთვრალი კურანოსკე ალუბლის ყვავილებით მოფენილ გიონის

შუკებში. არ მიკვირს, რატომ განითქვა ეს სიმღერა და მასთან ერთად კურანოსკეს გაუთავებელი ღრეობები. იუგირისა და უკიხასის[21], ყველა სახელგანთქმულ როსკიპს, ვინც კი სიმაბარასა და სიუმოკუ-მატიში იყო, დიდ ბედნიერებად მიაჩნდა მისი სტუმრობა.

ნაღვლიანად ეწვეთებოდა კურანოსკეს ძიუნაის ნაამბობი, თითქოს სიძულვილით ჰყვებიანო ამას. უნებურად ამიტივტივდნენ მის ხსოვნაში ის ძველი განცდები, რაღაც უცნაურად კაშკაშა, ფერადოვანი მოგონებები. კვლავ აღდგა მის გონებაში შუქი დიდი სანთლისა, კვლავ ეყნოსა ტკბილსურნელოვანი ზეთის სურნელი, კვლავ მოესმა მის ყურთასმენას სიამისენის საამური ჰანგები. თვით სიტყვებიც კი იმ სიმღერისა მოაგონდა, ძიუნაიმ რომ გაიხსენა წეღან: „ოისი განა კლდე ყოფილა, ქვასავით მყარი არ ყოფილა, ოისი ფურცელივით მჩატე ყოფილა“. სიმღერა იგი მის სულში აღვიძებდა იუგირისა და უკიხასის მომხიბლავ სახეებს. აგონდებოდა, უყოყმანოდ რომ მინებდა

იმ თავაშვებულ ცხოვრებას და განცხრომაში მყოფს რომ გადაავიწყებდა ხოლმე შურისგების საქმე. საკუთარ თავსაც ატყუებდა მაშინ კურანოსკე, ამას მაშინაც გრძნობდა კურანოსკე და ახლა როგორღა უარყოფდა. თუმცა ადამიანის ბუნებაში ღრმად ჩახედულ სამურაის არც კი უფიქრია, უზნეობად ჩაეთვალა თავისი საქციელი. ამის გამო არ სიამოვნებდა, ქება-დიდებას რომ ასხამდნენ, რაკი ეგონათ, რომ ეს წრეგადასული ქეიფობანი მხოლოდ და მხოლოდ ერთგულების ვალის აღსრულებას ემსახურებოდა. არ სიამოვნებდა და თავს დამნაშავედ გრძნობდა.

განა გასაკვირი იყო, რომ კურანოსკე კიდევ უფრო დანაღვლიანდა, როცა თავისი მაშინდელი მოგიჟიანებისა და ვნებათა ღელვის ქება გაიგონა? სწორედ ახლა მთელი სიცხადით იგრძნო, როგორ განქარდა მის მკერდში გაზაფხულის სითბოს უკანასკნელი ნაშთი, მხოლოდ წყენაღა შერჩა საყოველთაო გაუგებრობისა და საკუთარი უგუნურების გამო, დიახ, საკუთარი უგუნურებისა, რომ იმთავითვე ვერ გაითვალისწინა მომავალი გაუგებრობა. ამ განცდის ცივი ჩრდილი უფრო და უფრო ეპარებოდა მის სულს. ახლა ცხადად წარმოიდგინა, რომ მისი გმირობისა და მისთა მეგობართა ამბავი. ამგვარი გაუმართლებელი დიდებით გადასწვდებოდა მომავალ თაობებს. თვალწინ დაუდგა ეს უსიამო სინამდვილე, ხელები ჩანავლებულ მაყალს მიუფიცხა და ნაღვლიანად ამოიოხრა. თვალს ვერ უსწორებდა დენდემონის მზერას.

მცირე ხნის შემდეგ ოისი კურანოკემ დრო მოიხელთა და გარეთ გავიდა. მიეყრდნო სვეტს გარე დერეფნისას და სიამაყით გაჰხედა ქლიავის ხეს, ძველი ბაღის ხავსსა და ლოდებს შორის რომ აყვავებულიყო. მზე დასალიერისკენ იწურებოდა და ბამბუკის ჭალის წიაღ დაისის მწუხრი მოიპარებოდა. სიოძის იქით კი კვლავ გაისმა გახარებული საუბრის ხმა. ამ ხმების გაგონებაზე კიდევ მოეძალა მწუხარება კურანოსკეს. ქლიავის მსუბუქ სურნელებასთან ერთად მთელი მისი არსება სევდამ მოიცვა, გამოუთქმელმა სევდამ, ნელინელ რომ აღწევდა გაყინული გულის სიღრმემდე.

შეურხევლად იდგა კურანოსკე და მიშტერებოდა მწუხრის იისფერ ცაზე ჩახატულ ქლიავის მკვრივსა და ცივ ყვავილებს.

სექტემბერი***, 1917*** ***წ.***

თარგმნა ზურაბ კიკნაძემ

MENZURA ZOILI

[9]

ვიღაც უცნაური კაცის პირდაპირ ვუზივარ გემის სალონის შუაში მდგარ მაგიდას.

მოიცადეთ! ვამბობ, გემის სალონში-მეთქი, მაგრამ არა მჯერა, თუმცა ფანჯარაში დანახული ზღვა და მთელი გარემოცვა მაიძულებს ასე ვთქვა, თორემ შემიძლია დავუშვა, რომ ეს ჩვეულებრივი ოთახია. არა, ეს ნამდვილად გემის სალონია! სხვა შემთხვევაში ასე არ იქანავებდა. მე არა ვარ კინოსიტა მოკუტარო[10] და არ შემიძლია ზუსტად, სანტიმეტრობით განვსაზღვრო რყევის სიმაღლე, მაგრამ ხომ ვირწევი. თუ გეჩვენებათ, რომ ვტყუი, შეხედეთ, ფანჯრის მიღმა ჰორიზონტის ხაზი ხან ზემოთ ადის, ხან დაბლა ეშვება. ცა მოღრუბლულია და ზღვის ზედაპირს განივად გადაჰკვრია მწვანე სიმღვრივე, მაგრამ ის ხაზი, რომელითაც ამღვრეული ზღვა რუხ ღრუბლებს უერთდება, მოქანავე ქორდით ჰკვეთს ილუმინატორის წრეს. ხოლო ცისფერი არსებანი, ამღვრეულ ზღვაზე რომ დაფრინავენ, ალბათ თოლიებია.

მაგრამ ვუბრუნდები უცნაურ ადამიანს, ჩემს პირდაპირ რომ ზის. მან ბეცთათვის განკუთვნილი დიდი სათვალე ცხვირზე ჩამოიწია და მოწყენილი გაზეთს ჩააცქერდა. ხშირი წვერი და

კვადრატული ნიკაპი აქვს და მეჩვენება, რომ სადღაც შემხვედრია, მაგრამ ვერასგზით გამიხსენებია, სად. გრძელი, გაბურძგნული თმის გამო, ის შეიძლება მწერლად ან მხატვრად მიგვეჩნია. მაგრამ ამ ვარაუდს გამორიცხავს მისი ყავისფერი პიჯაკი.

რაღაც დროის განმავლობაში მალულად ვუთვალთვალებდი ამ კაცს და პატარა ყლუპებით ვსვამდი ჭიქაში ჩასმულ ევროპულ არაყს. მოწყენილი ვიყავი, ძლიერ მინდოდა გამოლაპარაკება, მაგრამ ვერ ვბედავდი მისი ნამეტანი შეუხედავი გარეგნობის გამო.

ანაზდად კვადრატულ ნიკაპიანმა ბატონმა ფეხები გაჭიმა და თითქოს მთქნარებას იკავებსო, წარმოთქვა:

- მოწყენილობაა! - შემდეგ, სათვალის ქვემოდან მზერა მესროლა და კვლავ განაგრძო გაზეთის კითხვა. ამ წუთში თითქმის დარწმუნებული ვიყავი, რომ ის სადღაც მენახა. სალონში ჩვენ ორს გარდა, არავინ იყო. ცოტა ხნის შემდეგ ამ უცნაურმა ადამიანმა ისევ წარმოთქვა:

- ოჰ, მოწყენილობაა! - ამჯერად გაზეთი მაგიდაზე გადააგდო და დაბნეული მიყურებდა, როგორ ვსვამდი არაყს. მაშინ შევთავაზე:

- ხომ არ შესვამთ ერთ ჭიქას?

- გმადლობთ... - არც „დიახ“ უთქვამს, არც „არა“, თავი ოდნავ დამიკრა, - მაგარი მოწყენილობაა! მისვლამდე შეიძლება სული ამოგძვრეს. მე დავეთანხმე.

- სანამ ზოილეს მიწაზე ფეხს დავაბიჯებთ, კვირაზე მეტი გავა. ხომალდმა თავი მომაძულა.

- რა თქვით? ზოილეს?

- დიახ, ზოილეს რესპუბლიკა.

- განა არის ასეთი ქვეყანა?

- გამოგიტყდებით, მიკვირს! თქვენ განა არ გაგიგონიათ ზოილე? უცნაურია, არ ვიცი საით

გაგიწევიათ, მაგრამ, ჩვეულებისამებრ, მხოლოდ ეს გემი შედის ძველი მარშრუტით ზოილეს ნავსადგურში.

შევცბუნდი. არსებითად, მე არც კი ვიცოდი, რატომ ვიმყოფებოდი ამ გემზე. ხოლო „ზოილე“ - ასეთი სახელწოდება წინათ არ გამიგონია.

- როგორ თუ?

- ჰო, რა თქმა უნდა! ზოილე ოდითგანვე განთქმული ქვეყანაა. როგორც იცით, სწორედ ერთმა აქაურმა მეცნიერმა უსაშველოდ გამოლანძღა ჰომეროსი. მის საპატივცემულოდ ზოილეს დედაქალაქში ახლაც დგას მშვენიერი მემორიალური დაფა. მისი გარეგნობის შემყურე ასეთ ერუდიციას არ მოველოდი და სახტად დავრჩი.

- როგორც ჩანს, ეს ძალზე ძველი სახელმწიფოა?

- დიახ, ძალიან ძველია! მითებს თუ დავუჯერებთ, ამ ქვეყანაში პირველად მხოლოდ ბაყაყები ცხოვრობდნენ, მაგრამ ათინა-პალადამ ისინი ადამიანებად გადააქცია, ამიტომ ზოგი ამტკიცებს,

რომ ზოილეს მცხოვრებთ ბაყაყის ყიყინს მიუგავთ ხმა. თუმცა ეს არცთუ სავსებით სარწმუნოა. მგონი, მატიანეებში ზოილეს ყველაზე ადრეული ხსენება დაკავშირებულია იმ გმირთან, რომელიც ჰომეროსს უარყოფდა.

- მაშასადამე, ახლა იგი საკმაოდ კულტურული ქვეყანაა?

- რა თქმა უნდა, მაგალითად, ზოილეს დედაქალაქის უნივერსიტეტი, სადაც მეცნიერთა ნაღებია თავმოყრილი, ტოლს არ უდებს მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტებს. და ნამდვილად, ისეთი ხელსაწყო, როგორიც ღირებულებათა გამზომია, ახლახანს იქაურმა პროფესორებმა რომ გამოიგონეს, დედამიწის ახალ საოცრებად ითვლება. თუმცა, ამას მხოლოდ „ზოილეს მაცნეს“ მიხედვით ვლაპარაკობ.

- რა არის „ღირებულებათა გამზომი“?

- ზუსტად რომ ვთქვათ, ესაა ღირებულებათა გამზომი აპარტი. მართალია, ის, ვგონებ, უმთავრესად გამოიყენება რომანებისა და სურათების ღირებულებათა გასაზომად.

-
- რისი ღირებულების?

  უმთავრესად, მხატვრულისა, თუმც, მას სხვა სახის ღირებულებათა გაზომვაც შეუძლია. ზოილეში, ცნობილი წინაპრის საპატივცემულოდ, აპარატს უწოდეს Menzura Zoili.

- თქვენ ის აპარატი გინახავთ?

- არა. მინახია მხოლოდ „ზოილეს მაცნეს“ ილუსტრაციებში... გარეგნულად ის არ განსხვავდება ჩვეულებრივი სამედიცინო სასწორისაგან. ბაქანზე, სადაც ჩვეულებრივად ადამიანი დგება, დებენ წიგნებს ან ტილოებს. ჩარჩოები და ყდები ოდნავ ხელს უშლის ზუტს გაზომვას, მაგრამ შემდეგ ამ ხარვეზს ასწორებენ, ასე რომ ყველაფერი რიგზეა.

- კარგი ხელსაწყო ყოფილა!

- ძალზე კარგი, ასე ვთქვათ, კულტურის იარაღია! - კვადრატულ ნიკაპიანმა კაცმა პაპიროსი ამოიღო და პირში გაიჩარა. - იმ დღიდან მოყოლებული, რაც ეს ხელსაწყო გამოიგონეს, ყველა მწერალსა და მხატვარს, რომლებიც ძაღლის ხორცით ვაჭრობენ მას ცხვრის ხორცად ასაღებენ, მაზანდა წაუვიდათ. ღირებულების ზომა ხომ თვალნათლივ გამოისახება ციფრებით. ძალზე ჭკვიანურად მოიქცა ზოილეს ხალხი, აპარატები საბაჟოებში რომ დადგა.

- ეს რატომღა დაჭირდათ?

- იმიტომ, რო ყველა ხელნაწერი და სურათი, რომელიც საზღვარგარეთიდან შეაქვთ, მოწმდება ამ აპარატით და ღირებულებას მოკლებული ნაწარმოებთა შეტანა იკრძალება. ამბობენ, რომ ახლახანს ერთსა და იმავე დროს გაზომეს იაპონიიდან, ინგლისიდან, გერმანიიდან, ავსტრიიდან, საფრანგეთიდან, შვედეთიდან, ნორვეგიიდან და სხვა ქვეყნებიდან შემოტანილი ნაწარმოებნი და და სიმართლე რომ ვთქვათ, იაპონურ ნაწარმოებთა შეფასების შედეგები ძალზე დაბალია. ჩვენი მიკერძოებული შეხედულებისამებრ კი, იაპონიაში არიან მწერლები და მხატვრები, რომელთა ატანაც შეიძლება.

ამ საუბარში ვიყავით, რომ კარი გაიღო და სალონში შემოვიდა ზანგის ბიჭი. იღლიაში გაზეთები ამოეჩარა. ამ მკვირცხლ ბიჭს საზაფხულო მუქლურჯი კოსტიუმი ეცვა. ბიჭმა უხმაუროდ დააწყო გაზეთები მაგიდაზე და კარს უკან გაუჩინარდა.

კვადრატულ ნიკაპიანმა კაცმა სიგარას ფერფლი გააყრევინა და გაზეთი გაშალა. ეს იყო ეგრეთ წოდებული „ზოილეს მაცნე“, უცნაური ლურსმულის მსგავსი ნიშნებიანი სტრიქონებით აჭრელებული. კვლავ გამაკვირვა ამ კაცის ერუდიციამ, ასეთი უცნაური შრიფტის წაკითხვა რომ შეეძლო.

- ისევ მხოლოს Menzura Zoili-ზე წერენ, - თქვა მან, თან გაზეთს თვალს ავლებდა. - ოჰო,

იაპონიაში წინა თვის მანძილზე გამოქვეყნებულ მოთხრობათა ღირებულებაა დაბეჭდილი! თანაც ინჟინერ-მზომელთა ანგარიში აქვს დართული.

-

- კუმეს[11] გვარს ახსენებენ? - ვკითხე მეგობრის ბედით შეშფოთებულმა.

- კუმე? მოთხრობა „ვერცხლის მონეტა“? არის.

- მერე? როგორია მისი ღირებულება?

  არაფრად ვარგა! ჯერერთი, ნაწარმოების იმპულსად გვევლინება აღმოჩენა, რომ უაზრობაა ადამიანის ცხოვრება; გარდა ამისა, მთელ ნაწარმოებს აუფასურებს განათლებული ავტორის მენტორული ტონი.

მეწყინა.

- მაპატიეთ, ძალზე ვწუხვარ, - კვადრატულ ნიკაპიანმა კაცმა დამცინავად გაიღიმა, - მაგრამ თქვენი „ჩიბუხიცაა“ ნახსენები.

- რას წერენ?

- თითქმის იმავეს, რომ მასში არაფერია, გარდა ზოგადი აღწერისა.

- ჰმ!..

- და აი კიდევ რა წერია: „ეს ახალგაზრდა მწერალი ძალზე ნაყოფიერია...“

- ოო!..

რაღაც ნაღვლიანი, შეიძლება ითქვას, სულელური გრძნობაც კი დამეუფლა.

- მარტო თქვენ კი არა, ნებისმიერ მწერალს ან მხატვარს, რომელიც ამ საწყაულზე მოხვდება, გაუჭირდება: არავითარი თვალთმაქცობა არ გადის. რამდენიც უნდა აქოს ავტორმა თავისი ნაწარმოები, საწყაული უჩვენებს ჭეშმარიტ ღირებულებას და ყველა მცდელობა წყალში ეყრება. ცხადია, ძმაკაცთა ერთსულოვან ხოტბასაც არ შეუძლია მრიცხველის ჩვენების შეცვლა. რას იზამთ, მოგიწევთ, სამუშაოს ჩაუჯდეთ და დაიწყოთ ღირებულ ნაწარმოებთა წერა!

- როგორ ადგენენ, რომ საწყაულის შეფასებანი სწორია?

- ამისათვის საკმარისია სასწორზე რომელიმე შედევრი დადონ. მოპასანის „ცხოვრებას“ დადებენ და ისარი მაშინვე აჩვენებს ყველაზე მაღალ

ღირებულებას.

- მხოლოდ ესაა?

- მხოლოდ ესაა.

გავჩუმდი. მომეჩვენა, რომ ჩემი თანამოსაუბრე მზად არ იყო თეორიული აზროვნებისათვის, რომ ახალი კითხვა დამებადა:

- განა ზოილელ მხატვართა ნაწარმოებებსაც ამ საწყაულზე ზომავენ?

- ამას კრძალავს ზოილეს კანონები.

-

- რატომ?

- იძულებულნი იყვნენ აეკრძალათ, იმიტომ, რომ ზოილეს ხალხი ამაზე არ თანხმდება:

ზოილე ოდითგანვე რესპუბლიკაა, „Vox pupoli, vox dei“[12] - ამ პრინციპს ზუსტად იცავენ. - კვადრატულ ნიკაპიანმა კაცმა რაღაც უცნაურად გაიღიმა. - ხმები დადის, როცა მათი ნაწარმოებნი გაზომეს, ისარმა მინიმალური ღირებულება აჩვენაო. რაკი ასეა, ზოილელები დილემის წინაშე

აღმოჩნდნენ: ან უნდა უარჰყონ საწყაულის შეუცდომლობა, ან უნდა უარჰყონ საკუთარი ნაწარმოებები, არც ერთი და არც მეორე მათ ხელს არ აძლევდა. მაგრამ ეს მხოლოდ ჭორებია.

უცებ გემი ძლიერ გადაქანდა. და კვადრატულ ნიკაპიანმა კაცმა სკამიდან ძირს მოადინა ზღართანი. ზედ მაგიდა დაეცა. გადაყირავდა ბოთლი და ჭიქები. გაზეთები მიმოიშალნენ. ფანჯარაში ჰორიზონტი გაქრა. თეფშების მსხვრევის, გადაყირავებული სკამების რახრახი და გემზე მინარცხებული ტალღების ხმაური გაისმა. ვიძირებით. ეს ჩაძირვაა! ან წყალქვეშა ვულკანის ამოფრქვევაა...

გონს რომ მოვედი, დავინახე, რომ კაბინეტში, მოქანავე სავარძელზე ვიჯექი: აღმოჩნდა, რომ St. Iohn Ewine „The critics“-ს[13] ვკითხულობდი და თურმე ჩამთვლიმა. ჩემი თავი გემზე იმიტომ მეზმანა, რომ სავარძელი ოდნავ ქანაობდა.

ხოლო კვადრატულ ნიკაპიანი კაცი... ზოგჯერ მგონია, რომ ეს იყო კუმე, ზოგჯერ კი ვფიქრობ, რომ ის არ იყო. აქამდე ვერ გამირკვევია.

იანვარი***, 1917*** ***წ.***

თარგმნა კარლო არსენიშვილმა

ჩაისუნთქა და ფუროსზანტად მოავლო თვალი, ბინდბუნდში ძლივს ჩანდა მობანავეთა თავები, შვიდნი იყვნენ, იქნებ რვანიც. ზოგი მღეროდა, ლაპარაკობდა, თავებს შორის კი მშვიდად და ზომიერად ირხეოდა ზედაპირზე მოდებული ზინტლი. წყალში ტიხარს იქიდან შემოჭრილი მქრქალი შუქიც ირეკლებოდა, „საერთო აბანოს გულისამრევი სუნი“ იდგა ირგვლივ.

ოცნება უყვარდა ბაკინს. ახლაც წყალს მინებდა, სხეული მოადუნა და თავისი მომავალი წიგნის ერთი სურათი დაუდგა ვალწინ:

...ბინდი წვება ზღვაზე და ანაზდად მოვარდნილი ქარი ტალღებს ქოჩრავს. ტალღა ყრუ კვნესით ეხეთქება გემის კედლებს. უზარმაზარი ღამურის ფრთებივით ფათქუნობდა ქარში ატყლაშუნებული აფრაც. მეზღვაური შიშით გასცქერის ზღვას. ჩამოქუფრულ ცაში ეულად და ნაღვლიანად ჰკიდია მთვარის ნამგალი...

ანაზდად გაქრა გონებაში გაცხადებული სურათი. იქვე ახლოს ვიღაც ზედმეტად ხმამაღლა, ბაკინის გასაგონად ლანძღავდა მის წიგნს. ბაკინმა ერთი პირობა ფუროდან ამოსვლა გადაწყვიტა, მაგრამ გადაიფიქრა და სმენად იქცა.

- რას არ უწოდებენ ბაკინს, „კიოკუტემის ოსტატს“ თუ „ლიტერატურის ტაძრის ქურუმს“. მისი წიგნები კი მხოლოდ და მხოლოდ სხვისი ნაწარმოებების გადმომღერებაა. „რვა ძაღლი“ ნაჩქარევად გადმოკეთებული „მდინარის განთიადებია“[38]. ამას თუ არ გავითვალისწინებთ, თავისთავად „რვა ძაღლში“ საინტერესო ადგილებიც შეგხვდება. მაგრამ ჩინური რომანი „რვა ძაღლზე“ ადრეა დაწერილი. ასე რომ, ბაკინის დამსახურება მხოლოდ ის გახლავთ, რომ ორიგინალის წაკითხვა იქნება. არც კიოდენიდან[39] მოპარვას თაკილობს. აბა როგორ არ აღშფოთდები!

ბაკინი დაჟინებით აცქერდება იმ ადგილს, საიდანაც ლანძღვა ესმოდა. დაბოლქვილ ორთქლში ძნელი იყო მოჯაყის დანახვა, მაგრამ მისი მაძაგებელი ის ელამი კაცი უნდა ყოფილიყო, „კოიტოს“ ვარცხნილობიანი ალბათ იმან გააცოფა, ჰეიკიი რამდენიმე წუთის წინ „რვა ძაღლს“ რომ ადიდებდა და გადაწყვიტა, ბაკინზე ეყარა ჯავრი.

- ყველაფერი, რაც ბაკინს დაუწერია, მხოლოდ გულმოდგინების ნაყოფია, ეგ არის და ეგ. სულს იქით არაფერი გააჩნია და თუ გააჩია, მხოლოდ ოთხწიგნეულისა და ხუთწიგნეულის[40] კომენტარები, რომელიც სამრევლო სკოლის მასწავლებელს უფრო შეეფერება, ვიდრე დიდ მწერალს. არც თანამედროვე ცხოვრება ესმის - ამას თუნდაც ის მოწმობს, რომ ყველა რონამში გასული საუკუნეების ამბებს აღწერს. უბრალოდ და ნათლად კი არ იტყვის: „ოსიმე და ხისამაცუ“[41], არა! აუცილებლად უნდა გატყლარჭოს - „შემოდგომის შვიდი ბალახი, ანუ ხისამაცუა და ოსიმეს სიყვარულის ამბავი“. ასეთი მაგალითები, თუკი „დიდებული“ ბაკინის ენით ვიტყვით, „უზღვავია“ მის ნაწარმოებებში.

საკუთარი აღმატებულობის გრძნობა აშკარად ხელს უშლიდა მოლაპარაკეს, მთელი ბოღმა ბაკინზე დაენთხია. თვით ბაკინსაც, თუმცა მოლაპარაკის ნათქვამმა გული დაუსერა, რატომღაც სიძულვილი არ უგრძვნია. მხოლოდ ეწადა, როგორმე ზიზღი გამოეხატა, მაგრამ თავისი ასაკი არ აძლევდა ამის უფლებას.

- თუ საქმე საქმეზე მიდგა, იკუ და სამბა[42] არიან ჭეშმარიტი მწერლები. მათ წიგნებში ცოცხალი და ნამდვილი ადამიანები მოქმედებენ. მათი ნაწერები ოინბაზობაა და მცირეოდენ ცოდნაზეროდია დამყარებული. სწორედ ამით განსხვავდებიან სარიუკენ ინძასნაირი[43] მწერლებისაგან.

ბაკინმა გამოცდილებით იცოდა, რომ საკუთარ წიგნებზე აუგის მოსმენა არა მარტო უსიამო საქმიანობა იყო, არამედ საკმაოდ სახიფათოც. არც ის იყო უმთავრესი, რომ აუგის მოსმენის შემდეგ შეიძლება სასო წარკვეთოდა, პირიქით, მან კარგად იცოდა, რომ ამ დაუფარავი ქირდვის გამო ამიერიდან მის შემოქმედებით ლტოლვას ერთგვარი უკუქმედებაც დაჰყვებოდა და ეშინოდა, რომ ამ ორი, ურთიერთსაწინააღმდეგო ძალთა შეპირისპირებით სულიერად მახინჯი ნაწარმოები იშვებოდა. შემოქმედებითი ძალით აღსავსე ნებისმიერი მწერალი, და არა ისინი, ვინც მხოლოდ დროის ფეხის ხმას იყვნენ აყოლილნი, ძალაუნებურად დგებოდა ამ საფრთხის წინაშე. ალბათ ამიტომაც, ბაკინი არასოდეს კითხულობდა მის ნაწარმოებებზე დაწერილ კრიტიკულ გამოხმაურებებს, თუმცა ხანდახან ძალზე ეწადა კიდეც წაკითხვა. დღეს კი სხვათა ნააზრევის მოსმენის იმ ოდინდელ ცდუნებას მინებდა, ამიტომ დარჩა ფუროში და „კოიტოს“ ვარცხნილობიანი კაცის ლაყბობას უგდო ყური.

ამას რომ მიხვდა, ბაკინმა იმავ წამს სულმოკლეობა უსაყვედურა საკუთარ თავს. ელამის გააფთრებული მსჯელობისათვის ყურადღება აღარ მიუქცევია და დაჯერებული ნაბიჯით გაიარა ფურო. აქ, ორთქლის ბოლქვებს მიღმა, სარკმლიდან მოჩანდა ცისფერი ცა, მის ფონზე კი მზის თბილ სხივებში გახვეული ხურმის ნაყოფი ხასხასებდა. ბაკინი სათლით მივიდა და აუჩქარებლად გადაივლო წყალი.

- ჩვენი ბაკინი მხოლოდ და მხოლოდ მოხერხებული თაღლითია, აკი მოახერხა კიდეც იაპონელ ლო გუან-ჯუნად გაესაღებინა თავი! - ისევ ცოფს ჰყრიდა ელამი, რადგან ბაკინი იქვე ეგულებოდა. ვერც კი შენიშნა, მისგან წყევლის მწერალი როგორ მიეფარა ტიხარს.

5

აბანოდან გუნებაწამხდარი გამოვიდა. ელამის აუგი მიზანს მოხვდა. შემოდგომის მზით განათებულ ედოს ქუჩებს დაუყვა, ცდილობდა მშვიდად და აუღელვებლად გაეაზრებია ფუროში მოსმენილი. თვალისდახამხამებაში შეეძლო დაემტკიცებინა, რომ ის, რასაც ელამი უკიჟინებდა, მტკნარი სისულელე იყო, საფიქრალადაც არ ღირდა და მაინც, ძალზე გაუჭირდა ასე მოულოდნელად დარღვეული სულიერი სიმშვიდის მოპოვება.

მოღუშული უცქეროდა ქუჩის ორივე მხარეს ჩამწკრივებულ სახლებს. ამ სახლებში მცხოვრებთ სულაც არ ენაღვლებოდათ ბაკინი, თავიანთი საწუხარი, სადარდებელი გააჩნიათ. ნარინჯისფერი აბრა: „მთელს პროვინციაში საუკეთესო თამბაქო“, ნიჩბისმაგვარ ფიცარზე ამოკვეთილი: „საუკეთესო დაფნის ხე“, ფარანზე წარწერილი: „პალანკინები“, დროშა სამკითხაო ჯოხებითა და წარწერით: „მკითხაობა“ - ეს ყოველივე რაღაც უაზროდ ჩამორიგებულიყო. მისი ხედვის მიღმა წალიკდებოდა და ყურადღებას არ ითხოვდა.

„რატომ ხდება, რომ ამ ლანძღვა-გინებამ, რომელიც არსებითად არც შემხებია, მაინც ამიფორიაქა სული? - თავს დაეკითხა ბაკინი, - უპირველესად, უკვე უსიამოვნოა, რომ იმ ელამს, რა მიზეზიც არ უნდა გააჩნდეს, ვეჯავრები და ვეღარაფერს გააწყობ...“ ბაკინს კვლავ შერცხვასაკუთარი სულმოკლეობისა და მართლაც, ალბათ ამქვეყნად ცოტა თუ მოიძებნება მასავით ამაყი და ამავე დროს, მასავით მგრძნობიარე კაცი. ბაკინმა რა ხანია შენიშნა, რომ მომხდარისადმი მისი დამოკიდებულების ამ თითქოსდა ურთიერთსაწინააღმდეგო უკიდურესობებს, დიამეტრალურ საწინააღმდეგო ძიებებს, სინამდვილეში ერთი და იგივე მიზეზი გააჩნია ყოველივე ერთი და იგივე ნერვული მდგომარეობით აიხსნება.

„თუმცა ახლა ისიც მთრგუნავს, - ფიქრს განაგრძობდა ბაკინი, - რომ საკადრისი პასუხი ვერ მივაგე ელამს. აი, ეს არ მიყვარს. ამავე მიზეზით არ მიყვარს აზარტული თამაშებიც“.

უეცრად, ფიქრმა დინება იცვალა, მჭიდროდ მოკუმული ტუჩებიც კი გაუპო მოულოდნელობით.

„და ბოლოს, უდაოდ, ის მანაღვლებს, რომ ჩემი მოწინააღმდეგე სწორედ ის ელამი აღმოჩნდა. უფრო ღირსეული კაცი რომ ყოფილიყო, ალბათ წყენას დავიოკებდი და იოლად მოვიგერიებდი. მაგრამ ასეთ მოწინააღმდეგესთან ძალაუნებურად ჩიხში მოემწყვდევი“.

ბაკინს მწარედ ჩაეცინა და მაღალ ცას ახედა. ციდან, მზის სხივებთან ერთად, მოულოდნელად ღვართქაფივით ჩამოიღვარა მიწაზე არწივის ყურისწამღები ყიპყიპი და ბერიკაცს უცებ მოეშვა გულზე.

„როგორც უნდა მლანძღოს ელამმა, - ფიქრობდა ბაკინი, - მხოლოდ გულს მატკენს. რამდენიც უნდა იყვიროს არწივმა, მზეს მაინც ვერ გააჩერებს. აუცილებლად დავასრულებ „რვა ძაღლს“ და იაპონია მიიღებს იმ რომანს, რომლის მსგავსიც არ ჰქონია და არც ექნება“.

ბაკინმა კვლავმოპოვებული საკუთარი თავის რწმენა ჩაისათუთა გულში და მიხვეულმოხვეულ, ვიწრო ბილიკს გაუყვა შინისაკენ.

6

შინმოსულმა, წინკარის ჩაბნელებულ კუთხეში ზორტებაბურდულ სანდლებს ჰკიდა თვალი და წამისად გაიცხადა მათი პატრონის მრგვალი, ლავაშივით სახე. იმავ წამს ისიც იფიქრა, რომ დაუპატიჟებელი სტუმარი დროს წაართმევდა.

„დღევანდელი დილაც დაიკარგა“, - დანანებით გადააქნია თავი და წინკარში შეაბიჯა. მაშინვე შეეგება მსახური ქალი სუგი, მოწიწებით დაუკრა თავი და წელშიგაუმართავად შეხედა სახეში.

- ბატონი იძუმია გეახლათ.

ბაკინმა თავი დაუქნია და სველი პირსახოცი მიაწოდა. კაბინეტში შესვლა არ უნდოდა, ფეხს ითრევდა, ამიტომ ჰკითხა:

- ო-ჰიაკუ[44] სად არის?

- ქალბატონი ეკლესიაში წაბრძანდა.

- ო-მოტისთან[45] ერთად?

- დიახ, ბავშვიც თან წაიყვანა.

- ვაჟიშვილი სადღაა?

ბატონ იამამოტოსთან გახლავთ.

მაშ ასე, შინაურებიც გაკრეფილან და ბაკინს უეცრად იმედის გაცრუების მაგვარი გრძნობა დაეუფლა. სხვა გზა აღარ რჩებოდა, ბოლოს და ბოლოს კაბინეტის ფუსუმა[46] გადასწია, იქვე, წინკარში რომ იყო.

შუა ოთახში გაჯგიმული კაცი იჯდა თავმომწონედ, თეთრი სახე ულაპლაპებდა, ვერცხლის წვრილი ყალიონი გაეჩარა კბილებში. კაბინეტში განსაკუთრებული არაფერი იდგა, შირმაზე აკრული ლითოგრაფიისა და ნიშაში ჩამოკიდებული ტყუპი კაკემონის[47] გარდა, რომელზეც ნეკერჩხლის მეწამული, შემოდგომისეული ფოთლები და ყვითელი ქრიზანთემები იყო გამოსახული. კედლის გასწვრივ ათას ჭირვარამგამოვლილი, ხებუერას კარიანი ორმოცდაათამდე წიგნის კარადა იყო გაყოლებული. სიოძის[48] ქაღალდი, ეტყობოდა, შარშანდელი ზამთრის შემდეგ არ გამოეცვალათ, ალაგ-ალაგ გახეულიყო და ზედ გადამტვრეული უზარმაზარი ბანანის ხის ირიბი ჩრდილი ირხეოდა.. სტუმრის გადაპრანჭული ჩაცმულობა სულაც არ ეხამებოდა კაბინეტის მოწყობილობას.

როგორც კი ფუსუმა გადაიწია, სტუმარმა მოწიწებით დახარა თავი და ალერსიანად უთხრა:

- ძალზე მიხარია თქვენი ნახვა, სენსეი, - სტუმარი წიგნის გამომცემელი იტირეი იძუმია იყო, ბაკინის ერთ-ერთ წიგნს, „ძინ, პინ და მეის“[49] რომ ამზადებდა გამოსაცემად. ამ წიგნზეც დიდ იმედებს ამყარებდა მწერალი.

- ალბათ დიდი ხანია მელოდებით. დღეს რატომღაც დილიდანვე აბანოში გადავწყვიტე წასვლა, - უთხრა ბაკინმა, ძალაუნებურად სახე მოეღუშა, მაგრამ, როგორც ზრდილობა მოითხოვდა, მაინც დაჯდა სტუმრის წინ.

- დილიდანვე აბანოში წაბრძანდით? შესანიშნავია! - წამოიძახა იტიბეიმ. იშვიათად შეხვდებოდით ადამიანს, იტიბეის მსგავსად აღფრთოვანებულიყო სულ უბრალო, უმნიშვნელო ამბებით, უფრო ზუსტად, ასე შეეძლებოდა აღფრთოვანების გამოხატვა.

ბაკინმა აუჩქარებლად გააბოლა და როგორც მოსალოდნელი იყო, საქმეზე დაიწყო ლაპარაკი. მუდამ ეჩოთირებოდა იძუმიას ეს აღფრთოვანება.

- დღეს რამ მოგიყვანათ ჩემთან?

- მინდა ახალი წიგნის დაწერა გთხოვოთ, - ქალივით მიეკეკლუცა იტიბეი და ყალიონს თითი დაუსვა. საინტერესო ხასიათის კაცი იყო: უმეტეს შემთხვევაში მისი ქცევა არ ეხამებოდა მის გულისწადილს, პირიქით, ეწინააღმდეგებოდა კიდეც; უკვე გადაწყვეტილად და უდრეკად რომ იცოდა რაღაც, მაინც ლბილი, შემპარავი ხმით იწყებდა ლაპარაკს. ამ ხმამ ისევ წარბი შეაკვრევინა ბაკინს.

- თუ საქმე ახალ წიგნს ეხება, ტყუილად გარჯილხართ.

-

- რატომ? რაიმე განსაკუთრებული მიზეზი გიშლით ხელს?

არა, უბრალოდ, წელს ადრე დაწყებული წიგნების დასრულებას ვაპირებ და ახალს ვეღარ მოვასწრებ.

- ცხადია, ცხადი. ვიცი, ძალზე დაკავებული ბრძანდებით, - საპასუხოდ ჩაილუღლუღა იტიბეიმ დ ჩიბუხი დაფერთხა. თითქოს ჩიბუხის დაფერთხვა თავისებური ნიშანი იყო, უეცრად თავი ისე დაიჭირა, ვითომ აღარც კი ახსოვდა რაზე საუბრობდნენ და თითქოს არაფერი მომხდარიყოს, ნეძუმი კოძო ძიროდაუზე ჩამოუგდო სიტყვა.

7

ნეძუმი კოძო ძიროდაუ ცნობილი ყაჩაღი იყო, ვაჟკაცობით მთელს ქვეყანაში სახელგანთქმული. ამ წლის მეხუთე თვეს დაიჭირეს, მერვე თვის შუა რიცხვებში კი ყაჩაღის თავი ციხის კარიბჭეზე გადმოკიდეს ხალხის დასანახად. ყაჩაღი მხოლოდ თავადებს ძარცვავდა და ნაძარცვს ღარიბებს ურიგებდა. ამიტომ იყო, ხალხმა მისი ნამდვილი სახელი დაივიწყა და „კეთილშობილ ყაჩაღს“ უწოდებდნენ მოწიწებით.

- სენსეი, წარმოგიდგენიათ? ამბობენ, სამოცდაექვსი თავადის სახლ-კარი გაძარცვა და ფულად სამიათას ასოთხმოცი რიო[50] და ორი ბუ[51] წამოიღოო. უბრალოდ, დაუჯერებელია! ცხადია, ყაჩაღი იყო და ხალხი უნდა ეძარცვა, მარამ ჩვეულებრივი ადამიანისათვის ძალზე წარმოუდგენელი ჩანს ეს ყოველივე.

ბაკინმა ვერც შენიშნა, თანდათან როგორ გაიტაცა საუბარმა. იტიბეი დაუფარავი კმაყოფილებით ყვებოდა, სიამოვნებდა, ახალ მასალას რომ აწვდიდა მწერალს. ბაკინმა იმავ წამს იგრძნო ეს კმაყოფილება და გაღიზიანება, მაგრამ მაინც გულისყურით უსმენდა. არც გასაკვირია, ჭეშმარიტი ტალანტით მადლცხებული, ხელოვნებით შეპყრობილი ბაკინის მსგავსი კაცისათვის თავისთავად საინტერესო იყო ყოველი ადამიანის ბედი.

- მართლაც საოცარი კაცი ყოფილა რა არ მსმენია მასზე, მაგრამ ამდენს კი ვეღარ წარმოვიდგენდი.

- მართალს ბრძანებთ, ყაჩაღობაში ბადალი არ ჰყავდა. ამბობენ, თითქოს ყმაწვილკაცობაში ტაძიმის პროვინციის მმართველის, ბატონ არაოს მცველი ყოფილა, ამდენად, საკუთარი ხუთი თითივით იცნობდა თავადთა სასახლეებს. სასჯელის წინ ქალაქში ჩაატარეს, ხალხი გააოცა მისმა ახოვანებამ და სილამაზემ. თეთრ აბრეშუმის კიმონოზე მეორე, ლურჯი კიმონო ჰქონდა შემოცმული და ამაყად მოაბიჯებდა... ამ კაცზე აუცილებლად უნდა დაწეროთ, თუნდაც იმ წიგნში, ახლა რომ ამთავრებთ...

ბაკინმა რაღაც ჩაიბუბუნა და ისევ გააბოლა. მაგრამ იტიბეი ის კაცი როდი იყო, ბანზე აგდებულ სიტყვას არ გამოდევნებოდა.

- რას იტყვით? იქნებ ძიროდაუს ამბავი „ძინ, პინ და მეიში“ ჩართოთ? კარგად მესმის, ძალზე დაკავებული ბრძანდებით, მაგრამ, მგონია, უნდა დამთანხმდეთ.

-
ნეძუმი კოძოზე საუბარმა ისევ თავდაპირველ თემას მიუბრუნა მოსაუბრეები. იძუმია ისევ ახალი რომანის დაწერას სთხოვდა ბაკინს. მაგრამ ბაკინი კარგად იცნობდა იძუმიას და არ ნებდებოდა. უკვე საბოლოოდ წაუხდა გუნება. თავს უწყრებოდა, იტიბეის დაგებულ მახეში რომ გაება და ასე გაიტაცა მონათხრობმა, მერე ზანტად მოქაჩა ჩიბუხი და უთხრა:

ნაძალადევად არაფერი გამომდის. უინტერესო წიგნი კი თქვენთვისაც არ იქნება ხელსაყრელი, ვეღარ გაყიდით. დამიჯერეთ, ორივესთვის ასე აჯობებს.

- მართალი ბრძანდებით, მაგრამ თავს ნებას მივცემ გთხოვოთ, იქნებ ერთხელ კიდევ, უკანასკნელად გაიჭირვოთ. თანახმა ხართ?

იძუმია თითქოს თვალებთ „მიეფერა“ ბაკინს (ბაკინი „მიფერებას“ მის ერთ უჩვეულო, მხოლოდ იძუმიასთვის ნიშნეულ გამოხედვას ეძახდა) და ნაწყვეტ-ნაწყვეტ გამოუშვა ცხვირიდან ბოლი.

- არა, არ შემიძლია. დიდი სურვილი მაქვს, მაგრამ ვერაფრით დაგეხმარებით. დრო არა მაქვს.

- ძალზე დამწყვიტეთ გული, - უთხრა იძუმიამ და სრულიად მოულოდნელად ნაცნობ მწერლებზე დაუწყო ლაპარაკი. კბილებში ისევ ვერცხლის ჩიბუხი ჰქონდა გაჩრილი.

8

- ამბობენ, მალე ტანეჰიკოს[52] წიგნი უნდა გამოვიდესო. ალბათ ეს რომანიც დახვეწილი და ნაღვლიანი იქნება. ვგონებ, დამეთანხმებით, სხვას არავის შეუძლია ასე წერა.

იტიბეი რატომღაც ყოველგვარი წოდების გარეშე, მხოლოდ სახელებით იხსენიებდა ხოლმე ნაცნობ მწერლებს და ბაკინი ასეთ დროს წარმოიდგენდა, სხვებთან საუბარში მას როგორ უწოდებდა „ბაკინს“. გაღიზიანების ჟამს არაერთხელ აღშფოთებულა და თავს დაკითხვია: „როგორ შეიძლება ასეთ თვალთმაქცთან გქონდეს საქმე, რომელიც მწერლებს საკუთარი ხელოსნებივით ეპყრობა და იმასაც ბედავს, უპატივცემულოდ მოიხსენიოს მათი სახელები?“ ახლაც უსიამოდ მოეღუშა სახე, მაგრამ იტიბეის წარბიც არ შეუხრია.

- ვფიქრობ, სუნსუის წიგნი ხომ არ გამოვცეთ. თუმცა, მგონი, თქვენ მისი ნაწერები არ უნდა მოგწონდეთ, მისი წიგნები ხომ ობივატელებისთვის არის განკუთვნილი.

- მართალს ბრძანებთ... - ბაკინს უეცრად თვალწინ დაუდგა სუნსუის[53] გროტესკულად მობრეცილი სახე. ისიც გაახენდა, რას ამბობდა სუნსუი თავის შემოქმედებაზე: „მე მწერალი არ გახლავართ. მხოლოდ ხელოსანი ვარ, რომელიც ბრბოს მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად წერს სასიყვარულო წიგნებს“.
ცხადია, გულის სიღრმეში სუნსუის არც თვლიდა მწერლად, ეზიზღებოდა კიდეც, და მაინც, მწერლის ესოდენ უპატივცემულოდ მოხსენიებამ უსაზღვროდ აღაშფოთა.

- თუმცა რაც უნდა თქვათ, - განაგრძობდა იტიბეი, - სასიყვარულო ამბების თხზვაში ვერავინ შეედრება. თან ძალზე ნაყოფიერი მწერალიცაა, - მან ბაკინისაკენ გააპარა

- თვალი და მაშინვე თავის ვერცხლის ჩიბუხს დახედა. შემაზრზენი სახე ჰქონდა. ყოველ შემთხვევაში, ბაკინს ასე მოეჩვენა.

- თუმცა, თუკი მუდამ ერთსა და იმავეს წერ, კალამი ალბათ თავისით ხაზავს ასოებს, გაგიჭირდება კიდეც ქაღალდს მოსწყვიტო. თქვენ, სენსეი, სწრაფად წერთ?

ბაკინმა მხოლოდ შეურაცხყოფა კი არა, მუქარაც იგრძნო ამ შეკითხვაში. პატივმოყვარე ბაკინი ფიქრადაც ვერ დაუშვებდა, თუ სუნსუის ან ტანეჰიკოს შეადარებდნენ. ისიც მნიშვნელოვანი იყო, თუ ისე, ამ საკითხებში ჩარევის უფლებას არავის მისცემდა. მან

ნეკერჩხლის ვასვასა ფოთლებსა და ყვითელ ქრიზანთემებს გახედა ნიშაში და, თითქოს ამოიოხრაო, უპასუხა:

- როდის როგორ. ხან სწრაფად გამომდის, ხან ნელა.

- დიახ, დიახ, გასაგებია, - უკვე მერამდენედ აღფრთოვანდა იტიბეი. ისიც ცხადი იყო, რომ ამჯერადაც მხოლოდ აღფრთოვანებას არ დასჯერდა. და მართლაც, იმავ წამს შეტევაზე გადავიდა:

- იქნებ მაინც დამთანხმდეთ და ახალ წიგნს მოჰკიდოთ ხელი? თქვენს ადგილას სუნსუი...

- მე და ბატონი სუნსუი სხვადასხვა ჯურის ხალხი ვართ. გაბრაზებისას ბაკინს ქვედა

ტუჩი მარჯვნივ ექცეოდა. ახლაც მოებრიცა.

- მაპატიეთ... სუგი! უკვე მოაწესრიგე ბატონი იძუმაის სანდლები?

იტიბეი რომ გაისტუმრა, ბაკინი აივნის ბოძს მიეყრდნო, სახლის წინ გაშლილ მცირე ბაღს გადახედა და დამშვიდება სცადა. მზეჩამდგარი ბაღის სიღრმეში ბამბუკის და სოჭის სიმწვანეს შერეული უკვე ფოთლებდახეთქილი ბანანის ხე და გაძარცული ხებუერა ჩაღვრილიყო შემოდგომის თბილ ფერებად. ხელის საბან ტაშტთან, მიწაზე გართხმულ ლოტოსებს ყვავილობა მოემთავრებინათ, სამაგიეროდ, დაბალი ღობის გადაღმა წამოყელყელავებული ზეთისხილი მოტკბო სურნელს ჰფენდა ბაღს. მაღალი, ცისფერი ციდან რამდენჯერმე უკვე მოსწვდა სმენას არწივის ყიპყიპი, შორეული ფლეიტის ბგერების მსგავსი.

ბაკინმა ანაზდად განსაკუთრებული სიცხადით შეიგრძნო ადამიანთა არასრულყოფილება, ესოდენ რომ არ ეხამებოდა ბუნების ამ სურათს. ამ მიწისპირზე მცხოვრებ ადამიანთა უბედურების სათავე ხომ ის არის, რომ სამყაროს არასრულფასოვნება ტანჯავთ და მაინც, მისი ზემოქმედებით წამოისვრიან ხოლმე ავ სიტყვას, ან საძრახ საქციელს ჩაიდენენ. განა ახლახანს ბაკინი იძულებული არ შეიქნა სახლიდან დაეთხოვა იტიბეი იძუმია? ცხადია, ამ საქციელს კეთილშობილურს ვერ უწოდებ. მაგრამ ამ მდაბალი საქციელისკენ თვით სტუმრის სიმდაბლემ უბიძგა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თავადაც იტიბეის სიმდაბლემდე დაიმდაბლა თავი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, იძულებულ შეიქნა, ზნეობრივად დაცემულყო.

ისევ ამასწინანდელი ამბავი გამახსენდა. გასულ გაზაფხულს საგამის პროვინციის[54] რომელიღაც სოფლიდან წერილი მიიღო, ვინმე მასაბეი ნაგასიმა შეგირდად აყვანას სთხოვდა. წერილიდან შეიტყო, რომ ეს კაცი ოცდაერთი წლისა დაყრუებულიყო და, რადგანაც აუცილებლად ეწადა სახელის მოხვეჭა, მწერლობისათვის მოეკიდა ხელი, „იომიხონს“ წერდა. მისი საყვარელი წიგნები „რვა ძაღლი“ და „კუნძულებზე მოგზაურობის ჩანაწერები“[55] იყო. წერილის ავტორი ატყობინებდა, რომ იმ მიყრუებულ სოფელში ძალზე უჭირდა ლიტერატურული ოსტატობის სრულყოფა. ამიტომ სთხოვდა ბაკინს მდგმურად მიეღო სახლში. მას უკვე, წერდა შემდეგ, ექვსნაწილიანი რომანი დაესრულებინა, და თუკი ბაკინი თავის გაწაფულ ხელს გაუკრავდა, ეგებ წიგნად გამოცემაც მოეხერხებინა..

აი, ასეთი იყო არსებითად ეს წერილი. ბაკინი აღაშფოთა უცნობის თავხედობამ. მაგრამ ამ კაცის სიყრუემ გული შეუძრა ავად სანახევროდ ჩინდაკარგულს. ამიტომ ძალზე თავაზიანი პასუხი მისწერა, ატყობინებდა, რომ დიდი თანაგრძნობის მიუხედავად, მისი სურვილის აღსრულებას ვერ შეძლებდა. მერე მეორე წერილიც მიიღო ნაგასიმასაგან. ახლა იგი სალანძღავ სიტყვებს არ იშურებდა.

„მე, - ნათქვამი იყო ამ წერილში, - მოთმინებით წავიკითხე თქვენი უნიჭო და უსაშველოდ გაჭიანურებული ნაჯღაბნები, თქვენ კი იმაზე უარს მეუბნებით, თვალი გადაავლოთ ჩემს წიგნს. აი, ეს ამჟღავნებს თქვენს სულმდაბლობას...“ ასე იწყებოდა წერილი, დასასრულს კი ეწერა: „თქვენ ბილწი და მდაბალი საქციელი ჩაიდინეთ, როცა უარი თქვით უმცროსი თანამეკალმის შინ მიღებაზე“.

განრისხებულმა ბაკინმა მაშინვე მისწერა საპასუხო წერილი, რომელშიც, სხვათა შორის წერდა: „მე საკუთარი თავის დიდ დამცირებად ვთვლი, რომ თქვენნაირი თვალთმაქცი და ორპირი კაცი ჩემი წიგნების მკითხველი აღმოჩნდა“.

მას შემდეგ ნაგასიმას აღარ შეუწუხებია. ალბათ, ისევ წერს თავის რომანს და იმედოვნებს, რომ ოდესმე მთელ ქვეყანას გააცნობს თავის ნაწარმოებებს...

ამ მოგონებამ ორმაგი ტანჯვა მოჰგვარა ბაკინს - გული მოეწურა ნაგასიმასადმი გამოვლენილი საკუთარი სისასტიკისა და თავად ნაგასიმას მიერ ჩადენილი სისასტიკის გამო. ანაზდად ენითუთქმელმა სასოწარკვეთამ აუვსო სული.

მზე კი თავის სხივებში ალღობდა მოღაღანე ზეთისხილის სურნელს. ფოთოლიც არ შერხევია ბანანის ხეს და ხებუერას. არწივის ყიპყიპიც სიმჭვირვალემდე წმინდად ეღვრებოდა მიწას. ბუნება და ადამიანი... რაოდენ დაშორებულია ერთურთისაგან ეს ორი მცნება და რაოდენ შეუწონასწორებელი!

ვინ იცის, კიდევ რამდენ ხანს იდგებოდა აივანზე ასე სასოწარკვეთილი, ათიოდე წუთის შემდეგ მსახურ ქალს სადილად რომ არ მიეწვია.

9

სრულიად მარტომ ისადილა და ბოლოს როგორც იქნა განმარტოვდა კაბინეტში. ჯერ ისევ წამხდარი ჰქონდა გუნება და გულიდან დარდის გადასაყრელად, მრავალი დღის შემდეგ პირველად გადაშალა „მდინარის განთიადები“. ალალბედზე გადაშალა, სწორედ იმ ადგილას, სადაც მოთხრობილი იყო ქარიშხლის დროს როგორ შეეფარა მთის სულის ტაძარს ავაზასთავიანი ლინ ჩუ და მის თვალწინ როგორ იწვოდა სილოსის საწყობი. ამ დრამატული ეპიზოდის კითხვამ, როგორც ყოველთვის, ახლაც გაიტაცა. თუმცა, რამდენიმე გვერდის შემდეგ, უცებ გაურკვეველი შფოთვა იგრძნო.

შინაურები ჯერ არ დაბრუნებულიყვნენ ტაძრიდან. სახლში მდუმარებას დაესადგურებინა. ბაკინმა სცადა სახიდან ნაღველი გაედევნა, უსიამოდ გააბოლა ჩიბუხი, ისევ გადაშლილ წიგნს ჩახედა და იმაზე დაფიქრდა, რაც კარგა ხანია მოსვენებას აღარ აძლევდა.

მასში არსებული ორი სხვადასხვა ადამიანის რთული და აბურდული ერთობა იყო ამ შფოთის წყარო. პირველი ბაკინი მაღალზნეობრივი მორალისტი იყო, მეორე -

ხელოვნების მსახური, შემოქმედი. ბაკინს ეჭვი არასოდეს შეპარვია „ყოფილ მმართველთა გზის“[56] ჭეშმარიტებაში. და მისი ნაწარმოებებიც, როგორც თავად აცხადებდა, სწორედ „ყოფილ მმართველთა გზის“ გამოვლენა იყო ხელოვნებაში. აქ ერთმანეთს ეთანხმებოდა ეს ორი პიროვნება. მაგრამ ის უნდა გაერკვია, რა იყო უმთავრესი ხელოვნებისათვის: „ყოფილ მმართველთა გზა“, თუ საკუთარი განცდები. ბაკინში მოსახლე მორალისტი თვლიდა, რომ პირველი იყო უმთავრესი, ხელოვანი კი, ცხადია, არსებითად მეორეს მიიჩნევდა. ბაკინიც, ალბათ, შეძლებდა კიდეც ეს წინააღმდეგობა სულიერი კომპრომისის მეშვეობით გადაეჭრა, არაერთხელ ცდილა ჰარმონიაზე ბუნდოვანი მსჯელობით დაეფარა ხელოვნებისადმი თავისი ჭეშმარიტი დამოკიდებულება.

მაგრამ სხვები თუ ტყუვდებოდნენ, საკუთარ თავს მაინც ვერ მოატყუებდა. „გესაკუს“[57] ლიტერატურას არასოდეს თვლიდა მაღალ ხელოვნებად და ერთთავად „სიკეთის წამქეზებელ და ცოდვის დამგმობ იარაღს“ უწოდებდა, თუმცა ხელოვნებით შეპყრობის ჟამს ანაზდად შეიგრძნობდა ხოლმე გაურკვეველ შფოთვასა და ეჭვს.

ახლაც სწორედ ამით აიხსნებოდა „მდინარის განთიადების“ სრულიად მოულოდნელი ზემოქმედება.

კვლავ იგივე, ეჭვნარევი შიში მოეძალა ბაკინს, გააბოლა და თავი აიძულა, შინაურებზე ეფიქრა. მაგრამ წინ მისი შფოთვის წყარო - „მდინარის განთიადები“ ედო, ვერა და ვერ მოახერხა ფიქრის განდევნა.

საბედნიეროდ, ანაზდად, დიდი ხნის უნახავი ვატანაბე კაძანი[58] ნობორუ ეწვია. სტუმარს, წესისამებრ, განიერი შარვალი და მოსასხამი ეცვა, იღლიაში იისფერი ფუთა ამოედო. ალბათ, წიგნები დაუბრუნა ბაკინს, მწერალი ძალზე გაახარა ძვირფასი მეგობრის მოსვლამ და წინკარში შეეგება მას.

- სანახავად გეახელით, თან დიდი მადლიერების გრძნობით გიბრუნებთ წიგნებს, - კაბინეტში შესვლისთანავე უთხრა კაძანმა. ბაკინმა შენიშნა, წიგნების გარდა, ხელში დაგორგლილი ქაღალდიც ეჭირა.

- თუ მოიცლით, პატივი დამდეთ და ნახეთ.

- დიდი სიამოვნებთ!

კაძანმა სცადა ღიმილით დაეფარა მღელვარება, ქაღალდიდან აბრეშუმის გრაგნილი ამოიღო და ბაკინს მიაწოდა. სურათზე რამდენიმე ნაღველისმომგვრელი, გაძარცული ხის ქვეშ ორი კაცი იდგა. მიწას ყვითელი ფოთლები ეფინა. ხის ტოტებზე აქა-იქ ჩამომსხდარიყვნენ ყვავები. შემოდგომის ცივი მიუსაფრობა დიოდა სურათიდან. ბაკინი ამ მკაცრ, საოცრად დახვეწილ სურათს დასცქეროდა, თვალები დაენამა.

- მშვენიერია! თქვენმა ნახატმა ვან მო-ძეს[59] ლექსი გამახსენა: „მოვლიეთ სუფრა, ქვის ზარი გრგვინავს, ზეცას აასკდნენ სადღაც ყვავები. უკაცურ ტყეში მივაბიჯებ, წყვდიადი წვება. ობლად შრაშუნობს დაცვენილი ფოთოლი ტყეში“.

10

- გუშინ დავასრულე ეს ნახატი, მომეწონა და, თუ ნებას დამრთავთ, მინდა გისახსოვროთ, - თქვა კმაყოფილმა კაძანმა და გაპარსულ ნიკაპზე მოისვა ხელი. - მგონი, ამ ბოლო ხანებში ამაზე უკეთესი არაფერი დამიხატია. იშვიათად ხდება, როცა ჩანაფიქრის სრულ ხორცშესხმას ახერხებს მხატვარი.

- დიდ მადლობას მოგახსენებთ, ოღონდ გულახდილად გეტყვით, ძალზე მეუხერხულება, საჩუქრებით რომ ამავსეთ, - ცხვირში ჩაიდუდნა ბაკინმა და ნახატს თვალი ვერ მოსწყვიტა. იმავ წამს რატომღაც თავისი დაუმთავრებელი რომანი გაახსენდა. მაგრამ კაძანი ისევ თავის ნახატზე ლაპარაკობდა.

- ძველი მხატვრების ნამუშევრებს რომ ვუყურებ, მუდამ ერთი და იგივე გაოცება მიპყრობს: როგორ ახერხებდნენ ასე ხატვას? ყველაფერი, ხეც, ქვაც, ადამიანიც ცოცხალი და სრულყოფილი ჩანს. მეტსაც გეტყვით: მათგან შეიგრძნობ მხატვრის დიად სულს. აი, ეს არის ნამდვილი ხელოვნება. ძველ მხატვრებთან შედარებით თავი უმწიფარ ბავშვად მიმაჩნია.

- ტყუილად კი არ ამბობდნენ ძველები: „გვეშინის იმითი, ვინც მოვალს“, - გაიხუმრა ბაკინმა და შურით გახედა კაძანს, ასე ერთიანად რომ გაეტაცა საკუთარ ნამუშევარს.

- მაგრამ ჩვენ, უკვე მოსულებსაც გვეშინია. ჩვენ ხომ წარსულსა და მომავალს შუა ვართ გამომწყვდეულები, ხელის განძრევაც არ ძალგვიძს და მხოლოდ მაშინ წავდგამთ ნაბიჯს წინ, თუ ზურგში ვინმე გვიბიძგებს. თუმცა მარტო ჩვენ არ გვიწერია ეს უბედურება: ასეთ დღეში იყვნენ ძველებიც. ალბათ იგივე ელით იმათ, ჩვენს შემდეგ რომ მოვლენ.

- მართალს ბრძანებთ. წინ თუ არ წახვალ, აუცილებლად დაეცემი. ყველაზე მთავარია სცადო, ერთი ნაბიჯით მაინც წაიწიო წინ.

- ჭეშმარიტებაა, აი, ეს არის მთავარი.

აღელვებული მასპინძელი და სტუმარი ერთხანს დუმდნენ და

დაძაბულნი აყურადებდნენ შემოდგომის დღის მდუმარებას. პირველად

კაძანი ალაპარაკდა, სხვა რამეზე გადაიტანა საუბარი:

- როგორ მიდის მუშაობა „რვა ძაღლზე“? ისეთივე წარმატებით წერთ?

- რას ბრძანებთ! პირიქით. მგონი, ამ საკითხში, მეც ვერაფრით მოვიწონებ თავს წინაპრებთან.

- სამწუხაროა ამის მოსმენა.

- დამერწმუნეთ, მე უფრო მაწუხებს ეს ამბავი, ვიდრე სხვას. მაგრამ რას იზამ. მაინც უნდა იმუშაო, ვიდრე ძალა შეგწევს. ასე რომ, გადაწყვეტილი მაქვს, „რვა ძაღლთან“ შერკინებით შევხვდე სიკვდილს, - ბაკინმა მწარედ ჩაიცინა, თითქოს საკუთარი ნათქვამის შერცხვაო, - ხანდახან იფიქრებ: წიგნის დანიშნულება ხომ მკითხველის გართობაა, და მაინც ვერ ეთანხმები ამ აზრს.

- იგივეს ვფიქრობ ხატვისას. მაგრამ რადგანაც ეს ხელობა ავირჩიე, მინდა ბოლომდე პატიოსნად განევლო გზა.

- მაშასადამე, გადაწყვეტილია, ერთად დავიხოცოთ ბრძოლაში.

-
ახარხარდნენ, მაგრამ ამ სიცილში მხოლოდ ამ ორისათვის გასაგები ნაღველიც ჟღერდა.

და მაინც, მშურს მხატვრების. თქვენ ავსიტყვათაგან ხართ დაზღვეული, ეს კი, თავისთავად, უკვე დიდი ბედნიერებაა, - ახლა ბაკინმა გადაიტანა საუბარი სხვა თემაზე.

11

- მართალს ბრძანებთ, მაგრამ რამდენადაც გამეგება, არც თქვენ უნდა გაშინებდეთ საკუთარ ნაწარმოებთა ბედი.

- ამაში კი ცდებით! - წამოიძახა ბაკინმა და ცენზურის სიბრიყვის მაგალითად მოუთხრო, როგორ აიძულეს რომანიდან უზარმაზარი თავი ამოეღო, მხოლოდ იმიტომ, რომ მასში ვიღაც ჩინოვნიკ-მექრთამეზე იყო მოთხრობილი და დასძინა:

- რაც უფრო გედავება ცენზორი, მით უკეთ ხედავ მის ჭეშმარიტ სახე. საინტერესოა, არა? თავად უარს არ იტყვის ქრთამზე, ამიტომ საკმარისია მწერალმა გაკვრით ახსენოს მექრთამეობა, უკმაყოფილო სახეს მიიღებენ და გიბრძანებენ, გადააკეთო ანდა, თვითონ აქვთ სულში მდაბალი, უხეში ლტოლვები და სიყვარულის თემას თუ შეეხე, იმავ წამს „გარყვნილებას“ დაგწამებენ. სურთ მწერალზე ზნეკეთილად გაჩვენონ თავი. შორიდან რომ უცქირო, ძალზე სასაცილო და საბრალონი არიან. მაიმუნიც, სარკეში საკუთარ სიგონჯეს რომ დაინახავს, კბილებს კრეჭს და იჯღანება. ასევე ცოფდებიან ცენზორები, საკუთარ სიმდაბლეს რომ დაანახვებ. ბაკინი გაცხარებული ლაპარაკობდა და ამ სიცხარემ ღიმილი მოჰგვარა კაძანს:

- მართალს ბრძანებთ, ამგვარი რამ ხშირად ხდება. და მაინც, თუკი გაიძულებენ ჩაასწოროთ ესა თუ ის თავი, ამით თქვენ უსინდისობას არ ჩადიხართ. რაც უნდა თქვან ცენზორებმა, უნაკლო ნაწარმოები მაინც უნაკლოდ დარჩება.

- ეს კი ასეა, მაგრამ ცენზურის თავგასულობა ხანდახან ყოველგვარ საზღვარს სცილდება. ერთხელ აღვწერე, როგორ მიჰქონდათ ციხეში ტანსაცმელი და საჭმელი. იცით, ეს ხუთი თუ ექვსი სტრიქონი ამოიღეს, - ბაკინმა კაძანს შეხედა და ორივემ ჩაიცინა.

- ორმოცდაათი ან ასი წლის შემდეგ ცენზორები აღარ იარსებებენ, თქვენი რომანი კი დარჩება.

- არ ვიცი ჩემი რომანი დარჩება თუ არა, მაგრამ ცენზურა კი არასოდეს მოისპობა.

- ნება მომეცით არ დაგეთანხმოთ.

- უფრო სწორად, მინდოდა მეთქვა, რომ ცენზორები შეიძლება აღარ იყვნენ, მაგრამ მათი მსგავსნი მაინც იარსებებენ ყველა საუკუნეში. შეცდომა იქნებოდა გეფიქრა, თითქოს წიგნების დაწვა და განათლებულ ადამიანთა სიკვდილით დასჯა[60] წარსულ საუკუნეებს ჩაბარდა.

- როგორც გატყობთ, ამ ბოლო ხანებში ნაღველი მოგძალებიათ.

-

- მე კი არა, ცხოვრებაა ნაღვლიანი. სადაც ცენზორების მსგავსი ადამიანები მოლხენით ცხოვრობენ.

- ასეთ შემთხვევაში, სამუშაოში უნდა ჰპოვოთ სულის სიმშვიდე.

  დიახ, დიახ, ალბათ სხვა გზა არც არსებობს. -

მაშ, მოდით, ერთად დავიხოცოთ ბრძოლაში.

ამჯერად აღარ გაუცინიათ. ბაკინი მოიღუშა კიდეც და დაჟინებით შეხედა სტუმარს. კაძანის ხუმრობა ძალზე სერიოზულად ჟღერდა.

- ახალგაზრდებს უფრო შეჰფერით იმაზე ფიქრი, როგორ იცხოვრონ. ჩვენ კი სიკვდილს ყოველთვის მოვასწრებთ, - ცოტა ხნის დუმილის შემდეგ თქვა ბაკინმა. კარგად იცოდა კაძანის პოლიტიკური შეხედულებანი და ახლა, რატომღაც, შიში მოჰგვარა ამ ყველაფერმა. კაძანმა კი პასუხად მხოლოდ გაუღიმა, ეტყობოდა, არც აპირებდა წინააღმდეგობის გაწევას.

12

კაძანი გააცილა და ისევ საწერ მაგიდას მიუჯდა. ძალზე მოესურვა, მუშაობა გაეგრძელებინა. მეგობართან საუბრის შემდეგ დარჩენილი განწყობაც უთუოდ ხელს შეუწყობდა. ბაკინს რა ხანია ჩვევად ჰქონდა, მუშაობის დაწყებამდე ადრე დაწერილი გადაეკითხა. ახლაც აუჩქარებლად ჩაიკითხა სტრიქონებს შორის ჩასწორებებით აჭრელებული რამდენიმე ფურცელი.

ნაწერმა არ დააკმაყოფილა. მოეჩვენა, თითქოს ნიშნებს შორის სივრცეში რაღაც უცხო, ზედმეტი ჩამალული და ეს არღვევდა მთლიან ჰარმონიას. ჯერ ეს შეგრძნება საკუთარ გაღიზიანებას დააბრალა. „ალბათ ცუდ გუნებაზე ვარ, ისე კი ყველაფერი თავის ადგილზეა“, - გაიფიქრა ბაკინმა და ხელახლა გადაიკითხა მთელი ნაწყვეტი. ამჯერადაც იგივე უკმარისობა შეიგრძნო, უფრო აუფორიაქდა სული, უფრო მოეძალა ხანშიშესულთათვის უჩვეულო ღელვა.

„ადრე რა იყო?“ წინა ნაწილი გადაიკითხა. არეული, დაუდევარი, ერთმანეთთან ძლივს შეკოწიწებული ფრაზები. კითხულობდა და ხვდებოდა, რომ ეპიზოდები მოუხერხებლად იყო შეთხზული და წინადადებები ქაოტურად მიმოფანტული. ეს იყო პეიზაჟი, არანაირ ხილულ სახეს რომ არ იწვევდა, იყო აღფრთოვანება, ჭეშმარიტ გრძნობას რომ არ გადმოსცემდა, იყო კამათი, აზროვნების ლოგიკას რომ არ ემორჩილებოდა. ყოველივე, რასაც ამ უკანასკნელ ხანს წერდა, ახლა უაზრო სიტყვების რახარუხად ეჩვენა. ენითუთქმელი ტანჯვით შეეკუმშა გული.

„ყველაფერი უნდა გადაკეთდეს!“ - უხმოდ იყვირა, ზიზღით მოიშორა ნაწერი და ხელებს დააყრდნო თავი. მზერა ვეღარ მოწყვიტა მაგიდას. ამ მაგიდასთან დაწერა „მთვარის ნამგალი“[61] და „სიზმარი ნანკეს სახელმწიფოზე“[62], ამავე მაგიდაზე წერდა ახლა „რვა ძაღლს“. ძვირფასი სატუშე, ურჩხულის ფორმის პრეს-პაპიე, გომბეშოს თავს მიმსგავსებული სპილენძის ხაპი, ლომებითა და პიონებით მოხატული მოცისფრომომწვანო ფაიფურის საჩრდილობელი[63], ორქიდეების მოხატულობით

-

გრავირებული კალმების ჩასაწყობი ლერწმის თასი - ეს საგნები მისი ძველი მეგობრები იყვნენ, მისი ტანჯვის მოწმენი. ნაკინი ახლა მათ უცქერდა და ვერა და ვერ იშორებდა იმ შეგრძნებას, რომ აწინდელი მისი დამარცხება შავად ჩრდილავდა მთელი ცხოვრების ნაშრომს, ეჭვქვეშ აყენებდა მის ნიჭს.

„მე კი მთელი სიცოცხლე ვიმედოვნებდი, რომ ისეთი ნაწარმოებს დავწერდი, რომელსაც ბადალი არ მოეძებნებოდა ჩვენს ქვეყანაში. სინამდვილეში კი ეს იმედი მხოლოდ ჩვეულებრივი ყოყოჩობის გამოვლენა აღმოჩნდა“. ბაკინს გაუსაძლისი,

მტანჯველი ნაღველი შემოაწვა. გონებით მუდამ ეთაყვანებოდა იაპონიისა და ჩინეთის დიდ მწერლებს და არც ის ავიწყდებოდა, რაოდენ უმნიშვნელო იყო მისი ნიჭი ამ უზენაეს ტალანტებთან შედარებით. თავის თანამედროვეთ კი, წვრილმანებზე დახურდავებულ მწერლებს, ქედმაღლურად დასცქეროდა, საკუთარ აღმატებულებას გრძნობდა. და რა მწარე იყო ახლა მისი აღიარება, რომ ბოლოს და ბოლოს არაფრით განირჩეოდა მათგან. რა ძნელი იყო დაჯერება, რომ მხოლოდ შეზღუდული ადამიანისათვის ნიშნეულ სამარცხვინო ყოყოჩობას დამონებოდა. და მაინც, მის ძლიერ „მეს“ უზომოდ ეწადა „გასხვივოსნებასა“ და „თავდავიწყებაში“ ენახა ხსნა.

ასე იჯდა მაგიდასთან, ჩალის ფასად ღირებულ თავის ხელნაწერს ისე დასცქეროდა, როგორც დაღუპული გემის კაპიტანი გასცქერის ხოლმე წყალში ჩაძირულ გემს, და მაინც ცდილობდა პირთამდე მომდგარ სასოწარკვეთას გამკლავებოდა. დიდხანს იქნებოდა ალბათ ასე, ალბათ ვერც დააღწევდა თავს ნაღველის ქსელს, მოულოდნელად, ზურგს უკან ხმაურით რომ არ გადაწეულიყო ფუსუმა და ბავშვის ნაზი, პატარა ხელები კისერზე არ შემოხვეოდა. ტარო ბავშვებისათვის დამახასიათებელი სითამამით და გულუბრყვილობით მაშინვე მუხლებზე ააფორთხდა ბაკინს.

- პაპიკო, აი, მეც მოვედი!

- კარგია, რომ დაბრუნდი, - უთხრა „რვა ძაღლის“ ავტორმა, დაღარულ სახეზე სიხარული გაუკრთა, ერთიანად გადაასხვაფერა.

13

სასადილოდან ო-ჰიაკუს მყივანი ხმა და ო-მოტის მორცხვი პასუხები ისმოდა: ქალები რაღაცას ლაპარაკობდნენ. დროდადრო მამაკაცის ბოხი ხმაც უერთდებოდა - მაშასადამე, სოჰაკუც დაბრუნებულა. ტარო მოხუცს მუხლებზე ააფორთხდა, უეცრად დასერიოზულდა და ისე მიაჩერდა ჭერს, თითქოს უფროსების საუბარს აყურადებსო. სუფთა ჰაერზე ლოყები აღაჟღაჟებოდა, პატარა ცხვირის წვერი ყოველ ამოსუნთქვაზე უთრთოდა, წაბლისა და ქლიავის ყვავილისფერი კიმონო ეცვა.

- პაპიკო, პაპიკო!.. - უეცრად უთხრა ბავშვმა, ძლივს დაიოკა სიცილი, ღრმა ნასვრეტები გაუჩნდა ლოყებზე.

შვილიშვილის შემხედვარეს, ბაკინსაც მოერია ღიმილი.

- პაპიკო, შენ ყოველ დღე...

- რა ყოველ დღე?

- უნდა იმუშაო.

ბაკინმა ხმამაღლა გადაიხარხარა და ჰკითხა:

- მერე რაო?

- მერე ის, რომ... როგორ გითხრა... ნაბრძანები გაქვს მოთმინება არ დაკარგო...

- აი, რაში ყოფილა საქმე. სულ ეგ არის?

- არა... - ტარომ ნაწნავიანი თავი უკან გადაიგდო და წკრიალა ხმით გაიცინა. თვალმოჭუტული იცინოდა, თეთრად უბზინავდა ქათქათა კბილები და პუტკუნა ლოყებზე ნასვრეტები უთრთოდა. ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ ოდესმე, მრავალი წლის შემდეგ, მის სახესაც დააჩნდებოდა დედამიწის ბინადართათვის ესოდენ ბუნებრივი ნაღველი... ასე ფიქრობდა ბაკინი და უეცრად მოძალებულ ბედნიერებას ანებებდა საკუთარ საფიქრალსა და სატანჯველს.

- კიდევ რა მაქვს ნაბრძანები?

- ბევრი რამ.

- რაო, მაინც?

- ოო, შენ, პაპიკო... უფრო სახელოვანი შეიქნები, ვიდრე ახლა ხარ და ამიტომაც.

- სახელოვანი? მერე?

- ნაბრძანები გაქვს მოთმინება არ დაკარგო.

- მე ისედაც მოთმინებით ვიტან ყველაფერს, - მოულოდნელად სერიოზულად უპასუხა ბაკინმა.

- კიდევ, კიდევ უფრო უნდა მოითმინო!

- ვინ მიბრძანა ეს ყველაფერი?

- ვინ და... - ტარომ ეშმაკურად შეხედა პაპას, გაუცინა, – თვითონ მიხვდი, ვინ გიბრძანა!

- ეგრე იყოს. დღეს თქვენ ტაძარში იყავით და ალბათ ეს ყველაფერი ბატონმა მღვდელმა ბრძანა.

- შეგეშალა! - ტარომ ღონივრად გააქნია თავი, სანახევროდ ჩამოფორთხდა პაპის მუხლიდან, ნიკაპი წინ გაიშვირა და განაგრძო: - გითხრა, ვინ გიბრძანა?

- ცხადია, მალე მითხარი!

- კანნონ-სამამ[64], ასაკუსას[65] ტაძარში! - ბიჭუნამ გადაიკისკისა, ბაკინს გაუსხლტა ხელიდან და თითქოს შეეშინდა არ დამიჭიროსო, უკანმოუხედავად გაიქცა.
გახარებული იყო, პაპის გაცრუება რომ შეძლო, ტაში შემოჰკრა და ასკინკილით გასწია სასადილოსკენ.

იმავ წამს რაღაც საზეიმო და დიადი გაუკრთა გულში ბაკინს, ტუჩებზე ბედნიერი ღიმილი აუთამაშდა. თვალები ცრემლით დაენამა. სულ არ აინტერესებდა, თვითონ ტარომ მოიგონა ეს ხუმრობა თუ დედამ დაარიგა, ოღონდ ის, რაც ახლა შვილიშვილის ბაგეთაგან მოისმინა, საოცრება იყო. „ღმერთქალმა კანნონმა მუშაობა მიბრძანა. მიბრძანა, მოთმინება არ დავკარგო, უშიშრად შევხედე სატანჯველს“.

სამოცი წლის მოხუცი მწერალი თვალზე ცრემლმომდგარი ხარხარებდა და პატარა ბავშვივით აქნევდა თავს.

14 იმავე დღის
საღამო. ქაღალდის
მრგვალი ფარნის
მქრქალ შუქზე
განათებულ
მაგიდასთან ბაკინი
„რვა ძაღლის“
ხელნაწერს
ასწორებდა.
შინაურები
მუშაობაში ხელს
არასოდეს
უშლიდნენ. ახლაც,
კაბინეტში
გამეფებულ
სიჩუმეს მხოლოდ
პატრუქის ძლივს
შესამჩნევი
ტკაცუნი
არღვევდა,
ჭრიჭინების ჭრიახს
ერწყმოდა და
შემოდგომის
ხანგრძლივი ღამის
უკუნ მდუმარებას
აწონასწორებდა.

კალამი აიღო თუ არა, გონებაში სუსტი ციმციმით აენთო რაღაც, თანდათან იმატა, უფრო ალაპლაპდა და გაცხოველდა. ბაკინმა კარგად იცოდა, რა იყო ეს ციმციმი და საოცარი სიფრთხილით წერდა. შთაგონებაც ხომ იგივე კოცონია: უცოდინარის ხელით გაღვივებული მაშინვე ქრება...

- ნუ ჩქარობ, შეიცადე და დაუფიქრდი, როგორ აჯობებს, - ჩურჩულებდა ბაკინი და წინ გავარდნილ კალამს აკავებდა, მაგრამ მის გონებაში აციმციმებული ათინათი უკვე უზარმაზარი სინათლის პატარ-პატარა ვარსკვლავებად ნაწევრდებოდა, უკვე ნიაღვარივით მოშხუოდა, წამი-წამს უკრეფდა ძალას და ბაკინსაც თან იტაცებდა.

სმენის მიღმა დარჩა ჭრიჭინების ჭრიახი, აღარც ფარნის მქრქალი შუქი აღიზიანებდა. კალამი თავისთავადი, განცალკევებული სიცოცხლით ცოცხლობდა უკვე მის ხელში და შეუჩერებლად დასრიალებდა ქაღალდზე. ახლა უკვე გავეშებული წერდა, თითქოს ღმერთი და კაცი შერწყმოდა მასში ერთურთს. ცად დასალტული ირმის ნახტომის სისწრაფით ჩამოფრქვეული, ათინათიდან შობილი ჩანჩქერი უფრო და უფრო წყალუხვი ხდებოდა. თან აშინებდა ეს შემზარავი სტიქია, ძალა აღარ შესწევდა ამ უძლიერესი ჩანჩქერის შემოხლისათვის გაეძლო. ამიტომ თითებს მაგრად უჭერდა კალამს და თავს იოკებდა: „წერე, ვიდრე ძალა შეგწევს! ახლა თუ არა, ვეღარასოდეს შეძლებ წერას!“

მაგრამ ნისლად მოდენილი, მოციმციმე ჩანჩქერი თავბრუდამხვევი შხუილით ნთქავდა გზად ყოველივეს და მთელი ძალით ეხლებოდა ბაკინს. ბოლოს ერთიანად მინებდა მწერალი, ამქვეყნიური ყველაფერი გადაავიწყდა და კალამიც მიუშვა სტიქიის ნებაზე.

იმ წუთას მის გამარჯვებულ მზერაში ის დიადი ჩანდა, რაიც შენაძენისა და დანაკარგის, სიყვარულისა და სიძულვილის მიღმა დგას. აღარც შფოთვა ეტყობოდა - ამ ნიაღვარმა წალეკა ქირდვაცა და ქებაც. მხოლოდ ზეციური სიხარულით უციმციმებდა თვალები, უფრო ზუსტად - პათეტიკური აღმაფრენით. ვისაც მსგავსი აღმაფრენა არ განუცდია, ვერა და ვერ მისწდება იმ საოცრებას, ხელოვნების პყრობა რომ ეწოდება. და ვერც თავის დიდებულებაში გამკაცრებულ ხელოვანს გაუგებს. და მაინც, სწორედ ამგვარ წამს სწვდება მწერლის მზერა ყოველგვარი ზედმეტობისა და ზიზილ-პიპილოსაგან განთავისუფლებული ცხოვრების არსს, ესოდენ რომ ჩამოჰგავს ახალდაბადებულ, ძვირფას ქვას...

X

სასადილოში კი, ერთმანეთის პირისპირ, ქაღალდის ფარნის შუქზე ქარგავდნენ რძალდედამთილი. ტაროს ეძინა. ოდნავ მოშორებით სოჰაკუ წამლის აბებს აგორგოლავებდა.

- მამა ჯერ არ დაწოლილა, - უკმაყოფილოდ ჩაიბურდღუნა ო-ჰოკუმ და თმის ზეთი წასცხო ნემსის წვერს.

- ჰო, ალბათ ისევ წერს. მუშაობა თუ გაიტაცებს, ყველაფერი ავიწყდება ამქვეყნად, - თავაუღებლად უპასუხა ო-მოტიმ.

- რა ბედენაა! ოჯახისათვის რიგიანი შემოსავალი მაინც რომ მოჰქონდეს... - თქვა ოჰოკუმ და შვილსა და რძალს გახედა. სოჰაკიმ თავი ისე დაიჭირა, თითქოს არაფერი გაეგოს, ო-მოტიც დუმდა. აქაც და იქაც ცხადლივ ისმოდა, როგორ იფრქვეოდა ღამეში ჭრიჭინობელათა უთავჟამო მოძახილი.

ნოემბერი, ***1917***წ. თარგმნა

მზია გელაშვილმა

ხელოვნებით შეპყრობილი

1

ტემპოს მეორე წლის[22] მეცხრე თვის დილა. კანდაში[23], დობოტეს ქუჩაზე, საზოგადოებრივ აბანოში, როგორც წესი, დილიდანვე ხალხმრავლობაა. „საერთო აბანო... აქ ყოველივე ერთმანეთში არეულა: ღმერთის სალოცავი ჰიმნები და ბუდას ლოცვები, სიყვარული და ღალატი...“ - წერდა თავის ერთ-ერთ იუმორისტულ მოთხრობაში სიკიტაი სამბა[24] და დღესაც შეგვიძლია იგივე გავიმეოროთ.

აგერ, ერთ-ერთი მობანავე, „ქალის კულულების“[25] მოდური ვარცხნილობა რომ აქვს, წყალში ჩამდგარა და უტაძაიმონს[26] მღერის. მეორე - „ტომაგე ხონდას“[27] ვარცხნილობით, ეს-ესაა წყლიდან ამოსულა და პირსახოცს წურავს. ვიღაც შუბლგაპარსული კაცი, „ოოიტოს“[28] მოდაზე რომ დაუყენებია თმა, ქაფქაფა წყალს ისხამს სვირინგიან ზურგზე. უფრო მოშორებით, „იოსიბეი იაკოს“[29] ვარცხნილობიანი კაცი შესაშური სიდინჯით იხეხავს სახეს; ვიცი წყლით სავსე სათლიდან თავგადაპარსული ბერი ზის და თავზე ისხამს წყალს; ბიჭუნა, თმები გაფრენილ ფუტკარს თუ ჭრიჭინას რომ მიუგავს,[30] გატაცებით თამაშობს ლერწმის პინაკითა და თიხის თასით... ამ ვიწრო აბანოში ერთად მოუყრიათ თავი ესოდენ განსხვავებულ

ადამიანებს, ერთგვარად არიან შემობურვილნი ბლანტი ორთქლის ბოლქვებით და სარკმელში შემოჭრილი შემოდგომის მზის სხივებით.

აბანოში ხმაურიც თავისებურია. უმთავრესად წყლის ჩხრიალი, სანთლების რაჩხარუჩხი, ადამიანთა მობუბუნე ლაპარაკი და ღიღინი ისმის. ჟამიჟამ სარეკელას რაკარუკიც გაისმის ხოლმე სადარაჯოდან. ერთი სიტყვით, ტიხრის ორივე მხარეს, აბანოს ფუროდ[31] და საბანაო ოთახად რომ ყოფს, ისეთი გნიასი დგას, ბრძოლის ველი ეგონება კაცს, წარამარა ჭრიალებს კარი, ხელზე მოვაჭრენი თუ მათხოვრები შემორბიან, უთავჟამოდ გადი-გამოდიან მობანავეებიც. და აი, ამ გნიასში...

აი, ამ გნიასში კუთხეში მიყუჟულა ვიღაც ბერიკაცი. სამოცს უნდა იყოს გადაცილებული. საფეთქელზე შერჩენილი ჭაღარა უსიამოდ შეყვითლებია, თვალის კაკლებზე ლიბრი გადაკვრია. გამხდარი კაცია, მაგრამ ჯანმაგარი და ღონიერი, მოდუნებულ, კანმოფლაშულ ხელფეხს მაინც ეტყობა ის ძალა, ასე უთანასწოროდ რომ შებრძოლებია სიბერეს, ძლიერ ნიკაპსა და ფართო პირსაც, როგორც ჯეელობაში, კვლავ რომელიღაც გარეული ცხოველის გავეშება შემორჩენია.

მან დინჯად დაიზილა გულ-მკერდი და ახლა ტანს იბანდა, ხის პინაკით ივლებდა წყალს. მერე

დიდხანს, გულმოდგინედ იზილა წვივები შავი აბრეშუმის ჭინჭით, თუმცა მის გამომშრალ, დანაოჭებულ კანს ჭუჭყის ნასახი არ გასცლია. ანაზდად შემოდგომის ნაღვლიანი ქროლვა შეიგრძნო. ფეხი გადაიბანა, ნამიანი პირსახოცით შეიწმინდა და გახევდა - ერთბაშად დაეწრიტა ძალა, საპნიანი წყლით სავსე სათლში თვალისმომჭრელი ნათელი ცა და ხურმის ხასხას ნაყოფი ირეკლებოდა. კრამიტის სახურავის აპრეხილ კიდეებზე გადმოკონწიალებული ხურმის ტოტები ალგ-ალაგ ერთმანეთს მიტყუპებოდნენ და ეხუტებოდნენ.

წამისად სიკვდილის ლანდი ჩამოემხო ბერიკაცს, ეს სიკვდილი არც ბოროტებას უქადდა, არც რაღაც ისეთს, ადრე თავზარს რომ სცემდა ხოლმე. არყოფნის შეგრძნება ამ სათლში არეკლილი ნათელ ცასავით ჩუმი, სასურველი და უშფოთველი იყო. ო, რა ნეტარი ლტოლვით ეწადა განდგომა ამ მშფოთვარე ყოფნის ცოდვებს, სატანჯველს და სიკვდილის ჩრდილქვეშ მინებებოდა ძილს, იმ უსიზმრო ძილს, მხოლოდ უცოდველ ბავშვებს რომ ეწვევა ხოლმე. ცხოვრებამ ქანცი გაულია. უფრო სწორად, ამ მრავალ ათწლეულში მოყოლებულმა ხელოვნებით ტანჯვამ დაუწრიტა უკანასკნელი ძალი და ღონე...

გონს მოეგო და სასომიხდილმა თვალი აარიდა სათლს. ირგვლივ კვლავ მხიარული ხმები ისმოდა. მზერაშეუღწეველ ორთქლში თავბრუდამხვევი სისწრაფით მიმორბოდა ხალხი. ტიხარს იქიდან მოდენილ უტაძაიმონს ახლა მოდური სიმღერაც აჰყვა. ამ გნიასში ცხადია, ნასახიც არ იყო იმ მარადისობისა, წუთის წინ რომ გაუნათა სული.

- სენსეი,[32] არ მეგონა თუ აქ გიხილავდით! სიზმარშიც ვერ დავიჯერებდი, რომ კიოკუტეი-სენსეი დილაუთენია მობრძანდებოდა აბანოში.

ბერკაცი შემობრუნდა და საშუალო ტანის, ლოყებაღაჟღაჟებული, „ხოსიოტეს“ ვარცხნილობიანი კაცი დაინახა. კაცს ხის პინა ეპყრა ხელთ, მხარზე პირსახოცი ჰქონდა გადაკიდებული და მხიარულად უღიმოდა. ეტყობოდა, ის-ის იყო ბანაობა დაემთავრებინა და სუფთა წყლის გადავლებას აპირებდა.

- მიხარია, რომ კარგ გუნებაზე ვხედავთ, - ოღონდ შესამჩნევი ირონიით უთხრა გაღიმებულმა ბეკინ საკიტაო ტაკიძავამ.

2

ასე მცირედით გახარება რა სათქმელია? - ჭეშმარიტად გასახარელი მხოლოდ ის გახლავთ, რომ „რვა ძაღლის“ ახალი თავები იბეჭდება და ყველა ერთმანეთზე საინტერესოა, - ბაკინის თანამოსაუბრემ პირსახოცი სათლში ჩააგდო და უფრო ხმამაღლა განაგრძო:

- რა საოცარია! ფუნამუსი კობუნგოს მოკვლას განიზრახავს, ბრმა მომღერალ ქალად ასაღებს

თავს, მაგრამ ბოლო წუთებში, როცა კობუნგოს დაიჭერენ და აწამებენ, ისევ სოსკე[33] ეხმარება. რა კარგად არის მოფიქრებული! თანაც ეს შემთხვევა სოსკეს ერთხელ კიდევ ახვედრებს კობუნგოსთან. მე საგალანტერიო საქონლის ერთი უბრალო ვაჭარი

გახლავართ, ომია ჰეიკიტი, და მაინც, „იომიხონის“[34] მცოდნედ და თაყვანისმცემლად მიმაჩნია თავი. მერწმუნეთ, მეც კი ვერ შეგედავებით ვერაფერში... ყველაფერი მომწონს... ო, მომიტევეთ, რომ თავს უფლებას ვაძლევ ისეთ საკითხებზე ვიმსჯელო, რაც თითქოს არც არის ჩემი საქმე...

ბაკინი დადუმდა და მეორე ფეხის ბანვა დაიწყო. რა დასამალი იყო და, კარგა ხანია გულგრილად ვეღარ ხვდებოდა თავისი ნიჭის თაყვანისმცემლებს. თუმცა ბრძენ და გამჭრიახ ბაკინს ეს სულაც არ უშლიდა ხელს, ფხიზლად და მიუკერძოებლად ემსჯელა ამ ხალხზე. და რაოდენ პარადოქსულადაც უნდა ჩანდეს, ადამიანთა ფხიზლად შეფასების უნარი, თავის მხრივ, სულაც არ უშლიდა ხელს თაყვანისმცემლებისადმი კეთილად ყოფილიყო განწყობილი. ამიტომაც ზოგჯერ ერთი და იგივე ადამიანი ერთდროულად ეზიზღებოდა და უყვარდა კიდეც. სწორედ ასეთი კაცი იყო ომია ჰეიტიკიც.

- დარწმუნებული ვარ, თქვენებურად წერა უდიდეს ძალას და მოთმინებას მოითხოვს. რაც უნდა თქვან, თქვენ ხართ ჩვენი იაპონელი ლო გუან-ჯუნი[35]. ოჰ, მაპატიეთ, მგონი, ისევ ზედმეტი წამომცდა, - ჰეიკიტიმ გადაიხარხარა, იქვე მობანავე კაცმა მოიხედა - ელამი, შავთვალა

ხორბლისფერსახიანი კაცი იყო, „კოიოტის“ ვარცხნილობა ჰქონდა. მან ნაკინისა და ჰეიკიტისკენ იქცია პირი, ერთ ხანს მორიგეობით შესცქეროდა მათ, მერე სახე მომანჭა და ზიზღით გადააწიტა.

- თქვენ ისევ ჰოკუს წერთ? - ბაკინმა მოუხერხებლად შეცვალა საუბრის თემა, თუმცა ელამი კაცის ბოროტი გამოხედვა არც შეუნიშნავს, - ცუდად ხედავდა.

- ძალზე მსიამოვნებს თქვენი ყურადღება, მაგრამ გულახდილად უნდა მოგახსენოთ: მე მხოლოდ და მხოლოდ მოყვარული ვარ და სინდისის ქენჯნის გარეშე ვაკეთებ იმას, რაც ძალმიძს. ხან ერთ პოეტურ კრებულს მივაწყდები, ხან მეორეს, მაგრამ ჩემს ლექსებს მაინც აკლია რაღაც. თუმცა, სენსეი, თქვენ მგონი ტანკა[36] და ჰოკუ ნაკლებ უნდა გიტაცებდეთ?

- არ გამომდის. თუმცა ერთ დროს მეც ვწერდი ლექსებს.

- თქვენ ალბათ ხუმრობთ.

- არა, ტანკა საჩემო საქმე არ არის. ლექსების წერისას დღემდე იმ ბრმად მიმაჩნდა თავი, ღობის ჭუჭრუტანაში შეხედვას რომ ცდილობს, - ბაკინმა ხაზგასმით უთხრა, საჩემო საქმე არ არისო,

მაგრამ სულაც არ თვლიდა, რომ სხვაზე ნაკლებ შეეძლო ჰოკუს ან ტანკას თხზვა. რა ხანია გული აუცრუვდა პოეზიაზე, ერთგვარი ქედმაღლური ზიზღით უცქერდა მას. რადგან ტანკაც და ჰოკუც[37] ძალზე მცირე იყო მისი ნააზრევის ჩასატევად. სამსტრიქონიანი იქნებოდა ლექსი თუ ხუთსტრიქონიანი, ლირიკული თუ პეიზაჟური, მისი პროზაული ნაწარმოებების რამდენიმე სტრიქონის თანაფარდი იყო მხოლოდ. ამიტომ თვლიდა პოეზიას მეორეხარისხოვან პიროვნებად, ეს იყო და ეს.

3

მისი ზიზღი იმაშიაც გამოიხატა, ხაზგასმით რომ წარმოთქვა, საჩემო საქმე არ არისო, მაგრამ სამწუხაროდ, ომია ჰეიკიტი ვერ მიუხვდა ნათქვამს.

- აი რაში ყოფილა საქმე, - თითქოს მოუბოდიშა მოსაუბრემ და ისედაც აწითლებული ტანი პირსახოცით დაიზილა, - გამოგიტყდებით, მე კი მეგონა, რომ თქვენებრ ბრძენს ყველაფერი ხელეწიფება. ალბათ სიმართლეს ამბობენ, განგება ყველა სიკეთით არ დააჯილდოვებს ადამიანსო.

ბაკინმა შეურაცხყოფილად იგრძნო თავი, სწორად რომ ვერ გაუგეს ნაფიქრი. არც ჰეიკიტის

მობოდიშებასავით ნათქვამი მოწონა. პირსახოცი და აბრეშუმის ჭინჭი ტაშტში ჩაყარა, ოდნავ გაიმართა წელში, ნაწყენმა შეყარა წარბები და წამოენთო:

- მაინც მგონია, დღევანდელ სახელოვან პოეტებზე ნაკლებ ლექსებს არც მე დავწერდი.

თქვა და ბავშვივით დაირცხვინა. განა სულ ახლახანს არ აქებდა და ადიდებდა ჰეიკიტი მის წიგნს, მაგრამ განსაკუთრებული აღფრთოვანება არ უგრძვნია. ახლა კი ის ეწყინა, ლექსების ცუდ მთხზველად რომ მიიჩნიეს. აშკარა შეუსაბამობა იყო. ბაკინმა იმავ წამს გააცნობიერა თავისი გაღიზიანების მიზეზი, აწრიალდა, სასწრაფოდ გადაისხა წყალი, თითქოს ამით ცდილობდა დაბნეულობის დაფარვას.

- მაშასადამე, თქვენ მაინც წერთ ლექსებს, ასეც ვფიქრობდი. სხვაგვარად ალბათ ვერ შეძლებდით „რვა ძაღლის“ მსგავსი შედევრის შექმნას. ტრაბახად არ ჩამოთვალოთ, მაგრამ მართლაც დაკვირვებული კაცი ვარ.

ჰეიკიტიმ ისევ გადაიხარხარა. ის ელამი აღარსად ჩანდა, მისი ნაწიტიც წყალმა წაიღო. ამ სიტყვებმა უფრო აუფორიაქა სული.

- ძალზე გამიტაცა თქვენმა საუბარმა, ახლა კი ფუროში ჩავხტები.

ბაკინს ეუხრხულებოდა, რცხვენოდა ამ გულკეთილი კაცის, და ნელა წამოდგა, დამშვიდობებას აპირებდა. ჰეიკიტი კი ისევ სიტყვამრავლობდა და, როგორც ტალანტის ჭეშმარიტ თაყვანისმცემელს შეჰფერის, ძალზე თავდაჯერებულიც იყო.

- კარგად ბრძანდებოდეთ, სენსეი, ძალიან გთხოვთ, უახლოეს ხანებში აუცილებლად დაწეროთ ლექსი. შევთანხმდით? არ დაგავიწყდეთ! ახლა კი ნება მომეცით, დაგემშვიდობოთ. ვიცი, ძალზე დაკავებული ბრძანდებით და მაინც, თუ შემთხვევით გზა იქით დაგირჩათ, გთხოვ მესტუმროთ. თუ ნებას მომცემთ, მეც გეწვევით, - მისძახოდა ბაკინს. მერე წყალში კიდევ ერთხელ ამოავლო პირსახოცი, ტიხრისკენ მიმავალ ნაკინს თვალი გააყოლა და იმაზე დაიწყო ფიქრი, როგორ მოუყვებოდა ცოლს კოკუტეი-სანსეისთან შეხვედრას.

4

არც ტიხრის მიღმა ჩანდა რაიმე. ორთქლის ბუღი იდგა. ბაკინი მობანავეთა შორის ხელის ცეცებით მიიკვლევდა გზას. რის ვაი-ვაგლახით მიაღწია ფურომდე, იქაც კუთხეში მიიყუჟა და წყალს მიანდო თავისი დანაოჭებული სხეული.

ამჯერად წყალი ჩვეულებრივზე ცხელი ეჩვენა, ფეხის თითებამდე დაეფუფქა ტანი. მერე ღრმად

როგორ განეშორა თავი ტანს

დასაწყისი**[66]**

ხე სიაო-ერს ხმალი გავარდა ხელიდან, რაღაც ჩაერჭო ყრუ ხმაურით კისერში და წამსვე იგიც ანგარიშმიუცემლად ჩაეჭიდა ცხენის ფაფარს. მეომარი უნაგირს გადაეკიდა თუ არა, მერანმა ხმამაღლა დაიჭიხვინა (ეტყობა, ისიც დაჭრილი იყო), კისერი წაიწვდინა, ერთმანეთზე აჩხორილ გვამებს ნახტომებით გადაევლო და თავი მისცა უკიდეგანო ველებს, სად კაცის სიმაღლე გატყევებული გაოლიანი აზრდილიყო. ტყვია დაადევნეს მხედარს, მაგრამ სიზმარეული დაძახილივით მოესმა თოფის გასროლის ხმა ხე სიაო-ერს.

იტალღებოდა შმაგად მიმქროლავ მერნის მიერ თელილი გაოლიანი. ხან მეორე მხრიდან ეტყლაშუნებოდნენ ალერდის ღერები ცხენოსნის მაზარას, ხანაც ნაწნავს მისწვდებოდნენ, კისრიდან ამოჩქეფილი შავი სისხლით აფორაჯებდნენ მის სხეულს. გრძნობდა მძიმედ დაკოდილი, ფარსაგი რამ სჭირდა. „ყელი გამომჭრეს მაგ ძაღლთაპირებმა! გამომჭრეს ყელი!“ - ხმიანობდა მის დაბინდულ გონებაში ფიქრი, და უსაზმნოდ სცემდა ქუსლებს ცხენის გაოფლილ ფერდებს.

მოულოდნელად მოხდა ყოველივე. ჩინელ მსტოვართა რაზმი, რომელსაც ხე სიაო-ერი ახლდა, ბანაკიდან მდინარით გამიჯნულ დასახლებას ჩხრეკდა. სად იყო, სად არა, აღმომავალი მზის ქვეყნის ცხენოსანი პატრული გამოტყვრა. ისე უეცარი იყო ეს შეხვედრა, ვერც ერთმა მხარემ ვერ მოასწრო შაშხანების გადმოღება. ჩინელებმა, მოლანდეს თუ არა წითელქობიანი ქუდები და მუნდირები, ხმლები იშიშვლეს, ქოფაკებივით დაკრიჭეს კბილები და ეკვეთნენ დუშმანს. ვისღა ახსოვდა სიკვდილი. ერთი აზრი უტრიალებდა ყოველ მათგანს - მოესპო მტერი. ამიტომაც მოაბრუნეს მყის ცხენები და შმაგად შეუტიეს იაპონელ მხედრებს. მტერიც იგივე გრძნობებს მოეცვა. ხე სიაო-ერისა და მისი ამხანაგების მარჯვნივ თუ მარცხნივ იმავ წამს ერთი მეორის მიყოლებით აილანდა სახეები, თითქოსდა სარკეში არეკლილი ჩინელთა დაკრეჭილ კბილებიანი გამოსახულებები, და ამასთან ერთად იელვა ხმლებმაც. მერე გაქრა დროის შეგრძნება. ხე სიაო-ერს საოცრად ცხადლივ დაახსომდა, ქარიშხლისაგან შეძრულივით რომ ირხეოდა გაოლიანის ტევრი. აყელყელავებული ბალახის მოქანავე თავთავებს ზემოთ კი ეკიდა ბრინჯაოსფერი მზე. ვერასგზით მოეგონებია, რამდენ ხანს გასტანა შეტაკებამ. ბრძოლის დროს იგი დამთხვეულივით სცემა ყიჟინას, ალალბედზე იქნევდა ხმალს. თვალი ჰკიდა მეყსეულად, პირი ორლესულისა წითლად რომ შეღება სისხლმა, არც არაფრად ჩაუგდია, ოღონდ ეს იყო, მახვილის ტარი გაალტო ოფლმა. სასა გაუშრა მხედარს, ენას ვეღარ აბრუნებდა. სწორედ ამ დროს მისი ცხენის წინ საიდანღაც ამოყვინთა იაპონელი მეომრის სახემ. თვალები ლამის ბუდიდან ამოსცვენოდა, პირი დაეფჩინა, შუაზე გაჩეხილი ქუდიდან ჩანდა პირწმინდად

გადაპარსული თავი. ხე სიაო-ერმა მთელი ძალით დაჰკრა მახვილი. მაგრამ არც მტრის ქუდს მოხვედრია იგი, არც თავს. ჰაერშივე შეეჯახა იაპონელის იარაღს, ირგვლივ ამტყდარ ჯგრიალშიც კი მკაფიოდ და საზარლად დაიჟღრიალეს ხმლებმა და მორკინალთა ნესტოებს ეცა ალესილი ფოლადის ძელგი სუნი. მერე ჩინელის თავზე

აღიმართა მზეზე მოელვარე ხმლის პირი, წრე მოავლო და მაშინ იგრძნო ხე სიაო ერმა, ყინულოვანი რამ ყრუ ხმაურით ჩაერჭო კისერში.

მიაქანებდა ბედაური ტკივილისაგან გაოგნებულ მეომარს გაოლიანით მოფარულ უკიდეგანო ველზე. მიწყდა კაცთა გნიასი, ცხენთა ჭიხვინი და ერთმანეთს შეხლილ მახვილთა ჯახანიც. მიჩუმათდა ყველაფერი. გმინვა სიკვდილის შიშით გასენილი, ცხენის ზურგზე გაკრული ხე სიაო-ერი. მზეს მისჩერებოდა, ისევე რომ ნათობდა, როგორც იაპონიაში. არა და არ სურდა განშორება წუთისოფელთან. ბოღმით აღვსილიყო მათ მიმართ, ვისი ხელიც ერია ამ საქმეში. საკუთარ თავზეც მოსდიოდა ჯავრი. ერთმანეთს მისჯროდა ეს გრძნობები. ხან ერთი შეუჩნდებოდა, ხან მეორე და აწვალებდა გაუთავებლივ. ასეთი განცდებით გათანგულს სწადდა ებღავლა ხაფი ხმით, ვკვდები, სული მხდებაო! იაპონელი ჯარისკაცები სურდა ელანძღა, ანდა დედმამა მოეხმო საშველად, მაგრამ დაჭრილს იმდენად გასცლოდა ძალა, უაზრო ხავილიღა ამოსდიოდა პირიდან. „ვაჰ, დედასა, ჯერ რძე არ შემშრობია პირზე და რა დავაშავე ნეტავ ისეთი, აგრე ძაღლურად რომ ვკვდები. წყეულიმც იყოს ჩემი მკვლელი იაპონელი, ის ოცეულის

მეთაურიც, ვინაც მზვერავად განმაწესა, წყალს წაუღია იაპონიისა და ჩინეთის ჩხუბიც. რა მესაქმებოდა ამა ყოველთან. აფსუს, რის გამო ვტოვებ მზის გულს. ახია ჩემზე! ბრბოსა და დრო-ჟამის დუდუკზე ვცეკვავდი. განა ბრიყვი არა ვარ და რეგვენი?! გულღვიძლს უსერავდა დარდი.

ცას წვდებოდა ხე სიაო-ერის გმინვა. ცხენი მიაქროლებდა ფაფარში ჩაფრენილ მხედარს. დროდადრო მერნის თქარათქური წამოაფრენდა ხოლმე მწყრის ჩოჩრებს, მიგელავდა დუჟმორეული ცხენი, არად უჩნდა მხედარი, ძლივს რომ იმაგრებდა მის ზურგზე თავს. ამ სრბოლას საზღვარი აღარ დაედებოდა ალბათ, მაგრამ მალე ველი ჩათავდა, ცხენ-მხედარი დამრეც ფერდობზე ჩაეშვა და მღვრიე მდინარეს გაუსწორდა. განგებამ ტირიფნარი დაუხვედრა, სადაც ჩამოცვენილი ყვითელი ფოთლები აზვინულიყო. „ავაჰმეო“, შესძახა და წყლისპირა ლაფში ჩაენარცხა.

ცხენიდან გადმოფრენილს რატომღაც საკუთარი სახლის სამზადში ღადარზე შედგმული კარდალი წარმოესახა, ლომფერი ალის ენები დალანდა. „ჰეი, ჰეი, გუზგუზებს ცეცხლი“, - გაიფიქრა და დაკარგა გონი.

გაგრძელება

ეგდო ამ უკაცრიელ ალაგას, სისხლითა და ქვიშით მოსვრილი. ტკივილს ახლა სრულიად ვეღარ გრძნობდა. ცნობა კი წაერთვა, მაგრამ რამ შინაგანი მზერით ხედავდა ტირიფების მოალერსე მაღალსა და ლურჯ ზესკნელს. აროდეს ენახა აგრე უსაშველოდ შორეული, ღრმა და ნაზურმუხტევი ცის გუმბათი, რომელზეც დაჩნდებოდნენ შედედებული ქაფის მსგავსი ღრუბლები და უმალ უჩუმრად გადაქრებოდნენ, თითქოსდა გახვრეტილნი ტირიფის მოქანავე ტოტების მიერ.

მერე და მერე ნაირგვარმა საგნებმა ჩრდილებივით იწყეს რიალი. გამოკრთა ზმანება დედისეული წვირიანი კაბისა, რომლის კალთას ვინ მოთვლის, რამდენგზის

ჩაბღაუჭებია და დაუნამავს სიხარულისა და წუხილის ცრემლით. ახლა კი, როს უნებურად წაეპოტინა, ხელი ვეღარ შეავლო. დოლბანდივით დათხელდა სამოსი. ვითარცა ქარში, ისე მოჩანდა ქსოვლიში ღრუბელთა ბოლქვები. მერე ის იყო გამოცურდნენ მშობლიურ სახლს უკან გადაჭიმული, ხვატისაგან გარუჯული სესამის მინდვრები. თავის თავს ეძებდა ამ ველებზე ხე სიაო-ერი და ძმებს თვისას, მაგრამ ძეხორციელი არ ჩანდა არსად. მზის სხივი ლიცლიცებდა მარტოღა ალაგ-ალაგ მომჭკნარ, ძირს დაცვივნულ ფოთლებსა და ყვავილებზე, ირიბად რომ გადაჭრეს ჰაერი და ისე გაქრნენ, გეგონებოდათ, ვიღაც უჩინარის ხელმა გახვეტაო.

შემდეგ ცის ფონზე უცნაური არსება თუ საგანი აიგრიხა. დააკვირდა ხე სიაო-ერი და „დრაკონის

ფარანი“ შეიცნო. სწორედ იმგვარი, მისი ქვეყნის ადათისამებრ, 15 იანვარს, ღამით რომ დაატარებდნენ ხოლმე ქუჩებში. ხუთი თუ ექვსი კენი იქნებოდა სიგრძით. ბამბუკის ღეროს წითლად ნაფერადები ქაღალდი ჰქონდა შემოკრული, ქანაობდა ცა-მყარზე თითქოსდა მიკერებული ფარანი. ამ ნათელ დღეს რატომღაც ანთებული სანთელი კიაფობდა მასში. ცოცხალი გველეშაპი გეგონებოდათ ეს ფარანი, ისე აცმაცუნებდა გრძელ ულვაშებს. ნება-ნება უგანა ურჩხულმა, ჩქამიც თვალსა და ხელს შუა გაქრა.

ამჯერად ხე სიაო-ერის სატრფოს ჩამოქნილი ფეხები აიხატა ცის კაბადონზე. სან სუნსაც არ აღემატებოდა ტერფების სიგრძე. ჩინეთში ხომ დიდ პატივშია მოხდენილი ფეხი დიაცისა და გოგონებს პატარაობიდანვე საკრავს ახვევენ ფეხზე. სალუქ თითებზე ლამაზად იკვეთებოდა თეთრი ფრჩხილები. დაკოდილის სულში მსუბუქი სევდა აღიძრა გარდასულ დროთა გამო. ძილში რომ მწერი გიკბენს და ვერ გაგიგია, კაცს რა გაწუხებს, აგრე ბუნდოვანი. კვლავ იხილავს, ნეტარძ, ნანდაურს?! მერედა როგორ? ცხრა მთას იქით იმყოფებოდა ახლა მისი მიჯნური.

ჩამოქნილი წვივები თანდათან წარიშალა, ღრუბელთა ჩრდილებს მიეფარა და მაშინ ხე სიაო-ერის გულგვამიდან ამოინთხა სევდა-ნაღველი. უჩუმრად გაწოლილიყო მის ზემოთ ქლიავისფერი ცა, ქვემოთ კი, სადაც ხალხი თავის გატანჯულ წუთისოფელს მიათრევდა, ქროდა მსუბუქი ნიავქარი. ხე სიაო-ერმა ამოიოხრა. ასეთ დარდს ჯერაც არ გაესენა მისი გული. მერე

კვლავ იძალა ზმანებებმა. ელვის უსწრაფესად გადიქროლა წითელქობიანი ქუდებით მორთულმა იაპონელ ცხენოსანთა რაზმმა და ასევე სწრაფად გაუჩინარდა.

კაეშანმა გათანგა ხე სიაო-ერი. „ვინ უწყის, იქნებ მაგათაც მაჯლაჯუნა აწევთ გულზე, ნეტავ აჩრდილნი არ იყოთ, ერთმანეთს ვანუგეშებდით, მაგრამ რაღა დროს, აწ ყოველივე გვიანი არის“. კურცხალი მოადგა თვალზე, ამაზრზენი ეჩვენა მთელი თავისი ადრინდელი ცხოვრება. მზად იყო დაეჩოქა და პატიება ეთხოვა და თავადაც შეენდო ყველასთვის.

თუ გადავრჩი, აუცილებლად გამოვისყიდი ცოდვებსო, სლუკუნებდა თავისთვის, უსაზღვროდ ღრმა და მელნისფერი ცა კი გოჯიგოჯ მოიწევდა დაბლა, და ამ ნალურჯევ ზღვა-ოკეანეში აქა-იქ კრთოდნენ იგი ვარსკვლავნი, დღისითაც რომ ნათობდნენ ხოლმე. ცოტაც და გადაქრა მორიალე აჩრდილთა ხსენებაც. ხე სიაო-ერმა

მთრთოლვარე ბაგეებიდან ერთხელ კიდევ ამოუშვა ოხვრა და მძიმედ დახუჭა თვალები. დასასრული

ჩინეთისა და იაპონიის დაშოშმინება-დაზავების შემდგომ გავიდა წელი. ერთხელ, ადრიან გაზაფხულზე, იაპონიის საელჩოს მისაღები ოთახის მაგიდას უსხდნენ სამხედრო ატაშე მაიორი

კიმურა და იაპონიიდან ახლადდაბრუნებული სოფლის მეურნეობისა და ვაჭრობის ინჟინერი, მეცნიერებათა კანდიდატი იამაკავა. ყავას შეექცეოდნენ, თამბაქოს აბოლებდნენ და დარბაისლურად მასლაათობდნენ. მართალია გაზაფხული იდგა, მაგრამ ბუხარში მაინც ენთო ცეცხლი. ოთახი ისე იყო გახურებული, მოსაუბრეთ ოფლით ენამებოდათ პირისახე. მაგიდაზე შემოდგმულ, ქოთანში ჩარგულ, მეწამული ფერის ჯუჯა ქლიავიდან დროდადრო დიოდა ნამდვილი ჩინური სურნელი. ერთხანს დედოფალ სითაიჰოუზე[67] ისაუბრეს, ჩინეთ-იაპონიის ომიც მოიგონეს. უეცრივ მაიორი კიმურა ადგა, თითქოს რაღაც აზრმა გაუელვაო, გაზეთ „შენჯოუ ჯიბაოს“ შეკვრას დასწვდა, თაროდან მაგიდაზე გადმოიტანა და იამაკავას მზერით მიანიშნა წასაკითხი ადგილი. ინჟინერმა ცნობისმოყვარეობით ჩახედა ფურცელს.

„ამა და ამ ქუჩაზე მდებარე სადალაქოს მფლობელს, ვინმე ხე სიაო-ერს, - იტყობინებოდა გაზეთი, - არაერთხელ გამოუჩენია სიმამაცე ჩინეთ-იაპონიის ომში. ჯარიდან დაბრუნების შემდეგ კი გადაყვა ქალებსა და ღვინოს. ამა და ამ დღეს იგი რესტორანში სვამდა ნაცნობთან ერთად. ისინი წალაპარაკდნენ. მოხდა ჩხუბი. ხე სიაოერი კისერში დაჭრეს და იქვე გათავდა. უცნაურია ის, რომ ჩხუბის დროს მოკლულს იარაღი არ შეხებია. იგი არც არავის უხმარია. ხე სიაო-ერის გაეხსნა ომისდროინდელი ნაჭრილობევი. დამსწრეთა გადმოცემით, როცა ის შეხლა-შემოხლის დროს დაეცა და მაგიდა გადააბრუნა, თავი უეცრივ მოწყდა სხეულს და სისხლით მოთხვრილი გაგორდა იატაკზე. ხელისუფალთ ეჭვები აღეძრათ მაინც და გამალებით ეძებდნენ

დამნაშავეს. გასაგებია მათი საქციელი, მაგრამ თუკი ლიაო ჯაი[68] თავის „უჩვეულო ამბებში“ აგვიწერს მსგავს შემთხვევებს, რად არ უნდა ვირწმუნოთ, რომ ხე სიაოერსაც...“ და ასე შემდგომ.

- რას ნიშნავს ეს? - გაოცდა ინჟინერი. მაიორმა კიმურამ თამბაქოს ბოლი გამოუშვა

  პირიდან და მოწყალედ გაიღიმა.

- მართლაც რომ საკვირველი ამბავია! ასეთი რამ მხოლოდ ჩინეთში თუ მოხდება.

- განა შესაძლებელია ეს საერთოდ სადმე მოხდეს? ინჟინერმა იამაკავამ ღიმილით

  ჩაფერფლა პაპიროსი საფერფლეში. მაიორი შეყოვნდა და მერე წარმოთქვა:

- საქმე ის არის, რომ მე ვიცნობდი კიდეც მაგ ხე სიაო-ერს.

- ო, იცნობდით კიდეც? გახსოვდეთ, რომ ბოლოს და ბოლოს ატაშე ბრძანდებით და არ გეკადრებათ გაზეთის რეპორტიორებისდაგვარად ზღაპრების შეთხზვა.

- ჰმ, ზღაპრებიო... როცა მე დამჭრეს, სწორედ ეს პიროვნება იწვა ჩემთან ერთად საველე ლაზარეთში. მაშინ ჩინურსა ვსწავლობდი და პრაქტიკისათვის რამდენჯერმე გავესაუბრე. გაზეთში ხომ წერია, რომ იგი კისერში იყო დაჭრილი, ჰოდა, ათი შესაძლებლობიდან ცხრა არის იმის დასტური, რომ სწორედ ეგ კაცი შემხვდა ლაზარეთში.

- საოცარია, საოცარია, თუ გაზეთს დავუჯერებთ, ეგ ხე-სიაო-ერი დიდი ლოთი-შფოთი ვინმე ყოფილა. კაცმა რომ თქვას, ასეთი კაცის სიკვდილი დასანანი არც არის. თუ მოკვდა, მით უკეთესი მისთვის და ყველასათვის.

- ეგ მერე, მაშინ კი ეს იყო ერთი ალალი, ჩუმი, კარგი კაცი, გამორჩეული ტყვეთა შორის. ამიტომაც განსაკუთრებით უყვარდათ ექიმებს და გულითადად მკურნალობდნენ კიდეც. საინტერესო ამბებს ყვებოდა თავის თავზე. ახლაც მახსოვს მისი მონათხრობი, როგორ ჩავარდა ცხენიდან მდინარისპირა ლაფში, როგორ გასცქეროდა ტირიფნარიდან ზეცას და ეზმანებოდა დედის კაბა, ქალის ფეხები და აყვავებული სესამის მინდვრები.

მაიორმა კიმურამ პაპიროსი ჩააქრო, ტუჩებთან ყავის ფინჯანი მიიტანა, ჯუჯა ქლიავს გახედა და თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა: ასე ამბობდა, სწორედ მაშინ შემზარდა მთელი ადრინდელი ცხოვრებაო.

- ჰო, მაგრამ როგორც კი დამთავრდა ომი, მაშინვე ქეიფს მიჰყო ხომ ხელი? არა, ადამიანი ჩალის ფასადაც არ ღირს?

ინჟინერი იამაკავა სკამის ზურგზე გადაესვენა, ფეხები გაწვართა და იქედნური ღიმილით თამბაქოს კვამლი ჭერისაკენ გაუშვა.

- თქვენ ამბობთ, ადამიანი ჩალის ფასადაც არ ღირსო? ალბათ გგონიათ, ხე სიაო-ერი თავს იკატუნებდა, ვითომდაც მამა აბრამის ბატკანი იყო?

- სწორედაც.

- მე კი აგრე არ ვფიქრობ. იგი არა და არ თვალთმაქცობდა. ასე გრძნობდა იმ წამს, როცა, გაზეთის გამოთქმა რომ ვიხმაროთ, მისი თავი განეშორა ტანს. ასე გრძნობდა ჩხუბის დროსაც, როცა ის მაგიდას დააჯახეს და ძირს დასცეს. მაშინ გაეხსნა ალბათ ძველი ჭრილობა და გრძელნაწნავიანი თავიც მყის გაგორდა იატაკზე. დედის კაბამ, ქალის ფეხებმა და სესამის აყვავებულმა ველებმაც, ომის დროს რომ ელანდებოდა, ახლაც ბუნდოვნად გაიარეს მის თვალწინ. მართალია, ამჯერად ჭერი ფარავდა ცარგვალს, მაგრამ ის მაინც ხედავდა ვის ლაჟვარდს. და იმ დროს კვლავ მთელი სიმწარით იგრძნო თავისი სამაგელი წარსული. გვიანღა იყო. ადრე იაპონელმა სანიტრებმა

შეამჩნიეს და გონდაკარგული თან წაიყვანეს, ახლა კი მისი თანამეინახე დაუზოგავად სცემდა მუშტებითა და წიხლებით. და სინანულით შეპყრობილმა ხე სიაო-ერმა სული განუტევა. ინჟინერმა იამაკავამ მხრები აიჩეჩა და გაიცინა:

- დიდი მეოცნებე ჩანხართ. მაშ, რითღა აიხსნება, რომ ასეთი განცდების მერე გალოთდა?

- ეს იმიტომ, რომ ადამიანის ფასი მართლაც გროშია, ოღონდ სრულიად სხვა აზრით. ყოველმა ჩვენგანმა უნდა იცოდეს, რომ ჩალის ფასადაც არ ღირს. მხოლოდ ის არის მეტნაკლებად ღირსეული, ვინც უწყის ეს ჭეშმარიტება. თორემ ერთ მშვენიერ დღეს, შესაძლოა, სწორედ ისე წავაგოთ თავი, როგორც ხე სიაო-ერმა... დიახაც, ამ აზრით უნდა ვკითხულობდეთ გაზეთებს.

ესა თქვა მაიორმა კიმურამ, ერთვარად დამოძღვრითი კილო დაატანა ყოველ სიტყვას, გაიღიმა და ახალი პაპიროსი გაიწყო. იანვარი***, 1918*****წ.***

თარგმნა ედიშერ გიორგაძემ

ჯოჯოხეთის სურათები

1

მისი ბრწყინვალება ხორიკავას მსგავსი ადამიანი არც დღემდე არსებობდა სადმე და ალბათ აღარც გაჩნდება ამ ქვეყანაზე. ხმები დადიოდა, თითქოს ხორიკავას დაბადებისას მისი ფრიად პატივცემული დედის სასთუმალთან წმინდა დაიიტოკუ[69] გამოცხადებულა. ასე თუ ისე, როგორც ამბობენ, იგი დაბადებიდანვე განსხვავდებოდა ჩვეულებრივი ადამიანებისგან. ამიტომაც ყოველთვის გვაოცებდა მისი სურვილები თუ საქმეები. მარტო მისი სასახლის ნახვა რად ღირს, მდინარე ხორიკავას ნაპირზე რომ დგას. დიდებულია, არა? ამ სასახლეში ისეთ სასწაულებს იხილავს კაცის თვალი, რომ ჩვენი უბირი გონება ვერც წარმოიდგენს. მის ბრწყინვალებაზე ხალხი რას არ ლაპარაკობს: ზოგიერთი მას იმპერატორებს ში ხუან-დის და იან-დისაც[70] კი ადარებს, მაგრამ ეს იმასა ჰგავს, ანდაზა რომ ამბობს, ბრმა ხელის ფათურით აფასებდა სპილოსო. უნდა ითქვას, რომ მისი ბრწყინვალება მხოლოდ საკუთარ თავსა და დიდებაზე როდი ფიქრობდა. არა, მას შეეძლო მდაბალთა და უპოვართა გულისნადებიც შეტყო. იგი, როგორც იტყვიან, მთელი სამყაროს სიხარულსა და გაჭირვებას იზიარებდა. დიახ, ასეთი სულდიდი ადამიანი გახლდათ მისი ბრწყინვალება.

სწორედ ამიტომ იყო, რომ მაშინაც კი, როცა იგი ნიოძეს სასახლეში მოხვდა ავსულთა თარეშის ჟამს, არაფერი მოსწევია. პირიქით, თვით სადაიძინა ტორუს სულიც[71] კი, რომელიც როგორც ამბობენ, ღამღამობით გამოჩნდებოდა ხოლმე კახარაინის სასახლეში, აღმოსავლეთის მესამე ქუჩაზე, იმ სასახლეში, სიოგამასა და მიტინოკუს ხედების გამოსახულებებით რომაა განთქმული, დიახ, თვითონ ეს მოჩვენებაც კი გაქრა, მისმა ბრწყინვალებამ ერთი რომ შეუყვირა. აი, როგორი ძლევამოსილი ადამიანი იყო იგი. ასე რომ, არცაა გასაკვირი, თუკი მთელს დედაქალაქში დიდი თუ პატარა, კაცი თუ ქალი, როგორც კი სიტყვა მის ბრწყინვალებაზე ჩამოვარდებოდა, ისე ლაპარაკობდა მასზე, თითქოს ხორცშესხმული ბუდა ყოფილიყოს. ხმაც კი გავრცელდა, რომ ერთხელ, როცა სასახლეში გამართული ქლიავის ყვავილთა დღესასწაულიდან დაბრუნებისას მისი ბრწყინვალების ეტლში შებმული ხარები გახელდნენ და ვიღაც მოხუცი გადათელეს, მოხუცმა ხელები აღაპყრო და მადლი აღავლინა იმის გამო, რომ მისი ბრწყინვალების ხარებმა გადაუარეს.

აი, რა ამბები ტრიალებდა, და ამიტომაც მომავალში ბევრი რამის მოყოლა იქნება შესაძლებელი მისი ბრწყინვალის ქველ საქმეებზე, თუ როგორ უძღვნა მან სტუმრებს ქეიფის დროს ოცდაათი თეთრი ბედაური, ნაგარას ხიდის მშენებლობისას როგორ გაიმეტა ბურჯში ჩასატანებლად თავისი უსაყვარლესი ყრმა[72], როგორ უბრძანა ჩინელ ბერს, დახელოვნებულ მკურნალს, მისთვის მუწუკი გაეჭრა ბარძაყზე... ყველაფრის ცალ-ცალკე ჩამოთვლა ძალიან შორს

წაგვიყვანს, მაგრამ ამ უამრავი მონათხრობიდან ყველაზე საშინელი და შემზარავი ალბათ მაინც ჯოჯოხეთის სურათებით თეჯირის[73] მოხატვის ამბავი იქნება. ეს მოხატული თეჯირი დღესაც სასახლის უძვირფასესი სამკაულია. და ამ სურათის შექმნისას დატრიალებულმა უბედურებამ მისი ბრწყინვალებაც კი შეაძრწუნა, მისი

ბრწყინვალება, რომლის წონასწორობიდან გამოყვანა ამქვეყნად არაფერს შეეძლო. ჩვენ, მისი მსახურნი, ნანახით შეძრწუნებულნი, კინაღამ სიცოცხლეს გამოვეთხოვეთ, მაგრამ ამაზე ლაპარაკიც არ ღირს! მეც კი, მის ბრწყინვალებას ოცდაათი წელი რომ ვემსახურებოდი, მსგავს საშინელებას არასოდეს შევსწრებივარ.

მაგრამ სანამ ამ ამბავს გაუწყებდეთ, მანამდე ოსტატ-მხატვარ ესიხიდეზე მოგითხრობთ, რომელმაც ეს თეჯირი მოხატა ჯოჯოხეთის სატანჯველთა სურათებით.

2

ესიხიდე... ალბათ დღესაც შეხვდებით ადამიანებს, რომელთაც ესიხიდე ახსოვთ. იგი ისეთი სახელგანთქმული მხატვარი იყო, რომ იმ დროს მას ფუნჯით ძნელად თუ გაეჯიბრებოდა ვინმე. მაშინ ესიხიდე ორმოცდაათს იქნებოდა მიღწეული. შეხედავდით და ერთი დაბალი, დალეული, გაძვალტყავებული მოხუცი შეგრჩენოდათ ხელში. სასახლეში, მის ბრწყინვალებასთან, მუქ-ყვითელ კარიგინუში გამოწყობილი გამოცხადდებოდა ხოლმე. თავზე მიმიებოსის იხურავდა.

ხასიათი საძაგელი ჰქონდა, ხოლო ასაკისდაშეუფერებლად წითელი ტუჩები ცხოველებთან რაღაც უსიამო მსგავსებას ანიჭებდნენ მას. ამბობდნენ, ფუნჯს ლოკავს და ტუჩებზე წითელი საღებავი ეცხებაო, მაგრამ ნამდვილი მიზეზი არავინ იცოდა. ავი ენები იმასაც კი აღნიშნავდნენ, მიხვრა-მოხვრით ესიხიდე მაიმუნს გვაგონებსო, ამიტომ „სარუხიდე“ შეარქვეს მეტსახელად.

რადგანაც „სარუხიდე“ ვახსენე, ბარემ ერთ ამბავსაც მოგითხრობთ. იმ დროს მისი ბრწყინვალების სასახლეში მხევლად აიყვანეს ესიხიდეს მხოლოდშობილი ქალიშვილი, თხუთმეტი წლის მშვენიერი გოგონა, რომელიც არაფრით ჰგავდა მამას. გარდა ამისა, შეიძლება იმის გამოც, რომ დედა ადრე დაკარგა, იგი ფიქრიანი, ასაკთან შედარებით ძალზე ჭკვიანი და გულისხმიერი იყო. ამიტომაც მხევალთუხუცესიდან მოყოლებული, ყველას უყვარდა.

ერთხელ, რაღაც შემთხვევის გამო, ტამბას პროვინციიდან მის ბრწყინვალებას მოშინაურებული მაიმუნი მიჰგვარეს და მისი ბრწყინვალების მოუსვენარმა ვაჟმა ესიხიდე შეარქვა მას. მაიმუნი ხომ ისედაც სასაცილოა და თუ ამას მის მეტსახელსაც დავუმატებთ, ცხადი გახდება, რომ სასახლეში ვერავინ იკავებდა თავს სიცილისაგან. მხოლოდ სიცილს რომ დასჯერებოდნენ, ამას კიდევ რა უშავდა, მაგრამ ხდებოდა ხოლმე, რომ იგი ნაძვზე აძვრებოდა ანდა ტატამს[74] დასვრიდა ოთახებში, ხალხი მაშინვე ყვირილს მორთავდა სასეიროდ, ესიხიდე ესიხიდეო, რითაც, რა თქმა უნდა, ძალზე აბეზრებდნენ თავს მხატვარს.

ერთხელ ესიხიდეს ქალიშვილს წერილი და ქლიავის ტოტი ეჭირა ხელში[75] და გრძელ ტალანს მიუყვებოდა. ამ დროს მისკენ მოპირდაპირე კარიდან მაიმუნი ესიხიდე გამოექანა კოჭლობით, როგორც ჩანს, თათი იტკინა და ამიტომ ბოძზე აცოცება ვეღარ მოახერხა. მაიმუნს, თქვენ წარმოიდგინეთ, ახალგაზრდა ბატონი მოსდევდა წკეპლის ქნევით და უყვიროდა:

- საძაგელო ბაცაცავ! აბა, დამაცადე, აბა, დამაცადე!

ეს რომ დაინახა, ესიხიდეს ქალიშვილი დაიბნა, მაგრამ ამ დროს მაიმუნმა მასთან მიირბინა, კალთაზე ჩამოეკიდა და საცოდავად შეწკმუვლა. ქალიშვილს ისე შეებრალა ცხოველი, რომ ერთხანს ვერაფერი მოახერხა. მერე იმ ხელით, რომელშიაც ქლიავის ტოტი ეჭირა, იების სურნელებით გაჟღენთილი საყელოგადაიწია, სათითაოდაიყვანა მაიმუნი და თავდახრილმა სუფთა, წკრიალა ხმით მიმართა ახალგაზრდა ბატონს:

- კადნიერებაში ნუ ჩამომართმევთ... ეს ხომ პირუტყვია, გთხოვთ, აპატიოთ.

ახალგაზრდა ბატონი უკვე მათ წინ იდგა. მან წარბი შეიკრა და ფეხები დააბაკუნა.

- რას ესარჩლები! მაგ მაიმუნმა მანდარინები მოიპარა.

- ეს ხომ პირუტყვია... - გაიმეორა გოგონამ, მხნეობა რომ მოიკრიბა, შემდეგ კი ნაღვლიანი ღიმილით დაუმატა:

- გარდა ამისა, ესიხიდეს ეძახიან. ისე გამოდის, რომ თქვენ მამაჩემზე წყრებით, მე კი არ შემიძლია ამას დამშვიდებით ვუცქირო. მაშინ კი შეიკავა თავი ახალგაზრდა ბატონმა.

- ჰმ!.. რაკი მამას ესარჩლები... მიპატიებია, - უხალისოდ თქვა მან, შოლტი გადააგდო და იმავე კარებით გავიდა, საიდანაც გამოჩნდა.

3

სწორედ ამ შემთხვევის შემდეგ დაიწყო სასახლეში ესიხიდეს ქალიშვილის მეგობრობა მაიმუნთან. გოგონამ ლამაზ, წითელ ყელსაბამზე ახალგაზრდა ქალბატონის ნაჩუქარი ოქროს ზანზალაკი შეაბა. ამის შემდეგ მაიმუნი ერთობ შეეთვისა ესიხიდეს ქალიშვილს და როცა ერთხელ გაციებული გოგონა საწოლში იწვა, მაიმუნი გვერდიდან არ მოშორებია, მოწყენილი და ნაღვლიანი იკვნეტდა ფრჩხილებს.

მას შემდეგ - სწორედ რომ საკვირველია - უკვე აღარავინ აწვალებდა მაიმუნს, პირიქით, ნელ-ნელა განებივრებაც კი დაუწყეს. ზოგჯერ თვითონ ახალგაზრდა ბატონიც გადაუგდებდა ხოლმე თხილს ან წაბლს. ის კი არა და, როცა ერთხელ რომელიღაც მსახურმა მაიმუნს წიხლი ამოჰკრა, ახალგაზრდა ბატონი საშინლად განრისხდა. ყვებოდნენ, რომ მალე ამ ამბის შემდეგ მისმა ბრწყინვალებამ ესიხიდეს ქალიშვილს უბრძანა, მასთან გამოცხადებულიყო მაიმუნთან ერთად. მისთვის უკვე მოეხსენებინათ მხატვრის ასულისა და მაიმუნის ასეთი დამეგობრების ამბავი.

კარგი ქალიშვილი, საქებარი შვილი ყოფილაო, - განაცხადა მან. ამგვარად, ბრწყინვალების ნებით, ქალიშვილმა ალისფერი აკომე[76] მიიღო საჩუქრად. ხოლო როცა მაიმუნმაც ისე დაიჭირა თავი, თითქოს საჩუქარს სინჯავსო და მოწონებით აიღო ხელში აკომე, მისი ბრწყინვალება კიდევ უფრო გამხიარულდა. დიახ, ასე იყო საქმე და, მაშასადამე, მისმა ბრწყინვალებამ ესიხიდეს ქალიშვილს სწორედ იმიტომ დაუწყო წყალობის თვალით ცქერა, რომ უწონებდა მამისადმი სიყვარულში დიდ პატივისცემასა და სიყვარულს, რამაც, მაიმუნისადმი სიყვარულში ჰპოვა გამოხატულება და, რა თქმა უნდა, არა თავისი ავხორცი ზრახვების გამო, როგორც ხალხი ამბობდა. მართალია, არც მთლად უმიზეზოდ ამტყდარა ასეთი მითქმა-მოთქმა, მაგრამ ამის შესახებ როგორმე სხვა დროს გიამბობთ აუჩქარებლად. მანამდე კი

საკმარისია ითქვას, რომ მისი ბრწყინვალება არ იყო ისეთი ადამიანი, ვიღაც მხატვრის ქალიშვილისათვის გაეყადრებინა თავი, თუნდაც იგი ძალზე ლამაზი ყოფილიყო.

დიახ, ესიხიდეს ქალიშვილი მის ბრწყინვალებას პატივნაცემი გაშორდა, მაგრამ რადგანაც იგი მოკრძალებული და კეთილი გოგონა იყო, დანარჩენ მხევალთა გულში შური არ აღუძრავს. პირიქით, ამ დღიდან მოკიდებულიქალიშვილსაც და მის მაიმუნსაც ერთნაირად ანებივრებდნენ, ახალგაზრდა ქალბატონიც ხომ გვერდიდან აღარ იშორებდა.

მოდით, ჯერჯერობით გოგონას მამის, ესიხიდეს შესახებ გიამბობთ. დიახ, მაიმუნი მალე ყველამ შეიყვარა, მაგრამ თვითონ ესიხიდე ისევ ძველებურად სძულდათ და და ზურგსუკან სარუხიდეს ეძახდნენ. ასე იყო არა მარტო სასახლეში. იოკოგაველ წინამძღვარს, როცა მისი თანდასწრებით ესიხიდეს სახელს ახსენებდნენ, სახე ეცვლებოდა, თითქოს ეშმაკს გადაეყარაო. ერთი სიტყვით, თვალის დასანახად ეჯავრებოდა იგი. მართალია, ამის მიზეზი თითქოს ის იყო, რომ ესიხიდემ წინამძღვარი საქილიკო სურათებში გამოსახაო, მაგრამ ამას მხოლოდ მდაბიო მსახურნი ამბობდნენ, მე კი დაბეჯითებით იმის თქმა, მართლა ასე იყო თუ არა, არ შემიძლია. ყოველ შემთხვევაში, ამ მხატვარზე, ვისთვისაც უნდა გეკითხათ, კარგს არავინ გეტყოდათ. თუკი იპოვიდით ვინმე ისეთს, ესიხიდეზე ცუდს არას იტყოდა, ეს მხოლოდ მისი ორი-სამი მეგობარი იყო, ან ისინი, რომელთაც მისი სურათები ენახათ, მაგრამ პირადად არ იცნობდნენ.

ესიხიდე მხოლოდ გარეგნულად კი არ იყო შესაზარი, არა, ზნეც გარეგნობის შესაფერი ჰქონდა და, უნდა ითქვას, ამის გამო დამსახურებისამებრაც მიეზღვებოდა ხოლმე.

4

ზნით კი აი, როგორი იყო იგი: წუწკი, უსინდისო, ზარმაცი, ხარბი და, რაც მთავარია, დიდგულა და ქედმაღალი. სახეზე ეწერა, რომ ქვეყნის პირველი მხატვარია და მისი ქცევაც მუდამ ამაზე მეტყველებდა. ფერწერაში პირველობას რომ დასჯერებოდა, ამას კიდევ აიტანდა კაცი, მაგრამ არა, იგი არც სხვა რამეებში უთმობდა არავის, ის კი არა, ზნეობასა და ადათებსაც კი დასცინოდა. ესიხიდეს რომელიღაც ნაშეგირდალმა მიამბო, ერთხელ, როცა ცნობილი პიროვნების სახლში ხიგაკის სახელგანთქმული ქურუმი ქალი ქადაგად დაეცა და შემზარავი ხმით იწყო წინასწარმეტყველება, ესიხიდეს მისთვის ყურიც არ უთხოვებია, განუშორებელი ფუნჯი მოიმარჯვა და მშვიდად ჩაიხატა ქურუმი ქალის შემზარავი სახე. შესაძლოა, იგი სულის გამოცხადებასაც უბრალო ბავშვურ თვალთმაქცობად თვლიდა.

აი, როგორი კაცი იყო ესიხიდე! ამიტომაც აბა, რა გასაკვირია, რომ ქალღმერთ კისიოტენის სახე ვიღაც ქალისაგან გადაიხატა, ხოლო ბუდა ფუდოს[77] ხატვისას ერთი ჩამოძონძილი კატორღელი გამოიყენა. ვინ მოთვლის, კიდევ რამდენი ასეთი უგვანი და ღვთისსაგმობი ჩაიდინა მან და როცა ამის გამო კიცხავდნენ, იდგა და არხეინად უსტვენდა. „კი მაგრამ, ღმერთები და ბუდები, ესიხიდემ რომ დახატა, ხომ დასჯიან მას ამნაირ საქმეთათვის? საოცარია!“ ასეთი სიტყვები შეგირდებსაც კი აფრთხობდა და სასჯელის შიშით მრავალი

მათგანი მის მიტოვებას ისწრაფოდა. ასეა თუ ისე, თვითონ ესიხიდე სრულიად დარწმუნებული იყო, რომ მისებრ შესანიშნავი ადამიანი მთელს დედამიწის ზურგზე არ მოიძებნებოდა.

იმაზე ლაპარაკიც კი არ ღირს, თუ რა მწვერვალს მიაღწია ესიხიდემ ფერწერის ხელოვნებაში. მაგრამ რადგანაც მისი ნახატები როგორც ხაზებით, ასევე ფერებით მთლიანად განსხვავდებოდა სხვა მხატვართა ქმნილებათაგან, მისი არაკეთილმოსურნენი, ფუნჯის თანამოძმენი, თვალთმაქცად იხსენიებდნენ მას. ისინი კავანარის[78], კანაოკას[79] ანსხვა ძველ სახელგანთქმულოსტატთა სურათებზე საუბრისას საოცარ ამბებს ყვებოდნენ: თითქოს მათ მიერ მოხატულ კარედს მთვარიან ღამეში ქლიავის საამო სურნელი ასდიოდა, ან თითქოს ისმოდა, როგორ უკრავდნენ სტვირს თეჯირზე გამოხატული კარისკაცები... ხოლო როცა კი სიტყვა ესიხიდეს ნახატებზე ჩამოვარდებოდა, შემზარავ ამბებს გადმოგვცემდნენ. მაგალითად, ესიხიდეს იმ სურათის შესახებ, „სიკვდილ-სიცოცხლის ბორბალი“[80] რომ ეწოდება და რიუგაიძის ტაძრის კარებს ამშვენებს, ამბობდნენ, გვიან ღამით სურათიდან ურწმუნოთა კვნესა და ქვითინი ისმისო. უფრო მეტიც, ზოგიერთები იმასაც კი ამტკიცებდნენ, გახრწნილი გვამების სიმყრალე ვიგრძენითო. ახლა ქალთა პორტრეტები, მისი ბრწყინვალების ბრძანებით რომ დახატა ესიხიდემ?
ირწმუნებოდნენ, რომ სამი წელიც არ გაივლის და ისინი, ვინც ამ სურათებზეა გამოსახული. სნეულდებიან და კვდებიან, თითქოს სული ამოართვესო. ავსიტყვათა აზრით, ეს გახლდათ ყველაზე ჭეშმარიტი დადასტურება იმისა, რომ ესიხიდეს ხელოვნებაში ჯადოქრობა იყო გარეული.

მაგრამ რადგანაც ესიხიდე, როგორც ადრეც ვთქვი, განსაკუთრებული ადამიანი იყო, ამით ამაყობდა კიდეც და ერთხელ, როცა მისმა ბრწყინვალებამ გახუმრება ინება, შენ, როგორც ჩანს, სიმახინჯე გყვარებიაო, მან ასაკისდაშეუფერებელი წითელი ტუჩებით უსიამოდ გაიღიმა და თვითკმაყოფილმა უპასუხა, დიახ, ვერც ერთი ეს ზერექვერე მხატვარი ვერ გაიგებს სიმახინჯის სილამაზესო. გაგონილა მისი ბრწყინვალების წინაშე ასეთი ყოყოჩობა? მერე რა, რომ ესიხიდე პირველი მხატვარი იყო სახელმწიფოში... შეგირდს, ადრევე რომ ვახსენე, ტყუილუბრალოდ არ შეურქმევია მისთვის მალულად „ტირაეიძუ“ მეტისმეტი ყოყოჩობისათვის. თქვენ, რასაკვირველია, გეცოდინებათ, რომ ტირაეიძუ იმ ეშმაკს ერქვა ძველად, დიდი ხნის წინათ რომ მოგვევლინა ჩინეთიდან.

მაგრამ ესიხიდესაც კი, რომელიც არ სცნობდა არავის და არაფერს, ერთი ჭეშმარიტად ადამიანური გრძნობა მიჰმადლებოდა ბუნებით.

5

ესიხიდეს თავდავიწყებით უყვარდა თავისი მხოლოდშობილი ქალიშვილი, სწორედ ის მხევალი გოგონა. უკვე ვთქვი, რომ გოგონა მეტად ნაზი და მოსიყვარულე შვილი იყო, მაგრამ ესიხიდესაც განუსაზღვრელად უყვარდა იგი და, შეიძლება არ დამიჯეროთ, მაგრამ მაინც მოგახსენებთ, რომ

ეს კაცი, რომელსაც ტაძრისათვის ქრთილის საღირალიც კი არ შეუწირავს თავის სიცოცხლეში, ქალიშვილის ტანსაცმლისა და თმის მორთულობისათვის ფულს არასოდეს იშურებდა.

თუმცა ესიხიდე თავს ევლებოდა და ეთაყვანებოდა ქალიშვილს, მაგრამ აზრადაც არ მოსვლია, შესაფერი საქმრო შეერჩია მისთვის. ის კი არა და, თუკი გოგონას ვინმე თვალს დაადგამდა, იგი არაფრის წინაშე უკან არ იხევდა და თავზეხელაღებულ ხალხსაც კი ქირაობდა, რომლებიც მზეს უბნელებდნენ თავხედს. ამიტომაც, როცა გოგონა მისი ბრწყინვალების ბრძანებით სასახლეში გადაიყვანეს და მხევლად გაამწესეს, მოხუცი მამა ძალზე უკმაყოფილო დარჩა და თავისი მბრძანებლის წინაშეც კი არ გაუხსნია წარბი. შესაძლოა, ამიტომაც ატყდა მითქმა-მოთქმა: მისი ბრწყინვალება ესიხიდეს ქალიშვილითაა გატაცებული და მამის უკმაყოფილების მიუხედავად, სასახლეში ჰყავსო. ყველაფერი ეს უბრალო ჭორი იყო, მაგარმ ის კი სრული სიმართლეა, რომ ესიხიდეს უზომოდ უყვარდა ქალიშვილი და ამიტომაც გამუდმებით ითხოვდა, სასახლიდან დაითხოვეთო. ერთხელ, როცა მისი ბრწყინვალების ბრძანებით ჩვილ მონძიუს[81] ხატავდა, მან ძალზე ოსტატურად გამოსახა თავისი მბრძანებლის უსაყვარლესი ყრმა, რის გამოც დიდად კმაყოფილმა მისმა ბრწყინვალებამ ინება მოწყალედ ეთქვა:

- ჯილდოდ რასაც გინდა მოგცემ, მაუწყე შენი სურვილი, ნუ გერიდება. მაშინ

  ესიხიდემ თავხედურად უთხრა:

- გთხოვთ, ჩემი ქალიშვილი დაითხოვოთ სასახლიდან.

სხვა სასახლეებში არ ვიცი, მაგრამ იმათ, ვინც მის ბრწყინვალება ხორიკავას ემსახურებოდა, შესანიშნავად ეპყრობოდნენ... განა კიდევ მოიძებნება ადამიანი, ასე უხეშად რომ ეთხოვოს რაიმე? მხატვრის თავხედობამ მისი ბრწყინვალება, ასეთი დიდბუნებოვანი ადამიანიც კი, გააბრაზა. იგი ერთხანს უსიტყვოდ შეჰყურებდა სახეში ესიხიდეს, მერე მკვახედ მიახალა, არ შეიძლებაო, და მაშინვე წამოდგა. ასეთი რამ რამდენჯერმე განმეორდა. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, მაგრამ, როგორც ახლა მაგონდება, ყოველი თხოვნის შემდეგ მისი ბრწყინვალება სულ უფრო და უფრო ცივად ეპყრობოდა ესიხიდეს. გოგონას ძალიან აღელვებდა მამის ბედი. იგი ხშირად შედიოდა ხოლმე სამოახლოში და მწარედ ტიროდა. მაშინ კიდევ უფრო გაძლიერდა მითქმა-მოთქმა, მის ბრწყინვალებას ესიხიდეს ქალიშვილი შეუყვარდაო. ზოგიერთები იმასაც კი ამბობდნენ, ჯოჯოხეთის სურათებით თეჯირის მოხატვასთან დაკავშირებული ტრაგედია იმიტომ დატრიალდა, რომ გოგონა წინააღმდეგობას უწევდა მისი ბრწყინვალების სურვილებსო, მაგრამ ასეთი რამ, რა თქმა უნდა, არ შეიძლებოდა მომხდარიყო.

ჩემი აზრით, მის ბრწყინვალებას ესიხიდეს ქალიშვილის სასახლიდან დათხოვნა იმიტომ არ უნდოდა, რომ ებრალებოდა ახალგაზრდა ქალი და მისი ბედი აწუხებდა. იგი მოწყალედ ვარაუდობდა, რომ ესიხიდესთანა ჯიუტ ადამიანთან ყოფნა გაუჭირდებოდა ქალიშვილს და

ამიტომ ჯობდა, სასახლეში დარჩენილიყო, სადაც უკეთესად მოეპყრობოდნენ. მართალია იგი სწყალობდა მშვენიერ გოგონას, მაგრამ ზოგიერთები რომ ამბობდნენ, უკეთური მიზნები ამოძრავებდაო, ეს მოცლილთა გამონაგონი და ყოველგვარ საფუძველს მოკლებული ფეხმოკლე ტყუილი იყო.

ასეა თუ ისე, სწორედ იმ დროს, როცა ესიხიდე თავისი ქალის გამო თითქმის შერისხული აღმოჩნდა, მისმა ბრწყინვალებამ, - რა ჰქონდა გუნებაში, არ ვიცი, - უცებ იხმო ესიხიდე და თეჯირის მოხატვა და ამ ნახატში ჯოჯოხეთის სატანჯველთა ასახვა უბრძანა.

6 საკარისია ეს თეჯირი ვახსენო, რომ მაშინვე საშინელი სურათი დამიდგება თვალწინ. უპირველეს ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ ის, რაც ესიხიდემ დახატა, სრულიადაც არ ჰგავს სხვა მხატვართა მიერ შესრულებულ ჯოჯოხეთის სატანჯველთა სურათებს. განსხვავება ძირითადად სურათების განლაგებაში გამოიხატება: ერთ ფრთაზე, კუთხეში მკრთალადაა გამოსახული ქვესკნელის ათი მთავარი, ხოლო მთელ დანარჩენ სივრცეზე ისეთი მძვინვარეცეცხლი ბობოქრობს, შეიძლება კაცმა იფიქროს, ხანჯალა ხეებით დაბურულ ხმალა მთებს[82] ჩაუქრობელი ალი მოსდებიაო. მხოლოდ აქა-იქ, ყვითელ და ლურჯ წინწკლებად ელავს

ჯოჯოხეთის მსახურთა ჩინური ტანსაცმელი, ისე კი საითაც უნდა გაიხედო, ყველაფერი ცეცხლს დაუფარავს და ცეცხლის ენებს შორის გაშმაგებული მიიკლაკნება მანძის[83] ბორჯღალივით მოკალული, შეშხეფებული ტუშის შავი კვამლი და სიზმარეულივით რიალებენ ოქროს მტვრის გავარვარებული ნაპერწკლები.

ჯერ მარტო ამით ატყვევებს მზერას მხატვრის ფუნჯის ძალა. ხოლო ასე საზარლად დაკრუნჩხულ, აბობქრებულ ალში გახვეულ ცოდვილებს ჯოჯოხეთის ჩვეულებრივ სურათებში ხომ ვერ იხილავთ. ცოდვილთა შორის ესიხიდემ ათასი ჯურის ხალხი გამოსახა, სხვადასხვა წოდებისა, დიდებულებით დაწყებული და უკანასკნელი მათხოვარით დამთავრებული: კარისკაცთა ტანსაცმელში გამოწყობილი ზვიადი დიდებულები, აბრეშუმში გამოკვალთული მომხიბლავი ახალგაზრდა ქალბატონები, ბუდაელი ბერები კრიალოსნით ხელში, მაღალ ასიდაზე[84] შემდგარი ახალგაზრდა მსახურები, ვიწროსამოსიანი ყრმები თუ მკითხავები თავიანთი მოწყობილობებით. ყველა რომ ჩამოვთვალოთ, ჩვენს ამბავს დასასრული არ ექნება. ხარისა და ცხენისთავიან ჯოჯოხეთის მსახურთა მიერ წამებული ეს ხალხი აბობოქრებულ ცეცხლსა და კვამლში ქარისაგან დარიალებული ფოთლებივით აწყდებიან ქეთ-იქით... აგერ, ერთი ქალი, როგორც ჩანს, ქურუმი, ფიწალზე თმით დაკიდებული საცოდავად იკლაკნება და ობობას საცეცებივით დაკრუნჩხულ კიდურებს საწყალობლად ასხმარტალებს. აქეთ ვიღაც მამაკაცი, ალბათ რომელიღაც ნაცვალი, ღამურასავით კიდია თავდაღმა, მახვილით

გულგაფატრული. ვის რკინის მათრახებით სცემენ, ვის დაძრავს ადგილიდან, ვის მტაცებელ ფრინველთა კლანჭები აწამებს, ვის შხამიანი დრაკონის კბილები ჩაფრენია - სატანჯველი, ისევე, როგორც ცოდვილნი, აქ იმდენია, ვერ ჩამოთვლი.

მაგრამ ყველაზე შემზარავი მაღლიდან გადმოვარდნილი ეტლია. იგი ტახის ეშვივით ამართულ ხე-ხანჯალადან მოსხლეტილა. ბამბუკის ფარდის მიღმა, ქვესკნელიდან მონაქროლ ქარს რომ გადაუწევია, ქალი მოჩანს. ქალი ისე ბრწყინვალედაა მორთული, ხადუმი ან სეფექალი გეგონებათ. მისი გაშლილი, გრძელი, შავი თმა ცეცხლის ენებს ჩახლართვია, თეთრი ყელი უკან გადაუწევია და ტანჯვით იგრიხება. ეს ქალი, ან თუნდაც ალმოდებული ეტლი - ყველაფერი ცეცხლოვანი ჯოჯოხეთის ტანჯვაწვალებას წარმოგვიდგენს თვალთა წინაშე. გეჩვენებათ, თითქოს მთელი

სურათის საშინელება ამ ერთ ფიგურაში იყრის თავს. ეს ისეთი არაადამიანური ხელოვნებაა, რომ, როცა უცქერით, ყურებში თავისთავად გაისმის საშინელი კივილი.

აი, როგორია ეს სურათი, და სწორედ მის შესაქმნელად დატრიალდა ის საშინელი ამბავი. ამ საშინელების ხილვის გარეშე თვით ესიხიდეც ვერ შეძლებდა ჯოჯოხეთის სატანჯველთა ასე ცოცხლად დახატვას. ეს სურათი რომ შეექმნა, ისეთი წამების გადატანა მოუხდა, სიცოცხლეც კი მოსძულდა. შეიძლება ითქვას, სურათში ასახული ჯოჯოხეთი სწორედ ის ჯოჯოხეთია, სადაც თვითონ ესიხიდე, თავისი ქვეყნის უპირველესი მხატვარი უნდა მოხვედრილიყო.

იქნებ ცოტა ავჩქარდი, რათა თქვენთვის ჯოჯოხეთის სურათებით მოხატული თეჯირის ამბავი მემცნო და მოვლენებს წინ გავუსწარი, მაგრამ ახლა წესისა და რიგის მიხედვით განვაგრძობ და დავიწყებ იმდროიდან, როცა ესიხიდემ მისი ბრწყინვალებისაგან ჯოჯოხეთურ წამებათა სურათის დახატვის ბრძანება მიიღო.

7

ხუთი-ექვსი თვის განმავლობაში ესიხიდე ერთხელაც არ გამოჩენილა სასახლეში და მხოლოდ თავის სურათს დასტრიალებდა. საკვირველი ამბავია: საკმარისი იყო საკუთარი თავისათვის ეთქვა, ახლა კი დროა საქმეს შევუდგეო, რომ ეს მოყვარული მამა ღვიძლ ქალიშვილსაც კი ივიწყებდა. ის შეგირდი, ადრე რომ ვახსენე, მიამბობდა, როგორც კი ესიხიდე საქმეს ჰკიდებს ხელს, ისე გარდაიქმნება, თითქოს მელა ჩაუძვრა სულშიო. ამის დასადასტურელად ზოგიერთები ამბობდნენ, საკმარისია უჩუმრად შეხედო ესიხიდეს მუშაობისას, რომ აუცილებლად დაინახავ, მის ირგვლივ მელიების ლანდები დაბორიალებენო. მართლაც, როგორც კი ფუნჯს დაიჭერდა ხელში, ყველაფერს ივიწყებდა თავისი სურათის გარდა. დღე და ღამე ჩაკეტილში იჯდა და გარეთ იშვიათად გამოდიოდა. ხოლო თეჯირის მოხატვა რომ დაიწყო ჯოჯოხეთის სურათებით, პირდაპირ შეშლილს დაემსგავსა.

თავის ოთახში, სადაც დღისითაც ფარდები ეფარა ფანჯრებს, ლამპართა შუქზე საიდუმლო ხერხებით აზავებდა საღებავებს, შეგირდებს სუიკანში ან კარაგინუში გამოაწყობდა და თითოეულს გულდასმით იხატავდა ცალ-ცალკე. ასეთი ახირებები ადრეც ჰქონია, სანამ თეჯირის მოხატვას შეუდგებოდა ჯოჯოხეთის სურათებით. როცა რუგაიძის ტაძარში „სიკვდილ-სიცოცხლის ბორბალს“ ხატავდა, მშვიდად ჩამოჯდებოდა ხოლმე გზებზე მიმოფანტული გვამების წინ, რომელთაც ჩვეულებრივი ადამიანი ზიზღით უქცევდა გვერდს და გულმოდგინედ იხატავდა ნახევრადგახრწნილ ხელებს, ფეხებსა თუ სახეს. ყველაფერი რომ დაწვრილებით მოგიყვეთ, დრო არ გვეყოფა, მაგრამ თუკი მხოლოდ მთავარს მოგახსენებთ, აი, როგორ იყო საქმე:

ერთხელ ესიხიდეს ერთი შეგირდთაგანი (სწორედ ის, რომელიც ადრე მოვიხსენიე)

საღებავებს აზავებდა. ანაზდად ოსტატი დაადგა თავზე და უთხრა: - მინდა ცოტა

წავიძინო, ოღონდ ამ ბოლო დროს საშინელ სიზმრებს ვხედავ. ამაში

განსაკუთრებული არა იყო რა და შეგირდს სამუშაო არ მიუტოვებია, ისე მიუგო:

- კეთილი.

ხოლო ესიხიდემ ნაღვლიანი ხმით, დაბნეულმა განაგრძო: -

ვიდრე გავიღვიძებ, სასთუმალთან ხომ არ ჩამოჯდებოდი?

შეგირდს გაუკვირდა, ოსტატს ასე რომ ზაფრავდა სიზმრები, მაგრამ რადგანაც თხოვნა არც ისე ძნელი შესასრულებელი იყო, დათანხმდა. მაშინ ოსტატმა აღელვებით და დაბნეულად განაგრძო:

- მაშინ უკანა ოთახში გადი. სხვა შეგირდები თუ მოვლენ, ჩემთან ნუ შემოუშვებ.

ეს მისი სახელოსნო იყო. იქ, დაკეტილ კარს მიღმა, კანდელის მქრალ შუქზე იდგა თეჯირი, რომელიც ჯერ მხოლოდ ტუშით იყო მოხაზული. როცა ისინი ამ ოთახში შევიდნენ, ესიხიდემ მკლავი თავქვეშ ამოიდო და ისე მაგრად დაიძინა, თითქოს მუშაობისაგან ქანცი ერთიანად გამოსცლოდა, მაგრამ ნახევარ საათსაც არ გაევლო, რომ სასთუმალთან ჩამომჯდარიშეგირდისყურამდე რაღაც ძლივსგასაგონმა კვნესამ მოაღწია.

8

კვნესა თანდათან გაძლიერდა, შემდეგ ნაწყვეტ-ნაწყვეტ ბოდვაში გადაიზარდა, თითქოს წყლით პირგამოვსებული, დასახრჩობად განწირული ადამიანი კვნესისო.

- რას მეუბნები? ჩემთან მოდიო? სად უნდა წამოვიდე? - „ჯოჯოხეთში წამოდი, ცეცხლოვან ჯოჯოხეთში!“ ვინა ხარ, ვინ მელაპარაკები? - „შენ როგორ ფიქრობ, ვინ ვიქნები?“ შეგირდმა უნებურად შეწყვიტა საღებავების შეზავება და შიშით დახედა ოსტატს. მოხუცს დაღარული სახე გადატეტკოდა, ოფლის მსხვილი წვეთებით დაცვაროდა, ტუჩებგამშრალი და მეჩხერკბილებიანი პირი დასახრჩობად განწირულივით, ფართოდ გაეღო. პირში კი რაღაც ჩქარ-ჩქარა უტოკავდა, თითქოს ძაფით ეჯაჯგურებიანო. დიახ, დიახ, ეს მისი ენა იყო. ნაწყვეტ-ნაწყვეტი სიტყვები სხლტებოდნენ ამ ენიდან.

- „შენ როგორ ფიქრობ ვინ ვიქნები?“ დიახ, ეს შენა ხარ, მეც ასე ვფიქრობდი, რომ ეს შენა ხარ. ჩემს წასაყვანად მოხვედი? - „მე შენ გეუბნები, წამოდი, წამოდი ჯოჯოხეთში!“ ჯოჯოხეთში... ჯოჯოხეთში ჩემი ქალიშვილი მელოდება.

შეგირდი შიშმა აიტანა. მოეჩვენა, თითქოს თეჯირიდან რაღაც უცნაური მოლაცლაცე ლანდები გამოკრთნენ. რაღა თქმა უნდა, მან მაშინვე ხელები ჩაავლო ესიხიდეს და მთელი ძალით დაუწყო ნჯღრევა, მაგრამ ოსტატი ძილში საკუთარ თავთან განაგრძობდა ლაპარაკს და მისი

გამოღვიძება ვერაფრით შეძლო. მაშინ მოწაფემ მხნეობა მოიკრიბა და ფუნჯების ნარეცხი შეასხა სახეში.

- „ის გელოდება, ჩაჯექი ეტლში... ჩაჯექი ამ ეტლში და წამოდი ჯოჯოხეთში...“

იმავე წამს ეს სიტყვები კვნესად გადაიქცნენ, თითქოს ყელში წაუჭირესო და ესიხიდე, თვალები გაახილა თუ არა, ელდანაკრავი წამოიჭრა. როგორც ჩანს, უჩვეულო ზმანებები ჯერ კიდევ თვალწინ ედგა. ერთხანს პირდაღებული, შეშინებული იყურებოდა, ბოლოს გონს მოეგო და შეგირდს უხეშად უბრძანა:

- წადი! აღარაფერი მიჭირს.

შეგირდმა იცოდა, რომ ოსტატთან შეკამათება არ შეიძლებოდა: წინააღმდეგ შემთხვევაში საყვედურს მიიღებდა. ამიტომ სასწრაფოდ დატოვა ოთახი და მზის კაშკაშა ნათელში მოხვედრილმა შვებით ამოისუნთქა, თითქოს თვითონ გამოერკვა ცუდი სიზმარიდანო.

ეს კიდევ არაფერი, მაგრამ, აი, დაახლოებით ერთი თვის შემდეგ ესიხიდემ მეორე შეგირდი იხმო. მხატვარი კანდელის მქრქალ სინათლეში იჯდა და კბილებით ფუნჯის ტარს აწვალებდა. იგი სწრაფად შებრუნდა ოთახში შესულისაკენ და უთხრა:

- მისმინე, შენთან სათხოვარი მაქვს, გაიხადე ყველაფერი!

ასე ოსტატს სხვა დროსაც უბრძანებია და ამიტომ შეგირდი სწრაფად გატიტვლდა. მაშინ ესიხიდე რაღაც უცნაურად დაიმანჭა.

- მე მინდა ჯაჭვითშებოჭილ ადამიანსშევხედო. მართალი გითხრა, ძალიანმერიდება შენი შეწუხება, მაგრამ მცირე ხნით ამისრულე თხოვნა, - ცივად წარმოთქვა მან.

ეს შეგირდი ისე მკვრივად ჩამოსხმული ჭაბუკი იყო, რომ ფუნჯზე უფრო ხმალი დამშვენდებოდა, მაგრამ ახლა ისიც კი შეშინდა. შემდგომ, როცა ამ ამბავს ყვებოდა, მუდამ იმეორებდა: ვიფიქრე, ოსტატი ხომ არ შეიშალა, ჩემი მოკვლა ხომ არ გადაუწყვეტია-მეთქი. მაგრამ, როგორც ჩანს, ოსტატი შეგირდის ყოყმანმა მოთმინებიდან გამოიყვანა, საიდანღაც ჯაჭვი დააძრო და სწრაფად, თითქოს მტერიაო, შეგირდს მხრებში ჩააფრინდა, ძალით გადაუგრიხა ხელები და მთელ სხეულზე ჯაჭვი შემოახვია, შემდეგ ჯაჭვის ბოლო მოქაჩა და წონასწორობადაკარგული შეგირდი იატაკზე გაიშხლართა.

9

შეგირდს ხელ-ფეხი ისე შებოჭვოდა, რომ საძრაობა აღარ ჰქონდა. ჯაჭვმა სისხლის მოძრაობა შეუწყვიტა მის ზორბა სხეულს, მთელ ტანზე კანი დაუწითლდა, მაგრამ ესიხიდემ ეს აინუნშიაც არ ჩააგდო. იგი გარს უვლიდა მის სხეულს, წაქცეულ ბოთლს რომ ჰგავდა, და სწრაფად აკეთებდა ჩანახატებს.

ასე ალბათ დიდხანს გაგრძელდებოდა, მოულოდნელი რამ რომ არ მომხდარიყო. საბედნიეროდ (იქნებ ჯობდა, საუბედუროდო, გვეთქვა) ოთახის კუთხეში მიდგმული ქოთნიდან რაღაც შავი, ზეთის მაგვარი გადმოდინდა. თავდაპირველად წებოვან სითხესავით ნელა მოედინებოდა, მაგრამ შემდეგ უფრო სწრაფად გამოსრიალდა, რამდენჯერმე გაიბრწყინა და ზედ შეგირდის ცხვირთან მიცურდა. შეძრწუნებულმა შეგირდმა უსასოოდ დაიკვნესა, გველი, გველიო! როგორც შემდეგ ყვებოდა, მყისვე სისხლი გაეყინა ძარღვებში. მიზეზიც ჰქონდა საამისო: გველი თავისი ცივი ნესტრით ლამის მისწვდა ჯაჭვის რგოლებში ჩაჭედილ შეგირდის კისერს. ამ მოულოდნელმა შემთხვევამ შეუბრალებელი ესიხიდეც კი დააფრთხო. მან აჩქარებით მოისროლა ფუნჯი, დაიხარა და გველს ელვისუსწრაფესად სტაცა კუდში ხელი. გველი თავდაღმა ჩამოეკიდა, დაიკლაკნა, თავი წამოსწია, საკუთარ სხეულს შემოეხვია, მაგრამ ესიხიდეს ხელს ვერ მისწვდა. - შენი მიზეზით დაიღუპა სურათი, - ჩაიბურტყუნა ხმაჩახრინწულმა ესიხიდემ, გველი ოთახის კუთხეში მდგარ ქოთანში ჩააგდო და

აშკარა დანანებით შეხსნა ჯაჭვი შეგირდს. ეს იყო და ეს. კეთილი სიტყვაც არ უთქვამს, ისე დაითხოვა იგი.

ალბათ ეს ერთი ამბავიც საკმარისია, თვალნათლივ რომ წარმოვიდგინოთ საქმით გატაცებული. ბარემ იმასაც გიამბობთ, თუ რა გადაიტანა მეორე შეგირდმა, ასე, ცამეტთოთხმეტი წლის ყმაწვილმა ამ თეჯირის გამო. ამ შეგირდს ქალივით თეთრი კანი ჰქონდა. ერთ საღამოს ოსტატმა თავის ოთახში მიიხმო და ისიც გულდანდობილად ეახლა მასწავლებელს. ხედავს, ესიხიდე კანდელის შუქზე რაღაც უცხო ფრინველს უმ ხორცს აჭმევს. ზომით ეს ფრინველი ალბათ კატისტოლა იქნებოდა და ორივე მხარეს ყურებივით გამოჩრილი ბუმბულითა და ქარვისფერი თვალებით თვითონაც ძალიან ჰგავდა კატას.

10 ესიხიდე, ჩვეულებრივ, ვერ იტანდა, როცა მის საქმეებში ვინმე ცხვირს ჰყოფდა. თავისი საქმიანობის შესახებ იგი შეგირდებს არაფერს უმხელდა. მის მაგიდაზე ხან თავის ქალა იდო, ხან კიდევ ვერცხლის ბურთულები ან ლაქწასმული ხონჩები. იმისდა მიხედვით, თუ რასხატავდა, მის ოთახში ათასნაირი, ყოვლად საკვირველინივთები გაჩნდებოდა ხოლმე. არავინ უწყოდა, თუ რას უშვრებოდა იგი შემდეგ ამ ნივთებს. ალბათ სწორედ ამის გამო გავრცელდა მასზე ხმები, ეშმაკეულები სწყალობენო.

შეგირდმა დაასკვნა, ეს უცხო ფრინველი ოსტატს ჯოჯოხეთის სატანჯველთა სურათისათვის სჭირდებაო და მასწავლებლის წინაშე მდგარმა, მოწიწებით იკითხა:

- რას მიბრძანებთ?

მაგრამ ესიხიდემ, თითქოს არ გაუგონია, ტუჩები გაილოკა და ნიკაპით მიუთითა ფრინველზე.

- რას იტყვი, სავსებით მოშინაურებულია, არა?

- რა ჰქვია? ამნაირი რამ არასოდეს მინახავს! - თქვა შეგირდმა და თან შიშით გადახედა დიდყურა, კატისმაგვარ ფრინველს.

- რაო, პირველად ხედავ? - ჩაიცინა ესიხიდემ. - ქალაქურად ხარ აღზრდილი, ესაა მთელი უბედურება... ამ ფრინველს ჭოტს ეძახიან,; რამდენიმე დღის წინ მაჩუქა ერთმა კურამელმა მონადირემ. საერთოდ კი გაწვრთნილი ჭოტი იშვიათად გვხვდება.

ამ სიტყვებით მან ნელა წაიწია ფრინველისაკენ, რომელსაც ის-ის იყო ჭამა დაემთავრებინა, და წყნარად გადაუსვა ხელი ზურგზე, ბოლოდან თავისაკენ. ჰოი, საკვირველებავ?! ფრინველმა იმწამსვე გულისგამგმირავი ხმით დაიწივლა, მაგიდიდან აფრინდა, კლანჭები გაშალა და პირდაპირ შეგირდს დააცხრა. მას რომ მკლავის აფარება არ მოესწრო, ფრინველი ალბათ მთელ სახეს დაუკაწრავდა. შეგირდმა შიშით ამოიგმინა და ხელების ქნევით შეეცადა ჭოტის

მოგერიებას, მაგრამ ჭოტი ნისკარტს აწკაპუნებდა და ისევ ეტანებოდა... შიშისაგან გონდაკარგული შეგირდი ყოველნაირად ცდილობდა გაავებული ფრინველის მოშორებას: ხან ჩაჯდებოდა, ხან ისევ ფეხზე წამოხტებოდა, დარბოდა ვიწრო, ათასნაირი ნივთებით გამოტენილ ოთახში, მაგრამ ტყიური ურჩხული არ ეშვებოდა - ხან ზევით აფრინდებოდა, ხან ქვევით დაეშვებოდა და მორკალულ ნისკარტს

ერთთავად თვალში უმიზნებდა. თან ისე შემზარავად ატყლაშუნებდა და აფართხუნებდა ფრთებს, რომ შეგირდს რატომღაც ხან ჩამოცვენილი ფოთლების სუნი მოსდიოდა, ხან ჩანჩქერის შხეფებისა, ხან კიდევ შემპალი ხილისა, მაიმუნები რომ იმარაგებენ ხეთა ფუღუროებში... შიშმა აიტანაო, რომ ვთქვათ, ცოტა იქნება. შეგირდს გული

გასკდომაზე ჰქონდა, კანდელის მკრთალი სინათლე მთვარის ციალად ეჩვენებოდა, ხოლო ოსტატის ოთახი - შორეული მთის ჭინკებით გატენილ ხეობად.

მაგრამ შეგირდი მარტო იმას არ შეუშინებია, რომ ჭოტი დაესხა თავს. არა, მას თმა ყალყზე დაუდგა, როცა ოსტატმა ესიხიდემ, აუღელვებლად რომ უცქერდა ამ აურზაურს, მშვიდად გაშალა ქაღალდი, ამოიღო ფუნჯი და სურათის ჩახატვა დაიწყო - თუ როგორ აწამებს ქალწულივით ნაზ ჭაბუკს გაავებული ტყიური. მოჰკრა თუ არა შეგირდმა თვალი ყველაფერ ამას, მაშინვე ენითაუწერელმა შიშმა შეიპყრო და ერთი პირობა იფიქრა კიდეც, ოსტატი მოკვლას ხომ არ მიპირებსო.

11

ესიხიდესაგან არცარავის გაუკვირდებოდა ამგვარი რამ. ჭოტი ხომ სწორედიმიტომ მიუსია შეგირდს, რომ თავზარდაცემული კაცის ბორგვა-ხეთქება ჩაეხატა. ამიტომ, როცა შეგირდმა დაინახა, ოსტატი აინუნშიაც არ აგდებს ჩემს გასაჭირს და მშვიდად განაგრძობს თავის საქმესო, შიშისაგან გონდაკარგულმა თავი მკლავებში ჩარგო, საშინლად დაიყვირა და ოთახის კუთხეში მიიკუჭა. მაშინ ესიხიდემ რაღაცნაირი შიშით შეჰყვირა და წამოხტა, მაგრამ ამ დროს ფრინველმა კიდევ უფრო უმატა ფრთების ფართხუნს და იმწამსვე ყურისწამღები გრუხუნი გაისმა, თითქოს რაღაც ჩამოვარდა და დაიმსხვრაო. შიშისაგან მიმკვდარებულმა შეგირდმა ხელები უნებურად ჩამოუშვა, თავი ასწია და მიმოიხედა - ოთახში წყვდიადი ჩამოწოლილიყო და მხოლოდ ოსტატის ყვირილი ისმოდა. იგი ბრაზით უხმობდა შეგირდებს.

ბოლოს შორიდან გამოეხმაურა რომელიღაც მოწაფე და აჩქარებით შემოიტანა ანთებული სანთელი. მოციმციმე ალზე დაინახეს, რომ კანდელი გადაბრუნებულიყო, იატაკი და ფარდაგები ზეთით მოთხვრილიყო, იქვე ჭოტი ეგდო და ცალ ფრთას იქნევდა. მაგიდიდან ოდნავ წამოწეული ესიხიდე თავზარდაცემული რაღაც გაუგებრობას ბუტბუტებდა. არც იყო გასაკვირი: ჭოტს თავსა და ნახევარ ტანზე შავი გველი შემოხვეოდა. ალბათ, როცა შეგირდი კუთხეში იკლაკნებოდა, ქოთანი გადააბრუნა, გველი გამოძვრა, ჭოტმა ჩანისკარტება მოუნდომა

და მთელი ეს აურზაური ამან გამოიწვია. შეგირდებმა ერთმანეთს გადახედეს. ისინი გააკვირვა უცნაურმა სანახაობამ. მერე უსიტყვოდ დაუკრეს თავი ოსტატს და სწრაფად გამოვიდნენ ოთახიდან. თუ რა დაემართა შემდეგ გველსა და ფრინველს, არავინ უწყის.

მსგავს ამბებს სათვალავი არ ჰქონდა. სურათებით თეჯირის მოხატვა მხატვარს შემოდგომის დამდეგს უბრძანეს და აი, ზამთრის მიწურულამდე შეგირდებს თავიანთი მასწავლებლის ასეთი უცნაური და ახირებული საქმეების მოლოდინი ჰქონდათ ყოველდღე. მაგრამ ზამთრის მიწურულს ოსტატმა მუშაობა რაღაც ვერ ააწყო, სახე კიდევ უფრო მოუქურუხდა და გაღიზიანებული ლაპარაკობდა.

სანახევროდ მოხატულ თეჯირს არაფერი ემატებოდა. ის კი არა და, ოსტატი ხანდახან იმასაც კი შლიდა, რაც დახატული ჰქონდა და ამას ბოლო არ უჩანდა.

სახელდობრ რა არ გამოსდიოდა მას, არავინ უწყოდა. ან კი ვინ ეცდებოდა ამის გაგებას. მწარე გამოცდილებით თვალახელილი შეგირდები თავს ისე გრძნობდნენ, თითქოს ვეფხვთან ან მგელთან ერთად ისხდნენ გალიაში და მთელი მონდომებით ცდილობდნენ, მორიდებოდნენ ოსტატის თვალს.

12 მთელი ამ დროის განმავლობაში ისეთი არაფერი მომხდარა, მოყოლად რომ ღირდეს. ოღონდ... თავისნათქვამა ბერიკაცს თვალები რაღაც წყლიანი გაუხდა. ზოგჯერ, როგორც კი მარტო დარჩებოდა, ტიროდა. ერთი შეგირდი მიყვებოდა: ერთხელ ბაღში შევედი და რას ვხედავ, ოსტატი ფანჩატურში დგას, გაზაფხულის ცას მიშტერებია და თვალები ცრემლით აქვს სავსეო. შეგირდს უხერხულად ეგრძნო თავი და სწრაფად დაუტოვებია იქაურობა. აბა, განა საკვირველი არაა, რომ ეს თავდაჯერებული ადამიანი, „სიკვდილ-სიცოცხლის ბორბლისათვის“ გზებზე დაყრილ გვამებს რომ ხატავდა, ბავშვივით ტიროდა, რადგან სურათი ისეთი არ გამოსდიოდა, როგორიც მას სურდა?

მაგრამ, სანამ ესიხიდე შეპყრობილივით მუშაობდა თავის სურათზე, მისი ქალიშვილი სულ უფრო ნაღვლიანდებოდა და ხანდახან იმასაც კი ვამჩნევდით, როგორ ყლაპავდა ცრემლებს. იგი ყოველთვის ფიქრიანი და წყნარი იყო, მაგრამ ახლა ქუთუთოები დაუმძიმდა, თვალები ჩაუცვივდა, დანაღვლიანდა. თავდაპირველად მარჩიელობა დავიწყეთ, შეიძლება მამაზე ფიქრობს ან კიდევ მისი ნაღველი სიყვარულითაა გამოწვეულიო, მაგრამ მერე თქვეს, თითქოს მის ბრწყინვალებას ესიხიდეს ქალიშვილის დამორჩილება განეზრახოს და ამის შემდეგ უცებ შეწყდა ყოველგვარი მითქმა-მოთქმა, თითქოსდა სავსებით გადაავიწყდათო იგი.

ერთხელ, შუაღამე კარგა ხნის გადასული იქნებოდა, მარტო მივდიოდი დერეფანში. უცებ

საიდანღაც მაიმუნმა ესიხიდემ მოირბინა და ქვედატანის კალთების ქაჩვა დამიწყო. თბილი ღამე იყო, მთვარე მკრთალად ანათებდა და მეჩვენებოდა, თითქოს აყვავებული ქლიავის სურნელი იფრქვეოდა საიდანღაც. და აი, მთვარის სინათლეზე დავინახე, რომ მაიმუნმა თეთრი კბილები დაკრიჭა, დრუნჩი მოჭმუჭნა და მერე შეშლილივით დაიწყო ყვირილი. უხერხულად ვიგრძენი თავი, შევშფოთდი კიდევაც. მაიმუნი ახლა ქვედატანზე მექაჩებოდა. დავაპირე, თავიდან მომეშორებინა და ჩემს გზას დავდგომოდი, მაგრამ შემდეგ გადავიფიქრე. ერთხელ რომელიღაც მსახურმა მაიმუნს აწყენინა და ამისათვის მაგრამ მოხვდა ახალგაზრდა ბატონისაგან. ამასთანავე ნათელი იყო, რო მაიმუნის ასეთ შეშფოთებას რაღაც მიზეზი ჰქონდა. გადავწყვიტე, გამეგო, რა მოხდა და უხალისოდ გადავდგი რამდენიმე ნაბიჯი იქითკენ, საითაც პირუტყვი მეწეოდა.

ასე აღმოვჩნდი დერეფნის მოსახვევთან. ფიჭვების დაღრეკილი ტოტების მიღმა გუბურა მოჩანდა, ღამის წყვდიადშიც რომ ლაპლაპებდა ოდნავ. შიშმა ამიტანა: გვერდითა ოთახიდან შეშფოთებული, საოცრად ხმადაბალი ლაპარაკი შემომესმა. ვიღაცები კამათობდნენ. გარეთ კი ყველაფერი გაყუჩებულიყო და მოკამათეთა ხმები

ისე ისმოდა, თითქოს მთვარის სხივებში თუ ღამის წყვდიადში თევზები ჩქაფუნობენო. ამიტომ, გავიგონე თუ არა ადამიანთა ხმები, უნებურად შევჩერდი: თუ აქ ვინმე ცელქობის უფლებას აძლევდა თავს, მე მათ ვუჩვენებ სეირს-მეთქი! - გავიფიქრე და სუნთქვაშეკრული ავეკარი კარებს.

13

როგორც ჩანს, მაიმუნს მოეჩვენა, რომ ფეხს ვითრევდი. მოუთმენლად დაიწყო ტრიალი ჩემს ფეხებთან, შემდეგ ისე საცოდავად დაიკვნესა, თითქოს ახრჩობენო და უცებ მხარზე შემახტა. უნებურად თავი გვერდზე გადავწიე, ხოლო მაიმუნი, დაბლა რომ არ ჩამოვარდნილიყო, სახელოში ჩამაფრინდა. იმწამსვე დაბნეულმა წავიფორხილე და მთელი ტანით დავეჯახე კარებს. დაყოვნება უკვე აღარ შეიძლებოდა. სწრაფად გავწიე კარები და ის იყო მთვარით განათებული ოთახის სიღრმეში უნდა შევვარდნილიყავი, რომ შეშინებული შევდექი, რადგან ჩემკენ ლარიდან ასხლეტილი ისარივით გამოექანა ვიღაც ქალი, კარებთან მდგარს კინაღამ დამეჯახა, გარეთ გამოვარდა, აქ უცებ მუხლებზე დაეცა და სულშეხუთული და შეშინებული ისე მომაჩერდა, თითქოს რაღაც საშინელს გადააწყდაო.

ვფიქრობ, ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ეს ესიხიდეს ქალიშვილი იყო. მაგრამ იმ საღამოს იგი რაღაც გადასხვაფერებული მეჩვენა. თვალები გაფართოებოდა, ლოყები ასწითლებოდა და აჩაჩული ტანსაცმელიც რაღაც განსაკუთრებულ, უჩვეულო მომხიბვლელობას ანიჭებდა მას. ნუთუ ეს მართლა ესიხიდეს ნაზი, მორიდებული ქალიშვილი იყო? მე კარებს მივეყრდენი და მთვარით გაბრწყინებულ ამ მშვენიერ, ქალწულებრივ სხეულს მივაცქერდი, მერე იმ მხარეს გავიხედე, საიდანაც ვიღაცის აჩქარებული ნაბიჯის ხმა მოისმოდა და თვალებით ვკითხე, ვინ იყო?

ქალიშვილმა ტუჩები მოიკვნიტა და უხმოდ გააქნია თავი... ო, რა საცოდავი შესახედავი იყო იგი ამ წუთას!

დავიხარე და ჩავჩურჩულე: „ვინ იყო?“ მაგრამ ახლაც მხოლოდ თავი გადააქნია და არაფერი მიპასუხა. ის კი არა და, მის გრძელ წამწამებს კურცხალი ჩამოეკიდა და კიდევ უფრო მაგრად მოკუმა ტუჩები.

მე მიამიტი ქალი ვარ და მხოლოდ მარტივ, ყველასთვის გასაგებ ამბებში ვერკვევი. ამიტომ, უბრალოდ, აღარ ვიცოდი, მეტი რაღა უნდა მეთქვა და ერთხანს გაუნძრევლად ვიდექი, თითქოს ქალიშვილის გულისცემას ვუგდებდი ყურს. რატომღაც მეჩვენებოდა, რომ ჩემის მხრივ ცუდი საქციელი იქნებოდა, კიდევ რაიმე რომ მეკითხა მისთვის...

რამდენ ხანს გაგრძელდა ასე, არ ვიცი. ბოლოს კარები მივხურე, ქალიშვილს გადავხედე, რომელიც ამასობაში ცოტათი გონს მოსულიყო და რაც შეიძლება რბილად ვუთხარი, წადი შენს ოთახში-მეთქი, მერე კი ჩემი გზა განვაგრძე. სულში შფოთი შემეპარა, თითქოს აკრძალული ვიხილე და თავს უხერხულად ვგრძნობდი. ათი ნაბიჯიც არ გადამედგა, რომ ქვედატანის კალთაზე ისევ მომქაჩა ვიღაცამ. შიშით მიმოვიხედე. ჰოი, საკვირველებავ!

ჩემს ფეხებთან მაიმუნი ესიხიდე იდგა ადამიანივით გულხელდაკრეფილი, ოქროს ზანზალაკებს აწკრიალებდა და მოწიწებით მიკრავდა თავს.

იმღამინდელი შემთხვევის შემდეგ ოციოდე დღე გავიდა. ერთხელ ესიხიდე მოულოდნელად გამოცხადდა სასახლეში და მის ბრწყინვალებასთან მიღება ითხოვა. მხატვარი დაბალი წოდებისა იყო, მაგრამ დიდი ხანია ხორიკავას კეთილგანწყობილებით სარგებლობდა. მისმა ბრწყინვალებამ, რომელიც არც ასე იოლად იღებდა ხალხს, ახლა ხალისით მისცა დასტური. ესიხიდე ჩვეულებრივად იყო გამოწყობილი: თავისი განუშორებელი მუქ-ყვითელი კარიგინუ ემოსა და გაქექილი მიმიებოსი ეხურა. გარეგნულად ჩვეულებრივზე უფრო მოღუშული ჩანდა.

- თეჯირის შესახებ უნდა მოგახსენოთ, რომლის ჯოჯოხეთის სურათებით მოხატვა თქვენმა ბრწყინვალებამ დიდი ხანია მიბრძანა. დიდად მოვინდომე, დღე და ღამ ფუნჯი მეჭირა ხელში და წარმატებასაც მივაღწიე. ჩემი სამუშაოს დიდი ნაწილი უკვე შესრულებულია.

- შესანიშნავია, კმაყოფილი ვარ.

ოღონდ ხმა მისი ბრწყინვალებისა, ამ სიტყვების წარმოთქმა რომ ინება, რაღაც უსიცოცხლოდ, უხალისოდ ჟღერდა.

- არა, არაფერიც არაა შესანიშნავი! - გაბრაზებულმა ესიხიდემ თვალები დახარა. - დიდი ნაწილი შესრულებულია, მაგრამ ერთი სურათის დახატვა ვერაფრით შევძელი. - რაო?! ერთი სურათის დახატვა არშეგიძლია?

- დიახ, არ შემიძლია. მე არასოდეს არ შემიძლია იმის დახატვა, რაც არ მინახავს. თუკი დავხატე, მუდამ უკმაყოფილო ვარ და ისე გამოდის, რომ არ შემიძლია. ამ სიტყვებზე მისმა ბრწყინვალებამ დამცინავად გაიღიმა.

- მაშ, თეჯირი ჯოჯოხეთის სურათებით რომ მოხატო, თავად უნდა იხილო ჯოჯოხეთი?

- დიახ, თქვენმა ბრწყინვალებამ სიმართლის თქმა ინება. რამდენიმე წლის წინ მე საკუთარი თვალით ვიხილე ისეთი ბობოქარი ხანძარი, თავისუფლად რომ შეიძლებოდა ჯოჯოხეთურ ცეცხლად ჩაგვეთვალა და ცადაწვდილი ალი „ეძირიფუდოს“ სურათზე სწორედ იმის წყალობით დავხატე, ეს ხანძარი რომ მქონდა ნანახი. თქვენი ბრწყინვალება იცნობს ამ სურათს.

- კი მაგრამ ცოდვილნი? ამას გარდა, არა მგონია, რომ ჯოჯოხეთის მსახურებიც გენახოს სადმე.

მისი ბრწყინვალება ისეთი სახით იძლეოდა შეკითხვებს, თითქოსდა ესიხიდეს სიტყვები სრულებითაც ვერ აღწევდა მის სმენამდე.

- მე ვნახე ჯაჭვით შებორკილი ადამიანი, მთლიანად ჩავიხატე, როგორ გლეჯდა მეორე ადამიანს მტაცებელი ფრინველი. ასე რომ, არ შეიძლება იმის თქმა, თითქოს სრულიად არ ვიცნობდე ცოდვილთა ტანჯვას. და ჯოჯოხეთის მსახურნიც... - ესიხიდემ ცალყბად ჩაიცინა, - ჯოჯოხეთის მსახურნიც არაერთგზის გამომეცხადებიან სიზმარში თუ ცხადში. ხარის დრუნჩიანი და ცხენისთავიანი ჭინკები, სამი სახითა და ექვსი ხელით. ისინი უხმოდ ურტყამდნენ ხელისგულებს ერთმანეთზე და უჩუმრად, პირდაღებულები ყოველდღე და, შეიძლება ითქვას,

ყოველწამს მოდიან ჩემს საწამებლად. არა... რისი დახატვაც მე მსურს და ვერ ვახერხებ, სულ სხვა რამეა.

ასეთმა სიტყვებმა, როგორც ჩანს, მისი ბრწყინვალებაც კი გააოცა. ერთხანს უკმაყოფილოდ შეჰყურებდა ესიხიდეს, შემდეგ მრისხანედ შეჰყარა წარბები და კბილებში გამოსცრა:

- თქვი, რისი დახატვა ვერ მოახერხე!

15

- მინდა, თეჯირის შუაში მაღლიდან გადმოვარდნილი ეტლი დავხატო.

ეს რომ თქვა, ესიხიდემ პირველად მიაპყრო გამჭოლი მზერა მის ბრწყინვალებას. გამიგონია, როცა სურათზე ლაპარაკობს, შეშლილს ემსგავსებაო, და მაშინაც ალბათ მისი გამოხედვა შიშის ზარს დასცემდა ადამიანს.

- ეტლში კი, - განაგრძობდა მხატვარი, - შავ თმაზე ალმოდებული სეფექალი იგრიხება ტანჯვით. კვამლისაგან სულშეხუთულს წარბები დაბრეცია და სახე ზევითკენ მოქცევია. ხელით ბამბუკის ფარდას გლეჯს, შეიძლება იმიტომ, რომ მისგან წამოსულ ნაპერწკალთა წვიმისაგან დაიხსნას თავი. ზემოთ ფრთების ფართხუნით ტრიალებს და ცეცხლმოკიდებულ ეტლს თავს ევლება ათი-ოცი მტაცებელი ფრინველი... აი, ამ ქალბატონისა და ცეცხლმოდებული ეტლის დახატვა ვერ მომიხერხებია.

- მერე რა? - რატომღაც კმაყოფილისახით შეეპასუხა მხატვარს მისი ბრწყინვალება.

- ამის დახატვას ვერ ვახერხებ... - და უცებ მკვეთრად, თითქოს ვინმეს უნდა ეცესო, წამოიძახა: - გევედრებით, თქვენო ბრწყინვალებავ, დააწვევინეთ ჩემს თვალწინ ეტლი, ამას გარდა, თუ შეიძლება...

მის ბრწყინვალებას სახე მოექუფრა, მაგრამ უცებ გადაიხარხარა და სიცილისაგან სულშეხუთულმა ამის თქმაღა მოახერხა: - მე ყველაფერს გავაკეთებ, რასაც შენ ითხოვ.

ეს სიტყვები რომ გავიგონე, გულმა რეჩხი მიყო და უცებ ძალიან შევშინდი. მართლაც და, მის ბრწყინვალებასაც სახე სულ გადასხვაფერებოდა, ტუჩებზე ქაფი მოსდებოდა და თვალებში რისხვა ჩასდგომოდა. კაცი იფიქრებდა, ესიხიდეს სიგიჟე მასაც გადაედოო. იგი ნელ-ნელა დაწყნარდა, მაგრამ უცებ, თითქოს ეშმაკი შეუჯდაო, ისევ გადაიხარხარა:

- დავწვავ ეტლს! მასში სეფექალივით გამოწყობილ მშვენიერ ასულს ჩასვამ და იგი, ალითა და შავი კვამლით გაწამებული, საშინელი სიკვდილით მოკვდება. ის, ვინც ამის დახატვა მოიფიქრა, მართლაც პირველი მხატვარია მთელს ცისქვეშეთში! ბარაქალა, მართლაც ბარაქალა!

მისი ბრწყინვალების სიტყვები რომ გაიგონა, ესიხიდე მაშინვე გაფითრდა, მხოლოდ ტუჩებს აცმაცუნებდა ოდნავ, თითქოს ჰაერი არ ყოფნისო, მერე მთელი სხეული მოუდუნდა, იატაკს ხელებით დაეყრდნო და წყნარად, ძლივსგასაგონად მოახსენა მადლი:

- ეს უდიდესი ბედნიერებაა!

- შესაძლოა, მისი ბრწყინვალების სიტყვები რომ გაიგონა, ესიხიდეს თვალნათლივ წარმოუდგა თავისი ჩანაფიქრის მთელი საშინელება. ჩემი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე ერთადერთხელ, მხოლოდ ახლა შემეცოდა იგი.

16

ეს ამბავი ორი სამი დღის შემდეგ მოხდა, ღამით. მისმა ბრწყინვალებამ ესიხიდე იხმო, რათა, პირობისამებრ, ეტლის დაწვა ეჩვენებინა. ეს, რა თქმა უნდა, სასახლეში არ მომხდარა, ეტლი ქალაქგარეთ, აგარაკზე დაწვეს, სადაც ადრე მისი ბრწყინვალების და ცხოვრობდა. ამ აგარაკს მდაბიურად „იუკიგეს სასახლეს“ ეძახდნენ.

ამ „იუკიგეს სასახლეში“ კარგა ხანია აღარავინ ცხოვრობდა და დიდი, მიტოვებული ბაღი ერთიანად გავერანდა. ათასნაირი ხმები დადიოდა მისი ბრწყინვალების დაზე, აქ რომ გარდაიცვალა. მაგალითად, უმთვარო ღამეები, სასახლის ტალანებში მისი ალისფერი კაბა დაფრინავსო... დღისითაც კი პირქუში იყო აქაურობა, ხოლო ღამით, ვარსკვლავთა სინათლეზე, ზღაპრული ურჩხულების მსგავსი ვეება ღამურები დაფარფატებდნენ.

მაშინაც ბნელი, უმთვარო ღამე იყო. ჩირაღნების შუქზე მის ბრწყინვალებას დაინახავდით. იგი

თეთრი ფარჩის ქობაშემოვლებულბალიშზე იჯდა ფეხმორთხმული, გარეთა გალერეის კუთხეში. სადარბაზო ტანსაცმელი ეცვა - ყვითელი ნაოსი[85] და ღერბებით დამშვენებული მუქ-ლურჯი ხაკამა. მის ირგვლივ უახლოესი პირები მოკალათებულიყვნენ მოწიწებით. მათ შორის ერთი ახოვანი გეცემოდათ თვალში. მას ამბობდნენ, სულ ახლახან, მიტინოკუსთან გამართული ომის დროს, შიმშილისაგან შეწუხებულს ადამიანის ხორცი უჭამია და მას მერე ისეთი ღონიერი გამხდარა, ცოცხალი ირმისთვის რქების მომტვრევა შეუძლიაო. იგი მედიდურად მოკალათებულიყო კუთხეში, წელზე ფართო სარტყელი შემოერტყა და ხელში მაღლა შემართული. ხმალი ეჭირა. ქარი ჩირაღდნების ალს ათამაშებდა და ადამიანთა ფიგურები ხან სინათლეზე გამოდიოდნენ, ხან ჩრდილს ეფარებოდნენ. ყველაფერი ეს სიზმარს ჰგავდა და შიშს იწვევდა.

ბაღში კი ვარსკვლავებისმაგვარი ოქროს სამშვენისებით მორთული ეტლი ბრწყინავდა. იგი ჯერ კიდევ შეუბმელი იყო და ხელნა ალმაცერად ეშვებოდა ქვესადგარზე. ეტლის მაღალ სახურავს სქელი ბურუსი ჩამოსწოლოდა და თუმცა უკვე გაზაფხული იდგა, მის შეხედვაზე ტანში სიცივე დაგივლიდათ. ბამბუკის ლურჯი ფარდა, რომელსაც ნახჭიანი არშია ჰქონდა შემოვლებული, სულ დაბლა იყო დაშვებული და ყველაფერს ფარავდა. ეტლის ირგვლივ ბრძანების შესასრულებლად მომზადებული მსახურები იდგნენ ანთებული ჩირაღდნებით და თვალყურს ადევნებდნენ, რომ ბოლო ფანჩატურისაკენ არ წაეღო ნიავს.

თვითონ ესიხიდე მოშორებით ჩაცუცქულიყო ფანჩატურის მოპირდაპირე მხარეს. თავის განუშორებელ კარიგინუსა და გაცრეცილ მიმიებოსში იგი ისე საოცრად დაპატარავებული და საცოდავი ჩანდა, თითქოს ვარსკვლავებით მოჭედილი ცის სიმძიმეს გაუჭყლეტიაო. მხატვარს მასავით გამოწყობილი შეგირდი ახლდა. რადგან

ორივენი სიბნელეში ისხდნენ, ფანჩატურიდან, სადაც მე ვიმყოფებოდი, მათი ტანსაცმლის ფერის გარჩევაც კი არ შეიძლებოდა.

17

შუაღამე ახლოვდებოდა. მთელი ბაღი, ხეებითა და ნაკადულებით ისეთ წყვდიადს მოეცვა, ყველანაირ ჩქამსა და ბგერას რომ ნთქვადა და ახშობდა: სიჩუმეში, როცა კაცს ეჩვენება, საკუთარი სუნთქვა მესმისო, ნიავის წყნარი შარიშური ისმოდა მხოლოდ. ნიავის ყოველ მოქროლვაზე ჩირაღდანთა მჭვარტლისა და ბოლის სუნს ვგრძნობდი. მისი ბრწყინვალება ერთხანს ჩუმად იყო და ამ ზღაპრულ სურათს უყურებდა. მერე წინ გადაიხარა და ხაფი ხმით დაიძახა:

- ესიხიდე!

მხატვარმა თითქოს უპასუხა, მაგრამ ჩემს სმენას რაღაც გაუგებარი კვნესა მისწვდა მხოლოდ.

- ესიხიდე! დღეს, შენი სურვილისამებრს, დავაწვევინებ ეტლს!

ეს რომ თქვა, მისმა ბრწყინვალებამ წამით შეავლო თვალის შინაკაცებს. შეიძლება მომეჩვენა, მაგრამ ამ დროს შინაკაცებმა თითქოს მრავალმნიშვნელოვნად გადახედეს ერთმანეთს და გაიღიმეს. ესიხიდემ თავი ასწია და მოწიწებით მიაპყრო მზერა გალერეას, მაგრამ არაფერი უთქვამს.

- კარგად შეხედე! ეს ის ეტლია, რომელშიც მე ვჯდებოდი ხოლმე. შენ ალბათგახსოვს იგი. ახლა მისი დაწვა მნებავს, რათა თვალნათლივ გიჩვენო ცეცხლოვანი ჯოჯოხეთი. - მისი ბრწყინვალება დადუმდა და ხელახლა მოავლო თვალი დიდებულებს. შემდეგ უცებ მკაცრად წარმოთქვა: - შიგნით გათოკილი დამნაშავე ზის. დიახ, როცა ეტლს ცეცხლს წაუკიდებენ, უკეთური ქალის სხეული დაიწვება, ძვლები დანახშირდება და იგი საშინელ ტანჯვაში დალევს სულს. შენი სურათისათვის ეს განუმეორებელი ნატურა იქნება! არაფერი გამოგეპაროს, კარგად დააკვირდი, როგორ აალდება ქათქათა სხეული და აბრიალებული თმა როგორ გაიფანტება ნაპერწკლებად.

მისი ბრწყინვალება მესამეჯერ დადუმდა, მაგრამ შემდეგ, თითქოს რაღაც გაახსენდაო, სიცილით, ოღონდ ამჯერად ძლივსგასაგონად, ისე, რომ მხოლოდ მხრები უთრთოდა, წარმოთქვა:

- ასეთ სანახაობას მეორედ მოსვლამდე ვერ იხილავ! მეც უნდა დავტკბე მისი ცქერით. აბა, ასწიეთ ფარდები, აჩვენეთ ესიხიდეს, ვინ ზის ეტლში!

ბრძანება რომ გაიგონა, ერთ-ერთი მსახური მაღლააწეული ჩირაღდნით მიუახლოვდა ეტლს, ხელი გაიწოდა და ერთი აქნევით გადასწია ფარდა. აბრიალებულმა ჩირაღდანმა ალისფერი რხეული შუქით გაანათა ეტლის მოგრძო შიგთავსი - ჯაჭვით შეუბრალებლად შებოჭილი ქალი... ოჰ, აბა ვინ ვერ იცნობდა მას! მდიდრულ, ალუბლის ყვავილებით მორთულ აბრეშუმის კაბაზე თვალწარმტაცად ეშვებოდა კუპრივით შავი თმა, ლამაზად ბრჭყვიალებდა ცერად დამაგრებული ოქროს სარჭები. ტანსაცმლით მისი ცნობა არ შეიძლებოდა, მაგრამ სარო ტანი, თეთრი კისერი და მორცხვი, ნაღვლიანი სახე... ეს ესიხიდეს ქალიშვილი იყო! მე კინაღამ დავიკივლე.

და მაშინ... ის ახოვანი კაცი, ჩემს პირდაპირ რომ იჯდა, წამოდგა, ხმლის ვადას ჩასჭიდა ხელი და მრისხანე მზერა მიაპყრო ესიხიდეს. შეშინებულმა შევნიშნე, რომ ესიხიდემ კინაღამ გრძნობა დაკარგა. აქამდე იგი ჩაცუცქული იყო, მაგრამ უცებ წამოვარდა, ხელები წინ გაიშვირა და თავდავიწყებულმა ეტლისაკენ გაიწია. სამწუხაროდ, იგი ჩემგან შორს იყო, გარდა ამისა, ბნელოდა და მისი სახის გამომეტყველების გარჩევა ვერ შევძელი. ამის გამო დანანებაც ვერ მოვასწარი, რომ მხატვრის ფერდაკარგული, სისხლისგან დაცლილი სახე, სახე კი არა, მთელი

ტანი, თითქოს რაღაც უხილავი ძალით ზეაზიდული, უცებ მკაფიოდ დამიდგა თვალწინ. მისი ბრწყინვალების ბრძანებაზე - წაუკიდეთო! - მსახურებმა ჩირაღდნები ისროლეს და თვალისმომჭრელად აბრიალდა ცეცხლწაკიდებული ეტლი, რომელშიც მხატვრის ქალიშვილი იჯდა.

18

ალი სწრაფად მოედო ეტლის სახურავს. სოსანისფერი ფოჩები, რომლებითაც ეტლის კიდეები იყო მორთული, ისე შეირხა, თითქოს ნიავმა დაუბერაო. ქვემოდან კვამლის თეთრი ბოლქვები გამოიჭრა. მათი სიკაშკაშე სიბნელეშიაც თვალს სჭრიდა ადამიანს. ნაპერწკლები ისე ცვიოდა, თითქოს ოქროს სამკაულები იფანტებოდა წვიმის შხეფებივით. რას ნახავდა კაცის თვალი ამაზე საშინელს! უზარმაზარი ალის ცეცხლოვანი ენები ლოკავდა ეტლს და ზეცისაკენ მიიკლაკნებოდა. იქაურობა ისე კაშკაშებდა, კაცი იფიქრებდა, მზე ჩამოვარდნილა და ციური ცეცხლი ბობოქრობს დედამიწაზეო. პირველ წამს კინაღამ ვიკივლე, მაგრამ მერე, თითქოს სული გამეყარა, პირდაღებული, თავზარდაცემული შევყურებდი ამ საშინელ სურათს. ხოლომამამისი, ესიხიდე...

დღემდე ვერ შევძელი მისი სახის დავიწყება. თავდაპირველად აზრდაკარგულს თითქოს

ეტლთან მივარდნა უნდოდა, მაგრამ იმ წამს, როცა ალი აბრიალდა, შეჩერდა, ხელები წინ გაიშვირა და ყველაფრის შთამთქმელი მზერა მიაპყრო ხანძარს. ერთი წამითაც არ მოუშორებია თვალი ცეცხლში გახვეული ეტლისათვის. კაშკაშა სინათლეში კარგად მოჩანდა მისი დაღარული, უმსგავსი სახე, ფართოდ გახელილი თვალები, დაბრეცილი ტუჩები, ნერვიულად მოცახცახე ლოყები... მთელი საშინელება, განწირულობა, შიში, რიგრიგობით რომ ეუფლებოდა ესიხიდეს გონებას, მის სახეზე იყო გამოხატული. ქვესკნელის მთავართა წინაშე მდგომ ბოროტმოქმედსაც არ ექნებოდა ალბათ ასეთი საწყალობელი სახე: ამ სურათის ხილვაზე ახოვანი კაციც კი გაფითრდა და შიშით მიაჩერდა მის ბრწყინვალებას.მისი ბრწყინვალება ტუჩებს იკვნეტდა, ხანდახან ბოროტად ჩაიცინებდა და თვალს არ აშორებდა ეტლს. იქ კი... რაც მე იქ ვიხილე, არავითარი ძალა არ მეყოფა იმის გადმოსაცემად. ბოლისაგან სულშეხუთული ქალის უკან გადავარდნილი თავი, გრძელი, ალმოდებული, აწეწილი თმა, ლამაზი, ალუბლის ყვავილებით მოქარგული კაბა, ყველას თვალწინ რომ იქცა ცეცხლად... ო, რა საშინელება იყო! განსაკუთრებით იმ წუთებში, როცა ღამის ნიავი კვამლს გაფანტავდა და ცეცხლის ენები გადაიწეოდა: ალისფერ, ოქროს მტვერით მოციმციმე არილში მოჩანდა, ქალი როგორ ჩაფრენოდა კბილებით ქსოვილის ნაჭერს, რომლითაც პირი ჰქონდა აკრული, როგორ ფეთქავდა და იგრიხებოდა, თითქოს აგერ-აგერ ჯაჭვებიც

დაწყდებაო. იმ წუთას ყველას ყალყზე დაგვიდგა თმა, თითქოს ნამდვილი ჯოჯოხეთი ვიხილეთ საკუთარი თვალებით!

და აი, თითქოს ისევ ღამის ნიავმა გადაუქროლა ხეთა კენწეროებს... ალბათ ასე იფიქრა ყველამ. გაისმა თუ არა ეს ხმა ჩაბნელებულ ცაზე, მაშინვე რაღაც შავი მოსწყდა სასახლის სახურავს, ბურთივით ჩაეშვა ცეცხლწაკიდებულ ეტლში, ალმოდებული კარის მიღმა გადაწოლილი ქალიშვილის მხრებს მიეკრა და მკვეთრი, აბრეშუმის ფხრეწისმაგვარი, საოცრად შესაბრალისი ხმა გამოსცა... ერთხელ... მეორეჯერ... მესამეჯერ... ჩვენ ყველამ თავდავიწყებით წამოვიყვირეთ: კედლადაღმართული ალის ფონზე გოგონასთან ჩახუტებული მაიმუნი, მეტსახელად ესიხიდე, იკრუნჩხებოდა. იგი მდინარე ხორიკავას ნაპირას აღმართულ სასახლეში ჰყავდათ დაბმული...

19

მაგრამ პირუტყვი მხოლოდ წამით გამოჩნდა. ოქროსფერი ნაპერწკლები ბოლქვებად აიჭრა მაღლა და ქალიშვილიცა და მაიმუნიც მაშინვე კვამლის ბუღმა დაფარა. ახლა ბაღში მხოლოდ ცეცხლმოდებული ეტლი ბრიალებდა ყურისწამღები ტკაცუნით, არა, უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით - ეტლი კი არა, ცეცხლოვანი სვეტი, ვარსკვლავებით მოჭედილი ცისკენ რომ მიიწევდა პირდაპირ.

ესიხიდე თითქოს გაქვავდა ამ ცეცხლოვანი სვეტის წინაშე... მაგრამ აი, საოცრება: აქამდე იგი ჯოჯოხეთურ ტანჯვას განიცდიდა თითქოს, მაგრამ ახლა გულხელდაკრეფილი იდგა, მისი

ბრწყინვალების არსებობაც კი დავიწყებოდა და დაღარულ სახეზე რაღაც ენითაუწერელი აღტაცების ნათელი გადაჰფენოდა. იგი ალბათ ვერც კი ხედავდა, როგორი ტანჯვით კვდებოდა მისი ერთადერთი ქალიშვილი. წითელი ალის სილამაზე და ცეცხლში მბორგავი ქალის სხეული უსაზღვრო აღტაცებას იწვევდა მის გულში და იგი ერთიანად მოაჯადოვა ამ სანახაობამ.

ამ წუთას ესიხიდეს დაუფლებოდა იდუმალი, თითქმის არაადამიანური სიდიადე, რომელიც მხოლოდ სიზმარში შეიძლება იხილოს კაცმა. უთვალავი ღამეული ჩიტიც კი, მოულოდნელი ალით დამფრთხალი, წივილით რომ დაჰქროდა ჰაერში, ახლოსაც კი არ გაჰკარებია ესიხიდეს გაცრეცილ ქუდს. მგონი, უსულგულო ფრინველთა თვალებმაც კი შეამჩნიეს ის საკვირველი სიდიადე, ოქროსფერ ნათლად რომ დასდგომოდა ესიხიდეს თავს.

ყოველი ჩვენთაგანიც სულგაკმენდილი, მთელი სხეულით ათრთოლებული, შეუცნობელი სიხარულით სავსე, ისე შევყურებდით ესიხიდეს, როგორც ახალმოვლენილ ბუდას. ცეცხლმოკიდებულ ეტლს გუგუნით ასდიოდა ალი და მთელ ცისქვეშეთს ფარავდა. იქვე გაქვავებულივით იდგა ამ სანახაობით მოჯადოებული ესიხიდე... როგორი დიდება, როგორი აღამაფრენა ეხატა სახეზე! მისი ბრწყინვალება კი ამ დროს სახეშეშლილი, ტუჩებზე ქაფმოდებული, ორივე ხელით ჩაფრენოდა სოსანისფერი აბრეშუმით დაფარულ მუხლებს და ხარბად ნთქამდა ჰაერს.

20

„იუკიგეს სასახლეში“ ეტლის დაწვის ამბავი მაშინვე მოედო მთელ ქვეყანას და ათასნაირი ხმა გავრცელდა. ამბობდნენ, მისმა ბრწყინვალებამ შური იძია უარყოფილი სიყვარულის გამოო, მაგრამ თავად ხორიკავა სრულიად საწინააღმდეგოს ამტკივცებდა: მას ჭკუა უნდოდა ესწავლებინა გულმხეცი მხატვრისათვის, რომელიც მზად იყო, თავისი სურათის გულისათვის ეტლი დაეწვა და ადამიანი გაეწირა.

ესიხიდეს კი, თუმცა ერთადერთი ქალიშვილი დაუწვეს თვალწინ, თავისი ქვასავით მტკიცე გადაწყვეტილება სურათის დახატვისა არ შეუცვლია. პირიქით, ეს გადაწყვეტილება კიდევ უფრო განუმტკიცდა. ბევრი თათხავდა ადა აგინებდა მას, ბოროტსა და მხეცს უწოდებდა, რადგან მამობრივი სიყვარული დაივიწყა სურათის გულისათვის. ამავე აზრისა იყო იოკოგაველი წინამძღვარიც. იგი ხშირად იტყოდა ხოლმე, რაც უნდა დიდი ხელოვანი იყოს ესიხიდე და როგორ ბრწყინვალედაც უნდა იცოდეს თავისი საქმე, თუკი დასაბამიერ ურთიერთობათა ხუთი კანონი არ ესმის[86], მაინც ჯოჯოხეთშია მისი ადგილიო.

ერთი თვის შემდეგ ჯოჯოხეთის სურათებით მოხატული თეჯირი უკვე მზად იყო. მაშინვე მოიტანა იგი ესიხიდემ სასახლეში და მოწიწებით წარუდგინა მისი ბრწყინვალების სამსჯავროს.

იოკოგაველი მოძღვარიც იქ იყო ამ დროს და იგი ფრიად განაცვიფრა ცეცხლის საშინელმა გრიგალმა, თეჯირზე დახატულ ჯოჯოხეთში რომ ბობოქრობდა. ადრე იგი მოღუშული, ცერად თუ გადახედავდა ესიხიდეს, მაგრამ ახლა თავი ვერ შეიკავა და წამოიძახა: „შეუდარებელია!“ მე ჯერაც ვერ დამივიწყებია, თუ როგორ გაიცინა მისმა ბრწყინვალებამ ამის გაგონებისას. მას შემდეგ ესიხიდე აუგად არავის უხსენებია.

ამასობაში მხატვარი იმქვეყნად წასულებს შეუერთდა. თეჯირის მოხატვა რომ დაამთავრა, მეორე ღამესვე ჩამოიხრჩო თავი. საკუთარი ოთახის თავხეზე. სიცოცხლე თუ მოსძულდა ერთადერთი ქალიშვილის დამკარგავს. იგი იმ ადგილას დაასაფლავეს, სადაც ადრე სახლი ედგა. საფლავის უბრალო ლოდი, წლების მანძილზე ქარისა და წვიმის ანაბარა რომ იყო მიტოვებული, ისე დაიფარა ხავსით, რომ ახლა აღარავინ უწყის, ვინ მარხია იქ. ივლისი, ***1918*** წელი თარგმნა ომარ გოგიჩაიშვილმა

ქრისტიანის სიკვდილი

სამასი წელიც რომ იცოცხლო ნეტარებაში, რომლის ღირსი არა ხარ, ისიც კი არარაობაა მომავლის მარადიულ და უსაზღვრო ნეტარებასთან შედარებით. გი დე პედაკორი. „ჩანაწერები ღვთივსათნო ცხოვრების შესახებ“, იაპონური თარგმანი. *1599*წ.

სიკეთისათვის აღძრული ადამიანი შეიცნობს სიტკბოებას საიდუმლოისას, ღვთაებრივ მოძღვრებაში რომაა დაფარული.
Imitatione christi.
იაპონური თარგმანი. *1596*წ.

1

უხსოვარი დროის წინათ, იაპონიის ქალაქ ნაგასაკში, სანტა ლუჩიას ეკლესიაში ცხოვრობდა ყმაწვილი იაპონელი, სახელად ლორენცო. როგორც მოგვითხრობენ, იგი შობის ღამით სალოცავად მოსულ ქრისტიანებს უპოვიათ ტაძრის შესასვლელთან, შიმშილისაგან მთლად დაოსებული, მოუსულიერებიათ, მერე კი პატერენს შებრალებია და აღსაზრდელად აუყვანია.

როდესაც ყმაწვილს ეკითხებოდნენ ვინაობას, იგი ჩვეულებრივ ალალი ღიმილით პასუხობდა, რომ მისი სამშობლოა პარაისო, ხოლო მამა - დეუსუ, და არც ერთხელ არ დასცდენია სიმართლე. ჩანდა, მისი მშობლები არ იყვნენ წარმართები. ამაში დასარწმუნებლად საკმაო იყო შეგეხედათ ქარვის კრიალოსნისთვის მის მაჯაზე. სწორედ ამიტომ, წმინდა მამამაც და ძმებმაც უკუაგდეს ყოველგვარი ეჭვი და გულითად მზრუნველობას არ აკლებდნენ. რწმენის სიმტკიცით იგი არ ჩამოუვარდებოდა უფროსებს, რის გამოც ეკლესიის მეთაურები განცვიფრების გამოსახატავად სიტყვებს ვერ პოულობდნენ. პატარა ლორენცოს ყველა ხორცშესხმულ ანგელოზად თვლიდა, უყვარდათ და ეალერსებოდნენ, თუმცა არავინ უწყოდა, ვისი შვილი იყო და სადაური.

ყოველივე ამასთან ერთად, კიდევ უფრო დიდ აღტაცებას იწვევდა ძვირფასი ამარტისფერი მისი სახის ნაკვთები და გოგონასავით ნაზი ხმა. ლორენცოს განსაკუთრებული სიყვარულით ეპყრობოდა და როგორც პატარა ძმას, ისე უყურებდა ბერი სიმეონი, ისიც იაპონელი. ხელჩაკიდებული დაჰყავდა ყველგან ლორენცო. სიმეონი წარმოშობით სამურაი იყო. იგი სიმაღლითაც გამოირჩეოდა და დიდი ჯანითაც, რის წყალობით არაერთხელ დაეცვა პატერენი წარმართთაგან, ქვას და კრამიტს რომ ესროდნენ. იგი ისე ნაზად ელტვოდა ლორენცოს, როგორც მთის არწივი მტრედს, ანდა, როგორც აყვავილებული ვენახი ლიბანის კვიპაროსს, ლერწებით რომ შემოესკვნება ხოლმე.

ასე გაიარა სამზე მეტმა წელმა. და, აი, ლორენცოს დაუდგა ჟამი სრულწლოვანების წესის აღსრულებისა. მაგრამ უეცრად დაირხა ხმები, თითქოს ლორენცოს საიდუმლო კავშირი დაემყარებინა ქოლგებითა და წნული ქუდებით მოვაჭრის ქალიშვილთან, რომელიც სანტა-ლუჩიას ახლოს ცხოვრობდა. ეს მოხუციც საღვთო წიგნებს აღიარებდა და, ჩვეულებრივ, თავის ქალიშვილთან ერთად დადიოდა ეკლესიაში.

გოგონა ლოცვის დროსაც კი თვალმოუშორებლად უჭვრეტდა ლორენცოს, რომელსაც საცეცხლური ეჭირა ხელში. მეტიც, იგი ეკლესიაში ყოველთვის კოხტად დავარცხნილი მოდიოდა და ვნებიან მზერას ესროდა ჭაბუკს. ეს, ცხადია, შეუმჩნეველი არ დარჩენია მრევლს. ერთმა შეამჩნია, რომ ახლოს გავლისას გოგონამ ფეხზე დააბიჯა ლორენცოს. ზოგიერთები იმასაც ამტკიცებდნენ, თითქოს საკუთარი თვალებით დაენახათ, თუ როგორ გადაუციათ ახალგაზრდებს ერთმანეთისათვის სამიჯნურო ბარათები.

პატერენმა, როგორც ჩანს, გადაწყვიტა, უყურადღებოდ არ დაეტოვებინა ყოველივე ეს. ერთხელ მან იხმო ლორენცო, თეთრი წვერი ჩაიკვნიტა და ლმობიერად უთხრა:

- მისმინე, რაღაც გავიგე შენზე და ქოლგებით მოვაჭრის ქალიშვილზე. ჭორია ალბათ. რას იტყვი? ლორენცომ მწარედ გააქნია თავი და ცრემლმორეულმა უპასუხა:

- არავითარი მსგავსი არ შეიძლება მომხდარიყო.

პატერენმა, როგორც ამბობენ, დაუჯერა მას. იფიქრა, ასეთ ყმაწვილურ ასაკში ასეთი ღვთისმოსავი ჭაბუკი ნამდვილად არ იცრუებსო.

ასე რომ, პატერენის ეჭვი ამჯერად გაიფანტა. მაგრამ მითქმა-მოთქმა მაინც არ წყდებოდა სანტა-ლუჩიას მორწმუნეებში. სიმეონი, რომელსაც ძმასავით უყვარდა ლორენცო, ამის გამო ძალზე შეშფოთებული იყო, მაგრამ მის მკაცრ დაკითხვას თავს არიდებდა. არათუ მკაცრი დაკითხვა, უნდობლადაც არ შეეძლო შეეხედა მისთვის. მაგრამ ერთხელ სანტა-ლუჩიას შიგა ეზოში მან იპოვა ლორენცოსადმი მიწერილი გოგონას სამიჯნურო ბარათი. სიმეონმა ლორენცო მარტო მოიხელთა ოთახში, ბარათი ცხვირწინ აუფრიალა და ხან მუქარით, ხან კი დაყვავებით, შეეცადა წვრილად გამოეკითხა ყველაფერი. მაგრამ დარცხვენისაგან სახეალანძული მშვენიერი ლორენცო მხოლოდ ამას იმეორებდა: „ჰო, ვიცი, რომ გოგონას ვუყვარვარ. წერილებიც მომწერა. მაგრამ მისთვის ერთი სიტყვაც არ მითქვამს არასოდეს“. სიმეონმა კი, რამდენადაც საქმე ცოდვის ქმნას ეხებოდა, კიდევ უფრო დაჟინებით დაუწყო გამოკითხვა და საყვედურები. მაშინ ლორენცომ ნაღვლით სავსე მზერა მიაპყრო სიმენონს და საყვედურით წარმოთქვა:

- ნუთუ ფიქრობ, რომ მე შენი მოტყუება შემიძლია?

ერთი სიტყვაც არ უთქვამს ამის მეტი, და ოთახიდან მერცხლის სისწრაფით გამოვარდა. ლორენცოს სიტყვებმა სიმეონს სინდისის ქენჯნა მოჰგვარა ასეთი ეჭვების გამო. შეწუხებულმა სიმეონმა წასვლა დააპირა, მაგრამ უეცრად წინ შეეჩეხა ოთახში შემოჭრილი ლორენცო. მან სწრაფად შემოჰხვია ყელზე ხელები სიმეონს და ნაწყვეტნაწყვეტი ჩურჩულით წარმოთქვა:

- დამნაშავე ვარ. მაპატიე.

სიმეონმა ხმის დაძვრაც ვერ მოასწრო, ისე სწრაფადვე მოსცილდა ლორენცო და გარეთ გაიჭრა, ალბათ ცრემლების დამალვა თუ უნდოდა. „დამნაშავე ვარ“! - რას ნიშნავდა ეს სიტყვები? გოგონასთან საიდუმლო კავშირის აღიარებას, თუ კადნიერი შეპასუხების გამო სინანულს? სიმეონს ვერაფერი გაეგო.

მაგრამ ერთი კვირის შემდეგ დაჟინებით დაიწყეს ლაპარაკი, რომ ქოლგებით მოვაჭრის ქალიშვილი ფეხმძიმედ იყო. ამასთან ამბობდნენ, თითქოს თვით გოგონა გამოუტყდა მამას, რომ სანტა-ლუჩიელ ლორენცოსაგან ჩასახულ ბავშვს ატარებდა მუცლით. გააფთრებული მოხუცი საჩივლელად მიიჭრა პატერენთან. საქმის ასე შეტრიალების გამო ლორენცოს უკვე აღარ შეეძლო თავის მართლება, და პატერენის მეთაურობით იმავე დღეს შეკრებილმა წმინდა ძმობამ ლორენცო ეკლესიიდან განკვეთა. ამას უნდა მოჰყოლოდა გაძევება სანტა-ლუჩიადანაც.

ლორენცოს საარსებო წყარო მოესპო. მაგრამ ასეთი დამნაშავის დატოვება სანტალუჩიაში არაფრით მოხერხდებოდა, რადგან ამას შეიძლება ზიანი მიეყენებინა უფლის დიდებისათვის. და ადამიანმა, რომლებსაც ძალიან უყვარდათ ლორენცო, ცრემლები ჩაყლაპეს და გადაწყვიტეს მისი გაძევება.

ყველაზე მეტად იტანჯებოდა სიმეონი, რომელსაც ლორენცო უფროს ძმასავით უყურებდა. მაგრამ მას ლორენცოს სიცრუე უფრო ტანჯავდა, ვიდრე მისი გაძევება. და როდესაც ეს საყვარელი ჭაბუკი, ასეთი უბედური, გასასვლელისაკენ წალასლასდა ცივ ქარში, სიმეონი მივიდა მასთან და ხელუკუღმა ლეწა მშვენიერ სახეში. დარტყმა იმდენად ძლიერი იყო, რომ ლორენცო ძირს დაენარცხა, მაგრამ სწრაფად წამოიჭრა, ცად აღაპყრო ცრემლით სავსე თვალები და ხმის კანკალით წარმოთქვა:

- ღმერთო, მიუტევე, რამეთუ არა უწყის, რასა იქმს!

ამ სიტყვებმა სიმეონი დააცხრო. წმინდა ძმები შემოეხვივნენ და დამშვიდება დაუწყეს. იგი ერთხანს კიდევ იდგა ეზოში, მუშტები უთრთოდა, ბოლოს ხელები გულზე დაიჭდო და საავდრო ცასავით მოქუფრული სახით თვალმოუშორებლად მიაშტერდა, ლამის თვალებით ჭამდა სანტა-ლუჩიას ჭიშკრიდან გამავალ თავჩაქინდრულ ლორენცოს. ქრისტიან მოწმეთა

თქმით, სწორედ ამ დროს ნაგასაკის დასავლეთით, ნაღვლიანად მიმავალ ლორენცოს ცის თაღიდან თითქმის ზედ თავზე დაადგა მზის დისკო, რომელსაც ცივი, ძლიერი ქარი ატოკებდა, და ჭაბუკის ნაზი ფიგურა გამოიკვეთა გაჩირაღდნებული ცის ფონზე.

ამიერიდან ლორენცო დასახლდა ქალაქის განაპირას, ღარიბულ ქოხში და მათხოვრული ცხოვრება დაიწყო. როგორ არ ჰგავდა ეს იმ ყოფას, როდესაც საცეცხლური ეჭირა სანტა-ლუჩიას მთავარ ტაძარში! ქრისტიანული ღმერთისადმი მისი მსახურება ადრეც სიძულვილს იწვევდა წარმართთა ბრბოში, ახლა კი ამას განკიცხვაც დაემატა. ქუჩაში გამოსულ ლორენცოს ბოროტი ბავშვები აჯავრებდნენ, ზოგიერთები ქვებსა და კრამიტის ნატეხებს ესროდნენ, ხანდახან ჯოხითაც ემუქრებოდნენ, ხმლითაც კი. ერთხელ საშინელი ციებ-ცხელება შეეყარა, ნაგასაკში რომ მძვინვარებდა, და იგი შვიდი დღე და ღამე ეგდო გზის პირას, ქვაფენილზე, კრუნჩხვებით გაწამებული. ახლაც მხოლოდ ძესუსუსადმი უსაზღვრო სიყვარულმა გადაარჩინა. იმ დღეებშიც, არავინ რომ არ აძლევდა სამოწყალოდ ბრინჯს ანდა ფულს, უზენაესი გარდმოუვლენდა ხოლმე ველურ ხილს, თევზს თუ მოლუსკებს, რითაც ლორენცო შიმშილს იკლავდა. ამიტომაც როგორც ყვებიან, ლორენცო დილისა და საღამოს ლოცვებში არ ივიწყებდა სანტა-ლუჩიაში გატარებულ ხანას, და ქარვის კრიალოსანი მის მაჯაზე ისევ კრიალებდა. და განა მარტო ეს? ყოველთვის, როგორც კი

ქალაქი ღამეში ჩაიძირებოდა და გამვლელთა ფეხის ხმა მიწყდებოდა, ჭაბუკი შეუმჩნევლად გამოძვრებოდა თავისი ქოხიდან, მთვარით განათებულ ბილიკით მიდიოდა ნაცნობი მონასრტისაკენ და მორჩილად ევედრებოდა უფალ ძესუსუ ქირისოტოს, დაეფარა იგი.

სანტა-ლუჩიას მორწმუნეებმა თანდათან დაივიწყეს ლორენცო. აღარავინ თანაუგრძნობდა, თვით პატერენიც კი. ეკლესიიდან მისი განკვეთის შემდეგ ყველას მტკიცედ სჯეროდა, რომ ლორენცომ საზიზღარი დანაშაული ჩაიდინა, და მათ ფიქრადაც არ მოსვლიათ, რომ იგი, როგორც ჭეშმარიტი ქრისტიანი, ყოველ ღამით მოვიდოდა ღმერთის ტაძარში სალოცავად. ჩანს, ასეთი იყო მიუწვდომელი განგება ძესუსუსი, და რა გაეწყობოდა. მაგრამ ეს თვით ლორენცოსთვის ძალიან სამწუხარო გახლდათ.

ქალგებით მოვაჭრის ქალიშვილს რაღა მოუვიდოდა? ერთ თვესაც არ გაევლო ლორენცოს განკვეთიდან, და მას გოგონა შეეძინა. მკაცრმა მოხუცმა, ჩანდა, შეიყვარა თავისი პირველი შვილიშვილი. იგი მზრუნველად უვლიდა ქალიშვილსა და ბავშვს, ხელში აჰყავდა ჩვილი, ეფერებოდა, ხანდახან კი, ამბობენ, დედოფალასაც აძლევდა სათამაშოდ. ცხადია, ამაში არაფერი იყო უცნაური. ხოლო ვინც მართლა უცნაურად იქცეოდა, ეს გახლდათ წმინდა ძმა სიმეონი. იმ დღიდან, რაც ქოლგებით მოვაჭრის ქალიშვილმა ბავშვი დაბადა, ეს ვეებერთელა კაცი, რომელსაც ალბათ ეშმაკის დათრგუნვაც კი შეეძლო, ყოველ თავისუფალ წუთს მოხუცის სახლში ატარებდა, მოუხეშავი ხელებით ეჭირა პატარა, და ცრემლმორეული, პირქუშ სახეზე ნაღველდაფენილი იგონებდა სუსტ და ნაზ ლორენცოს, უმცროსი ძმასავით რომ უყვარდა. ხოლო მოხუცი ვაჭრის ქალიშვილი აშკარად სწუხდა და ნაღვლობდა ლორენცოს გაუჩინარებას, და ამის გამო თითქოს სიმეონის სტუმრობაც კი არ სიამოვნებდა.

დროს ვერავინ შეაჩერებსო, ნათქვამია. წელიწადზე მეტი გავიდა შეუმჩნევლად. და მოხდა მოულოდნელი უბედურება - საშინელი ხანძარი, რომელმაც ნახევარი ნაგასაკი ერთ ღამეში ფერფლად აქცია. თმები ყალყზე უდგებოდათ იმ ღამის საშინელი სურათების მხილველებს. მძვინვარე ცეცხლიდან თითქოს ნაღარის ხმა გაისმოდა, საშინელი სამსჯავროს დადგომის მაუწყებელი. საუბედუროდ, ქოლგების ოსტატის სახლი საქარე მხარეს იდგა, ამიტომ ცეცხლიც წამსვე მოედო. მამა და ქალიშვილი თავგზააბნეული გამოიჭრნენ ქუჩაში და მხოლოდ მაშინ გაახსენდათ ბავშვი. გოგონა იმ ოთახში დარჩენილიყო, სადაც დასაძინებლად დაეწვინათ. სასოწარკვეთილი მოხუცი ერთ ადგილზე წრიალებდა და ყველას წყევლიდა. მის ქალიშვილს ბავშვის გადასარჩენად ცეცხლში უნდოდა შევარდნა, მაგრამ ძლივძლივობით აკავებდნენ. ქარი ძლიერდებოდა და გამძვინვარებულ ცეცხლის ენებს ლამის ვარსკვლავები გაერუჯათ ცაში. ქალაქის გადასარჩენად მოგროვილი მოსახლეობა ოხრავდა მხოლოდ. ამშვიდებდნენ ახალგაზრდა ქალს, შეშლილივით რომ ბორგავდა. რიღას გაკეთება შეეძლოთ? ბრბო გამოარღვია და მოირბინა ჩვენმა ნაცნობმა სიმეონმა. ეს ძლიერი, გოლიათური აღნაგობის მამაკაცი, რომელსაც ალბათ მრავალი ბრძოლა გამოევლო, არც დაფიქრებულა, ისე გაბედულად გაექანა გამძვინვარებულ ცეცხლში შესაჭრელად, მაგრამ ისიც იძულებული გახდა, უკან დაეხია. მერე კიდევ ორჯერ თუ სამჯერ

შეჩერდა კვამლში, მაგრამ მაშინვე გადმოხტა უკან. ბოლოს მივიდა მოხუცთან და ქალიშვილთან და თქვა:

- ყველაფერი ღვთის განგებითაა. ყველაფერი მის ნებას ემორჩილება. დამშვიდდით, ყოველგვარი ცდა ამაოა. ამ დროს მოხუცის ახლოს ვიღაცამ ამოიძახა:

- უფალო, შემეწიე!

სიმეონსხმა ეცნო და მისკენ მიიხედა. ღმერთო ძლიერო! ეს იყო ლორენცო! ცეცხლის შუქს გაენათებინა მისი მშვენიერი, მაგრამ ძალზე გამხდარი სახე, ქარისაგან აწეწილი თმა შავ ბღუჯად ჩამოშლოდა მხრებზე. სიმეონმა შეხედა თუ არა, იცნო ლორენცო, თუმცა ახლა საცოდავი სანახავი იყო იგი, მათხოვრის ფლასით შემოსილი ლორენცო ბრბოს წინ იდგა და თვალმოუშორებლად უყურებდა ცეცხლმოდებულ სახლს. შემდეგ კი ყველაფერი უცბად მოხდა. გრიგალისებურმა ქარმა წამიერად მიანავლა ცეცხლი, და ლორენცო, რომელიც სწრაფად გაიჭრა წინ, ცეცხლოვანი კედლის უკან გაუჩინარდა. სიმეონს მთელ ტანზე ცივმა ოფლმა დაასხა. - ღმერთო, უშველე! - შესძახა მან და პირჯვარი გადაიწერა.

ხსოვნაში წამოესახა ლორენცოს სახე, როდესაც იგი, მშვენიერი და ნაღვლიანი, გადიოდა სანტა-ლუჩიას ჭიშკრიდან, და ცივ ქარში მოცახცახე მზის სხივებით იყო გაბრწყინებული.

თუმცა ლორენცოს სიმამაცემ ყველა გააოცა, ქრისტიანებმა მაინც გაიხსენეს მისი ცოდვიანი წარსული. და ახმაურებულ ბრბოს ნაირნაირმა აზრმა, მსჯელობამ და ჭირმა გადაუარა.

- ტყუილად არ ამბობენ, მშობლის სიყვარული შვილისადმი ადრე თუ გვიან აუცილებლად გამოვლინდებაო, - იქედნურად წამოაყრანტალა ვიღაცამ, - ლორენცოს რცხვენოდა თავისი ცოდვის, ახლა კი ცეცხლში ვარდება, ერთადერთი შვილის გადასარჩენად.

მოხუციც ამასვე ფიქრობდა ლორენცოზე, მერე კი, ალბათ, გაუგებარი სულიერი ძრწოლა რომ დაეფარა, ხელების მტვრევით დაიწყო რაღაც უაზრო სიტყვების ძახილი. მისი ქალიშვილი კი გიჟივით დავარდა მუხლებზე, სახე ხელებით დაიფარა და ლამის გაქვავებულმა, მხურვალე ლოცვა დაიწყო. თავზე ხანძრის ფერფლი აცვივოდა, მიწაზე მორიალე კვამლი უფარავდა სახეს, იგი კი, თავდახრილი, ჩუმად, თავდავიწყებით ლოცულობდა. უცებ ხალხი ახმაურდა და ამოძრავდა: ცეცხლის მოლაპლაპე ენებს შორის, თითქოს ციდან ეშვებაო, გამოჩნდა ლორენცო ჩვილით ხელში. იმავ წამს ერთერთი კოჭი ჩამოიქცა და ჰაერში საზარელი გრიალით აიჭრა ცეცხლისა და კვამლის ღველფი. ლორენცო მხედველობიდან გაქრა, ხოლო იმავე ადგილიდან ცეცხლის ძოწისფერი სვეტი აღიმართა.

უბედურება იმდენად დიდი იყო, რომ ყველას თვალთ დაუბნელდა. იდგნენ მდუმარედ,

თითქოს დამუნჯებულიყვნენ. მოხუცის ქალიშვილმა შეჰკივლა და ისე წამოიჭრა, რომ ბარძაყები გაუშიშვლდა, მერე კი, თითქოს ელვა დაატყდაო, მიწაზე გაიშოტა. არც იყო საკვირველი: ხელებში სასწაულებრივად აღმოუჩნდა თავისი პატარა გოგონა - არავინ

უწყოდა ცოცხალი თუ მკვდარი, რომელსაც მაგრად იკრავდა მკერდში. ო, ყოვლადძლიერებავ და უსაზღვრო სიბრძნევ უზენაესისა! არ მოიძებნება სიტყვები შენს სადიდებლად! ჩამოქცეული კოჭის ქვეშ მოხვედრილმა ლორენცომ უკანასკნელი ძალა მოიკრიბა და დედისკენ ისროლა ბავშვი, რომელიც, საბედნიეროდ, უვნებელი დარჩა.

მიწაზე გაშოტილ ახალგაზრდა ქალს სიხარულის ცრემლები ახრჩობდა, ხოლო, თითქოს მის სიტყვებს იმეორებსო, ცისკენ ხელებაპყრობილი მოხუცის ბაგეებს მოსწყდასიტყვები, ღვთის გულმოწყალების სადიდებელი. მას, ალბათ, არც შეეძლო არ წარმოეთქვა ეს მოწიწებით აღსავსე სიტყვები. სიმეონი ადრევე შეიჭრა ცეცხლის გრიგალში. ერთი სურვილით იყო იგი აღძრული, - გადაერჩინა ლორენცო. და მოხუცის ბაგეებიდან ისევ აღევლინა საღამოს ცაში ვედრების ხმა, აღსავსე ძრწოლითა და ურვით. და განა მარტო მისი ბაგეებიდან! მისი ქალიშვილი და გარშემოხვეული ქრისტიანები ტიროდნენ და ერთხმად ლოცულობდნენ:

- ღმერთო, გვიშველე, ღმერთო!

უბიწო ქალწულ მარიამის პირმშომ, უფალმა ჩვენმა ძესუსუ ქირისიტომ, რომელმაც იტვირთა ყოველი მწუხარება და ნაღველი კაცთა მოდგმისა, ბოლოს შეისმინა მათი ვედრება. შეხეთ! უმოწყალოდ დამწვარი ლორენცო სიმეონის ხელებშია, გადარჩენილია, გამოტაცებულია ცეცხლისა და კვამლის მორევიდან.

მაგრამ ამით არ დამთავრებული ამ ღამის ტრაგიკული ვითარებანი. თითქმის უსულო ლორენცო ქრისტიანებმა ეკლესიის ჭიშკართან გადაიყვანეს უქარო მხარეზე და იქ დააწვინეს. ამ დროს ქოლგებით მოვაჭრის ქალიშვილი, რომელიც ჯერ კიდეც ტიროდა და მკერდში იკრავდა ბავშვს, მუხლებზე დაეცა ის-ისაა ჭიშკარში შემოსული პატერენის წინ და უცებ მთელი ხალხის თანდასწრებით შეჰღაღადა:

- ეს გოგონა არაა ბატონი ლორენცოს შვილი, იგი მეზობელი წარმართის ვაჟისაგან შემეძინა.

მისი მტკიცე ხმა, მისი ცრემლებით აელვარებული თვალები მოწმობდა, რომ აღსარებაში ტყუილის ნასახიც არ ერია. მჭიდრო წრედ გარშემორტყმული ქრისტიანები სუნთქვაშეკრულნი უსმენდნენ; ხანძარიც კი დავიწყებოდათ, ცას რომ სწვდებოდა. ქალიშვილმა ცრემლები მოიწმინდა და განაგრძო:

- მე მიყვარდა ბატონი ლორენცო, სულ მასზე ვფიქრობდი. მაგრამ იგი მტკიცედ იდგა რწმენაზე და ცივი იყო ჩემს მიმართ. მაშინ გაბრაზებულმა ვთქვი, რომ ლორენცოსაგან ვიყავი ფეხმძიმედ და ამით გადავუხადე სამაგიერო. მაგრამ კეთილშობილმა ლორენცომ არ შემიძულა ასეთი დიდი ცოდვის ჩადენისათვის, დღეს კი არაფრად ჩააგდო საშიშროება და ინფერუნოს ცეცხლს გამოსტაცა ჩემი გოგონა. მე თაყვანს ვცემ მის სიკეთესა და თავგანწირვას, ისევე როგორც უფალ ძესუსუ ქირისოტოს მეორედ მოსვლას ვცემ თაყვანს. მე ბოროტება ჩავიდინე და მზადა ვარ, თუნდაც ახლავე, ჩემი სხეული ეშმაკს მივუგდო საჯიჯგნად.

ახალგაზრდა ქალმა ძლივს დაამთავრა თავისი აღსარება, კვლავ ცრემლებად დაიღვარა და მიწაზე დაეცა. მორწმუნეთა შორის, უნებლიე შეძახილები: „წამებულია!

წამებული!“ ჭეშმარიტად ქების ღირსი იყო ლორენცო, უფალ ზესისი ქირისოტოს კვალს გაჰყვა და ცოდვილი ქალის თანალმობისათვის მათხოვრის ხვედრსაც არ შეუშინდა. მის სულს კი ვერ ჩაწვდა ვერც პატერენი, რომელსაც მამად თვლიდა, ვერც სიმეონი, რომელსაც სასოებით უყურებდა, როგორც უფროს ძმას. წამებული არ იყო განა?

ლორენცომ ვაჭრის ქალიშვილის აღსარების დროს რამდენჯერმე ოდნავ დააქნია თავი. თმები შემოსწვოდა, კანი მთლად დასთუთქოდა, ხელ-ფეხი წართმეოდა, იმედის ნასახიცარ ჩანდა მისი მოსულიერებისა. სიმეონი და ქალიშვილის აღსარებით გულმოკლული მოხუცი

ჩამუხლულიყვნენ ლორენცოს ახლოს და ცდილობდნენ, ოდნავ მაინც შეემსუბუქებინათ მისთვის წამება. მაგრამ ლორენცო სულ უფრო და უფრო სუსტად სუნთქავდა. ჩანდა, მისი აღსასრული ახლოს იყო. არ შეცვლია მხოლოდ გამომეტყველება ვარსკვლავებივით გაბრწყინებული თვალებისა, რომლებიც შორეული ზეცისკენ მიეპყრო.

პატერენმა, მძვინვარე ქარისაგან მთლად რომ ასწეწოდა თეთრი წვერი, ყურადღებით მოისმინა ახალგაზრდა ქალის აღსარება და საზეიმოდ წარმოთქვა:

- კურთხეულია ის, ვინც მოინანია. ასეთ ბედნიერს ვერ შეეხება დამსჯელი ხელი ადამიანისა. ჩვენ კი უფრო გულმოდგინედ მივყვეთ უფლის მოძღვრებას და მორჩილად დაველოდოთ საშინელ სამსჯავროს. ლორენცოს სწრაფვა - თავისი მოქმედებით უფალ ზესუსუ ქირისოტოსთვის მიებაძა, იშვიათი სიქველეა ამ ქვეყნის ქრისტიანთა შორის. ის კი ჯერ კიდევ ასე ახალგაზრდაა...

მაგრამ ეს რაა? პატერენი უცებ დადუმდა და დააშტერდა მის ფეხებთან მწოლ ლორენცოს, რომელიც თითქოს პარაისოს შუქით იყო გაცისკროვნებული. ო, როგორი მოწიწებით უცქერდა პატერენი! არასოდეს ასე არ აჰკანკალებია ხელები მოხუცს. ღაწვებზედ ნაკადად ჩამოსდიოდა ცრემლები.

შეხედე, სიმეონ! შენც ქოლგების ვაჭარო! შეხედეთ! უტყვი, ერთიანად განათებული უფალ ძესუსუ ქირისოტოს სისხლზე უფრო წითელი ცეცხლის შუქით, წევს სანტალუჩიას ჭიშკართან ყრმა, დამწვარი ტანსაცმლიდან ორი ძვირფასი იასპივით მოუჩანს ქალწულის უმანკო ძუძუები. მხოლოდ ახლაღა შეამჩნია ყველამ მისი სახის ბუნებრივი სინაზე, თუმცა ძალზე დასწვოდა პირისკანი. მაშ, ლორენცო ქალიშვილია? ლორენცო - ქალიშვილი? შეხედეთ, ქრისტიანებო, ბობოქარი ხანძრისაკენ ზურგით რომ დგახართ! ლორენცო სანტა-ლუჩიადან უმანკოების აღთქმის დარღვევისათვის გაძევებული, ქალიშვილი ყოფილა. ისეთივე, როგორც ქოლგების მოვაჭრის ასულია.

ჰყვებიან, რომ მოკრძალებულმა ჩურჩულმა გადაუარა მორწმუნეებს, თითქოს უზენაესის ხმა გაეგონათ მაღალი ზეციდან, სადაც უკვე აღარ ჩანდა არც ერთი ვარსკვლავი. ყველამ თავი დახარა, ყველა მუხლებზე დაეცა ლორენცოს გარშემო. ირგვლივ ხანძრის გუგუნის ექო ისმოდა მხოლოდ, და კიდევ ვიღაცის ჩახშული ქვითინი. ქოლგებით მოვაჭრის ქალიშვილი ხომ არ ტიროდა? ან სიმეონი, ლორენცოს უფროს ძმად რომ მიაჩნდა თავი? ხალხის დუმილი დაარღვია ლორენცოს თავზე ხელებაღმართული პატერეინის საზეიმო, მწუხარე ხმამ. იგი ლოცვას კითხულობდა.

როდესაც ის დადუმდა, ყმაწვილმა ქალმა, ლორენცოს რომ ეძახდნენ, ბნელი ცის მიღმა სამოთხის ბრწყინვალება დაინახა და მშვიდი ღიმილით გადავიდა იმ ქვეყანაში.

ქალიშვილის ცხოვრების შესახებ მეტი არაფერია ცნობილი. მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს ამას? ადამიანის ცხოვრებაში ყველაზე ძვირფასი რამ სულის აღმაფრენის განუმეორებელი წამია. იგი მსგავსია ჯერ კიდევ ამოუსვლელი მთვარის შუქისა, სიბნელიდან გამოტაცებული, სულში დამუნჯებული გრძნობათა ოკეანის აქაფებული ტალღისა. სწორედ ამგვარი ცხოვრება არაა ამაო. ამიტომ ცოდნა ლორენცოს უკანასკნელი წუთებისა განა იგივე არაა, რაც მთელი მისი ცხოვრების ცოდნა?

2

ჩემს წიგნთა შორის არის ერთი წიგნი, რომელსაც ჰქვია „Legenda Aurea“ და გამოცემულია ნაგასაკის იეზუიტთა ორდენის მიერ. მისი შინაარსი არ იფარგლება ოდენ დასავლეთევროპული, ეგრეთ წოდებული „ოქროს ლეგენდით“. ზღვისგაღმელ მოციქულთა და წმინდანთა სიტყვებისა და მოღვაწეობის გვერდით მასში იაპონელ ქრისტიანთა სიმამაცე და თვითგანწმენდაცაა აღწერილი, რასაც, ალბათ, ხელი უნდა შეეწყო სახარების გავრცელებისათვის.

წიგნი შედგება ორი ტომისაგან. იგი მინოსურ ქაღალდზეა დაბეჭდილი ხირაგანით, შიგადაშიგ კი გაკრული ხელით არის შევსებული. ნაბეჭდი ძალზე ბუნდოვანია. ადგილ-ადგილ სრულიად

გაურკვეველია, ნაბეჭდია თუ ნაწერი. პირველი ტომის ყდაზე ლათინური ასოებით ჰორიზონტალურად წერია წიგნის დასახელება, მის ქვევით კი ორი ვერტიკალური სტრიქონია იეროგლიფებით ამოკვეთილი: „1596 წელს რ.ხ., კეიტიოს მე-2 წელს, მესამე თვის პირველ ათეულში“. თარიღის მარცხნივ და მარჯვნივ გამოსახულია ანგელოზი ნესტვით. პრიმიტიული ტექნიკის მიუხედავად, ნახატში არის რაღაც მიმზიდველი. მეორე ტომი არაფრით არ განსხვავდება პირველისაგან, თუ არ ჩავთვლით ყდის წარწერას: „ამოკვეთილია შუა მაისში“.

ორივე ტომი შეიცავს სამოც გვერდს. პირველი შედგება რვა თავისაგან, მეორე ათისაგან. ორივე ტომი იწყება უცნობი ავტორის წინასიტყვაობით და მთავრდება ლათინურად დაწერილი სარჩევით. წინასიტყვაობა არ გამოირჩევა დახვეწილობით და სტილით იგრძნობა ევროპულიდან სიტყვასიტყვითი თარგმანი. ამიტომ საფიქრებელია, რომ იგი ევროპელს ეკუთვნის - კერძოდ, იმავე პატერენს.

ზემოთ მოთხრობილი „ქრისტიანის სიკვდილი“ ემყარება ხსენებული „ოქროს ლეგენდის“ მეორე ტომის მეორე თავში გადმოცემულ ამბავს, რომელიც, საფიქრებელია, წარმოადგენს ნაგასაკის ერთ ქრისტიანულ ტაძარში მომხდარი შემთხვევის ზუსტ ჩანაწერს. რაც შეეხება მასში მოხსენებულ დიდ ხანძარს, არც ერთ წყაროში, დაწყებული „მოთხრობებიდან ნავსადგურ ნაგასაკზე“, არავითარი მინიშნება არაა, მოხდა თუ არა მსგავსი ხანძარი, ეს კი ამბავის დათარიღების საშუალებას არ იძლევა.

მოთხრობაში „ქრისტიანის სიკვდილი“ თავს ნება მივეცი, გამოცემის პირობების გათვალისწინებით, გარკვეული ცვლილებები შემეტანა. ბედნიერი ვიქნები, თუ ძალიან არ შევლახე დედნის სიმსუბუქე და ჰაეროვნება.

აგვისტო, ***1918*** **წ.**

თარგმნა ანზორ აბჟანდაძემ

მანდარინები

ზამთრის პირქუში მწუხრი ჩამოწოლილიყო. ეკოსუკატოკიოს მატარებლის მეორე კლასის ვაგონის კუთხეში ვიჯექი და მოუთმენლად ველოდი გამგზავრების მაუწყებელ სასტვენის ხმას. სინათლე კარგა ხანია რაც ჩართეს, მაგრამ მგზავრთაგანი ჩემს მეტი ვაგონში აღარავინ ამოდიოდა. კაციშვილი არ ჭაჭანებდა გარეთაც, ნახევრად ჩაბნელებულ ბაქანზე; გამცილებლებიც კი არ ჩანდნენ. მხოლოდ დროდადრო, საწყალობლად თუ დაიწკმუტუნებდა გალიაში დამწყვდეული ძაღლი. ყოველივე ეს საოცარი ჰარმონიით ერწყმოდა ჩემს მაშინდელ გუნება-განწყობილებას. ენით უთქმელი დაღლილობა და კაეშანი გონებას მიბინდავდა, მოქუშული ვიყავი თოვლიან ცასავით. გაუნძრევლად ვიჯექი პალტოს ჯიბეებში ხელებჩაწყობილი და იმის ილაჯიც კი აღარა მქონდა, ჯიბიდან საღამოს გაზეთი ამომეღო და გადამეხედა.

როგორც იქნა, გაისმა სასტვენის ხმა. ოდნავი შვება ვიგრძენი, თავი სარკმლის ჩარჩოს მივაყრდენი და ველოდი, როდის გაცურდებოდა უკან და გაუჩინარდებოდა სადგური სარკმლის მიღმა. ამ დროს ტურნიკების[87] მხრიდან, ბაქანზე, გეტას[88] ბაკაბუკი მოისმა და იამვე წამს კონდუქტორის ბრაზიანი შეძახილიც გავიგონე; ხარხარით გაიღო კარი და ვაგონში

ქოშინით შემოვიდა ცამეტი-თოთხმეტი წლის გოგო. მატარებელიც მაშინვე შეძაგძაგდა და ნელა დაიძრა. ფანჯრიდან მოჩანდა უკან დახეული, მიჯრით ჩაყრილ ბოძებს შორის აფართქალებული სივრცე, თითქოს ვიღაცისგან მიტოვებული და მივიწყებული წყლის საზიდი ურიკა, მებარგული, მატარებელში ვიღაცას თავს უკანტურებდა... ყოველივე ეს ნაცრისფერი ბოლის ბოლქვებში გახვეულიყო. შვებით ამოვისუნთქე, პაპიროსი გავაბოლე და ჩემს პირდაპირ ჩამომჯდარი გოგო შევათვალიერე.

ნამდვილი სოფლელი გომბიო გახლდათ. ხეშეშ თმაზე, „იტიოგაესის“ [89]ვარცხნილობით რომ დაელაგებინა, ცხიმის ნიშანწყალიც არ ემჩნეოდა. ნაყვავილარი, დამსკდარი ღაწვები ისე დაბრაწოდა, უსიამო შთაბეჭდილებას ტოვებდა. მუხლებზე, დაუდევრად რომ ჩამოკონწიალებოდა შალის ჭუჭყიანი, მწვანე შარფი, მოზრდილი ფუთა ედო. დამზრალ ხელში საგულდაგულოდ ეჭირა მესამე კლასის ვაგონის წითელი ბილეთი. თვალში არ მომდიოდა გოგოს ტეტიური სიფათი, გარდა ამისა, მისმა ბინძურმა ჩაცმულობაც შემზარა. და ბოლოს, ძალზე გამაღიზიანა თავისი სიბენტერით - მეორე და მესამე კლასის ვაგონები რომ ვერ გაერჩია ერთმანეთისგან. ვეწეოდი პაპიროსს და ვცდილობდი, დამევიწყებინა გოგოს არსებობა. ამასთან, რაკი უსაქმოდაც გახლდით, გაზეთი გავშალე. უცებ, სარკმლიდან

გაზეთზე დაფრქვეულ შუქს სიკაშკაშე მოემატა და აქამდე ძნელად შესამჩნევი სტრიქონებიც უფრო მკაფიოდ გამოისახა. მატარებელმა, როგორც ჩანს, იოკოსუკას ხაზის მრავალრიცხოვან გვირაბთაგან პირველში ჩაყვინთა.

ელნათურების შუქით გაბრდღვიალებულ გაზეთის გვერდებში საინტერესოს ვერაფერს ვხედავდი; ყველაფერი, რაც ამქვეყნად ხდებოდა, ძალზე ბანალური იყო იმისათვის, რომ ჩემი სევდა გაექარვებინა. მშვიდობის ხელშეკრულების საკითხები, ახალდაქორწინებულები, კვლავ ახალდაქორწინებულნი, ჩინოვნიკთა მექრთამეობის შემთხვევები, განცხადებები მიცვალებულთა შესახებ... ისეთი უცნაური ილუზია შემექმნა, თითქოს გვირაბში შესული მატარებელი საწინააღმდეგო მიმართულებით გაექანა და უნებლიედ ერთი მოსაბეზრებელი წერილიდან მეორეზე გადამქონდა მზერა. და მაინც, მთელი ამ ხნის განმავლობაში, წამითაც ვერ დამევიწყებინა ჩემს წინ მჯდომი გოგო - ჩვენი არსობის უღიმღამო სინამდვილის ცოცხალი განსახიერება. და ყველაფერი ეს ერთად - გვირაბში მოგრიალე მატარებელი, სოფლელი გომბიოცა და ბანალური სტატიებით გაჭედილი გაზეთიც, მეტი რა იყო, თუ არა ჩვენი გაურკვეველი, უბადრუკი და მოსაბეზრებელი ცხოვრების თავისებური სიმბოლო? ყოველივე უაზროდ მეჩვენება. წაუკითხავი გაზეთი გვერდზე მივაგდე, თავი კვლავ ფანჯრის ჩარჩოს მივაყრდენი, თვალი მივლულე და თვლემას მივნებდი.

გავიდა რამდენიმე წუთი. რაღაცამ დაფეთიანებულივით წამომაგდო და რას ვხედავ: გოგოს თავისი ადგილი მიუტოვებია, გვერდით ამომდგომია და ჯიუტად ცდილობს სარკმლის გაღებას, მაგრამ მძიმე ჩარჩო არ ნებდება. კიდევ უფრო აწითლებოდა დახეთქილი ლოყები, წამდაუწუმ სრუტუნებდა და მძიმედ ხვნეშოდა ფანჯარას შეჭიდებული. გორაკთა ფერდობები,

რომლებზედაც ბინდბუნდში გადამჭკნარი ბალახი ბზინავდა, კვლავ ვიწროვდებოდა და ორივე მხრიდან სარკმლებისკენ მოიწევდა... ადვილი მისახვედრი იყო, რომ მატარებელი მომდევნო გვირაბში დაყვინთავდა. გოგო არ ცხრებოდა, საგანგებოდ დაკეტილი ფანჯრის გაღებას ლამობდა ისევ. მაგრამ რატომ, ეს კი ვერ გამეგო. მისმა ამაო გარჯამ თანაგრძნობითაც კი განმაწყო, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ყველაფერი ჭირვეულობად ჩავუთვალე. კვლავ ადრინდელი გულგრილობითა და პირქუშად შევცქეროდი, როგორ ეხეთქებოდა თავისი დამზრალი ხელებით ფანჯარას და როგორ ლამობდა მის ჩამოწევას.

ის იყო, ვინატრე, ვერ მიეღწია საწადელისთვის, რომ მატარებელი შემზარავი გრიალით შევარდა გვირაბში და იმავე წამს ჩარჩოც, რომლის ჩამოშვებაზეც ასე წვალობდა გოგო, დაბლა ჩამოეხეთქა. ფანჯრის მართკუთხა ღიობში უმალ მახრჩობელა ბოლად ქცეული შავი, ჭვარტლით შესქელებული ჰაერი შემოიჭრა და მთელ ვაგონში ჩაიღვარა. სახეზე ცხვირსახოცის აფარებაც ვერ მოვასწარი, რომ ბოლის ტალღა თავზე გადამევლო და წლების მანძილზე ყელის ტკივილისაგან გაწამებულს, ისეთი ხველა ამიტყდა, ლამის დავიხრჩვი. გოგო ყურადღების ღირსად არ მხდიდა, ფანჯარაში გაეყო თავი, არაფრად აგდებდა ქარს, თმას რომ უწეწავდა და წინ იყურებოდა, მატარებლის სვლის მიმართულებით. შევცქეროდი მას, ბოლსა და ელექტროშუქში გახვეულს და ფანჯრიდან დღის სინათლე რომ არ გამოჩენილიყო,

რომ არ შემოჭრილიყო მიწის, თივისა და წყლის მაცოცხლებელი სურნელი, და ხველება არ

შემწყდომოდა, ალბათ ლაზათიანად გამოვლანძღავდი და ფანჯარასაც ისე ჩავუკეტავდი, თავის დღეში ვეღარ გაეღო.

გვირაბიდან მდორედ გამოცურებული მატარებელი ახლა ღარიბული გარეუბნის გადასასვლელზე მიგრიალებდა, ორივე მხრიდან გამხმარი ბალახით დაფარული გორაკები რომ ეკრა. გარემო ჩალითა და კრამიტით გადახურულ, ერთმანეთზე მიჯრილი სახლების უსუფთაო სახურავებს აევსო; აგერ მეისრეც გამოჩნდა, უნდილად რომ აქნევდა ბინდში თავის თეთრ ალამს. როგორც კი მატარებელი გვირაბიდან გავიდა, შლაგბაუმის მიღმა, უდაბურ გადასასვლელთან, ერთმანეთის გვერდით ჩამწკრივებული სამი ლოყებღაჟღაჟა ბიჭუნა დავინახე. ერთი სიმაღლისანი იყვნენ, ჩია ტანისანი, თითქოს მოღუშულ ცას დაეტანა სამთავე. ტანსაცმელიც იმავე ფერისა ემოსათ, რა ჯანღისფრადაც გამოიყურებოდა ეს გარეუბანი. ბავშვებს თვალი ვერ მოეწყვიტათ მატარებლისთვის; მერე ერთდროულად ასწიეს ხელები და მისალმებისმაგვარი რაღაც შეჰყვირეს მთელი ხმით. სწორედ ამ დროს მოხდა მოულოდნელი რამ: ფანჯარაში მთელი ტანით გადახრილმა გოგომ წინ გაწვდილი დამზრალი ხელების ქნევა იწყო და უცებ ბავშვებს, მატარებელს რომ მიაცილებდნენ მზერით, თავზე გადააცვივდათ რამდენიმე ცალი მანდარინი, რომლის ფერშიც მზე და სითბო გამოსჭვიოდა; უნებურად გული ამითრთოლდა და სუნთქვა შემეკრა...

ახლაღა მივხვდი ყველაფერს... გოგონას, რომელიც ალბათ სამუშაოს საძებნელად მიეშურებოდა, გასაცილებლად გამოსული ძმებისთვის საგანგებოდ შემოენახა უბეში მანდარინები...

მწუხრში ჩაძირულმა გადასასვლელმა, ბეღურებივით აჟივჟივებულმა სამმა ბიჭუნამ და მათთვის გადაყრილმა მანდარინების ცინცხალმა ელვარებამ თვალის დახამხამებაში ჩაიქროლეს ფანჯრის მიღმა. მტკივნეული სიცხადით ჩამებეჭდა გულში ეს სურათი... ვიგრძენ, როგორ ჩამეღვარა სულში ჯერაც გაურკვეველი, ნათელი გრძნობა. აღელვებულმა თავი წამოვწიე და უკვე სხვა თვალით დავინახე გოგო. იგი თავის ადგილზე დაბრუნებული, უწინდებურად მალავდა დახეთქილ ღაწვებს შალის მწვანე შარფში, მოზრდილ ფუთას ჩასჭიდებოდა და მაგრად ჩაებღუჯა ხელში მესამე კლასის ვაგონის ბილეთი.

ახლაღა შევძელ, დროებით დამევიწყებინა დაღლილობა, კაეშანი და ჩვენი იდუმალი, უბადრუკი და მოსაწყენი ცხოვრება. აპრილი***, 1919*****წ.***

თარგმნა ჯემალ მჭედლიშვილმა

ეჭვი

ამ ათიოდე წლის წინათ, გაზაფხულზე, პრაქტიკული ეთიკის ლექციების ციკლის წაკითხვა მთხოვეს და ერთი კვირა გიფის პრეფექტურის ერთ-ერთ პატარა ქალაქში, ოგაკაში დავყავი. შემეშინდა, რომ ადგილობრივი მოღვაწეები თავს მომაბეზრებდნენ გადამეტებული პატივისცემით და მასწავლებელთა საზოგადოებას, რომელმაც

მოწვევა გამომიგზავნა, შევუთვალე, შეხვედრებსა და ბანკეტებს ნუ მომიწყობთ, ადგილობრივი ღირსშესანიშნაობების დათვალიერება არ მინდოდა, საერთოდ, დროის გაფლანგვის სხვა საშუალებების გამოძებნაზეც თავს ნუ შეიწუხებთ-მეთქი. საბედნიეროდ, ოგაკაში კარგა ხანია გაეგოთ ჩემი ახირებულობის ამბავი და, როცა ჩავედი, ქალაქის მერმა, რომელიც მასწავლებელთა საზოგადებასაც ხელმძღვანელობდა, ყველაფერი ჩემს გემოზე მოაწყო. ჩემს გემოზე კი არა, გადააჭარბა კიდეც ჩემს სურვილებს: სასტუმროს ნაცვლად იქაური მდიდრის, ვინმე ბატონ [1]-ის აგარაკზე დამაბინავა.

მინდა გიამბოთ ერთი ტრაგიკული ამბავი, რომელიც ამ აგარაკზე ყოფნისას მოვისმინე.

აგარაკი კოროკოს ციხესიმაგრის მახლობლად მდებარეობდა და ქალაქის ხმაური და აურზაური იქამდე ვერ აღწევდა. შენობა პატარა გახლდათ. სულ ექვსი ჭილოფის ფართისა თუ იქნებოდა.

გარედან სამუშაო კაბინეტს წააგავდა და თუმცა უმზეო იყო, საკმაოდ გაცვეთილი ფუსუმა და სიოძი საოცარ სიმყუდროვეს ანიჭებდა იქაურობას. დარაჯი და მისი ცოლი მემსახურებოდნენ, მაგრამ იმათ ცალკე ჰქონდათ ბინა, და როცა არ მჭირდებოდნენ, დავითხოვდი ხოლმე. ასე რომ, უმეტესად მარტო ვიყავი ამ ნახევრად ბნელ ოთახში და სიმყუდროვით ვტკბებოდი. ირგვლივ ისეთი სიჩუმე იყო, რომ გრანიტის პირსაბანზე მაგნოლიის თეთრი ყვავილის ფურცელთა დაცვენის ჩქამი ისმოდა. ლექციებს დილაობით ვკითხულობდი, ნასადილევს კი ამოვდიოდი აგარაკზე და დაძინებამდე სიმშვიდეს არაფერი მირღვევდა. ეგ იყო, ცოტა გაზაფხულის ნესტი და სიცივე მაწუხებდა, რადგან სახელმძღვანელოებისა და ერთი ხელი საცვლების მეტი თან არაფერი წამიღია.

თუმცა, ყოველთვის მარტო არ ვიყავი: ხანდახან, ნასადილევს, სტუმრები მეწვეოდნენ და დაბინდებამდე რჩებოდნენ ხოლმე. მერე კი, როცა ბამბუკის ფეხზე შემდგარ ძველებურ ლამპარს აანთებდნენ, ადამიანური სუნთქვით გამთბარი სამყარო უცებ ვიწროვდებოდა და მე მის ერთადერთ მბრძანებლად ვიქცეოდი. თუმცა კი მთლად მის ბატონ-პატრონად მაინც ვერ ვგრძნობდი თავს - ზურგს უკან, კედლის წალოდან მოწყენილი მიმზერდნენ სპილენძის ვეება, ცარიელი საყვავილეები, წალოს ზევით აბრეშუმის კაკემონო[90] ეკიდა - ოქროსფერ ფონზე ტუშით დახატული „ტირიფოსანი ქალღმერთი“[91]. დროდადრო წიგნს თვალს მოვწყვეტდი, ამ ძველებურ ბუდისტურ ნახატს შევავლებდი მზერას და მაშინ თითქოს სანთლის უცნაური

სურნელიც კი მცემდა. ჩემს ოთახს მონასტრული სიჩუმე ეპატრონებოდა, ამიტომ ადრიანად ვწვებოდი დასაძინებლად. ვწვებოდი, მაგრამ კარგა ხანს ვერ ვიძინებდი. გარედან ღამის ფრინველების ხმები შემოდიოდა. ხმები ხან ახლოდან ისმოდა, ხან შორიდან, ეტყობა, ფრინველები ჩემი ბინის მახლობლად აღმართული კოშკის ირგვლივდაფრინავდნენ. დღისითაც ხშირად შემიმჩნევია, რომ მწვანე ფიჭვებში ამოზიდული სამსართულიანი თეთრი კოშკის სახურავს გუნდ-გუნდად დასტრიალებდნენ ყორნები... ბოლოს და ბოლოს, ჩავთვლემდი, მაგრამ ახლა გაზაფხულის სუსხი ჩამეღვრებოდა ძარღვებში და მთელი ღამე ვბორგავდი. და აი, ერთ საღამოს... ეს მაშინ მოხდა, როცა სულ რამდენიმე ლექციაღა დამრჩა წასაკითხი,

წინ ლამპარი მედგა და ფეხმორთხმული ვკითხულობდი წიგნს. უცებ ფუსუმა, ჩემს ოთახს რომ ყოფდა მეზობელი ოთახისაგან, ისე ნელა გაიწია, რომ შევკრთი. მერე ვიფიქრე, ალბათ დარაჯი მოვიდა-მეთქი და ფუსუმასკენ მივტრიალდი. დარაჯთან საქმეც მქონდა, ახლახან დაწერილი ღია ბარათი მინდოდა გამეტანებინა ფოსტაში, მაგრამ დარაჯის ნაცვლად, ნახევრად ბნელ ოთახში ვიღაც უცნობი იჯდა ტატამზე, იგი ასე, ორმოციოდე წლის კაცი იქნებოდა. მართალი რომ ვთქვა, პირველად ძალიან შევცბი. შევცბი კი არა, შემეშინდა, რადგან ლამპის სუსტ შუქზე მოჩვენება მეგონა უცნობი, მაგრამ როგორც კი მოწიწებით დამიკრა თავი, თან იდაყვებიც ისე ასწია მაღლა, ძველმა ხალხმა რომ იცის მისალმების დროს, დავმშვიდდი. სალმის შემდეგ სტუმარმა საკმაოდ ახალგაზრდული ხმით დაზეპირებულივით მომაყარა:

- სიტყვებს ვერ ვპოულობ საბოდიშოდ, რომ საღამო ხანს შემოგეჭერით და მუშაობაში ხელი შეგიშალეთ, მაგრამ სენსეისთან დიდი სათხოვარი მაქვს და ამან გამაბედინა, ზრდილობის წესები დამერღვია და გხლებოდით.

ამ ლაპარაკში მთლად დავწყნარდი და კარგად შევათვალიერე ჩემი სტუმარი. იგი ჭაღარამორეული, კეთილშობილური გარეგნობის კაცი გამოდგა. შუბლი მაღალი ჰქონდა, ღაწვები ჩაცვენილი, მაგრამ თვალებში ახალგაზრდული ცეცხლი ენთო. ტანთ უგერბო ხაორი და ხაკამა[92] ეცვა, ხელში კი, როგორც წესი და რიგი მოითხოვდა, მარაო ეჭირა. თვალში მომხვდა, რომ მარცხენა ხელზე ერთი თითი აკლდა. როგორც კი შევნიშნე, უნებლიეთ თვალი ავარიდე, წიგნი დავხურე და საკმაოდ მკვახედ ვკითხე, რა გნებავთ-მეთქი. იმ საღამოს არავის ველოდი და გავბრაზდი, რომ მყუდროება დამირღვიეს. თანაც გამიკვირდა, დარაჯმა რატომ არ მომახსენა, თქვენი ნახვა უნდათო. დაუპატიჟებელ სტუმარს სულაც არა სწყენია ეს მკვახე ტონი. იგი კიდევ ერთხელ შეეხო შუბლით ჭილოფს და კვლავ სხაპასხუპით მიპასუხა:

- მომიტევეთ, რომ შემოსვლისთანავე არ გითხარით მოსვლის მიზეზი. ნება მიბოძეთ, გაგეცნოთ: მე გახლავართ ნაკამურა გენდო. ყოველდღე ვესწრები სენსეის ლექციებს, მაგრამ არა მგონია გახსოვდეთ, რადგან თქვენს მოსასმენად უამრავი ხალხი დადის. როგორც ერთ-ერთმა მუდმივმა მსმენელმა, გავბედე სენსეისთან მოსვლა, რომ რჩევა და დარიგება გთხოვოთ.

ბოლოს, როგორც იქნა გაირკვა უცნობის მოსვლის მიზეზი, მაგრამ მაინც გული არ მომიბრუნდა მასზე - საღამო ჩამიშხამდა, სიმშვიდითა და წიგნის კითხვით ვეღარ დავტკბებოდი.

ბრძანეთ, რა შეკითხვა დაგებადათ ჩემი ლექციების მოსმენისას? - ვკითხე და გულში უკვე მოვამზადე ზრდილობიანი პასუხი: უმჯობესი იქნება, ამ შეკითხვაზე ხვალ, აუდიტორიაში გიპასუხოთ-მეთქი. მაგრამ სტუმარი მშვიდად დააცქერდა თავის მუხლებს, რომლებზედაც ხაკამა ჰქონდა დაფარებული და მომიგო:

- შეკითხვა არა მაქვს. მინდოდა სენსეის განესაჯა ჩემი საქციელი. საქმე ისაა, რომ ამ ოცი წლის წინათ ერთი მოულოდნელი უბედურება გადამხდა და ამის შემდეგ საკუთართავს ვეღარა ვცნობ. ახლა, როდესაც ასეთი ღრმა თეორიები მოვისმინე ეთიკის ისეთი ბრწყინვალე მცოდნისაგან, როგორიც თქვენ ბრძანდებით, ვიფიქრე, თუ მივალ, ყველაფერში ადვილად გამარკვევს-მეთქი. აი, ამიტომ გავკადნიერდი და

გეახელით. თუმცა თავს მოგაბეზრებთ, მაგრამ იქნებ მაინც მოიღოთ მოწყალება და ჩემი თავგადასავალი მოისმინოთ?

მე შევყოყმანდი. მართალია, ეთიკის სპეციალისტი ვარ, მაგრამ სამწუხაროდ სწრაფი აზროვნებით ვერ დავიტრაბახებ - ძალიან მიძნელდება, ჩემი თეორიული ცოდნის დახმარებით უცებ გადავჭრა პრაქტიკული, ცხოვრებისეული საკითხი. სტუმარმა, ეტყობა, მაშინვე შენიშნა

ჩემი ყოყმანი, თავი ასწია და მომაჩერდა. ამ მზერაში ვედრება და მოკრძალება ამოვიკითხე. ცოტა ხნის შემდეგ მან უფრო ბუნებრივი კილოთი მითხრა: - არა, რა თქმა უნდა, ისე არ გავთავხედდები, რომ ჩაგაცივდეთ, მაინცა და მაინც თქვენი აზრი გამოთქვით-მეთქი, მაგრამ ეს ამბავი დღემდე ლოდად მაწევს გულზე და, ვფიქრობ, ცოტაოდენი შვება მაინც მომეცემა, თუ სენსეი მოისმენს, რა ტანჯვა-წამება გამოვიარე.

ამ სიტყვებმა უკანდასახევი გზა გადამიჭრა. უარის თქმა უკვე უზრდელობაში ჩამომერთმეოდა. გადავწყვიტე ყური დამეგდო, მაგრამ გული კი შემეკუმშა - მივხვდი, რაღაც ცუდი ამბავი უნდა მომესმინა, თანაც ბუნდოვნად ვიგრძენი, რომ მძიმე რამ უნდა მეტვირთა. შევეცადე ამ უსიამოვნო ფიქრებს არ ავყოლოდი, სტუმარს ჩემს პირდაპირ მბჟუტავი ლამპის მეორე მხარეს მივუჩინე ადგილი და მშვიდად ვუთხარი:

- აბა, გთხოვთ, დაიწყოთ. თუმცა, თქვენი თქმისა არ იყოს, არ ვიცი, შევძლებ თუ არა, რაიმეთი დაგეხმაროთ.

- არა უშავს. ოღონდ მომისმინეთ. მე ამისი იმედიც არა მქონდა.

სტუმარმა, ნაკამურა გენდოდ რომ გამეცნო, უთითო ხელით მარაო აიღო ჭილოფიდან და

მონოტონური, მწუხარე ხმით დაიწყო თავისი ამბის თხრობა. დროდადრო თავს მაღლა ასწევდა და შემომხედავდა, უფრო ხშირად კი „ტირიფოსან ქალღმერთს“ ახედავდა და მერე კვლავ დაბლა დახრიდა ხოლმე თვალებს.

*

ეს უბედურება მეიძის ოცდამეოთხე წელს[93] შემემთხვა. როგორც მოგეხსენებათ, ოცდამეოთხე წელს დიდი მიწისძვრა მოხდა ნობის დაბლობზე და იმის მერე ჩვენი ოგაკა ძალიან შეიცვალა. იმ დროს კი ქალაქში სულ ორი დაწყებითი სკოლა იყო: ერთი თავადის აშენებული, მეორე კი სახელმწიფო. მე თავადის სკოლაში ვმუშაობდი. რამდენიმე წლის წინ წარჩინებით დავამთავრე პრეფექტურის სამასწავლებლო სემინარია და ამ სკოლაში დავიწყე მუშაობა. დირექტორი კარგი თვალით მიყურებდა და ორმოცდაათი იენი დამინიშნა. დამწყები მასწავლებლისათვის ეს კარგი ხელფასი იყო. ახლა ორმოცდაათი იენით ძლივსძლივობით გაიტანს კაცი თავს, მაგრამ ოცი წლის წინანდელ ამბავს გიყვებით და მაშინ ფული ფულობდა. თავზე არ გადამდიოდა, მაგრამ საცხოვრებლად მყოფნიდა და ამხანაგები შემომნატროდნენ კიდეც. ამქვეყნადცოლის გარდა ახლობელი არავინ მყავდა. სულ ორი წლის დაქორწინებულები ვიყავით. ჩემი ცოლი დირექტორის შორეული ნათესავი იყო. დედ-მამა ბავშვობიდანვე დაეხოცა

და დირექტორმა აიყვანა გასაზრდელად. დირექტორი და მისი ცოლი საკუთარი შვილივით ექცეოდნენ. სახელად საიო ერქვა. შესაძლოა, ჩემგან ამისი თქმა უცნაურადაც მოგეჩვენოთ, მაგრამ ნამდვილად გულალალი, მოკრძალებული, უენო და სევდიანი ქალი იყო. მეც ასეთი გახლდით და, თუმცა ძალიან ბედნიერად არცერთი არა ვგრძნობდით თავს, მაგრამ თანხმობით კი ცხოვრობდით. და აი, ერთ დღეს ის დიდი მიწისძვრა მოხდა. არასოდეს დამავიწყდება, 28 ოქტომბერს დაიწყო, დილის შვიდ საათზე. მე კბილებს ვიხეხავდი ჭასთან, ცოლი სამზარეულოში იყო და საუზმეს ამზადებდა. უცებ სახლი თავზე ჩამოექცა! ეს სულ ორიოდე წუთში მოხდა: ჯერ ქვესკნელიდან საშინელი გუგუნის ხმა გაისმა, მერე სახლი თანდათან გვერდზე გადაწვა და ბოლოს ერთბაშად აგურების ხროვად დაზვავდა მიწაზე. შეყვირებაც ვერ მოვასწარი, რომ აივნის ჩარდახი ჩამოწვა და ქვეშ მომიქცია. ცოტა ხანს უგონოდ ვეგდე. მიწისძვრა აღელვებულ ზღვასავით მარწევდა. ცა ზევით ასროლილი მიწის ღრუბლებს დაეფარა. ბოლოს, როგორც იქნა, ჩამოქცეული ჩარდახის ქვევიდან გამოვფოფხდი და წინ ჩვენი სახლის სახურავი დავინახე, დალეწილი ეგდო მიწაზე. კრამიტებს შორის ბალახი მოჩანდა!

სიტყვები არ მყოფნის, რომ ჩემი მაშინდელი მდგომარეობა გადმოგცეთ. მთელი ჩემი არსება შეძრწუნებამ და დაბნეულობამ მოიცვა. თვალთ დამიბნელდა, მუხლები მომეკვეთა და იქვე ჩავიკეცე. ირგვლივ დანგრეული სახლების მეტს ვერაფერს ვხედავდი, ქვესკნელი გუგუნებდა, სახლის კოჭები და ხეები ასანთის ღერებივით იმტვრეოდა, ხან აქ, ხან იქ, საშინელი ხმაურით

წვებოდა სახლის კედლები, ხალხი მოთქმითა და კივილით აწყდებოდა აქეთ-იქით. მაგრამ სულ რამდენიმე წამს ვიყავი ასე თავზარდაცემული და გაოგნებული. როგორც კი შევნიშნე, რომ შორიახლო, ჩარდახის ქვეშ, რაღაც შეიძრა, გამოვერკვიე და უაზრო ყვირილით გავექანე იქით. ჩარდახქვეშ ჩემი ცოლი საიო ეგდო და ტკივილისაგან იკლაკნებოდა. წელზე ჭერის კოჭი დასცემოდა. ჯერ ხელებში წავეტანე, მერე მხრებში და შევეცადე, გამომეთრია, მაგრამ კოჭმა არ გამოუშვა. მაშინ ჩარდახიდან ფიცრების აგლეჯა დავიწყე, რომ სიმძიმე შემემსუბუქებინა, თან ცოლის გასაგონად გავყვიროდი, გამაგრდი-მეთქი! არ ვიცი, ვის ვამხნევებდი, ცოლს თუ საკუთარ თავს? მახსოვს, ცოლმა ამოიკვნესა, აღარ შემიძლიაო. მერე შემევედრა, როგორმე მიშველეო. მაგრამ მე თხოვნა არ მინდოდა, სახეშეშლილი ვეჯაჯგურებოდი კოჭს, რომ როგორმე ამეწია. ახლაც ცოცხლად მახსოვს ცოლის გასისხლიანებული, აკანკალებული ხელები, ფრჩხილებიც არ მოუჩანდა, ისე ჰქონდა მოსვრილი სისხლში. თვითონაც ეპოტინებოდა კოჭს - ცდილობდა მომხმარებოდა.

ეს ამაო წვალება კარგა ხანს გაგრძელდა... უცებ ვიგრძენი, რომ შავი, მხუთავი კვამლის ბოლქვებში ვეხვეოდი. მივიხედ-მოვიხედე: სახურავის თავზე კვამლის სქელი ღრუბელი იდგა. იმავე წამს კვამლის ბოლქვებს მიღმა ისეთი გრგვინვა გაისმა, თითქოს რაღაც აფეთქდაო და იქაურობა ოქროსფერმა ნაპერწკლებმა დაფარა.

უკანასკნელი ძალა მოვიკრიბე, გიჟივით ჩავაფრინდი ცოლს ორივე ხელით და კიდევ ერთხელ შევეცადე გამომეთრია კოჭს ქვემოდან, მაგრამ ვერაფერს გავხდი. ბოლმა იმატა. მუხლით ჩარდახს დავეყრდენი და მახსოვს, რაღაც ვუთხარი ცოლს, რაღაც ამოვიხრიალე, ალბათ მკითხავთ, რაო, აუცილებლად მკითხავთ, მაგრამ რა

გიპასუხოთ, როცა აღარ მაქსოვს. მხოლოდ ის ჩამრჩა მეხსიერებაში, რომ ცოლმა გასისხლიანებული ხელები წამავლო სახელოში და ერთადერთი სიტყვა „თქვენ“ აღმოხდა... მე სახეზე დავხედე. სახე შემზარავი ჰქონდა, ყოველგვარ გამომეტყველებას მოკლებული. ფართოდ გახელილი თვალებით შემომცქეროდა. იმავე წამს კვამლის ღრუბლებიდან გამოვარდნილი ალის დამაბრმავებელმა ენებმა ჯერ ნაპერწკლები შთანთქა, მერე კი მე ამილოკა სახე. მივხვდი, საშველი აღარ იყო, ცოცხლად დაიწვებოდა. გასისხლიანებულ ხელებში მოვეჭიდე და კვლავ რაღაც ჩავძახე. მან ისევ ერთი სიტყვა მითხრა პასუხად: „თქვენ“... რამდენი სხვადასხვაგვარი აზრი და გრძნობა იყო ჩაქსოვილი ამ ერთ სიტყვაში! „ცოცხლად იწვება, ცოცხლად!“ - მიტრიალებდა გონებაში. მესამედაც დავუძახე რაღაც. მგონი ვუთხარი, მოვკვდები-მეთქი. დიახ, მახსოვს, ასე ვუთხარი, მეც მოვკვდები-მეთქი, თუმცა ალბათ, მაშინ არც მე გამეგებოდა რას ვამბობდი. მერე ისღა მახსოვს, რომ მიწიდან აგურებს ვკრეფდი და ზედიზედ ვურტყამდი ცოლს თავში.

შემდეგ რაც მოხდა, სენსეი თვითონაც ადვილად წარმოიდგენს. მე ცოცხალი გადავრჩი. გამოვექეცი ფეხდაფეხ დადევნებულ კვამლსა და ალს, თითქმის მთელი ქალაქი რომ მოიქციეს

ხახაში, ჩამოქცეულ, ერთიმეორეზე აჩხორილ სახურავებს გავცდი და ბოლოს, როგორც იქნა, არ ვიცი, საბედნიეროდ თუ საუბედუროდ, სამშვიდობოს გამოვედი. იმ ღამეს სკოლის ეზოს შევეფარე ჩემს ამხანაგებთან - მასწავლებლებთან ერთად. სკოლა დანგრეული იყო. მრუმე ცას ჯერ კიდევ ანათებდა ხანძრის ალი. ფარდულში ბრინჯი მოხარშეს და ჩამოგვირიგეს, მაგრამ მე ზეცას მივჩერებოდი და თვალებიდან ღვარად ჩამომდიოდა ცრემლები.

ნაკამურა გენდო დადუმდა და შიშჩამდგარი თვალები ჭილოფს დააშტერა. მე კი ისე შემზარა ამ ამბავმა, რომ ხმა ვეღარ ამოვიღე; ყინვა თანდათან მიჯდებოდა ტანში და ლამის გულშიაც ჩამწვდენოდა. ოთახში მხოლოდ ნავთის ლამპის შიშინი და ჩემი მაჯის საათის თანაბარი წიკწიკი ისმოდა. ამ სიჩუმეში სუსტი ოხვრა გაისმა, ისეთი სუსტი, თითქოს „ტირიფოსანი ქალღმერთი“ შეირხა წალოშიო.

თავი ავწიე და სტუმარს მივაჩერდი. იგი კვლავ თავდახრილი იჯდა და ჭილოფს დაშტერებოდა. ნეტა იმან ამოიოხრა? იქნებ მე თვითონ ვიყავი? ფიქრი გენდოს სუსტმა ხმამ შემაწყვეტინა. მან აუჩქარებლად განაგრძო თავისი ამბის თხრობა:

რა თქმა უნდა, ცოლის დაღუპვამ ძალიან დამამწუხრა. სკოლაში ყველა, თვითონ დირექტორიც კი ცდილობდა ვენუგეშებინე, მაგრამ მეტყოდნენ თუ არა თანაგრძნობის სიტყვებს, ტირილი

ამივარდებოდა. საოცარია, მაგრამ ვერაფრით ვერ გავბედე მეღიარებინა, რომ მიწისძვრის დროს მე თვითონ მოვკალი ცოლი. რა იქნებოდა, მეთქვა: ვიფიქრე, ცოცხლად დაწვას ასე სჯობია და საკუთარი ხელით მოვკალი-მეთქი? სასამართლო, მე მგონი, პატიმრობას არ მომისჯიდა ამისთვის. ეს რომ გაეგოთ, ალბათ უფრო მითანაგრძნობდა ყველა, მაგრამ რამდენჯერაც კი დავაპირე გამოტყდომა, ყელში რაღაც გამეჩხირა და ხმა ვერ ამოვიღე.

მაშინ მეგონა, რო ამის მიზეზი ჩემი გაუბედაობა იყო. სინამდვილეში კი მიზეზი უფრო ღრმა და სერიოზული გამოდგა. მაგრამ სანამ მეორედ დაქორწინებაზე არ ჩამომიგდეს სიტყვა და ახალი ცხოვრების დაწყების ჟამმა არ მოაწია, ეს მიზეზი თვითონაც არ მქონდა გაცნობიერებული. და როცა მივხვდი, თუ რა იყო ჩემი გაუბედაობის მიზეზი, საცოდავ, სულიერად მოშლილ და გაუბედურებულ არსებად ვიქეცი.

მეორედ დაქორწინება სკოლის დირექტორმა, საიოს ძმობილმა მირჩია. ვიცოდი, რომ მართლა ძალიან ვეცოდებოდი და ამიტომ უნდოდა ხელახლა დამეწყო ცხოვრება. რაც უნდა იყოს, უკვე მთელი წელი გავიდა საიოს დაღუპვიდან. ადრეც ბევრმა გადამიკრა სიტყვა, მაგრამ პირდაპირ არავის უთქვამს. დირექტორმა კი საცოლეც დამისახელა, ბატონ N-ის უმცროსი ქალიშვილის გარიგებას გიპირებენო.

ჩვენ ახლა სწორედ ამ ბატონის სახლში ვიმყოფებით. მისი უფროსი ვაჟი დაწყებითი სკოლის მეოთხე კლასში სწავლობდა. მე ხანდახან აქ მოვდიოდი და ვამეცადინებდი ხოლმე. რა თქმა უნდა, მაშინვე გადაჭრით ვთქვი უარი ამ ქორწინებაზე. ჯერ ერთი, მე და ბატონი N სოციალური კიბის სხვადასხვა საფეხურზე ვიდექით - მე უბრალო მასწავლებელი ვიყავი, ის კი მთელ ქალაქში ცნობილი, გავლენიანი და მდიდარი კაცი გახლდათ და, გარდა ამისა, მეშინოდა, ხალხმა ლაპარაკი არ დაიწყოს, ოჯახში იმიტომ მოუხშირა სიარულს, რომ ქალიშვილისათვის თავი შეეყვარებინაო. სინამდვილეში კი ჩემი უარის მიზეზი საიოს აჩრდილი იყო, საიოსი, რომელიც საკუთარი ხელით მოვკალი. აჩრდილი, რაც ხანი გადიოდა, სულ უფრო და უფრო გამჭვირვალე ხდებოდა, მაგრამ ჯერ მთლიანად არ გამქრალიყო და კვლავ მტკიცე დაბრკოლებად იყო აღმართული ჩემი ახალი ქორწინების გზაზე. მაგრამ დირექტორს არც ჰქონდა იმედი, რომ ერთი თქმით დავთანხმდებოდი და ჩამაცივდა, თქვენი ხნის კაცი დიდხანს უცოლოდ ვერ გაჩერდება და ბედი ხელიდან არ გაუშვათო, მითხრა. ჯერ ერთი, თვითონ ქალიშვილს ძალიან მოსწონხართ, მერე, თუ შეირთავთ, თქვენი დიდი ხნის ოცნება განხორციელდება - ტოკიოში წახვალთ სასწავლებლადო. ბოლოს დასძინა, ხალხის ლაპარაკისა ნუ გეშინიათ, მაჭანკლობას მე ვკისრულობ და ისე მოვაწყობ საქმეს, რომ ვერავინ დაგწამებს რაიმესო. ერთი სიტყვით, იმდენი მეჩიჩინა, რომ ყოყმანი დავიწყე. ქალიშვილი ძალიან ლამაზი იყო და, მრცხვენია, რომ ვამბობ, მაგრამ N-ის სიმდიდრეც მიზიდავდა. დირექტორთან საუბრის შემდეგ N-ის ოჯახში სიარულს მოვუხშირე კი დავპირდი, რომ ახალი წლის შემდეგ ვეტყოდი

საბოლოო პასუხს. ბოლოს, მეიძის ოცდამეექვსე წლის გაზაფხულზე დავთქვით, რომ შემოდგომაზე ვიქორწინებდით.

და აი, როცა ყველაფერი გადაწყდა, რატომღაც საშინლად დამიმძიმდა გული, ისე საშინლად, რომ მუშაობაც ვეღარ შევძელი. მივიდოდი სკოლაში, მივუჯდებოდი მაგიდას და ისე ჩავეფლობოდი ფიქრებში, რომ ზარის ხმაც აღარ მესმოდა. თვითონაც ვერ გავრკვეულიყავი, რა მინდოდა, რატომ მაწუხებდა ასე შემოდგომის მოახლოება. ვგრძნობდი მხოლოდ, რომ აზრები ხან არ ებმებოდა ერთმანეთს, ხან კი ისე ერთად მოზღვავდებოდა ყველა, თითქოს უნდოდათ მტკიცედ გადაეღობათ გზა იმ ერთი, სადღაც გონების სიღრმეში ჩამარხული აზრისათვის, დროდადრო ცნობიერების ზედაპირზე ამოღწევას რომ ლამობდა.

თითქმის ორი თვე ვიყავი ასე გაბრუებული. დადგა ზაფხულის არდადეგები. ერთ საღამოს ქუჩაში გამოვედი სასეირნოდ. ხონგანძის[94] სამლოცველოს რომ გავცდი, წიგნის მაღაზიის წინ გამართულ დახლზე გამოფენილი ჟურნალ-გაზეთები დავინახე, მივედი და თვალიერება დავუწყე. თვალში მომხვდა იმხანად ერთობ პოპულარული ჟურნალის „ილუსტრირებული მიმოხილვის“ პრიალა ყდები. იქვე ელაგა მოთხრობები მოჩვენებებზე და ალბომები. „ილუსტრირებული მიმოხილვის“ ერთერთო ნომერი ავიღე ხელში. ყდაზე ცეცხლის ალში გახვეული დანგრეული სახლები ეხატა, ზემოთ კი მსხვილი ასოებით ეწერა: „გამოცემულია

მეიძის ოცდამეოთხე წლის 30 ოქტომბერს; 28 ოქტომბრის მიწისძვრა“. ეს რომ წავიკითხე, გულზე მტკივნეულად მომიჭირა რაღაცამ, მომეჩვენა, თითქოს ვიღაცამ ბოროტად ჩამჩურჩულა ყურში: „აი, ის მიწისძვრა, აი, ის მიწისძვრა!“ მაღაზიაში ჯერ არ აენთოთ სინათლე, ქუჩაში უკვე ბინდი იდგა, მაგრამ მაინც გადავშალე ჟურნალი, პირველ გვერდზე დანგრეული სახლის კოჭებქვეშ მოყოლილი ოჯახის ფოტო იყო მოთავსებული. მომდევნო გვერდზე მიწას პირი დაეღო და ბავშვებიან ქალს ნთქავდა: ამას მოსდევდა... თუმცა რა საჭიროა ყველაფრის ჩამოთვლა? იმ წამებში ნათლად წარმომიდგა თვალწინ ორი წლის წინათ ნანახი საშინელი სურათები: აქ იყო ნაგარაგავას ჩანგრეული ხიდი; ეს კი ადრე ოვარის საფეიქრო კომპანიის შენობა იყო. ერთ-ერთ სურათზე მესამე დივიზიის ჯარისკაცთა გვამებს თხრიდნენ ნანგრევებიდან, მეორეზე დასახიჩრებულები მიჰყავდათ ანტის საავადმყოფოში... ამ საშინელმა სურათებმა კვლავ გამოაცოცხლა იმ წყეული დროის მოგონებები; თვალებზე ცრემლი მომადგა, ავკანკალდი, რაღაც გაურკვეველმა გრძნობამ შემიპყრო. ვერ გეტყვი, ტკივილი იყო ეს თუ შვება და როცა ბოლო გვერდს დავხედე... ახლაც, იმ წუთებს რომ ვიგონებ, ხანჯალივით მისერავს ტკივილი გულს. ბოლო გვერდზე თავხის ქვეშ მოყოლილი, ტკივილისაგან სახეშეშლილი ქალი იყო გამოსახული. თავხე გარდიგარდმო დასცემოდა წელზე, უკან კი კვამლის ბოლქვები, ალის ენები და ნაპერწკლების კორიანტელი მოჩანდა! ეს ხომ ჩემი ცოლის აღსასრულს გავდა. ჟურნალი კინაღამ ხელიდან გამივარდა. კინაღამ ღრიალი მოვრთე. უცებ ბოლის სუნი ვიგრძენი და კიდევ უფრო დავფრთხი. თავს ძალა დავატანე, რომ ცოტათი დავმშვიდებულიყავი,

ჟურნალი დახლზე დავდე და ირგვლივ მიმოვიხედე: ნოქარს მაღაზიის შესასვლელში ჩამოკიდებული ლამპა აენთო და ასანთი ქუჩაში გადმოეგდო: ასანთს ჯერ კიდევ ბოლი ასდიოდა.

იმ დღიდან კიდევ უფრო კუშტი და უკარება გავხდი. ადრე მხოლოდ რაღაც გაუცნობიერებელი შიშისა და წუხილის გრძნობა მტანჯავდა, ამის შემდეგ კი ერთი ისეთი ეჭვი მომეძალა, რომ დღეცა და ღამეც ჯოჯოხეთად მიქცია. ნუთუ არ შეიძლებოდა, არ მომეკლა ცოლი იმ მიწისძვრის დროს? - ვეკითხებოდი წამდაუწუმ საკუთარ თავს. ნუთუ ეს აუცილებელი იყო?! უფრო გულწრფელად რომ ვთქვათ, იმიტომ ხომ არ მოვუღე ბოლო, რომ ადრეც მინდოდა მისი მოკვლა და მიწისძვრის დროს მარჯვე შემთხვევა მომეცა, რომ დიდი ხნის ოცნება განმეხორციელებინა? აი, ეს ეჭვი მაწამებდა, ეს აზრი მიწამლავდა სიცოცხლეს. არა, არა! ვარწმუნებდი თავს, მაგრამ ის ვიღაცა, წიგნის მაღაზიასთან რომ ჩამაწვეთა გულში შხამი და სამსალა,

ახლაც დაცინვით ჩამსისინებდა ყურში, მაშ რატომ ვერ გაბედე სიმართლის თქმა, რატომ არ აღიარე, რომ ცოლი მოკალიო? ამის გაგონებაზე გული მეფლითებოდა. მართლაც რატომ არა ვთქვი, რატომ არ ვამხელ დღემდე ამ საზარელ საიდუმლოს? და, ერთ დღეს, ცხადად შევიგრძენი, რომ იმ დროს ცოლი საშინლად მეჯავრებოდა. სირცხვილია ამის თქმა; თქვენ, შესაძლებელია, ვერც კი გამიგოთ, მაგრამ საიო, სამწუხაროდ, ქალად არ ვარგოდა - ცივი, ყინულივით ცივი და უგრძნობელი იყო... ამგვარად, იმ დღემდე თავს ვარწმუნებდი, ვალდებული ვარ ზნეობის

კანონებს დავემორჩილო-მეთქი და თითქმის შევძელი კიდეც გრძნობის დათრგუნვა, მაგრამ მოხდა ის დიდი უბედურება და ყოველივე, რაც კი საზოგადოებამ შექმნა, აღიგავა პირისაგან მიწისა. და მაშინ ამდენი ხნის უკმარისობისა და უკმაყოფილების გრძნობა ვულკანივით აბობოქრდა გულში, გადაანგრია ზნეობრივი სიმტკიცის ხელოვნური ჯებირი და ცეცხლის ნიაღვრად დაატყდა თავზე საბრალო ქალს! მოვკალი იმიტომ, რომ ვერ ვიტანდი! აი, ეს ეჭვი ველარ მოვიშორე და რა გასაკვირია, რომ დღითიდღე სულ უფრო და უფრო მეუფლებოდა სევდა და კაეშანი. წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო და მეც ვცდილობდი, როგორმე თავი დამეღწია საზარელი ეჭვისაგან. ვამბობდი, რომ არ მომეკლა, ცოცხლად დაიწვებოდა ცეცხლში და, მაშასადამე, ბოროტმოქმედება არ ჩამიდენია-მეთქი.

ერთხელ, ზაფხული რომ მიიწურა და სწავლა დაიწყო, კოლეგებთან ერთად შესვენებაზე ჩაის ვსვამდი სამასწავლებლოში. ვიღაცამ იმ ორი წლის წინანდელ მიწისძვრაზე ჩამოაგდო სიტყვა. მე საუბარში არ ჩავერიე, ყურიც კი მოვიყრუე. ჰყვებოდნენ, როგორ ჩამოიქცა ხონგარის სამლოცველოს სახურავი, როგორ წაიღო მდინარემ მთელი ჯებირი, როგორ დააღო პირი მიწამ ტავარამატის ქუჩაზე... ერთერთმა მასწავლებელმა გვიამბო, რომ ერთ ქალს, ღვინის სავაჭრო რომ ჰქონდა ნაკამატის ქუჩაზე, ჭერი ჩამოენგრა თავზე და კოჭმა ქვეშ მოიყოლა. ბევრს ეცადა გამომძვრალიყო, მაგრამ ვერაფერს გახდა და აუცილებლად დაიღუპებოდა, რომ სახლის ნანგრევებს ხანძარი არ გასჩენოდა. ცეცხლი კოჭსაც მოედო, შუაში გამოწვა და გადატეხა. ქალი გადარჩა!

ეს ამბავი რომ მოვისმინე, თვალთ დამიბნელდა და სული ველარ ამოვითქვი. მერე გულიც წამივიდა. გონს რომ მოვედი, გარს ამხანაგები შემომხვეოდნენ და მაბრუნებდნენ - ზოგი წყალს მასმევდა, ზოგი წამალს მაყნოსინებდა; შეუმჩნევიათ, რომ ფერი დავკარგე და დაფაცურებულან. გონს კი მოვედი, მაგრამ ისევ იმ ამბავზე ვფიქრობდი და მადლობაც ვერ გადავუხადე ამხანაგებს. ტვინს საზარელი ეჭვი მიბურღავდა: იმიტომ ხომ არ მოვკალი, რომ შემეშინდა, შემთხვევით არ გადარჩენილიყო? რომ არ მომეკლა, იქნებ მართლა გადარჩენილიყო. ის ღვინით მოვაჭრე ქალი ხომ გადარჩა! მე კი შეუბრალებლად დავუჩეჩქვე თავი აგურებით... სენსეი თვითონ მიხვდება რა დღეში ჩამაგდო ამ ეჭვმა. ჩემს ტანჯვას საზღვარი არა ჰქონდა, მომავალ ქორწინებაზე ფიქრიც კი მზარავდა და ბოლოს გადავწყვიტე, უარი მეთქვა ბატონ N-ის ქალიშვილის შერთვაზე.

მაგრამ, როცა ქორწინების ვადა მოახლოვდა, კვლავ ყოყმანი დავიწყე. ხომ უნდა ამეხსნა უარის მიზეზი? უნდა გამემხილა ჩემი საიდუმლო, უნდა მეთქვა, რომ სულიერად განადგურებული ვიყავი და ცოლის შერთვის თავი არა მქონდა.

მეყოფოდა კი გამბედაობა, რომ გადამწყვეტ წუთებში ყველაფერი გულწრფელად მეღიარებინა? ვცდილობდი თავი გამემხნევებინა და ეს აუცილებელი ნაბიჯი გადამედგა, მაგრამ ვერა და ვერ გამებედა. ამასობაში კი შუა შემოდგომამ მოაწია და უკვე სულ ცოტა დარჩა ქორწილამდე.

მე ლაპარაკის თავიც არა მქონდა, მაგრამ ამხანაგები თვითონ მეუბნებოდნენ, რომ არ ჯობია ქორწილი გადავდოთო? დირექტორმა ერთი სამჯერ მაინც მითხრა, კარგი იქნებოდა ექიმს სჩვენებოდიო. მე კი ვერც ქორწილის გადადებას ვბედავდი და ვერც ექიმთან მისვლას. გადადება რას მიშველიდა? ან გადაჭრილი უარი უნდა მეთქვა, ან ბედს უნდა დავმორჩილებოდი. სასიმამროს ეგონა, ასე ცუდ გუნებაზე იმიტომ არის, რომ მარტოხელააო და სულ მიჩიჩინებდა, საქმე დავაჩქაროთო. ბოლოს, როგორც იქნა, გადავწყვიტე და ქორწინების დღედ 29 ოქტომბერი დავნიშნე (ის მიწისძვრაც ოქტომბერში მოხდა, ორი წლის წინათ, ოღონდ 28 რიცხვში). ცერემონიალი სასიმამროს სახლში ჩატარდა. როცა გერბებით მორთულ სანეფე ტანსაცმელში გამომაწყვეს და მდიდრულად გაწყობილ-მოოქროვილი თეჯირებით გაყოფილ ოთახში შემიყვანეს, ხელ-ფეხი შემებორკა. მეჩვენებოდა, რომ არამზადა ვიყავი, არამზადა, რომელიც ყველასგან ფარულად, ახალი ბოროტმოქმედების ჩადენას აპირებს. არა, კი არ მეჩვენებოდა, მართლა ასე იყო. მხეცურად გავუჩეჩქვე თავი საკუთარ ცოლს და ახლა N-ის ოჯახს მივადექი, რომ ქალიშვილი და ქონება წამერთმია. ამ ფიქრებმა ცეცხლი წამიკიდა გულზე, სახეზე ერთიანად შემომენთო სიწითლე, მკერდში აუტანელი ტკივილი ვიგრძენი. უეცრად საშინლად მომინდა, აქვე, ყველას თანდასწრებით გამეცხადებინა ჩემი დანაშაული, ხმამაღლა მეყვირა, რომ მკვლელი ვარ, ცოლის მკვლელი! ამ დროს, ჩემ წინ, ტახტზე, მოჩვენებასავით გამოჩნდა თეთრი ატლასის წინდები. შემდეგ კიმონო დავინახე, რომლის კალთებზე ცამდე აწვდილი ნაძვები და ნისლში მოლივლივე წეროები მოჩანდა. მერე ჩემმა

დაბინდულმა მზერამ ოქროქსოვილი სარტყელი, ვერცხლის ძეწკვი და თეთრი საყელო გაარჩია, ბოლოს კი მაღლა ავარცხნილი თმა და შიგ ჩაბნეული კუს ბაკნის მქრქალად მბზინავი სავარცხლები და თავსაჭერები. ყოველივე ამის დანახვაზე ისე შემეშინდა, რომ სუნთქვა შემეკრა. შემდეგ ძლივს ამოვითქვი სული, მოვიხარე, ტატამზე დავემხე და სასოწარკვეთილმა ვიღრიალე, საზარელი ბოროტმოქმედება ჩავიდინე, მკვლელი ვარ, მკვლელი-მეთქი!

ნაკამურა გენდო დადუმდა და თვალებში მომაჩერდა. მერე ერთი მწარედ გაიღიმა და კვლავ ალაპარაკდა:

- აღარ შეგაწყენთ თავს. თვითონაც მიხვდებით, რა მოხდებოდა შემდეგ. მხოლოდ ის მინდა დავსძინო, რომ დღემდე წვალებით მივათრევ ჩემს ტანჯულ წუთისოფელს და ყველას შეშლილი ვგონივარ. იმის გადაწყვეტა, შეშლილი ვარ თუ არა, სენსეისათვის მიმინდვია, მაგრამ თუ მართლა შეშლილი ვარ, მინდა გავიგო, რა არის ამის მიზეზი. იქნებ იმ მხეცმა შემშალა, ყველა ადამიანის სულის სიღრმეში რომ არის მიმალული? ის ყველას სულშია და ხვალ შეიძლება ისინი გააგიჟოს, რომლებიც დღეს მე დამცინიან... ასე მგონია, თუმცა იქნებ...

ჩემსა და საშინელ სტუმარს შორის კვლავ ლამპის სუსტი შუქი პარპალებდა. მინდოდა მეკითხა, ხელზე თითი რატომ გაკლია-მეთქი, მაგრამ გამახსენდა, რომ ზურგს უკან

„ტირიფოსანი

ქალღმერთი“ მედგა და გადავიფიქრე. გაზაფხულის სუსხი ძვალ-რბილში მივლიდა, მე კი გაუნძრევლად ვიჯექი და ვდუმდი.

აგვისტო***, 1919*****წ.***

თარგმნა ანდუყაფარ ჭეიშვილმა

ძურიანო კიტისკე

1

ძურიანო კიტისკე წარმოშობით სიძენის პროვინციის სინოკის მაზრის სოფელ ურაკამადან იყო. დედ-მამა ადრე დაეხოცა და პატარაობიდანვე იმავე სოფელში დაუდგა მსახურად ვინმე ოტანა საბურომის. ძურიანო კიტისკე დაბადებიდან მოსულელო გახლდათ და ამხანაგები გამუდმებით მასხრად იგდებდნენ, პირუტყვივით ჩაგრავდნენ და ყველაზე მძიმე სამუშაოს მას ასრულებინებდნენ.

და ამ კიტისკემ თვრამეტი-ცხრამეტი წლის ასაკში შეიყვარა საბურიძის ერთადერთი ქალიშვილი - კანე. კანე, რა თქმა უნდა, აინუნშიაც არ აგდებდა მსახურის გრძნობებს. ამას ისიც დაემატა, რომ გულბოროტმა ამხანაგებმა მალე შეამჩნიეს კიტისკეს გასაჭირი და უფრო მეტად დაუწყეს დაცინვა. კიტისკე სულელი კი იყო, მაგრამ მაინც ვერ გაუძლო ამდენ წვალებას და ერთხელ, ღამით, ჩუმად გაიპარა სახლიდან, რომელიც მისთვის უკვე მშობლიური გამხდარიყო.

გავიდა სამი წელი, კიტისკესი კი არაფერი ისმოდა.

სამი წლის შემდეგ, მათხოვარივით ჩამოძენძილი, კვლავ დაბრუნდა ურაკამაში. დაბრუნდა და ისევ საბურომის ოჯახში დაიწყო მუშაობა. ახლა უკვე გულთან აღარ მიჰქონდა ამხანაგების დაცინვა, საქმის მეტი არაფერი ახსოვდა, თავაუღებლივ შრომობდა. პატრონის ქალიშვილის - კანეს ერთგული იყო ძაღლივით. კანე უკვე გათხოვილიყო და ქმართან ერთად ბედნიერად ცხოვრობდა.

ასე გავიდა ერთი-ორი წელი. განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. ოღონდ ეგ იყო, ამხანაგებმა კიტისკეს ქცევაში რაღაც საეჭვო შენიშნეს. ცნობისმოყვარეობით შეპყრობილებმა თვალთვალი დაუწყეს და შეამჩნიეს, რომ იგი დილა-საღამოს პირჯვარს იწერდა და ლოცვას ბუტბუტებდა. მსახური მაშინვე პატრონთან დაასმინეს. საბურომის ალბათ შეეშინდა, ამ ამბავმა ცუდი რამ არ მომწიოსო, და კიტისკე მაშინვე სოფელ ურაკამას სამმართველოში წააყვანინა.

როცა მცველებს კიტისკე ნაგასაკის ციხისკენ მიჰყავდათ, მას შიშის ნიშანწყალიც არ ემჩნეოდა. როგორც ლეგენდა მოგვითხრობს, კიტისკეს მოსულელო სახე ამ დროს ისე გასხივოსნებოდა, კაცი იფიქრებდა, ციურ შუქს გაუცისკროვნებიაო.

2

კიტისკემ მოსამართლესთან გულახდილად აღიარა, ქრისტიანების სექტას ვეკუთვნიო. მაშინ მოსამართლეს ადა კიტისკეს შორის შემდეგი დიალოგი გაიმართა: მოსამართლე - რა ჰქვიათ შენი სექტის ღმერთებს?

კიტისკე - ბერენის[95] ქვეყნის პრინცი, ესუ კირისტო-სამა და პრინცესა მეზობელი ქვეყნიდან - სანტა მარია-სამა. მოსამართლე - როგორი შესახედავნი არიან?

კიტისკე - ესუ კირისტო, რომელიც ძილში გვეცხადება ხოლმე, ლამაზი ყმაწვილია, იისფერი ოფურისოდე აცვია, პრინცესა სანტა-მარიას კი - ოქროსა და ვერცხლის ძაფით ნაქარგი კაიდორი[96]. მოსამართლე - რატომ გახდნენ ისინი ამ სექტის ღმერთები?

კიტისკე - ესუ კირისტო-სამას შეუყვარდა და პრინცესა სანტა-მარია, სიყვარულისგან მოკვდა და ამიტომ გახდა ღმერთი. უნდა ეხსნა ისინი, ვინც მასავით იტანჯებოდნენ. მოსამართლე - ვინ მოგაქციათ ამ რწმენაზე?

კიტისკე - სამი წელიწადი დავეხეტებოდი სხვადასხვა ადგილებში და მაშინ, ზღვის ნაპირას, გამანათლა ერთმა უცნობმა წითურმა კაცმა. მოსამართლე - როგორ მოგნათლეს? კიტისკე - ჯერ ნაკურთხი წყალი მომასმევინა, მერე ძურიანოდ მომნათლა.

მოსამართლე - მერე სად წავიდა ის წითური კაცი? კიტისკე - საოცრება

მოხდა; მღელვარე ტალღებმა გადაიარა და გაუჩინარდა. მოსამართლე -

აღსასრულის დღე დაგიდგა, შენ კი რაღაც ტყუილებს ჩმახავ!

კიტისკე - არა ვტყუი. ყველაფერი სრული ჭეშმარიტებაა.

მოსამართლეს უცნაურად მოეჩვენა კიტისკეს მონაყოლი, არაფრით რომ არ ჰგავდა იმ ქრისტიანების საუბარს, რომლებიც ადრე ჰყავდა დაკითხული. კიდევ რამდენჯერმე ჩაეკითხა, განურისხდა, დაემუქრა, მაგრამ კიტისკე მაინც მტკიცედ იდგა თავის ნათქვამზე.

3

ბოლოს, ამ ქვეყნის კანონების მიხედვით, ძურიანო კიტისკეს ჯვარზე გაკვრა მიუსაჯეს.

დანიშნულ დღეს მსჯავრდადებული მთელ ქალაქში გაატარეს, მაღლობზე აიყვანეს და უმოწყალოდ მიაჭედეს ჯვარზე. ჯვარი გამოკვეთილად ჩანდა ცის ფონზე, ბამბუკის ღობის ზეგარდმო. მაღლა თავაწეული კიტისკე ხმამაღლა ლოცულობდა. მან წარბშეუხრელად გადაიტანა ჯალათების შუბების დარტყმა. ლოცვა რომ დაიწყო, მის თავზე, ცაში, ღრუბლის ქულები მოგროვდა და ჯვარცმის ადგილას საშინელი თქეში წამოვიდა. როდესაც ცა კვლავ მოიწმინდა, ძურიანო კიტისკემ უკვე სული განუტევა, მაგრამ იმათ, ვინც ღობის მიღმა იდგა, კვლავ ცხადად ჩაესმოდათ ყურში ის ლოცვა, სულ ახლახან რომ აღავლენდა ჯვარცმული.

ეს სულ უბრალო ლოცვა იყო: „ო, ბერენის ქვეყნის პრინცო, სადა ხარ ახლა? დიდება შენდა!“

როცა მისი ცხედარი ჯვრიდან ჩამოხსნეს, ჯალათები გაოცდნენ: ცხედარი საოცარ სურნელს აფრქვევდა, ბაგეზე კი ქათქათა თეთრი შროშანა გაფურჩქნოდა.

ასეთია ძურიანო კიტისკეს ცხოვრება, როგორც ამას მოგვითხრობენ „ნაგასაკიტიომონსიო“, „კოკიო-იძი“, „კეიკო ჰაისიოკუდანი“ და სხვანი. მე იაპონელ მარტვილთაგან ყველაზე უფრო ეს სულელი წმინდანი მიყვარს.

სექტემბერი***, 1919*****წ.***

თარგმნა მანანა მაჭავარიანმა

როგორ სწამდა ბისეის

ბისეი ხიდი ქვეშ იდგა და ელოდა მას.

ზემოთ კი, ქვის მაღალ, სუროთი ნახევრად დაფარულ მოაჯირს მიღმა, დროდადრო გამოკრთებოდა ხოლმე ხიდზე გამვლელ-გამომვლელთა თეთრი, ჩამავალი მზის კაშკაშა შუქით განათებული ტანსაცმლის კალთები, ოდნავ რომ ფრიალებდა ქარში... ის კი არ ჩანდა.

ბისეის მოუთმენლობა დაეტყო, წყალს მიუახლოვდა და დაუწყო მზერა მდორე მდინარეს, რომელზეც არც ერთი ნავი არ მოცურდა.

მდინარის გასწვრივ მწვანედ ატეხილიყო ხშირი ლერწამი და თითქოს არტახებში მოექცია მდინარე. ლერწამს თავზე აქა-იქ გუმბათებივით დასდგომოდა ტირიფის ჩამოძენძილი ტოტები. ლერწმის არტახებს ისე შეეკრა მდინარე, რომ ვიწრო ზოლადღა მიიკლაკნებოდა. წყალში ოქროსფრად ლივლივებდა ცაზე შემორჩენილი ერთადერთი სადაფისფერი ღრუბლის ანარეკლი... ის კი არ ჩანდა.

ბისეი წყალს მოშორდა და ვიწრო თავთხელზე დაიწყო ბოლთის ცემა. დადიოდა და თან ბინდში ჩამომდგარ სიჩუმეს აყურადებდა.

ხიდზე მოძრაობა მინელდა, მიწყნარდა ადამიანის ფეხის ხმა, ფლოქვების ხმაური, საზიდრების რახრახი. მხოლოდ ქარი სისინებდა, ლერწამი შრიალებდა და წყალი თქაფუნებდა. შემდეგ საიდანღაც ყანჩის გამკივანი ხმა მოისმა. ბისეი შეჩერდა. ზღვაზე მოქცევა დაწყებულიყო. წყალი ნელ-ნელა ეპარებოდა შლამიან მეჩეჩს და მალე სულ ახლოს ალიცლიცდა... ის კი არ ჩანდა.

გაბრაზებული ბისეი ხიდქვეშ, ნახევრად ბინდმოცულ თავთხელზე ჩქარ სიარულს მოჰყვა. წყალი ნელ-ნელა ფარავდა მეჩეჩს. ბისეიმ შლამის სიგრილე და წყლის სიცივე იგრძნო ფეხზე და მოუთმენლად აიხედა ზევით. ხიდიდან უკვე გადასულიყო ჩამავალი ზმის კაშკაშა შუქი. ღია მწვანე დაისის ცის ფონზე შავად მოჩანდა ხიდის ქვის მოაჯირის მკვეთრი სილუეტი... ის კი არ ჩანდა.

ბისეი შეჩერდა.

წყალი ფოლადივით ბზინავდა, ნელა მიედინებოდა ხიდქვეშ და უკვე ფეხებს ულოკავდა ბისეის. ერთი საათიც, და ზღვის უმოწყალო მოქცევა დაუფარავს მუხლებს, მუცელს, მკერდს. წყალი უფრო და უფრო მაღლა მიიწევს და აი, მუხლები უკვე მდინარის ტალღებქვეშ მოეცა... ის კია არ ჩანდა.

ბისეი იმედს არ კარგავდა, ხან ცას ახედავდა მოლოდინჩამდგარი თვალებით, ხან ხიდს.

წყალი უკვე მკერდამდე მიწვდა.

მდინარეზე კარგა ხანია ლილისფერი ბინდი ჩამოწვა. და აჩრდილისამებრ ნისლიდან ისმოდა ტირიფებისა და ხშირი ლერწმის სევდიანი შრიალი. ანაზდად ბისეის ზედ ცხვირწინ ამოუხტა პაწია გულთეთრა თევზი, თავზე გადაუარა და კვლავ წყალში

მიიმალა. მაღლა, ცაზე, უკვე აკიაფდა პირველი ვარსკვლავები. სუროთი დაფარული მოაჯირის სილუეტიც შთაინთქა უეცრად ჩამოწოლილ სიბნელეში... ის კი არ ჩანდა.

შუაღამისას, როცა მდინარის გაყოლებით ლერწამს და ტირიფებს მთვარის შუქი მოეფინა, წყალმა და ქარმა, ერთმანეთს რომ ეჩურჩულებოდნენ, ზღვისკენ გააცურეს ბისეის ცხედარი. ბისეის სული კი მდუმარედ გაფრინდა სევდიანი მთვარის შუქისაკენ (ალბათ იმიტომ, რომ შეყვარებული იყო). ისე ფრთხილად დატოვა სხეული, ისე მსუბუქად აცურდა ფერმიმქრალ ცაში, სწორედ რომ უჩუმრად, როგორც ადის ხოლმე მდინარიდან შლამის სუნი და წყლის სიგრილე...

მერე კი, მრავალი ათასეული წლისა და ნაირ-ნაირ გარდაქმნათა შემდეგ, ამ სულს კვლავ მიანდეს ადამიანის სიცოცხლე. ეს ის სულია, ჩემს სხეულში რომ დგას, აი ასეთში, როგორიც ვარ. ამიტომაც, თუმცა ამ დროების შვილი ვარ, მაინც არაფერი გამომდის.

მე დღე და ღამ ვოცნობებ და ნიადაგ ველოდები რაღაც უჩვეულოს. რაღაც სასწაულს, ისევე, როგორც ხიდქვეშ საღამოს ბინდბუნდში მდგარი ბისეი ელოდა თავის მიჯნურს, რომელიც არასოდეს მოვიდოდა.

სექტემბერი***, 1919***წ.

თარგმნა მანანა მაჭავარიანმა

დედაბერი თვალებიდან ცრემლებს აფრქვევდა, მუხლისჩოქვით მიუახლოვდა, ანაზდად გასივდა მისი ჩრდილი, უკანა კედელს აეკრა, მყრალი, მომჟავო სუნი ეცა სინძოს და უეცრად ყველაფერს - თვით სინძოს, ფუსუმას, საკეს ბოთლს, სარკეს, კარადას და ზაბუტონსაც - ყველაფერს ერთად ავბედითი იერი დაედო. „ის ყმაწვილიც ვნებათაღელვამ აიტაცა, შენსავით წინ აღუდგა ბასარას დიად სულს, ჩემში რომ არის ჩასახლებული, აკი ეწია კიდეც ბედისწერის მახვილი, საცაა სიცოცხლეს გამოესალმება. კარგი გაკვეთილია შენთვის. აბა, ყური მიუგდე!“ დედაბრის სისინი, უთვალავი ბუზის ფრთების შრიალივით, ყოველი მხრიდან ეკვროდა სინძოს, ყურებში უძვრებოდა. იმავ წამს სიოძის მიღმიდან ღამის წყვდიადი გამოარღვია და გარკვევით გაისმა წყალში ჩავარდნილი სხეულის ხმა. შიშით გონწართმეული სინძო ფეხზე წამოვარდა, აღარც ატირებულ ო-ტოსის გამომშვიდობებია, ისე გამოიჭრა დედაბრის სახლიდან.

მეორე დილას ნიხონბასიზე, საკუთარ სახლში გაეღვიძა, გაზეთი გაშალა და თვალი მოჰკრა ცნობას, სადაც იტყობინებოდნენ, რომ წუხელ მდინარე ტეტეკავაში დამხრჩვალიყო კამეძავას ქუჩაზე მცხოვრები მდიდარი ყმაწვილი. თვითმკვლელობის მიზეზი უბედური სიყვარული ყოფილა. თვითმკვლელობის ადგილი - იტინობასსა და ნინობასს შორის მდებარე ისიგასის სანაპირო. ისევ ჟრუანტელმა დაუარა სინძოს, მერე შეახურა და სამ დღეს ლოგინიდან აღარ წამომდგარა, გულს უგლეჯდა საყვარელ ქალზე დარდი. უკვე იმასაც მიხვდა, რომ ო-ტოსის გული კი არ გასცივებია, მისი სახლიდან წასვლა და გადაკარგვა იმ ჯადოქარი დედაბრის ხრიკები იყო მხოლოდ. სინდისი ქენჯნიდა, რომ ო-ტოსის სიყვარულში შეეპარა ეჭვი, ან რას ერჩოდა ეს ბოროტი დედაბერი, რად სჭირდებოდა ო-ტოსი? რა საშინელებაა, ერთ ჭერქვეშ ცხოვრობდე იმ ადამიანთან, ვინც მდინარეში აღრჩობს ხალხს? განა შეიძლებოდა ოტოსის მიტოვება, რომ ბასარას დიადი სულით განმტკიცებულ დედაბოძთან იტრიალოს ფარვანასავით? სინძოს ძილი და მოსვენება დაეკარგა. მეოთხე დღეს შეძლო ლოგინიდან წამოდგომა და ის იყო თავის მეგობართან, ტაი-სანთან აპირებდა წასვლას, რომ მან თავად დაურეკა. წინა საღამოს ო-ტოსი მისულიყო მასთან, ეთქვა, რომ ახალგაზრდა ბატონის ნახვა ეწადა, მაგრამ ვერც იმ სახლში დარეკვა გაებედა, სადაც ადრე მსახურობდა. ამიტომაც ტაი-სანს სთხოვდა, როგორმე შეეხვედრებინა სინძოსთან. ცხადია, სინძოსაც გულით ეწადა, მაგრამ ვერც იმ სახლში დარეკვა გაებედა, სადაც ადრე მსახურობდა. ამიტომაც ტაი-სანს სთხოვდა, როგორმე შეეხვედრებინა სინძოსთან. ცხადია, სინძოსაც გულით ეწადა ო-ტოსისთან შეხვედრა, ათრთოლებული თითები მოუჭირა ყურმილს და მოუთმენლად ჰკითხა მეგობარს: „სად შეიძლება ვნახო?“ მაგრამ წინდახედულმა ტაი-სანმა შორიდან დაიწყო: „დამიჯერე, თუკი ასეთი მორცხვი ქალიშვილი გაბედავს შენს მეგობართან მისვლას, ცხადია, ძალზე უჭირს. მე როგორღაც უხერხულად ვიგრძენი თავი და ჩაის სახლი შევთავაზე შენთან შესახვედრად, მაგრამ მან არჩია, დედაბრის თვალის ასახვევად აბანოში წასულიყო, შემდეგ კი მდინარესთან შეგხვდებოდა. სანაპირო მიიჩნია საიმედო ადგილად... მე ჩემი ბინაც შევთავაზე, მაგრამ ო-ტოსიმ არ ისურვა ჩემი შეწუხება და უარი მითხრა. ბოლოს ვთხოვე, თვითონ დაეთქვა შეხვედრის ადგილი. ოტოსი გაწითლდა და შემეკითხა, იქნებ ახალგაზრდა ბატონმა ინებოს დაისიგასის სანაპიროზე მოვიდესო, - შემდეგ ღიმილი შეიკავა და დასძინა: - ჭორიკნებსაც არ ექნებათ სალაპარაკო“. „სინძოს ხუმრობისთვის არ ეცალა, მოუთმენლად შეაწყვეტინა

მეგობარს: „მაშასადამე, ისიგასის სანაპიროზე დამელოდება?“ „ასე გადაწყვიტა ოტოსიმ, - გაისმა პასუხად, - გთხოვა, ექვსიდან შვიდ საათამდე მიხვიდე, შემდეგ კი, როცა განთავისუფლდები, აუცილებლად ჩემთან შემოიარე“. სინძომ მადლობა გადაუხადა და მისვლას შეპირდა. ყურმილი დადო. საღამოს მოლოდინში საანგარიშოზე ანგარიშობდა, ბალანსი დააჯამა, ო-ბონის დღესასწაულისათვის საჩუქრების შესაძენად გასცა განკარგულება, თან საათის ისრებს არ აშორებდა თვალს.

ხუთი ხდებოდა, როცა ლოდინით დაღლილი გამოვიდა სტამბიდან, მზე ჯერ არ ჩასულიყო. ხელზე მოსამსახურე ბიჭის მიერ მომზადებულ გეტებში წაყო ფეხები, ახლადაბეჭდილ სარეკლამო პლაკატს ანადენი საღებავის სუნით გაჟღენთილი სტამბიდან მოასფალტებულ ქუჩაში გავიდა და მაშინვე რაღაც უცნაურობა შენიშნა. ასფალტზე ფეხის დადგმაც ვერ მოასწრო, რომ ცხვირწინ ორი პეპელა აუფრინდა. ლამის ფრთებით შეეხნენ ჭილის ქუდს. მგონი, ამ პეპლებს „კავალერ კსუტს“ ეძახიან, მომწვანო შავი ფრთები აქვთ. სინძომ თვალი გააყოლა ცაში აჭრილ პეპლებს და უენოსაკენ მიმავალ ტრამვაის შეახტა. სუდზე მეორე ტრამვაიში გადაჯდა, და კაკუგიკანზე ჩამოვიდა. და კვლავ ცხვირწინ აუფრინდა ორი შავი პეპელა. ცხადია, პეპლები ნიხონბასიდან ვერ გამოყვებოდნენ, მაგრამ არც ამჯერად მიუქცევია ყურადღება. პაემანამდე კარგა დიდი დრო რჩებოდა და გადაწყვიტა ხიტოცუმეს შესახვევში ერთ კოპწია დუქანში შეევლო, რომელსაც ფირნიშზე ლერწმის ფიალა ჰქონდა გამოსახული. იმ დღეს წვეთი საკეც არ დაელია და წყუროდა. წიწიბურას ცივი ფაფა შეჭამა და ბინდბუნდში ქურდივით გამოიპარა დუქნიდან. ქუჩაში ასვლისთანავე კვლავ ცხვირწინ აუფრინდა ორი შავი პეპელა, ახლა უკვე გარკვევით მოჩანდა ფრთების შავ ხავერდზე მიმობნეული ლურჯმწვანე მტვერი. სინძოს მოეჩვენა, პეპლებმა შუბლზე შეახეს ფრთები და ამ ცივად გამჭვირვალე საღამოს ბინდში უზარმაზარ ჩიტებად იქცნენ. დამფრთხალი შედგა, პეპლები ისევ დაპატარავდნენ და დაწალიკებულნი, ფრთების ფარფატით გალღვნენ ჰაერში. მოგვიანებით სინძო იხსენებდა, რომ სწორედ პეპლების ფარფატმა დააეჭვა, ღირდა კი ისიგასის სანაპიროზე მისვლა, მასაც ხომ არ დაეუფლებოდა წყალში თავის დახრჩობის სურვილი? მაგრამ იმ სანაპიროზე ხომ ო-ტოსი უცდიდა და ეგებ მასაც საფრთხე ელოდა. სინძო მაშინვე გონს მოეგო და დანიშნული ადგილისკენ გაეშურა, დოკიონის ტაძართან ბინდში ღამურებივით გამკრთალ ადამიანთა ლანდებს გასცდა და იქ, სადაც მარმარილოს ძაღლები დარაჯობდნენ ტაძარში შესასვლელს, კვლავ ცხვირწინ აუფრინდა შავ ფრთებზე ლურჯმწვანე მტვერწაყრილი პეპლები, ერთ ხანს იფარფატეს და ნათურებით განათებულ სატელეგრაფო ბოძთან გაილიენ ჰაერში.

სინძო სანაპიროზე ბოლთას სცემდა და ო-ტოსის მოლოდინში გული ამოვარდნაზე ჰქონდა. ხან ქუდს მოიხდიდა, ხან ისევ იხურავდა, ხან საათს დასცქეროდა. ლოდინმა ქანცი გაულია. ო-ტოსი კი არა და არ ჩანდა. შეუმჩნევლად დაუყვა სანაპიროს, ნახევარი ტიო გაიარა, ხელმარჯვნივ ფასიანი აბანო დაინახა, ფირნიშზე უზარმაზარი ატამი და იეროგლიფები იყო ამოკვეთილი: „აბანო „ატმის ყვავილები“ - ყველა სურნელების სამკურნალო“. „ნეტა ეს ის აბანო ხომ არ არის, ო-ტისომ რო ახსენა?“ - გაიფიქრა სინძომ. იმავ წამს ქალთა განყოფილების კარზე ნორენი[110] გადაიწია და ოტოსი გამოვიდა. იგივე მუქლურჯი, იაფფასიანი კასურის თეთრკოპლებიანი კიმონო ეცვა და მიხაკებით მოჩითული სალის მუსლინის ობით[111] ჰქონდა შემოსალტული. ნაბანავებს სახე წამოჭარხლებოდა, ჯერ ისევ სველი კულულები ულაპლაპებდა. ყუთი,

სველი პირსახოცი და საპონი რომ ეწყო შიგ, სანუკვარი ნივთივით ჩაეკრა მკერდში და დამფრთხალი უცქეროდა სანაპიროს. აბანოდან გამოსვლისთანავე დაინახა სინძო, შეშინებული თვალები შეანათა, გაუღიმა, მორჩილად მოუახლოვდა და უთხრა: „მაპატიეთ, თუ გალოდინეთ“. „დიდი ხანი არ არის რაც გელი. გმადლობთ, რომ მოხვედი“. - უპასუხა სინძომ და ორივე აუჩქარებლად გაუყვა ისიგასის სანაპიროს. ოტოსი ისევ შეშინებული ათვალიერებდა გარემოს და სინძომ ხუმრობით ჰკითხა: „რა შეშინებული ჩანხარ, მოგდევდა ვინმე?“ „ოჰ, მაპატიეთ, დამავიწყდა, მადლობა მეთქვა მობრძანებისთვის“, - უთხრა ო-ტოსიმ. ხმა უკანკალებდა. სინძოსაც შეეპარა გულში თრთოლვა და სატრფოს სთხოვა აეხსნა, რა ხდებოდა. მაგრამ ო-ტოსი ერთი და იგივეს იმეორებდა: „თქვენ ვერ წარმოგიდგენიათ, რა წინდაუხედავად მოიქეცით, როცა ჯადოქართან მოხვედით და მკითხაობა თხოვეთ“. ამასობაში ისიგასის სანაპიროს მიუახლოვდნენ, მარმარილოს მოდარაჯე ძაღლებიც გამოჩნდა და ო-ტოსიმ თითქოს თავისუფლად ამოისუნთქა. სინძო კი მუხლის კანკალით მიუყვებოდა სანაპიროს. დაცვარულ ქვაზე ჩამოსხდნენ მოდარაჯე ძაღლების ჩრდილში და სინძო ისევ დაეკითხა: „რატომ მელის სიკვდილი? ან რატომ მოვიქეცი წინდაუხედავად?“ ოტოსის ხმა არ ამოუღია, ჩუმად დასცქეროდა ქვის მოაჯირზე ატყლაშუნებულ ტალღებს, გეგონებოდა, ლოცულობსო. შემდეგ სინძოსაკენ მიაბრუნა სახე, მხიარულად გაუღიმა და უჩურჩულა: „აქ უკვე აღარაფერი გვემუქრება“. სინძო გაოგნებული მიაჩერდა ქალიშვილს. ო-ტოსი გვერდით მიუჯდა, წვრილად მოუყვა თავს გადახდენილს, სინძოც ბოლოს და ბოლოს მიხვდა რა საშინელი მტერი გადაიკიდა.

თუმცა ხალხი ფიქრობდა, რომ მოხუცი ო-სიმა ო-ტოსის დედა იყო, სინამდვილეში შორეულ ნათესავად ერგებოდა. ვიდრე ქალიშვილს მშობლები ცოცხლები ჰყავდა, ოსიმას ახლოსაც არ იკარებდნენ. ო-ტოსის მამა ქვის მთლელი იყო, უამრავი ტაძარი ჰქონდა აგებული, იმან იცოდა ხოლმე თქმა: „ეგ ო-სიმა ადამიანებში არ წერია; თუ არ გჯერათ, გვერდიდან შეხედეთ, თევზის ქერცლი აქვს ტანზე“. შემთხვევით ქუჩაში რომ შეხვედროდა, მაშინვე კაჟს გაკრავდა და მიწაზე მარილს მოაბნევდა[112]. აქამდე მიდიოდა საქმე. ერთხანს ო-სიმამ ო-ტოსის დედის ნათესავი გოგონა შეიფარა აღსაზრდელად. ეს გოგონა ბავშვობიდან ო-ტისისთან ერთად იზრდებოდა, და ძალაუნებურად, ო-სიმასაც გაუღეს სახლის კარი. ასე გაგრძელდა ორიოდ წელს. მალე ო-ტოსის მშობლები გარდაიცვალნენ, გოგონას უფროსი და-ძმა არ ჰყავდა, მასზე რომ ეზრუნათ და ასი დღეც არ იყო გასული[113], სინძოს დედასთან, ნიხონბასიზე დაიწყო სამსახური.

ო-ტოსიმ არაფერი იცოდა დედაბრის წარსულის შესახებ, მხოლოდ დედისაგან და კიდევ ვიღაცისაგან ჰქონდა გაგონილი, რომ ადრე ო-სიმა ქურუმი ყოფილიყო და მიცვალებულთა სულების გამოხმობა შეეძლო. იმხანად კი, როცა ო-ტოსიმ გაიცნო, უკვე ბასარას დიადი სულის მეშვეობით მკითხაობდა. რას არ ამბობდნენ ბასარას სულზე: ზოგი ამბობდა ტენგუ[114] არისო, ზოგიც - მელაო[115]. ო-ტოსი კი წყალქვეშა სამყაროს მფლობელად თვლიდა, რადგან ღამის ორი საათი შესრულდებოდა თუ არა, დედაბერი სახლის უკანა კიბით დაეშვებოდა სანაპიროზე, კისრამდე ჩაჯდებოდა მდინარე ტეტეკავას წყალში და ნახევარ საათს მაინც იჯდა გაუნძრევლად. გაუსაძლისი ხვატი იდგა, ყინვა-ძანძახი თუ თოვლ-წვიმა ცრიდა, შიშველი დედაბერი თეძოზე შემოხვეული ნაჭრის ამარა, ადამიანის სახიანი წავივით[116] დგაფუნობდა წყალში. ერთხელ დამფრთხალმა ო-ტოსიმ ფარანი აიღო, კუტიკარი გამოაღო და

მალულად გახედა მდინარეს. სანაპიროს გასწვრივ ჩამწკრივებული სახლების სახურავებზე თეთრი თოვლი იდო. შავად ჩამუქებული მდინარის შუაგულში კი ჩიტის მოტივტივე ბუდესავით მოჩანდა დედაბრის თმაშეკრეჭილი თავი. ჯადოქრობა სარფიანი საქმე იყო, დედაბერი ფულზე მკითხაობდა და მისნობდა, მრავალთა მშობლებს, ქმრებს თუ ძმებს მოუვლინა სიკვდილი და კარგა გვარიანი გასამრჯელოც აიღო. აკი ამ ცოტა ხნის წინ გულშეუძვრელად გაიმეტა ის ყმაწვილიც, ერთი მდიდარი ვაჭრისათვის რომ ეამებინა, რომელსაც იმ ყმაწვილის საყვარელი შეყვარებოდა. თუმცა ერთი კი იყო: ვინ იცის, რა იდუმალ მიზეზთა გამო, მაგრამ იმ ადგილას, სადაც ადრე მოაკვდინა ადამიანი, ჯადოქრის ნუსხა ვეღარ ჭრიდა. უფრო მეტიც, მისი მზერაც ვეღარ აღწევდა იქამდე. ამიტომ მოიწვია ო-ტოსიმ თავისი სატრფო ისიგანის სანაპიროზე.

რა ჰქონდა გულში, რატომ ეწინააღმდეგებოდა ესოდენი გააფთრებით სინძოსა და ოტოსის სიყვარულს? გაზაფხულს აქეთ აქციების კურსის გასარკვევად ერთი ბირჟის მაკლერი დაიარებოდა დედაბერთან, მას შეყვარებოდა ო-ტოსი და დიდი საზღაურის ფასად შეეპარებინა, რომ ო-ტოსის ცოლად გაატანდა. ამას გარდა, ერთი მიზეზიც არსებობდა - ო-ტოსის გარეშე დედაბერი ვერ იმკითხავებდა და ვერც მონუსხავდა ვერავის. ის ხომ ო-ტოსიში ასახლებდა ბასარას სულს და მისი მეშვეობით იღებდა ბრძანებებს. თავად სულთან დაკავშირება არ შეეძლო. ის, ვისაც სული უსახლდებოდა სხეულში, ძილბურანში იმყოფებოდა და გამოფხიზლებულს აღარ ახსოვდა, ცხადი იყო თუ სიზმარეული. ამიტომ ასახლებდა ო-ტოსის სხეულში ბასარას სულს და თავად ბრძანებებს ისმენდა. ამიტომ არ სურდა ქალიშვილის მოშორება. თუმცა, ის ბირჟის მაკლერიც შორს იქცირებოდა: ქალიშვილის ხელში ჩაგდებასაც აპირებდა და მასთან ერთად ჯადოქარსაც აიძულებდა უფასოდ ეწინასწარმეტყველა ბირჟის კურსი. აი, რა დღეში იყო ო-ტოსი. თუმცა თავად არაფერ შუაში იყო, მაინც წილი ედო ამდენ ცოდვაში. ხვდებოდა ო-ტოსი, რომ ბოროტი ზრახვებისათვის იყენებდა დედაბერი და სინდისი ქენჯნიდა. ასევე აწამებდა გოგონას, ო-ტოსიმდე რომ აიყვანა აღსაზრდელად. სუსტი გოგონა დასნეულდა და ბოლოს, სინდისის ქენჯნით გატანჯულმა, თავი ჩამოიღრჩო. ო-ტოსისაც მაშინ შეუთვალა დედაბერმა, რომ მისი გარდაცვლილი ნათესავის წერილი უნდა გადაეცა, შინ მიიტყუა და დაშინებითა და მუქარით დატოვა თავისთან. ო-ტოსიმ ბევრჯერ სცადა გაპარვა, მაგრამ ჯადოქარი ფხიზლობდა. პირველსავე საღამოს კართან დაგროვილი გველები დაუტოვა და საბრალო ქალიშვილმა ნაბიჯის გადადგმაც ვერ შეძლო, შემდეგაც რაღაც ჯადოსნური ძალები ეწინააღმდეგებოდნენ და ვერა და ვერ მოახერხა წამოსვლა. თანდათანობით იმედი გადაუწყდა და ნებით თუ უნებლიეთ დამორჩილდა დედაბერს.

იმ დღეს, როცა სინძო ჯადოქართან მივიდა, დედაბერმა შეიტყო მათი სიყვარულის შესახებ და ისედაც ავი ქალი მთლად გაბოროტდა. უსაშველოდ ტანჯავდა ო-ტოსის, სცემდა, თმას აგლეჯდა, ღამღამობით ხელებით ჰკიდებდა ჰაერში, კისერზე გველებს ახვევდა - ერთი სიტყვით, ისე აწამებდა, რომ სინძოს თმა ყალყზე დაუდგა. თან ერთთავად აფრთხილებდა, რომ თუკი სინძოზე ფიქრს თავს არ დაანებებდა, სინძოსაც მოკლავდა და არც მას დაინდობდა. ო-ტოსის კარგა ხანია თავის მოკვლა ჰქონდა გადაწყვეტილი, მაგრამ რადგანაც სინძოსაც საფრთხე ემუქრებოდა, გადაწყვიტა, ჯერ ყოველივე გულახდილად მოეთხრო მისთვის. თან ისიც აწუხებდა, რომ სინძო შეიტყობდა, რომ ო-ტოსი ნებით თუ უნებლიეთ სჩადიოდა საშინელ ბოროტებას, ეგებ

ზიზღით გამსჭვალულიყო და სულაც გასციებოდა გული. ამიტომ მივიდა ტაი-სანთან. ნაამბობიდან ჩანდა, როგორ ჰქონდა სული აფორიაქებული.

თხრობა რომ დაასრულა, გაფითრებულმა ო-ტოსიმ სინძოს თვალებში შეხედა და უთხრა: „ასეთი ყოფილა ჩემი ბედი, როგორც უნდა გაგვიჭირდეს, უნდა დავშორდეთ...“. სასოწარკვეთილი ქალი მუხლებზე შემოეჭდო სინძოს და აქვითინდა. სინძომ აღარ იცოდა, რა ეღონა. მხრებზე ეფერებოდა, ამშვიდებდა, ამხნევებდა, მაგრამ თვითონაც არ იცოდა, როგორ ეხსნა სატრფო ამ ჯადოქრის კლანჭებიდან. არც ის უნდოდა, ო-ტოსის შეეტყო მისი უიმედობა, ამიტომ მხიარულად უთხრა: „ასე ნუ ღელავ, რაღაცას მოვიფიქრებთ, დრო ჯერ გვაქვს“. ო-ტოსიმ ტირილი შეწყვიტა, სახეში შეაცქერდა და ურწმუნოდ გააქნია თავი: „დრო კი გვაქვს, მაგრამ არა მგონია რაიმე შევძლოთ. ზეგ დედაბერი კვლავ ჩამისახლებს ბასარას სულს და ვინ იცის, რა წამომცდება...“ სინძოს გააჟრჟოლა. ზეგამდე უნდა მოენახა გამოსავალი. თუ არა და, ორივეს უბედურება დაატყდებოდა თავს. ოღონდ რა უნდა ეღონა ამ მოკლე დროში? პოლიციისათვის მიემართა? მაგრამ მიღმიერში ჩადენილი დანაშაული ხომ ამქვეყნიური კანონებით არ ისჯება? ხალხი შეეყარა და ჯადოქარი ო-სიმას ბოროტებაზე მოეთხრო? ყურადღებასაც არავინ მიაქცევდა, სასაცილოდ არ ეყოფოდათ. სინძოს ისღა რჩებოდა, ასე ხმაამოუღებლად, გულხელდაკრეფილი მდგარიყო. ო-ტოსიმ ცრემლიანი თვალები მოავლო ვარსკვლავებით მოჭედილ ცას და ჩაიჩურჩულა: „ნეტა მოვკვდე მაინც!“ შემდეგ, თითქოს რაღაცის შეეშინდაო, მიმოიხედა: „წასვლის დროა, თუ დავიგვიანე, დედაბერი ისევ მაწამებს“. მართლაც, ნახევარ საათზე მეტი იქნებოდა, რაც სანაპიროზე ისხდნენ. მოქცევის სურნელით გაჟიებულ უკუნს დაეფარა ყოველი, მოპირდაპირე ნაპირზე ახოხოლავებული შეშის ზვინი და მთაზე მიმაგრებული ტომაბუნე[117] ერთ ჩალურჯებულ მასად ქცეულიყო; მხოლოდ ტეტეკავას ტალღათა ქაფი მოჩანდა თეთრად, უზარმაზარი თევზის თეთრი მუცელივით. სინძომ მხარზე მოხვია ხელი ო-ტოსის, ნაზად დაუკოცნა სახე და გამხნევება სცადა: „ხვალ საღამოს აქვე გელოდები. მანამდე ვეცდები რაღაც მოვიფიქრო“. ო-ტოსიმ სველი პირსახოცით შეიმშრალა თვალები და უსიტყვოდ, ნაღვლიანად დაუქნია თავი. მძიმედ წამოდგა ქვის მოაჯირიდან, წასვლა დააპირა, მაგრამ ისევ წაიჩურჩულა: „ნეტა მოვკვდებოდე“. წამისად იმ ბოძთან, სადაც ოტოსის მოსვლამდე ჰაერში გალღვნენ შავი პეპლები, ადამიანის უზარმაზარი თვალი გამოკვეითა. ეს უწამწამო, ამღვრეული, ცისფრად ლიბრგადაკრული თვალი ჰაერში ეკიდა და წყვდიადს გამოსცქეროდა დაჟინებით. თვალი, წყალზე მოგდებული ქაფივით, ანაზდად გამოჩნდა ცისიერში, შემდეგ ოდნავ მოშორებით გადაინაცვლა და ადგილზე გახევდა. მერე ტალახისფერი, მოყვითალო კაკალი თავლის კუთხეში მიელმდა. ძლივს მოჩანდა წყვდიადში და მაინც ბოროტ შუქს აფრქვევდა. სინძო მთელი სხეულით აეფარა ო-ტოსის, დაძაგრული იდგა და თვალს ვერ აშორებდა საზარელ მოჩვენებას. თითქოს ყინულიანმა ქარმა წამოუბერაო, ზურგი გაეთოშა, სუნთქვა შეეკრა. დაყვირება მოუნდა, მაგრამ ხმა ვერ ამოაცდინა ხორხს. ასე, ზიზღით და გაბოროტებით უცქეროდნენ ერთმანეთს სინძო და თვალი, ანაზდად მოჩვენება მიმქრალდა, უზარმაზარი ნიჟარისდარი ქუთუთო დაიხუჭა და გაქრა. მხოლოდ ის იყო (თუ ესეც მოეჩვენათ), შავი პეპლის მსგავსმა რაღაც ფრინველმა ააქნია ფრთები და უშუქარისკენ გაფრინდა. ეგებ ღამურა შეეხო მიწას ფრთით? სინძო და ო-ტოსი

თითქოს საზარელი სიზმრიდან გამოერკვნენ, გაფითრებულებმა გადახედეს ერთმანეთს, ანაზდად მაგრად ჩაჭიდეს ერთმანეთს ხელი და ვერხვის ფოთლებივით

აცახცახდნენ.

ცოტა ხნის შემდეგ სინძო უკვე ტაი-სანის გრილ, უკანა სასტუმრო ოთახში იჯდა და თვალის ცეცებით, ჩურჩულით უყვებოდა ამ საღამოინდელ სასწაულებს, უყვებოდა შავ პეპლებზე, ჯადოქარ ო-სიმას საიდუმლოებაზე, წყვდიადში ამოცურებულ უზარმაზარ შავ თვალზე - ეს ყოველივე თანამედროვე ახალგაზრდებს სრულ სისულელედ მოეჩვენებათ, მაგრამ ტაი-სანმა უკვე იცოდა ო-სიმას ჯადოქრობის ამბები და არაფერი გაკვირვებია. სუნთქვაშეკრული უსმენდა სტუმარს და ხანდახან თუ შესთავაზებდა ნაყინს.

„ეს ყველაფერი მოწმობს, განაგრძო სინძომ, - რომ დედაბერმა ხელჩართულ ბრძოლაში გამომიწვია. აღარც იმას აქვს მნიშვნელობა, შეიტყო თუ არა ჩვენი დღევანდელი შეხვედრის შესახებ. უარესი ის მგონია, რომ ხვალისთვის ო-ტოსის შეხვედრა დავუთქვი და თუ დღეს შენიშნა მისი გაპარვა, ხვალ ალბათ აღარ გამოუშვებს. ამ ორ დღეში რაიმე გეგმა რომც მოვიფიქროთ, ხვალ თუ ო-ტოსი ვერ ვნახე, ვეღარ შევატყობინებთ. ღმერთებმა და ბუდამაც ზურგი მაქციეს. ისე ვიყავი შეძრწუნებული, აღარც კი მახსოვს, როგორ მოვედი შენთან“. ტაი-სანი ხმაამოუღებლად უცქეროდა, როგორ ბზრიალებდა ნიავის წამოქროლებაზე სახურავიდან დაშვებული გვიმრა, შემდეგ სინძოს შეხედა და წარბგაუხსნელად უთხრა: „მაშასადამე, მიზნის მისაღწევად სამი პირობაა შესასრულებელი. უპირველესად, დედაბერს უვნებლად უნდა გამოვგლიჯოთ ხელიდან ო-ტოსი, ეს ყველაფერი ზეგ უნდა აღსრულდეს, რისთვისაც ხვალ აუცილებლად უნდა შეხვდე ო-ტოსის, ხოლო თუ პირველი და მეორე შესრულდა, მესამე პირობა აღარ დაგვჭირდება:. - „როგორ?“ - ჰკითხა ქანცგაწყვეტილმა სინძომ. ტაი-სანმა მშვიდად უპასუხა: „დამშვიდდი... შენ მაგივრად მე... - მაგრამ სიტყვა გაწყვიტა, მიმოიხედა, მხიარულმა გაიღიმა და უთხრა: - „მგონი აჯობებს საიდუმლოდ შევინახო, რაც მოვიფიქრე. ამ ჯადოქრისაგან არაფერი იქნება გასაკვირი. ამიტომ ჯობია ენას კბილი დავაჭიროთ. იმედი მაქვს, ორივე ამოცანას გავუმკლავდებით. მე გაძლევ პირობას, რომ ყველაფერი ისე მოხდება, როგორც გვსურს. ახლა კი ლუდი დალიე და იმხიარულე“. სინძო დაღვრემილი იჯდა, მეგობრის ნათქვამმა უარესად გააღიზიანა. ტაი-სანმა შენიშნა, რომ სინძოს ჯერ ერთი წვეთიც არ დაელია, წინ ქაფგაცლილი ლუდის ჭიქა ედგა, ამიტომ თვითონ ასწია ბოთლი და უთხრა: „მოდი, თითო ჭიქა დავლიოთ“. სინძომ ის იყო ტუჩებთან მიიტანა კათხა - ლუდის მოსარკულ ზედაპირზე ჭერზე დაკიდული ნათურა და იოსიდო[118] აირეკლა და წამიერად ადამიანის სახეც გაკრთა. ცხადლივ ვერც გაარკვია, ადამიანი იყო თუ ქვეწარმავალი, არც ფრინველს ჰგავდა, არც ცხოველს. სახის მხოლოდ ზედა ნაწილი მოუჩანდა, თვალები და ცხვირი, თითქოს სინძოს ზურგს უკნიდან ვიღაცამ ჭიქაში ჩაიხედაო, კედელსაც კი გარკვევით აეკრა ჩრდილი. ეს ყოველივე სულ რამდენიმე წამს გაგრძელდა. მუქ ლუდში გამკრთალმა ამ უცნაურმა არსებამ დაჟინებით შეხედა სინძოს თვალებში და მაშინვე გაქრა. სინძომ ისევ მაგიდაზე დადგა ლუდით სავსე კათხა და შეშინებულმა მიმოიხედა. უწინდებურად ანათებდა ნათურა, ნიავი აქანავებდა ჭერიდან დაშვებული გვიმრის კონას, ოთახში არავინ იყო მათ გარდა. „რა მოხდა? ბუზი ხომ არ ჩაგივარდა?“ - ჰკითხა ტაი-სანმა. სინძომ ცივი ოფლი

მოიწმინდა შუბლიდან და უწადილოდ უთხრა: „რაღაც საოცრება მომეჩვენა ჭიქაში“. - „საოცრება? - ჩაეკითხა ტაი-სანი და სინძოს ჭიქაში ჩაიხედა. - იქნებ მოგეჩვენა, რა ნათელმხილველიც უნდა იყოს ის დედაბერი, ამსიშორეზე არა მგონია მოგწვდეს“. - „ამ წუთას შენ არ მითხარი, მისგან გასაკვირი არაფერიაო?“ - ეგ კი მართალია, მაგრამ... ლუდი რა შუაშია, დალიე მაინც“. ტაი-სანი ყოველნაირად ცდილობდა მეგობრის გამხნევებას, მაგრამ სინძოს უფრო და უფრო ეშხამებოდა გუნება. ხელიც არ უხლია ჭიქისთვის. ბოლოს წამოდგა. ტაი-სანმაც აღარ გააჩერა. ალერსიანად დაემშვიდობა, სთხოვა, მხნეობა მოეკრიბა და შინ წასულიყო.

იმ ღამეს სინძოს ეძინა, მაგრამ რაღაც უცნაურ სიზმრებს ხედავდა. გათენდათუ არა, მაშინვე ტაი-სანს დაურეკა, უნდოდა თანაგრძნობისათვის მადლობა გადაეხადა, მაგრამ ყურმილში უპასუხეს, რომ ტაი-სანი დილიდანვე სადღაც წასულიყო. სინძომ რატომღაც გაიფიქრა, რომ მისი მეგობარი ალბათ ჯადოქართან იყო წასული, მაგრამ არაფერი უკითხავს, მაინც არ ეცოდინებოდათ, ამიტომ სთხოვა, გადაეცით, როგორც კი დაბრუნდება, დამირეკოსო. შუაღამისას დაურეკა ტაი-სანმა, მართლაც წასულიყო ჯადოქართან, ვითომდა იმისთვის, რომ ბინის განლაგების შესახებ გამოეკითხა[119]. „საბედნიეროდ, ო-ტოსი ვნახე და ჩუმად გადავეცი წერილი, რომელშიც ჩვენი გეგმები ეწერა. ხვალ პასუხს მივიღებთ. ჩემის აზრით, ო-ტოსი დაგვთანხმდება, სხვა გზა არ ჩანს, დრო აღარ ითმენს“. „მაინც რა მოიფიქრე?“ - ჰკითხა სინძომ, მაგრამ ტაი-სანმა კვლავ ჩაიცინა. „ორი-სამი დღეც მოითმინე. ჩვენ ხომ ჯადოქართან გვაქვს საქმე, ამიტომ ფრთხილად უნდა ვიყოთ. ისევ დაგირეკავ. კარგად იყავი!“ სინძო, ჩვეულებისამებრ, სტამბაში ჩავიდა სამუშაოდ. ხვდებოდა, რომ ამ დღეებში მისი ბედი უნდა გადაწყვეტილიყო, მაგრამ ვერც სიხარულს და ვერც სასოწარკვეთას ვეღარ გრძნობდა. უცნაურად აღგზნებული იყო მხოლოდ, აღარ შეეძლო ქაღალდისა და საანგარიშოს დანახვა. ერთხანს იბორიალა და ისევ მეორე სართულზე ავიდა დასაძინებლად. ერთთავად ისეთი გრძნობა ჰქონდა, რომ ვიღაც უთვალთვალებდა და ეძინა თუ ეღვიძა, ეს ფიქრი მაინც თან დაჰყვებოდა. დღის სამ საათზე მოეჩვენა, რომ ვიღაც კიბეზე იყო ჩაცუცქული და იქიდან უცქერდა. ფეხზე წამოხტა, კარი გამოაღო, მაგრამ კიბის ბაქანი ცარიელი იყო, გაპრიალებულ, კარგად მორეცხილ იატაკზე მხოლოდ სარკმლიდან შემოჭრილი ცის ნიავი ირეკლებოდა.

მეორე დილასაც ასევე აწრიალებულმა გაიღვიძა, დიდხანს, მოუთმენლად, ელოდა ზარს, ბოლოს დაუძახეს, ტაი-სანმა მხიარულად აუწყა: „ო-ტოსისაგან პასუხი მივიღე. ყველაფერს ისე გააკეთებს, როგორც ვუთხარი. თვითონ მივედი დედაბერთან ო-ტოსი შემეგება და პასუხი გადმომცა. ხირაგანათი[120] დაუწერია: „თანახმა ვარ“. უეცრად რაღაც ახრიალდა ყურმილში, სიტყვებს ვერ გაარჩევდი, მაგრამ ვიღაც დამცინავად, ქლოშინით ჩურჩულებდა თითქოს. სინძომ იფიქრა, რომ ხაზი დაზიანდა და ისევ საუბარს განაგრძობდა, ერთი სული ჰქონდა კიდევ შეეტყო რაიმე თავისი სატრფოს შესახებ. მაგრამ ეს ხმა, როგორც ჩანს ტაი-სანსაც შემოესმა და ჰკითხა: „მანდ რა ხმაურია?“ - „მე მარტო ვარ, ალბათ ჩაერთო ვიღაც“, - უპასუხა სინძომ. ტაი-სანმა უსიამოდ გააწკაპუნა ენა: „დადე ყურმილი, დაგირეკავ“. სამჯერ მაინც დარეკა, ტელეფონისტ ქალს ელაპარაკა, მაგრამ ყურმილში მაინც გაისმოდა ის რაღაც უცნაური, ქვეწარმავლის ხროტინის მაგვარი ხმა. ლაპარაკი განაგრძეს. „ალბათ სადღაც დაზიანდა ხაზი, - უთხრა ტაი-სანმა, - მე მგონია, რადგან ო-ტოსი დაგვთანხმდა, ჩვენ გეგმას წინ ვერაფერი დაუდგება. მშვიდად იყავი, როგორც კი რამეს გავრაკვევ,

დაგირეკავ“. სინძოს მაინც არ უთმენდა სული და გუშინდელივით ჩაეკითხა: „მაინც რას აპირებ?“ მაგრამ ტაი-სანმა ამჯერადაც ბანზე აუგდო სიტყვა: „ერთი დღეც მოიცადე, მე მგონი, ხვალ ამდროისთვის უკვე მეცოდინება ყველაფერი. ნუ ჩქარობ. წარმოიდგინე რომ გემით მიცურავ სადღაც. აკი ამბობენ, სასიხარულო ამბავს ლოგინში ელოდეო“. სიტყვა არ ჰქონდა დასრულებული, რომ ვიღაცამ ყურმილში ჩაიქირქილა: თავს ნუ იგდებთ!“ „გაიგე?“ - ერთხმად წამოიყვირა ორივემ, მაგრამ უკვე აღარაფერი ისმოდა. „ცუდადაა საქმე, ნამდვილად ის დედაბერი იყო! შეიძლება ისე მოხდეს რომ ჩვენი გეგმა... თუმცა ხვალამდე მოვიცადოთ. კარგად იყავი“. - ტაი-სანს შეშფოთებული ხმა ჰქონდა. თუ ჯადოქარმა მათი საუბარი მოისმინა, მაშასადამე, ტაისანისა და ო-ტოსის ფარული მიმოწერაც შენიშნა. ტყუილად არ ფრთხილობდა ტაისანი. თუკი ჯადოქარმა მისი გეგმა შეიტყო, ყველაფერი დაიღუპებოდა. სინძომ ყურმილი დადო, აცახცახებული ავიდა მეორე სართულზე და მზის ჩასვლამდე ცას გასცქეროდა. ცაში კი - იქნებ ეჩვენებოდა კიდეც უგუნებობის გამო - ავისმომასწავებელი, შავი პეპლები დარიალებდნენ, რაღაც ჯადოსნურს ქარგავდნენ. მაგრამ სულით და ხორცით გატანჯულ სინძოს აღარც ამისთვის მიუქცევია ყურადღება.

იმ ღამესაც ავი ზრახვები ტანჯავდა და გამოძინება ვერ შეძლო. თუმცა რიჟრაჟისპირზე ოდნავ მოეშვა გულზე, ნაჩქარევად ისაუზმა და ტაი-სანს დაურეკა. „ამ დილაუთენია რამ გაგაღვიძა? მე მაინც შეგცოდებოდი, ხომ იცი, როგორ მიყვარს დილის ძილი“, - აბუზღუნდა ტაი-სანი, მაგრამ სინძოს არაფერი ესმოდა, ჭირვეული ბავშვივით დაიჟინა: „გუშინდელმა ხმამ მოსვენება დამიკარგა. შინ ვეღარ ვჩერდები. ახლავე შენთან მოვალ, გესმის ჩემი? ახლავე მოვალ“. ტაი-სანმა მთქნარებით უთხრა: „კარგი, გელოდები“. სინძო ისე გაიჭრა სტამბიდან, დედისათვის არც უთქვამს, სად მიდიოდა.

შავი ღრუბლები იბოლქვებოდა, აღმოსავლეთით რვალისფრად ვარვარებდა ცის კიდური. გაუსაძლისი ხვატი იდგა. სინძო ცარიელ ტრამვაის შეახტა და დაჯდა. უეცრად საშინელი დაღლილობა იგრძნო, ისევ მოეშხამა გუნება, ძალზე ასტკივდა თავი - თითქოს ჭილის ქუდიც მარწუხივით უჭერდა: გადაწყვიტა, სხვა რამეზე გადაეტანა ფიქრი და მომოიხედა. ვაგონის ორივე მხარეს დაკიდებული ტყავის სახელურები ირწეოდნენ და მხოლოდ მის თავს ზემოთ ჩამოკონწიალებული რამდენიმე სახელური გაუნძრევლად მიტყუპებოდა ერთმანეთს. „რა უცნაურია!“ - გაიფიქრა სინძომ, მაგრამ არაფრად ჩააგდო ეს. თანდათან ისევ იგრძნო ვიღაცის დაჟინებული მზერა. წამოდგა, უნდოდა ამ გახევებულ, ერთმანეთზე მიტყუპულ სახელურებს გარიდებოდა და მეორე მხარეს, კუთხეში მიიყუჟა. შემთხვევით აიხედა მაღლა - მის თავს ზევით კვლავ ერთმანეთს ჩახუტებოდა და გახევებულიყო რამდენიმე სახელური, ისინი კი, ადრე რომ მის მაღლა ეკიდა, თავისუფლად აქანავდნენ. თავზარდაცემულმა შიშმა დაუარა სხეულში. თავის ტკივილიც გადაავიწყდა, თითქოს ხსნას ელისო, თანამგზავრებს მოავლო თვალი. უეცრად მის პირდაპირ მჯდარმა დედაბერმა კისერი მოიღერა და მწვანეჩარჩოიანი შავი სათვალიდან დაჟინებით შეაცქერდა. ეს მოხუცი სულაც არ ჰგავდა ჯადოქარს, მაგრამ სინძოს მაშივე ო-სიმას გატეტკილი, შეშუპებული სახე გაახსენდა და ადგილზე ვეღარ გაჩერდა. სასწრაფოდ ბილეთი მიაწოდა კონდუქტორს და ქურდობაზე წასწრებული ბაცაცასავით კუდამოძუებული ჩახტა ტრამვაიდან. ტრამვაი დიდი სიჩქარით

მიქროდა, ამიტომ ჩამოხტომისას შლაპა გადაუვარდა. გეტის ღვედები გაუწყდა და პირქვე დაეცა მიწაზე. იმავ წამს საიდანღაც მანქანა გამოჩნდა, სინძომ ძლივს მოასწრო ფეხზე წამოხტომა, აღრიალებულ მანქანას გაერიდა, თვალი გააყოლა საკუთარ სიკვდილს და უეცრად, უკანა, ყვითელ ფრთაზე შავი პეპელა - სავაჭრო ფირმის ნიშანი დაინახა. მაშინღა მიხვდა, რომ ღმერთმა სიკვდილისაგან იხსნა.

ეს კურაკაკებასის გაჩერების სიახლოვეს მოხდა, ბედად, თავისუფალი რიქშა გამოჩნდა, რის ვაი-ვაგლახით აორთხდა სკამზე და თუმცა ჯერ ხეირიანად ვერც იყო გონს მოსული, ხიგასიროიგოკუსკენ წასვლა უბრძანა. გული ამოვარდნაზე ჰქონდა, გადაქლეთილი მუხლები ეწვოდა, თან გადატანილი შიშით დაზაფრული იმაზე ფიქრობდა, საზიდარი არ გადაბრუნებულიყო. ცოცხალ-მკვდარმა მიაღწია საწადელ რაიონს. კოკუგიკანის თავზე მღვრიეევერცხლისფრად შემოქობილი შავი ღრუბლები მოცურავდნენ, მდინარეზე კი პეპლის ფრთებივით ლურჯ-მწვანე იალქნები რიალებდა. სინძოს გული დაუმძიმდა, გაიფიქრა, რომ ალბათ ეს ყოველივე ო-ტოსის სამუდამოდ განშორების მოახლოვებას მოასწავებდა და ცრემლით აევსო თვალი. ბოლო და ბოლოს რიქშამ ხიდი გადაირბინა, ხელნა ტაი-სანის სახლის წინ დაუშვა მიწაზე და გულჩაწყვეტილი, გაქვავებული სინძო ძირს ჩამოვიდა: აღარ იცოდა, გახარებოდა თუ წყენოდა გადარჩენა, გაოგნებულ რიქშას ერთი მუჭა ხურდა ფული ჩაუყარა კალთაში და ტაი-სანის ბინაში შეიჭრა.

სინძოს დანახვამ ტაი-სანიც შეაშინა, ძალით შეათრია უკანა სასტუმრო ოთახში, გადაყვლეფილ ხელ-ფეხზე დააკვირდა და ჰკითხა: „რას გევხარ? რა დაგემართა?“ - „ტრამვაიდან ჩამოვხტი და ფეხი დამიცდა, დავეცი“. - „ჭკუა როდის უნდა ისწავლო? სოფლიდან ჩამოსული ხომ არა ხარ, როგორ შეიძლება ტრამვაიდან გადმოხტომა?“ სინძომ დაწვრილებით უამბო, რაც ტრამვაიში გადახდა. მეგობარმა ხმაამოუღებლად მოუსმინა, უჩვეულოდ მოიღუშა და ჩაიბურდღუნა: „ცუდადაა ჩვენი საქმე. ნეტა ოტოსის ხომ არაფერი შეეშალა?“ სინძო უცებ აღელდა და მკაცრად ჰკითხა: „რას ნიშნავს შეეშალა? ასეთი რა დაავალე?“ მაგრამ ტაი-სანმა არაფერი უპასუხა, მხოლოდ შეშფოთებული ბურდღუნებდა: - „შეიძლება ჩემი ბრალიც იყოს, შენთან ტელეფონით რომ არ მელაპარაკა, როგორ გადავეცი ბარათი, ჯადოქარი ვერ მიხვდებოდა განზრახულს“. ტაი-სანმა სიმწრით ამოიოხრა. სინძოს მოთმინების ფიალა გაუწყდა და განრისხებულმა, აკანკალებული ხმით იყვირა: „ახლავე მითხარი, რა მოიფიქრე, შენს გამო ორმაგად ვიტანჯები!“ - „ცხადია, იტანჯები, კარგად მესმის შენი, მაგრამ უნდა გაუძლო, სხვა გზა არა გვაქვს. ჩვენ ხომ ჯადოქარი მოგვეკიდა მტრად. მე მართლა მეშინია. ო-ტოსისათვის გადაცემულ წერილზე ხმა რომ არ ამომეღო, ჩვენი საქმე უკეთ წარიმართებოდა. ვერ ხვდები, დედაბერი ყველგან გითვალთვალებს, ხოლო იმდღევანდელი საუბრის შემდეგ, არც მე მაშორებს თვალს? და რადგან მე ჯერ ასეთი სასწაულები არ გადამხდენია, სჯობს ისევ არაფერი გითხრა, ვიდრე საბოლოოდ არ დავრწმუნდები, რომ გეგმა გამოაშკარავებულია“. ტაი-სანი არწმუნებდა და ამშვიდებდა სინძოს, მას კი წარბები შეეყარა და აღელვებული იმეორებდა: „ნეტა რაიმე უბედურება ხომ არ შეემთხვა ო-ტოსის?“ ტაი-სანი ხმას აღარ იღებდა, ერთხანს ფიქრობდა, შემდეგ უთხრა: „ადგილს ვეღარ ვპოულობ, მოდი, ჯადოქრის სახლთან მივიდეთ და გავიარ-გამოვიაროთ. იქნებ რაიმე შევნიშნოთ“. აღარც სინძოს შეეძლო გულხელდაკრეფილი ჯდომა, მაშინვე დათანხმდა და ხუთიოდე წუთის შემდეგ ორივემ დატოვა ტაი-სანის სახლი.

რამდენიმე ნაბიჯის გადადგმა ძლივს მოასწრეს, რომ ზურგიდან ფეხის ხმა შემოესმათ. ორივე სწრაფად შებრუნდა, მაგრამ საეჭვო ვერაფერი შენიშნეს, ტაი-სანის მოსამსახურე ბიჭი პატრონს მოსდევდა და მხარზე გადებულ ქოლგას მოარბენინებდა. „ქოლგა მომიტანე?“ - „დიახ, წვიმას აპირებს, ბატონო“, - „შეგეძლო სტუმრისთვისაც წამოგეღო“, - ნაძალადევად გაიღიმა ტაი-სანმა. ბიჭმა კეფა მოიქექა, უგერგილოდ დაუკრა თავი და უკან გაიქცა. მართლაც თავს ზემოთ შავი, საწვიმარი ღრუბლები დაჯანღულიყო, აქა-იქ გამომკრთალ ცას კი მბზვინვარე ფოლადივით ავად ცივი ფერი დასდებოდა. სინძომ ცას ახედა, ისევ რეჩხი იყო გულმა და ფეხს აუჩქარა. ტაი-სანიც აჩქარებული მიჰყვებოდა უკან, შეწუხებული იწმენდდა შუბლიდან ოფლს, მაგრამ მალე მობეზრდა ეს სირბილი, ქოლგა გაშალა და აუჩქარებლად განაგრძო სვლა, ხანდახან სიბრალულით თუ შეხედავდა წინმიმავალი მეგობრის ზურგს. იტინობასისთან მარცხნივ გაუხვიეს, ისგასის სანაპიროს მიუახლოვდნენ და იმ ადგილას, სადაც სინძომ და ო-ტოსიმ ცაში დაკიდული თვალი იხილეს, რიქშა წამოეწიათ. როგორც კი ტაი-სანმა საზიდში მჯდარ კაცს მოჰკრა თვალი, წარბი შეიკრა და მეგობარს გასძახა: „დამიცადე!“ სინძო შედგა, უწადინოდ მოხედა მეგობარს და უკმაყოფილოდ ჰკითხა: „რა მოხდა?“ ტაი-სანი სწრაფად მიუახლოვდა. „ის კაცი თუ დაინახე, ახლა რიქშაში რომ იჯდა?“ - „დავინახე. შავსათვალიანი, გამხდარი კაცი იყო“. - უპასუხა სინძომ და ისვ განაგრძო გზა. ტაი-სანიც გვერდით გაჰყვა და უცებ უთხრა: „იცი, ეს კაცი ჩემი მუდმივი კლიენტია, ბირჟაზე თამაშობს, სახელად კაგისო ჰქვია. ნეტა ეს ხომ არ არის ო-ტოსის მთხოვნელი? დარწმუნებული კი არ ვარ, მაგრამ რატომღაც ასე მომეჩვენა“. - „ალბათ მოგეჩვენა“, - აუღელვებლად უთხრა სინძომ. იმ აბანოს ჩაუარეს, „ატმის ყვავილი“ რომ ერქვა, მაგრამ იქით არც გაუხედავთ. ტაი-სანმა ქოლგით ანიშნა, საით უნდა წასულიყვნენ და უცებ ისევ უთხრა: „არა, არ მომჩვენებია. ხედავ, რიქშა დედაბრის სახლის წინ დგას“. მართლაც, ის რიქშა ახლა ტოტებდაშვებული ტირიფის ქვეშ, მიწაზე იჯდა.

სინძო თითქოს გამოცოცხლდა, მაგრამ მაინც ურწმუნოდ უთხრა: „დედაბერთან მარტო კაგისო რომ არ დაიარება. სხვებიც მოდიან სამკითხაოდ“. ამასობაში მებათქაშის სახლს გაუსწორდნენ. ტაი-სანი მაინც თავის ნათქვამზე იდგა, გარემოს ათვალიერებდა. ჯარისკაცებივით მწყობრი ნაბიჯით ჩაუარეს ჯადოქრის სახლს, თავის მოუბრუნებლად, ცერად გახედეს ფანჯრებს, უცნაური ვერაფერი შენიშნეს, მხოლოდ ფეხმორთხმული რიქშა იჯდა. ყურში სიგარეტის ნამწვი გაეჩარა, სწორედ მებათქაშის სახლიდან მონადენი წყლის ნაკადის პირდაპირ, რეზინის ბორბლების ფართო ნაკვალევში ჩამჯდარიყო და გაზეთს კითხულობდა. დანარჩენი - ლერწმის თეჯირიანი ფანჯარა, ჭუჭყიანი კარი და კედლები ისეთივე იყო, როგორიც ამ რამდენიმე დღის წინ, ისევ უსიერი ტყის დუმილი სუფევდა სახლში, არც ო-ტოსის მუქ-ლურჯი კიმონო გამკრთალა სადმე. ჯადოქრის სახლს ჩაუარეს და მეწვრილმანის დუქანს მიუახლოვდნენ. იმედი გაუცრუვდათ.

ქუჩაში გამოფენილ „ასაკუსას“ ტუალეტის ქაღალდით, კუს ბაკნისმაგვარი ჯაგრისებით, დასაბანი ფხვნილებით სავსე დახლებს გასცდნენ, უზარმაზარი წითელი ფარნებით განათებულ დუქანთან მივიდნენ და უცებ... ო-ტოსი დაინახეს. ქალიშვილი იდგა და პატრონის ასულს ესაუბრებოდა. დაუფიქრებლად შევიდნენ დუქანში. შემოსულთა ხმა რომ შემოესმა, ო-ტოსი მობრუნდა, ფერმკრთალი სახე წამოენთო,

მაგრამ მღელვარება დაიოკა, ძლივს შეიკავა სიხარული და გაოცებულმა ჰკითხა: „აჰ, თქვენ ბრძანდებით?“ ტაი-სანმაც სცადა მშვიდად მოეჩვენებინა თავი, ჭილის ქუდს შეეხო ხელით და თითქოს სხვათა შორის ჰკითხა: „დედათქვენი შინ ბრძანდება?“ - დიახ“, უპასუხა ო-ტოსიმ. „თქვენ რატომღა ხართ აქ?“ - „საწერი ქაღალდის საყიდლად გამოვედი, სტუმარმა მოითხოვა...“ - ჩაიჩურჩულა ო-ტოსიმ. სიტყვა არც ჰქონდა დასრულებული, ტირიფის ტოტებით დაბურულ დუქანში უეცრად ჩამობნელდა და უზარმაზარ, წითელ ფარნებს ტკაპუნით დაეცა წვიმის წვეთები. თრთოლვამ დაუარა ტირიფის ფოთლებს და იქუხა კიდეც. ტაი-სანი დუქნიდან გამვიდა და უთხრა: „დედათქვენს გადაეცით, რომ სამკითხაოდ მოვედი, დიდხანს ვუკაკუნე, მაგრამ ხმა არავინ გამცა, ალბა სტუმართან საუბარში იყო გართული... ცხადია, მედუქნის ქალიშვილმა არაფერი იცოდა და ვერც მიხვდა, რა მოხერხებულად გაითამაშეს ეს სცენა. - „აჩქარდი, ო-ტოსი“. - უთხრა მეგობარს და წითელი ფარნები წამოკრიბა. ოტოსი დაემშვიდობა, ტაი-სანთან და სინძოსთან ერთად გამოვიდა დუქნიდან. ჯადოქრის სახლთან არც შეჩერებულან, სწრაფად გაუყვნენ სიტოცუმასაკენ მიმავალ გზას და, წვიმის მსხვილ-მსხვილი წვეთებისგან თავის დასაცავად, ქოლგისქვეშ იყუჟებოდნენ. არა მარტო შეყვარებულებს, ტაი-სანსაც მოეჩვენა, რომ დადგა გადამწყვეტი წუთი, როცა ბედის სასწორი ან აქეთ უნდა გადმოიწონოს, ან იქით. შეთანხმებულივით ხმა არ ამოუღიათ ისიგასის სანაპირომდე, სამივე თავჩაღუნული მიაბიჯებდა, არად დაგიდევდნენ ღვარად წამოსულ წვიმას.

მოდარაჯე ძაღლებს რომ მიუახლოვდნენ, ტაი-სანმა თავი ასწია და შეყვარებულებს მიუბრუნდა: „როგორც ამბობენ, ეს ყველაზე საიმედო ადგილი ყოფილა, აქ დაველოდოთ გამოდარებას“. ახოხოლავებული ქვები განვლეს და სანაპიროს კუთხეში, ფანჩატურს შეაფარეს თავი. წვიმა მატულობდა, თეთრ, გაუვალ ფარდად ეკიდა ჰაერში, ტეტეკავას მოპირდაპირე ნაპირიც კი აღარ ჩანდა. წვიმის წვეთები გაჟიებული მიწის სურნელთან ერთად იპარებოდა ფანჩატურში. ქოლგა არ გაუკეციათ, გვერდიგვერდ დასხდნენ გაუთლელ ქვაზე და სინძომ მაშინვე თავისი სატრფოსაკენ იბრუნა პირი: „მეგონა, ვეღარასოდეს გნახავდი, ო-ტოსი“. ანაზდად, წვიმის გაუვალ ფარდაში ოკრობოკროდ გაიკლაკნა მკრთალი ელვა და თითქოს ცა განიხვნაო - იქუხა. ო-ტოსიმ თავი მუხლებში ჩამალა, ერთხანს გაუნძრევლად იჯდა. შემდეგ დატეტკილი სახე ასწია, უსიცოცხლო თვალები მიაშტერა ფანჩატურის ირგვლივ თეთრ ფარდად ჩამოღვენთილ წვიმას და ჩუმად თქვა: „მე უკვე ყველაფერი გადავწყვიტე“. - თავის მოკვლას აპირებს!“ - გაუელვა სინძოს. ტაი-სანი მათ შორის იჯდა ქოლგით ხელში, ხან ერთს შეხედავდა, ხან მეორეს, მერე ნაძალადევი მხიარულებით წამოიძახა: „რა ყურები ჩამოგიყრიათ! იმედი არასოდეს არ უნდა დაკარგოს კაცმა. აბა, შეხედეთ! ასეთ ამინდში სულთა მეუფეც უგზო-უკვლოდ დაბორიალებს და ვინ იცის, ვის გადააწყდება. ჯადოქართან ბირჟის მაკლერია სტუმრად. ყური მოვკარი, ეს ის მაკლერი უნდა იყოს, შენს შერთვას რომ აპირებს, ო-ტოსი, ასეა?“ ტაი-სანმა შეგნებულად წარმართა აქეთ საუბარი. ო-ტოსიმაც, თითქოს ძილბურანიდან გამოერკვაო, ტაი-სანს შეხედა და ნაღვლიანად უპასუხა: „ჰო, ის არის!“ - მაშასადამე, არ შევმცდარვარ“. - თქვა ტაი-სანმა და ამაყად გადახედა სინძოს. მერე ისევ ო-ტოსის მიუბრუნდა და სერიოზულად უთხრა: „ასეთ ამინდში კაგისო ალბათ ერთხანს იჯდება დედაბერთან. იქნებ მანამდე მომითხრო, შეძელი თუ არა ჩვენი გეგმის განხორციელება. თუ ვერ შეძელი, სხვა გზას დავადგებით. პირდაპირ მივალ

ჯადოქართან და ვეცდები მოველაპარაკო“. ისევ იქუხა, წარამარა კრთებოდა ელვის ენები ციდან ჩანჩქერივით დაშვებულ წვიმაში. ო-ტოსიმ ათრთოლებული ტუჩებით ძლივს ჩაილაპარაკა: „დედაბერმა ყველაფერი დამაცდენინა...“ და ოხვრით, სლუკუნსლუკუნით მოუთხრო ყველაფერი, რაც თავს გადახდა. ამ ნაამბობით მიხვდნენ, რომ ტაი-სანის გეგმა, რომლის შესახებაც სინძომ არაფერი იცოდა, წინა ღამეს ჩაფუშულიყო.

როცა ტაი-სანმა სინძოსაგან შეიტყო, რომ ჯადოქარი ო-ტოსის უსახლებდა ბასარას სულს და მისგან ისმენდა ბრძანებებს, მაშინვე ასეთმა აზრმა გაუელვა: ეგებ ო-ტოსის მოეხერხებინა დედაბრის მოტყუება და ბასარას სულის ნაცვლად თვითონ ებრძანებინა დედაბრისათვის, ხელი არ შეეშალა სინძოსა და ო-ტოსის ქორწინებისათვის. ეს ყველაზე მარჯვე ხერხი იყო და, როგორც ადრე მოგახსენეთ, დილაუთენია გადასცა ქალიშვილს წერილი. ო-ტოსი მიხვდა, ბეწვის ხიდზე რომ მოუწევდა სიარული, მაგრამ რადგანაც მოსალოდნელი უბედურებისაგან თავის დასაღწევად სხვა გზა არ არსებობდა, ამ გეგმის შესრულებაზე თანხმობა განაცხადა. ჩვეულებისამებრ, დედაბერმა ღამის თორმეტ საათზე ტეტეკავაში განიბანა სხეული და ო-ტოსის ჩხიბვას მიჰყო ხელი. მოულოდნელად წინააღმდეგობას წააწყდა. მაგრამ ვიდრე თხრობას განვაგრძობდე, ისიც უნდა გაუწყოთ, როგორ ჩხიბავდა ო-ტოსის და ბასარას სულს უსახლებდა. დედაბერი აშიშვლებდა ქალიშვილს, ხელებს თავს ზევით უკრავდა, თმას უშლიდა და ჩრდილოეთისაკენ პირშექცევით სვამდა ჩაბნელებულ ოთახში. შემდეგ თვითონაც შიშვლდებოდა, მარცხენა ხელში სანთელს იჭერდა, მარჯვენაში - სარკეს და ო-ტოსის წინ დგებოდა, რათა იდუმალი ხმისათვის ესმინა. სარკეს თვალწინ უტრიალებდა და ბუბუნით იწყებდა ლოცვას, მერე თანდათან ხმას უწევდა, სარკეში არეკლილ სანთლის ალს უნათებდა თვალებში, ვიდრე გონწართმეული ქალიშვილი გულაღმა არ დაეცემოდა ნოხზე. მერე დედაბერი ქვეწარმავალივით მისრიალდებოდა, ისევ სარკის ათინათს დაუტრიალებდა თვალწინ და სწორედ ამ დროს ჭაობის ორთქლივით ამოდიოდა წყლიდან ბასარას სული, უჩუმრად გამოარღვევდა სიბნელეს და ო-ტოსის სხეულში ჩასახლდებოდა.

ქალიშვილი თვალს ვეღარ აცილებდა დედაბერს, მთელი ტანით თრთოდა და დედაბრის შეკითხვებზე, თავადაც რომ არ უწყოდა, ისეთ პასუხს აძლევდა. იმ ღამეს, როცა დედაბერმა ბასარას სულის ჩასახლება დაუპირა, ო-ტოსიმ გადაწყვიტა, გულწასულად მოეჩვენებინა თავი და თუ შემთხვევა მიეცემოდა, ბასარას ნაცვლად თავად გაეცა პასუხი, შემდეგ კი, თითქოს სულმა აღარ ინება მასთან ლაპარაკი, დადუმებულიყო. მაგრამ ვერა და ვერ მოახერხა სარკისათვის თვალის არიდება. დედაბერი ერთთავად თავზე ედგა, დაჟინებით უმეორებდა კითხვებს, სახეში აცქერდებოდა. ბედისწერის იდუმალი ნათებასავით სახეში ეშუქებოდა სარკის ციაგი და ყველგან იჭერდა მის მზერას. გასიებული დედაბრის მონოტონური ხმა, კითხვებს რომ ჩასჩურჩულებდა, მოულოდნელად თვალითუხილავი ობობას ქსელივით ყოველმხრივ შემოებლანდა ო-ტოსის სულს და თანდათანობით აღმოჩნდა ძილღვიძილის ზღვარზე. რამდენ ხანს გაგრძელდა ეს ძილ-ღვიძილი, ო-ტოსი მიახლოვებითაც ვერ იხსენებდა. მას მოეჩვენა, რომ წამება მთელ ღამეს გაგრძელდა. ცდის მიუხედავად, ბოლოს და ბოლოს მაინც გაება დედაბრის მიერ დაგებულ იდუმალ მახეში. სანთლის მოციმციმე ალზე თავბრუდამხვევად ბზრიალებდნენ

დიდი და პატარა შავი პეპლები, ჭერს და კედლებს ასკდებოდნენ, სარკეც სადღაც ქრებოდა და ღონემიხდილი ო-ტოსი, როგორც ყოველთვის, ღრმა ძილმა გათანგა.

ამ ამბავს წვიმის თქრიალსა და ელვა-ქუხილში ყვებოდა ო-ტოსი. ტაი-სანსა და სინძოს ხმა არ დაუძრიათ, სახეგაცრეცილები უსმენდნენ. თხრობა რომ დასრულდა, ორივემ შეთანხმებულივით ღრმად ამოიოხრა და ერთმანეთს გადახედა. ერთხანს ხმა არავის ამოუღია, დაბნეულები იდგნენ და ციდან ჩამოღვენთილი წვიმის ღრიალს უსმენდნენ. ბოლოს ტაი-სანმა მოიკრიბა ძალა და თბილად ჰკითხა ო-ტოსის, თითქოს ამხნევებდა: „სრულიად არ გახსოვს, რა ილაპარაკე იმ ღამეს?“ - არაფერი მახსოვს, - უპასუხა ქალიშვილმა, შემდეგ დამფრთხალი, მავედრებელი თვალები მიაპყრო ტაი-სანს: „დილას მოვეგე გონს“, - დასძინა და მწარედ აქვითინდა. ცა გამოდარებას არ აპირებდა, ჭექა-ქუხილი აზანზარებდა ჰაერს. სინძო უეცრად ფეხზე წამოხტა; ქვისმთლელების მიერ დატოვებულ ჩაქუჩს წამოავლო ხელი და ის იყო, გარეთ გაჭრას აპირებდა, ტაისანი სწვდა მხრებში. „გაგიჟდი?“ - უყვირა ტაი-სანმა. სინძოს უცნაური, მყივანი ხმა აღმოხდა ხორხიდან: „გამიშვი! ან მოვკვდები, ან იმ დედაბერს მოვკლავ. სხვა გზა აღარ დამრჩენია!“ - „სისულელეს ნუ ამბობ. ხომ იცი, ახლა ის კაცი ზის დედაბერთან. ჯობს, ისევ მე მივიდე“. - სიტყვასაც არ გათქმევინებს. ო-ტოსის ცოლად შერთვა აქვს გადაწყვეტილი და შეირთავს კიდეც. გამიშვი!“ - „ო-ტოსის რაღა ეშველება, მართლა რომ მოკლა ის ბინძური დედაბერი?“ უეცრად სინძოს ორი ალერსიანი, ნაზი ხელი შემოეჭდო კისერზე, ცრემლებით სავსე ნაღვლიანი თვალები დაინახა და ჩურჩულიც ჩაესმა: „ნება მომეცით, მეც თქვენთან ერთად მოვკვდე“. ანაზდად გაყრუვდა გარემო, ცა განიხვნა თითქოს, ჭექა-ქუხილთან ერთად ფანჩატური იისფერმა ნაპერწკლებმა გაანათა და სინძო გულწასული დაეცა.

რამდენიმე დღე გავიდა. სინძო ძილისმაგვარი ხანგრძლივი უკუნიდან გამოერკვა. ნიხონბასიზე, საკუთარი სახლის მეორე სართულზე იწვა და შუბლზე ყინული ედო. თავთით წამლის ფიალები, სიცხის საზომი და ახალდაკრეფილი, ლაჟვარდისფერი ხვიარებით სავსე ქოთანი ედგა. ერთბაშად ბუნდოვნად გაახსენდა იმდღევანდელი დელგმა, ჭექა-ქუხილი, ჯადოქარი ო-სიმა, თვალი მოავლო ოთახს და ლერწმის კართან მიმჯდარი სახედანაღვლიანებული, ფემიხდილი ო-ტოსი დაინახა. ო-ტოსიმაც შენიშნა, სინძომ თვალი რომ გაახილა, ღაწვები შეეფაკლა და თქვა: „ახლგაზრდა ბატონი გონს მოეგო“. „ო-ტოსი!“ - გრძნობით ჩაიჩურჩულა სინძომ. და უეცრად ტაისანის მხიარული ხმა შემოესმა: „მადლობა ღმერთს! იწექი,იწექი, რაც შეიძლება მშვიდად უნდა იწვე!“ - „შენც აქა ხარ?“ - „მეც აქა ვარ, დედაშენიც, ექიმი კი ახლახანს წავიდა“, სინძომ ო-ტოსის მოწყვიტა მზერა, საწოლის თავთით გაიხედა, რაღაცას დააკვირდა. თავთით ტაი-სანი და დედა ესხდნენ. სინძო ვერა და ვერ მიმხვდარიყო, იმ საშინელი დელგმის შემდეგ როგორ აღმოჩნდა საკუთარ სახლში და გაოგნებული უცქერდა ახლობლებს. „ახლა აღარაფერი გვიჭირს. მხოლოდ კარგად უნდა ჭამო, რომ დროზე მოიკეთო“, - უთხრა დედამ. „შენი ო-ტოსის ლოცვა ღმერთმა ისმინა, დედაბრის ქოხს იმ ღამეს მეხი დაეცა“, - უფრო მხიარულად უთხრა ტაი-სანმა. სინძოს სიხარული თუ ნაღველი შემოაწვა გულზე, ცრემლი გადმოდინდა ლოყაზე და თვალი დახუჭა. ოთახში მყოფნი აწრიალდნენ, მაგრამ სინძომ ისევ გაახილა თვალი. „ნუ გვაშინებ, - უთხრა ტაი-სანმა, - გული დაიმშვიდე!“ სინძო უცებ მიხვდა, რომ ამქვეყნად აღარ არსებობდა ბოროტი ჯადოქარი და უნებლიეთ გაეღიმა. მან ბედნიერი ღიმილი შეანათა ტაი-სანს და ჰკითხა: „კაგისოს რაღა დაემართა?“ - „არაფერი, გრძნობა დაკარგა

მხოლოდ, - სიცილით უთხრა ტაი-სანმა და ბორძიკით განაგრძო: - გუშინ ვესტუმრე და მან მითხრა, რომ როცა დედაბერი ბასარას სულს უსახლებდა, ო-ტოსი ერთთავად იმეორებდა, ხელი არ შეეშალა თქვენი სიყვარულისთვის, თორემ სიკვდილი არ ასცდებოდა. ჯადოქარმა კი გადაწყვიტა, რომ ბასარას სული კი არა, ო-ტოსი ამბობდა ამას და განრისხებული უმტკიცებდა კაგისოს, ორივეს მოკვლა რომ დამჭირდეს, მაინც დავაცილებო. მოკლედ, ჩემმა გეგმამ მაინც გასჭრა. დედაბერმა იფიქრა, რომ ო-ტოსი თვალთმაქცობდა და ამან დაღუპა. ასე იყო თუ ისე, ყველაფერი ძალზე მოულოდნელად მოხდა და მე ვეღარ ვხვდები, ბოროტი სულია ის ბასარა თუ კეთილი“. სინძო უსმენდა და გაოცებული ფიქრობდა მიღმიერ ძალებზე, ამ რამდენიმე დღის განმავლობაში ასე ბედითად რომ ეპყრათ ხელთ მისი და ო-ტოსის სიცოცხლე. „მე? მე რაღა დამემართა?“ ო-ტოსიმ უპასუხა: „ისიგასის სანაპიროდან რიქშით მოგიყვანეთ უახლოეს ექიმთან. წვიმისა და ნერვიულობის გამო მაღალი სიცხე მოგცათ და მზის ჩასვლის ჟამს უგონოდ მოგიყვანეთ შინ“. „დედაშენისა და ო-ტოსის წყალობით სიცხემ გიკლო, - უთხრა ტაი-სანმა, - სამი დღეა თვალი არ მოუხუჭავთ, შენს საწოლთან ისხდნენ. დედაბერი ო-სიმა მე დავასაფლავებინე, ამაზეც დედაშენმა იზრუნა“. „გმადლობ დედა!“ - ჩუმად ჩაიჩურჩულა სინძომ. „ჯობს ტაი-სანს გადაუხადო მადლობა, მე არაფერ შუაში ვარ!“ - უპასუხა დედამ. თვალცრემლიანნი შესცქეროდნენ ერთმანეთს. ტაი-სანი პირველი მოეგო გონს და მხიარულად შესძახა: „უჰ, სამი საათი გამხდარა! წასვლის დროა!“ - სამი?“ განა ახლა დილა არ არის?“ გაოცებულმა ტაი-სინმა ქამრიდან საათი ამოიღო, გახსნა, უნდოდა სინძოსათვის ეჩვენებინა, მაგრამ შენიშნა, რომ სინძო თავთით დაწყობილ ყვავილებს უცქერდა, მხიარულად ჩაიცინა და უთხრა: „ეს ყვავილები იყო ო-ტოსის ნუგეში დედაბრის სახლში. იმ წვიმიან დღეს ყვავილი აყვავდა და დღემდე არ დამჭკნარა. ო-ტოსი ხშირად იმეორებდა, რადგან ყვავილი აყვავილდა, სინძოც გამომჯობინდებაო. შენც მოიხედე. ესეც სასწაულია, მაგრამ სასიამოვნო სასწაული, არ მეთანხმები?“.

სექტემბერ-ოქტომბერი***, 1919*****წ.***

თარგმნა მზია გელაშვილმა

ჯადოქარი

ეგებ არც დამიჯეროთ, ან ჩემი გამოგონილი გეგონოთ ყოველივე. რადგან ის, რასაც მოგითხრობთ, გარდასულ საუკუნეებში კი არ მომხდარა, არამედ ახლა, ტაის წლებში[97]. უფრო მეტიც, ჩვენს თანამედროვე ტოკიოში, სადაც ქუჩებს ტრამვაი და ავტობუსები სერავენ, ბინებში შეუწყვეტლივ რეკს ტელეფონი, გაზეთებში გაფიცვებსა და ქალთა მოძრაობებზე წერენ. და რამდენიც უნდა გიმტკიცოთ, რომ ჰოფმანისა და ედგარ პოს კალმის შესაფერისი ეს ამბავი მართლაც მოხდა ამ უზარმაზარი ქალაქის ერთ-ერთ რაიონში, მაინც ეჭვის თვალით შემომხედავთ. მერე რა, თუ ტოკიოს ქუჩები ფარნებით არის გაჩირაღდნებული, განა შესაძლებელია მზის ჩასვლის შემდეგ ჩამოწოლილი წყვდიადის გაფანტვა და ნათლის მობრუნება? რამდენიც უნდა გვიმტკიცონ მეცნიერებმა, რომ რადიომ და თვითმფრინავებმა ბუნების ყველა საიდუმლოს ფარდა ახადეს, მაინც არავის ძალუძს მისი იდუმალებით მოცული წიაღის რუკის მოხაზვა. და თუ ამაში მეთანხმებით, რატომღა მიგაჩნიათ

შეუძლებლად ცივილიზაციის შუქით გაბრდღვიალებულ ტოკიოში იდუმალ სულთა არსებობა, რომელნიც ღამ-ღამობით უფრო მძლავრობენ; რატომ არ შეიძლება ხანდახან მაინც ჩაიდინონ ხოლმე თუნდაც ისეთივე სასწაული, აუერბახის ღვინის სარდაფში[98] რომ მოხდა?.. თუმცა ხანდახან რატომ? თუ ნებას დამრთავთ, გეტყვით: ალბათ ხანდახან რატომ? თუ ნებას დამრთავთ,

გეტყვით: ალბათ არაერთხელ შეგინიშნავთ, ჩვენს ირგვლივ, ღამეული ყვავილებით როგორ ბუდობენ ზებუნებრივი ძალები. ალბათ ნანახი გექნებათ გინძას ქუჩაზე, ზამთრის გვიან ღამით ქარში დაბზრიალებული ქაღალდები. თუნდაც ცნობისმოყვარეობის გამო, აბა, ერთხელ სცადეთ და დათვალეთ, რამდენ ადგილას ხდება ამგვარი სასწაული? სიმბასიდან მიაკობასიმდე[99] მხოლოდ ერთგან, და ისიც აუცილებლად გზაჯვარედინზე. არა, ჰაერის ნაკადით ამ მოვლენას ვერ ახსნით. ხოლო თუ უფრო გულმოდგინედ დააკვირდებით, ქაღალდის ამ აბზრიალებულ გროვაში აუცილებლად შენიშნავთ წითელ ნაგლეჯს - ან ჩამოხეული კინოაფიშა იქნება, ან ტიოგამის[100] ნაკუწი, ან ასანთის ეტიკეტი - სულ ერთია, წითელი ნაგლეჯი პირველი აიჭრება ჰაერში, თითქოს თან სურს გაიყოლოს ქუჩაში დახვავებული ნაგავი. უმსუბუქესი ქვიშაც რაღაცას ეჩურჩულება აქა-იქ მიმობნეულ თეთრი ქაღალდის ნაკუწებს და ისინიც წამის უსწრაფესად მიჰყვებიან ქარს. ჯერ თავაწყვეტილი ბზრიალებენ ჰაერში, შემდეგ ნარნარით შემოუვლიან წრეს. და როცა ქარი ჩაცხრება, წითელი ნაგლეჯი სხვებზე ადრე უბრუნდება მიწას. შეუძლებელია, ეს მოვლენა თქვენც კი საოცრებად არ გეჩვენოთ. მე გულახდილად რომ გითხრათ, გასაოცარ ამბად მიმაჩნია, არაერთხელ შემინელებია ნაბიჯი და დავკვირვებივარ ვიტრინების ჭახჭახა შუქზე აბზრიალებულ ქაღალდის ნაკუწებს. იმასაც მივხვდი, რომ თუ დაჟინებულად დააკვირდები კაცი, აუცილებლად დაინახავ ადამიანის თვალისათვის უხილავ საგნებს, ისევე, როგორც ღამით ვხედავთ ხოლმე ღამურებს.

თუმცა ტოკიოში მარტო ეს მოვლენა როდია გასაოცარი. უჩვეულოზე-უჩვეულო ამბები ხდება ღამღამობით, ტრამვაით მგზავრობისას. მაგალითად, წითელი და მწვანე ტრამვაი[101] სრულიად უკაცრიელ ქუჩაზეც ჩერდება, თუმცა გაჩერებაზე არავინ დგას. თუ არც ეს გჯერათ, როგორც ქაღალდების ამბავი არ დამიჯერეთ, მაშინ თქვენ თვითონ შეამოწმეთ ამაღამვე. განსაკუთრებით დოსაკას და სუგამოს ხაზზე ხდება ხოლმე ასეთი უჩვეულო რამ, თუმცა იქაური ტრამვაი არაფრით განსხვავდება სხვებისაგან. ამას წინათ საოცარი რამ შემემთხვა. ხუთიოდე დღის წინ დოსაკას ხაზზე წითელ ტრამვაიში ჩავჯექი ღამით. დანგო საკასიტეს გაჩერებასთან სულიერი არ ჭაჭანებდა, მაგრამ ტრამვაი მაინც გაჩერდა. კონდუქტორმა ზარის ზონარი მოქაჩა, ვაგონიდან თავი გაყო და, როგორც ყოველთვის, დაიძახა: „ამოდიხართ?“ მე იქვე ვიჯექი და ფანჯარაში გავიხედე. ჰოი, საოცრებავ, არც გაჩერებაზე, ბოძთან, არც ფართო, ღამეულ ქუჩაში, სადაც ყველა სახლის კარი გამოკეტილი იყო, სულიერი არ ჭაჭანებდა. მხოლოდ ჩამოწოლილ ნისლს მიღმა მქრქალად ანათებდა მთვარე. „რა უცნაურია“, - გავიფიქრე. კონდუქტორმა ისევ ჩამოქაჩა ზონარი და ტრამვაი დაიძრა. მე ისევ ქუჩას გავცქეროდი და თანდათანობით მთვარის მაცდურ და მქრქალ შუქში უთვალავ ადამიანთა ჩრდილები გავარჩიე. ეგებ ჩემს ავადმყოფურ წარმოსახვას დააბრალოთ ეს ყოველივე, დაე ასეც იყო, მაგრამ ვატმანმა რატომღა გააჩერა ტრამვაი? მსგავსი უცნაური ამბავი ჩემს გარდა სხვებსაც გადახდენიათ თავს, ერთ-ერთმა ჩემმა

მეგობარმა ისიც მითხრა, რომ გაოცებულმა სახელოზეც კი მოქაჩა ვატმანს და უთხრა: „რატომ აჩერებ, ხომ ხედავ, არავინ დგას!“ ვატმანმა კი უპასუხა: „მე ხალხი დავინახე“.

ასეთი საოცრებანი მრავლად არსებობს ტოკიოში: არსენალიდან ამობოლქვილი ბოლი ქარს კი არ მიაქვს, პირიქით, მის საწინააღმდეგოდ მიიკლაკნება; ანაზდად, შუაღამისას წმინდა ნიკოლოზის ტაძრის ზარები აგუგუნდებიან ხოლმე; ერთი და იგივე ნომერი ტრამვაი ერთმანეთს მიჰყვება ნიჰანბასის ქუჩაზე ჩამოწოლილ ბინდბუნდში; კოკუგიკანის[102] ცარიელ დარბაზში კი ყოველ ღამე გაისმის ტაშის გრიალი - ერთი სიტყვით, თანამედროვე ტოკიოს ქუჩებში წარმტაცი ფარვანასავით ხან აქ და ხან იქ გაკრთება ხოლმე „ღამეული ბუნების მიღმიერი ძალა“, ამიტომაც ის ამბავი, რომელიც უნდა მოგითხროთ, სულაც არ მიმაჩნია წარმოუდგენლად. უფრო მეტიც, ახლა როცა ტოკიოს ზოგიერთი საიდუმლო შეიტყვეთ, ალბათ ურწმუნო ღიმილით აღარ მოისმენთ ჩემს მონათხრობს. და თუ მაინც შეიგრძნობთ ცურუი ნამბოკუს[103] დროინდელ საკმეველთა სურნელს, მერწმუნეთ, თავად ამბავი არაფერ შუაშია, უბრალოდ მე ვერ შევძელი ისე დამაჯერებლად გადმომეცა, როგორც ამას პო ან ჰოფმანი ახერხებდნენ. როცა ამ ოციოდე წლის წინ, ზაფხულის ერთ გვიან ღამეს პირველად მოვისმინე ეს გასაოცარი ამბავი, მომეჩვენა, თითქოს რაღაც საშინელი ბურუსი ჩამოწვა ჩემს ირგვლივ და დღემდე ვერ დამიღწევია თავი ამ შეგრძნებისაგან.

ის ყმაწვილი ნიხონბასის რაიონში პატარა სტამბის მეპატრონე იყო. ხშირად დაიარებოდა ხოლმე ჩემთან და საქმიანი საუბრის დამთავრებისთანავე მიდიოდა, იმ დღეს კი გვიანობამდე დარჩა. ჯერ იყო და, მზის ჩასვლისთანავე თქეში დაიწყო, მანაც ალბათ გადაწყვიტა, წვიმის

გადაღებამდე შეეცადა, შემდეგ კი საუბარში გაერთო. ქაღალდის ფარნით განათებული ვერანდის კუთხეში იჯდა ეს სახედატეტკილი, კაფანდარა, წარბშეჭმუხნილი ყმაწვილი და ამ მთისას თუ იმ მთისას მიყვებოდა. სწორედ მაშინ მოვისმინე მისგან ეს შემზარავი ამბავი და მინდა თქვენც მოგითხროთ. „ძალზე მინდოდა ოდესმე მეამბნა თქვენთვის, სენსეი!“ - სიტყვა გაწელა აღელვებულმა ყმაწვილმა. ახლაც ცხადლივ მახსოვს ეს ახალგაზრდა კაცი, ძვირფასი, რუხი საზაფხულო ხაორი[104] რომ ეცვა; თითქოს საკუთარი ნათქვამის ეშინიაო, დამფრთხალი ჩურჩულით განაგრძობდა თხრობას. და კიდევ, დღემდე შემორჩა ხსოვნას გადაკარებული ცის ჰორიზონტზე დაგრაგნილი შავი ღრუბლები და ჩემი მოსაუბრის უზარმაზარ სხეულზე არეკლილი ქაღალდის ფარნის, გამხმარი ბალაზის ჩრდილი.

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ სინძო (ასე ვუწოდოთ იმ ახალგაზრდა კაცს, კვლავ ახალი უსიამოვნებანი რომ არ შევამთხვიოთ) ოცდასამი წლისა იყო, როცა მისთვის ერთ ფრიად საინტერესო საკითხზე ხონსიო-ხიტოცუმეს რაიონში მცხოვრებ ვიღაც მკითხავთან მისვლა დააპირა, მანამდე კი თავისი მეგობარი დაპატიჟა „სუსი იოხეეს“ სარდაფში და იქ, საკეს ჭიქასთან მოუთხრო თავისი გასაჭირო. მისი მეგობარი ტაი კომერციულ სკოლაში სწავლობდა. ტაიმ ყურადღებით მოუსმინა და მერე უთხრა: „იქნებ მოხუც ო-სიმანასთან მისულიყავი?“ სინძომ გამოჰკითხა, ვინ იყო ეს ო-სიმა და შეიტყო, რომ ასაკუსიდან ჩამოსულიყო ორი-სამი წლის წინ, მკითხაობდა და მისნობდა (ამბობდნენ, ჯადოს გაკეთებაც შეუძლიაო). „ალბათ

გაიგებდი, ამ ცოტა ხნის წინ თევზით მოვაჭრის საყვარელმა თავი დაიხრჩო.

ვერაფრით მიაგნეს მის გვამს. დედაბერმა რაღაც ქაღალდი მისცა, იტიბასის ხიდიდან წყალში ჩააგდეო. მერე იცი, რა მოხდა? იმავე დღეს ამოტივტივდა გვამი. სწორედ იმ ადგილას, სადაც ის ქაღალდი ჩააგდეს. საღამოს მოქცევა იყო და, საბედნიეროდ, გვამი ქვისმტვირთავი კატარღის კაპიტანმა შენიშნა. ერთი აურზაური ატყდა. ოჰო! სტუმარი გვეწვია. ტოსაემონი!“[105] დამხრჩვალი გვამი სასწრაფოდ მიიტანეს იქვე, ხიდის სიახლოვეს მდებარე პოლიციის საგუშაგოში. იმ დღეს შემთხვევით ჩავიარე ხიდთან, პოლიციელი უკვე გვამთან იდგა. გავხედე ჭილოფგადაფარებულ გვამს და გაშეშებულ, დასიებულ ფეხზე... როგორ გგონია, რა დავინახე? ქაღალდის ის ნაგლეჯი ჰქონდა წვივზე მიკრული. ჟრუანტელმა დამიარა“. სინძოსაც გააჟრჟოლა, თითქოს ჭიანჭველები აუფუთფუთდნენ ტანზე, თვალწინ დაუდგა საღამოს მოქცევა და ხიდის თაღებქვეშ ატივტივებული ქალის გვამი. მაგრამ უკვე კარგა გვარიანად იყო შეზარხოშებული და თამამად თქვა: „საინტერესოა! ახლავე წავალ იმ დედაბერთან!“ - „მეც მიგყვები, - უთხრა მეგობარმა, - კარგად ვიცნობ, ერთი ხანობა ფულის საკითხებზე დავიარებოდი მასთან“. - „კი ბატონო, ერთად წავიდეთ“, - დაეთანხმა სინძო. „სუსი იოხეს“ სარდაფიდან გამოვიდნენ. ორივეს საზაფხულო პალტო ეცვათ, კბილის საჩიჩქნი პირში ჰქონდა გაჩრილი, ჭილის ქუდი დაიხურეს ჩამავალი მზისაგან თავის დასაცავად და აუჩქარებლად გასწიეს მოხუცი მკითხავისაკენ.

ახლა ისიც უნდა გაუწყოთ, რა აწუხებდა სინძოს. მათ სახლში ერთი ქალიშვილი მსახურობდა,

სახელად ო-ტოსი. წელზე მეტი იყო სინძოსა და ო-ტოსის ერთმანეთი უყვარდათ, მაგრამ გასული წლის ბოლოს ო-ტოსი ავადმყოფი დედის მოსანახულებლად წავიდა და უკან აღარ დაბრუნებულა - უკვალოდ გაქრა. ქალიშვილის დაკარგვამ სინძოს დედაც დაამწუხრა. დიდხანს ეძებდნენ ნაცნობ-მეგობრები, მაგრამ მის კვალსაც ვერსად მიაგნეს. ათასგვარი ჭორი დაირხა. ერთნი ამბობდნენ, ვიღაცას ხასად დაუდგაო, მეორენი - მომვლელადო, მაგრამ დანამდვილებით არავინ არაფერი იცოდა. სინძო ჯერ ღელავდა, მერე აღშფოთებამ დარია ხელი, ბოლოს კი სასო წარეკვეთა. დედამისი თავიდანვე ხვდებოდა ქალ-ვაჟის სიყვარულს, ახლა კი, დამწუხრებულ შვილს რომ უქცერდა, აღარ იცოდა, რა ეღონა. ათასნაირად ცდილობდა ნაღველი გაექარვებინა შვილისათვის - თეატრში დაატარებდა, ცხელ წყლებზე გამგზავრებას სთავაზობდა, მამის ნაცვლად გზავნიდა საქმიან ბანკეტებზე. იმ დღეს სთხოვა, საწვრილმანო დუქნები შემოევლო, საყიდლების ფულიც მისცა, თითქოს ამით გართობის ნება დართო. სინძომაც თავისი ბავშვობის მეგობარი ტაი დაპატიჟა საკეზე. აი, რა სერიოზული მიზეზი ჰქონდა სინძოს მოხუცი ო-სიმას მოსანახულებლად. ხიტოცუმეს ხიდთან მარცხნივ გაუხვიეს, მდინარე ტეტეკავას უკაცრიელ სანაპიროზე დაახლოებით ერთი ტიო[106] გაიარეს ფატაცუმეს ხიდის მიმართულებით და მეგათქაშის სახლსა და რკინა-კავეულობის დუქანს შუა, ფანჯრებზე ლერწმის რიკულებიანი ძველი სახლი დაინახეს - აქ ცხოვრობდა მკითხავი. სინძოს ნაღველი შემოაწვა, საშინელი წინათგრძნობა მოეძალა, თითქოს ო-ტოსისა და მისი ბედი ამ დედაბრის სიტყვაზე იყო დამოკიდებული, და წამისად გამოფხიზლდა. მართლაც, ეს ერთსართულიანი, დაბალი,

კრამიტჩამოფხავებული სახლი გასაოცარ ნაღველს იწვევდა. მებათქაშისა და ო-სიმას სახლს შორის უზარმაზარი ტირიფი იდგა, ტოტები დედაბრის ფანჯრებსა და კედლებზე ჩამოეშვა და შემაზრზენი, იდუმალებით მოცული უსიერი ტყე იწყებაო.

ტაი-სანი მოურიდებლად შედგა ფანჯრის წინ, სინძოს მოხედა და, თითქოს აშინებსო, უთხრა: „შევიდეთ, ვნახოთ ჯადოქარი. მაგრამ შემპირდი რომ არაფერი გაგიკვირდება!“ - „პატარა ბავშვი ხომ არა ვარ, - ჩაიცინა სინძომ, - ვიღაც დედაბერმა როგორ უნდა შემაშინოს?“ ტაი-სანმა ნაღვლიანად შეხედა მეგობარს და უთხრა: „ცხადია, დედაბერი ვერ გაგაოცებს, მაგრამ ამ სახლში ისეთი მზეთუნახავი ცხოვრობს, სიზმრადაც რომ არ მოგლანდებია. ამიტომ გაფრთხილებ“. ტაი-სანმა ფანჯრის რიკულებს ხელი მოჰკიდა და დაიძახა: - „მაპატიეთ, შეიძლება შემოვიდეთ?“ - „მობრძანდით“, - გაისმა ოთახიდან და ჩვიდმეტ-თვრამეტი წლის ქალიშვილმა სიოძი გადასწია. ტყუილად როდი აფრთხილებდა ტაი-სანი სინძოს. ქალიშვილს თეთრი სახე ჰქონდა, ლამაზი შუბლი და ნათელი, გამჭვირვალე, მომხიბვლელი თვალები, მაგრამ რაღაც ავადმყოფური, ქანცგაწყვეტილი იერი დაჰკრავდა. შალის მუსლინის ქამარიც, გაშლილი მიხაკები რომ ეხატა ზედ, ძალზე ვიწროდ ედგა მუქი ლურჯი კასურით[107] შემოტმასნულ მკერდზე.

ტაი-სანმა ქალიშვილს შეხედა, ჭილის ქუდი მოიხადა და თავაზიანად ჰკითხა: „დედათქვენი

შინ ბრძანდება?“ ქალიშვილმა დაზეპირებულივით უპასუხა: „სამწუხაროდ, შინ არ გახლავთ“, და გაწითლდა, თითქოს რაღაცის შერცხვაო. შემდეგ მოულოდნელად კარისკენ გაექცა მზერა, სახე ეცვალა, ჩუმად შეჰკივლა და ფეხზე წამოდგომა დააპირა. ტაი-სანს გაახსენდა სადაც იყო, იფიქრა, ნეტა ბოროტმა სულმა ხომ არ ჩამოიქროლაო, თავადაც უკან მიიხედა და გაოცდა: სინძო, აქამდე გარკვევით რომ ჩანდა ჩამავალი მზის სხივებში, სადღაც გამქრალიყო. გაოცებაც ვერ მოასწრო, რადგან მოხუცი მკითხავის ქალიშვილმა კალთას უტაცა ხელი და სლუკუნით უთხრა: „თქვენს მეგობარს გადაეცით, აქ აღარ გაბედოს მოსვლა, თორემ სიკვდილი არ ასცდება“. ტაისანი გაოგნებული იდგა და ვერაფერს მიმხვდარიყო. მერე დაბნეულმა უპასუხა: „კარგი, გადავცემ“. ქუდი არც დაუხურია, ისე გაიჭრა ქუჩაში და სინძოს დაუწყო ძებნა. დაახლოებით ნახევარი ტიო გაირბინა; ბოლოს, მდინარე ტეტეკავას უკაცრიელ ნაპირზე, ჩამავალი მზის შუქში შავად ჩამუქებულ სატელეგრაფო ბოძებთან დაინახა. სინძო გულხელდაკრეფილი, დამწუხრებული ჩასჩერებოდა წყალს. „სად დაიკარგე? - ეცა ტაო-სანი, - აკი გაგაფრთხილე, არ შეშინდე-მეთქი, მაინც დაფრთხი. რაო, იმ მზეთუნახავს ხომ არ იცნობ?“ - „ვიცნობ, ო-ტოსი იყო“. - უთხრა აღელვებულმა სინძომ და ხიტოციმეს ხიდისკენ წავიდა. უკვე მესამედ გაოცდა ტაი-სანი, ანკი როგორ არ გაოცებულიყო: ის ქალიშვილი, ვისი გულისთვისაც მიდიოდნენ მკითხავთან, მკითხავის შვილი აღმოჩნდა. ახლა ისიც გაახსენდა, რა სთქვა ო-ტოსიმ. ტაი-სანმა ქუდი ჩამოიფხატა, მეგობარს დაეწია და ო-ტოსის თხოვნა გადასცა. სინძო უსიტყვოდ უსმენდა. შემდეგ შუბლი შეიკრა, გაოცებულმა შეხედა ტაისანს და უთხრა: „ცხადია,

აღარასოდეს იქ აღარ მივალ, მაგრამ რატომ მემუქრება სიკვდილი, აი ეს მაოცებს, კი არ მაოცებს, მაბრაზებს“. ტაი-სანი წეღან ისე გამოიჭრა დედაბრის სახლიდან, ო-ტოსის ვერაფერი ჰკითხა, ამიტომ ვერც სინძოს აუხსნა რამე... აღარც სინძოს ამოუღია ხმა და

გზა უსიტყვოდ განაგრძეს. ცოტა ხნის შემდეგ ისევ „სუსი იოხეეს“ სარდაფს მიადგნენ. სინძომ ნაღვლიანად უთხრა: „მაინც კარგია, ო-ტოსის რომ შევხვდი“. ტაი-სანმა, ვითომ არაფერი მომხდარიყოს, მხიარულად უპასუხა: „თუ გინდა, ერთხელაც მივიდეთ“. მერეღა მიხვდა, რომ ცეცხლზე ნავთი დაუსხა - სინძოს ერთი სული ჰქონდა, კიდევ ენახა ო-ტოსი. მალე სინძო მეგობარს გამოემშვიდობა, იქვე, „მებრძოლ მამალში“ შევიდა და შებინდებამდე რამდენიმე ბოთლი საკე გამოსცალა. კარგა ჩამობნელებული იყო, გარეთ რომ გამოვიდა, სასმელით შეთამამებული მიაფართხუნებდა მხრებზე წამოსხმული პალტოს სახელოებს და გულდაჯერებული მიაბიჯებდა დედაბრის სახლისაკენ.

უკუნი ჩამოწოლილიყო, ვარსკვლავიც არ კიაფობდა ცაზე. საწვიმრად ემზადებოდა ბუნება - მიწას მქისე ოხშივარი უდიოდა, ჟამიჟამს ცივი ქარიც წამოუბერავდა. სინძო იმ გადაწყვეტილებით მიდიოდა, რომ სრული სიმართლე შეეტყო ო-ტოსისაგან. მაღალი ტირიფის ხესთან მიყუჟული, ჩაშავებული, ავბედითი სახლის კარი შეაღო, წინკარში შევიდა და ხმამაღლა თქვა: „საღამო მშვიდობისა!“ გასაგები იყო, ვინც მოვიდა და რატომ, და ალბათ თრთოდა მის საპასუხოდ გახმიანებული ხმაც. ფრთხილად გადაიწია სიოძი და მეორე ოთახიდან შემოჭრილ

შუქში ო-ტოსი გამოჩნდა - ნაღვლიანი, თვალცრემლიანი ჩასჭიდებოდა კარის წირთხლს. სინძომ გულგრილად შეხედა ქალიშვილს, ქუდი მოიშვლიპა და აგდებულად ჰკითხა: „დედათქვენი შინ ბრძანდება? საქმე მაქვს მასთან. ჰკითხეთ, ხომ არ შეუძლია მიმიღოს?“ ო, როგორ გაუჭირდა ო-ტოტის ამ გულგრილი ხმის მოსმენა! კარის წირთხლისათვის ხელი არ მოუშორებია, თავს დატეხილმა უბედურებამ ერთიანად ჩაღველფა და ძლივს აამოძრავა ტუჩები. „ახლავე!“ - უთხრა ჩუმად. ალბათ ცრემლიც გადაყლაპა. სინძოსგან მონადენი ღვინის ოხშივარი ცისარტყელასავით გაიკლაკნა წინკარში და ის იყო მოსულს ერთხელ კიდევ უნდა გაემეორებინა თხოვნა, რომ ანაზდად ფუსუმიდან ბოხი, ბებრული, ხიხინა ხმა მაოესმა, თითქოს გომბეშო ახროტინდა: „რომელი ხარ? მობრძანდით, ნუ გერიდებათ“. - „უსინდისო, - გაიფიქრა სინძომ, - ჯერ ამას გავუსწორდები!“ სინძომ პალტო გაიხადა, ათრთოლებულ ო-ტოსის ჭილის ქუდი მიაწოდა და უბოდიშოდ შეალაჯა დედაბრის ოთახში. გახევებული ოტოსი უღონოდ მიეყრდნო ფუსუმას, აცრემლებული თვალები ჭერს მიაპყრო. გულხელი დაიკრიფა და ჩურჩულით დაიწყო ლოცვა.

დედაბრის ოთახში შესვლისთანავე სინძომ ძაბუტონი[108] ამოიდო მუხლებქვეშ და თამამად მიმოიხედა. დაახლოებით რვა ტატამის სიდიდის ოთახი იყო, ჭუჭყიანი, უსახური, შებოლილჭერიანი, ბოძებგაჭვარტლული. პირდაპირ, კედელზე მომცრო ზომის ნიშა და ექვსი სიაკუ[109] დაინახა, ნიშაში კაკემონო მიემაგრებინათ, „დიადი სული ბასარა“ - ეწერა ზედ

იეროგლიფით. მის ქვემოთ სარკე ეკიდა, ფაიფურის ორი ბოთლი იდგა და რამდენიმე პატარა ტოტი იყო მიმაგრებული სალოცავი ქაღალდებით. მარცხნივ, ვერანდის გასწვრივ, ალბათ მდინარე ტეტეკავა დიოდა. ვინ იცის, ეგებ მოეჩვენა, მაგრამ სინძოს თითქოს ჩაესმა კიდეც წყლის ჩუმი ტლაშუნი. ნიშის მარჯვნივ კარადასთან, სადაც ძღვნად მორთმეული ნუგბარით სავსე ყუთი, ბურახი, შაქარი და ვერცხლით გავსებული კალათი ეწყო, ალქაჯისდარი, სახედატეტკილი, დასიებული დედაბერი

იჯდა, ყელმოღეღილი შავი კიმონო ეცვა, თმა მოკლედ ჰქონდა შეკრეჭილი. უწამწამო თვალები დაეხუჭა, დასიებული თითები გადაეჯვარედინებინა. მარტო ხმით კი არა, გარეგნულადაც გომბეშოს ჰგავდა. სინძოს ჟრუანტელმა დაუარა, მოეჩვენა, რომ საცაა ეს გომბეშო პირს დააღებდა და შხამს შეაფრქვევდა; თითქოს შუქიც მიილია, მაგრამ ამანც გაიმაგრა გული და მტკიცედ უთხრა დედაბერს: „სამკითხაოდ გეახელით, ჩემი ქორწინების ამბავი მაინტერესებს“. - „რა? - ჩაეკითხა დედაბერი, თვალი გაახილა და ყურზე მიიდო ხელი, შემდეგ ხიხინით ჩაიქირქილა, - „ქალი მოგინდა?“ - „ჰო, მომინდა! ამიტომაც მოვედი აქ, აბა, სხვაგვარად რა...“ - უთხრა სინძომ და უხეშად ჩაიცინა, მანაც დედაბერს მიბაძა. დედაბერმა ყურზე მიდებული ხელი ღამურას ფრთასავით აიქნია და ქირქილით შეაწყვეტინა სიტყვა: „ნუ ბრაზობთ! უხეშობა ვერაფერი ვაჟკაცობაა“. და უკვე სხვა ხმით ჰკითხა: - „რამდენი წლისაა?“ - „მამაკაცი ოცდასამის, ქათმის წელს დაიბადა“ - „ქალი?“ - „ჩვიდმეტის“ - მაშასადამე, კურდღლის წელს დაბადებულა, არა? - „თვე...“ - „არ მინდა, წელიც მეყოფა“, - უთხრა დედაბერმა და მუხლებზე დაწყობილი თითები ჩაკეცა, ალბათ ბედის ვარსკვლავს

ანგარიშობდა. შემდეგ შეშუპებული ქუთუთოები გაახილა, სინძოს მიაშტერდა და მრისხანედ შესძახა: „შეუძლებელია! შეუძლებელი! შენი ბედი არ არის! - და ჩუმად ჩაიბუტბუტა, თითქოს თავის თავს ელაპარაკებაო, - თუ ეს ქორწინება მოხდება, ქალი ან კაცი სიცოცხლეს უნდა გამოესალმოს“. უეცრად სინძოს გონება გაუნათდა. მაშასადამე, ო-ტოსიც დედაბრის ნათქვამს იმეორებდა! ძლივს შეიკავა თავი, გაღიზიანებულმა დედაბრისაკენ მიიჩოჩა, ღვინის ოხშივარი შეაფრქვია და ამაყად უთხრა: „დაე, ბედი არ მეწეროს იმ ქალთან! შეყვარებულისათვის სიკვდილი ყველაზე იოლია! არ გაგიგიათ, უბედურების ჟამს უფრო ძლიერ უყვართ?“. დედაბერმა თვალი დახუჭა და სქელი ტუჩები აამოძრავა: „რაღა უჭირს კაცის დამკარგავ ქალს! კაცი კი, ქალს რომ დაჰკარგავს, მოთქმა-გოდებას მიეცემა“. - „მე შენ ო-ტოსის არ დაგანებებ, გველო!“ გაიფიქრა სინძომ, დედაბერს ბოროტად შეხედა და მიახალა: - „ქალს კაცი ჰყავს“. - „კაცს?“ - ტუჩები დაბრიცა დედაბერმა და გულხელი დაიკრიფა. სინძოს გააჟრჟოლა, თავზარი დაეცა, მოეჩვენა, რომ დედაბერმა ორთაბრძოლაში გამოიწვია. დედაბერმაც შენიშნა, სინძოს ფერი-ფურმა რომ გადაუარა, კისერი წაიგრძელა და წამოიკნავლა: „რამდენიც უნდა იფიქრო და იმკითხაო, ადამიანის ძალას საზღვარი უდევს. სჯობს დამორჩილდე ბედს!“ უეცრად ფართოდ გახელილი თვალები დააკვესა, ორივე ხელი ქურებქვეშ ამოიდო და ბოროტად ჩაიჩურჩულა: „აი, მტკიცებაც! გესმის სუნთქვა? მოულოდნელობისაგან სინძო გახევდა და დაძაბულმა მიაყურადა. მაგრამ ვერაფერი გაიგონა, ფუსუმაზე აკრული ო-ტოსის სუნთქვის გარდა. „როგორ არ გესმის ერთი შენნაირი ყმაწვილის სუნთქვა, რომელიც ახლა ისიგასის ქვებში ღაფავს სულს? -

მაგიის სასწაულები

შემოდგომის წვიმიანი საღამო იყო. რიქშამ კარგა ხანს მატარა ომორის გარეუბნის ოკრობოკრო ქუჩებში, ბოლოს ბამბუკის ჭალაში ჩადგმულ პატარა, ევროპულ სახლთან გააჩერა ორთვალა და ხელები მიწაზე დაუშვა.

ვიწრო სადარბაზოში შევედი. სადარბაზო ოდესღაც ნაცრისფრად ყოფილა შეღებილი, ახლა კი საღებავი აქერცლოდა და აქა-იქ ძონძებივით ეკიდა. კედელზე ფაიფურის ახალი დაფა შევნიშნე, დაფაზე იაპონურად ეწერა: „ინდოელი მათირამ მისრა“.

ახლა ალბათ ბევრი თქვენთაგანისთვის ცნობილია მათირამ მისრას სახელი. კალკუტელი მისრა-კუნი პატრიოტი იყო და მხურვალედ უჭერდა მხარს ინდოეთის ბრძოლას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, ამავე დროს იგი სრულყოფილად ფლობდა მაგიის ხელოვნებას, რომელიც განთქმული ბრაჰმანის, ჰასან-ხანის ხელმძღვანელობით შეესწავლა.

მისრა კუნი[121] ჩემმა მეგობარმა გამაცნო ცოტა ხნის წინათ. ბევრი გვიკამათია პოლიტიკურ საკითხებზე, თავისი სასწაულები კი ერთხელაც არ უჩვენებია. ამიტომ წინასწარ გავუგზავნე ბარათი, ამა და ამ დროს მოვალ თქვენი სასწაულების სანახავადმეთქი. მაშინ მისრა-კუნი

ომორის ღარიბულ გარეუბანში ცხოვრობდა. საღამო ხანს რიქშა ვიქირავე და სტუმრად ვეწვიე.

წვიმა კოკისპირულად ასხამდა. შესასვლელთან დაკიდებული ფარანი სუსტად ანათებდა ფაიფურის დაფას, მაგრამ მაინც ვიპოვე ზარის ღილაკი და თითი დავაჭირე. კარი მაშინვე გაიღო და დაბალმა მოხუცმა იაპონელმა ქალმა გამომხედა. ალბათ, მისრა-კუნის მოახლე იყო.

- ბატონი მისრა შინ არის?

- როგორ არა, როგორ არა, მობრძანდით! კარგა ხანია გელოდებათ, - თავაზიანად მომიგო ქალმა და სადარბაზოდან პირდაპირ მისრა-კუნის ოთახში შემიყვანა.

- საღამო მშვიდობისა, - მომესალმა მასპინძელი, - ძალზე მოხარული ვარ, რომ მობრძანდით. ვშიშობდი, ვაითუ წვიმამ დააბრკოლოს-მეთქი.

შავგვრემან, დაფანჩულ ულვაშიან მისრა-კუნს ეტყობოდა, ძალიან ესიამოვნა ჩემი სტუმრობა. ეს კიდეც ორიოდე გულთბილად ნათქვამი ფრაზით გამოხატა და მაგიდაზე მდგარ ნავთის ლამპას აუწია.

- თქვენი სასწაულების სანახავად უარეს ამინდშიც მოვიდოდი, წვიმა რა სახსენებელია, - მივუგე მე, სკამზე დავჯექი და სუსტად განათებულ ოთახს მოვავლე თვალი.

ოთახი ევროპულად იყო მოწყობილი, მაგრამ მეტისმეტი სიღარიბე გეცემოდა თვალში. შუაში დიდი მაგიდა იდგა, კედელთან წიგნების კარადა, ფანჯარასთან პატარა მაგიდა... ჰო, კიდევ ორი სკამი ჩემთვის და მასპინძლისათვის, ეს იყო და ეს. მაგიდაცა და სკამებიც ძველი და მორყეული გახლდათ. მაგიდაზე გადაფარებული,

ოდესღაც ლამაზი სუფრაც მთლად დაქექილი იყო. სალამი და ერთმანეთის მოკითხვა დავამთავრეთ და ორივენი დავდუმდით. მე წვიმის შხაპუნს მივუგდე ყური, ბამბუკის ჭალიდან რომ მოისმოდა. ცოტა ხნის შემდეგ ის დედაბერი შემოვიდა და თითო ფინჯანი მწვანე ჩაი მოგვართვა.

მისრა-კუნმა სიგარა შემომთავაზა. აღარ გავიპატიჟე, მადლობა გადავუხადე, სიგარა ამოვარჩიე, მოვუკიდე და ვკითხე:

- სულს, თქვენ რომ გემორჩილებათ, ალბათ ჯინი ჰქვია, არა? მითხარით, ამაღამ ხომ ჯინის დახმარებით უნდა მოახდინოთ სასწაულები?

მისრა-კუნმა სიგარას მოუკიდა, მოქაჩა, სურნელოვანი ბოლი გამოუშვა და ეშმაკური ღიმილით მომიგო:

- ჯინები ადრე, მრავალი საუკუნის წინათ სწამდათ, აი, დაახლოებით იმ დროს, როცა „ათას ერთ ღამეში“ აღწერილი ამბები ხდებოდა; ხელოვნება, რომელიც ჰასან-ხანმა შემასწავლა, ჯადოქრობა არ არის. თუ მოინდომებთ, თქვენც შეგიძლიათ დაეუფლოთ. ეს ჰიპნოზია, მხოლოდ ჰიპნოზი - მეცნიერების უკანასკნელი სიტყვა, აი, უყურეთ! საკმარისია ხელით ასეთი რამ გააკეთოთ...

მისრა კუნმა ორჯერ თუ სამჯერ რაღაც სამკუთხედის მსგავსი შემოხაზა ჰაერში, შემდეგ ხელი დაბლა დაუშვა და სუფრის არშიაზე ამოქსოვილი ყვავილი მოგლიჯა. გავვოცდი, სკამიანად მივიწიე ახლოს და დაკვირვებით დავუწყე თვალიერება ყვავილს. არა, ნამდვილად ყვავილი იყო! სუფრაზე ამოქსოვილი ყვავილი გაცოცხლებულიყო! მისრა-კუნმა დამაყნოსვინა. მუშკის თავმბრუდამხვევი სურნელება ვიგრძენი.

გაოცების შეძახილი აღმომხდა. მისრა-კუნი კვლავ იღიმებოდა. მერე ხელი გაუშვა ყვავილს და იგი კვლავ ჩაექსოვა სუფრას, მკვდრად ჩაექსოვა! ახლა ვეღარ მოწყვეტდი, ვერც კი შეაქანებდი!

- აბა, რას იტყვით? დაუჯერებელია, არა? ახლა კი, აი ამ ლამპას შეხედეთ!

მისრა-კუნმა ოდნავ გასწია გვერდზე ლამპა. იმავე წამს, რაღაც უცნაური ძალის გავლენით ლამპა

ჩიკორივით დაბზრიალდა. პირველად შევშინდი კიდეც, ცეცხლი არ გაჩნდეს-მეთქი, მაგრამ მისრა-კუნს რომ შევხედე, ცოტათი დავმშვიდდი - იგი მშვიდად წრუპავდა ჩაის და კვლავ იღიმებოდა. ლამპა კი სულ უფრო და უფრო სწრაფად ტრიალებდა.

ჭეშმარიტად საოცარი სანახაობა იყო. თალფაქიდან მონაბერი ნიავი სახეზე მელამუნებოდა, ალი კი ერთხელაც არ შერხეულა! ბოლოს ისეთი სისწრაფით დაიწყო ტრიალი, თითქოს გაჩერებულაო. წამიც და, მივხვდი, რომ მართლა გაჩერებული იყო და არც არასოდეს დატრიალებულა!

- გაგიკვირდათ? ეს ხომ სულ უბრალო რამ არის! მხოლოდ ბავშვებს თუ მოატყუებ ამით. თუ გნებავთ, კიდევ გიჩვენებთ რამეს.

მისრა-კუნი მიბრუნდა და წიგნების კარადას მიაჩერდა. შემდეგ ხელი ისე გაიშვირა მისკენ, თითქოს ვიღაცას უხმობსო. წიგნები შეინძრნენ, სათითაოდ დატოვეს კარადა და მაგიდაზე დალაგდნენ. კარადიდან გამოვიდნენ თუ არა, ყდებს ფრთებივით შლიდნენ და ღამურასავით უხმოდ მოფრინავდნენ ჩვენსკენ. მოულოდნელობისაგან გავშეშდი! სიგარა კბილებში შემრჩა! წიგნები კი ჰაერში ფარფატებდნენ, ლამპას უვლიდნენ ირგვლივ და მერე მწყობრად ლაგდებოდნენ ჩემს წინ. მალე კარადა დაიცალა, მაგიდაზე კი მთელი პირამიდა აღიმართა.

ცოტა ხნის შემდეგ წიგნები კვლავ სათითაოდ დაუბრუნდნენ კარადას და ძველებურად დაეწყვნენ ერთიმეორის გვერდით, ოღონდ ერთი შეყოვნდა, მერე თხელი ყდები გაშალა. ჭერში აფრინდა, რამდენჯერმე შემოუარა მაგიდას და უცებ ფურცლების შრიალით ჩამოვარდა კალთაში. სათაურს დავხედე: ახალგამოსული ფრანგული რომანი იყო, ამ ერთი კვირის წინ რომ ვათხოვე მისრა-კუნს!

- ნება მიბოძეთ, დაგიბრუნოთ. დიდი მადლობელი ვარ! - ღიმილით მითხრა მასპინძელმა.

ამასობაში ყველა წიგნს მოესწრო გადაფრენა კარადაში. მე თითქმის გამოვერკვიე ძილბურანიდან, მაგრამ ხმის ამოღება ვერ შევძელი. მერე მისრა-კუნის ნათქვამი გამახსენდა: „თუ მოინდომებთ, თქვენც შეგიძლიათ დაეუფლოთ...“

- დიახ, თქვენი ხელოვნების ქება ადრეც გამოეგონა, მაგრამ თვალით ნანახმა ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა. წეღან რომ ბრძანეთ, თქვენც შეგიძლიათ ამის შესწავლაო, ალბათ იხუმრეთ, არა?

- არა, გარწმუნებთ, არ მიხუმრია. ყველას შეუძლია მაგიის შესწავლა, სულ ადვილია, ოღონდ...

მისრა-კუნი თვალებში ჩამაშტერდა, კარგა ხანს მიმზირა მდუმარედ, მერე კი დინჯად, დამარცვლით მითხრა:

- ყველას, ხარბი და ანგარებიანი კაცის გარდა! თუ მართლა აპირებთ ჰასან-ხანის ხელოვნების შესწავლას, სიხარბეს უნდა სძლიოთ. შეძლებთ?

- მე მგონი შევძლებ, - მივუგე, მაგრამ იმავე წამს ეჭვმა გამიელვა გონებაში და დავსძინე: - შევძლებ, თუ თქვენც დამეხმარებით.

მისრა-კუნს სახეზე შევხედე და მივხვდი, რომ თვითონაც ეჭვობდა, მაგრამ ეტყობა იფიქრა, ყოყმანი უზრდელობაში ჩამომერთმევაო და სულგრძელად დამეთანხმა:

- კეთილი, გასწავლით. ეს ძნელი საქმე არ არის, მაგრამ უცებ ვერ აითვისებთ, დრო უნდა. ამაღამ ჩემთან გაათევთ ღამეს!

- უღრმეს მადლობას მოგახსენებთ!

აღარ ვიცოდი, როგორ გამომეხატა სიხარული... მაგრამ მისრა-კუნმა აღარ დამამთავრებინა, დინჯად წამოდგა სკამიდან და მოახლეს გასძახა:

- ბები, ბები! სტუმარი ჩვენთან რჩება ამაღამ. ლოგინი გაუშალეთ.

გული სიხარულს ვეღარ იტევდა. სიგარა კვლავ ხელში მეჭირა და ფერფლის დაბერტყვაც ვერ მომეფიქრებინა, რადგან მისრა-კუნს მივჩერებოდი თვალმოუშორებლად. იგი ალერსიანად მიმზერდა და ოდნავ შესამჩნევად იღიმებოდა.

*

მთელი თვე გავიდა, რაც მისრა-კუნს მივებარე მოწაფედ. ერთხელ, მე და ჩემი მეგობრები ერთ-ერთ კლუბში ვუსხედით აგუზგუზებულ ბუხარს და მშვიდად ვსაუბრობდით. გადაუღებლად წვიმდა, მაგრამ ახლა ომორის ბამბუკის ჭალაში კი არა, ტოკიოს შუაგულში, გინძას ქუჩაზე ვიყავი და ამიტომ ავტომანქანებისა და ეტლების სახურავზე მოთქრიალე წვიმის წვეთები ადრინდელივით აღარ მასევდიანებდა. ოთახიც უფრო ხალისიანი ჩანდა - ელექტრონის შუქით იყო გაჩახჩახებული, ტყავის დიდი სავარძლები იდგა, პარკეტი სარკესავით გაეპრიალებინათ... სულ არა ჰგავდა მისრა-კუნის ჩაჟამებულ ბინას, სადაც თითქოსდა ყოველ წამს შეიძლებოდა მოჩვენება გამოგცხადებოდა.

სიგარებს ვეწეოდით და დოღზე და ნადირობაზე ვმუსაიფობდით. ერთ-ერთმა მეგობარმა სიგარის ნამწვი ბუხარში შეაგდო, მერე ჩემკენ მობრუნდა და მკითხა:

- თქვენზე ამბობენ, მაგიას სწავლობსო. იქნებ გეჩვენებინათ თქვენი ხელოვნება.

- გიჩვენებთ, თუკი ამის სურვილი გაქვთ, - ამაყად მივუგე და ისე მოვავლე თვალი ყველას, თითქოს ჯადოქართუხუცესი ვყოფილიყავი.

- მაშინ გვიჩვენეთ რაიმე, რაც თქვენ გინდათ, ოღონდ ჩვეულებრივი საცირკო ნომერი არ იყოს, რაიმე სასწაული მოახდინეთ! სასწაულის ნახვა ყველამ მოისურვა, სავარძლები ახლოს მოსწიეს და წრეში მომაქციეს.

მე ნელა წამოვდექი სავარძლიდან.

- ყურადღებით მიცქირეთ! ამ ხელოვნებას თვალთმაქცობა და ეშმაკობა არა სჭირდება. ეს ვთქვი, სახელოები ავიკარწახე, ბუხართან მივედი და ორივე მუჭი ნაკვერჩხლებით ავივსე. ეს ჩემთვის სულ უბრალო რამ იყო, მაგრამ ჩემი მეგობრები დაფრთხნენ და უკან დაიხიეს, არ დავიწვათო. მე კი ერთხანს კვლავ აუღელვებლად ვიდექი და ხელისგულებზე ალმოდებული ნაკვერჩხლები მელაგა. მერე მოვიქნიე და პარკეტზე მოვფანტე. და უცებ, წვიმის წვეთების ხმას ლითონის წკრიალი შეერია... ნაკვერჩხლები ოქროს ფულებად მოეფინა იატაკს! მეგობრები გაოგნდნენ, თავი სიზმარში ეგონათ, ტაშის დაკვრაც ვერ მოახერხეს!

- აი, ესეც თქვენი სასწაული, სულ უბრალო სასწაული, - ჩავილაპარაკე და გამარჯვებული ღიმილით ჩავეშვი სავარძელში.

- ნუთუ მართლა ოქროს ფულებია? - მკითხა ხუთიოდე წუთის შემდეგ გაოცებისაგან გაოგნებულმა ერთ-ერთმა ამხანაგმა.

- ნამდვილად! თუ არა გჯერათ, გასინჯეთ, ხელში აიღეთ!

- რას ამბობთ! ვისა აქვს დასაწვავი ხელები!

ბოლოს ერთმა მოიკრიბა გამბედაობა, ფრთხილად აიღო იატაკიდან ოქროს ფული, კარგად შეათვალიერა და შესძახა:

- ნამდვილი ყოფილა! ბაჯაღლო ოქროა! არ მოვუტყუებივართ. ეი, ოფიციანტო, ცოცხი და აქანდაზი მოიტანე და ეს ოქროები ახვეტე!

ოფიციანტმა ბრძანება შეასრულა - ოქროები ახვეტა და მაგიდაზე დაახვავა. ჩემი მეგობრები ირგვლივ შემოერტყნენ მაგიდას და ალაპარაკდნენ:

- ჰო, ჰო, ჰო! აქ ორასი ათასი იენი მაინც იქნება!

- რას ამბობ! მეტი! კიდევ კარგი, მკვიდრი მაგიდაა, თორემ ჩაიმტვრეოდა!

- მართლაც და სარფიანი ხელობა გისწავლიათ! ერთ წამში ნაკვერჩხლები ოქროს ფულებად აქციეთ!

- ასე თუ მიჰყევით, სულ ერთ კვირაში არქიმილიონერი გახდებით! ივასაკისა და მიცუის[122] ჩამოიტოვებთ უკან! - აღტაცებული მეგობრები ერთმანეთს არ აცდიდნენ ლაპარაკს, მე კი სავარძლის საზურგეს მივყრდნობოდი, სიგარას ვაბოლებდი და ვდუმდი. ამ ბოლო შენიშვნაზე კი ვუპასუხე:

- არა, ერთხელაც რომ მოვიგო რამე ჩემი ხელოვნებით, სასწაულმოქმედების უნარს დავკარგავ. ეს ფულებიც... თუ გული მოიჯერეთ ცქერით, უკან, ბუხარში უნდა შევყარო. ამ სიტყვები გაგონებაზე ყველამ ერთად შემომიტია.

- რას ამბობ, ეს უზარმაზარი ქონება კვლავ ნაკვერჩხლებად უნდა აქციო? ეს ხომ სიბრიყვეა, ამისთანა სისულელე ჯერ არ გაგვიგონია!

მე კვლავ გავიმეორე, აუცილებლად უკან უნდა შევყარო, მისრა-კუნს ასე დავპირდიმეთქი; მაშინ ერთმა, ყველაზე ეშმაკმა მეგობარმა, დამცინავად ჩაიღიმა და მითხრა:

- თქვენ გინდათ ოქროები ნაკვერჩხლებად აქციოთ, ჩვენ კი არა! არც ჩვენ დავთმობთ და არც თქვენ. ამიტომ, მოდი, ქაღალდი ვითამაშოთ მაგ ოქროებზე! თუ მოიგეთ, რაც გინდათ ის უყავით, გინდა ნაკვერჩხლებად აქციეთ და გინდა ნაცრად; თუ წააგეთ, მოგვეცით და მორჩება ეს დავა და აურზაური.

უარის ნიშნად თავი გავაქნიე. ასე ადვილად არ წამოვეგებოდი ანკესზე. იმ მეგობარმა კვლავ ჩაიღიმა და დამგესლა:

- მუქთად ნაშოვნი ქონება არ ემეტება წასაგებად და ამბობს, კეთილშობილი და უანგარო ვარო. კარგი კეთილშობილება კია, მე და ჩემმა ღმერთმა!

- მერწმუნეთ, იმიტომ კი არ მინდა ამ ოქროების ნაკვერჩხლებად გადაქცევა, რომ თქვენთვის მენანება, მე მინდა...

ერთი სიტყვით, ბევრი ვიდავეთ და ბოლოს მომტეხეს. იძულებული გავხდი, თანხმობა

განმეცხადებინა. მეგობრებმა, რასაკვირველია, ძალიან გაიხარეს, მაშინვე მოატანინეს ერთი დასტა ქაღალდი და კუთხეში მდგარ სათამაშო მაგიდას შემოეხვივნენ.

თავიდან უხალისოდ დავიწყე თამაში. ქაღალდში ბედი არა მაქვს, მაგრამ იმ საღამოს ხელი მომივიდა და თამაშმა თანდათან გამიტაცა. ათი წუთიც არ იყო გასული, რომ მოგების ჟინმა ამიტანა და ყველაფერი დამავიწყდა.

პარტნიორებმაც, რაღა თქმა უნდა, იმიტომ წამოიწყეს თამაში, რომ ჩემი ქონება ჩაეგდოთ ხელში. რომ დაინახეს, ბედი არა გვწყალობსო, მთლად გადაირივნენ, გაფითრდნენ, აკანკალდნენ და პირი პირს მისცეს ჩემს დასამარცხებლად, მაგრამ მაინც ვერაფერი დამაკლეს. ერთი ხელიც არ წამიგია! ბოლოს თითქმის იმდენივე მოვიგე,

რაც თავდაპირველად მქონდა! მაშინ იმ ბოროტმა მეგობარმა, თამაში რომ დამაწყებინა, ბანქოს ქაღალდი მაგიდაზე მოფანტა და გიჟივით იყვირა:

- აი, აიღეთ ერთი ქაღალდი! მთელ ჩემს ქონებას ვდებ - მიწებს, სახლს, ცხენებს, ავტომანქანას... ყველაფერს, რაც გამაჩნია! თქვენ კი ეგ ოქრო და მთელი დღევანდელი მონაგები დასდეთ! ჰა, აიღეთ ქაღალდი!

სიხარბე მომეძალა! ვიფიქრე, თუ ღმერთი გამიწყრა და წავაგე, მთელი ოქრო და მოგება უნდა

მივცე, მაგრამ თუ მოვიგე, მეგობრის მთელი ქონების მფლობელი გავხდები. მართლაც და რა ჯანდაბად შევისწავლე ეს ხელოვნება, თუ ერთხელ მაინც არ ვისარგებლებ, ამისთანა შემთხვევა ხომ აღარ მექნება-მეთქი!

თავს ველარ მოვერიე და გადავწყვიტე, ჩემი ხელოვნება გამომეყენებინა. ცოტა ხანს უარს ვამბობდი ყასიდად, მერე ხელის ჩაქნევით დავეთანხმე, კარგი, ოღონდ ქაღალდი პირველად თქვენ ჩამოდით-მეთქი.

- ცხრიანი!

- პაპა! - მხიარულად შევძახე და გაფითრებულ მეტოქეს ჩემი ქაღალდი ვუჩვენე.

ამ დროს მეორე სასწაული მოხდა: პაპა გაცოცხლდა, გვირგვინიანი თავი ასწია, წელამდე გამოვიდა ქაღალდიდან, ხმალი შეათამაშა ხელში და ავისმომასწავლებლად ჩაიღიმა!

- ბები! ბები! სტუმარი შინ აპირებს დაბრუნებას. ლოგინის დაგება აღარ არის საჭირო! - მომესმა კარგად ნაცნობი ხმა.

იმავე წამს წვიმა ისე სევდიანად აჩქამდა ფანჯრების მიღმა, თითქოს ომორის გარეუბნის ბამბუკის ჭალა ზეციდან იჩქითად წამოსულმა მსხვილმა წვეთებმა აახმიანაო.

უცებ გონს მოვეგე და ირგვლივ მიმოვიხედე. ისევ მისრა-კუნის პირდაპირ ვიჯექი. ოთახს სუსტად ანათებდა ნავთის ლამპა, მისრა-კუნი ქაღალდის პაპასავით იღიმებოდა. მე ხელში სიგარა მეჭირა. ფერფლი ჯერ ისევ ზედ ჰქონდა შერჩენილი... მაშ მომეჩვენა, რომ მთელი თვე გავიდა?! დიახ, სიზმარში მინახავს ყველაფერი! სულ ორი-სამი წუთით წავუღივარ ზმანებას, მაგრამ ეს ხანიც საკმარისი იყო დასკვნების გამოსატანად. მისრა-კუნი მიხვდა, რომ ჩემისთანა კაცისთვის არ უნდა გაენდო

ჰასანხანის ხელოვნების საიდუმლოებანი. შემრცხვა. თავი დაბლა ჩავკიდე და დავდუმდი.

- სანამ მაგიის ხელოვნების შესწავლას გადაწყვეტდით, სიხარბე და ანგარება უნდა ამოგერეცხათ გულიდან. თქვენ კი სულ პატარა ცდუნებასაც ვერ გაუძელით, - მორიდებით მისაყვედურა მისრა-კუნმა და ორივე იდაყვით დაეყრდნო ყვავილებშემოქსოვილ სუფრას. ნოემბერი***, 1919*****წ.***

თარგმნა ანდუყაფარ ჭეიშვილმა

ამბავი ერთი შურისგებისა

კვანძი

ხიგოელ თავად ხოსოკავას ვასალებს შორის ირიცხებოდა ვინმე სამურაი, სახელად ტაოკა ძინდაიუ. ადრე იგი ხიუგელი იტოს სახლის რონინი იყო, შემდეგ კი თავად ხოსოკავას ვასალთა წინამძღოლის, ნაიტო სანზაემონის წარდგინებით ამ თავადებმა თავიანთ სამსახურში მიიღეს და ასოცდაათი კოკუ[123] დაუნიშნეს ჯამაგირად.

გაზაფხულზე, კამბუნის მეშვიდე წელს, სამხედრო ასპარეზობაზე მან შუბებით ბრძოლაში ექვსი სამურაი დაამარცხა. ასპარეზობას უფროსი ვასალების თანხლებით ესწრებოდა თვით თავადი ხოსოკავა ცუნატოსი. მას ძალზე მოეწონა შუბით მოასპარეზე ძინდაიუ და მოისურვა ხმლებითაც გაემართათ ბრძოლა. მაშინ ძინდაიუმ ხელთ იპყრა ბამბუკის საკენწლაო ხმალი და ერთმანეთის მიყოლებით სამი სამურაი მიაწვინა. მისი მეოთხე მოწინააღმდეგე იყო სენუმა ხეიო, რომელიც ტომის ჭაბუკ სამურაებს ფარიკაობაში წვრთნიდა. ძინდაიუ დაერიდა ფარიკაობის მასწავლებლის სახელს და გადაწყვიტა მისთვის გამარჯვება დაეთმო. თუმცა ისე ოსტატურად სურდა წაეგო ორთაბრძოლა, რომ გამარჯვების დათმობის განზრახვა საქმეში ჩახედულთათვის ცხადი ყოფილიყო. როგორც კი ერთმანეთს შეერკინნენ, ხეიო მიუხვდა

განზრახვას და ბრაზით აენთო მეტოქის მიმართ. და როცა ძინდაიუ განზრახ გადავიდა თავდაცვაში, ხეიომ მთელი ძალით აძგერა მას ხმალი. ხმლის წვერი მძლავრად მიებჯინა ყელში ძინდაიუს და იგი მეყსეულად პირქვე დაეცა. საბრალო შესახედავი იყო ამ დროს ძინდაიუ. ასპარეზობის შემდეგ ტუნაცოსი, რომელმაც წეღან მას შუბი შეუქო, მოიღრუბლა და მადლობის ერთი სიტყვაც არ დასცდენია.

ამ მარცხის შემდეგ, ძინდაიუს ბევრი დასცინოდა ზურგს უკან. „რას იზამს ძინდაიუ ბრძოლის ველზე, შუბის ბუნი თუ გადაემტვრა? ვაი მის დღეს! საკენწლაო ხმალსაც კი ვერ ხმარობს, როგორც რიგიან მებრძოლს შეეფერება“. ამგვარი მითქმა-მოთქმა შეიქმნა კლანის სამურაებს შორის. ბევრს შურიც ალაპარაკებდა, განსაკუთრებით მისი რანგის სამურაებს. მაგრამ როგორ მოქცეულიყო მისი წარმომადგენელი ნაიტო სანძაემონი, რა პასუხი უნდა გაეცა თავადისათვის? ამიტომ მოიხმო მან ძინდაიუ და მკაცრად უთხრა: „შენ ისე სამარცხვინოდ დაამარცხებინე თავი, რომ საქმეს არ მოევლება იმის უბრალო აღიარებით, რომ იმედი გამიცრუე. ან გახვალ ახალ სამჯერად ასპარეზობაში, თუ არა და, თავადის წინაშე დანაშაულის გამოსასყიდად ხარაკირის გავიკეთებ“. ძინდაიუს

მხედრული ღირსება ისედაც შელახული იყო მითქმა-მოთქმით. ამიტომ დაუყოვნებლივ ყურად იღო სანზაემონის სიტყვები და სურვილი გამოთქვა ერთხელ კიდევ შერკინებოდა ფარიკაობის მასწავლებელს.

მოკლე ხანში თავადის თანდასწრებით ისინი კვლავ შეიბნენ. პირველ შეტაკებაში ძინდაიუმ ბამბუკის ხმალი მოწინააღმდეგის ხელს აძგერა. მეორე შეტაკებაში ხეიომ სახეში აძგერა ხმალი ძინდაიუს. მაგრამ მესამე შეტაკებაში სინდაიუმ კვლავ აძგერა ხმალი მოწინააღმდეგის ხელს. ცუნატოსიმ შეაქო ძინდაიუ და ბრძანა ორმოცდაათი კოკუთი გაეზარდათ მისი ჯამაგირი. ხეიო დაბოღმილი განშორდა თავადს და თან გასიებულ ხელს ისრესდა.

გავიდა სამიოდე დღე, და აი, ერთ წვიმიან ღამით ერთ-ერთი სამურაი, კონო ხეიტარო, განგმირული ნახეს სეიგანძის ტაძრის გალავანთან. ხეიტარო თავადის ერთ-ერთი დაახლოებული ვასალი იყო, ორასი კოკუ ეძლეოდა ჯამაგირად. ანგარიშსა და წერაში გაწაფულ მოხუცს მოშურნე არ უნდა ჰყოლოდა. თუმცა მეორე დღესვე გამოირკვა, ვინ უნდა ყოფილიყო მისი მკვლელი: ამ დღეს უეცრად მიიმალა სენუმა ხეიო. ძინდაიუ და ხეიტარო სხვადასხვა ასაკისანი იყვნენ. მაგრამ აღნაგობით წააგავდნენ ერთმანეთს. ამას გარდა, ორივე ერთსა და იმავე ღერბს ატარებდა: მიოგას ყვავილს წრეში ჩახატულს. ღერბი ლამპარზე იყო გამოხატული, რომლითაც მსახური გზას უნათებდა ღამით მიმავალ ხეიტაროს. ამან შეაცდინა ხეიო. მოსასხამში გამოხვეულ ხეიტაროს სახე არ უჩანდა და აი, ძინდაიუს ნაცვლად მოხუცი შემოაკვდა.

ხეიტაროს თვრამეტი წლის მემკვიდრე დარჩა, მოტომე. მან საჩქაროდ გამოითხოვა ნებართვა

გამგზავრებულიყო შურის საძიებლად თავის ჭაბუკ მსახურთან, ეგოსი კისაბუროსთან ერთად. ძინდაიუმაც მოისურვა ხლებოდა მოტომეს, სეიტაროს სიკვდილში თავს დამნაშავედ თუ გრძნობდა. საჭურველმტვირთველად წასვლა მოითხოვა აგრეთვე ერთმა სამურაიმ, ცუძაკი საკონმა, მოტომეს ძმადნაფიცმა.

რადგან ეს არ იყო ჩვეულებრივი შემთხვევა, თავადმა ცუნატოსიმ შეიწყნარა ძინდაიუს თხოვნა, მაგრამ საკონი არ გაუშვა.

მოტომემ ძინდაიუსა და კისაბუროსთან ერთად წესი აუგო გარდაცვლილ ხეიტაროს და დატოვა კუმამოტოს ციხე-გალავანი, სადაც უკვე ცვიოდნენ ალუბლის ყვავილები.

1

ცუძაკი საკონი, რომელსაც უარი უთხრეს საჭურველთმტვირთველად გამგზავრებაზე, რამდენიმე დღე სახლიდან არ გამოსულა. მას სწყინდა, რომ მოტომესთან დადებული ძმადნაფიცობის ხელშეკრულება ფარატინა ქაღალდად იქცა.[124] აწვალებდა ფიქრიც, ვაი თუ ამხანაგების დასაცინი გამხდარიყო, მაგრამ ყველაზე უფრო შფოთავდა იმის გამო, რომ მისი მეგობარი მოტომე მხოლოდ ძინდაიუს უნდა მინდობოდა. და აი, იმ ღამით, როცა სამმა

შურისმგებელმა დასტოვა კუმამოტო, იგი მშობლების იდუმალ წავიდა სახლიდან, რათა ადევნებოდა თავის ძმადნაფიცსა და მის მხლებელს ძინდაიუს.

პროვინციის საზღვარზევე მთებში დაეწია მათ. მგზავრები ამ დროს საფოსტო სადგურის ერთ დუქანში ისვენებდნენ. საკონი ხელგართხმით შეევედრა ძინდაიუს, მეც თქვენთან ერთად წამიყოლეთო. მკაცრად დაუხვდა ძინდაიუ: „იქნებ გგონია, არაფერი გამეგებოდეს მხედრულ საქმეში?“ არ ეტყობოდა, ადვილად დათანხმებულიყო. მაგრამ ბოლოს, როგორც იქნა მოლბა, გვერდულად გადახედა მოტომეს, კისაბუროს შუამავლობამაც თითქოს გასჭრა, და ძინდაიუმ ნება დართო საკონს წაჰყოლოდა მათ. ქალივით ნაზი მოტომე, რომელსაც ჯერ რძე არ შეშრობოდა პირზე, სიხარულს ვერ მალავდა, ხოლო საკონს თვალები ცრემლებით ევსებოდა და მადლობას უხდიდა კისაბუროს.

ოთხივე თანამგზავრმა იცოდა, რომ ასანოს კლანში ხეიოს უმცროსი და ჰყავდა გათხოვილი. ამიტომ უპირველეს ყოვლისა გადალახეს მოძიგასეკის სრუტე და დაადგნენ ტიუგოკუს შორეულ გზას ხიროსიმას ციხე-გალავნისაკენ. მაგრამ იქ მისვლისთანავე სამურაების სახლში მომუშავე ერთი მკერავი ქალისაგან შეიტყვეს, რომ ხეიოს მცირე ხანი დაუყვია ხიროსიმაში, შემდეგ უჩუმრად მაცუიამაში გადასულა, სადაც სიძეს ნაცნობი ჰყოლია. ამიტომ მგზავრები დაუყოვნებლივ დასხდნენ ხომალდზე და გაგანია ზაფხულში, კამბუნის მეშვიდე წელს უხიფათოდ მიადგნენ მაცუიამას ციხე-გალავანს.

მაცუიამაში ოთხთავემ სახე ამიგასათი[125] დაიფარეს და აქეთ-იქით იწყეს ხეტიალი, ეგების სადმე მტრის კვალს წავაწყდეთო. მაგრამ ეტყობა ფრთხილობდა ხეიო და ადვილი არ იყო მისი სამყოფელის მიგნება. ერთხელ საკონმა დალანდა მოხეტიალე შემლოცველის სამოსში გადაცმული კაცი, ხეიოს მიამგვანა იგი, დიდხანს უთვალთვალებდა, მაგრამ ბოლოს ეს კაცი აღმოჩნდა სულ სხვა ვინმე, რომელსაც არაფერი საერთო არა ჰქონია ხეიოსთან. ამასობაში დაუბერა შემოდგომის ქარმა და სამურაების სარკმლების წინ, ხშირი ბალახით დაფარული ბლისკინებიდან წყალი გზებზე გადაიღვარა. ამის გამო ოთხი მგზავრის გული მოუთმენლობამ შეიპყრო, განსაკუთრებით საკონს სწადდა მტერთან შეხვედრა. თითქმის ყოველ დროს, დღითა და ღამით, დაეხეტებოდა იგი მაცუიამას შუკებში და ზვერავდა თითოეულ გამვლელს. გულს ედვა, პირველს ჩაეცა შურისგების მახვილი. ძინდაიუს რომ დაესწრო მისთვის, მისი მხედრული ღირსება საბოლოო შეილახებოდა: მან ხომ ყველაფერი მიატოვა ამ ქვეყნად, სახლკარიცა და პატრონიც. ეს ფიქრი აწვალებდა საკონს.

ერთხელ, მაცუიამაში მისვლიდან ორი თვის შემდეგ, ზღვის ნაპირზე მიმავალმა საკონმა შეამჩნია ყოველმხრივ დახურული გავალაკი, რომელსაც ორი ჭაბუკი მსახური ახლდა. მხლებელნი ნავს ამზადებდნენ და თან მეთევზეებს აჩქარებდნენ. როცა სამზადისს მორჩნენ, გავალაკიდან გადმოვიდა ერთი სამურაი. თუმცა მან სასწრაფოდ ჩამოიფარა ამიგასა, მაგრამ წამიერად გაელვებულ სახეში საკონმა სენუმა ხეიო შეიცნო. ერთხანს შეყოყმანდა საკონი: ეჰ,

სად არისო ახლა მოტომე. მაგრამ თუ ხეიოს აქვე არ მოკლავს, იგი კვლავ სადმე გადაიმალება, და თუ ზღვაში გავიდა, ვინღა შეაჩერებს? არა, მოცდა არ ეგების. ორთაბრძოლაში უნდა გამოიხმოს.

ერთ წამში გაუელვა ამ აზრმა. არც უფიქრია ბრძოლის სამზადისზე, ჩამოიგლიჯა ამიგასა და შესძახა: „სენუმა ხეიო! ცუმაკი საკონი ვარ, კონო მოტომეს ძმადნაფიცი და

საჭურველმტვირთველი. ვერა მცნობ?“ იმას კი ამიგასაც არ აუხდია, არც შერხეულა. მხოლოდ მოიხედა საკონისკენ და მშვიდად უთხრა: „აჩქარებულხარ! ვინმე სხვაში ნუ გეშლები“. უცაბედად შედგა გაწბილებული საკონი. იმწამსვე სამურაის ხელი მისწვდა მახვილის ვადას და საკონი საშინელმა დარტყმამ ძირს დაანარცხა. ისღა მოასწრო ქვედაცემულმა საკონმა, რომ დაბლა ჩამოშვებულ ამისგასას ქვეშ ცხადად გაერჩია ხეიოს სახე.

2

საკონის მოულოდნელი მკვლელობის შემდეგ, დანარჩენი სამი თანამეგზური სრული ორი წელი ხეტიალობდა მტრის საძებრად. მათ თითქმის მთელი ტოკაიდო მოვლეს, მაგრამ ვერა და ვერ მიაგნეს ხეიოს კვალს.

დადგა კამბუნის მეცხრე წლის შემოდგომა. მგზავრები გაჰყვნენ გადამფრენ გარეულ იხვებს და მიაღწიეს ედოს სანახებს. იმედოვნებდნენ, ეგების ხმაურიან ედოში, სადაც მრავლად იყო მოხუციც და ახალგაზრდაც, აზნაურიცა და უაზნოც, გაეგოთ მტრის ამბავი.

უპირველეს ყოვლისა სასტუმროში დაბინავდნენ, კანადას ერთ-ერთ შიდა ქუჩაზე. შემდეგ ძინდაიუმ მოხეტიალე სამურაის სახე მიიღო, ქუჩა-ქუჩა დადიოდა და სიმღერით ირჩენდა თავს. მოტომე მეწვრილმანედ გადაიქცა და ზურგზე კალათამოკიდებული ეზო-ეზო დახეტიალობდა. ხოლო კისაბურო ერთ დიდებულს ხამლების მტვირთველად დაუდგა.

მოტომე და ძინდაიუ დღე ცისმარე ქალაქში დაწანწალებდნენ. გამოცდილი ძინდაიუ, რომელიც გასამრჯელოს დაფლეთილი მარაოთი აგროვებდა, ბეჯითად ზვერავდა ყოველ დუქანსა და სამიკიტნოს. მან არ იცოდა, რა იყო დაღლა. მაგრამ ჭაბუკი მოტომეს გული შემოდგომის ნათელ დღეებშიც კი, როცა იგი ნიხონბასიზე ჩაივლიდა ხოლმე, უფრო და უფრო ღონდებოდა უიმედობით. ეჩვენებოდა, რომ საბოლოოდ მთელი მათი ცდა მტერზე შურისგებისა ფუჭად ჩაივლიდა.

ამასობაში ცუცუბას მთიდან დაუბერა შემოდგომის ქარმა, სუსხიანი დღეები დაიჭირა და ერთ მშვენიერ დღეს მოტომე გაცივდა. დროდადრო სიცხეს აძლევდა. მაგრამ ცხელების მიუხედავად

იგი კვლავინდებურად ზურგზე კალათამოკიდებული გამოდიოდა სავაჭროდ. ძინდაიუ კისაბუროსთან შეხვედრისას აქებდა მოტომეს გამძლეობას. ერთგულ მსახურს თვალები ცრემლებით ევსებოდა. მაგრამ ვერც ერთი ვერ ამჩნევდა მოტომეს ჩუმ ნაღველს, რასთანაც არადჩასაგდები იყო მისი სნეულება.

დადგა კამბუნის მეცხრე წლის გაზაფხული. იმ ხანად მოტომემ ჩუმჩუმად იოსივარას საროსკიპოში იწყო სიარული. იქ დაუახლოვდა ვინმე კაედეს, ასულს იძუმიას სახლიდან. ე.წ. „მეორე რანგის მეძავს“. არა მხოლოდ მოვალეობის გამო ექცეოდა სინაზით ეს ქალი მოტომეს. კაედოსთან მოალერსე მოტომეს მცირე ხნით მაინც უკუეყრებოდა სულის დამთრგუნველი სევდა.

ერთხელ, როცა ყველას პირზე ეკერა სიბუიას აყვავილებული ალუბლები, კაედეს გულითადობით აღძრულმა მოტომემ უამბო ქალს შურისძიების ამბავი. და მისდა

მოულოდნელად ქალისაგან შეიტყო, რომ თურმე ხეიოს შენაგვარი ერთი სამურაი მაცუიას ტომის სამურაების თანხლებით იძუმიაში სალაღობოდ მოსულა. კაედე წილად იმ სამურაის ხვდომია და საბედნიეროდ კარგად ახსოვდა მისი გარეგნობა და აღკაზმულობა. კიდევ მეტი: მათი საუბრიდან უნებლიეთ შეიტყო, რომ ორ-სამ დღეში ამ სამურაებს უნდა დაეტოვებინათ ედო და მაცუიას გამგზავრებულიყვნენ. დიდად გაიხარა მოტომემ. მაგრამ იმ ფიქრმა, რომ

მტრის კვალზე ადევნებული ვეღარ მობრუნდებოდა ედოს და კაედესაც სამუდამოდ გაეყრებოდა, გუნება მოუწამლა. იმ დღეს ჩვეულებრივზე მეტად დათვრა. ხოლო სასტუმროში დაბრუნებისას ყელიდან სისხლი ამოსკდა.

მეორე დღიდანვე ჩაწვა მოტომე. მაგრამ რატომღაც დაუმალა ძინდაიუს, რომ მან თითქმის მიაგნო მტრის ადგილსამყოფელს. ძინდაიუ კვლავინდებურად დადიოდა სამათხოვროდ და თავისუფალ დროს ავადმყოფს უვლიდა. და აი, ერთხელ, როცა მან შემოიარა ფუკიას ქუჩის ბალაგნები, საღამოთი სასტუმროში დაბრუნებულს დახვდა საკუთარი ხელით განგმირული მოტომე, იგი ანთებულ ლამპართან იწვა, კბილებში წერილი ჰქონდა გაჩრილი. თავზარდაცემულმა ძინდაიუმ ქაღალდი გაშალა. წერილში მტრის ამბავი და თვითმკვლელობის მიზეზი ეწერა: „მე დავუძლურდი, სენი მერევა. მტერზე შურისგების იმედი გადამიწყდა...“ სისხლით შეთხვრილ წერილში იდო მეორე წერილიც. ძინდაიუმ სწრაფად გადაიკითხა ნაწერი, შემდეგ ფრთხილად მოსწია ლამპარი და წერილი ცეცხლს მისცა. ალმა ქაღალდი აიტაცა და წამიერად გაანათა ძინდაიუს მოღრუბლული სახე.

ეს იყო სააქაოსა და საიქიოში ერთად ყოფნის ხელშეკრულება, რომელიც მოტომემ ამ წლის გაზაფხულზე კაედესთან შეჰკრა.

3

კამბუნის მეათე წლის ზაფხულზე ძინდაიუმ და კისაბურომ მიაღწიეს მაცუიას გალავანს. როცა ოხასის ხიდზე შედგეს ფეხი და ცამდე აღმართულ ღრუბლებიან მწვერვალებს გაჰხედეს, მათი გული აღაფრთოვანა ამ დიდებულმა სანახაობამ, და გაიფიქრეს: მას მერე, რაც დავტოვეთ მშობლიური კუმატო, მეოთხე ზაფხულს ვეგებებოდი უკვე.

მალე კეხასის ხიდის მახლობელ ფუნდუკში ჩამოხდნენ და მეორე დღიდანვე შეუდგნენ მტრის ძებნას.

შემოდგომის პირზე მათ შეიტყვეს, რომ სამურაი ონტი კოძაემონის სახლში, რომელიც თავად მაცუდაირას ვასალებს მხედრულ საქმეში წვრთნიდა, იმალებოდა ხეიოს შენაგვანი ერთი სამურაი. ორთავ გაიფიქრეს: როგორც იქნა მივაღწიეთო მიზანს. ბრაზითა და სიხარულით ფეთქდა ძინდაიუს გული: ამიერიდან ხეიო მხოლოდ ხეიტაროს მტერი როდი იყო, საკონის მტერიც იყო იგი, მოტომეს მტერიც. მაგრამ ხეიო უფრო მეტად ძინდაიუს დაუძინებელ მტრად იქცა, მტრად, რომელმაც სამი ფათერაკიანი წელი გაატარებინა მას. ამის გაფიქრებისას ძინდაიუ, - თუმცა მუდამ მშვიდსა და აუჩქარებელს ეს არ შეჰფეროდა - მზად იყო სახლში შევარდნოდა ონტის და ბრძოლაში ჩაბმულიყო.

მაგრამ ონტი კოძაემონი მთელს სანიდოში პირველი მოხმალავე იყო. ამას გარდა მას მრავალი

ერთგული მოწაფე ჰყავდა. ამიტომ ძინდაიუს უნდა მოეთმინა, ვიდრე ხეიო მარტოდმარტო არ გამოვიდოდა სახლიდან.

ვერა და ვერ მოიხელთა ასეთი შემთხვევა: არც დღისით და არც ღამით სახლიდან არ გამოდიოდა ხეიო. ამასობაში მათი ფუნდუკის ბაღში მურტის შტოებს ყვავილები დასცვივდა და ქვებზე არეკლილი მზის სხივები უფრო და უფრო მკრთალდებოდა. ამ დამაღონებელ ლოდინში შეხვდნენ ისინი საკონის მკვლელობის წლისთავს. საღამო ხანს კისაბურო წავიდა მახლობელ ტაძარში და საკონის სულის მოსახსენებელი წესი დაუკვეთა. როგორ განცვიფრდა, როცა იქ საკონისა და ხეიტაროს სახელებით წარწერილი მოსახსენებელი დაფები დახვდა! წირვის შემდეგ კისაბურომ სხვათა შორის გამოჰკითხა ბერს ამ დაფების ამბავი. უფრო მეტად გააოცა იგი ბერის პასუხმა: ამ ტაძრის მლოცველის, ონტი კოძაემონის ერთ-ერთი დაახლოებული პირი თვეში ორჯერ, ამ მიცვალებულთა სიკვდილის დღეს, მოდის აქ და მათ სულებს მოიხსენებს, დღესაც აქ იყოო, - გულუბრყვილოდ დასძინა ბერმა.

ტაძრიდან გამოსულმა კისაბურომთითქოს იგრძო, როგორ შეემატა მას განსვენებული მამა-შვილის, კონოსა და საკონის სულიერი ძალა.

ძინდაიუმ სიხარულით მოისმინა კისაბუროს ნაამბობი. უხაროდა, რომ ბედი, როგორც იქნა,

მათკენ შემოტრიალდა, მაგრამ ბრაზობდა კიდეც: როგორ ვერ შევამჩნიეთ, თუ ხეიო ამ ტაძარში დადიოდაო. „რვა დღის შემდეგ ჩემი მოხუცი ბატონის გარდაცვალების დღეა. სწორედ ამ დღეს მოგვიწევს შურისგება. აქ გადაწყდება ჩვენი ბედიც!“ ამ სიტყვებით დაასრულა კისაბურომ სასიხარულო ამბავი.

ძინდაიუსაც აღელვებდა ეს აზრი. მაგრამ არც ერთს არ უფიქრია, თუ რა ამბავი ტრიალებდა ხეიოს გულში, როდესაც იგი დროდადრო მათ მიცვალებულებს მოსახსენებელ წესს უგებდა.

ახლოვდებოდა ხეიტაროს გარდაცვალების დღე. ორივენი ლესავდნენ მახვილებს და მშვიდად ელოდნენ სანატრელ ჟამს. ეჭვი არ იყო, ვერაფერი დააბრკოლებდა შურისძიებას. ძინდაიუ იმაზეც ფიქრობდა, როგორ უნდა მიმალულიყვნენ ვალის აღსრულების შემდეგ.

და ბოლოს დადგა ეს დღეც. მზის ამოსვლამდე ლამპის შუქზე შეიკაზმნენ. ძინდაიუმ ირისის ყვავილებით დატვირთული ტყავის შარვალი და მტკიცედ ნაქსოვი შავი ჩესუჩის კურტაკი ჩაიცვა, კურტაკს ზემოთ ამავე ქსოვილის ხაორი მოისხა, რომელზეც საგვარეულო ღერბები იყო გამოსახული. წელზე შეიბა ხასებე ნორინაგას[126] გამოჭედილი დიდი ხმალი და ერთიც მომცრო ხმალი, რაი კუმიტოსის[127] ნახელავი. კისაბუროს არ ჰქონდა ხაორი, მაგრამ ტანთ უბრალო და მსუბუქი მოსასხამი მოისხა. გადაჰკრეს თითო ცივი საკე, მეფუნდუკესთან ამ დღის ანგარიში გაასწორეს და ხალისიანად გავიდნენ კარში.

ქუჩა ჯერ კიდევ უკაცრიელი იყო. მაინც ჩამოიფარეს ამიგასა და ნაცნობი ტაძრის კარიბჭისაკენ გაემართნენ. მაგრამ ორი კვარტალიც არ გაევლოთ, რომ ძინდაიუ უეცრად შეჩერდა და თქვა: „მოიცა! მეფუნდუკეს ხურდა არ დაუბრუნებია. წავალ და იმ ოთხ მონის[128] გამოვართმევ“. არ მოეწონა ეს კისაბუროს: „რა ოხრად გინდა ის ოთხი მონი? განა ამისთვის ღირს გაბრუნება?“ გული არ უთმენდა სეკოინის ტაძრამდე კისაბუროს, მაგრამ ძინდაიუ სხვას ფიქრობდა: „ხურდის დარდი არა მაქვს. ქვეყნის აღსასრულამდე ვერ მოვინელებ ამ სირცხვილს: სამურაი ტაოკა ძინდაიუ ისე აღელვებულა შურისგების წინ, რომ თურმე მეფუდუკესთან გასწორებისას ანგარიში შეშლიაო. შენ წადი. მე კი ფუნდუკში გავბრუნდები“. ეს თქვა და უკან შეტრიალდა. ძინდაიუს გულშეუძრაობით გაოცებული კისაბურო მარტოდმარტო გაემართა შურისგების ადგილისაკენ.

სულ მალე კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს ტაძრის კარიბჭესთან. იმ დღეს მსუბუქი ღრუბლები დაცურავდნენ ცაში, მზის მკრთალი შუქი ანათებდა მათ, ხანგამოშვებით უსიამოდ ცრიდა. თითოეული მათგანი კარიბჭის სხვადასხვა მხარეს მიჰყვებოდა გალავანს, რომლის თავზე უკვე ცვიოდა უნაბის გაყვითლებული ფოთლები.

შუადღემ მოაღწია, მაგრამ ხეიო არ ჩანდა. კისაბურომ ვეღარ მოითმინა და მეკარეს ჰკითხა, თუ მოვაო დღეს ხეიო. მეკარესაც უკვირდა, რომ იგი რატომღაც არ მოდიოდა. სუნთქვაშეკრულნი იდგნენ ისინიტაძრის გალავანთან. ამასობაში დრო უწყალოდ გადიოდა. მწუხრის ჩრდილები დაეფინენ მიდამოს, ჰაერში გაისმოდა უნაბის ხეებზე შემომსხდარი ყვავების ჩხავილი. ლოდინით შეღონებული კისაბურო მიუახლოვდა ძინდაიუს და წასჩურჩულა, ონტის სახლისათვის ხომ არ მიმეკითხაო. ძიუნდაიუმ უარის ნიშნად თავი გააქნია.

მალე ტაძრის კარიბჭის ზემოთ ღრუბელთა შორის აქა-იქ აკიაფდნენ მეჩხერი ვარსკვლავები. გალავანს მიყრდნობილი ძინდაიუ შეუპოვრად ელოდა ხეიოს. ვაითუ შეიტყო ხეიომ, რომ მას მტრები ჩასაფრებიან და იქნებ გვიან ღამით შეუმჩნევლად მოვიდეს ტაძარში?

ბოლოს ზარმა ღამის პირველი ჟამი მოასწავა. შემდეგ დარეკა მეორე ჟამმა. ღამის ცვარით დასველებული შურისმგებელნი არ შორდებოდნენ ტაძარს.

კვანძის გახსნა

ძინდაიუ და კისაბურო სხვა ფუნდუკში გადავიდნენ და კვლავ იწყეს ხეიოს ძებნა. გამოხდა ხანი და ერთ საღამოს ძინდაიუს საშინელი გულისრევა და ფაღარათი აუტყდა. შეშფოთებული კისაბურო ისე იყო ექიმის მოსაყვანად უნდა გაქცეულიყო, მაგრამ ძინდაიუმ არ გაუშვა. ეშინოდა, უდროოდ არ გამომჟღავნებულიყო მათი საქმე.

მთელი დღე საწოლში იწვა ძინდაიუ, აფთიაქში ნაყიდი წამლის ამარა. მაგრამ გულისრევამ და ფაღარათმა არ გაუარა. ბოლოს კისაბურომ ვეღარ აიტანა ყოველივე ამის გულგრილად ცქერა და, როგორც იქნა, ექიმის მოყვანაზე დაიყოლია ავადმყოფი. კისაბუროს თხოვნით მეფუნდუკემ გამოიძახა ამ ადგილებში სახელგანთქმული ექიმი მარუკი რანტაი.

რანტაი თვით მოხუცი მუკაი რეირანის მოწაფე იყო და საუკეთესო მკურნალის სახელი ჰქონდა გავარდნილი. გარდა ამისა, ნამდვილ სამურაისავით ცხოვრობდა: დღე და ღამე სვამდა და ფულზე სულაც არ ფიქრობდა. ამიტომაც ყველანი მასთან მიდიოდნენ სამკურნალოდ. კლანის უწარჩინებულესი ვასალებიცა და უპოვარი პარიებიც.

რანტაის ავადმყოფისათვის მაჯაც არ გაუსინჯავს, ისე გამოიცნო მისი სენი. მაგრამ ვერც ამ სახელოვანი ექიმის წამლებმა უშველეს სნეულს. კისაბურო თავს ევლებოდა ძინდაიუს, თან ღმერთებს მის განკურნებას შესთხოვდა. ხოლო თვით სნეული მთელი დაუსრულებელი ღამეები ისუნთქავდა ნახარში ბალახების ორთქლს და მხურვალედ ლოცულობდა, რათა როგორმე გაეტანა თავი დათქმული სურვილის აღსრულებამდე.

ამასობაში შემოდგომაც იწურებოდა, წამალზე დამავალი კისაბურო ხშირად აყოლებდა თვალს გადამფრენი ფრინველების მწკრივს, რომლებიც სერავდნენ შემოდგომის უიმედო ზეცას. და აი,

ერთხელ მკურნალ რანტაის სახლის წინაკარში იგი შეეყარა სამურაის ერთ მსახურს, რომელიც რანტაისთან მასავით წამლისათვის მისულიყო. კისაბურო იმწამსვე მიხვდა, ავადმყოფი სამურაი ონტი კოძაემონის სახლიდან უნდა ყოფილიყო. როდესაც მსახური წავიდა, კისაბურო მიუბრუნდა ნაცნობ მოწაფეს და ჰკითხა: „ხედავ, ისეთი ვაჟკაციც კი, როგორიც ონტი კოძაემონია, ვერ ასცდენია ამ სენს“. „არა, ონტი-დონო არ არის ავად, მის სახლში ჩამომხმარისტუმარია ავად“. ასე მიუგო გულუბრყვილო მოწაფემ.

ამიერიდან წამალზე მიმავალი კისაბურო ცდილობდა როგორმე გაეგო ხეიოს ამბავი. თანდათან ყველაფერი გამოწვლილვით გამოიკითხა, და აღმოჩნდა, რომ იმ დღიდან, როდესაც მას გალავანთან ელოდებოდნენ, ხეიოს იგივე სენი შეჰყრია, რაც ძინდაიუს. ცხადი გახდა, რატომ არ მოვიდა იმ დღეს ხეიო სეკოინის ტაძარში. როდესაც ძინდაიუმ ეს ამბავი შეიტყო, კიდევ უფრო გაუმწარდა სნეულება. ხეიო რომ მოკვდეს, როგორღა მოახერხოს ძინდაიუმ სისხლის აღება. კიდეც რომ გადარჩეს ხეიო, ხოლო ძინდაიუ სიცოცხლეს გამოესალმოს, ხომ ამაოდ ჩაუვლის ამდენი წლის წვალება. ძინდაიუ ღრღნიდა სასთუმალს და განკურნებას შესთხოვდა ღმერთებს. ამასთანავე არ შეეძლო არ ელოცა თავისი მტრის, სენუმა ხეიოს გადარჩენისათვის.

მაგრამ ბედი ბოლომდე სასტიკი აღმოჩნდა ტაოკა ძინდაიუს მიმართ. სენი დღითიდღე ძლიერდებოდა, ვერ შველიდა რანტაის წამალი. დღეს თუ ხვალ აღსასრული უნდა

დამდგარიყო. მწარედ გატანჯულს ერთი წამითაც არ ავიწყდებოდა შურისგების ვალი. კისაბუროს მომაკვდავის კვნესასთან ერთად ეს სიტყვებიც ესოდა: „ჰოი, ბოდისატვა ჰატიმან![129] ერთხელ ღამით, როდესაც კისაბურო წესისამებრ წამლობდა სნეულს, ძინდაიუ მიაშტერდა მას და ამოიკვნესა: „კისაბურო!“ სული მოითქვა და განაგრძო: „გასრულდა ჩემი სიცოცხლე“. ხელებით დაყრდნობოდა ფარდაგს და თავის აწევის ღონეც კი მიხდოდა.

მეორე დღეს რაღაც ფიქრმა გაუელვა ძინდაიუს და კისაბურო ექიმის მოსაყვანად გაგზავნა. საკეს სუნით გაჟღენთილი, ნამთვრალევი რანტაი დაუყოვნებლივ მოვიდა ავადმყოფთან. „მადლი მომიხსენებია ესოდენი მზრუნველობისათვის“, - ძლივს

აღმოთქვა ძინდაიუმ და საწოლიდან წამოიწია. „მაგრამ ვიდრე სული მიდგას, ერთი რამ მინდა გკითხოთ. მომისმენთ?“ რანტაიმ მზადყოფნის ნიშნად თავი დაუქნია. და ძინდაიუმ ხვნეშით უამბო მკურნალს იმ შურისგების ამბავი, რისთვისაც ზვერავდნენ სენუმა ხეიოს. ძლივს ისმოდა მისი ხმა, მაგრამ ყოველი სიტყვა ამ გრძელ მონათხრობში ღირსეულად ჟღერდა. რანტაის წარბები აექაჩა და დიდი გულისყურით უსმენდა. ძინდაიუმ თხრობა დაამთავრა და ქოშინით იკითხა:

„უკანასკნელად ეს მინდა ვიცოდე: რა დღეშია ხეიო? ცოცხალია თუ არა?“ კისიბურო უკვე ტიროდა. რანტაისაც ვერ შეეკავებინა ცრემლი. იგი დაიხარა სულთმობრძავისაკენ და ყურში წასჩურჩულა: „მშვიდად იყავით. ხეიო-დონა გარდაიცვალა. დღეს დილით, ვეფხვის ჟამს, მე

მოწამე გავხდი მისი სიკვდილის“. ძინდაიუს მწარე ღიმილმა გადაურბინა სახეზე. ამავე დროს ჩამომხმარ ლოყაზე ცივად აუკიაფდა ობოლი ცრემლი. „ხეიო! ხეიო! კურთხეული ყოფილა შენი ღმერთი“. - ნაღვლიანად წაილუღლუღა ძინდაიუმ და თითქოს რანტაისადმი მადლობის ნიშნად საწოლზე დახარა გაბურძგნული თავი. და გათავდა.

კამბუნის მეათე წელს, მთვარის კალენდრით მეათე თვის მიწურულში, მსახური კისაბურო გამოეთხოვა რანტაის და მშობლიური კუმამოტოს გზას დაადგა. სამგზავრო გუდაში ეწყო სამი კაცის - საკონის, მოტომესა და ძინდაიუს - თმების ბღუჯა.

ეპილოგი

კამბუნის მეთერთმეტე წლის პირველ თვეში სეკოიონის ტაძრის სასაფლაოზე მიცვალებულთა სამახსოვროდ ოთხი ფილა დადგეს. მათი დამდგმელი გულმოდგინედ იმალებოდა და არავინ იცოდა, ვინ უნდა ყოფილიყო იგი. მაგრამ როცა ეს ფილები უკვე დადგმული იყო, დილაადრიან ტაძრის კარიბჭეში შემოვიდა ბერად გადაცმული ორი კაცი, ქლიავის აყვავებული რტოები ეჭირათ ხელში. ერთი მათგანი გახლდათ ამ ქალაქში განთქმული მკურნალი მარუკი რანტაი.

მეორე კი - სნებაშეყრილი, საწყალობელი სახის კაცი, რომელსაც ჯერ კიდევ შერჩენოდა სამურაის იერი. მოსულებმა ქლიავის რტოები ფილებზე დააწყვეს. მერე ოთხივე ფილას ნაკურთხი წყალი ასხურეს და წავიდნენ.

გამოხდა ხანი. ობაკუს ტაძარში წმინდა ერინის დღესასწაულზე გამოჩნდა მოხეტიალე ბერი, იმ სნებაშეყრილი ბერის შენამგვარი, რომელმაც მაშინ, წლების წინათ, ხსენებული ოთხი ფილა მოინახულა. გარდა იმისა, რომ მისი ბერული სახელი იყო ძიუნკაკუ, მის შესახებ არავინ არაფერი იცოდა.

მაისი***, 1920*****წ.***

თარგმნა ზურაბ კიკნაძემ

მალე მან თანდათან გაასწრო სუსანოოს. სუსანოო შეეცადა დასწეოდა, მაგრამ ზედიზედ აღმართულ ტალღებში ვეღარ გაატანა. მალე ასიჰარასიკოო სულ მიეფარა თვალს.

„მე კი იმედი მქონდა, ზღვაში დავახრჩობდი“, - გაიფიქრა სუსანოომ და იგრძნო, რომ ვერ მოისვენებდა, სანამ ასიჰარასიკოოს მოკლავდა. „არამზადა! ნეტა ნიანგებმა მაინც შესანსლონ!“

მაგრამ ასიჰარასიკოომ ნიანგივით სწრაფად გამოცურა უკან და შორიდანვე ღიმილით დაუძახა სუსანოოს, კიდევ ვიცურაოთ, თუ ნაპირზე გავიდეთო. სუსანოო ჯიუტი იყო. მაგრამ ამჯერად ნაპირისკენ აიღო გეზი.

ნაშუადღევს სუსანოომ კუნძულის დასავლეთ მხარეს წაიყვანა სტუმარი კურდღლებზე და მელიებზე სანადიროდ. ორივენი კლდეზე ავიდნენ და ხმელი ბალახით დაფარულ თვალუწვდენელ ველს გახედეს. ბალახი ქარის დაბერვაზე ზღვასავით ღელავდა. სუსანოო კარგა ხანს მდუმარედ ტკბებოდა ბუნების სილამაზით. მერე ისარს ლარი ჩაუგდო კილოში და ასიჰარასიკოოს მიუბრუნდა:

- ქარი კი ხელს შეგვიშლის, მაგრამ ვნახოთ, ვინ უფრო შორს გატყორცნის ისარს. მოდი, შევეჯიბროთ. - კეთილი, ვცადოთ! ეტყობა, ასიჰარასიკოოს თავის იმედი ჰქონდა.

- მზადა ხარ? ერთად გავისროლოთ!

სტუმარ-მასპინძელი გვერდიგვერდ დადგნენ, ლარი მოზიდეს და ერთდროულად გატყორცნეს ისრები. ორივე ისარი ერთად გაფრინდა, თანაბარი სიჩქარით მიდიოდნენ და ბრწყინავდნენ მზეზე, მერე ქარმა მოიტაცა ორთავე და დასალიერში გააუჩინარა.

- აბა, რომელმა ვაჯობეთ? - იკითხა სუსანოომ.

- ძნელი სათქმელია. მოდი, კიდეც ვცადოთ. სუსანოო მოიღუშა და თავი გააქნია:

- რამდენიც გინდა ვცადოთ, იგივე განმეორდება. მაგას ჯობს, ჩაირბინო და ისარი ამომიტანო. ხომ არ გეზარება? ძალიან მიყვარს ეგ პრიალა ისარი. ტაკამაგაჰარადან მაქვს წამოღებული.

ასიჰარასიკოო მაშინვე მორჩილად დაეშვა კლდიდან და ქარისაგან აშრიალებულ მაღალ ხმელ ბალახებს შეერია. სუსანოომ კი სწრაფად ამოიღო ქამარზე ჩამოკიდებული ქისიდან კვეს-აბედი, კლდის ძირას ჩავიდა და ხმელ ბალახს ცეცხლი წაუკიდა.

8

თვალის დახამხამებაში კვამლის შავი ღრუბლები ავარდა ცაში. ტკაცატკუცით იწვოდა კვამლში გახვეული ხმელი ბალახი, ბუჩქები და ნორჩი ლერწამი.

- ახლა კი მოვუღებ ბოლოს!

მაღალ კლდეზე იდგაიგი მშვილდს დაყრდნობილი და ბოროტი ღიმილით მანჭავდა ტუჩებს.

ცეცხლი სწრაფად მიიწევდა წინ. ჩიტები საცოდავი ჟივჟივით მიისწრაფოდნენ შავმეწამული ცისაკენ, მაგრამ მხოლოდ ზოგი თუ ასწრებდა სამშვიდობოს გასვლას. უმეტესობას ალის ენები ეწეოდა და დაბლა ყრიდა. შორიდან ისე მოჩანდა, თითქოს ქარიშხალი ამოვარდა და ხეებს ნაყოფი დააყრევინაო.

- ახლა კი მოვუღე ბოლო! - კვლავ შვებით ამოისუნთქა სუსანოომ, მაგრამ იმავე წამს გულზე მძიმედ დააწვა რაღაც გამოუცნობი სევდა და სიმძიმილი...

იმავ საღამოს სუსანოო გულხელდაკრეფილი იდგა სასახლის წინ და გამარჯვებული სახით გასცქეროდა კვამლის ღრუბლით შეჯანღულ ცისკიდურს. ამ დროს სუსერიჰიმეც მოვიდა, ვახშამი მზადააო, უნდა ეთქვა. ტანთ თეთრი სამოსი ეცვა, სამგლოვიარო, თითქოს ახლობელი ნათესავი მოჰკვდომოდეს.

დანაღვლიანებული ქალიშვილი რომ დაინახა, სუსანოომ დაცინვა დაუპირა:

- აბა, ცაში აიხედე. ასიჰარასიკოო ახლა უკვე...

- ვიცი, - გააწყვეტინა სუსერი-ჰიმემ და მამას თვალი აარიდა. სუსანოო გააოცა შვილის უკმეხობამ.

- მართლა იცი? - ჩაეკითხა იგი, - ალბათ ძალიან გეწვის გული, არა?

- დიახ, ძალიან. თქვენ რომ მომკვდარიყავით, მამავ, ბატონო, ასე ძალიან არ ვინაღვლებდი.

სუსანოოს სახე შეეშალა სიბრაზით, მაგრამ რატომღაც ვერ შეძლო თავხედობისათვის დაესაჯა სუსერი-ჰიმე. ჯერ იყუჩა, მერე კი უთხრა, თუ ასე ნაღვლობ, იტირეო, სწრაფად შეტრიალდა და სასახლისაკენ გააბოტა. კიბეზე რომ ადიოდა, ჩაიბურტყუნა, სხვა დროს ამდენს არ ვალაპარაკებდი, ერთი მაგრად მივტყეპავდიო...

მამის წასვლის შემდეგ სუსერი-ჰიმემ კარგა ხანს უმზირა ალმოდებულ ღამეულ ზეცას ცრემლჩამდგარი თვალებით, შემდეგ მიტრიალდა და ბარბაცით წავიდა სასახლისაკენ.

სუსანოომ ის ღამე თეთრად გაათენა - ასიჰარასიკოოს აჩრდილმა არ მოასვენა. მთელი ღამე მასზე ფიქრობდა, ნანობდა, რატომ მოვკალიო და თვითონვე უკვირდა, რატომ ვწუხვარ, განა სულ იმას არ ვცდილობდი, როგორმე თავიდან მომეშორებინაო? შამფურივით ტრიალებდა ნედლი ისლით ნაქსოვ სუგადატამიზე, მაგრამ თვალზე რული არ ეკარებოდა.

ზღვაზე ჩამოწოლილ წყვდიადს კი თანდათან ცივი და მოწყენილი განთიადი ცვლიდა.

9

ეს მოხდა მეორე დილას, როცა მზის სხივები ზღვას მოეფინა. ღამენათევმა სუსანოომ კაშკაშა მზეს თვალები მოუჭუტა, ნელი ნაბიჯით გამოვიდა სასახლიდან და კიბის საფეხურზე სასწაული იხილა: ასიჰარასიკოო და სუსერი-ჰიმე ისხდნენ და მხიარულად საუბრობდნენ.

სუსანოოს დანახვაზეახალგაზრდები შეკრთნენ. ასიჰარასიკოო მკვირცხლად წამოხტა ფეხზე, პრიალა ისარი გაუწოდა და უთხრა, აი, ვიპოვე თქვენი ისარიო.

სუსანოო პირველად თვითონაც დაიბნა, მაგრამ მერე მიხვდა, რომ ჭაბუკის დანახვა უხაროდა.

- საბედნიეროდ, უვნებელი გადარჩი?

- დიახ. სრულიად შემთხვევით გადავრჩი. ისრის ასაღებად რომ დავიხარე, ხანძარი წამომეწია. ისარი ავიღე, კვამლის ღრუბლები გავარღვიე და წინ გავიქეცი, მაგრამ დასავლეთის ქარი ქროდა და ალი ფეხდაფეხ მომდევდა... - ასიჰარასიკოო გაჩუმდა, მამა-შვილს შეჰღიმა და განაგრძო: - უკვე იმედი გადამეწურა, მაგრამ უეცრად ფეხქვეშ მიწა გამეხსნა და უზარმაზარ ხაროში აღმოვჩნდი. ირგვლივ ბნელოდა, მაგრამ მალე ხაროს ნაპირებზეც მოედო ცეცხლი ხმელ ბალახს, ხარო მთლიანად განათდა, მაშინ დავინახე, მინდვრის თაგვებს აევსოთ იქაურობა. იმდენი იყვნენ, ძირზე მიწა არ ჩანდა.

- კარგია, რომ თაგვები იყვნენ. აი, გველები რომ ყოფილიყვნენ... სუსერი-ჰიმეს ერთდროულად ჩაუდგა თვალებში ცრემლიც და ღიმილიც.

- თუმცა, არც თაგვებთან ბრძოლა იყო იოლი. აი, ნახეთ, ისარს ფრთები აღარა აქვს, თაგვებმა მოაღრღნეს. საბედნიეროდ, ცეცხლმა სწრაფად გადაიარა ხაროს თავზე და ამოვედი.

სუსანოომ იგრძნო, რომ ამ მოხერხებული ჭაბუკისადმი კვლავ სიძულვილი განუახლდა. იმასაც მიხვდა, რახან ერთხელვე მისი მოკვლა ჩაიდო გულში, ვერ მოისვენებდა. პატივმოყვარეობა არ ასვენებდა, პატივმოყვარეობა იმ კაცისა, რომელმაც არ იცოდა, რა იყო მარცხი.

- ბედი გქონია, მაგრამ არ უნდა დაივიწყო, რომ ბედი ქარსა ჰგავს: ხან აქედან დაუბერავს, ხან იქიდან... თუმცა ახლა ამას აღარა აქვს მნიშვნელობა, მთავარია, რომ გადარჩი. ახლა კი სასახლეში შევიდეთ. თავი მინდა მომიხილო.

ასიჰარასიკოოსა და სუსერი-ჰიმეს სხვა რა დარჩენოდათ, შეჰყვნენ სასახლეში და მზით განათებულ თეთრ ფარდას მოეფარნენ.

ბრაზითა და ბოღმით აღვსილი სუსანოო შუა დარბაზში მოირთხა და „მიძურას“ ვარცხნილობა გაიშალა. გამხმარი ლელქაშის ფერის გრძელი თმა ჰქონდა, მდინარესავით გრძელი!

- მე ჩვეულებრივი მკბენარები არა მყავს თავში, - გააფრთხილა სუსანოომ ჭაბუკი.

ასიჰარასიკოომ მის ნათქვამს ყურადღება არ მიაქცია და მოხილვა დაუწყო, მაგრამ თმები გადაუწია თუ არა, დაინახა, რომ სუსანოოს თავში ვეება, სპილენძისფერი, შხამიანი სკოლოპენდრები უფუთფუთებდნენ.

10

ასიჰარასიკოო დაიბნა მაგრამ ისევ სუსერი-ჰიმემ უშველა: ხელში წითელი თიხის გუნდა და მუკუს ნაყოფი ჩაუდო. ასიჰირასიკოო მოკბეჩდა მუკუს ნაყოფს, ცოტა თიხას

გაურევდა, დაღეჭავდა და იატაკზე გადმოაფურთხებდა, თითქოს სკოლოპენდრებს ხოცავდა და ძირს ყრიდა.

სუსანოო უძინარი იყოდა ჩათვლიმა... სიზმრად ნახა, ვითომ ტაკამაგაჰარას ქვეყნიდან გამოძევებული, რომელიღაც მთაზე ადიოდა ციცაბო ბილიკით. ფრჩხილები სულ დასძრობოდა კლდეებზე ფორთხვით. კლდეთა ნაპრალებში აქა-იქ გვიმრა ამოსულიყო, ციდან ყორნების საზარელი ჩხავილი ისმოდა, ზეცას ფოლადისფერი ჰქონდა გადაკრული, ირგვლივ ყველაფერი პირქუშად გამოიყურებოდა.

- რა დავაშავე, რა ჩემი ბრალია, იმათზე ძლიერი რომ ვარ. განა ეს დანაშაულია? ხალხია ეგენი? მლიქვნელი, ორპირა კაცუნები! - ბრაზობდა სუსანოო და გაჭირვებით მიიწევდა მთის მწვერვალისაკენ. მოულოდნელად კლდეებზე ლითონის სარკე შენიშნა. სარკეს ექვსი ეჟვანი ეკიდა გვერდებზე. სუსანოომ სარკეში ჩაიხედა და ახალგაზრდა სახე დაინახა, მაგრამ თავისი კი არა, ასიჰარასიკოოსი, რომლის მოკვლასაც რამდენჯერმე შეეცადა.

სუსანოოს გამოეღვიძა და დილის მზის სხივებით განათებულ დარბაზს მოავლო თვალი. ასიჰარასიკოო და სუსერი-ჰიმე არსად ჩანდნენ. სუსანოომ კარისკენ გაიწია, მაგრამ რაღაცამ შეაჩერა, უკან მოიხედა და დაინახა, რომ თმით, სამ ნაწნავად დაწნული თმით იყო მიბმული ჭერის კოჭებზე.

- აი, შე არამზადავ! - დაიღრიალა სუსანოომ, რადგან ყველაფერს მიხვდა და მთელი ძალით გაიქნია თავი. სასახლის სახურავიდან გამაყრუებელი ხმაურით ჩამოცვივდა ჭერის კოჭები. სუსანოომ მარჯვენა ხელით მძიმე ციური მშვილდი აიტაცა, რომლითაც ირმებზე ნადირობდა, მარცხენათი ციური ისრებით სავსე კაპარჭი, ღონე მოიკრიბა, ფეხზე წამოხტა, ჩამონგრეული კოჭები აითრია, ამაყად თავაწეული გამოვიდა სასახლიდან და ზღვის სანაპიროსაკენ გაეშურა. ქარიშხალივით გადაიარა სუსანოომ სასახლის ირგვლივ ატეხილი მუკუს ხეების ჭალა და კბოდეს მიადგა. აქედან უკვე ზღვა იწყებოდა. სუსანოო კბოდის ნაპირას შეჩერდა. თვალები ხელისგულით მოიჩრდილა და ცისკიდურს დაუწყო თვალიერება. ირგვლივ ყოველაფერს - ცას, ჰაერს და თვით ზეცას კი ზღვისფერი დასდებოდა. შორს, ლურჯ ტალღებში ნაცნობი ნავი შენიშნა.

სუსანოო მშვილდს დაეყრდნო და ნავს მიაშტერდა. ჭილოფის იალქნიანი პატარა ნავი მსუბუქად მისრიალებდა ტალღებზე. კიჩოზე ასიჰარასიკოო იდგა, ქიმზე კი სუსერიჰიმე.

სუსანოომ მშვიდად მოზიდა თავისი ციური მშვილდი და ციური ისარი ნავს დაუმიზნა, მაგრამ ისარი არ გაფრენილა. სუსანოოს თვალებში ღიმილის მაგვარი გაუკრთა. ღიმილი და ცრემლები ერთდროულად ჩაუდგა თვალებში... მან მხრები აიჩეჩა, მშვილდი მოისროლა და ხმამაღლა ახარხარდა. ისე ახარხარდა, იტყოდი, ნიაღვარი მოვარდაო.

- დამილოცნიხართ! - გასძახა სუსანოომ ახალგაზრდებს თავისი ბოხი, ძლიერი ხმით და ხელი დაუქნია, - ჩემზე ძლიერნი ყოფილიყავით, ჩემზე ჭკვიანი, ჩემზე... - წამიერად დადუმდა და ხმადაბლა დაუმატა: - ჩემზე ბედნიერნი!

მისი სიტყვები ქარმა ზღვას მოჰფინა. იმ წუთებში სუსანოო უფრო მშვიდი და დიადი იყო, უფრო წააგავდა ციურ ღმერთს, ვიდრე მაშინ, როცა ოჰირუმემუტის ერკინებოდა, როცა ტაკამაგაჰარას ქვეყნიდან გამოაძევეს, ან მაშინ, როცა კოსელ გველეშაპს მოუღო ბოლო.

მაისი, ***1920***წ. თარგმნა

ანდუყაფარ ჭეიშვილმა

სუსანოო-ნო-მიკოტო ხანდაზმულობისას

კოსელი გველეშაპი რომ დაამარცხა, სუსანოო[130]-ნო-მიკოტომ[131] კუსინადა-ჰიმე[132] შეირთო ცოლად და ერთ-ერთი დაბის უფროსი გახდა ასინატუცის სამფლობელოში.

ასინატუციმ ახალგაზრდებს უზარმაზარი სასახლე აუშენა სუგაში, იძუმუს ოლქში. სასახლე იმ სიმაღლე იყო, რომ სახურავი ღრუბლებში იკარგებოდა.

მშვიდი ცხოვრება დაიწყო სუსანოომ. მას კვლავ აღელვებდა ქარის შრიალი, ზღვის ტალღების დგაფუნი და ვარსკვლავებით მოჭედილი ცა, მაგრამ ძველებურად აღარ ეცალა ძველი სამეფოს უკიდეგანო ველებში სახეტიალოდ, რადგან მალე მამა უნდა გამხდარიყო. აქ, ამ მყუდრო სასახლეში, რომლის თეთრი და წითელი კედლები ნადირობის სცენებით იყო მოხატული, სუსანოომ პირველად იგრძნო საკუთარი კერიის სითბო. ტაგამაგაჰარას ქვეყანაში მას ასეთი ბედნიერება არ განუცდია.

სუსანოო და მისი ცოლი ერთად სადილობდნენ, ერთად აწყობდნენ მომავალი ცხოვრების გეგმებს, ერთად სეირნობდნენ უსიერ მუხრანში, რომელიც ირგვლივ ერტყა სასახლეს და ჩიტების მომაჯადოებელი გალობით ტკბებოდნენ. სუსანოო ალერსიანად ექცეოდა ცოლს. ვერც

ლაპარაკში, ვერც გამოხედვასა და სიარულში ვერ შეატყობდით, რომ წინათ სახელგანთქმული მეომარი იყო.

დროდადრო მაინც ესიზმრებოდა ურჩხულები, ხედავდა წყვდიადში უხილავი ხელით აღმართული ხმლის ელვარებასა და გარდასულ დროთა გახსენება კვლავ საომრად უჩქროლებდა გულს. თუმცა ეს მხოლოდ სიზმარში ხდებოდა, გამოფხიზლებისთანავე ცოლზე და დაბის საქმეებზე იწყებდა ფიქრს და წარსულის ზმანება უკვალოდ უქრებოდა.

მალე ვაჟი შეეძინათ. სუსანოომ იასიმაძინუმი დაარქვა შვილს. ბიჭი ლამაზი იყო,

მშვიდი, უფრო დედას ჰგავდა. დრო კი მდინარესავით მიდიოდა და მიდიოდა.

სუსანოომ კიდევ მრავალჯერ იქორწინა და კიდევ შეეძინა ვაჟიშვილი. რომ დაიზრდებოდნენ, მამა ჯარს აძლევდა და უცხო ქვეყნების დასაპყრობად გზავნიდა.

შვილთა და შვილიშვილთა სიმრავლემ სუსანოოს კიდევ უფრო გაუთქვა სახელი. სულ ახალი და ახალი ქვეყნები უგზავნიდნენ ხარკსა და ძღვენს. აბრეშუმით, ბეწვეულითა და იასპით

დატვირთული გემები ზედიზედ შემოდიოდა ნავსადგურში. ხალხი ნაპირზე გადმოსხდებოდა და სუგას სახელგანთქმულ სასახლეს ათვალიერებდა.

ერთხელ სუსანოომ ტაკამაგაჰარას ქვეყნიდან[133] ჩამოსულებში სამი ყმაწვილი შენიშნა, სამივე ბრგე და ახოვანი იყო, როგორც თვით სუსანოო გახლდათ ახალგაზრდობაში. მან ახალგაზრდები სასახლეში მიიწვია და საკეთი გაუმასპინძლდა. ასეთი დაფასება არავის ახსოვდა ამ მკაცრი მბრძანებლისაგან. პირველად ახალგაზრდები ცოტა არ იყოს დაფრთხნენ, ვერ გაეგოთ, რად მიიპატიჟა სუსანოომ სასახლეში, მაგრამ საკე რომ შეუჯდათ თავში, გამხიარულდნენ, დოლის მაგივრად საკეს დაცლილ ქოთნებზე დაიწყეს დაკვრა და ომახიანად დასჭექეს მშობლიური სიმღერები.

როცა ახალგაზრდებმა სასახლე დატოვეს, სუსანოომ ხმალი გაუწოდა მათ და უთხრა:

- ეს ის ხმალია, კოსელ გველეშაპს რომ ამოვაძვრე კუდიდან. წაიღეთ და თქვენს დედოფალს მიართვით.

ახალგაზრდებმა ხმალი გამოართვეს, მუხლი მოიყარეს და შეჰფიცეს, თქვენს ბრძანებას აუცილებლად შევასრულებთო.

შემდეგ სუსანოო მარტოდმარტო გავიდა ზღვის ნაპირზე სტუმრების გასაცილებლად, დიდხანს იდგა ქარაფზე და უმზერდა ნისლში გახვეულ გემის იალქნებს.

2 სიკვდილი არავის ივიწყებს და სუსანოოს სასახლის კარსაც

მიადგა.

იასიმაძინუმი რომ დავაჟკაცდა, დედამისი კუსიდანა-ჰიმე დასნეულდა და ერთი თვის შემდეგ გარდაიცვალა. სუსანოოს სხვა ცოლებიც ჰყავდა, მაგრამ მხოლოდ კუსინადაჰიმე უყვარდა თავდავიწყებით. ამიტომ, სანამ კუსინადა-ჰიმეს დაკრძალავდნენ, შვიდი დღე და ღამე უჯდა ცოლის ნეშტს, ჯერაც ავ თვალს რომ არ დაენახვებოდა, და ცრემლად იღვრებოდა.

მთელი სასახლე გოდებდა. ყველაზე მწარედ იასიმაძინუმის ერთადერთი და, სუსერიჰიმე მოთქვამდა. მისი ხმა სახლის გარეთ ისმოდა და უცხოებსაც კი უთუთქავდა გულს. იასიმაძინუმი თუ დედას ჰგავდა სიმშვიდით, სუსერი-ჰიმე მამასავით ფიცხი და თავშეუკავებელი იყო.

კუსინადა-ჰიმე სასახლის მახლობლად, ბორცვზე დამარხეს, თან თავისი ტანსაცმელი,

სამკაულები და სარკეები ჩაატანეს. სუსანოომ არც მოახლეები დააკლო - თერთმეტი მოახლე მომვლელებად გააყოლა საიქიოში. ისინი უხმოდ დამორჩილდნენ ბედს. მაშინ მოხუცები აბუზღუნდნენ, ჩუმ-ჩუმად კილავდნენ სუსანოოს.

- მხოლოდ თერთმეტი მოახლე გაატანა! სულ არაფრად აგდებს ძველ ადათებს. პირველი ცოლი მოუკვდა და თერთმეტზე მეტი ვერ გაიმეტა! ეს საქმეა?! მხოლოდ თერთმეტი მოახლე!

როცა დაკრძალვის ცერემონიალი დასრულდა, სუსანოომ მოულოდნელად მმართველობა იასიმაძინუმის გადასცა, თვითონ კი სუსერი ჰიმესთან ერთად ზღვის გაღმა, ნენოგატასუს ქვეყანაში გადასახლდა.

სუსანოომ ერთ უკაცრიელ კუნძულზე დაიდო ბინა. ამ კუნძულზე ახალგაზრდობაში ემოგზაურა და მაშინ მოხიბლულიყო მისი სილამაზით. კუნძულის სამხრეთით მდებარე ბორცვზე სასახლე ააშენა, ლერწმით დახურა და გადაწყვიტა, დარჩენილი დღეები მშვიდად გაეტარებინა აქ.

სუსანოო მთლად გაჭაღარავდა, ოღონდ თვალებში დროდადრო ახალგაზრდული ცეცხლი გამოუკრთებოდა იმის მაუწყებლად, რომ გული ჯერ არ დაბერებოდა. შეიძლება ითქვას, უფრო მხნედ გამოიყურებოდა, ვიდრე სუგაში. ხანდახან ბრძოლის ჟინიც კი წამოუვლიდა ხოლმე.

სუსანოომ და მისმა ქალიშვილმა, სუსერი-ჰიმემ, ფუტკრის და გველის მოშენებას მიჰყვეს ხელი, ფუტკარს ნექტარი მოჰქონდა მინდვრიდან, გველის მომაკვდინებელ შხამში კი სუსანოო ისრის წვერებს ავლებდა. ქალიშვილს ნადირობას, თევზაობას და ჯადოქრობას ასწავლიდა. სუსერი-ჰიმე გამოაწრთო ასეთმა ყოფამ, იგი ვაჟკაცსას არ დაუდებდა ტოლს, გარეგნულად კი კვლავ დედამისივით ნაზი და თვალწარმტაცი დარჩა.

მრავალჯერ ამწვანდა სასახლის ირგვლივ ატეხილ ჭალაში მუკუს ფოთლები. სუსანოოს ბანჯგვლიან სახეს ნაოჭები ემატებოდა, სუსერი-ჰიმე კი სულ უფრო და უფრო მშვენდებოდა.

3

ერთხელ, როცა სუსანოო სასახლის წინ, მუკუს ხის ქვეშ იჯდა და ვეება ირემს ატყავებდა, სუსერი-ჰიმე ზღვიდან დაბრუნდა და თან ვიღაც უცნობი ახალგაზრდა მოიყოლა.

- მამილო, აი, ეს ბატონი ახლახან შემხვდა ნაპირთან და წამოვიყოლე.

ამ სიტყვებით წარუდგინა მამას უცნობი. სუსანოო ფეხზე წამოდგა და სტუმარი შეათვალიერა.

უცნობი ლამაზი, მხარბეჭიანი ახალგაზრდა იყო. ყელს იასპის წითელ-ყვითელი ფარღული უმშვენებდა, ქამარზე ჩელთა ხმალი ეკიდა, თვითონ სუსანოოც ასე გამოიყურებოდა ახალგაზრდობაში.

ჭაბუკი მოწიწებით მიესალმა სუსანოოს, მაგრამ მან სალამზე არ უპასუხა და უკმეხად ჰკითხა, რა გქვიაო.

- ასიჰარასიკოოს მეძახიან, - მიუგო სტუმარმა.

- რატომ მოადექი ამ კუნძულს?

- სანოვაგე და წყალი მინდოდა მომემარაგებინა. - მშვიდად უპასუხა ჭაბუკმა.

- კეთილი, აი იქ შედი და ისაუზმე. სუსერი-ჰიმე, მიხედე სტუმარს!

ახალგაზრდები სასახლეში შევიდნენ. სუსანოო კი ხის ქვეშ დარჩა და კვლავ ირემს მიუბრუნდა, მაგრამ თანდათან რაღაც გაურკვეველმა შეშფოთებამ მოიცვა. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს მოწმენდილ ცაზე ქარიშხლის მომასწავებელი შავი ღრუბელი დაინახაო.

როცა ირემი აქნა და სასახლეში შევიდა, კუნძულზე უკვე ბინდი წვებოდა. სუსანოომ ფართო კიბე აიარა და თეთრ გამჭვირვალე ფარდას მიადგა. ფარდის მიღმა დიდი დარბაზი ჩანდა. სუსერი-ჰიმე და ასიჰარასიკოო დამფრთხალი ჩიტებივით წამოფრთხიალდნენ სუგადატამიდან[134]. სუსანოო მოიღუშა და დინჯად შეალაჯა დარბაზში. ასიჰარასიკოოს ბოროტი მზერა ესროლა და თითქმის ბრძანების კილოთი უთხრა:

- დღეს შეგიძლია ჩვენთან გაათიო ღამე. ცოტა ხომ უნდა დაისვენო?

ასიჰარასიკოომ გაიღიმა და მადლობის ნიშნად თავი დაუკრა, მაგრამ აშკარად შეეტყო, რომ მასპინძლის სიტყვებმა შეაცბუნა.

- ჰოდა, მოემზადე დასაძინებლად. სუსერი-ჰიმე! - მიუბრუნდა ახლა ქალიშვილს და უკმეხად უთხრა: - სტუმარს საფუტკრის გზა უჩვენე. სუსერი-ჰიმე გაფითრდა.

- იქნებ ცოტა ააჩქარო ფეხი! - დათვივით დაუღრიალა მამამ, როცა შენიშნა, რომ ქალიშვილი ყოყმანობდა. - მივდივარ! აქეთ მობრძანდით!

ასიჰარასიკოომ კვლავ მოწიწებით დაუკრა თავი სუსანოოს და ხალისიანად გაჰყვა სუსერი-ჰიმეს.

4

როცა დარბაზიდან გავიდნენ, სუსერი-ჰიმემ მხრებიდან თავსაფარი მოიხსნა, ასიჰარასიკოოს მისცა და ჩასჩურჩულა:

- საფუტკრეში რომ შეხვალთ, სამჯერ დაიქნიეთ ეს თავსაფარი და ფუტკრები აღარ დაგნესტრავენ.

ასიჰარასიკოო ვერ მიუხვდა ნათქვამს, მაგრამ კითხვის დრო აღარ იყო, რადგან სუსერი-ჰიმემ უკვე გააღო საფუტკრის პატარა კარი და სტუმარს შიგ შეუძღვა.

საფუტკრეში კუნაპეტი სიბნელე იდგა. ასიჰარასიკოო ხელის ცეცებით ეცადა მოეძებნა სუსერი-ჰიმე. თითები ქალიშვილის თმას შეეხო. იმავე წამს სწრაფად მოჯახუნდა კარი - სუსერი-ჰიმე საფუტკრიდან გავიდა.

ასიჰარასიკოო დაბნეული იდგა და ხელში თავსაფარი ეჭირა. ცოტა ხნის შემდეგ თვალი შეაჩვია სიბნელეს და ჭერიდან ჩამოშვებული ვეება კასრისოდენა ფიჭები გაარჩია. ფიჭებზე უზარმაზარი ფუტკრები დაღოღავდნენ - მისი ხმლის სიგრძეს აღემატებოდნენ სიდიდით.

ასიჰარასიკოო უნებლიეთ უკუიქცა და კარს მივარდა. რამდენი ეცადა, მაგრამ ვერაფრით გააღო. ამ წვალებაში რომ იყო, ერთი ფუტკარი ფიჭიდან ჩამოფრინდა და მისკენ წამოვიდა ბზუილით. ასიჰარასიკოომ დააპირა გაეჭყლიტა, მაგრამ ფუტკარი

აფრინდა და შეუტია. სხვა ფუტკრებმაც შენიშნეს იგი და ყოველი მხრიდან დაესიენ ბზუილით...

სუსერი-ჰიმე დარბაზში დაბრუნდა და კედელზე დამაგრებული კვარი აანთო. კაშკაშა ალზე ისლით ნაქსოვ ტატამზე წამოწოლილი სუსანოო გამოჩნდა.

- ნამდვილად საფუტკრეში შეიყვანე? - კვლავ მწყრალად ჰკითხა სუსერი-ჰუმეს და ეჭვიანად მიაჩერდა თვალებში.

- ჯერ არასოდეს გადავსულვარ თქვენს ბრძანებას მამავ ბატონო, - მიუგო ქალიშვილმა და მამის მზერას რომ გაქცეოდა, ბნელ კუთხეში მიჯდა.

- მართალია. იმედია მომავალშიც ასე დამიჯერებ, - უთხრა სუსანოომ და დამცინავად ჩაიღიმა. სუსერი-ჰიმემ პასუხის ნაცვლად თავის ყელსაბამს დაუწყო თვალიერება. - პასუხს არ იძლევი? იქნებ ურჩობას აპირებ?

- არა, მაგრამ ასე რატომ მელაპარაკები, მამიკო...

- თუ კვლავ ძველებურ ჭკუაზე ხარ, კარგად დაიმახსოვრე ჩემი სიტყვები: იცოდე, არაფრით არ მიგათხოვებ იმ ახალგაზრდას. სუსანოოს ქალიშვილი მარტო იმას გაჰყვება ცოლად, ვინც სუსანოოს ნდობას დაიმსახურებს. გასაგებია? კარგად დაიხსომე!

გვიან ღამით, როცა სუსანოო ხმამაღლა ხვრინავდა, მიუსაფარი და სევდიანი სუსერიჰიმე კვლავ სარკმელთან იჯდა და უმზერდა, როგორ ეშვებოდა ზღვაში მოწითალო მთვარე.

მეორე დილას სუსანოო, ჩვეულებისამებრ, ზღვის კლდოვან სანაპიროსაკენ გაემართა საბანაოდ და ძალიან გაუკვირდა, როცა შენიშნა, რომ უკან ასიჰარასიკოო მოჰყვებოდა. ასიჰარასიკოომ მხიარულად შეანათა თვალები სუსანოოს და დილა მშვიდობისა უსურვა.

- რაო, კარგად გეძინა? - ჰკითხა სუსანოომ და გამომცდელად შეათვალიერა ჭაბუკი, ნეტა რატომ

არ დანესტრეს ფუტკრებმა ეს მხიარული ახალგაზრდაო! - ფიქრობდა გაოცებული. არადა, სულ სხვაგვარად ჰქონდა გაანგარიშებული.

- გმადლობთ, თქვენი წყალობით, შესანიშნავად გამოვიძინე, - ზრდილობიანად მიუგო ასიგარასიკოომ, შემდეგ დაიხარა, ვეება ლოდი აიღო და ზღვაში გადაისროლა. ლოდმა უზარმაზარი რკალი მოხაზა, ვარდისფერ ღრუბლებში გაუჩინარდა და მერე შორს, შორს ჩავარდა ზღვაში. ამ სიშორეზე თვითონ სუსანოოსაც გაუჭირდებოდა ტყორცნა. იგი კუშტად მისჩერებოდა გაფრენილ ლოდს და სიმწრით იკვნეტდა ტუჩებს.

ისინი სასახლეში დაბრუნდნენ და საუზმედ დასხდნენ. სუსანოომ უხმოდ გამოხრა ირმის ბარკალი, მერე თვალი თვალში გაუყარა ასიჰარასიკოოს და უთხრა:

- თუ აქაურობა მოგწონს, შეგიძლია, კიდევ რამდენიმე დღეს დარჩე.

სუსერი-ჰიმემ ჩუმად ანიშნა ასიჰარასიკოოს, უარი თქვიო, მაგრამ ასიჰარასიკოო თევზის ჭამით იყო გართული, და არც გაუგია ქალიშვილის რჩევა. მან დიდი მადლობა გადაუხადა მასპინძელს და უთხრა, სიამოვნებით დავრჩები კუნძულზე კიდევ ორ-სამ დღესო.

საბედნიეროდ, საუზმის მერე სუსანოომ ჩათვლიმა. ახალგაზრდებმა დრო იხელთეს, ფეხაკრეფით გავიდნენ სასახლიდან, მონახეს მყუდრო ალაგი ზღვის პირას, კლდის ნაპრალში, სადაც ასიჰარასიკოოს ნავი ება და ნეტარებას მიეცნენ. სურნელოვან წყალმცენარეებზე მისვენებული სუსერი-ჰიმე ერთხანს მონუსხულივით უმზერდა ასიჰარასიკოოს, შემდეგ დაუსხლტა მის მკლავებს, წამოჯდა და აღელვებით უთხრა: - შენი აქ დარჩენა აღარ შეიძლება. ჩემზე ნუ იდარდებ, ახლავე გაეცალე აქაურობას. ასიჰარასიკოომ კი ბავშვივით გაიღიმა, ჯიუტად გააქნია თავი და უთხრა:
- სანამ შენ აქა ხარ, არსად არ წავალ, სიკვდილიც რომ მემუქრებოდეს, მაინც.

- კი მაგრამ, ხიფათს რომ გადაეყაროთ...

- არ გინდა ერთად გავიქცეთ? სუსერი-ჰიმემ ვერ გაბედა თანხმობის მიცემა.

- მაშინ მეც არ მოვიცვლი აქედან ფეხს, - უთხრა ასიჰარასიკოო და დააპირა კვლავ გულში ჩაეკრა ქალი, მაგრამ სუსერი-ჰიმე გაუსხლტა და წამოხტა.

- მამა მეძახის, - თქვა შეშფოთებულმა და შველივით გაიქცა სასახლისაკენ.

ასიჰარასიკოო ღიმილით უმზერდა სატრფოს, სანამ თვალს არ მიეფარა. შემდეგ დაბლა დაიხედა და იქ, სადაც სუსერი-ჰიმე იწვა, ისეთივე თავსაფარი დაინახა, წუხელ რომ იხსნა ფუტკრებისაგან.

6

საღამოს სუსანოომ თვითონ მიაცილა ასიჰარასიკოო საფუტკრის პირდაპირ მდგარ შენობასთან, სადაც სტუმარს უნდა დაეძინა.

აქაც ისე ბნელოდა, როგორც საფუტკრეში, განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ აურაცხელი მანათობელი წერტილი კიაფობდა ირგვლივ, იტყოდი, მიწიდან ძვირფასი ქვები ამოციმციმებენო.

ასიჰარასიკოო დააეჭვა ამ მოკიაფე წერტილებმა. გაუნძრევლად იდგა, ხოლო როცა თვალი

შეაჩვია სიბნელეს, ეს ვარსკვლავებივით მოკიაფე წერტილები უზარმაზარი გველების თვალები აღმოჩნდა. იმოდენანი იყვნენ, შეეძლოთ ცხენი გადაეყლაპათ. თანაც ვერ დათვლიდი. ყველგან ფუთფუთებდნენ, ზოგი სახურავის კოჭებს შემოხვეოდა, ზოგი ბოძს, ზოგი კი დაგორგლილი მიწოლილიყო კუთხეში.

ასიჰარასიკოომ ხმალზე გაისვა ხელი, მაგრამ აღარ ამოუღია. იფიქრა, ერთი რომ მოვკლა, მეორე მაშინვე დამახრჩობსო. ერთი გველი უკვე ამართულიყო კუდზე და თვალებში შესცქეროდა, მეორე, უფრო დიდი, ჭერიდან ჩამოსრიალებულიყო და მისკენ მიიკლაკნებოდა. კარი, რაღა თქმა უნდა, ჩაერაზათ. გარეთ ალბათ თმაგათეთრებული, ბოროტად მოღიმარი, სუსანოო დგას, აყურადებს, რა ხდება

ჩაკეტილ კარს შიგნით. ასიჰარასიკოო ერთ ადგილას გახევებულიყო, მაგრად ჩაებღუჯა ხმლის ვადა და გველებს მიშტერებოდა. ამასობაში მის ფეხებთან დაგრაგნილი ვეება გველი სულ უფრო და უფრო წამოყელყელავდა, აშკარად ყელში წვდომა დაუპირა. უცებ ასიჰარასიკოოს გონება გაუნათდა: გუშინ, ფუტკრების ჯარი რომ დაესია, თავსაფარი დაუქნია სამჯერ და გადარჩა; იქნებ ეს თავსაფარიც, სუსერიჰიმეს რომ დარჩა ზღვის ნაპირას, სასწაულმოქმედია? ასიჰარასიკოომ თავსაფარი გაშალა და სამჯერ დაიქნია...

მეორე დილას სუსანოოს კვლავ შეხვდა ასიჰარასიკოო ზღვის კლდოვან სანაპიროზე. ახალგაზრდა გუშინდელზე უფრო მხიარული ჩანდა.

- როგორ გეძინა წუხელ? - ჰკითხა სუსანოომ.

- მადლობელი ვარ. თქვენი წყალობით ძალიან კარგად გამოვიძინე.

გაცეცხლებულმა სუსანოომ ბოროტი მზერა ესროლა ასიჰარასიკოოს, მერე მოთოკა თავი და გულწრფელად უთხრა:

- კეთილი და პატიოსანი. მოდი, ახლა ერთად ვიცურაოთ.

ტანთ გაიხადეს და აღელვებულ ზღვაში გადაეშვნენ. სუსანოოს, ჯერ კიდევ ტაკამაგაჰარას ქვეყანაში ყოფნის დროს, ბადალი არა ჰყავდა ცურვაში. ასიჰარასიკოოც დელფინივით ცურავდა. ზღვის ზედაპირზე მოჩანდა ორი თავი - თეთრი და შავი, ორივე „მიძურას“[135] ყაიდაზე დავარცხნილი. მოცურავეები სწრაფად შორდებოდნენ ფრიალო ნაპირს.

7

ყალყზე შემდგარ ზღვას თოვლივით თეთრი ქაფი მოედო თავზე და შხეფების კორიანტელს ატრიალებდა. სუსანოო დროდადრო ქიშპით გადახედავდა ხოლმე ასიჰარასიკოოს, მაგრამ ჭაბუკი არაფრად აგდებდა მტრად ამართულ ტალღებს და დაუბრკოლებლივ მიიწევდა წინ.

ნანკინელი ქრისტე

1

შემოდგომის ღამე იყო ნანკინში, ძივან ძეს ქუჩაზე მდებარე სახლში, ძველ მაგიდაზე იდაყვდაყრდნობილი, მოწყენით იჯდა ფერმკრთალი ჩინელი გოგონა და გალაქულ ლანგარზე დაყრილ საზამთროს მარცვლებს აკნატუნებდა. ბჟუტავდა მაგიდაზე მდგარი ლამპა. მისი შუქი იმდენად სიბნელეს არ ფანტავდა, რამდენადაც უფრო ამძაფრებდა ოთახის მოწყენილობას. კუთხეში, შპალერჩამოხეულ კედელთან, ლერწმის საწოლს ზემოთ მტვრიანი მიჩიგანი ეკიდა. საწოლზე დაუდევრად გადაეფარებინათ შალის საბანი. მაგიდის მეორე მხარეს იდგა თითქოსდა ყველასაგან მივიწყებული ძველი სკამი. ამ ნივთებს გარდა, დაკვირვებული თვალიც კი ვერ შეამჩნევდა სხვა რამეს, ოთახის მორთულობისათვის გამოსადეგს.

დროდადრო გოგონა წყვეტდა მარცვლების კნატუნს და ნათელი თვალებით მიშტერებოდა მოპირდაპირე კედელს. იქ პირდაპირ მის წინ, კაუჭზე, მოკრძალებით ეკიდა ბრინჯაოს ჯვარცმა, რომელზეც ბუნდოვანი ჩრდილებით იხატებოდა ნახევრადწაშლილი სადა ბარელიეფი, ფართოდ ხელებგაშლილი ჯვარცმული ქრისტეს გამომსახველი. ყოველთვის, როცა კი გოგონა მას შეხედავდა, გრძელ წამწამებზე მყისვე უქრებოდა დარდის აჩრდილი, და თვალებში

გულუბრყვილო იმედის სხივი უკიაფებდა. მაგრამ გოგონა მაშინვე მიმოიხედავდა, ღრმად ამოიოხრებდა, ძლივს შეარხევდა შავი აბრეშუმის კოფთით დაფარულ მხრებს და ისევ კნატუნს განაგრძობდა.

გოგონას სუნ ძინხუა ერქვა. ის თხუთმეტი წლის მეძავი იყო და იმისათვის, რომ როგორმე თავი ერჩინა, ამ ოთახში თითქმის ყოველ საღამოს იღებდა სტუმრებს. ცინვეის მრავალრიცხოვან მეძავთა შორის მისნაირი გარეგნობის საკმაოდ ბევრი იყო, მაგრამ საეჭვოა, მისგვარი სათუთი ხასიათისა სხვა ვინმე გენახათ. ძინხუა, სხვა მეძავებისაგან განსხვავებით, არ იყო მატყუარა და ხუშტურიანი; ის მხიარული ღიმილით ართობდა სტუმრებს, რომლებიც ყოველ საღამოს ეწვევოდნენ ხოლმე მის პირქუშ ოთახს. და თუ ხანდახან დაკანონებულზე მეტს უხდიდნენ, უხაროდა, რომ ამ ფულით შეეძლო ერთი ზედმეტი ჭიქა საკეთი[136] გამასპინძლებოდა მამას, ერთადერთ მახლობელ ადამიანს.

ძინხუას ასეთი ქცევა, ცხადია, მისი ხასიათით აიხსნებოდა, მაგრამ იყო ერთი მიზეზიც, სახელდობრ: ის დედას ბავშობიდანვე კათოლიკურ რწმენაზე აღეზარდა. ამას ადასტურებდა კედელზე ჩამოკიდებული ჯვარცმა.

სიტყვამ მოიტანა და, ერთხელ ძინხუასთან ცნობისმოყვარეობის გამო ღამე გაატარა

ახალგაზრდა იაპონელმა ტურისტმა, რომელიც იმ ზაფხულს ჩამოსულიყო შანხაის დოღის სანახავად და სამხრეთ ჩინეთის ხედებით დასატკბობად. კბილებში სიგარაგაჩრილი, ევროპულ კოსტუმში გამოწყობილი, უდარდელად ეხვეოდა მის მუხლებზე მჯდარ ძინხაუს პატარა სხეულს, როცა შემთხვევით შეამჩნია კედელზე ჩამოკიდებული ჯვარცმა და ძინხუას დაეჭვებულმა ჰკითხა დამტვრეული ჩინურით:

- შენ რა, ქრისტიანი ხარ?

- დიახ, სუთი წლისა მომნათლეს.

- და ასეთ საქმიანობას კი ეწევი?

შეკითხვისას ხმაში დაცინვა გაერია. მაგრამ ძინხუამ მის ხელებში ჩარგო თავი, მოლურჯო-შავი თმით დამშვენებული, გაუღიმა თავისი ნათელი ღიმილით, რომელიც მის პატარა, სწორ კბილებს აჩენდა, და უთხრა:

- მე რომ ამ ხელობას არ მოვკიდებოდი, მაშინ მამაც და მეც შიმშილისაგან დავიხოცებოდით.

- მამაშენი მოხუცია?

- დიახ... ძლივსღა დგას ფეხზე.

- მაგრამ... თუკი მაგ ხელობას გააგრძელებ, შენ ხომ ვეღარ მოხვდები ზეცაში. არ ფიქრობ ამაზე? ძიხუამ თვალი შეავლო ჯვარცმას და ფიქრიანად თქვა:

- ვფიქრობ, რომ უფალი ქრისტე იქ, ცაში თვითონ ხვდება ჩემს გულისნადებს, ასე რომ არ იყოს, უფალ ქრისტესა და იაძაიკოს პოლიციელს შორის რაღა განსხვავება იქნება.

ახალგაზრდა იაპონელმა ტურისტმა გაიღიმა, მოჩხრიკა პიჯაკის ჯიბეები, ამოიღო ორი ცალი ნეფრიტის საყურე და ძინხუას ყურებზე გაუკეთა.

- ეს საყურეები საჩუქრად უნდა წამეღო იაპონიაში, მაგრამ შენ გაჩუქებ ამ ღამის სამახსოვროდ.

და მართლაც, იმ ღამის შემდეგ, როცა მან პირველი სტუმარი მიიღო, ძინხუას ყოველთვის ამშვიდებდა თავისი რწმენა.

მაგრამ ერთი თვის შემდეგ ეს მორწმუნე მეძავი, საუბედუროდ, დასნეულდა. მას აღმოაჩნდა ავთვისებიანი სიფილისის წყლულები. ეს რომ მისმა ამხანაგმა, ჩენ შანჩამ გაიგო, ოპიუმიანი

არყის სმა ურჩია, არწმუნებდა, რომ გაუყუჩებდა ტკივილს. შემდეგ მეორე ამხანაგმა, მაო ინჩუნმა გულკეთილად მოუტანა „გუნლავანის“ და „ძიალუმის“ აბების ნარჩენები, რომლებითაც თვითონ ემკურნალა. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ძინხუა ჩაკეტილში იჯდა და არ იღებდა სტუმრებს, მისი ჯანმრთელობა რატომღაც სრულებითაც არ გაუმჯობესებულა.

და აი ერთხელ, მოსანახულებლად მოსულმა ჩენ შანჩამ დამაჯერებლად ურჩია მკურნალობის ერთი წესი, რომელსაც აშკარად ცრუმორწმუნეობის სუნი ასდიოდა:

- რახან ავადმყოფობა სტუმრისაგან შეგეყარა, შენც სასწრაფოდ გადასდე ვინმეს, და ორ-სამ დღეში გამოჯანმრთელდები.

ძინხუა იჯდა მაგიდაზე იდაყვდაყრდნობილი, დათრგუნვილი, გამომეტყველება არ შეცვლია. მაგრამ, ეტყობა, შანჩას სიტყვებმა რამდენადმე გაუღვიძა ცნობისმოყვაროება და მოკლედ იკითხა:

- მართლა?

- მაშ რა, გატყუებ? ჩემმა დამაც ვერაფრით ვერ მოირჩინა თავი, მაგრამ როგორც კი გადასდო

სტუმარს, მაშინვე გამოჯანმრთელდა. საწყალი სტუმარი, როგორც ამბობენ, დაბრმავებულა კიდევაც.

როცა შანჩა წავიდა, მარტო დარჩენილმა ძინხუამ ჯვარცმის წინ დაიჩოქა, მიაპყრო თვალი ჯვარზე გაკრულ ქრისტეს და მხურვალე ვედრება დაიწყო:

- იესო მაცხოვარო, უზენაესო! მამა რომ ვარჩინო, ბინძურ ხელობას ვეწევი, მაგრამ ჩემი ხელობა გამანადგურებს მხოლოდ მე, სხვას კი არას ვავნებ. ამიტომ ვფიქრობ, რომ თუკი მოვკვდები თუნდაც ასეთივე, როგორიც ვარ, სულ ერთია, მაინც ზეცაში მოვხვდები. მაგრამ ახლა მხოლოდ მაშინ შემიძლია განვაგრძო ჩემი საქმიანობა, თუკი ამ სენს სტუმარს გადავდებ. დაე მოვკვდე შიმშილით! მაშინ ჩემი ავადმყოფობა ჩემთან ერთად გაქრება. არავის გავუზიარებ ლოგინს ამიერიდან. სხვაგვარად, იძულებული გავხდებოდი, საკუთარი ბედნიერების გულისათვის გამეუბედურებინა ადამიანი, რომელსაც ჩემთვის არაფერი დაუშავებია. მაგრამ მე მაინც ქალი ვარ და შეიძლება წამიერად ავყვე ცდუნებას. იესო მაცხოვარო, უზენაესო! გევედრები, დამიფარე! შენს გარდა აღარავისგან ველი შველას.

ამის შემდეგ ძინხუა, მიუხედავად შანჩას და ინჩუნის მცდელობისა, ხელი აეღებინათ გადაწყვეტილებაზე, მაინც აღარ იღებდა სტუმრებს და თუ ხანდახან შემოივლიდნენ მისი

მუდმივი კლიენტები, ის ნებას აძლევდა მხოლოდ მეგობრულად ემუსაიფათ მასთან, ხოლო მათ სურვილს არასოდეს აკმაყოფილებდა.

- საშინელი ავადმყოფობა მჭირს. თუ ჩემთან დაწვებით, თქვენც გადაგედებათ, - ამბობდა ძინხუა და არც ერიდებოდა, ეჩვენებინა თავისი სნეულების დამადასტურებელი ნიშნები, როცა მთვრალი კლიენტი ცდილობდა ძალით დაუფლებოდა მას... ამიტომ სტუმრებმა თანდათანობით შეწყვიტეს მასთან სიარული და მისი ცხოვრება დღითიდღე ძნელდებოდა.

ამ საღამოს ძინხუა დიდხანს იჯდა მაგიდაზე დაყრდნობილი, არაფერს აკეთებდა და დაფიქრებული მიშტერებოდა სივრცეს. სტუმარი ისევ არ ჩანდა. ნელა ახლოვდებოდა შუაღამე. ყველაფერი სიჩუმეს მოეცვა. ძინხუას სმენამდე მხოლოდ ჭრიჭინობელის ჭრიჭინი აღწევდა საიდანღაც. გაუთბობელ ოთახში ქვის იატაკიდან სიცივე ამოდიოდა, წყალივით ჟონავდა მის ნაცრისფერ აბრეშუმის ფეხსაცმელებში და კოხტა ფეხებს უთოშავდა.

ძინხუა ერთხანს კიდევ დაფიქრებული უყურებდა ლამპის უღიმღამო შუქს, შემდეგ შეაჟრჟოლა, მოისრისა ყური, რომელზედაც ნეფრიტის საყურე ეკიდა და მთქნარება შეიკავა. თითქმის იმავე წამს შეღებილი კარები მკვეთრი ბიძგით გაიღო და ოთახში უცნობი უცხოელი შემოიჭრა. ალბათ იმის გამო, რომ კარები ბოლომდე გაიღო, ლამპა აალდა და ოთახი უცნაური წითელი მბოლავი

შუქით განათდა. თავიდან ფეხებამდე ამ შუქით განათებული სტუმარი ბორძიკით ჩამოეყრდნო მაგიდას, მაგრამ იმწამსვე გასწორდა, უკან დაიხია და მძიმედ მიეყუდა კარებს, რომელიც ის-ის იყო დაიხურა.

ძინხუა ანგარიშმიუცემლად წამოდგა და გაოცებული მიაჩერდა უცნობს. სტუმარი ოცდათხუთმეტი წლისა იქნებოდა. მზემოკიდებული, წვერიანი მამაკაცი იყო, დიდთვალება, ყავისფერზოლებიან პიჯაკსა და ასეთივე კეპით გამოწყობილი. ოღონდ საოცარი ის იყო, რომ მიუხედავად მისი აშკარად უცხოელობისა, მაინც თმაჩამოყრილი და კბილებში ჩამქრალ ჩიბუხგაჩრილი შემოსასვლელში რომ იდგა და მთელი ტანით ფარავდა კარს, შეიძლებოდა უგონო მთვრალად ჩაგეთვალათ, რომელმაც შეცდომით შემოაბოტა აქ.

- რა გნებავთ? - თითქმის საყვედურით ჰკითხა ცოტა არ იყოს შეშინებულმა ძინხუამ, ისე, რომ მაგიდას არ მოშორებია. სტუმარმა თავი გააქნია იმის ნიშნად, რომ ჩინური არ ესმოდა. შემდეგ პირიდან ჩიბუხი გამოიღო და უცხო ენაზე წარმოთქვა რაღაც გაუგებარი სიტყვა. ამჯერად ძინხუას დასჭირდა თავის გაქნევა, რის გამოც მისმა ნეფრიტის საყურეებმა ლამპის სინათლეზე გაიციალეს.

რომ დაინახა, თუ როგორ დაბნეულად შეჭმუხნა ძინხუამ თავისი ლამაზი წარბები, სტუმარმა

უცებ ხმამაღლა გადაიხარხარა, შინაურულად დააგდო კეპი და ბორძიკით გასწია ქალისაკენ, შემდეგ კი ძალაგამოცლილი დაეშვა მაგიდის მოპირდაპირე მხარეს მდგარ სკამზე. უცებ ძინხუას მოეჩვენა, რომ ეს კაცი რაღაცით ახლობელი იყო, თითქოს ოდესღაც უკვე ენახა, თუმცა ვერაფრით გაეხსენებინა, სად და როდის. სტუმარმა უცერემონიოდ მოხვეტა მუჭით ლანგარზე დაყრილი საზამთროს მარცვლები, მაგრამ ჭამა არ დაუწყია, მხოლოდ დაჟინებით მიაცქერდა ძინხუას და კვლავ ხელების უცნაური ქნევით დაიწყო ლაპარაკი უცხო ენაზე. ძინხუამ ვერ გაიგო ნათქვამის აზრი, მაგრამ ბუნდოვნად მიხვდა, რომ სტუმარმა იცოდა მისი საქმიანობის შესახებ.

გრძელი ღამეების გატარება უცხოელებთან, რომელთაც არ ესმოდათ ჩინური, ძინხუასათვის უჩვეულო არ იყო. ამიტომ კვლავ დაჯდა და ალერსიანი ღიმილით, უკვე ჩვევად რომ გადაქცეოდა, დაიწყო საუბარი, შიგადაშიგ უცხოელისათვის სრულიად გაუგებარ ხუმრობებს ურევდა. მიუხედავად ამისა, სტუმარი ყოველი მეორე სიტყვის შემდეგ ისე გემრიელად ხარხარებდა, თითქოს ყველაფერი გაეგებოდა, თან უფრო და უფრო აქნევდა ხელს.

სტუმარს არყის სუნი ასდიოდა, მაგრამ მის მთვრალ, აჟინჟღილებულ სახეზე იმდენი ვაჟკაცური სიცოცხლის ძალა იყო დაფრქვეული, გეგონებოდათ, ამ პირქუშ ოთახს სინათლეს ჰფენსო. ყოველ შემთხვევაში, ძინხუას თვალში ის იყო ყველა უცხოელზე მშვენიერი, ვინც კი აქამდე

ენახა, რომ აღარაფერი ვთქვათ მის ნანკინელ თანამემამულეებზე. მით უფრო ვერაფრით ვერ შეძლო მოეცილებინა ის აზრი, რომ ეს კაცი სადღაც ჰყავდა ნანახი. უყურებდა მის შუბლზე ჩამოშლილ ხუჭუჭა თმას, მხიარულად უცინოდა და ყოველნაირად ცდილობდა მოეგონებინა, სად ენახა ეს სახე.

„ის ხომ არ არის, თავის სქელ ცოლთან ერთად რომ მოგზაურობდა კარჭაპით? არა, არა, ის გაცილებით წითური იყო. იქნებ ის ფოტოგრაფია, კუნ-ძის მავზოლეუმს სურათს რომ უღებდა ცინვეიში? მარამ ის, მგონი, უფრო ხნიერი იყო. ჰო, ჰო! ერთხელ როგორღაც დავინახე, როგორ ირეოდა ხალხი ლიტაციაოს ხიდთან მდებარე რესტორნის წინ და ვიღაც მამაკაცი, ზუსტად ასეთი იერის, როგორ ურტყამდა მსხვილ ჯოხს ზურგზე რიქშას. ალბათ ისაა... თუმცა იმას, მგონი, თვალები უფრო ცისფერი ჰქონდა.

სანამ ძინხუა ამაზე ფიქრობდა, უცხოელმა წადიერად დატენა ჩიბუხი, მოსწია და სურნელოვანი კვამლი გამოაფუტა. შემდეგ კვლავ რაღაც თქვა, გაიცინა, ამჯერად წყნარად, ორი თითი ასწია, ძინხუას თვალებთან მიუტანა, რითაც აუხსნა, რომ ორი თითი ორ დოლარს ნიშნავდა. ეს, რა თქმა უნდა, ყველამ იცოდა, მაგრამ რადგან ძინხუა უკვე აღარ იღებდა სტუმრებს, ამიტომ მშვიდად განაგრძო მარცვლების კნატუნი და უარის ნიშნად ღიმილით ორჯერ გააქნია თავი. მაშინ სტუმარი კადნიერად გადმოეყუდა მაგიდას, ლამპის სუსტ შუქზე სახე მიუახლოვა ძინხუას სახეს და დაჟინებით დააცქერდა, შემდეგ კი უსიტყვო მოლოდინით აჩვენა სამი თითი.

ძინხუამ, რომელსაც კნატუნი ჯერაც არ ჰქონდა შეწყვეტილი, უკან დასწია შეცბუნებული სახე. სტუმარს ალბათ ეგონა, რომ ქალი ორ დოლარად არ დანებდებოდა. ამავე დროს კი, რახან ჩინური არ იცოდა, ყოვლად შეუძლებელი იყო, მისთვის საქმის ვითარების ახსნა. ძინხუა მწარედ ნანობდა თავის ქარაფშუტობას, მან სტუმარს მოაშორა თვალები და ძალაუნებურად კიდევ ერთხელ გააქნია თავი.

მაგრამ უცხოელმა კვლავ გაიღიმა, მცირე ყოყმანის შემდეგ ოთხი თითი ასწია და კვლავ რაღაც დაილაპარაკა უცხო ენაზე. სრულიად დაბნეულმა ძინხუამ უკვე გაღიმებაც ვერ შეძლო, მაგრამ ამ წუთს გადაწყვიტა, რომ რახან საქმე ასე შეტრიალდა, მანამდე ექნია უარის ნიშნად თავი, სანამ სტუმარს არ მოსწყინდებოდა. ამ დროს კი, თითქოს რაღაც უხილავის ჩაჭერა სურსო, სტუმარმა ხუთივე თითი გაშალა.

შემდეგ ისინი კარგა ხანს საუბრობდნენ მიმიკისა და ჟესტების დახმარებით. სტუმარი დაჟინებით უმატებდა თითო-თითო თითს. ბოლოს და ბოლოს ყველა თითი გაშალა, მაგრამ ათმა დოლარმაც კი, მეძავისათვის ესოდენ დიდმა თანხამ, ვერ შეარყია ძინხუას გადაწყვეტილება. ადრევე ზეზე წამომდგარი, გვერდულად იდგა მაგიდასთან და როცა სტუმარმა ათივე თითი აჩვენა, მან გულმოსულად დააბაკუნა ფეხები და რამდენჯერმე ზედიზედ გააქნია თავი. იმავე წამს კედელზე ჩამოკიდებული ჯვარცმა რატომღაც კაუჭს მოწყდა და მსუბუქი ჟღარუნით დაეცა ქალის ფეხებთან, ქვის იატაკზე.

ძინხუა სწრაფად დაიხარა და ჯვარცმა სათუთად აიღო. ამ დროს შემთხვევით შეხედა ჯვარცმული ქრისტეს სახე და, ჰოი, საოცრებავ! ეს სახე აღმოჩნდა ცოცხალი გამოსახულება უცხოელისა, იქვე რომ იჯდა მაგიდასთან.

„აი, თურმე, რატომ მეცნაურებოდა მისი სახე! ეს ხომ უფალი ქრისტეს სახეა!“

ძინხუამ სასოებით მიიხუტა ჯვარცმა შავი აბრეშუმის კოფთით დაფარულ მკერდზე და განცვიფრებული მიაჩერდა მის წინ მჯდარ სტუმარს. სტუმარი, რომლის შეზარხოშებულ სახეს ძველებურად ანათებდა ლამპა, დროდადრო არტყამდა ნაფაზს

და მრავალმნიშვნელოვნად იღიმებოდა. მისი თვალები სრიალებდნენ ქალის სხეულზე, მის თეთრ ყელზე, ყურებზე, რომლებზეც ნეფრიტის საყურეები უციალებდა. მაგრამ ძინხუას ეგონა, რომ ამ სახითაც კი მისი სტუმარი აღსავსე იყო რაღაც თბილი დიდებულებით.

სტუმარმა ცოტა შეიცადა, მერე პირიდან ჩიბუხი გამოიღო, მრავალმნიშვნელოვნად დაუქნია თავი ძინხუას და მხიარული ხმით რაღაც თქვა. ამ სიტყვებმა დახელოვნებულიჰიპნოზიორის ჩურჩულივით იმოქმედა ძინხუაზე. ხომ არ დაივიწყა მან თავისი დიდსულოვანი გადაწყვეტილება? მოცინარი თვალები დახარა და ბრინჯაოს ჯვარცმით ხელში დარცხვენილი მიუახლოვდა საიდუმლოებით მოცულ უცხოელს.

სტუმარმა მოიქექა შარვლის ჯიბე და ვერცხლის ფული მოაგროვა, მერე კი ძველებურად მოცინარე თვალები მიაპყრო ძინხუას და ერთხანს მისი ცქერით ტკბებოდა. მაგრამ უცებ ღიმილი მხურვალე ბრწყინვით შეეცვალა, იგი წამოხტა სკამიდან, მოეხვია ძინხუას და მაგრად მიიხუტა არყის სუნით გაჟღენთილ პიჯაკზე. ლამის გრძნობადაკარგულ ძინხუას ნეფრიტის საყურეებით დამშვენებული თავი უკან გადაეგდო, ფერმკრთალი ლოყები ალეწოდა და მოჯადოებული უყურებდა თითქმის თვალებთან მობჯენილ მის სახეს. რა თქმა უნდა, უკვე აღარ ჰქონდა იმის ფიქრის თავი, დანებებოდა ამ უცნაურ უცხოელს, თუ აერიდებინა მისი კოცნა, მისივე კეთილდღეობისათვის. ძინხუამ ტუჩები დაახვედრა წვეროსანს და იგრძნო, მხურვალე სიამით ევსებოდა გული, პირველად განცდილი სიყვარულის სიამით.

2

რამდენიმე საათის შემდეგ, უკვე ჩაბნელებულ ოთახში, ძლივსგასაგონი ჭრიჭინი ჭრიჭინობელისა შემოდგომის ნაღველით მოსავდა ორ მძინარე ადამიანის სუნთქვას, საწოლიდან რომ მოისმოდა. მაგრამ სიზმარი, რომელსაც ამ დროს ძინხუა ხედავდა, მაღლდებოდა მტვრიანი მიჩიგდანით დაფარული საწოლიდან და მიიწევდა სულ მაღლა და მაღლა, სახურავს ზემოთ, ვარსკვლავებით გაბრწყინებულ მთვარიან ღამეში.

ძინხუა იჯდა წითელი სანდლის ხის სკამზე და ჩხირებით შეექცეოდა მაგიდაზე დახვავებულ ნაირნაირ კერძებს. აქ იყო მერცხლის ბუდეები, ზვიგენის ფარფლები, მოშუშული კვერცხი, შებოლილი ჭანარი, შემწვარი ღორის ხორცი, ტრეპანგით მომზადებული უხა - ყველაფერს ვინ ჩამოთვლის. ოჰ, ჭურჭელი კი - მშვენიერი სინები და ჯამები - ათასფრად იყო მოხატული ცისფერი ლოტოსებითა და ოქროსფერი ფენიქსებით. ზურგს უკან, ფანჯარაზე, მარმაშის ფარდები ეკიდა. იქიდან კი, - ალბათ ახლოს მდინარე თუ ჩადიოდა, განუწყვეტლივ ისმოდა წყლის ჩქრიალი და ნიჩბების ჩქაფუნი. ძინხუას თავის ბავშვობისდროინდელ მშობლიურ ციეიში ეგონა თავი. მაგრამ, უეჭველია, ის ახლა ციურ ქალაქში იმყოფებოდა, ქრისტესთან.

დროდადრო ძინხუა მაგიდაზე აწყობდა ჩხირებს და გარშემო იხედებოდა, მაგრამ ფართო ოთახში ჩანდა მხოლოდ დრაკონის ფიგურებიანი ბოძები და ქოთნები უზარმაზარი ქრიზანთემებით, საჭმელების ოშხივარში გახვეული. მის გარდა კი არავინ იყო იქ სულიერი.

და მაინც, როგორც კი სინი ცარიელდებოდა, ძინხუას თვალწინ იგი მაშინვე ივსებოდა საიდანღაც გაჩენილი სურნელოვანი საჭმელებით. უცებ შემწვარმა ხოხობმა, რომელსაც ჯერ კიდევ არ მიჰკარებოდა, ფრთები ააფათქუნა, ღვინიანი დოქი გადააყირავა და ჭერისაკენ აფრინდა.

ამ დროს ძინხუამ იგრძნო, ვიღაც უხმაუროდ მოუახლოვდა ზურგიდან, ამიტომ სწრაფად მიხედა უკან, ისე, რომ ჩხირები ძირს არ დაუშვია. იქ, სადაც ძინხუას რატომღაც ფანჯარა ეგულებოდა, სანდალის ხის სკამზე იჯდა დიდებულებით მოსილი უცნობი უცხოელი, კბილებში გაჩრილი ბრინჯაოს გრძელი ჩიბუხიანი ატლასის საბურველმოსხმული.

ძინხუამ პირველიშეხედვისთანავე იცნო იგი. ეს ის უცნობი იყო, რომელიც წუხელ მოვიდა მასთან. ოღონდ ახლა მის თავს ზემოთ, ერთი სიაკუს მანძილზე, ჰაერში ეკიდა თხელი მანათობელი შარავანდი, რომელიც სამდღიან მთვარეს ჰგავდა.

უეცრად, ძინხუას წინ, თითქოს პირდაპირ მაგიდიდან გადმოეშვაო, დიდ სინზე გემრიელი, სურნელოვანი საჭმელი გაჩნდა. მან მაშინვე გაიწოდა ჩხირები, რათა აეღო ნუგბარი ნაჭერი, მაგრამ უცებ მოაგონდა ზურგს უკან მჯდომი უცხოელი, მიიხედა და მორცხვად უთხრა:

- ხომ არ დაჯდებოდით თქვენც აქ?

- არა, ჭამე მარტოკა. თუ შეჭამ ამას, მაშინ შენი ავადმყოფობა ამ ღამესვე გაქრება.

- შარავანდმოსილმა უცხოელმა, ისე, რომ ჩიბუხი არ გამოუღია, გაიღიმა უსაზღვრო სიყვარულის გამომხატველი ღიმილით.

- ესე იგი, თქვენ არ გინდათ მიირთვათ?

- მე? მე არ მიყვარს ჩინური კერძები. ნუთუ აქამდე ვერ მიცანი? იესო ქრისტეს ჯერ არასოდეს უჭამია ჩინური კერძები.

ნანკინელი ქრისტე წამოდგა სანდალის ხის სკამიდან, ზურგიდან მიუახლოვდა თავბრუდახვეულ ძინხუას და ნაზად აკოცა ლოყაზე.

როცა ძინხუა სამოთხის ძილიდან გამოერკვა, ვიწრო ოთახში უკვე შემოდგომის ცივი განთიადი შემოჭრილიყო. მაგრამ მტვრიანი მიჩიგდანით დაფარულ საწოლში, რომელიც ნავსა ჰგავდა, ჯერ ისევ თბილი ბინდბუნდი მეფობდა. ამ ბინდბუნდში ოდნავ ისახებოდა თვალგაუხელელი ძინხუას უკან გადაგდებული სახე, გახუნებულ, ძველ შალის საბანში ნიკაპამდე ჩამალული. ფერმკრთალ ლოყებზე, ალბათ ღამის ოფლისაგან, მიჰკრობოდა დაბურდული თმა. ოდნავ გახსნილ ბაგეებს შორის კი ბრინჯის მარცვლებივით თეთრად უელავდა წვრილი კბილები.

ძინხუამ თუმცა გაიღვიძა, მისი სული ჯერ კიდევ ნანახ სიზმარში დაბორიალობდა: ქრიზანთემების ყვავილები, წყლის ჩქრიალი, შემწვარი ხოხბები, იესო ქრისტე... მიჩიგანის ქვეშ კი თანდათან ნათდებოდა და მის ზმანებებში ნელ-ნელა იჭრებოდა ცხოვრების უხეში

სინამდვილის აშკარა შეგრძნება, შეგრძნება იმისა, რომ წუხელ ამ ლერწმის საწოლში იდუმალ უცხოელთან ერთად იწვა. „ვაითუ ავადმყოფობა გადაედო...“

ძინხუამ მოიშორა ჭუჭყიანი საბანი და წამოდგა. შემდეგ ორივე ხელით მოისრისა თვალები, ასწია მძიმედ ჩამოწოლილი მიჩიგანი და ჯერ კიდევ ნამძინარევი თვალებით მოათვალიერა ოთახი.

ოთახში, დილის ცივ ჰაერში, ყველა საგანი შეუწყნარებელი სიმკვეთრით იხატებოდა. ძველი მაგიდა, ჩამქრალი ლამპა, სკამები - ერთი იატაკზე ეგდო, მეორე კედლისკენ იყო მიბრუნებული, - ყველაფერი ისევე იყო, როგორც წინა საღამოს. მეტიც, მაგიდაზე მიმოფანტულ საზამთროს მარცვლებს შორის ისევ ისე მკრთალად ბზინავდა ბრინჯაოს პატარა ჯვარცმა. მკვეთრი სინათლისაგან თვალებმოჭრილი

ძინხუა კარგა ხანსიჯდა არეულ საწოლზე, გათოშილი იბუზებოდა, მაგრამ ადგილიდან არ იძროდა, ისე ათვალიერებდა ოთახს.

- არა, ეს არ იყო სიზმარი... - ჩურჩულებდა ძინხუა, თან უცხოელის უცნაურ გაქრობაზე ფიქრობდა. რა თქმა უნდა, შეეძლო ეფიქრა, რომ უცხოელი მისი ძილის დროს წავიდა, მაგრამ ვერ დაეჯერებინა, რომ ის, ვინც ასე ვნებიანად ეალერსებოდა, ერთი სიტყვითაც არ გამოეთხოვებოდა წასვლის ჟამს. უფრო სწორად, მისთვის აუტანელი იყო ამის დაჯერება. ამასთან, მას დაავიწყდა, ამ საიდუმლოებით მოცული უცხოელისათვის შეპირებული ათი დოლარი გამოერთმია.

„ნუთუ მართლა წავიდა?“

გულდამძიმებულმა საბანზე დაგდებული შავი აბრეშუმის კოფთის ჩაცმა დააპირა, მაგრამ უცებ გაწვდილი ხელი გაუშეშდა და სახე ვარდისფრად აელეწა. ხომ არ გაიგონა შეღებილ კარს უკან იდუმალი უცხოელის ფეხის ხმა? ან იქნებ არყის სუნით გაჟღენთილი ბალიშისა და საბნის სუნმა გააღვიძა მასში ამ ღამის ამაღელვებელი გრძნობები? არა, ძინხუამ იგრძნო, რომ სასწაულის ძალით, რომელიც მის სხეულში მომხდარიყო, ავთვისებიანი წყლულები ერთი ღამის განმავლობაში უკვალოდ გაქრობოდა.

„ესე იგი ის იყო ქრისტე!“

თავდავიწყებული, პერანგისამარა ძინხუა ლამის ჩამოვარდა საწოლიდან, მუხლებით დაეშვა ცივ იატაკზე და ვითარცა მშვენიერმა მარიამ მაგდალინელმა, მკვდრეთით აღმდგარ ღმერთთან მოსაუბრემ, მხურვალე ლოცვა აღავლინა.

3

ერთხელ, მომდევნო წლის გაზაფხულის საღამოს, ახალგაზრდა იაპონელი ტურისტი, რომელიც ოდესღაც უკვე სტუმრებოდა ძინხუას, კვლავ იჯდა მის წინ, მბჟუტავი შუქით განათებულ მაგიდასთან.

- ჯვარცმა ისევ გიკიდია? - შენიშნა მან საუბრისას ოდნავ დამცინავი ტონით. და მაშინ, იმწამსვე დადინჯებულმა ძინხუამ უამბო მას თავისი არაჩვეულებრივი თავგადასავალი, თუ როგორ განკურნა იგი ერთხელ ღამით ნანკიკში ჩამოსულმა ქრისტემ.

უსმენდა მის მონათხრობს ახალგაზრდა იაპონელი ტურისტი და თავისთვის ფიქრობდა:

„ვიცნობდი ამ უცხოელს. იაპონელ-ამერიკელი მეტისი იყო. მგონი ჯორჯ მერი ერქვა. ჩემს ნაცნობთან, რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტთან ტრაბახობდა, რომ ერთხელ ნანკინში

გაუტარებია ღამე ერთ ქრისტიან მეძავთან, და როცა მას ტკბილად ჩასძინებია, ჩუმად ათესილა. ამას წინათ რომ ნანკინში ვიყავი, ის სწორედ ჩემს სასტუმროში გაჩერდა, ასე რომ, მისი სახე აქამდე მახსოვს. ადგილობრივი ინგლისური გაზეთის კორესპონდენტად ასაღებდა თავს, მაგრამ სრულიად უღირსი და გაფუჭებული კაცი იყო. შემდეგ სიფილისისაგან ჭკუიდან შეიშალა... გამოდის, რომ ამ ქალისაგან დაავადებულა. ეს კი ამ უკეთურ მეტისს აქამდე ქრისტედ თვლის! გავუმხილო ეს ამბავი, თუ გავჩუმდე და სამუდამოდდავტოვო თავის სიზმარში, რომელიც ძველებურ დასავლურ ლეგენდებსა ჰგავს?..“

როცა ძინხუამ თავისი ამბავი დაასრულა, იაპონელმა ტურისტმა, თითქოს გონს მოეგოო, ასანთი გაკრა და სურნელოვან სიგარეტს მოუკიდა. შემდეგ საგანგებო ინტერესით იკითხა:

- მაშ ასე... საოცარია... და შენ არც ერთხელ არ გიავადმყოფია ამის შემდეგ?

- არა, არც ერთხელ, - უყოყმანოდ უპასუხა სახეგანათებულმა ძინხუამ, ისე, რომ არ შეუწყვეტია საზამთროს მარცვლების კნატუნი.

ივლისი***, 1920*****წ.***

თარგმნა ოთარ ავალიანმა

უცნაური შემთხვევა

ერთ საღამოს მე და ჩემი ძველი მეგობარი მურაკამი გინძაზე ვსეირნობდით.

სრულიად მოულოდნელად, მურაკამიმ საუბარში თავისი და ახსენა, ტიეკო, სასებოში რომ ცხოვრობდა.

- ამას წინათ ტიეკოს წერილი მივიღე. მოკითხვას გითვლის.

- ხომ კარგად არის ქალბატონი ტიეკო?

- კი. ამ ბოლო დროს მთლად გამოჯანმრთელდა. აი, ტოკიოში რომ ცხოვრობდა, მაშინ ვერ იყო კარგად, ძალიან ღალატობდა ნერვები. იმ ხანებში არ შეგხვედრია?

- როგორ არა, მაგრამ არაფერი შემიმჩნევია.

- როგორ ვერ შეატყვე? შეშლილსა ჰგავდა. ხან იცინოდა, ხან ტიროდა. ძალიან უცნაური ამბავი გადახდა თავს.

- უცნაური ამბავი?

- მოდი, კაფეში შევიდეთ და მოგიყვებით, მითხრა მურაკამიმ და მინის კარს უბიძგა. შევედით და მაგიდასთან ერთმანეთის პირისპირ დავსხედით. მაგიდა ფანჯარასთან იდგა, საიდანაც მთელი ქუჩა მოჩანდა.

- კი! რა შეემთხვა, შენთვის არ მომიყოლია? სასებოში მიამბო.

როგორც მოგეხსენებათ, ტიეკოს ქმარი ფლოტის ოფიცერი იყო. ომის დროს იმათი ჯავშნოსანი ხმელთაშუა ზღვაზე გაგზავნეს. ტიეკო ჩემთან გადმოვიდა საცხოვრებლად. ომი უკვე თავდებოდა, რომ ტიეკოს საშინლად აეწეწა ნერვები. მთავარი მიზეზი, რასაკვირველია, ის იყო, რომ ქმრისა არაფერი იცოდა. ადრე ყოველკვირა მოდიოდა წერილი, მერე მოულოდნელად შეწყდა და ქალი ლამის გადაირია. სულ ექვსი თვის დაქორწინებულები იყვნენ, როცა ჩემი სიძე ომში წაიყვანეს და ტიეკოსათვის ბარათის მიღება დღესასწაული იყო. შენ ხომ მიცნობ, როგორი მოურიდებელი და დამცინავი კაცი ვარ, მაგრამ ტიეკოს ისე ახარებდა ყოველი ბარათი, ენა არ მიტრიალდებოდა დასაცინად.

აი, სწორედ იმ ხანებში მოხდა ის უცნაური ამბავი. ერთხელ... კიგესენცუს დღესასწაული იყო...

მახსოვს, ცივი ამინდები დაიჭირა, იმ დღეს კი დილიდან კოკისპირულად წვიმდა. ჰოდა, იმ დღეს ტიეკომ გამოგვიცხადა, კამაკურაში უნდა გავემგზავრო, კარგა ხანია აღარ ვყოფილვარო. კამაკურაში ტიეკოს სკოლის ამხანაგი ცხოვრობდა, ვიღაც იქაურ საქმოსანზე იყო გათხოვილი და ტიეკო იმასთან მიდიოდა სტუმრად. რა დროს სტუმრობა იყო იმ წვიმაში?! მეც და ჩემმა ცოლმაც ბევრი ვუშალეთ, ვეხვეწეთ, მეორე დღისთვის გადაედო გამგზავრება, მაგრამ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, მაინცა და მაინც დღეს უნდა წავიდეო. ძალიან რომ მივაცივდით, გაბრაზდა, ფაციფუცით გაემზადა და წავიდა. ამაღამ თუ არ დავბრუნდი, არ შეგეშინდეთ, შეიძლება იქ გავათიო ღამეო, დაგვიბარა, მაგრამ მალე მთლად გალუმპული და გაფითრებული

უკანვე მობრუნდა. თურმე ცენტრალური სადგურიდან გამობრუნებულა და ტრამვაის გაჩერებამდე ისე მისულა, რომ ქოლგაარ გაუშლია. რატომ, რა მოხდა? რა და, აი, ის უცნაური ამბავი შეემთხვა.

როცა ტიეკო ცენტრალურ სადგურზე მივიდა... თუმცა მანამდეც მომხდარა ერთი რამ: ტრამვაიში რომ ასულა, დასაჯდომი ვერ უშოვია - თავისუფალი სკამი არ აღმოჩენილა და სახელურს მოსჭიდებია, რომ არ ეჯანჯღარა. ჰოდა, სახელურს რომ მოეჭიდა და ფანჯარაში გაიხედა, ზღვა დაინახა. ტრამვაი ძიმბო-მატიზე მიდიოდა და, აბა, იქ ზღვას რა უნდოდა? არა და, აშკარად ხედავდა, როგორ მოისწრაფოდნენ ფანჯრებისკენ ზღვის ტალღები, ხოლო როცა ფანჯარას წვიმის წვეთები ეცემოდა, ნისლში ჰორიზონტის მკრთალი ხაზიც ილანდებოდა. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ ტიეკოს იმ დროს ძალზე აწეწილი ჰქონდა ნერვები.

ცენტრალურ სადგურზე რომ მივიდა, კარებთან ვიღაც წითელქუდიანი მებარგული შენიშნა. მებარგულმა თავი დაუკრა და ჰკითხა, თქვენი მეუღლისა რა ისმისო? ეს, რა თქმა უნდა, უცნაური კითხვა იყო, მაგრამ კიდევ უფრო უცნაური ის გახლდათ, რომ ტიეკოს სულაც არ გაკვირვებია და უპასუხია: გმადლობთ, ალბათ კარგადაა, თუმცა ამ ბოლო ხანებში, რატომღაც ამბავი აღარ მომდისო. მაშინ მებარგულმა უთხრა, თუ ასეა, მოვინახულებო. უცნაურად გაისმა ეს „მოვინახულებო“. ტიეკოს ქმარი ხომ შორს იყო, ხმელთაშუა ზღვაზე!.. მხოლოდ ახლა მიაქცია ტიეკომ ყურადღება, რომ უცნობი რაღაც უცნაურად ლაპარაკობდა, მაგრამ, სანამ, ჩაეკითხებოდა, მებარგულმა თავი დაუქნია და ხალხს შეერია. ტიეკომ ბევრი ათვალიერა ხალხში ის წითელქუდიანი, მაგრამ ვეღარსად მოჰკრა თვალი. წითელქუდიანი მებარგულეები ბლომად ირეოდნენ სადგურზე, მაგრამ ტიეკომ იმ კაცის სახე ვეღარ გაიხსენა. რა საოცარია, არა? ყველა წითელქუდიანი ის ეგონა. თანაც ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს ის იდუმალი უცნობი გამუდმებით ადევნებდა თვალს. ბოლოს კამაკურაში წასვლა გადაიფიქრა. სადგურზეც ვეღარ გაჩერდა დიდხანს. ისე დაბნეული გამოიქცა იქიდან, რომ ქოლგის გაშლაც ვერ მოისაზრა - გიჟივით მორბოდა სახლისაკენ იმ თავსხმაში.

რასაკვირველია, ყველაფერი ნერვების ბრალი იყო. ამას ზედ ისიც დაერთო, რომ ტიეკო გაცივდა. მეორე დღეს სიცხე მისცა და სამ დღეს აღარ გამოუნელდა. გამუდმებით აბოდებდა - ქმარს ელაპარაკებოდა, ხან ევედრებოდა მაპატიეო, ხანკი უბრაზდებოდა, რატომ არ

ჩამოდიხარო. მერე გამომჯონიბდა, მაგრამ ამ შემთხვევამ ღრმა კვალი დააჩნია გულზე: საკმარისი იყო, მებარგული ეხსენებინა ვინმეს, რომ გუნება გაფუჭებოდა და მთელი დღით დამუნჯებულიყო. ერთხელ პირდაპირ სასაცილო ამბავი შეემთხვა: რომელიღაც სატრანსპორტო კანტორის აბრაზე დახატული მებარგული დაინახა და საქმეზე აღარ წავიდა, მოტრიალდა და შინ მობრუნდა.

მერე შიშმა თანდათან უკლო და ერთი თვის შემდეგ თითქმის სულ გაუქრა. მეც ვამშვიდებდი ხოლმე. ერთხელ ვუთხარი: ჩემო დაიკო, კიოკოს ერთ-ერთ მოთხრობაში კატისსახიანი მებარგულია ნახსენები, ალბათ წაიკითხე და იმიტომ მოგეჩვენა-მეთქი; ერთი სიტყვით, გული საგულეს ჩაუდგა, მაგრამ შემდეგ, მარტში, კვლავ დაშინდა. ქმრის დაბრუნებამდე ტიეკოს ფეხი ვერ მივადგმევინეთ სადგურში. გახსოვს, შენც არ გაგაცილა.

ტიეკოს ქმრის ერთი მეგობარი ორ წელიწადს იყო ამერიკაში და მარტში ტოკიოში დაბრუნდა მატარებლით. მატარებელი დილით უნდა ჩამოსულიყო და ტიეკო ადრიანად წავიდა დასახვედრად. შენც იცი, სადგურის მიდამოებში დღისითაც არ არის ხალხმრავლობა. დაცარიელებულ ქუჩაში, ქვაფენილზე, სავაჭრო ურიკა იდგა და ზედ სათამაშო ქარის წისქვილი ელაგა. მოღრუბლული, ქარიანი დღე იყო და ქარი გამალებით ატრიალებდა წისქვილების ფერად-ფერად ფრთებს. არ ვიცი, რატომ და, ტიეკო ჯერ ამან შეაშფოთა, მერე, ურიკას რომ

გასცდა და გვერდზე გაიხედა, ვიღაც წითელქუდიანი კაცი დაინახა. წითელქუდიანი ქვაფენილზე ჩაცუცქულიყო. უეჭველია, გამყიდველი იქნებოდა. ალბათ, თამბაქო უნდოდა მოეწია. ტიეკო კი ისე დაფრთხა წითელი ქუდის დანახვაზე, რომ უკან დაბრუნება დააპირა, მაგრამ მერე გული გაიმაგრა და მაინც მივიდა სადგურში.

ქმრის მეგობარი ჩამოვიდა. ჩამოსულმა და დამხვდურებმა ბაქანი დატოვეს, ნახევრად ჩაბნელებულ სადგურში შევიდნენ და ის იყო ქუჩაში უნდა გასულიყვნენ, რომ ტიეკოს ვიღაცამ ჩაულაპარაკა უკნიდან: „ამბობენ, თქვენი ქმარი მარჯვენა ხელშია დაჭრილიო. ალბათ ამიტომ ვერ გწერთ წერილს“. ტიეკო მყისვე მიბრუნდა, მაგრამ წითელქუდიანი ვერავინ დაინახა. უკან ფლოტის ოფიცერი და იმისი ცოლი მოჰყვებოდნენ. ორივენი ტიეკოს მეგობრები იყვნენ, ცხადია, ოფიცერი ასეთ უადგილო ადგილას არ დაუწყებდა ქმარზე ლაპარაკს. მაგრამ მაშინ ვის უნდა ეთქვა ეს უცნაური სიტყვები?! ტიეკოს მაინც ძალიან გაუხარდა, რომ წითელქუდიანი არსად ჩანდა. მაგრამ, ქუჩაში რომ გამოვიდნენ და მანქანისაკენ გაემართნენ, უკნიდან გარკვევით მოესმა: „ქალბატონო, თქვენი მეუღლე, ალბათ, ერთ თვეში დაბრუნდება“. ტიეკო კვლავ მიბრუნდა. უკან მხოლოდ მეგობრები ედგნენ, ის წითელქუდიანი კი არსად ჩანდა. თუმცა უკან არავინ იყო უცნობი, მაგრამ წინ ორი მებარგული ალაგებდა ბარგს მანქანაში. ერთმა მათგანმა წამით მოაბრუნა თავი, ტიეკოს შეხედა და როგორღაც უცნაურად ჩაიცინა. ტიეკო ისე გაფითრდა, რომ მეგობრებმა შენიშნეს და ჰკითხეს, რა მოგივიდაო. ცოტათი რომ დამშვიდდა,

მანქანისაკენ გააპარა თვალი, მაგრამ იქ მხოლოდ ერთი მებარგული დაინახა. ის მეორე, წეღან რომ ჩაიცინა, აღარსად ჩანდა. ტიეკოს ეგონა, ახლა მაინც დავიმახსოვრე იმისი სახე, მაგრამ კვლავ ვერ აღიდგინა უცნობის გარეგნობა. ბევრი ეცადა, მაგრამ მხოლოდ წითელ ქუდსა და უცხვირო და უთვალებო სახეს ხედავდა გონების თვალით. აი, ეს არის ის მეორე უცნაური შემთხვევა, რომელიც ტიეკომ მიამბო.

იცი, ერთი თვის შემდეგ, აი, დაახლოებით მაშინ, შენ რომ წახვედი კორეაში, მართლა არ დაბრუნდა ჩემი სიძე! და აი, რა არის ყველაზე გასაოცარი: თურმე მართლა მარჯვენა ხელში ყოფილა დაჭრილი და კარგა ხანს წერა არ შეეძლო. ჩემი ცოლი შეეცადა ხუმრობაში გაეტარებინა ყველაფერი: ტიეკოს უთხრა, დღე და ღამე ქმარზე ფიქრობდი და გულმა გიგრძნო, რომ მარჯვენა ხელში იყო დაჭრილიო. ორი კვირის შემდეგ ტიეკო და მისი ქმარი სასებოში გაემგზავრნენ. ქმარს იქ უნდა დაეწყო სამსახური. რამდენიმე დღის შემდეგ ტიეკოს ბარათი მივიღე, რომელშიც მესამე უცნაური შემხვევა იყო აღწერილი.

ცოლ-ქმარი ცენტრალური სადგურიდან გაემგზავრა. მატარებელი ის იყო დაიძრა, რომ მუშამ, ბარგი რომ შეუტანა და ჩავიდა, ფანჯრიდან შეიხედა იმათ კუპეში, ალბათ გზის

დალოცვა სურდა. ტიეკოს ქმარი მის დანახვაზე საშინლად დაიბნა. გონი რომ მოიკრიბა, ცოლს უამბო: ჩვენი გემი მარსელში იდგა. ერთხელ, მე და ჩემი ამხანაგი კაფეში რომ ვისხედით, ვიღაც იაპონელი მებარგული მოვიდა და მკითხა, როგორ არის საქმეებიო.

მარსელის ქუჩებში იაპონელი მუშებიარ დასეირნობდნენ, მაგრამ ტიეკოს ქმარს, რატომღაც, სულ არ გაკვირვებია ამ მუშის დანახვა და უპასუხია, მარჯვენა ხელში დავიჭერი და მალე სამშობლოში გავემგზავრებიო. ამ დროს ვიღაცა მთვრალს კონიაკიანი ჭიქა წაქცევია. ჩემს სიძეს ხმაურზე უკან მიუხედავს და როცა მობრუნებულა, იაპონელი მებარგული აღარსად იყო. განა საოცარი არა არის?! ძილით არ ეძინა - თვალები გახელილი ჰქონდა და ხომ არ დაესიზმრებოდა. მეგობარი ისეთი სახით იჯდა, თითქოს არავინ მისულიყოს იმათ მაგიდასთან. ტიეკოს ქმარს მაშინ არავისთვის მოუყოლია ეს ამბავი. როცა იაპონიაში დაბრუნდა და გაიგო, რომ ტიეკოს ორჯერ შეხვდა ვიღაც უცნაური მებარგული, დარწმუნდა, ნამდვილად მეც ისა ვნახე მარსელშიო, მაგრამ მაინც არავის უამბო, რადგან ეს შემთხვევა ძალზე წააგავდა მოჩვენებებზე დაწერილ მოთხრობებს. ესეც არ იყოს, შეშინდა, ამხანაგებმა არ დამცინონ, ლაშქრობის დროს ცოლზე რომ ვფიქრობდიო და კრინტი არავისთან დაუძრავს, მაგრამ მებარგულმა ფანჯარაში შემოიხედა თუ არა, მაშინვე იცნო. სწორედ ის იყო, მარსელის კაფეში რომ ნახა. ტიეკოს უთხრა, ნამდვილად ის არისო. მერე ცოტა ხანს იყუჩა და ხმამაღლა დასძინა: „რა უცნაურია! აი ახლა დაბეჯითებით ვთქვი, ის არის-მეთქი, მაგრამ სინამდვილეში სულ არ მახსოვს იმ მებარგულის სახე. მაშინ კი, რომ შემოიხედა, ნამდვილად მეცნო“.

მურაკამიმ საუბარი შეწყვიტა, რადგან კაფეში მისი ნაცნობები შემოვიდნენ. ერთი ხორხოცით მოადგნენ ჩვენს მაგიდას და საუბარი გაუბეს. მე წამოვდექი, მეგობარს დავემშვიდობე და დავპირდი, კორეაში წასვლამდე აუცილებლად შემოგივლი-მეთქი.

კაფედან რომ გამოვედი, შვებით ამოვისუნთქე. მხოლოდ ახლა მივხვდი, რატომ გამაწბილა ტიეკომ ამ სამი წლის წინათ, - პაემანზე უნდა მოსულიყო ცენტრალურ სადგურზე. დიდხანს ველოდე, მაგრამ არ მოვიდა. მეორედ შევუთანხმდი და მაშინაც ამაოდ მომიხდა ცდა. მერე მოკლე წერილით მამცნო, მინდა სიცოცხლის ბოლომდე ერთგულ მეუღლედ დავრჩეო.

იანვარი***, 1921*****წ.***

თარგმნა ანდუყაფარ ჭეიშვილმა

უსიერ ტყეში

დაკითხვაზე რა უთხრა ტყისმჭრელმა სასამართლოს მოხელეს

დიახ, ასე იყო. გვამი მე ვიპოვე. ამ დილით, ჩვეულებისამებრ, ტყეში ხეების საჭრელად რომ გახლდით, სწორედ მთის ძირას წავაწყდი მკვდარს. სახელდობრ სადა? იამასინასაკენ მიმავალი გზიდან დაახლოებით ოთხი-ხუთი ტიოს მოშორებით. ესაა უკაცრიელი ადგილი, სადაც ბამბუკი ხარობს, შიგადაშიგ ნორჩ კრიპტომერიებსაც შეხვდებით.

მოკლულს ღია ცისფერი სუიკანი ეცვა, გაცვეთილი ებოსი ეხურა, ქალაქელები რომ ატარებენ, ისეთი. გულაღმა იწვა. სხეულზე მხოლოდ ერთი ჭრილობა ჰქონდა, მაგრამ შიგ გულში. გვამის გარშემო ბამბუკის ხმელი ფოთლები კინოვარით გაჟღენთილს ჰგავდა. არა, სისხლი უკვე აღარ სდიოდა, ეტყობოდა, ჭრილობა შედედებოდა. ჰო, აი კიდევ რა: ჭრილობაზე დასცხრომოდა კრაზანა, რომელიც სულაც არ დამფრთხალა ჩემს მიახლოებაზე.

ახლომახლო იყო თუ არა ხმალი, ან რამე ამისი მსგავსი? არა, იქ არაფერი მინახავს, მხოლოდ კრიპტომერიის ძირას, გვამთან ახლოს, თოკი ეგდო. და კიდევ... დიახ, დიახ, თოკს გარდა, იქვე სავარცხელსაც მოვკარი თვალი. ეს იყო და ეს, ეს ორად ორი ნივთი. გარშემო კი ბალახი და

მოფენილი ფოთლები გვარიანად იყო მოჯეგილი. ჩანს, მოკლულს იოლად არ დაუთმია სიცოცხლე... რაო, იყო თუ არა ცხენი? აბა, რომელი ცხენი შეაღწევს იქ? ცხენის სავალი გზა ცოტა მოშორებითაა, იმ უსიერი ტყის გადაღმა. დაკითხვაზე რა უთხრა მოხეტიალე ბერმა სასამართლოს მოხელეს

მოკლულს შევხვდი გუშინ. გუშინ... ასე, შუადღისას. სადა? სეკიამადან იამასინასაკენ მიმავალ გზაზე. ცხენზე ამხედრებული, ქალთან ერთად მიეშურებოდა სეკიამასაკენ. ქალს რიდეჩამოფარებული ფართოფარფლიანი ქუდი ეხურა, ასე რომ, სახე არ უჩანდა. თვალი მოვკარი მხოლოდ ჰაგას ყვავილით მოჩითულ მის აბრეშუმის კაბას. თაფლა ცხენს ფაფარი შეკრეჭილი ჰქონდა. რა სიმაღლის იყო? რაღაც ერთი ციდით თუ იქნებოდა ჩვეულებრივზე მაღალი... მე ბერი ვარ და, ასეთ რამეებში მაინცდამაინც ვერ ვერკვევი. მამაკაცს... ჰო, ხმალი ერტყა, ზურგზე კი მშვილდ-ისარი მოეგო. ახლაც თვალწინ მიდგას, შავად გალაქული კაპარჭიდან ოცამდე თავამოყოფილი ისარი. რას წარმოვიდგენდი, ასეთი ბედი თუ ეწეოდა. მართლაც რომ თვალის დახამხამებაში ქრება ადამიანის სიცოცხლე, თითქოს ცვარი იყოს, ან გაელვება. ოო, ენა ვერ იტყვის, რა სავალალოა ყოველივე ეს.

დაკითხვაზე რა უთხრა ჩაფარმა სასამართლოს მოხელეს

მე რომ კაცი შევიპყარი? ის ხომ სახელგანთქმული ავაზაკი ტაძემარუა. ხელი მაშინ ვტაცე, ცხენიდან გადმოვარდნილი, ავადაგუტისთან ქვის ხიდზე რომ ეგდო და კვნესოდა. როდის? გუშინ, საღამოს რვა საათზე. ამას წინათ კინაღამ შევიპყარი, მაშინ ისევ ის ლურჯი სუიკანი ეცვა და უკან, ქამარში ხმალი გაერჭო. ახლა კი, როგორც ხედავთ, მშვილდ-ისარიც აღმოჩნდა. წარმოგიდგენიათ? ეს ხომ იმ მოკლულის მშვილდ-ისარია! თქმა არ უნდა, მკვლელობა ტაძემარუს ჩადენილია. ტყავგადაკრული მშვილდი, შავად გალაქულიკაპარჭიქორისფრთიანი ჩვიდმეტი ისრით. მაშასადამე, ეს ყველაფერი მოკლულის საკუთრება იყო. ჰო, ცხენი როგორც თქვენ ბრძანეთ, თაფლა იყო, ფაფარშეჭრილი, ეტყობა, ასეთი ყოფილა ტაძემარუს ბედი - ცხენს გადმოუდგია. ცხენი ხიდის ახლოს წიწკნიდა ბალახს, გრძელი სადავე მისთრევდა.

ეს ტაძემარუ, სხვა ავაზაკებისაგან განსხვავებით, რომლებიც დედაქალაქში დაეხეტებიან, ქალების ნამდვილი მუსუსია. გახსოვთ, შარშან მთაზე, ბინძურუს[137] სადიდებელი აკიტორიბეს ტაძრის უკან[138] მლოცველი ქალი რომ მოკლეს გოგონასთან ერთად? ჰო და, ლაპარაკობდნენ, ამაში ტაძემუას ხელი ურევიაო. ან ის

ქალი სადაა, თაფლა ცხენით რომ მოდიოდა? ვთქვათ, მამაკაცი ტაძემუამ მოკლა, ქალი რა იქნა? არავინ იცის. ბოდიში, რომ საქმეში ვერევი, მაგრამ ესეც გამოსაძიებელია. დაკითხვაზე რა უთხრა სასამართლოს მოხელეს მოხუცმა ქალმა

ეს სწორედ იმ კაცის გვამია, ვისზედაც გათხოვილი იყო ჩემი ქალიშვილი. მაგრამ ის დედაქალაქიდან არ გახლავთ, სამურაია კოკუფუ და ვაკასადან. მისი სახელია კანაძავა ტაკეჰირო, ოცდაექვსი წლისაა. არა, მას არ შეეძლო ვინმეს წყენინება, მეტად თვინიერი იყო.

ჩემს ქალიშვილს მასაგო ჰქვია, ცხრამეტი წლისაა, თამამია, მამაკაცს არ ჩაუვარდება, ტაკეჰიროსთან შეხვედრამდე არავინ ჰყვარებია. შავგვრემანია, მოგრძო სახიანი, მარცხენა თვალის კუთხეში ხალი აქვს.

გუშინ ტაკეჰირო ჩემი ქალიშვილითურთ ვაკასაში გაემგზავრა. ნეტავი რა შევცოდეთ ღმერთს, რომ ასეთი უბედურება დაგვატყდა თავს! რა დაემართა ჩემს ქალიშვილს? სიძის ხვედრს, მართალია, შევურიგდი, მაგრამ ქალიშვილზე ფიქრი მოსვენებას არ მაძლევს. დედაშვილობას, გევედრებით, ღვთის გულისათვის, დაძებნეთ ტყეებსა და ველებზე, იქნებ როგორმე მიაკვლიოთ ჩემს ქალიშვილს. რა ღვთის რისხვაა ეგ ავაზაკი ტაძემარუ, თუ რას ეძახიან! განა მარტო სიძე, ჩემი ქალიშვილიც ხომ... (ტირის, სიტყვა ვეღარ დაუძრავს). ტაძემარუ აღიარებს

ეს კაცი მე მოვკალი. ქალი კი არ მომიკლავს. არც ის ვიცი, სად გაქრა. მომეშვით! რამდენიც უნდა

მაწამოთ, რაც არ ვიცი, როგორ გითხრათ. ესეც არ იყოს, რაკი ჩავვარდი, გულახდილად ვაღიარებ ყველაფერს.

ამ კაცსა და მის ცოლს სამხრობისას შევხვდი. ქარმა ის იყო, აბრეშუმის საბურველი აუფრიალა და ერთი წამით გამოჩნდა იმ ქალის სახე. ერთი წამით გაიელვა და ისევ დაიმალა. და იქნებ სწორედ ამის გამოც მისი სახე ბოდისატვას ხატებად მომეჩვენა[139]. მაშინვე გადავწყვიტე, დამემორჩილებინა ეს ქალი, თუნდაც ამისთვის მისი ქმრის მოკვლა დამჭირვებოდა. თქვენ ეს საშინელებად მიგაჩნიათ, არა? დიდი საქმე! კაცის მოკვლას რა უნდა! როცა ქალის დასაკუთრება სურთ, მამაკაცს ყოველთვის კლავენ. მხოლოდ მე ვკლავ ხმლით, თქვენ კი ამ შემთხვევაში ხმალს არ მიმართავთ, თქვენ კლავთ ძალაუფლების, ფულის მეშვეობით, ზოგჯერ კი უბრალო მლიქვნელური სიტყვებით. მართალია, ამ შემთხვევაში სისხლი არ იღვრება, მამაკაცი უვნებელი რჩება, მაგრამ ის თქვენი მოკლულია! და კაცი რომ დაუფიქრდეს, ვისი დანაშაულია უფრო მძიმე, თქვენი თუ ჩემი, - ვინ იცის?! (ირონიული ღიმილი).

მაგრამ ისე არ გამიგოთ, თითქოს კაცის მოკვლა მიხაროდეს. სისხლის დაუღვრელად თუ დავიმორჩილე ქალი, ამას რა ჯობია? ამჯერად გადავწყვიტე, ქალს ისე დავუფლებოდი, მკვლელობა არ ჩამედინა. მაგრამ გზაზე, სადაც ხალხი მიდი-მოდის, ამას როგორ მოახერხებ! ამიტომაც მოვიფიქრე, როგორ შემეტყუებინა ისინი ტყის სიღრმეში.

ეს ადვილად შევძელი, თანამგზავრივით ავედევნე მათ და ვუამბე, მოპირდაპირე მხარეს მთაში ყორღანი გავთხარე, შიგ უამრავი სარკე და ხმალი აღმოჩნდა. ეს

ყველაფერი ტყეში დავფალი, რომ არავის ენახა, და თუკი მსურველს ვიპოვნი, იაფად მივყიდი ნებისმიერ ნივთს-მეთქი. ვატყობდი, მამაკაცი დავაინტერესე. აბა, რა გეგონათ! საშინელი რამაა სიხარბე. ნახევარი საათიც არ გასულა, რომ ცხენი მოაბრუნეს და ჩემთან ერთად დაადგნენ მთის ბილიკს.

ტყეს რომ მივადექით, ვუთხარი, ის ნივთები უსიერი ტყის სიღრმეში მაქვს ჩაფლულიმეთქი, და შევთავაზე, წამომყოლოდნენ სანახავად. მამაკაცს სიხარბემ სძლია და, რასაკვირველია, უარი არ უთქვამს. ქალმა კი არც ცხენიდან ჩამოსვლა მოისურვა, არც წამოყოლა. თქვა, მე აქ მოგიცდითო. მისი ასეთი გადაწყვეტილება უთუოდ წინდახედულებით იყო ნაკარნახევი. ხედავდა, რომ ტყე გაუვალი იყო. მაინც ყველაფერი ისე მოეწყო, უკეთესად რომ არ შეიძლებოდა. მე შევუძეხი მამაკაცს ტყის სიღრმეში, ქალი კი მარტო დავტოვეთ.

ტყის განაპირას მხოლოდ ბამბუკი ხარობდა. შემდეგ კრიპტომერიებიც გვხვდებოდა. ჩემი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად უკეთეს ადგილს ვერ ვიპოვნიდი. გზადაგზა ტოტებს აქეთ-იქით ვწევდი, გზას ვიკაფავდი, და თან კაცს ვარწმუნებდი, განძი კრიპტომერიების ძირასა მაქვს ჩაფლული-მეთქი. მამაკაცი მისმენდა და იქით მიიჩქაროდა, სადაც კრიპტომერიათა წერწეტა ზროები ჩანდა. ბამბუკი იშვიათად გვხვდებოდა. ჩვენს გარშემო კრიპტომერიები

შემოჯარულიყვნენ. და აი, აქ მოულოდნელად დავესხი თავს ჩემს მსხვერპლს და მიწას დავანარცხე. თვალის დახამხამებაში ის უკვე ხეზე მიკრული აღმოჩნდა. თოკი? სად გინახავთ ყაჩაღი უთოკოდ. თოკი წელზე მერტყა. ყოველ წუთს შეიძლებოდა დამჭირვებოდა მესერზე გადასასვლელად. ცხადია, კაცს დაყვირება არ შეეძლო. პირი ბამბუკის ჩამოცვენილი ფოთლებით გამოვუტენე. რაღას დააწყობდა?

მერე დავბრუნდი ქალთან და ვუთხარი, შენი თანამგზავრი თავს შეუძლოდ გრძნობს, წამოდი, გაიგე, რა დაემართა-მეთქი. რაღა თქმა უნდა, ამჯერადაც ჩემსას მივაღწიე, ქალმა მოიხადა თავისი ფართოფარფლებიანი ქუდი, ჩამჭიდა ხელი და ტყის სიღრმეში შემყვა. მივედით იქ, სადაც მისი ქმარი ხეზე თოკით იყო მიბმული. ქმარი ამ დღეში დაინახა თუ არა, უბიდან პატარა ხანჯალი დააძრო. არასოდეს შემხვედრია ასეთი თავზეხელაღებული, მამაცი ქალი. რომ არ მემარჯვა, უეჭველად გამომფაშვავდა. პირველი შემოტევა ავიცილე, მაგრამ ქალი გააფთრებით იქნევდა ხანჯალს. მაგრამ ტყუილადა ვარ ტაძემარუ? ხმლისათვის ხელი არ მიხლია, ისე გავაგდებინე ხანჯალი. უიარაღოდ კი, უმამაცესი ქალიც ვერაფერს გააწყობს. და ბოლოს წადილი ავისრულე - ქალი ისე დავიმორჩილე, რომ ქმარი არ მომიკლავს. დიახ, ცოცხალი დავტოვე. მეამის შემდეგაც არ განმიზრახავს მისი მოკვლა. მაგრამ წასვლა რომ დავაპირე, აქამდე მიწას გართხმული, თვალცრემლიანი ქალი უცებ გიჟივით ზეზე წამოიჭრა,

სახელოში ჩამაფრინდა და გულამომჯდარმა იყვირა: „ან შენ უნდა მოკვდე, ამ ჩემი ქმარი!.. თქვენ შორის ერთ-ერთი უნდა მოკვდეს... ორი მამაკაცის წინაშე ასეთ შერცხვენას სიკვდილი მიჯობს. ერთ-ერთი თქვენთაგანი უნდა მოკვდეს... მე კი მას გავყვები, ვინც ცოცხალი დარჩება“, და აი, სწორედ მაშინ გადავწყვიტე იმ კაცის მოკვლა. (ნაღვლიანი აღელვებით).

როცა ყოველივე გიამბეთ, ალბათ მუხანათ ადამიანად მიმიჩნიეთ. კი, ასე გეჩვენებათ, რადგან თქვენ არ გინახავთ იმ ქალის სახე, არ გინახავთ მისი ანთებული მზერა. როდესაც თვალი თვალში გავუყარე, ერთბაშად ამიტანა სურვილმა, ჩემი ცოლი გამხდარიყო, თუნდაც ამისათვის ცის რისხვა დამტყდომოდა თავს და იქვე სული გამეცხო. ცოლად უნდა შემერთო ქალი, - მხოლოდ ეს აზრი მიტრიალებდა თავში. არა, ეს არ იყო ავხორცობით ნაკარნახევი, როგორც შეიძლება თქვენ ფიქრობდეთ. მარტო ავხორცობის ჟინით რომ ყოფილიყო ეს აღძრული, გეფიცებით, ჭიტლაყს ამოვკრავდი და გავეცლებოდი. მაშინ არც იმ მამაკაცს მოუწევდა თავისი სისხლით ჩემი ხმლის შეღებვა. მაგრამ იმ წამს, როცა ტყის ბინდბუნდში ქალის სახეს კარგად დავაკვირდი, უმალ გადავწყვიტე, რომ აქედან ფეხს არ მოვიცვლიდი, სანამ კაცს არ მოვკლავდი.

მაგრამ არ მინდოდა ვერაგულად მომეკლა. თოკი შევხსენი და ვუთხარი, ერთმანეთს ხმალდახმალ შევებრძოლოთ-მეთქი. ხის ფესვებთან რომ თოკი იპოვეს, ჩემი დაგდებული იყო. სახეშეშლილმა კაცმა ელვის უსწრაფესად იშიშვლა თავისი მძიმე ხმალი და მეძგერა. რა საჭიროა

იმის მოყოლა, თუ რით გათავდა ის ბრძოლა. ოცდამესამე მოქნევაზე გავუპე მკერდი. დაიმახსოვრეთ - ოცდამესამე მოქნევაზე გავუპე მკერდი. დაიმახსოვრეთ - ოცდამესამე მოქნევაზე! აქამდე მიკვირს: მთელ ქვეყნიერებაზე მხოლოდ მან გამიძლო ამდენ ხანს - ოცჯერ გადამიჯვარედინდა ხმალი (მხიარული ღიმილი).

როგორც კი დაეცა, ხმალგასისხლიანებული მივბრუნდი ქალისაკენ, მაგრამ წარმოიდგინეთ, ის აღარსად ჩანდა. დავიწყე ძებნა ტყეში, მაგრამ მის კვალს ვერ მივაგენი. ტყის მყუდროებას მხოლოდ სულთმობრძვავის ხროტინი არღვევდა.

ალბათ, როცა ჩვენ ხმალდახმალ ვებრძოდით ერთმანეთს, ქალმა დრო იხელთა და ტყიდან გაიქცა, იქნებ უნდოდა საშველად ვინმესთვის ეხმო. როგორც კი ამ აზრმა გამიელვა, მივხვდი, საფრთხეში ვიყავი. ავართვი მოკლულს ხმალი, მშვილდი, ისრები და გავედი ბილიკზე. იქ წინანდებურად წიწკნიდა ბალახს იმ ქალის ცხენი. იმაზე ლაპარაკი, თუ რა მოხდა შემდეგ, ლაყბობა იქნება და მეტი არაფერი. მხოლოდ, აი, რა: დედაქალაქში შესვლის წინ ის ხმალი უკვე თან აღარ მქონდა. ესაა მთელი ჩემი აღსარება. ახლა რაც გინდათ, ის მიყავით, როგორც გინდათ, ისე დამსაჯეთ. აკი ვიცოდი, როდისმე ამ ჩემს გოგრას სარზე წამოაგებდნენ. (გამომწვევი მზერა).

რა თქვა ქალმა აღსარებაზე კიემიძუს ტაძარში

მე რომ დამიმორჩილა, ის ლურჯსამოსიანი კაცი გაბაწრულ ჩემს ქმარს მიუბრუნდა და ერთი დამცინავად გადაიხარხარა. რა ძნელი ასატანი იყო ალბათ ეს ჩემი ქმრისათვის! მაგრამ, რაც მეტად ცდილობდა თავის დახსნას, მით უფრო ღრმად ეჭდობოდა ხორცში ისედაც მჭიდროდ შემოჭერილი თოკი. მე უნებლიეთ გავიწიე მისკენ, არა, დავაპირე, მაგრამ, იმ კაცმა პანღურით უმალ მიწას დამანარცხა და, სწორედ მაშინ მოხდა ყველაფერი. სწორედ ამ დროს ქმრის თვალებში მე შევნიშნე რაღაც უცნაური ელვარება, აუწერელი... ახლაც კი მზარავს იმ გამოხედვის გახსენება, სიტყვის წარმოთქმის უნარი მეცლება. ქმრის იმ ერთ გამოხედვაში მთელი მისი სული გადმოიღვარა. თუმცა მის თვალებში ვერ ამოიკითხავდით გულისწყრომას ან ტანჯვას, ისინი ჩემდამი უსაზღვრო სიძულვილით ელავდნენ. აი, რას გამოხატავდნენ

მისი თვალები. ამ საშინელი გამოხედვით შეძრწუნებულს კივილი აღმოხდა და ცნობაც დავკარგე.

გონს რომ მოვედი, ის ლურჯსამოსიანი მამაკაცი იქ აღარ იყო. ჩემი ქმარი ისევ ხეზე იყო მიბმული. ძლივს ავითრიე წელი და სახეზე ჩავაშტერდი. გამომეტყველება ოდნავაც არ შეცვლოდა. თვალთაგან წინანდებურად აფრქვევდა იდუმალ ზიზღსა და სიძულვილს. არ ვიცი, როგორ გამოვთქვა, რა ვიგრძენი მაშინ... სირცხვილიც, სევდაც, გულისწყრომაც... ძლივს წამოვდექი და ქმართან მივედი.

„მისმენეთ! იმის შემდეგ, რაც მოხდა, არ შემიძლია თქვენთან დარჩენა. გადავწყვიტე, თავი

მოვიკლა, მაგრამ... მაგრამ თქვენც უნდა მოკვდეთ. თქვენ ჩემი შერცხვენის მოწმე გახდით. ამის შემდეგ არ შემიძლია ცოცხალი დაგტოვოთ“. აი, რა ვუთხარი, გამიჭირდა, მაგრამ მაინც ვუთხარი. ქმარი კი ისევ ზიზღით მიცქერდა. გული გასკდომაზე მქონდა და ამაოდ ვლამობდი მღელვარება დამეოკებინა. მის ხმალს დავუწყე ძებნა, მაგრამ იმ ყაჩაღს ყველაფერი გაეტაცა, არათუ ხმალი, მშვილდი და ისრებიც აღარსად იყო. საბედნიეროდ, ხანჯალი ეგდო ჩემს ფერხთით. მაღლა შევმართე ის ხანჯალი და ქმარი გავაფრთხილე: ახლა მოგკლავთ, და მეც უმალ თან გამოგყვებით-მეთქი.

ქმარმა ჩემი ნათქვამი რომ გაიგონა, თავს ძალა დაატანა და მხოლოდ ტუჩები შეანძრია. რა თქმა უნდა, ხმის ამოღება არ შეეძლო, პირი ბამბუკის ფოთლებით ჰქონდა გამოტენილი. მაგრამ როდესაც მისი ტუჩების მოძრაობას დავაკვირდი, მივუხვდი ზიზღით ნათქვამს - „მომკალი“. გონებადაკარგულმა ღრმად ვაძგერე ხანჯალი ღია ცისფერი სამოსით დაფარულ მკერდში. ალბათ იმ წუთას ისევ დავკარგე გრძნობა. გონს რომ მოვედი, მივიხედ-მოვიხედე. ქმარი ისევ იმ მდგომარეობაში იყო უძრავად, უკვე აღარ სუნთქავდა. გაფითრებულ სახეზე ბამბუკის ღეროებში ჩახლართული კრიპტომერიის ტოტებიდან და ფოთლებიდან გამოღწეული, ჩამავალი მზის შუქი დაჰფენოდა. ქვითინს ძლივს ვიკავებდი. შევხსენი გვამს თოკი და, შემდეგ რა დამემართა, ამის თქმის ძალა არ შემწევს. რა არ ვიღონე, მაგრამ თავის მოკვლა ვერ შევძელი. ჯერ ხანჯალი მივიბჯინე ყელზე, მერე მთის ძირას, ტბაში თავის დახრჩობა ვცადე... მაგრამ ხომ

ხედავთ, ცოცხალი ვარ და ამით ვერ ვიამაყებ. (სევდიანი ღიმილი). ეტყობა, მოწყალების ქალღმერთი არარაობად მთვლის და აკი ზურგიც შემაქცია. ახლა რაღა ვქნა ჩემი ქმრის მკვლელმა, ყაჩაღისაგან ნამუსახდილმა. რა ვიღონო, რა? მე... მე... (მოულოდნელი, სასოწარკვეთილი ქვითინი).

რა თქვა მოკლულის სულმა წინასწარმეტყველი ქალის პირით

ჩემი ცოლის დამორჩილებისშემდეგ ყაჩაღი გვერდით მიუჯდა მას დადაუწყო ნუგეშისცემა. მე, რა თქმა უნდა, პირი ბამბუკის ფოთლებით მქონდა გამოტენილი და ხეზე მაგრად ვიყავი თოკით მიბმული, მაგრამ წამდაუწუმ ვანიშნებდი თვალით ცოლს, არ დაუჯერო, რასაც გეუბნება, სულ ტყუილია-მეთქი. მაგრამ ცოლი დამწუხრებული იჯდა ძირს მოფენილ ფოთლებზე და თავს მაღლა არ სწევდა, ერთთავად თავის საკუთარ მუხლებს დასცქეროდა. ღმერთმანი, კაცს შეიძლებოდა

ეფიქრა, რომ ის ყურადღებით უსმენდა ავაზაკს. ეჭვი მტანჯავდა და უმწეოდ ვიკლაკნებოდი. ყაჩაღი კი მაცდური სიტყვებით ლამობდა ჩემი ცოლის დაყოლიებას. ნამუსახდილი, სულ ერთია, ქმარს ვეღარ შეეგუები, ქმართან ასეთ მდგომარეობაში ყოფნას არა სჯობია, ყაჩაღს გამომყვე ცოლადო? ასე იმიტომ მოვიქეცი, რომ დანახვისთანავე შემიყვარდიო... აი სადამდე მივიდა მისი უნამუსობა!

ბოლოს ცოლმა ასწია თავი. სახეზე ნაღველი ეხატა. იგი ასეთი ლამაზი არასოდეს მენახა! მაგრამ იცით, რა უთხრა იმ ავაზაკს ჩემმა ტურფა ცოლმა, როცა მის გვერდით გახლდით შებოჭილი? მე ახლა, მართალია, არყოფნაში ვარ გადასახლებული, მაგრამ ყოველთვის, როცა კი მისი პასუხი გამახსენდება, ბრაზი მახრჩობს. აი, რა თქვა ჩემმა ცოლმა: - „ჰოდა, წამიყვანეთ, სადაც გენებოთ“. (ხანგრძლივი დუმილი).

მაგრამ ცოლის დანაშაული განა მხოლოდ ეს არის. მარტო ამის გულისათვის მე, ალბათ, წყვდიადში მოხეტიალე, აგრეგირად არ გავიტანჯებოდი. აი რა მოხდა: ცოლი ისე გაჰყვა ავაზაკს ხელჩაკიდებული, თითქოს სიზმარშიაო; და ის იყო ტყიდან უნდა გასულიყო, რომ ერთბაშად მკვდრის ფერმა გადაუარა სახეზე, ყაჩაღს მიუბრუნდა და ჩემზე უთხრა: „მოკალი! არ შემიძლია თქვენთან ყოფნა, სანამ ის ცოცხალია!..“ მერე შეშლილივით, რამდენჯერმე საზარლად ამოიკივლა: „მოკალი!“ ეს სიტყვები ახლაც ქარიშხალივით მიმაქროლებს წყვდიადის ჯურღმულებისაკენ. განა ოდესმე ადამიანის ბაგეს დასცდენია ამაზე უფრო შემზარავი სიტყვები? განა ოდესმე ადამიანის ყურს სმენია ასეთი სიბილწე? განა ოდესმე... (უეცარი, გესლიანი ხარხარი). მისი სიტყვების გაგონებაზე ავაზაკიც კი გაფითრდა. „მოკალი!“ - გაჰკიოდა ცოლი და თან მკლავებზე ებღაუჭებოდა. ავაზაკმა თვალი გაუშტერა ქალს, მაგრამ არც „ჰო“ უთქვამს, არც „არა“, და უცებ წიხლის კვრით მიაგდო ჩამოცვენილ ფოთლებზე. (კვლავ გესლიანი ხარხარი). გულხელდაკრეფილი ავაზაკი ახლა ჩემკენ მობრუნდა: „რა ვუყოთ ამ ქალს?

მოვკლათ, თუ ვაპატიოთ? პასუხად თავი დამიქნიეთ. მოვკლათ?“ მარტო ამ სიტყვებისათვის მზადა ვარ იმ ავაზაკს ყველაფერი შევუნდო. (კვლავ ხანგრძლივი დუმილი).

სანამ პასუხს ვაყოვნებდი, ცოლმა ერთი შეჰკივლა და ტყის სიღრმეში მიიმალა. ავაზაკი უმალ დაედევნა, მაგრამ ეტყობა, ვერ მოასწრო ხელი ეტაცა მისთვის, თუნდაც სახელოში. თავი სიზმარში მეგონა.

როცა ცოლი გაიქცა, ყაჩაღმა აიღო ჩემი ხმალი, მშვილდი, ისრები, მერე ერთგან გადამიჭრა თოკი. მახსოვს, სანამ ტყეში გაუჩინარდებოდა, როგორ ჩაილაპარაკა თავისთვის: „ახლა კი დროა, ჩემს თავზედაც ვიფიქრო“.

როცა ის წავიდა, ირგვლივ სიჩუმე გამეფდა. არა, ყველგან არა, სადღაც ახლოს კვლავ ისმოდა ვიღაცის ქვითინი. თოკს რომ ვიხსნიდი, დავაყურადე და მივხვდი, ეს მე ვქვითინებდი. (კვლავ ხანგრძლივი დუმილი).

ბოლოს ძლივს მოვაცილე ხეს ჩემი გატანჯული სხეული. უცებ თვალიმომჭრა ხანჯლის ელვარებამ, რომელიც ცოლს დაკარგოდა და ახლა ჩემ წინ ეგდო. ავიღე ხანჯალი და ერთი მოქნევით დავიკარ გულში. სისხლი ყელში მომაწვა, მაგრამ ტკივილი არ მიგრძვნია. როცა

მკერდში სიცივე ჩამიდგა, ირგვლივ კიდევ უფრო მეტი მყუდროება ჩამოწვა. ო, რა მყუდროება იყო! აქ, ამ ტყეში ახლა ერთი ჩიტიც კი არ გალობდა. მხოლოდ კრიპტომერიისა და ბამბუკის ზროებს ავარაყებდა ჩამავალი მზის სევდისმომგვრელი შუქი. ჩამავალი მზისა... მაგრამ ისიც სულ უფრო და უფრო მიილია. მალე გაუჩინარდა ყველაფერი - ხეებიც, ბამბუკიც და მეც, მიწაზე გართხმული, გავეხვიე ამ სამარისებრი მყუდროების სუდარაში.

სწორედ ამ დროს, ვიღაც ფეხაკრეფით მოიპარა ჩემთან. მინდოდა შემეხედა, ვინ იყო, მაგრამ ირგვლივ ბინდი ჩამომდგარიყო. და ვიღაც... ამ ვიღაცამ უხილავი ხელით ფრთხილად ამომაჩრო გულში ჩარჭობილი ხანჯალი. იმწამსვე პირი კვლავ ამივსო თქრიალით წამოსულმა სისხლმა. ამის შემდეგ საუკუნოდ მშთანთქა არყოფნის წყვდიადმა.

იანვარი***, 1922*** ***წ.***

თარგმნა ლადო ავალიანმა

თარჯიმანმა ტილოს ნაჭერიგამოართვა ჩინელს. ნაჭერს ტანის სითბოშერჩენოდა და თარჯიმანმა ზიზღი იგრძნო. მუცლის ასაკრავში სამი მსხვილი ქინძისთავი იყო გარჭობილი, სიგრძით სამი სუნი იქნებოდა. ოფიცერი დიდხანს ათვალიერებდა ქინძისთავებს ფანჯრიდან შემოსულ შუქზე, მაგრამ საეჭვო ვერაფერი შენიშნა. სრულიად ჩვეულებრივი ქინძისთავები იყო, ოღონდ ბრტყელ თავებზე ქლიავის ფოთლები ჰქონდა ამოტივტივებული.

- რად გინდა?

- მე ნემსებით ვმკურნალობ, - მშვიდად მიუგო წვეროსანმა.

- ფეხსაცმელი გაიხადეთ! დაიწყეს ტანსაცმლის გასინჯვა.

ჩინელები გულგრილად ადევნებდნენ თვალს, ტიტვლები იდგნენ და ხელსაც არ იფარებდნენ სასირცხო ადგილებზე. შარვლებში და ქურთუკებში კი არა, წაღებსა და წინდებშიც არ აღმოჩნდა რაიმე მამხილებელი ნივთი ან ქაღალდი. წაღების დარღვევაღა იყო საჭირო.

ადიუტანტი აპირებდა ეთქვა შტაბის ოფიცრისათვის, წაღები დავარღვიოთო, რომ მოულოდნელად მეზობელი ოთახიდან არმიის სარდალი შემოვიდა, ბრიგადის უფროსისა და არმიის შტაბის ოფიცრების თანხლებით. გენერალი ბრიგადის უფროსთან ყოფილიყო - რაღაც საქმეზე უნდა მოთათბირებოდა ადიუტანტებსა და

შტაბს.

- რუსების ჯაშუშები არიან? - იკითხა გენერალმა, ჩინელებს მიუახლოვდა და ჯიქურ მიაშტერდა თვალები. (შემდგომში ერთმა ამერიკელმა მოურიდებლად აღნიშნა, ამ ცნობილ გენერალს რაღაც მანიაკური გამოხედვა აქვსო, ამ მანიაკურ თვალებში, განსაკუთრებით ასეთ შემთხვევებში, ავისმომასწავებელი ცეცხლი აენთებოდა ხოლმე).

შტაბის ოფიცერმა მოკლედ მოახსენა გენერალს საქმის ვითარება, გენერალი დროდადრო თავს უქნევდა და თითქოს რაღაცას იხსენებდა.

- ისღა დაგვრჩენია, ცემით გამოვტეხოთ, - დაამთავრა შტაბის ოფიცერმა.

მაშინ გენერალმა ხელი, რომელშიაც რუკა ეჭირა, იატაკზე მიყრილი წაღებისაკენ გაიშვირა და ბრძანა:

- აბა, ერთი, ეს წაღები დაჭერით!

წაღებს ლანჩები მოარღვიეს და იატაკზე ხუთი-ექვსი რუკა და საიდუმლო საბუთები გადმოცვივდა. ამის დანახვაზე ჩინელებს ფერი ეცვალათ, მაგრამ ხმა არ ამოუღიათ. ორივე ჯიუტად ჩაშტრებოდა იატაკს.

- ასეც ვიცოდი! მიუბრუნდა გენერალი ბრიგადის უფროსს და უკმაყოფილოდ ჩაიღიმა. ფეხსაცმელი ყოველთვის საეჭვოა. ჩაიცვან. არა, ასეთი ჯაშუშები ჩემს დღეში არ მინახავს!

- ფრიად გაოცებული ვარ თქვენი აღმატებულების გამჭრიახობით! - თავაზიანი ღიმილით შენიშნა ადიუტანტმა და ბრიგადის უფროსს ჯაშუშობის დამამტკიცებელი საბუთები გაუწოდა. მას თითქოს დაავიწყდა, რომ გენერლის შემოსვლამდე თვითონ აპირებდა წაღების შემოწმებას.

- რადგან გააშიშვლეთ და მაინც ვერაფერი უნახეთ, წაღები რჩებოდა საეჭვო. - გენერალი კვლავ შესანიშნავ გუნებაზე იყო. - მე მაშინვე ვიფიქრე, რომ წაღებში ექნებოდათ. ბრიგადის უფროსიც კმაყოფილი და გამოცოცხლებული ჩანდა.

- რაც მართალია, მართალია, - თქვა მან, - აქაური მცხოვრებლების ნდობა არ შეიძლება. ჩვენ რომ შემოვედით, იაპონური დროშები გამოფინეს, მერე, როცა სახლებში ჩხრეკა მოვაწყვეთ, რუსული დროშები აღმოაჩნდათ.

- ერთი სიტყვით, გათახსირებული ხალხია! - ნამდვილად! გათახსირებული და ეშმაკი

ხალხია!

ამ საუბრის დროს შტაბის ოფიცერი თარჯიმნის დახმარებით აძლევდა კითხვებს ჩინელებს და თანდათან ბრაზდებოდა. უცებ ჯარისკაც ტაგუტისაკენ მიბრუნდა და მიახალა:

- ეი, ჯარისკაცო! ჯაშუშები შენ შეიპყარი და შენვე უნდა ჩააძაღლო!

ოცი წუთის შემდეგ ორივე ჩინელი სოფლის სამხრეთით, გზის პირას, ხმელი ტირიფის ძირში იჯდა. ისინი ნაწნავებით გადაებათ ერთმანეთზე. ჯარისკაცმა ტაგუტიმ თოფს ხიშტი ჩამოაცვა და პატიმრები გააცალკევა. შემდეგ შაშხანა აიღო და ზურგიდან დაუდგა ხნიერ ჩინელს, მაგრამ, სანამ მოკლავდა, მოინდომა ეთქვა, გკლავო.

- ნიი... დაიწყო მან, მაგრამ ვეღარ გააგრძელა, არ იცოდა, როგორ ითქმოდა ჩინურად „მოკვლა“.

- ნიი..., ახლა მოგკლავ!

ორივე ჩინელმა ერთად მოხედეს, მაგრამ შიში არც ერთს არ დასტყობია. ტაგუტიმ ხიშტი მოიმარჯვა. ჩინელებმა რამდენჯერმე დაუკრეს თავი სივრცეს - მარჯვნივ, მარცხნივ, პირდაპირ. „სამშობლოს ემშვიდობებიან“, - გაიფიქრა ჯარისკაცმა ტაგუტიმ. თავის დაკვრას რომ მორჩნენ, ჩინელებმა კისრები წაიგრძელეს და გაშეშდნენ. ისინი უკვე შეგუებოდნენ სიკვდილს. ჯარისკაცმა ტაგუტიმ შაშხანა ასწია, მაგრამ ჩინელები ისე მორჩილად ისხდნენ, რომ გული არ უშვრებოდა, ხიშტი ჩაეცა.

- ნიი, ახლა მოგკლავთ! - უნებლიეთ გაიმეორა მან. ამ დროს სოფლიდან მომავალი

მხედარი გამოჩნდა.

- ეი, ჯარისკაცო!

მხედარი მოახლოვდა. იგი ფელდფებელი გამოდგა. ჩინელები რომ დაინახა, ცხენი შეაჩერა და ქედმაღლურად ჰკითხა ტაგუტის:

- რუსების ჯაშუშებია? ეტყობა, ისინი არიან. მოიტა, ერთი მე დამაჩეხინე. ჯარისკაცმა ტაგუტიმ ღრეჭვით მიუგო:

- თუ გინდა, ორივეს დაგითმობ. - მართლა? გულუხვი ყოფილხარ!

ფელდფებელი მარდად ჩამოქვეითდა, ზურგიდან მოუარა ჩინელებს და იაპონური ხმალი გააშიშვლა. ამ დროს სოფლის მხრიდან კვლავ გაისმა ფლოქვების ხშირი ხმა - მათკენ სამი ოფიცერი მოაჭენებდა ცხენებს. ფელდფებელმა ახალმოსულებს ყურადღება არ მიაქცია. ხმალი ასწია, მაგრამ სანამ მოიქნევდა, სამი ოფიცერი ტირიფს გაუსწორდა. არმიის სარდალი! ფელდფებელი და ჯარისკაცი ტაგუტი გენერლისაკენ მიბრუნდნენ და სალამი მისცეს.

- რუსების ჯაშუშებია! - თქვა გენერალმა და თვალებში წამით სიგიჟის ცეცხლმა გაუელვა. - დაჩეხე! დაჩეხე!

ფელდფებელმა ერთი მოქნევით წააცალა თავი ახალგაზრდა ჩინელს. მოკვეთილი თავი მიწაზე დაგორდა ფერდობზე. ყვითელი მიწა სისხლის მოზრდილი ლაქით შეიფერა.

- ეგრე! შესანიშნავია! - შეაქო გენერალმა ფელდფებელი, თავი დაუქნია და ცხენი დაძრა.

ფელდფებელმა თვალი გააყოლა გენერალს, მერე მეორე ჩინელს დაუდგა ზურგს უკან და გასისხლიანებლი ხმალი მოიმარჯვა. აშკარად ჩანდა, რომ მას გენერალზე მეტად მოსწონდა ხოცვა-ჟლეტა.

„ამისთანებს... მეც დავხოცავდი“, - გაიფიქრა ჯარისკაცმა ტაგუტიმ და ხმელი ტირიფის ძირას ჩამოჯდა. ფელდფებელმა კვლავ აღმართა ხმალი. წვერიანმა ჩინელმა უხმოდ მიუშვირა კისერი. თვალიც არ დაუხამხამებია...

გენერლის ერთ-ერთი თანმხლები შტაბოფიცერი, პოდპოლკოვნიკი ჰოძუმი ცხენს მიაჭენებდა და დამზრალ ველს გასცქეროდა, მაგრამ ვერც შორეულ გადამხმარ ჭალებს ხედავდა და ვერც იქვე, გზის გვერდზე მიყრილ ქვის ფილებს; თავში ოდესღაც ყველაზე საყვარელი მწერლის, სტენდალის სიტყვები უტრიალებდა:

„როდესაც ორდენებით მკერდდამშვენებულ კაცს ვხედავ, ვფიქრობ, ნეტა რამდენი საშინელების ჩადენის საფასურად მოიპოვა ეს ორდენები-მეთქი“.

როდესაც გამოფხიზლდა, შენიშნა, რომ ძალიან ჩამორჩენოდა გენერალს. პოდპოლკოვნიკი შეკრთა და ცხენს დეზი ჰკრა. ღრუბლებიდან სულ ახლახან გამოჭყეტილი მზის მკრთალი სხივები ოქროს ბუზმენტებზე აუკიაფდა.

3. სპექტაკლი ბანაკში

მეიძის ოცდამერვე წლის 4 მაისს აძინიუბაოში განლაგებული არმიის შტაბში გადაწყვიტეს, ომში დაღუპულთა მოსახსენიებელი დილის წირვის შემდეგ სპექტაკლი გაემართათ. დარბაზის მაგივრობა ღია ცის ქვეშ მოწყობილ ჩინურ სოფლურ თეატრს უნდა გაეწია; სახელდახელოდ მოწყობილ სცენაზე ფარდა ჩამოაფარეს და თეატრი

მზად იყო. ჭილოფებზე, სპექტაკლის დაწყებამდე კარგა ხნით ადრე, ჯარისკაცებმა მოიკალათეს. ჯარისკაცებს ხაკისფერი, შელანძღული მუნდირები ეცვათ და წელზე ხიშტი ეკიდათ, საცოდავი სანახავი იყვნენ, იმდენად საცოდავი, სასაცილოც კი გახლდათ მათთვის მაყურებელი გეწოდებინა. თუმცა იქნებ სწორედ ამიტომ იყო, რომ ჯარისკაცების სახეზე გადაფენილი მხიარული ღიმილი გულს აუჩქარებდა ადამიანს.

არმიის შტაბის ოფიცრები გენერლის მეთაურობით, საეტაპო ინსპექცია და არმიაში მოვლინებული უცხოელი ოფიცრები უკან, შემაღლებულ ადგილზე გამწკრივებულ სკამებზე ისხდნენ. ასეც რომ არ ყოფილიყო, სამხრეებისა და ადიუტანტთა აქსელბანტების წყალობით, ეს რიგი ჯარისკაცთა რიგებზე უფრო ბრწყინვალედ მაინც გამოჩნდებოდა. ამ რიგს ჯარისკაცთა თვალში, სარდალზე უფრო, უცხოელი ოფიცრები მატებდნენ მშვენებას; უცხოელი, თუნდაც მთლად სულელი იყოს, დიდ პატივისცემასა და აღტაცებას იწვევს.

გენერალი დღესაც საუცხოო გუნებაზე იყო. იგი ერთ-ერთ ადიუტანტს ესაუბრებოდა და დროდადრო პროგრამას ჩახედავდა ხოლმე, თვალებში მზის სხივივით ჩასდგომოდა თბილი, მიმზიდველი ღიმილი.

ბოლოს დადგა სპექტაკლის დაწყების დრო. აყვავებული ალუბლებითა და ამომავალი მზით ლამაზად მოხატული ფარდის უკან სარაკუნა აახმიანეს და პორუჩიკმა, რომელსაც ამ საქმის თაოსნობა დაევალა, სწრაფად გადასწია ფარდა.

სცენა იაპონური ბინის ერთ ოთახს წარმოადგენდა. კუთხეში მიწყობილი ბრინჯით სავსე ტომრები მაყურებელს მიანიშნებდა, რომ ოთახი ბრინჯის გასაყიდი დუქანი იყო. სცენაზე მედუქნე შემოვიდა, ტაში შემოკრა და დაიძახა: „ეი, ო-ნაბე! ეი, ო-ნაბე!“ ამ ძახილზე მსახური ქალი გამოვიდა. იგი პატრონზე მაღალი იყო, თმა „იტიოგაესის“ ყაიდაზე ჰქონდა დავარცხნილი. შემდეგ... შემდეგ დაიწყო პიესა, რომლის შინაარსი არც კი ღირს მოსაყოლად.

როცა რომელიმე მსახიობი უხამს ფრაზას გადმოისროდა, ჭილოფზე ფეხმორთხმული მაყურებლები ხარხარს იწყებდნენ. მათ უკან მსხდომი ოფიცრების უმეტესობაც იღიმებოდა. შემსრულებლები, ჩანს, გაახალისა მაყურებელთა ხარხარმა და მათ ხუმრობას ბოლო არ უჩანდა. მერე ფუნდოსიანმა[141] მედუქნემ ჭიდაობა დაუწყო მოსამსახურე ქალს, რომლის თეძოებს მხოლოდ ვიწრო ნაჭერი ფარავდა. ხარხარმა იმატა. ერთმა საეტაპო ინსპექციის კაპიტანმა კინაღამ ტაშის ცემა ატეხა და აი, სწორედ ამ დროს ახარხარებულ დარბაზს გრგვინვასავით გადაუარა მრისხანე ხმამ:

- ეს რა უმსგავსობაა! დახურეთ ფარდა! ფარდა!

ეს გენერალი იყო. ხელთათმანიანი ხელები ხმლის მსხვილ ვადაზე დაეწყო და პირგამეხებული მისჩერებოდა სცენას.

პორუჩიკმა ბრძანება შეასრულა - გაოგნებულ მსახიობებს სასწრაფოდ ჩამოაფარა ფარდა. ჭილოფზე მსხდომი მაყურებლები გაირინდნენ, თეატრში სიჩუმემ დაისადგურა, მხოლოდ საიდანღაც ისმოდა ძლივსგასაგონი შარიშური. უცხოელ ოფიცრებსა და მათ გვერდით მჯდომ პოდპოლკოვნიკ ჰოძუმის გული დასწყდათ, რომ მხიარულება შეწყდა. პოდპოლკოვნიკ ჰოძუმის, რა თქმა უნდა, ღიმილიც ვერ

მოჰგვარა პიესამ, მაგრამ შეგნებული კაცი იყო და თავის აზრს არავის ახვევდა თავზე. გარდა ამისა, რამდენიმე წელი ეცხოვრა ევროპაში, კარგად იცნობდა იქაურებს და იცოდა, რომ ეს ოფიცრები შიშველი მოჭიდავეების დანახვას არ შეიცხადებდნენ.

- რა მოხდა? - გაოცებით ჰკითხა ერთმა ფრანგმა ოფიცერმა პოლკოვნიკ ჰოძუმის.

- გენერალმა სპექტაკლის შეწყვეტა ბრძანა.

- რატომ?

- უხამსობაა... გენერალს უხამსობა არ უყვარს.

ამ დროს სცენიდან კვლავ მოისმა სარაკუნას ხმა. მიჩუმებული ჯარისკაცები ახმაურდნენ. აქა-იქ ტაში გაისმა. პოდპოლკოვნიკმა ჰოძუმიმ შვებით ამოისუნთქა და ირგვლივ მიმოიხედა. გვერდით მსხდომი ოფიცრები, ეტყობა, უხერხულობას გრძნობდნენ - იშმუშნებოდნენ, ხან სცენას შეხედავდნენ, ხან გვერდზე მიაბრუნებდნენ თავს. მხოლოდ გენერალს ეწყო კვლავინდებურად ხელები ხმლის ვადაზე, თვალმოუშორებლად მიშტერებოდა სცენას, სადაც უკვე ნელ-ნელა ხსნიდნენ ფარდას. შემდეგი პიესა პირველისაგან სრულიად განსხვავდებოდა - ძველებური სანტიმენტალური დრამა გახლდათ და დეკორაციაც შესაფერისი ჰქონდა. სცენაზე მხოლოდ თეჯირები და ერთადერთი ანთებული ფარანი იდგა. ფართოყვრიმალებიანი ახალგაზრდა ქალი და ყელმოქცეული ქალაქელი კაცი საკეს სვამდნენ. ქალი დროდადრო წრიპინა ხმით გამოელაპარაკებოდა ქალაქელს, რომელსაც „ახალგაზრდა ბატონს“ უწოდებდა, შემდეგ... პოდპოლკოვნიკი ჰოძუმი, სცენას თვალი რომ მოაშორა, მოგონებებში ჩაიძირა: „რიუსეიძას“ თეატრის ამფითეატრის მოაჯირს თორმეტიოდე წლის ყმაწვილი დაყრდნობია. სცენაზე ტოტებდახრილი ალუბლები ჰყვავის. მოჩანს განათებული ქალაქის დეკორაცია, რომლის შუაში ცნობილი ბარძაემონი დგას. ხელში ჭილის შლაპა უჭირავს. ბანძაემონი იაპონელ მეკობრეს ასახიარებს. ყმაწვილი სუნთქვაშეკრული მიჩერებია სცენას. ერთ დროს ხომ თვითონაც უთამაშია ეს როლი...

- საზიზღარი სპექტაკლია! როდის დახურავენ ფარდას! ფარდა! ფარდა! - ქვემეხივით დაიქუხა გენერალმა და პოდპოლკოვნიკი ფიქრებიდან გამოერკვა. მან კვლავ შეხედა სცენას. სცენაზე უკვე გამოვარდნილიყო პორუჩიკი და ფარდას ხურავდა. პოდპოლკოვნიკმა ისღა დაინახა, რომ თეჯირზე ქალისა და მამაკაცის ქამრები ეკიდა.

პოდპოლკოვნიკს დამცინავმა ღიმილმა მოუღრიცა ტუჩები. „ძალზე მოუსაზრებელი ყოფილა ამ თეატრის უფროსი! თუ გენერალმა ქალისა და კაცის ჭიდაობა აკრძალა, განა სასიყვარულო სცენას მოიწონებდა?“ პოდპოლკოვნიკი გენერალს მიაჩერდა და სმენა გაამახვილა: გენერალი ხმამაღლა, გაბრაზებით ელაპარაკებოდა სპექტაკლის მომწყობს.

პოდპოლკოვნიკს მოესმა, როგორ ჩაულაპარაკა ერთმა ენამწარე ამერიკელმა ოფიცერმა თავის გვერდით მჯდომ ფრანგ ოფიცერს:

- ცუდ დღეშია გენერალი ნ-ი: არმიის სარდლობაც მას აკისრია და ცენზორობაც!

მესამე პიესა ათიოდე წუთის შემდეგ დაიწყო. ამჯერად ჯარისკაცებს სარაკუნას ხმის გაგონების შემდეგაც არ დაუკრავთ ტაში. „სამწუხაროა! სპექტაკლსაც კი ვერ უნდა უყურონ მეთვალყურის გარეშე!“ პოდპოლკოვნიკი ჰოძუმი თანაგრძნობით მიჩერებოდა ხაკისფერ მუნდირებში გამოწყობილ ბრბოს, რომელიც ხმამაღლა ლაპარაკსაც კი ვერ ბედავდა.

მესამე პიესაში სცენაზე შავი ფარდის წინ სამიოდე ტირიფი იდგა. ტირიფები ნამდვილი იყო, ცოცხალი, მწვანე - სულ ახლახან მოეჭრათ სადღაც. წვეროსანი კაცი, ალბათ პრისტავი, ახალგაზრდა პოლიციელს ლანძღავდა. პოდპოლკოვნიკმა ჰოძუმიმ გაოცებით ჩახედა პროგრამას. პროგრამაში ეწერა: „დამბაჩიანი ყაჩაღი სიმიძუ სადაკიტი. შეპყრობის სცენა მდინარის ნაპირას“.

როცა პრისტავი წავიდა, ახალგაზრდა პოლიციელმა თავლები მაღლა აღაპყრო და აწუწუნდა. ამ გრძელი მონოლოგის შინაარსი ის იყო, რომ თურმე პოლიციელი დიდ ხანია დასდევდა „დამბაჩიან ყაჩაღს“, მაგრამ დღემდე ვერ შეეპყრო. შემდეგ ვითომ დაინახა ყაჩაღი და, თვალში რომ არ მოხვედროდა, გადაწყვიტა მდინარეში ჩასულიყო. იგი თავით შეძვრა შავი ფარდის ქვეშ. რაც უნდა მოწყალე თვალით შეგეხედა ამ სცენისათვის, მაინც ვერ მიამგვანებდი წყალში ჩაყვინთვას. უფრო კოღოებისაგან თავდასაცავი ბადის ქვეშ შეძრომას ჰგავდა.

ცოტა ხანს სცენა ცარიელი იყო. მხოლოდ დოლის ხმა ისმოდა - ეტყობა, ამით ტალღების ხმაურის გადმოცემა უნდოდათ. მერე ბრმა გამოვიდა სცენაზე და ჯოხის კაკუნით მიიწევდა წინ. უცებ შავი ფერდის უკნიდან პოლიციელი გამოხტა. „დამბაჩიანო ყაჩაღო, სიმიძუ სადაკიტი, საქმე მაქვს!“ - შეჰყვირა მან და ბრმას ეცა. ბრმა მაშინვე საჩხუბრად შეიმართა, თანაც ფართოდ დააჭყიტა თვალები.

„თვალები კი, სამწუხაროდ, ძალიან პატარა აქვს“, - გაიფიქრა პოდპოლკოვნიკმა და ბავშვურად გაიღიმა.

სცენაზე ორთაბრძოლა დაიწყო. დამბაჩიან ყაჩაღს, როგორც მის სახელს შეეფერებოდა, მართლაც ჰქონდა დატენილი დამბაჩა. ორი გასროლა... სამი გასროლა. დამბაჩა ზედიზედ ისროდა, მაგრამ პოლიციელმა ბოლოს და ბოლოს იყოჩაღა და „ბრმა“ გათოკა.

ჯარისკაცები როგორც მოსალოდნელი იყო, გამოცოცხლდნენ, მაგრამ ხმა კვლავ არ ამოუღიათ. პოდპოლკოვნიკმა გენერალს გადახედა. იგი ამჯერად ყურადღებით მისჩერებოდა სცენას და სახეზე უკვე კმაყოფილება ეტყობოდა.

სცენაზე პოლიციის უფროსი შემოვარდა, თან ხელქვეითები შემოჰყვნენ. ბრმასთან შეტაკებისას ტყვიით დაჭრილი პოლიციელი უგონოდ დაენარცხა იატაკს. პოლიციის უფროსი დაჭრილის მოსულიერებას შეუდგა, მისი ხელქვეითები კი გათოკილი დამბაჩიანი ყაჩაღის წასაყვანად მოემზადნენ. შემდეგ პოლიციის უფროსსა და პოლიციელს შორის ისეთი გულისამაჩუყებელი საუბარი გაიმართა, როგორც ძველებურ ტრაგედიებშია ხოლმე. უფროსმა, თითქოს ძველი დროის რომელიმე გამოჩენილი მმართველიაო, დაჭრილს ჰკითხა, სიკვდილის წინ ხომ არაფერი გაქვს სათქმელიო. პოლიციელმა მიუგო, სოფელში დედა მყავსო. უფროსმა დაამშვიდა, დედაშენის დარდი ნუ გექნება, არაფერს გავუჭირვებთო. შემდეგ ჰკითხა, კიდევ

რამეზე ხომ არა სწყდებოდა გული მომაკვდავს? არაო, უპასუხა პოლიციელმა, მეტი არაფერი მაქვს სათქმელი, დამბაჩიანი ყაჩაღი შევიპყარი და მეტი არაფერი მინდაო.

ამ დროს მიყუჩებულ დარბაზში მესამედ გაისმა გენერლის ხმა, მაგრამ უკვე ლანძღვაგინება კი არა, გულიდან ამოხეთქილი აღტაცების შეძახილი:

- ყოჩაღ! ნამდვილი იაპონელი ვაჟკაცი ხარ!

პოდპოლკოვნიკმა ჰოძუმიმ კვლავ მალულად გადახედა გენერალს და შენიშნა, რომ მას მზით გარუჯულ ღაწვებზე ცრემლები უციმციმებდა. „გენერალი კარგი კაცია“, - ოდნავი ზიზღითა და ამავე დროს კეთილმოსურნედ გაიფიქრა პოდპოლკოვნიკმა.

გაისმა მქუხარე ტაში. ფარდა ნელ-ნელა დაიხურა. პოდპოლკოვნიკმა ამ ხმაურში დრო იხელთა, წამოდგა და თეატრიდან გავიდა.

ნახევარი საათის შემდეგ პოდპოლკოვნიკი თავის თანამშრომელთან, მაიორ ნაკამურასთან ერთად სეირნობდა სოფლის განაპირას და თან პაპიროსს აბოლებდა.

- სპექტაკლს დიდი წარმატება ხვდა წილად. მისი აღმატებულება ნ-ი ძალიან კმაყოფილია, ამბობდა მაიორი და თან თავის „კაიზერულ“ ულვაშს იგრეხდა.

- სპექტაკლს? ჰო, „დამბაჩიან ყაჩაღს“?

- მარტო „დამბაჩიან ყაჩაღს“ კი არა. მისმა აღმატებულებამ თეატრის უფროსს უხმო და უბრძანა, დამატებით კიდევ ერთი პიესა ეთამაშათ. უფრო სწორად, იმ პიესის ნაწყვეტი, აკაგაკი კენძოს[142] ამბავზე რომ არის დაწერილი. რა ჰქვია იმ სცენას? „ტოკური[143]-ნო ვაკარე[144]“ არა?

პოდპოლკოვნიკი ჰოძუმი თვალებით იღიმებოდა და გაჰყურებდა ვრცელ, უკვე მწვანედ აბიბინებულ ველს, რომელსაც მსუბუქი ოხშივარი ასდიოდა.

- იმასაც დიდი წარმატება ხვდა წილად, - განაგრძობდა მაიორი ნაკამურა, - ამბობენ, მისმა აღმატებულებამ თეატრის უფროსს დაავალა, დღეს შვიდ საათზე რაიმე საესტრადო საღამოს მაგვარი მოაწყვეო.

- საესტრადო საღამო? სახუმარო ამბების მთხრობელი ხომ არ უნდა გამოიყვანონ სცენაზე?

- არა, რას ამბობ! თქმულებებს მოგიყვებიან. მგონი, მიტოს თქმულება იქნება, „როგორ მოგზაურობდა მთავარი მიტო[145] თავის ქვეყანაში“.

პოდპოლკოვნიკი ჰოძუმი დაიღრიჯა, მაგრამ მაიორმა ამას ყურადღება არ მიაქცია და კვლავ მხიარულად განაგრძო:

- მის აღმატებულებას, როგორც ამბობენ, ძალიან უყვარს მთავარი მიტო. უთქვამს, მე როგორც ერთგული ქვეშევრდომი, ყველაზე უფრო მთავარ მიტოსა და კატო კიიომასას[146] ვაფასებო. პოდპოლკოვნიკმა ჰოძუმიმ მდუმარედ ახედა ზეცას. ტირიფის ტოტებს შუა თხელი, გამჭვირვალე ღრუბლები დაცურავდა. პოდპოლკოვნიკმა ღრმად ჩაისუნთქა.

- გაზაფხულია, მანჯურიაში ვართ და მაინც გაზაფხულია!

- იაპონიაში კი უკვე საზაფხულოდ არიან განწყობილნი.

მაიორმა ნაკამურამ ტოკიოზე დაიწყო ფიქრი. ცოლი გაახსენდა, გემრიელი კერძების გაკეთება რომ იცოდა, შვილები, რომლებიც დაწყებით სკოლაში სწავლობდნენ და... ცოტათი დანაღვლიანდა.

- აი, გარგარიც აყვავებულა!

პოდპოლკოვნიკმა ჰოძუმიმ მხიარულად გაიშვირა ხელი დამაიორს მიწაყრილის გადაღმა, კარგა მოშორებით მდგომი, ვარდისფერად აყვავებული ხეების კორომი დაანახვა. „Ecoute moi Madeleine“, - გაუელვა მოულოდნელად მეხსიერებაში ჰიუგოს სტრიქონმა.

4. მამა და შვილი

ერთხელ გვიან საღამოს, ტაისიოს მეშვიდე წლის[147] ოქტომბერში, წარსულში შტაბის ოფიცერი, ახლა კი გენერალ-მაიორი ნაკამურა ჩაფიქრებული იჯდა საკუთარ, ევროპულად გაწყობილ სასტუმრო ოთახის კუთხეში მდგომ სავარძელში და სიგარას აბოლებდა.

ნაკამურა ოც წელზე მეტი იყო, რაც აღარ მსახურობდა და ამდენი ხნის მშვიდ ცხოვრებას სათნო მოხუცად ექცია. ამ საღამოს კი, ალბათ, იაპონური სამოსის, შეთხელებული თმისა და სქელი ტუჩების წყალობით, მეტისმეტად გულკეთილი და უწყინარი ჩანდა. ნაკამურა სავარძლის საზურგეს მიეყრდნო, ნელა მოათვალიერა ოთახი და უცებ ამოიხვნეშა.

კედლებზე ფოტოსურათები ეკიდა - ევროპული ნახატების რეპროდუქციები. ერთერთ მათგანზე ფანჯარასთან მომდგარი დანაღვლიანებული გოგონა იყო გამოსახული. მეორეზე - პეიზაჟი: კვიპაროსების ტოტებში მომწყვდეული მზე. ელექტრონის შუქზე ფოტოსურათები თითქოს სუსხსა და მედიდურობას მატებდა ამ ძველებურ სასტუმრო ოთახს. მგონი სწორედ ეს არ მოეწონა გენერალ-მაიორს.

ოთახში ცოტა ხანს სიჩუმე მეფობდა. შემდეგ გენერალ-მაიორს ფრთხილი დაკაკუნება მოესმა.

- შემოდი!

სასტუმროში მაღალი, სტუდენტისფორმიანი ჭაბუკი შემოვიდა, გენერალ-მაიორს მიუახლოვდა, ხელი სკამის ასაღებად გაიწოდა და ცოტა არ იყოს, უხეშად ჰკითხა:

- გინდა რაიმე, მამა?

- ჰო, დაჯექი! ჭაბუკი მორჩილად დაჯდა.

- რა მოხდა? გენერალ-მაიორმა თვალი ააყოლა შვილის მუნდირის ოქროს ღილებს და

ჰკითხა:

- დღეს რაღა იყო?

- დღეს კავაის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო გვქონდა, მამა, ალბათ, არ იცნობდი. ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი იყო, ჩემი ფაკულტეტის. ახლა სწორედ იქიდან მოვდივარ.

გენერალ-მაიორმა თავი დაუქნია, ჰავანური სიგარა მოქაჩა და ბოლო მსხვილი ბოლქვები გამოუშვა. შემდეგ წელში გასწორდა და მთავარ საკითხებზე გადავიდა:

- აი, ეს სურათები კედელზე... შენ შეცვალე?

- კი. ვეღარ მოვასწარი, მეთქვა. ამ დილას შევცვალე. რა, ცუდია?

- არა, მაგიტომ არ გეუბნები. ცუდი კი არ არის, მაგრამ მინდოდა, რომ მისი აღმატებულება ნ-ის სურათი მაინც დაგეტოვებინა.

- ამის გვერდით? - უნებლიეთ გაეღიმა ჭაბუკს.

- ვითომ ამის გვერდით არ შეიძლება ეკიდოს?

- როგორ არ შეიძლება, მაგრამ სასაცილო იქნება.

- რატომ, სხვა პორტრეტებიც ხომ კიდია! - გენერალ-მაიორმა ბუხრის თავისაკენ გაიშვირა ხელი. გენერალ-მაიორს ჩარჩოდან მშვიდად უმზერდა ორმოცდაათი წლის რემბრანდტი.

- ეს სულ სხვა რამაა. ამის დაკიდება არაფრით არ შეიძლება გენერალ ნ-ის გვერდით.

- მართლა?! რა გაეწყობა. საშველი არ ყოფილა.

გენერალ-მაიორმა ადვილად დაუთმო შვილს, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ კვლავ გამოუშვა პირიდან სიგარის ბოლი და წყნარი ხმით კითხა:

- შენ რას... უფრო სწორად, რას ფიქრობთ შენ და შენი ტოლები მის აღმატებულებაზე.

- არაფერსაც არ ვფიქრობ. ალბათ შესანიშნავი ჯარისკაცი იყო.

ჭაბუკმა შენიშნა, რომ მამამისს ბებრულ თვალებში სიმთვრალე ჩასდგომოდა. ეტყობა, ცოტაოდენი საკე დაელია ამ საღამოს.

- რასაკვირველია, შესანიშნავი ჯარისკაცი და, გარდა ამისა, ნამდვილად კეთილი გულის ადამიანი იყო. მამობრივ მზრუნველობას იჩენდა ყველასადმი.

და გულაჩუყებულმა გენერალ-მაიორმა გენერლის ცხოვრების ერთი ეპიზოდის მოყოლა დაიწყო. ეს ამბავი იაპონია-რუსეთის ომის შემდეგ მომხდარა, როცა ნაკამურა გენერალთან სტუმრად მისულა ვილაში, ნასუს დაბლობზე. ვილაში რომ მივიდა, დარაჯს უთქვამს, გენერალი და მისი ცოლი ეს-ესაა მთაში წავიდნენ სასეირნოდო. გენერალ-მაიორმა გზა იცოდა და მაშინვე მიჰყვა მათ კვალს. ორი-სამი ტიო რომ გაიარა, უბრალო კიმონოში გამოწყობილი გენერალი დაინახა; ცოლიც გვერდით ედგა. გენერალ-მაიორი ცოტა ხანს ესაუბრა მოხუცებს. გენერალი ადგილიდან დაძვრას არ აპირებდა. მაშინ გენერალ-მაიორმა ჰკითხა, აქ რაიმე საქმე ხომ არა გაქვთო. გენერალმა გაიცინა და მიუგო: „იცით რა, ცოლმა მითხრა, საპირფარეშოში მინდა შესვლაო და მოწაფეები, ჩვენთან ერთად რომ მოსეირნობდნენ, ადგილის მოსაძებნად გაიქცნენ. ჰო და, ჩვენც ვდგავართ და ველოდებით“... იმ დროს გზის პირას, მახსოვს, ჯერ კიდევ ეყარა წაბლი... (გენერალ-მაიორმა თვალები მოჭუტა და მხიარულად გაიღიმა). უცებ სიყვითლეშეპარული ტყიდან ჟივილ-ხივილით გამოცვივდნენ მოწაფეები, ისინი გენერალს შემოეხვივნენ ირგვლივ, გენერალ-მაიორს არ დაერიდნენ და ყველანი ერთად ალაპარაკდნენ, ასეთი და ასეთი ადგილი ვნახე და არა მე წავიყვან, არა მეო.

-
„მაშინ კენჭი ვყაროთ“, - თქვა გენერალმა და სიცილით შეხედა გენერალ-მაიორს.

ჭაბუკსაც გაეცინა...

- უბრალო, ალალი კაცი ყოფილა, მაგრამ ევროპელები ვერ გაუგებდნენ.

აი, რა უბრალოდ იქცეოდნენ მაშინ! ამიტომ, საკმარისი იყოთორმეტი წლის მოწაფესთან მისი აღმატებულების სახელი გეხსენებინათ, რომ მაშინვე შეატყობდით, რა სიყვარულით იყო ეს ბავშვი გამსჭვალული ამ ხნის კაცისადმი. ღვიძლი ბიძასავით უყვარდათ. არა, თქვენ ყველანი ცდებით. მისი აღმატებულება მარტო ჯარისკაცი არ ყოფილა.

ეს სასიამოვნო საუბარი რომ დაამთავრა, გენერალ-მაიორი კვლავ ბუხრის თავზე ჩამოკიდებულ რემბრანდტის პორტრეტს მიაჩერდა.

- ესეც გამოჩენილი ადამიანია?

- დიახ. დიდი მხატვარი იყო.

- მისი აღმატებულება ნ-ი? ჭაბუკი შეცბუნდა.

- არც კი ვიცი, როგორ ვთქვა... ეს კაცი უფრო მეხატება გულზე, ვიდრე გენერალი ნ-ი. -

მისი აღმატებულება თქვენთვის ძალიან შორეული და შეუცნობელია?

- რა მოგახსენო? ავიღოთ თუნდაც ასეთი მაგალითი: აი, კავაი, რომლის მოსაგონრად შევიკრიბეთ ამ საღამოს; იმანაც თავი მოიკლა, მაგრამ მანამდე, - ჭაბუკი დინჯად მიაშტერდა მამას თვალებში, - თვითმკვლელობის წინ სურათის გადასაღებად არა სცხელოდა. ამჯერად გენერალ-მაიორის კეთილ თვალთაგან დაბნეულობა გამოკრთა.

- განა უკეთესი არ იქნებოდა, გადაეღო? სამახსოვროდ დარჩებოდა.

- ვის დარჩებოდა?

- ვინმეს კი არა... თუმცა, რატომ? განა ცუდია, მაგალითად, რომ ჩვენ საშუალება გვაქვს, ვიხილოთ მისი აღმატებულება ნ-ის ხატი სიცოცხლის უკანასკნელ წუთებში?

მე მგონია, რომ ამაზე გენერალ ნ-ს არ უნდა ეფიქრა. რატომ მოიკლა თავი, ასე თუ ისე, შემიძლია მივხვდე, მაგრამ ვერაფრით ვერ გამიგია, რატომ გადაიღო სურათი. ვითომ იმიტომ, რომ სიკვდილის შემდეგ მისი პორტრეტი ვიტრინებში გამოეკიდათ? გენერალ-მაიორი გაცეცხლდა და ჭაბუკს სიტყვა შეაწყვეტინა:

- ეგ წარმოუდგენელია! მისი აღმატებულება ობივატელი არ გახლავთ. სულით და გულით წრფელი ადამიანი იყო. ჭაბუკმა კვლავ მშვიდად განაგრძო:

- რასაკვირველია, ობივატელი არ იყო, შემიძლია ვიწამო, რომ გულწრფელი და ხალასი იყო. მაგრამ ასეთი გულწრფელობა საკმაოდ გაუგებარია ჩვენთვის და არც ისა მჯერა, რომ ჩვენს შემდეგ მოსული თაობისათვის იქნება გასაგები.

-
მამა-შვილს შორის უხერხული დუმილი ჩამოვარდა.

- სხვა დრო დადგა! - ამოიოხრა გენერალ-მაიორმა კარგა ხნის შემდეგ.

ჰო... - თქვა ჭაბუკმა, დაჟინებით მიაჩერდა ფანჯარას და ისეთი გამომეტყველება მიიღო, თითქოს ძალიან აინტერესებდა, თუ რა ხდებოდა გარეთ.

- წვიმა მოდის, მამა.

- წვიმა?

გენერალ-მაიორს ესიამოვნა საუბრის თემის შეცვლა. მან ფეხები გამართა და ჩაილაპარაკა:

- ვაითუ, ისევ დააყრევინოს ყვავილი კომშს!

იანვარი***, 1922***წ. თარგმნა

ანდუყაფარ ჭეიშვილმა

გენერალი

1. „თეთრნიშნიანთა“ რაზმი

ეს ამბავი მეიძის ოცდამეშვიდე წლის 6 დეკემბრის განთიადისას მოხდა. „თეთრნიშნიანთა“ დივიზიის N პოლკი 93-ე სიმაღლის ჩრდილო ფერდობიდან დაიძრა. პოლკს იერიშით უნდა აეღოთ სუნშუშანის მთაზე მოწყობილი დამატებითი ფორტი.

გზას ერთი მხრიდან მთა ეფარებოდა, ამიტომ ჯარისკაცები ოთხ-ოთხ კაციან კოლონებად დააწყვეს და თეთრნიშნიანი, მხარზე შაშხანაგადაკიდებული მეომრები ხრიოკ და და ჯერ კიდევ ბნელით მოსილ გზას დაადგნენ. ნამდვილად ტრაგიკული სურათი იყო! ეს მეთაურს, კაპიტან მ-საც შეეტყო სახეზე - ჩაუდგა თუ არა კოლონას სათავეში, უჩვეულოდ მიყუჩდა და ფიქრებში წავიდა. მხოლოდ ჯარისკაცები არ კარგავდნენ მხნეობასა და ხალისს. ამის მიზეზი იაპონური სულის - „იამატოდასიის“ ძლიერება და არყის ძალა იყო.

ცოტა ხნის შემდეგ რაზმი მდინარის ღორღიან ხეობაში შევიდა. ხეობაში ძლიერი ქარი ქროდა.

- შენ, ერთი უკან მიიხედე! - უთხრა პირველი თანრიგის ჯარისკაცმა ტაგუტიმ, ყოფილმა

ქაღალდით მოვაჭრემ, იმავე ასეულის პირველი თანრიგის ჯარისკაც ხორიოს - ყოფილ დურგალს. - შეხედე, ყველა გვესალმება!

ჯარისკაცმა ხორიომ უკან მიიხედა. მართლაც, მათ უკან, გორაკზე, რომელიც შავად მოჩანდა ვარდისფრად შეფერილი ცის ფონზე, პოლკის უფროსი და ოფიცრები იდგნენ

-
და სამხედრო სალამს აძლევდნენ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში მიმავალ მეომრებს.

- რას იტყვი? „თეთრნიშნიანთა“ რაზმში მოხვედრა დიდი პატივია, არა?

- შენც ერთი, რა დიდი პატივია?! - ბოღმიანად ჩაილაპარაკა ჯარისკაცმა ხორიომ და მხარზე გადაკიდებული შაშხანა შეისწორა. - ყველანი სასიკვდილოდ მივდივართ.

მოილაპარაკეს: შევაგულიანოთ, შევაქოთ, და სასიკვდილოდ გავისტუმროთო. თვითონ რას კარგავენ!

- ეგრე არ შეიძლება, ასეთი ლაპარაკი არ შეგვფერის, იმპერატორის ჯარისკაცები ვართ.

- მომწყდი თავიდან! ბევრი იცი, რა შეიძლება და რა არა. ვითომ რა, ქუდთან ხელი რომ მიიტანო, უფასოდ დაგალევინებენ არაყს ჯარისკაცთა ფარდულში?

კარისკაცმა ტაგუტიმ იყუჩა: მან უკვე კარგად იცოდა მეგობრის ხასიათი - ცოტას დალევდა თუ არა, ბოღმა მოაწვებოდა გულზე და დაურიდებელ ქილიკს იწყებდა. ჯარისკაცი ხორიო კი განაგრძობდა:

- არა, ქუდთან ხელის მიტანით ვერაფერს მიიღებ. ესენი კი გაიძახიან, აი, სახელმწიფოს შველა უნდა, აი, იმპერატორს თავი უნდა შევწიროთო, მაგრამ ყველაფერი ტყუილი და სისულელეა! შენ რაღას იტყვი, ძმაო? მართალს არ ვამბობ? - მიუბრუნდა ხორიო ეფრეიტორ ეგის.

ეს წყნარი ეფრეიტორი იმავე ასეულში მსახურობდა. ჯარში წასვლამდე დაწყებითი სკოლის მასწავლებელი იყო. ამჯერად, რატომღაც, ისე გაშმაგდა, რომ ცოტაც და, მუშტიკრივზე გადავიდოდა. იგი მთვრალ ხორიოს მიუტრიალდა და ღვარძლიანად მიახალა:

- ბრიყვო, თავის განწირვა ჩვენი მოვალეობაა!

„თეთრნიშნიანთა“ რაზმი ამ დროს ხეობის გადაღმა ფერდობზე ადიდა. ფერდობზე მდგომი ტალახით შელესილი ექვსი თუ შვიდი ფანზა მდუმარედ ხვდებოდა განთიადს. ფანზების სახურავს მიღმა სუნშუშანის ცივი, მოწითალო მთა აღმართულიყო. მთას აქა-იქ, თითქოს ხელით დახატული, მომწვანო ნაკეცები ამშვენებდა. სოფელს რომ გასცდნენ, კოლონა გაიშალა.

მძიმედ შეჭურვილი მეომრები მთის ბილიკებს შეეჭიდნენ, ცოტა ხნის შემდეგ კი ხოხვით დაიწყეს წინსვლა მტრის პოზიციებისაკენ. ეფრეიტორი ეგიც, სხვებთან ერთად, ხოხვით მიიწევდა წინ და თან ყურებში ედგა ჯარისკაც ხორიოს სიტყვები: „ვითომ რა, ქუდთან ხელი რომ მიიტანო, უფასოდ დაგალევინებენ არაყს ჯარისკაცთა ფარდულში?“ ეს სიტყვები თავში უტრიალებდა, მაგრამ ბუნებით ჩუმი და უთქმელი კაცი იყო და თავის აზრებს არავის უზიარებდა. და მაინც ხორიოს ნათქვამმა ძალზე გააღიზიანა და ისეთი გულისმომწყვლელი ტკივილი მოჰგვარა, თითქოს ძველმა ჭრილობამ გაუხსენაო. ნადირივით ოთხზე მიფოფხავდა დამზრალ ბილიკზე და ომსა და სიკვდილზე ფიქრობდა. სანუგეშო და დამამშვიდებელი არაფერი ჩანდა. თვით იმპერატორისათვის თავის გაწირვაც კი... სიკვდილი მაინც საშინელი რამ არის. ომი კი... ეფრეიტორი ომს თითქმის არ თვლიდა დანაშაულად. დანაშაული სულ სხვაა, უფრო ადვილი დასადგენია, რადგან მისი წყარო ცალკეულ ადამიანთა ვნებებშია საძიებელი, ომი კი იმპერატორის სამსახურად ითვლება. ეგის და მარტო ეგის კი არა, ორიათას კაცზე მეტს, რომლებიც სხვადსხვა დივიზიიდან შეკრიბეს და „თეთრნიშნიანთა“ რაზმში ჩარიცხეს, სხვა გზა არა აქვთ, თავი უნდა ანაცვალონ იმპერატორს.

- მოვედით, მოვედით! შენ რომელი პოლკიდან ხარ?

ეფრეიტორმა ეგიმ თვალი მოავლო მიდამოს. უკვე სუნშუანის ფერდობს მისდგომოდნენ; ეს

რაზმების შესაკრები პუნქტი იყო. აქ თავი შეეყარათ სხვადასხვა დივიზიიდან შეკრებილ ჯარისკაცებს, რომელთაც ხაკისფერი მუნდირები ეცვათ ზედ მიმაგრებული ძველმოდური ნიშნებით.

ეგის ერთ-ერთმა მათგანმა გადმოსძახა, რომელი პოლკიდან ხართო?

იგი ქვაზე ჩამომჯდარიყო, ზურგი ძალაგამოცლილი მზის სხივებისათვის მიეშვირა და ღაწვიდან ფრჩხილებით იღებდა ფერიმჭამელას.

- N პოლკიდან, - უპასუხა ეგიმ.

- თბილი ადგილისათვის მიგიგნია! - გაეხუმრა ჯარისკაცი.

ეფრეიტორმა არც არაფერი უპასუხა და არც მოღუშული შუბლი გახსნა.

რამდენიმე საათის შემდეგ ქვემეხების სროლა ატყდა. ქვეითი ჯარის თავზე ღრიალით გადადიოდა საკუთარი თუ მტრის ყუმბარები. მეომართა ცხვირწინ აზიდული სუნშუშანის ფერდობიდან დროდადრო ყვითელი მტვრის ღრუბელი ადიოდა ცაში - ამ ფერდობს

ლიაძიტუნიდან უშენდა ცეცხლს ჩვენი საზღვაო არტილერია. მტვრის ღრუბელი აიჭრებოდა ზევით და ფერდობზე იისფრად გაიელვებდა აფეთქებული დენთი. ეს გაელვება დღისით ბევრად უფრო თავზარდამცემია, ვიდრე ღამის სიბნელეში, მაგრამ „თეთრნიშნიანთა“ ორიათასიანი რაზმი კვლავ ძველ პოზიციაზე იდგა, შეტევისათვის ხელსაყრელ დროს ელოდა და მხნეობას არ კარგავდა. უფრო სწორად, შიშს რომ არ დაეთრგუნა, ცდილობდა, როგორც შეეძლო ემხიარულა.

- ჯოჯოხეთურად აბათქუნებენ!

ჯარისკაცმა ხორიომ ცას ახედა. იმავ წამს ზედ თავზე გადაუქროლა ყუმბარამ. გრიალის გაგონებაზე ხორიომ თავი მხრებში ჩარგო და ხმა რომ მიწყდა, ჯარისკაც ტაგუტის მიუბრუნდა (მას სახეზე ცხვირსახოცი აეფარებინა, რომ ქვიშა და მტვერი არ შეყროდა).

- ოცდარვასანტიმეტრიანი იყო.

ჯარისკაცმა ტაგუტიმ ნაძალადევად გაუღიმა და ცხვირსახოცი ჯიბეში ჩაიდო - არ უნდოდა, ხორიოს დაენახა ეს კიდეებშემოქარგული ცხვირსახოცი - იგი ერთმა მეგობარმა გეიშამ აჩუქა ფრონტზე წამოსვლის წინ.

- ოცდარვასანტიმეტრიანს სხვანაირი ხმა აქვს, - მიუგო ტაგუტიმ, მერე შეცბა და წელში გასწორდა. სხვა ჯარისკაცებიც, თითქოს ვიღაცამ უბრძანაო, ლარივით გაიჭიმნენ ერთიმეორის გვერდით. რაზმს მედიდურად უახლოვდებოდა არმიის მთავარსარდალი - გენერალი N. უკან რამდენიმე შტაბოფიცერი მოსდევდა.

- წყნარად, წყნარად! გენერალმა პოზიციას თვალი მოავლო და ხმამაღლა, მკაფიოდ

  წარმოთქვა: - აქ სივიწროვეა, თავისუფლად დადექით. რომელი პოლკიდანა ხართ,

„თეთრნიშნიანებო?“

ჯარისკაცმა ტაგუტიმ გენერლის მზერა იგრძნო და ქალიშვილივით დაიბნა, მაგრამ პასუხი მაინც მოახერხა:

- N ქვეითი პოლკიდან...

- მართლა? აბა, ყოჩაღად იბრძოლე! - გენერალმა ხელი ჩამოართვა, შემდეგ ჯარისკაც ხორიოზე გადაიტანა მზერა, მასაც გაუწოდა მარჯვენა და გაიმეორა: - შენც ყოჩაღად იბრძოლე!

გენერალი მისკენ რომ მიბრუნდა, ხორიო წელში გაიმართა და ისე გაშეშდა, თითქოს ქვისაგან ყოფილიყო გამოქანდაკებული. ძველ გენერალს მოეწონა ეს სახეგარუჯული, მხარბეჭიანი, ძვალმსხვილი და ღაწვმაღალი ჯარისკაცი; აი, ასეთი უნდა იყოს იმპერატორის ყველა კარისკაციო, გაიფიქრა მან, ხორიოს წინ შეჩერდა და ხმას სიფიცხე შემატა:

- აი, იქ, ფორტია, სწორედ იქიდან გვესვრიან. ამაღამ თქვენ აიღებთ მაგ ფორტს, შემდეგ კი ჩვენი რეზერვები ახლომახლო მდებარე. ყველა დანარჩენ სიმაგრეს

დაიმორჩილებენ. მაშასადამე, ყველანი მზად უნდა იყოთ ამ ფორტზე იერიშისათვის. - გენერალმა ხმაში თეატრალური პათოსი გაურია. - გაიგეთ? რასაკვირველია, გზაში არ უნდა გაჩერდეთ, არ უნდა ისროლოთ, ყუმბარებივით უნდა დაატყდეთ თავს იმ ციხესიმაგრეს. აბა თქვენ იცით, ვაჟკაცურად მოიქეცით!

გენერალმა ისე მაგრად ჩამოართვა ხელი ჯარისკაც ხორიოს, თითქოს ამით უნდოდა ეჩვენებინა ყველასათვის, თუ რას ნიშნავდა „ვაჟკაცურად“ მოქცევა, და გზა განაგრძო.

- კარგად ვერა გვქონია საქმე, - ჩაილაპარაკა ჯარისკაცმა ხორიომ, გენერალს თვალი გააყოლა, მერე ჯარისკაც ტაგუტის თვალი ჩაუკრა და დასძინა: - ასეთი ბერიკაცი რომ ჩამოგართმევს ხელს...

ჯარისკაცმა ტაგუტიმ მწარედ ჩაიღიმა. ამის დანახვაზე ხორიომ უხერხულობა იგრძნო, რაღაც არ მოეწონა მეგობრის ღიმილი. ამ დროს საუბარში ეფრეიტორი ეგი ჩაერია:

- რაო, გიყიდა ერთი ხელის ჩამორთმევით? ახლა ჯარისკაცმა ხირიომ გაიღიმა

  ცალყბად:

- არ ვარგა ეგრე, ვითომ რა, ნიშნს მიგებ?

- არა, ვბრაზობ, რომ მარტო შენ დაგდეს პატივი. მეც ხომ მზადა ვარ თავის გასაწირად.

  ეფრეიტორ ეგის ტაგუტიმ უპასუხა:

- მერე რა, აქ ყველა მზად არის, სამშობლოსათვის გაწიროს თავი. ეფრეიტორმა ეგიმ

  შუბლი შეიკრა.

- რატომ ვეწირები, არ ვიცი, და მაინც ვეწირები. ყაჩაღმა რევოლვერი რომ მოგიშვიროს, ხომ ყველა მზად არის, - სამშობლოსათვის გაწიროს თავი.

ეფრეიტორმა ეგიმ შუბლიშეიკრა.

- რატომ ვეწირები, არ ვიცი, და მაინც ვეწირები. ყაჩაღმა რევოლვერი რომ მოგიშვიროს, ხომ ყველაფერზე აიღებ ხელს!

- მეც მაგ აზრისა ვარ, მაგრამ, ყაჩაღს ფულს თუ მისცემ, სიცოცხლეს აღარ წაგართმევს, ჩვენ კი ერთადერთი გზა გვაქვს და ამ გზას მოუსავლეთში მივყავართ. აბა ამას რაღა ეშველება და, თუ სიკვდილი გვიწერია, ღირსეულად მაინც დავიხოცოთ.

ჯერ ისევ სასმელგამოუნელებელმა ხორიომ ზიზღჩამდგარი თვალები მიაპყრო აწუწუნებულ მეგობარს და გაიფიქრა: „ვითომ მარტო სიცოცხლის გაწირვაა საკმარისი? მეტი არაფერი გვევალება?“ მერე ცას მიაჩერდა და გადაწყვიტა, გენერლის თავმდაბლობის საპასუხოდ, ამაღამ ცოცხალ ყუმბარად გადაქცეულიყო...

საღამოს ცხრა საათი იყო დაწყებული, რომ ეფრეიტორი ეგი სუნშუშანის ფერდობზე ეგდო დანახშირებული - ხელყუმბარა აფეთქებოდა ფეხებთან. „თეთრნიშნიანთა“ რაზმის რომელიღაც ჯარისკაცი ეკლიანი მავთულის ღობიდან გამოძვრა, ყვირილყვირილით მიიჭრა ეფრეიტორის გვამთან, გულზე ფეხი დაადგა და ხმამაღლა ახარხარდა. ტყვიების გაბმული სტვენა და საზარელი ხარხარი ერთმანეთს შეერია.

- ბანზაი! გაუმარჯოს იაპონიას! უწმინდურები იარაღს ყრიან! მტერი გაცამტვერებულია! გაუმარჯოს ჩვენს პოლკს! ბანზაი! ბანზაი! ჯარისკაცი შეუჩერებლივ ყვიროდა და თან შაშხანას იქნევდა. ყურადღება არ მიუქცევია ხელყუმბარის აფეთქებისათვის, ზედ ცხვირწინ რომ გაუპო წყვდიადი. აფეთქების შუქმა წამით გამოსტაცა სიბნელეს ჯარისკაცის სახე. იგი ხორიო გახლდათ, გააფთრებული შეტევის დროს თავში დაჭრილიყო და ჭკუიდან გადასულიყო.

2. ჯაშუშები

მეიძის ოცდამეთვრამეტე წლის 5 მარტის დილას, ციუანშენჯუში მდგომი ა ცხენოსანთა ბრიგადის შტაბის ნახევრად ბნელ შენობაში, ორი ჩინელის დაკითხვა მიმდინარეობდა. ისინი, როგორც ჯაშუშობაში ეჭვმიტანილები, ეს-ეს იყო დაეკავებინა N პოლკის ბრიგადის გუშაგს და შტაბში მიეყვანა (ეს პოლკი დროებით შეერთებინათ ცხენოსანთა ბრიგადისათვის). დაბალ ფანზაში არა ციოდა - კანები[140] ათბობდა იქაურობას, მაგრამ ომის პირქუში ატმოსფერო მაინც ყველაფერს დასტყობოდა - აგურით მოგებულ იატაკს წამოდებული დეზი ძველებურად აღარ წკრიალებდა, მაგიდაზე მიყრილ ფარაჯებს პეწი დაჰკარგოდა... დამტვრეულ თეთრ კედელზე ალაგალაგ წითელი ქაღალდის ზოლები მიეკრათ. იქვე ჭიკარტებით მიემაგრებინათ ვიღაც გეიშას ფოტოსურათი. მას ევროპულად ჰქონდა თმა დავარცხნილი. გეიშა შტაბის შენობაში! სასაცილო იყო და სატირალიც!

ჩინელების დაკითხვას ბრიგადის შტაბის ოფიცერი, ადიუტანტი და თარჯიმანი აწარმოებდნენ. პატიმრები ყველა კითხვაზე გარკვეულ და დალაგებულ პასუხს იძლეოდნენ. ერთ-ერთი მათგანი, წვეროსანი, ასაკით უფროსი რომ უნდა ყოფილიყო, თარჯიმანს არც კი აცდიდა შეკითხვის თარგმნას, ისე იწყებდა ლაპარაკს. მაგრამ სწორედ ეს დალაგებული პასუხები აეჭვებდა ოფიცერს და სულ უფრო და უფრო მეტად უცხოველებდა სურვილს, რომ ჩინელები მართლა ჯაშუშები გამომდგარიყვნენ.
- ეი, შენ, ჯარისკაცო! - დუდუნა ხმით გასძახა ოფიცერმა კართან მდგომ გუშაგს. ეს გუშაგი ჩვენი ნაცნობი ტაგუტი იყო, „თეთრნიშნიანთა“ რაზმის ჯარისკაცი, სწორედ მან მოიყვანა ჩინელი შტაბში. ახლა ზურგით იდგა ცხაურიან კართან და გეიშას სურათს მისჩერებოდა. შტაბის ოფიცრის ხმაზე შეკრთა და დაიღრიალა:

- გისმენთ!

- შენ შეიპყარი ესენი? როდის შეიპყარი?

უეშმაკო ტაგუტი ისე ალაპარაკდა, თითქოს გადაშლილი წიგნი უდევს წინ და კითხულობსო.

- მე სოფლის ჩრდილო განაპირას ვიდექი საგუშაგოზე, მუკდენის გზაზე. როდესაც ასეულის უფროსი ხეზე აფოფხდა...

- რაო? ასეულის უფროსი ხეზე აფოფხდა? - აჭიმა წარბები შტაბის ოფიცერმა.

- დიახ, ასე იყო. ასეულის უფროსი მიდამოს დასაზვერად აფოფხდა ხეზე. უფროსმა ამათზე მიბრძანა, ისინი დაიჭირეო. მაგრამ როცა ვიჭერდი, აი ეს... დიახ, აი, ეს პირტიტველა გაიქცა.

- სულ ეგ იყო?

- დიახ, სულ ეს იყო.

- კეთილი.

შტაბის ოფიცერს გაჟინჟღილებულ სახეზე შეეტყო, რომ მეტ სამხილს მოელოდა გუშაგისაგან. მან შემდგომი კითხვა დაუსვა ტყვეებს. თარჯიმანმა სწრაფად და ხმამაღლა თარგმნა, რადგან არ უნდოდა ვინმეს შეემჩნია, რომ საშინლად მობეზრდა ეს დაკითხვა.

- რატომ გარბოდი, თუ ჯაშუში არა ხარ?

- როგორ არ გავიქცეოდი, როცა ეს იაპონელი ჯარისკაცი გიჟივით მეცა? - მიუგო ფერმკრთალმა ჩინელმა, რომელიც ალბათ ოპიუმის მწეველი იყო.

- კი, მაგრამ, თქვენ ხომ ბრძოლის ხაზზე მიდიოდით? მშვიდობიან მცხოვრებს იმ გზაზე არაფერი ესაქმება... - ჩაურთო ადიუტანტმა ჩინურად და ბოროტად მიანათა თვალები ჩინელის ტყვიისფერ სახეს.

- რატომ არ ესაქმება? ახლახან მოგახსენებდით, რომ სინმინტუნში ვაპირებდი წასვლას, ქაღალდის ფული გვინდოდა გადაგვეხურდავებინა. აი, აქა გვაქვს, ნახეთ!

- წვეროსანმა ჩინელმა მშვიდად შეავლო თვალი ოფიცრებს. შტაბის ოფიცერმა ჩაიფრუტუნა - ესიამოვნა, რომ ადიუტანტს საკადრისი ხურდა დაუბრუნეს.

- ფული გადაგეხურდავებინათ? მერე და თავი არ გენანებოდათ? - ჩაიცინა ადიუტანტმა და ბრძანა: - ყოველი შემთხვევისათვის, უთხარით, გაშიშვლდნენ.

თარჯიმანმა ბრძანება თარგმნა და ჩინელებმა სწრაფად, მაგრამ აუღელვებლად გაიხადეს ტანთ.

- მუცლის ასაკრავი რომ არმოუხსნია! აბა, მოიხსნას და აქ მომეცი!

ამბავი სიკეთის საზღაურისა

ძინაი მქვია. გვარტომობისას ნურაფერს მკითხავთ. რა ხანია, ხალხმა დამანათლა ეს სახელი – ამაკავა ძინაი. თქვენც გეცნოთ განა?! ნუ შეშინდებით, ნურც დაფრთხებით. როგორც იცით, ცნობილი ქურდი ვარ, მაგრამ ამჯერად საქურდლად არ მოვსულვარ. მშვიდად იყავით. მერწმუნეთ, ახლა.

მესმა, მთელ იაპონიაში კეთილშობილებით გამორჩეული პადრე ბრძანებულხართ. ასე რომ, თქვენთვის ვერაფერი პატივია ვიღაც ქურდთან ბაასი. მარტო ქურდობა რა დასაკვეხნია. ძინაი ერქვა ძიურაკუს სასახლეში მიწვეულ როსონ სუკეძაემონის[148] ერთ-ერთ ხელქვეითს. ახლა დოქს აღარ იკითხავთ, „წითელთავად“ წოდებულს, ძვირფასეულს რიკიუ კოძისათვის?![149] იმ რენგას[150] ოსტატის ნამდვილი სახელიც, ვინაც დოქი ძღვნად გამოგზავნა, ძინაი იყო, ხომ?! და განა ომურელი[151] მთარგმნელის სახელიც, ორი-სამი წლის წინ რომ დაწერა წიგნი „ამაკავა-ნიკი“[152], ძინაი არ იყო? შემდგომად ამისა, მოხეტიალე მუსიკოსი, კაპიტანი მალდონადო[153] რომ იხსნა სიკვდილისაგან, სანძიოგავარაში ატეხილი ჩხუბისას, და საკაიში, მეკუძის ტაძრის ჭიშკართან უცხოური წამლებით მოვაჭრე? ვინ იყვნენ ისინი? სახელი მათი ძინაი გახლავთ, ვინმე ძინაი. უფრო მეტიც, ვინაც შარშან წმინდა ფრანცისკოს ტაძარს შესწირა ოქროს კიდობანი, რომელშიაც წმინდა მარიამის ფრჩხილი იდო? ისიც მორწმუნე ძინაი იყო!

ვწუხვარ, დღესდღეობით დრო არა მაქვს, წვრილად გაიმბოთ ყოველივე. ერთს გთხოვთ ოღონდ, მერწმუნეთ, ამაკავა ძინაი არცთუ უცხო რამ ფრინველია. ერთი ჩვეულებრივი მოკვდავია ისიც. გჯერათ, ხომ? რახან აგრეა, შეძლებისდაგვარად მოკლედ მოვჭრი. წირვა მინდა აღვავლინო ერთი კაცის სულის სახსნელად. ამისათვის გეახელით. არა, ჩემი ნათესავი არ გეგონოთ, ჩემს მახვილსაც არა სცხია მისი სისხლის თუნდ ერთი წვეთი. აღარც კი ვიცი, გავამხილო თუ არა მისი სახელი. ვინმე იაპონელი პაულოს სულის მოსახსენებელი მინდა ვთქვა. რაო? გეჩოთირებათ, რაღა თქმა უნდა, თქვენ ხომ ამაკავა ძინაი გთხოვთ. კეთილი, იყოს ნება თქვენი! ვეცდები, ახლა ორი სიტყვით მოვყვე ამბავს. პირობა უნდა მომცეთ ოღონდ, კაციშვილთან არაფერი დაგცდებათ, თუნდაც სიცოცხლის საფასურად დაგიჯდეთ. დაიფიცებთ მაგ ჯვარზე, გულზე რომ გკიდიათ? არა? ბოდიშს ვითხოვ. (ღიმილით).

თავხედობაა ალბათ ჩემი მხრივ, თქვენში ეჭვის შეტანა, მაგრამ თუ აღთქმას დაარღვევთ (უეცრივ სერიოზულად), ჯოჯოხეთის გეენა არ აგცდებათ. თუ აგცდათ, ამქვეყნიური სატანჯველი მოგიწევთ მაინც.

ორ წელზე მეტია, რაც ეს ამბავი მოხდა. ავდრიანი შუაღამე იყო. მე დავბორიალობდი კიოტოს ქუჩებში, მოხეტიალე ბერად გადაცმული. ხუთი დღის განმავლობაში ყოველ საღამოს, პირველი ყარაულობა დაიწყებოდა თუ არა, ისე, რომ არვის მოვხვედროდი თვალში, ფარულად

ვაკვირდებოდი შენობებს. რისთვის? ვფიქრობ, ახსნა არაა საჭირო... იმ დროს მცირე ხნით ვეპირებოდი, მოვცილებოდი აქაურობას, გავმგზავრებულიყავი სადმე, ზღვის გადაღმა, და ფული ისე მჭირდებოდა, როგორც არასდროს.

ქუჩებში, რა თქმა უნდა, უკვე დიდი ხნის შეწყვეტილი იყო მოძრაობა და მხოლოდ გაუთავებლად ქშუოდა ქარი და კრთოდნენ ვარსკვლავები. ბევრი ვუარე გარს ოგავადორის ჩაბნელებულ შენობებს და უეცრივ, როგორც კი გზაჯვარედინთან გადავუხვიე, დიდ სახლს მივადექ. ეს იყო კიოტოშიც კი ცნობილი ჰოძეი იასოემონის სამყოფელი ქალაქ ალაგას, მაგრამ არცთუ საუკეთესო „ჰოძეის სავაჭრო სახლი“. იგი ვერ მიედრებოდა კადოკურას „საზღვაო ვაჭრობის სახლს“. ასე იყო თუ ისე, ჰოძეი ისე არ დარჩებოდა, წყვილი ხომალდი მაინც არ გაესტუმრებინა კოკუსიამუროსა თუ ლუსონში, ასე რომ, ცხადია, წელშიც კარგად იქნებოდა გამართული. როცა საქმეზე გამოველ, ეს სახლი უზურში არა მქონია, ახლა კი, რადგან მაინცდამაინც გადავაწყდი, უკან აღარ დავიხიე, როგორც ვთქვი, გვიანი ღამე იყო, ქარიანი. ყველაფერი ჩემს სასიკეთოდ აეწყო. გზისპირას, საწვიმარ ჯამს უკან გადავმალე ჭილის ქუდი და ჯოხი, უმალ მაღალ მესერს გადავევლე.

რას აღარ ამბობენ ჩემზე. მოსმენად ღირს! ამაკავა ძინაის ძალუძს უჩინრად იქცესო, ყველა და ყოველი ამას უბნობს. ვიმედოვნებ, ყურს არ ათხოვებთ მდაბიორთა ამ მონაჩმახს. არც

უჩინმაჩინის ქუდი გამაჩნია და ეშმაკთანაც არ გახლავართ წილნაყარი. ისე კი, როცა მაკაოში ვიყავ, პორტუგალიურ ხომალდზე მომუშავე მკურნალმა შემასწავლა საგანთა ბუნება და თუ საქმეს მივასადაგე ეს ცოდნა, მაშინ ვერანაირი ბოქლომი ვერ დამიკავდება (ღიმილი). ათასგვარი ქურდული ხრიკი, კაციშვილს რომ ჯერ არ გაეგო, განა ჯვართან და ქვემეხთან ერთად დასავლეთიდან არ გადმოიღო ველურმა იაპონიამ?

საათიც არ გასულა, რომ მე უკვე სახლში შევაღწიე, მაგრამ როცა ბნელ დერეფანს გავცდი, ჩემდა გასაკვირად, ამ გვიანობისას ერთ ოთახში სინათლე დავინახე. სინათლეს კიდევ რა უშავს, ლაპარაკიც მოისმოდა იქიდან. თუ ოთახების განლაგების მიხედვით ვიმსჯელებთ, ეს საჩაიე უნდა ყოფილიყო. რა ჩაის სმა აუტყდათ-მეთქი ამ ავდარში, გამეცინა გუნებაში და უფრო ახლოს მივჩოჩდი. მართალი გითხრათ, როცა ხმა გავიგონე, განა იმან შემაწუხა, რომ საქმე დაბრკოლდებოდა, ცნობისწადილმა შემიპყრო, რითი ირთობდნენ თავს ამ შუაღამისას სახლის პატრონი და მისი სტუმარი.

ფუსუმას გავეკარ თუ არა, როგორც ველოდი, კარდლის ბუყბუყიც მომესმა. ამ ხმებთან ერთად ტირილიც გავიგონე. ვინ ტირის-მეთქი, ნეტავი? - გამკრა გულში და იმავ წამს მივხვდი, ქალი ტიროდა. თუკი ასეთ გამოჩინებულ სახლში შუაღამისას ქალი მოთქვამს, უბრალო საქმე არავის ეგონოს. სუნთქვა შევიკავე, ჩემდა საბედნიეროდ გვერდზე გაწეულ ფუსუმას ღრიჭოში გავიჭვრიტე და ოთახს მოვავლე თვალი.

ჭერზე ჩამოკიდებული ქაღალდის ფარნით განათებული ძველისძველი ნახატი, კედლის წალოში რომ იყო ჩადგმული, ქრიზანთემებიანი ლარნაკი... მთელ ოთახსა და მის მოწყობილობას ძველებური იერი ედო. ჩაის სასმელი ოთახის შესაფერი წალოს წინ, სახით ჩემკენ მოხუცი იჯდა. ასე ჩანდა, თავად იასემონი უნდა ყოფილიყო. წვრილად ნაქარგი ხაორი ეცვა, ხელები გულზე გადაეჯვარედინებინა, თვალები მიელულა და თითქოს ქვაბის თუხთუხს აყურადებდა. იასემონის დაბლით, ჩემკენ

გვერდულად იჯდა დარბაისელი მოხუცი ქალი, თმის ვარცხნილობას სარჭი უმშვენებდა. იჯდა ასე და დროდადრო იწმენდდა ცრემლებს.

„არაფერი ამათ არ აკლიათ და საჭმუნავი მაინც არ დალევიათ“, - გავიფიქრე და ტუჩებზე უნებურად ღიმილმა გადამირბინა. ნუ გეგონებათ, თითქოს რაღაც პირადული ჯავრი მედო გულში ამ ცოლ-ქმრისა. უბრალოდ, მეცინება ხოლმე სხვის უბედურებაზე, განურჩევლად, ვინც უნდა იყოს. განსაკუთრებულ სიამესა მგვრის, როცა ისეთი ვინმე შემრჩება ხელში, ვისაც ერთის შეხედვითაც თითქოსდა საწუხი არაფერი უნდა სჭირდეს. ასეთი რამ თავისთავად სასაცილოა (მკაცრი გამომეტყველება). ასე მგონია, კაბუკის თეატრის წარმოდგენას ვესწრებოდე (დამცინავი გამომეტყველება). მე ხომ ის კაცი ვარ, ვისი სახელითაც აგერ ორმოცი წელია ბავშვებს აშინებენ. განა მარტო მე ვარ ასეთი? ჰკითხეთ, ვისაც გნებავთ, რომელია-თქო თქვენი საყვარელი საკითხავი წიგნი? სევდიან მოთხრობას დაგისახელებენ უთუოდ. ცოტა ხნის შემდეგ იასემონმა ოხვრით ამოთქვა:

- რახან ეს უბედურება მოხდა, რამდენიც გინდა თავში იცე, საქმეს ვერ უშველი, უკან ვერაფერს მოაბრუნებ. გადავწყვიტე, ხვალ დუქანში ყველას ანგარიში გავუსწორო და დავითხოვო.

ამ დროს ძლიერმა ქარმა შესძრა ოთახის კედლები და მოსაუბრეთა ხმაც ჩაახშო. იასემონის ცოლის სიტყვები ყურს აღარ მოსწვდენია. მეპატრონემ ახლა თავი დააქნია, ხელები მუხლებზე დაიწყო და ლერწმისაგან მოწნულ ჭერს მიაბჯინა მზერა, ქუში წარბები, წამახული ყვრიმალები და, განსაკუთრებით, თვალების ნუშისებრი ჭრილი... რაც მეტად ვაკვირდებოდი, მით უფრო ვრწმუნდებოდი, სადღაც უცილობლად მენახა ეს პირისახე.

ო, მეუფეო, ესუ-ქირისიტო-სამა, ძალა მოეც ჩვენს გულებს!

იასემონმა თვალები მოხუჭა და ჩურჩულით წამოიწყო ლოცვა. მოხუცი ქალიც ილოცვიდა, ალბათ ისიც შემწეობას შესთხოვდა მეუფეს. თვალს არ ვაცილებდი იასემონის სახეს და აი, როცა ახლად მოიქროლა ქარმა, ჩემს სულში გაკრთა მოგონება ოცი წლის წინათ მომხდარი ამბის, და მაშინ უკვე გამოკვეთილად მოვიხილე იასემონის პირისახე.

ოცი წლის უკან... არა, მოსაყოლად არც ღირს! მოკლედ მოვჭრი. საქმე ასე იყო: როცა მაკაოში მივემგზავრებოდი, კინაღამ დავიღუპე გზაში, ერთმა იაპონელმა მეხომალდემ მიხსნა სიკვდილისაგან. ერთიმეორეს ისე დავცილდით, არც გვარი გვითქვამს, არც სახელი და აღარც შევხვედრილვართ აღარასოდეს. ვუცქერდი ახლა და გაოცებას ვიყავ. თვალს ვერ ვაცილებდი მოხუცის სახეს. იასემონი. ეს იყო უეჭველად მაშინდელი ჩემი მხსნელი. ასე მეგონა, თითქოსდა მის ძლიერ მხრებსა და დაძარღვულ ხელებს მარჯნის რიფებიდან ანაშხეფი ტალღების ქაფისა და სანდალის ტყეების სურნელი სდიოდა ახლაც. ერთხანს ილოცა იასემონმა და მერე დინჯად მიმართა ცოლს:

- აწ მივენდოთ ციური მეუფის ნებას... მგონი, კარდალაც დუღს, ჩაი დამისხი, გეთაყვა.

მოხუცი ქალი, ქვითინს რომ ძლივს იკავებდა, ჩამქრალი ხმით შეეპასუხა:

- ახლავე... ეჰ, რა დასანანია, რომ...

- მაინც დაიწყე, არა, წუწუნი? „ჰოძეა-მარუ“ რომ ჩაიძირა და მთელი ქონება განიავდა, ყველაფერი ეს...

- არა, მაგაზე არას ვამბობ. აი, ჩვენი ვაჟი იასაბურო მაინც გვყავდეს აქ...

ამის გამგონეს კიდევ ერთხელ გამეცინა. ახლა ჰოძეის გასაჭირი კი არ მახალისებდა. ..მოდგა დრო ძველი სიკეთის სამაგიეროს მიზღვისა...“ ეჰ, შესაძლოა ჩემ გარდა არც არავინ იცოდეს ამის ნამდვილი ფასი (დამცინავად). მეცოდებიან კეთილბუნებოვანი ადამიანები, მათ ხომ არარა უწყიან, როგორად გასახარია ქმნა სიკეთისა, ბოროტების ნაცვლად.

- აქ რომ არა გვყავს, ეგ კიდევ ბედნიერებაა. - იასემონი ნაღვლიანად დააცქერდა ფარანს. - ის ფული რომ მომცა ახლა, რაც მაგან გაფლანგა, ჩემს ბედს ძაღლი არ დაყეფდა. თავს დავაღწევდი უბედურებას. ისე კი, როცა გავიხსენებ, წიხლი რომ ვკარი და სახლიდან გავაგდე...

იასემონმა სიტყვა გაწყვიტა და მე შემომაჩერდა. გასაკვირი არ იყო, რომ შეეშინდა. სწორედ ამ დროს უჩუმრად გადავწიე ფუსუმას კიდე. ბერის ტანსაცმელი მემოსა, ჩემეული ჭილის ქუდის ნაცვლად, უცხოელი თავსაბური მეხურა.

- ვინაა აქაურობის ბატონ-პატრონი? მოხუცი კი იყო იასემონი, მაგრამ მაინც ელვის

  უსწრაფეს წამოიჭრა ფეხზე.

- საშიში არაფერია. ამაკავა ძინაი ვარ, ნუ დაფრთხებით. დიახაც, ქურდი ამაკავა ძინაი

  გახლავართ, მაგრამ ამჯერად სხვა რამისთვის მოველ. თავსაბური გადავიძვრე და

  იასემონს წინ დავუჯექ.

თავად მიხვდებით, რაც მერე მოხდა. მე აღვუთქვი იასემონს, ძველი სიკეთის საზღაურად გაჭირვებიდან მეხსნა. პირობა მივეც, სამ დღეში არ გადამეცდინა ვადისთვის.

- ოჰო, ვგონებ, კარს უკან ვიღაცის ნაბიჯის ხმა ისმის? ღამე მშვიდობისა. ხვალ ან ზეგ კიდევ მოვალ. შემოვაღწევ როგორმე.

მაკაოს ცაზე მოჩანს ერთი თანავარსკვლავედი, „დიდი ჯვარი“ რომ ჰქვია, იაპონიაში კი ვერსად მოლანდავთ. ჰოდა, თუ იმ თანავარსკვლავედივით არ გავქრი იაპონიიდან, პაულოს სულს წავწყმედ მაშინ, იმ პაულოსას, ვინც შემოგავედრეთ. რაო? აქედან როგორ გავალ? მეტი სადარდი ნუ მოგცეთ ღმერთმა. ჭერში ამოჭრილი მაღალი ფანჯარა ანდა ბუხარი რისი მაქნისია, აბა? ეს არაფერი. იმასა გთხოვთ ოღონდ, ხმაკრინტი არავისთან დაგცდეთ, ღვთის გულისათვის.

ჰოძეი იასოემონის მონათხრობი

თქვენო მოწყალებავ! შემოგთხოვთ მოისმინოთ ჩემი აღსარება. მოგეხსენებათ, იარება მიწის პირს ქურდი ვინმე ამაკავა ძინაი, ვისზედ ამდენი მითქმა-მოთქმაა ატეხილი ამ ბოლო ხანს. მესმა, ამაკავა ძინაი ყოფილა თურმე ის კაცი, ვინც ნეგოროდერის ტაძრის

კოშკში ჩასახლდა, ვინც მახვილი წარსტაცა კამპაკუსა, და იგიც, შორს, ზღვის გადაღმა თავს რომ დაესხა ნაცვალ ლუსონს. აღარ დასცალდა. ბოლოს და ბოლოს გაუთოკიათ მიდორიბასის ხიდთან, როგორც იქნა მოიხელთეს და იტიძეში ბამბუკის მარგილზე ჩამოაცვეს მისი მოკვეთილი თავი. შესაძლოა, თქვენამდეც მოაღწია ამ ამბავმა. დიდი სიკეთე გამიწია სწორედ ამ ამაკავა ძინაიმ, ამავ სიკეთემ დიდ საწუხველში ჩამაგდო. ამიტომაც გეახელით, რომ მომისმინოთ, მთელ ვითარებას მოგახსენებთ მომხდარი ამბის, შემოგთხოვთ ილოცოთ, იქნებ უზენაესმა წყალობა მოიღოს ცოდვილი ჰოძეი იასემონის მიმართ.

ორი წლის წინათ მოხდა ესა. ზამთარში ზღვაში დაიძირა ჩემი ხომალდი „ჰოძეიმარუ“, ქარბუქი დაეტაკა და საქმეში დაბანდებული ფულიც ისე გამომეცალა ხელიდან, ვითომ არც მქონია. ერთ უბედურებას მეორე მოჰყვა და საბოლოოდ „ჰოძეის სავაჭრო სახლი“ არამცთუ გაღარიბდა, სულ გაკოტრდა და გაპარტახების პირს მიდგა. ქალაქში ხალხს მარტო ფულზე აქვს თვალები დაქაჩული, ამხანაგი სანთლით საძებარია. სად ნახავ, გაგიგონია? და ჩვენი საქმეც იმ ხომალდივით წაიღო წყალმა... ერთხელ ღამით... ჩემს სიცოცხლეში ვერ დავივიწყებ... ავდრიან კუნაპეტში მე და ცოლი ვლაპარაკობდით, აღარც გვახსოვდა, თუ რა დრო იყო. უეცრივ

გამოგვეცხადა მოგზაური ბერის ტანსაცმლით მოსილი კაცი, გამიკვირდა; შევშინდი და გავბრაზდი კიდეც. ალაპარაკდა და აი, რა გაირკვა - საქურდლად შემოპარულიყო ჩემს სახლში, მაგრამ შუქმა და საუბრის ხმამ შეაფერხა თურმე, საჩაიედან რომ გამოდიოდა, ფუსუმას ხვრელში შეუჭვრეტია და გაოცებულა - უცვნია თავისი კეთილისმყოფელი ჰოძეი იასოემონი, ვინაც სიკვდილს გადაარჩინა ოცი წლის წინათ.

ეს რომ მითხრა, მეც გავიხსენე: როცა ფუსუტას[154] ვატარებდი მაკაოში, ერთი უწვერული იაპონელი გადავარჩინე, ჩინელი რომ შემოკვდომოდა მთვრალს ჩხუბში. მდევრებს დავუმალე. და ახლა ჩემ წინაშე წამომდგარი ცნობილი ქურდი ამაკავა ძინაი ის იაპონელი გამოდგა. საბედნიეროდ, სახლში უკვე ყველას ეძინა. ვერავინ შეიტყო მისი მოსვლა, - რაც იყო, იყო, ახლა რა გინდა-მეთქი, - ასე ვუთხარი. მიპასუხა, ძველი სიკეთის გადახდა მინდა, თუკი შევიძლე, „ჰოძეის სახლი“ მსურს უბედურებისაგან ვიხსნაო. მერე თანხა რამდენია საჭიროო, იკითხა. უნებურად მწარედ გამეცინა. მე, ჰოძეი იასემონს, ქურდი მთავაზობდა შემწეობას. სასაცილო კი არა, სატირალი იყო. ახლა ესეცა ვთქვათ, ამოდენა ფულის პატრონს, თუნდაც ამაკავა ძინაისებრი ნამდვილი ქურდის სისხლი ედგას ძარღვებში, სხვის ქონებაზე თვალი აღარ დარჩება. არც ჩემს სახლ-კართან არაფერი ესაქმებოდა. თანხა მაინც დავუსახელე. ძინაიმ ოდნავ გვერდზე გადახარა თავი, თითქოსდა არაფერიაო, და აღმითქვა, ყველაფერს სამ დღეში მოვაგვარებო. უზარმაზარ თანხას შეადგენდა ჩემთვის საჭირო ფული - ექვსი ათასი კანი[155]

ხუმრობა ხომ არ იყო, ამიტომაც ვინ იქნებოდა ამის თავდები, რომ ძინაი ამდენს ასე უცებ იშოვიდა. ელოდე ახლა როდის გაგიმართლებს. ამას სჯობია ხელი აიღო თამაშზე. მტერი იყოს ამის იმედზე-მეთქი, - ასე ვფიქრობდი.

იმ ღამით ძინაიმ გულმშვიდად დალია ჩაი, ჩემმა მეუღლემ რომ მიართვა და ღამეს მისცა თავი. მეორე დღეს არ გამოჩნდა, არც მესამე დღით. დადგა მეოთხე დღე. თოვლი

მოვიდა. ჩამოღამდა კიდეც, მაგრამ ძინაი არა და არ ჩანდა. ადრეც ვთქვი, არა მჯეროდა ძინაის დანაპირები, მაგრამ დუქნიდან არც არავინ დამითხოვია და არც ანგარიში გამისწორებია არავისთვის. ჩანდა, სულის რომელიღაც კუნჭულში მაინც აკიაფდა იმედის ნაპერწკალი. მეოთხე დღეს, მართალია, ძველებურად ვიჯექ ჩაის ოთახში, ფარანქვეშ, მაგრამ მთელი გულისყური გარეთ მქონდა, ჩქამი არ გამომპარვია. გადიოდა დრო და უეცრივ ბაღში, საჩაიეს მხრით ატყდა ხორიო-ბორიო, ვიღაცები ჩხუბობდნენ, ასე ჰგავდა. ძინაიზე ფიქრმა გამკენწლა გულში, - ყარაულებმა ხომ არ დაიჭირეს-მეთქი. ბაღში გამავალი სიოძი გავწიე და ფარანი მივანათე. საჩაიეს წინ, ღრმა თოვლში, იქ, სადაც ჩამოწოლილიყო ბამბუკის ტოტები, ორი კაცი შეჭიდებოდა ერთანეთს. ერთმა ხელი ჰკრა მეორეს, ხეებს გაერია და გალავნის თავზე ხრიშინი ატყდა, მერე სიჩუმე ჩამოვარდა. ჩანდა, გაქცეული სამშვიდობოს გავიდა. მეტოქე არ გადევნებია, მან თოვლი ჩამოიბერტყა და მშვიდად მომიახლოვდა.

- ამაკავა ძინაი ვარ.

გაოცებული მივაჩერდი. როგორც იმ ღამით, ახლაც უცხოური თავსაბური ეხურა და ანაფორა ეცვა.

- რა აურზაური ატეხეთ? ბედი, რომ არავის გაუღვიძია. ძინაი ოთახში შემოვიდა და

  გაიცინა.

- არაფერია. სწორედ მაშინ, როცა სახლში შემოვაღწიე, დავინახე, ვიღაც იატაკის ქვეშიდან ეპირებოდა აქ შემოძრომას. ჩავიჭირე, მინდოდა გამეგო, რა კაცი იყო, მაგრამ გამექცა.

მე ყარაულების შიში მქონდა, ვინმე მათგანი ხომ არ იქნებოდა-მეთქი, ვკითხე. არა, ქურდი უნდა ყოფილიყოო, - თქვა ძინაიმ.

ქურდი ეპირებოდა ქურდისავე დაჭერას. ამაზე მეტ საოცრებას ნახავს განა რასმე კაცი?! ახლა უკვე მე გამეღიმა. რა მაცინებდა, ჯერ ხომ არ ვიცოდი, როგორი იყო ფულის საქმე. სული მიწრიალებდა. პირის გაღებაც არ მაცალა, თითქოს ჩემს აზრებს კითხულობსო, დინჯად შეიხსნა ქამარი და ბუხრის წინ ჩამოალაგა ფულის ქისები.

- ექვსი ათასი კანია აქა. უმეტესი ნაწილი გუშინვე მოვახაზირე, მაგრამ ორასი ვერა და ვეღარ ვიშოვნე. ამიტომაც შემაგვიანდა. ახლა თანხა სრულია. ავიღე და იატაკქვეშ დავფალი. და იმ ქურდმაც ალბათ იყნოსა ვერცხლის კვალი.

სიზმარში მეგონა თავი. ვერ ვიქცეოდი საქებრად. სხვისი თქმა რად მინდა, განა მე არ ვიცი? ისე კი, ვიდრე იმის ფიქრში ვიყავ, იშოვიდა თუ არა ფულს, ამ საქმის ავკარგიანობა აღარ მადარდებდა. ამიტომაც იყო, ახლა ასე უბრალოდ უკვე ვეღარ ვიტყოდი უარს. უკან მიმებრუნებინა ეს ფული? ხელი უნდა გამეშვა მაშინ ქუჩაში. ნუ გამკიცხავთ, შემინდეთ ეს საქციელი.

ქედი მოვიხარე ძინაის წინაშე, ხელები იატაკზე დავაწყვე და უსიტყვოდ ავტირდი.

ამის შემდეგ ორი წელი არაფერი მსმენია ძინაის ასავალ-დასავლისა. მაგრამ არ ვივიწყებდი, რომ მე მისი წყალობით გადავრჩი გარდაუვალ გაკოტრებას და

დროდადრო მარიასამას შევავედრებდი ამ კაცის თავს. მაგრამ ფუჭად ჩამიარა ლოცვამ. ამ დღეებში ქალაქს მოედო ამბავი, ძინაი შეუპყრიათ და მისი თავი მოდორიბასის ხიდთან მარგილზე ჩამოუცვიათო.

შევძრწუნდი. სიმართლე გითხრათ, ცრემლებიც ვღვარე მალულად. რას იზამ, როცა გაიხსენებ,

რომ ეს საზღაურია ყველა იმ ბოროტებისა, რაც მას მოუმოქმედებია, ენა აღარ მოტრიალდება რამის სათქმელად. ეს კი არა, გასაკვირია, ამდენ ხანს როგორ აცადა ღმერთმა, აქამდე როგორ არ უწია ცოდვებმა. მე მაინც მინდოდა სიკეთე გადამეხადა და ერთხელ მაინც მეთქვა მისი სულის შესანდობარი. თუნდაც მალულად, სწორედ ამ მიზნით წაველ იმ დღეს სრულიად მარტო მოდორიბასის ხიდთან სარზე ჩამოცმული თავის სანახავად.

როცა ხიდს მივაღწიე, ხალხი დამიხვდა თავშეყრილი. იქვე ეყუდა დაფა, რაზედაც დასჯილის დანაშაულთა სია ეწერა, გუშაგებიც იქვე იდგნენ. ყველაფერი ისე იყო, როგორც წეს არს. ერთად შეკონილ ახალმოჭრილ ბამბუკის სამ ღერ სარზე სისხლში მოთხვრილი შემზარავი თავი იყო ამართული. ღმერთო ძლიერო, ეს რა ვნახე? აყაყანებული ბრბო ძვლებს მალეწდა, მე კი ვიდექი და გაქვავებული მივჩერებოდი ამ გადაფითრებულ თავს. ეს არ იყო ძინაის თავი. სქელი წარბები, წამახული ყვრიმალები, წარბებშუა ნაჭდევი ჭრილობა... არაფრით არ მოჰგავდა იგი ძინაის... ისე შემეშინდა, თვალის ჩინი კინაღამ წამერთვა. ეს არ იყო ძინაის თავი, ჩემი საკუთარი თავი იყო ესა. ოღონდ ახალგაზრდასი, ოცი წლის წინათ, ამაკავა ძინაი როცა ვიხსენი სიკვდილისაგან, იმდროინდელი ახალგაზრდასი. იასაბურო... ნუთუ შენ... ენა ჩამივარდა, თორემ ვიბღავლებდი ალბათ, მაგრამ კრინტს ვერ ვძრავდი, ისე მიძაგძაგებდა მთელი სხეული.

იასაბურო. მივშტერებოდი ღვიძლი შვილის მოკვეთილ თავს და მეგონა, სიზმარში ვიყავი.

ოდნავ უკან გადაზნექილ თავს ქუთუთოები ნახევრად მოხურვოდა და ასე მიცქერდა. იქნებ შეცდომით ძინაი ეგონათ ჩემი შვილი. შესაძლოა, მაგრამ დაკითხვა ხომ გამოავლენდა სინამდვილეს. იქნებ ჩემი შვილი იწოდებოდა ამაკავა ძინაიდ და ის იყო სწორედ ჩემს სახლში შემოპარული ბერად გადაცმული ქურდი. თვითმარქვია! ათასგზის არა. ძინაის გარდა მთელ იაპონიაში ვერავინ მოახერხებდა დათქმულ ვადაში, სულ რაღაც სამ დღეში ექვსი ათასი კანი ეშოვა. მაშასადამე... მე უეცრივ ცხადლივად წარმომესახა იმ უცნობის იერი, ვინაც ორი წლის წინათ ბაღში ებრძოდა ძინაის. ვინ იყო იგი იქნებ ჩემი შვილი? ალბათ, ალბათ, მე ერთი მოვკარი თვალი და მაინც არ გამომრჩენია, რომ იგი მოჰგავდა ჩემს შვილს. იქნება შევცდი? და თუ ჩემი შვილი იყო, თუ ასე იყო... თითქოსდა ბინდი გადამეცალა თვალთაგან, გამოვერკვიე, თავს მივაშტერდი. და მაშინ გალურჯებულ, უცნაურად მოღიავებულ პირზე რაღაც ღიმილის მაგვარი შევნიშნე.

სარზე წამოცმული თავი იღიმებოდაო?! გაგეცინებათ, აბა რა იქნება, ამის გამგონეს მეც კი მეგონა, ალბათ მეჩვენება-მეთქი. მაგრამ რამდენსაც მეტს ვუყურებდი, ამ გადამხმარ ტუჩებს აშკარად ეჭდო ღიმილის ნიშანი. დიდხანს ვერ მოვაცილე თვალი უცნაურად

მოღიმარ ტუჩებს. ჩემდა შეუმჩნევლად მეც გამეღიმა, და ამ ღიმილთან ერთად ცხარე ცრემლიც წარმდინდა ღვარად.

„შემინდე მამავ!“ - ეს ებეჭდა ამ უტყვ ბაგეზე.

„შემინდე, მამაჩემო, რომ უღირსი შვილი ვიყავ. ორი წლის წინათ, თოვლიან ღამით სახლში მხოლოდ და მხოლოდ იმისათვის შემოვიპარე, პატიება მინდოდა მეთხოვა, ოჯახში მსურდა დავბრუნებულიყავ, დღისით მერცხვინებოდა, ვინმეს თვალი არ მოეკრა ჩემთვის დუქანში, გვიანობამდის ვიცადე ამიტომ, დავუკაკუნებ საწოლ ოთახში და სიტყვას ვეტყვი-მეთქი. გულით გავიხარე, როცა საჩაიეში სიოძებს შორის სინათლე დავლანდე, ფეხუჩუმრად გამოვემართე იქითკენ და მაშინ უცაბედად და უსიტყვოდ ვიღაც მწვდა ყელში“.

„რაც მერე მოხდა, თავადაც უწყით. მოულოდნელად თავგზა დამებნა. ახლა მამაც რომ გამოჩნდა, სულ ავირიე, ხელი ვკარი თავდამსხმელს და მესერს გადავევლე. თოვლის ნაშუქზე ჩემს მტერს მაინც მოვავლე თვალი. რარიგ გავოცდი, ნეტავ იცოდეთ, ბერი რომ აღმოჩნდა. ვიცადე ერთხანს, როცა დავრწმუნდი, არავინ მომდევდა, თამამად გამოვწიე ხელმეორედ საჩაიესაკენ და სიოძებს მისაფრებულმა მოვისმინე თქვენ ორთა საუბარი. სიტყვაც კი არ გამომრჩენია.

რახან ძინაი ჩვენს სახლს კეთილ სულად მოევლინა, გულში ამოვიჭერი, გასაჭირში მეც ამოვდგომოდი მხარში, სიცოცხლეც კი არ დამეზოგა მისთვის! ჩვენი ოჯახიდან მარტო მე ვიყავ დარჩენილი, ვისაც ეს უნდა ეკისრა, და ვის მერე?! სახლიდან გამოგდებულ მაწანწალას, ბოგანოს. ორი წელი ვეძებდი ხელსაყრელ შემთხვევას. და აი, დადგა ამის დროც. მომიტევე,

მამავ, არ ღირსვარ შენი, უძღები შვილი ვიყავი. მართალია, ასე დამყვა დედის საშოდან, მაგრამ ხომ ვზღვე ჩვენი ოჯახისათვის გაწეული სიკეთე. ესღაა ჩემი ნუგეში“.

სიცილ-ტირილით მოვდიოდი გზად სახლისაკენ. მეამაყებოდა ჩემი შვილის კეთილშობილება. თქვენ არც კი იცით, იასაბურო ჩვენი რჯულისა იყო და სახელიც დაანათლეს, პაულო, მაგრამ ბედნიერებას ვერ დაიკვეხნიდა. არც ჩემი ყოფაა სახარბიელო. ამაკავა ძინაის რომ არ გადაერჩინა ჩემი ოჯახი, იქნებ ამ დღეში არ ჩავარდნილიყავი. ერთი ფიქრი მდევს თან და არ მაძლევს მოსვენებას. რომელი იყო უმჯობესი, ავცდენოდი გაკოტრებას თუ შვილი მყოლოდა ცოცხალი?!. (უეცრივ გამწარებით:) მიშველეთ ვინმემ. თუ ასე გაგრძელდა, იქნება ჩემი სახლ-კარის ქომაგი ოჯახის დამაქცევარივით შევიძულო (გაბმული ქვითინი).

იასაბუროს მონათხრობი

ო, დედაო-წმინდა მარია-სამა! ხვალ, გამთენიისას მომკვეთენ თავს. დაგორდება თავი მიწაზე, სული კი ფრინველივით შენკენ გამოქროლდება. ვინ იცის, ნაცვლად პარაისოს (სამოთხე) ნეტარებისა, შთავვარდე ინფერუნოს (ჯოჯოხეთის) გეენას შინა. არას ვნაღვლობ, ვილხენ მთელი სულითა და გულით, ოცი წელია, ჯერ არ გამიხარია აგრერიგად.

ჰოძეი იასაბურო გახლავართ, დიახაც, მაგრამ ხვალ დილით, ხალხის თვალის სასეიროდ სარზე წამოცმულ ჩემს თავს ამაკავა ძინაის სახელი ერქმევა. მე ამაკავა ძინაი გავხდები, ამიხდა ნანატრი. ამაკავა ძინაი? რაო?! იქნებ ვინმეს არ მოეწონოს?! საგანგებო სახელია, მე და ჩემმა ღმერთმა. წარმოვთქვამ ამ სახელს და ასე მგონია, თითქოს და ჩემი დილეგი შროშანებითა და მაისის ვარდებით მოირთო.

ზამთარში მოხდა ეს, ორი წლის უკან. იმ დაუვიწყარ თოვლიან ღამით მამაჩემის სახლში შევიპარე, ფული მინდოდა მომეჩხრიკა, მე ხომ სხვა სიკეთესთან ერთად, მოთამაშეცა ვარ. საჩაიეს სიოძებიდან სინათლე კრთოდა ჯერ კიდევ. შემოვბრუნდი და ვეტაკე მტერს, ვინ იყო, არ ვიცოდი. ჩანდა, უბრალო ვინმე არ იქნებოდა, ისეთი ძალა ჰქონდა. ჭიდაობისას გაიღო საჩაიეს სიოძები, ფარნის შუქი დაეცა ბაღს, მამა იდგა კარის ზღურბლზე, მამაჩემი, იასემონი. უკანასკნელი ძალისხმევით გამოვითავისუფლე სხეული, დავუძვერი როგორც იქნა მტრის უჩვეულოდ მჭიდე ხელებს და ბაღიდან გავვარდი.

ნახევარი კვარტალი გავირბინე თუ არა, ფარდულთან დავიმალე და იქაურობა მოვზვერე. ქუჩაში სულიერი არ ჭაჭანებდა, სრული სიმშვიდე იდგა და ღამის ნისლში დროდადრო თუ აიჭრებოდა თოვლის თეთრი მტვერი. ჩანდა, თავი მანება ჩემმა მეტოქემ, დევნა აღარ ღირსო, ხელი ჩაიქნია ალბათ. მაინც ვინ იყო? რამდენადაც გავარჩიე, ბერის სამოსი უნდა სცმოდა. ღონე

ჰქონდა მართლაც საკვირველი, თან ბრძოლაშიც ნაცადი ჩანდა, ხერხებსაც ფლობდა მუშტი-კრივისას, არამც და არამც უბრალო ბერი არ უნდა ყოფილიყო. ანდა ამ თოვლიან ღამით ბაღში რა ესაქმებოდა ბერს, ვკვირობდი და ვერაფერი გამეგო. ცოტა ხანს ვიფიქრე და მერე გადავწყვიტე, ერთხელ კიდევ მოვპარულიყავი საჩაიესთან.

განვლო საათმა. ფრიად საეჭვო მოხეტიალე ბერმა ისარგებლა იმით, რომ თოვა შეწყდა და გაყვა ოგოვადორის ქუჩას. ეს ამაკავა ძინაი იყო, სამურაი, მოქალაქე, მოხეტიალე მუსიკოსი, მოშაირე კაცი, ვისაც შეეძლო ათასნაირად ეცვალა იერი, მთელ კიოტოში ცნობილი ქურდი! მალულად მივდევდი მის კვალს. ასე გახარებული არასოდეს ვყოფილვარ. ამაკავა ძინაი! ამაკავა ძინაი! როგორ ვინატროდი მას, რამდენჯერ დამსიზმრებია კიდეც. ვინაც მახვილი წარსტაცა კამპაკუს[156], ვინაც სიამუროაში[157] მარჯანი დასტყუა გამოჯეკილ მფლობელს მარჯნისას, ვინაც ხუთ ბეღელს დახსნა კარები და მიკავას რვა რჩეული სამურაი გაისტუმრა მოუსავლეთში და მრავალი და მრავალი საკვირველზე საკვირველი, საუკუნეთა მანძილზე დაუვიწყარ ამბად დარჩენილი ბოროტებით დაზაფრა ხალხი, ძინაი გახლდათ სწორედ... და ეს ძინაი, ცხვირზე ჩამოწეული ჭილის ქუდიანი, ახლა ჩემ წინ მიაბიჯებდა თოვლით ოდნავ გადათეთრებულ ქუჩაზე. მე შემეძლო, საკუთარი თვალებით მეცქირა მისთვის. ეს უკვე დიდი ბედნიერება იყო. მაგრამ მეწადა უფრო ბედნიერი გავმხდარიყავი.

როცა ძეგონძის ტაძრის უკანა მხარეს მივაღწიეთ, სწრაფად წამოვეწიე ძინაის. უკაცრიელი ალაგი გახლდათ, მიწაყრილი აზვინულიყო მთელ გაყოლებაზე. დღისითაც კი ზედგამოჭრილი იყო ეს ადგილი ხალხს გარიდებული კაცისთვის. ძინაიმ შემომხედა, ოდნავადაც არ შეშინებია, დაჯერებულად შედგა. მდუმარედ

დაეყრდნო ჯოხს, თითქოსდა ელოდა, რას ვეტყოდი. მე მორჩილად დავიჩოქე მის წინ, ხელები წინ დავიწყვე[158], მაგრამ ისე მშვიდად გამომხედა, ენა ჩამოვარდა.

- მომიტევეთ, მე იასაბურო გახლავართ, ძე ჰოძეი იასემონისა, - წამოვიწყე, როგორც იქნა. სახე მიხურდა ერთიანად. - უკან გამოგყევით, რადგან სათხოვარი მაქვს თქვენთან.

ძინაიმ თავი დააქნია. ისე დამძლია სულმოკლეობამ, ამაზეც დიდად მადლიერი დავრჩი, მერე მომეგო სითამამე და მოკლედ მოვუთხრე, როგორ გამომაგდო მამამ სახლიდან და ახლა ყოველი ჯურის გარეწრებში რომ ვარ გარეული. ამ ღამით როგორ შევიპარე მამაჩემის სახლში საქურდლად, მაგრამ მას, ძინაის გადავაწყდი მოულოდნელად, მერე ძინაისა და მამის საიდუმლო საუბარი ვისმინე. ძინაი კვლავინდებურად ცივად მომჩერებოდა, ტუჩები მოეკუმა. ხმა არ გაუღია. როცა მოყოლას მოვრჩი, წინ წავჩოჩდი ცოტათი და დაჟინებით ავაცქერდი.

- ჰოძეის სახლ-კარზე გაწეული ამაგი მეც მავალდებულებს. ამის ნიშნად გადავწყვიტე, თქვენი

ხელქვეითი გავხდე. გთხოვთ, მიმსახუროთ, ქურდობაც ვიცი, ხანძრის გაჩენაც, ჯიბგირობაშიც არავის დავუდებ ტოლს. დუმდა ძინაი. გული ამიძგერდა, უფრო მხურვალედ ავლაპარაკდი.

- გთხოვთ, მიმსახუროთ! არაფერს დავიზარებ. კიოტო, ფუსიმი, საკაი, ოსაკა, - სად არა ვარ ნამყოფი. თხუთმეტი რი შემიძლია ფეხით გავიარო ერთ დღეში. ცალი ხელით ტომარას ვეწევი, ოთხ ტოს[159] რომ იწონის, ისეთს. ორი-სამი კაცი მყავს უკვე მოკლული. მიმსახურეთ, გვედრით. თქვენი გულისათვის ცეცხლში ჩავვარდები. ფუსიმის ტაძარში თეთრი ფარშავანგი ჰყავთ, ოღონდაც მოისურვეთ და მერე მე ვიცი! სიტყვა რომ დაგცდეთ, სანტო ფრანცისკოს სამრეკლო დაწვიო, გადავბუგავ. უდაიძინის[160] ასულსაც, თქვენი სურვილი იყოს ოღონდ, უმალ აქ მოგგვრით და ქალაქის თავის გოგრასაც მოგიტანთ, თუკი ინებებთ. უეცრივ წიხლი მომხვდა და უკან გადავვარდი.

- რეგვენო!

ასე შემამკო თუ არა, მოინდომა გამცლოდა, მაგრამ მე გადარეულივით ჩავაფრინდი ანაფორის

კალთაზე. - თან წამიყვანეთ, გთხოვთ! არ მოგეშვებით არასგზით. ცეცხლსა და წყალში თქვენი გულისათვის. აი, მეფე-ლომი ეზოპეს მოთხრობაში[161] თაგვმა არ გადაარჩინა? ის თაგვი გავხდები... მე...

- ხმა ჩაიგდე. ლაწირაკო... ეგღა მაკლია, შენს იმედად ვიარო! - ისევ მკრა წიხლი. - არამზადავ, ჯობდა დამჯერი შვილი ყოფილიყავ. ახლა კი ბრაზი მომერია...

- ვნახოთ აბა, მე ჩესას ვიზამ.

ძინაიმ აღარც მომხედა, სწრაფად მიაბიჯებდა თოვლზე. ღრუბლებიდან გამოცურებული მთვარის შუქზე ძლივსღა მოჩანდა მისი ჭილის ქუდი... ორი წელი აღარ მინახავს მის მერე. (იცინის უეცრივ) „ეგღა მაკლია, შენს იმედად ვიარო“...

- სწორედ ასე თქვა. ხვალ კი, გამთენიისას, ძინაის მაგიერ მე მომკვეთენ თავს. ო, დედაო-წმინდავ, მარია-სამა როგორ ვიტანჯე ეს ორი წელი. ძინაისთვის სიკეთის გადახდის სურვილი მახრჩობდა, სიკეთისა იმდენად არა, რამდენიც წყენინების, მაგრამ სად მეპოვა ძინაი? სად იყო?

რას აკეთებდა? იცოდა ვინმემ განა? ყველაფერს თავი დავანებოთ, როგორი იყო შესახედავად? არც ეს უწყოდა არავინ. მე რომ ბერი შემომხვდა, ტანმორჩილი იყო, ასე, ორმოციოდე წლის. მაგრამ ის, ვინაც დაიარებოდა იანაგიმატის თავშესაქცევი სახლების კვარტალში, განა ოცდაათი წლის მოხეტიალე სამურაი არ იყო, ყირმიზ სახეს ულვაშები რომ უმშვენებდა? ახლა, წელში ოთხად მოკაკული წითური უცხოელი, რომელმაც, როგორც ამბობენ, ჩაშალა კაბუკის თეატრის წარმოდგენა? შუბლზე კულულებჩამოყრილი ყმაწვილი სამურაი, მეკოკუძის ტაძრიდან განძი რომ წარიტაცა?.. თუ ისე ჩავთვლით, რომ ყველაფერს ამას ძინაი სჩადიოდა, მაშინ მისი ნამდვილი სახის დადგენა აღემატება ჩვეულებრივი მოკვდავის ძალებს... ამასობაში სისხლის ღებინებაც დამეწყო, გასული წლის ბოლოდან ასე ვარ.

არა. დამცირებას არ შევარჩენ. რაიმეთი უნდა გადავუხადო. ძვალი და ტყავი დავრჩი, სინათლე გამდიოდა ლოყებში, მე კი ამაზე ვფიქრობდი დღე-ნიადაგ. და აი, ერთხელ ღამით ბრწყინვალე აზრი დამებადა. ო, მარია-სამა! ო, მარია-სამა! ეს აზრი უდაოდ შენმა სიკეთემ ჩამაგონა. სისულელეა არ გეთმობოდეს სისხლის ნთხევით განაწვალები, ჩამომხმარი სხეული, საკმარისია შეელიო მას და აგიხდება ნანატრი. იმ ღამით ჩემთვის ვიცინოდი სიხარულისაგან და დილამდე ერთსა და იმავეს ვიმეორებდი: „მე თავს მომკვეთენ ძინაის მაგივრად! მე თავს მომკვეთენ ძინაის მაგივრად!“

მე თავს მომკვეთენ ძინაის მაგივრად! - რა დიდებული სიტყვებია! მაშინ, თქმა აღარ უნდა, ჩემთან ერთად კვალიც გაქრება მთელი მისი ნამოქმედარის და ძინაის შეეძლება, თავაწეული იარებოდეს მთელ იაპონიაში. მე კი... (ისეც იცინის). მე კი ერთ ღამეში სახელგანთქმული ყაჩაღი გავხდები. ვინაც სუკეძაემონს ახლდა ლუსონში, ვინც მოჩეხა კიარას[162] ხე ბიძენის პროვინციაში, ვინაც ახლობელი იყო რიკიუ-კოძისა, ვინაც დასტყუა მარჯანი სიამუროას, ვინაც გაძარცვა ფუსიმის ტაძრის ვერცხლეულის საგანძური და ვინაც მიკავას რვა სამურაი მოუსავლეთში გაამგზავრა... აწ მე მეკუთვნება ძინაის სახელოვნება (იცინის მესამედ), თან გადავარჩენ, თანაც მოვსპობ მის სახელს, ჩემი ოჯახისათვის გაწეულ სიკეთეს ვუზღვავ და შურსაც ვიძიებ შეურაცხყოფისათვის. გულს მოვიოხებ ყოველნაირად. რა დასამალია, ნურც გაიკვირვებთ, მთელი ღამე ვხარხარებდი სიხარულისაგან. ახლაც, ამ ბნელეთშიაც ჩემს ბაგეს ღიმილი არ სცილდება.

ცბიერი განზრახვა მქონდა. ავდექი და იმპერატორის სასახლეში შევიპარე ქურდობის მიზნით. მახსოვს, ბინდიანი საღამო იყო. ბამბუკის თახჩაფუჩებს შორის კრთოდა სინათლე, ფიჭვნარი თეთრად მოსადაფულიყო ყვავილებით. ტალანის სახურავიდან

უკაცურ ბაღში გადავეშვი თუ არა, წამსვე, როგორც ველოდი, მოყარაულე სამურაებმა მტაცეს ხელი და ახდა, ახდა მაშინ ნანატრი. ერთმა წვეროსანმა სამურაიმ, რომელმაც დამცა და მაგრად გამკოჭა, ძლივს არ ვიგდეთ ხელთ ეს ძინაიო, ხვნეშით ამოთქვა. ასეც ველოდი. აბა, ძინაის გარდა ვინ გაბედავდა სასახლეში

შეპარვას საქურდლად? ეს სიტყვები რომ ჩამესმა, მიუხედავად იმისა, თოკები ძვლამდე მქონდა ჩაჭედილი, უნებურად გამეღიმა.

„ეგღა მაკლია შენს იმედად ვიარო!“ - ასე არ მითხრა?! მაგრამ მე ხვალვე ძინაის მაგიერ ამიგებენ წესს. ო, რა სიამით მივახლიდი ამ ამბავს ძინაი ბატონს. ხვალ ჩემი მოკვეთილი თავი დაელოდება მის მობრძანებას და ძინაი აუცილებლად იხილავს ჩემს ბაგეზე შეყინულ სიცილს. „რაო? სიკეთისათვის გადაგიხადა თუ არა იასაბურომ? - აი, რას ამცნობს მას ეს სიცილი, - შენ ამიერიდან ძინაი აღარა ხარ. ძინაი აგერა, ეს თავია! იგია ახლა მთელს იაპონიაში სახელგანთქმული ქურდი“. (იცინის). ო, რა ბედნიერი ვარ! პირველად ვარ ასე ბედნიერი მთელ სიცოცხლეში.

მაგრამ ჩემი თავი მამაჩემმა, იასემონმა რომ ნახოს... (გულმწარედ). შემინდე, მამავ, ჩემთვის თავიც რომ არ მოეჭრათ, ბევრ ხანს ვერ გავატანდი მაინც, ორიოდე წლის სიცოცხლე დამრჩენოდა ალბათ, მეტი არა, ისე მქონდა ფილტვები დაჭიმული. სულ სისხლი ამომქონდა პირიდან. შემინდე, რომ უღირსი შვილი ვიყავი. უკუღმართად ვიყავ დაბადებული, მაგრამ ერთი რამ მაინც მესახელება, ეს მაინც მეთქმის: ხომ ვზღვე და სამადლოდ არ გავხადე ჩვენი ოჯახისათვის გაწეული სიკეთე.

მარტი***, 1922***წ.

თარგმნა ედიშერ გიორგაძემ

ბაღი

[163]

ეს იყო ძველისძველი ოჯახის, ნაკამურათა გვარეულობის კუთვნილი ბაღი, იმ ოჯახისა, ოდითგანვე რომ მოურავობდა საფოსტო სადგურთან მიშენებულ კეთილშობილ მგზავრთა ფუნდუკს.

რევოლუციიდან ათი წელი გასულიყო, რაც ბაღში არავის დაეკრა ბარი, მაგრამ წალკოტს ჯერ კიდევ მთლად არ გასცლოდა პეწი. გოგრასებრ წაგრძელებული ტბა გამჭვირვალე იყო. ძველებურად გადმოფოჩილიყვნენ ფიჭვის რტოები, უცვლელად შთენილიყო „შემოფრენილი ყანჩის ქოხიცა“ და „გულის განსაბანი ტალავერიც“. მთიდან ძველებურად გადმოჩქეფდა კამკამა ჩანჩქერი. ჟამთსრბოლამ ნირი ვერ უცვალა ვერც ასკილის ყვითელ ჯაგებს შუა ამოსვეტილ ქვის ფარანს, ნიშანს იმ ღირსახსოვარი დროისა, რომ ამ მხარეში გზად ჩაიარა თავადის ქალმა კამუმ[164]. ტბის უკან აზვინული გორაკებიდან ისევ და ისევ მოჩქეფდნენ თეთრად აქაფებული ჩანჩქერები. ოღონდაც ვერა და ვერ ტყუვდებოდა თვალი. ცხადლივ ჩანდა, აქაურობა ღვთის ანაბარა რომ იყო მიტოვებული. ადრეულ გაზაფხულზე, ოდეს ხეებზე აფეთქდებოდა კვირტები და მწვანე საფარველს მოისხამდა ბაღი, იგრძნობოდა. ადამისშვილის ნახელავს იდუმალი რამ

ველური ძალა რომ ბარდავდა, ფოფრავდა და აჯანყებდა. ბეხრეკმა ინკემ[165], მახვშმა ნაკამურთა ოჯახისა, ნიადაგ ზეთი რომ ჩამოსდიოდა სახეზე, წალკოტზე გადამდგარ ფუძე-სახლში დაიდო ბინა და ღუდუდოებდაყრილ ცოლთან ერთად ბუხრის პირს მშვიდად ატარებდა დარჩენილ დღეებს, ზიზილ-პიპილო ბანქოს შლითა და გოს[166] თამაშით ირთობდა თავს. ზოგჯერ ხუთ-ექვს ხელს ზედიზედ უგებდა დედაბერი. მაშინ ცხარდებოდა და იბოღმებოდა ინკე. უფროსი ვაჟიშვილი, ვისაც მან ოჯახის თავკაცობა გადაულოცა, ყმაწვილქალ ცოლთან ერთად (ბიძაშვილად რომ ერგებოდა) ფუძე-სახლთან ტალანით შეერთებულ ვიწრო ფლიგელში ცხოვრობდა. ფიცხი, თავშეუკავებელი კაცი იყო ბუნსიცუ. ასე გასინჯეთ, ბეხრეკი ინკეც კი უფრთხოდა და ერიდებოდა. ჯანსუსტი ცოლი და უმცროსი ძმები ხომ სიტყვას ვერ უბრუნებდნენ. ბინსიცუს ზოგჯერ ესტუმრებოდა კარდაკარ მოხეტიალე, უპოვარი მელექსე სეიგეცუ, იმხანად სადგურის მიდამოებში რომ დაბოგინობდა. რატომღაც მხოლოდ მას ხვდებოდა ოჯახის თავკაცი შუბლგახსნილად და მოწყალედ, საკეს მიაწვდიდა, მერე დასვამდა ლექსების საწერად. შემორჩა იმდრონდელი სტროფები: „მთებზე შთენილა ჯერაც კიდევ ყვავილთა და ბალახთ სურნელი, მთებს შეუნახავთ ექოც გუგულის დაძახილისა“ (სეიგეცუ). „კრთის აქა და იქ, კლდეთა ღარებზე თეთრი სიმ-ალყა ჩანჩქერებისა“ (ბუნსიცუ).

ორი შვილი კიდევ ჰყავდა მოხუცს. შუათანა ბრინჯით მოვაჭრე ნათესავმა ჩაისიძა[167], უმრწემესი კი ქალაქად იყო, დაბიდან 5-6 რის[168] მოშორებით. ორთავენი, თითქოს პირი

შეკრესო, ახალ მთვარესავით თუ გამოჩნდებოდნენ მშობლიურ სახლში. უმრწემესი, არყის ქარხნის შავი მუშა, შორსაც ცხოვრობდა და ოჯახის უფროსსაც ვერ ეწყობოდა.

ქეიფსა და დროსტარებას აყოლილი შუათანა საკუთარ ცოლ-შვილთანაც უცხო სტუმარივით იყო.

ორი-სამი წლის შემდეგბაღი კვლავ უფრო გაუდაბურდა, ტბის ზედაპირზე ყანთალებდნენ წყალმცენარეები. მწვანიანს ჩინჩხვარი გაერია. ერთ გვალვიან დღეს მოხუცს დამბლა დაეცა და სული გააფრთხობინა. ინკეს სიკვდილამდე ხუთიოდე დღის წინ, როცა იგი, ჩვეულებისამებრ, ნაყენს წრუპავდა „გულის განსაბან ტალავერში“, ტბის გაღმა მხარეს იარებოდა თურმე ვინმე თეთრად მოსილი კუგე[169]. თუმცა ვინ უწყის, იქნება მოხუცს მოეჩვენა ესე ყოველი. მომდევნო წელს, გვიან გაზაფხულზე, შუათანა ძმამ დედობილ-მამობილის ფული ჩაიჯიბა და ჩაის სახლის ფარეშ ქალთან ერთად უგზოუკვლოდ გადაიკარგა. შემოდგომაზე კი მისმა ცოლმა შვიდთვიანი ბავშვი შვა.

მამის სიკვდილის შემდეგ უფროსი ძე დედასთან ერთად ფუძე-სახლში დასახლდა, გათავისუფლებული ფლიგელი იქაური სკოლის დირექტორმა დაიქირავა. ფუკუძავა იუკიტის[170] უტილიტარისტული თეორიის მიმდევარი გახლდათ დირექტორი, ამიტომაც უფროს ძეს დღენიადაგ ჩააგონებდა, მარადმწვანე ხეთა გვერდით ხეხილიც გაეშენებინა. ყურად იღო ბუნსიცუმ ეს რჩევა და მალე ტირიფებს და ფიჭვებს გვერდი დაუმშვენა ქლიავის, ატმისა და

ჭერმის ხეებმა. გაივლ-გამოივლიდა სკოლის დირექტორი ახალ ნარგავებში, სიტყვას გადაუგდებდა უფროს ძეს. „ახლა ყვავილთა ჭვრეტითაც დაიტკბობს კაცი თვალს და ნაყოფთა ხილვითაც... ერთი გასროლით ორი კურდღელი... მაშ!“. ამა ყოველმა ეშხი წაართვა ისედაც შელანძღულ ნაყორ გორაკებს; ტბასა და ფანჩატურებს, უნაყოფო, მაგრამ მშვენიერ ხეებს არა და არ მიესადაგა ხეხილი. მარტოოდენ დარგვა რა დიდი ბედენა იყო, როცა მზრუნველი ხელი არ ღირსებია ახალჩაყრილ ხეებს. რაც ბაღს ბუნებითმა შლამ და რღვევამ დააკლო, ის ადამიანის ნაქნარმა დაუმატა. მარადმწვანე მცენარეებთან ერთად ახლა ხეხილიც გაიბურდა და გაოხრდა. ყველა ამ სიკეთეს შემოდგომაზე ხანძარიც მოჰყვა, აგრე იშვიათი ამ მხარეს, და მთები ცეცხლმა გადარუჯა. მას მერე სამუდამოდ ამოშრა მაღლობებიდან მოჩხრიალე ჩანჩქერთა სათავეები. ავბედითობა მალე ოჯახსაც ეწვია. პირველი თოვლი დადო თუ არა, ოჯახის უფროსი ლოგინად ჩავარდა. ჭლექი შეეყარა. ხასიათი მთლად წაუხდა, ბრუნდად ესმოდა ყველაფერი. ახალი წლის მოსალოცად მოსულ შვილს ხელსათბური გაუქანა და სთხლიშა. ამის შემდეგ უმრწემესმა ფეხი ამოიკვეთა სახლიდან. უფროსი ძმის გასვენებასაც კი არ დასწრებია. ბუნცისუმ ერთი წელი იცოცხლა კიდევ. მეუღლე თავს ადგა გამუდმებით. საწოლის თავზე გაკიდულ, კოღოებისგან საფარი ბადის ქვეშ ამოხდა სული. „ბაყაყები გაჰყვირიან... რა სჭირს სეიეცუს?“ - აი მისი უკანასკნელი სიტყვები. სეიგეცუ კი, რა ხანია, აღარ ჩანდა იმ არე-მიდამოს. თითქოს ამ კუთხის სანახები მოსწყინდაო, მოწყალების სათხოვნელადაც აღარ მოსულა.

წლისთავი გადაიხადეს თუ არა, უმრწემესი ძმა თავის პატრონის ქალიშვილზე დაქორწინდა. სკოლის დირექტორი სხვა ალაგას გადაიყვანეს და ცოლ-ქმარი დაეპატრონა ფლიგელს. შავად გალაქული კომოდებით გაივსო ახლა შრამელი, და ვარდისფერი და თეთრი ბამბის ფთილებით მოირთო[171]. მაგრამ მალე დასნეულდა უფროსი ძმის ცოლიც. მასაც ჭლექმა დარია ხელი. სისხლს აღებინებდა პირიდან,

ამიტომ ოჯახის უფროსის ერთადერთი ნაშიერი რენიტი ბებიამ შეიკედლა. ძილის წინ ბებია ყოველთვის პირსახოცით გაიკრავდა ხოლმე თავს. ვირთხები მაინც ვერ მოიშორა. როცა კი პირსახოცის წაკვრა დაავიწყდებოდა, ღუდუდოების სუნზე მოძუძგურდებოდნენ ვირთხები, თავს დაუკბენდნენ უმოწყალოდ. წლის დამლევს უფროსი ძმის სნეული ცოლი ისე უჩუმრად გათავდა, როგორც ლამფა ჩაიჭრუტება და ჩაქრება ხოლმე. დასაფლავების მეორე დღეს თოვლმა ჩაიტანა მთის ძირას მდგარი „შემოფრენილი ყანჩის ქოხიც“. და როცა მოდგა გაზაფხული, ხეების რტოები გადაირია, ბაღი მთლად გაუდაბურდა, გაპარტახდა და ახლა მღვრიე ტბასთან „გულის განსაბან ტალავერის“ ლერწმის სახურავსღა მოლანდავდა კაცის თვალი.

გაგრძელება

ერთ უჟმურ დღეს, მიმწუხრისას, ათი წლის წინათ სახლიდან გაქცეულმა შუათანა შვილმა მოაკითხა მამისეულ კარ-მიდამოს. მამისეულს ეძახდნენ, თორემ, სინამდვილეში, მისი

სრულუფლებიანი ბატონ-პატრონი უმრწმესი ძმა იყო. ისე შემოხვდა იგი ძე შეცდომილს, ვითომდაც არაფერი მომხდარიყო, არც სახე დაუღრეჯია უსიამოდ, არც ჭერში ამხტარა სიხარულისგან.

შუათანა ძმა მთავარ სახლში, „ბუდათა სენაკში“ დამკვიდრდა. იწვა იქ გაშოტილი, ზეზე ძლივს დგებოდა ავი სენით შეპყრობილი, მიშტერებოდა ბუხრის ალს. სამლოცველოში პატარა ფირფიტები ელაგა, გარდაცვლილი მამისა და ძმის სახელები იყო ზედ ამოჭრილი. კარს მიუგდებდა ხოლმე სნეული, ეს ფირფიტები რომ არ მოხვედროდა თვალში. დედას, ძმასა და რძალს არ იკარებდა. მათთან ერთად დღეში სამჯერ ტაბლას მიუჯდებოდა ხოლმე ძალაუნებურად. ეს იყო და ეს. ობოლი რენიტი მოაკითხავდა ხანდახან და ისიც ფიქალზე უხატავდა ბიჭს მთებსა და ხომალდებს. ხელი არ მორჩილებდა, ბატიფეხურით წაუწერდა ძველებური სიმღერის სიტყვებს: „მუკოძიმას მთაზე ყვავის ალუბალი, გამო ნეისან[172] ჩაის სახლიდან“.

და ისევ დადგა გაზაფხული, გაბურდულ ბაღში აქა-იქ ყვაოდა ატმები და ჭერმები, ჩაჟალტამებულ ტბაში ჩაყუდებულიყო „გულის განსაბანი ტალავრის“ ანარეკლი. შუათანა ძმა კი კვლავინდებურად იჯდა გამოკეტილში და გამუდმებით თვლემდა. და აი, ერთხელ, მის ყურს მოსწვდა სიამისენის სიმთა ჟღერა. ვიღაცამ ბზარნაკრავი ხმა ააყოლა საკრავს. „სუვას

ბრძოლაში ციხესიმაგრის ქვემეხთა რიგებს როდი მოსცილდა ნაცუმოტოს სისხლი და ხორცი, დიდი თავადი იოსიესამა, აგრე ინება“... მწოლიარემ თავი აიღო. ეჭვი არ იყო, დედა მღეროდა და უკრავდა სიამისენს სამზადში. „ფარჩა ემოსა, გამობრძანდა დიდებულადა, საომრად გამზადებული სუვას ბრძოლაში, ერთის შეხედვით ეტყობოდა, იყო რაინდი“... განაგრძობდა დედა. ალბათ შვილიშვილს ასმენინებდა ოცუს სურათებზე[173] წარწერილ სიტყვებს. ეს სიმღერა, ერთმა ოირანმა[174] რომ ასწავლა მის უგლიმ, აწ გარდაცვლილ მეუღლეს, დიდ მოწონებაში იყო ოცი-ოცდაათი წლის წინათ. „ბედისწერას ვერ ასცდება. გაისისინებს ვერაგი ტყვია, მკერდს გაუგმირავს ტოიოს ხიდთან, ვითარცა ცვარი ბალახზე, გაქრება იგი, ო, სანაცვლოდ კი

სახელი მისი ხალხში დარჩება აწ და მარადის“... გაკვირდა შუათანა, გადაუნათდა წვერში ჩამჯდარი სახე.

ორი-სამი დღის შემდეგ უმრწემესმა ძმამ თვალი მოჰკრა, მისი ძმა მიწას აბრუნებდა ბუერამოდებული ნაყორი მთის ძირას. ქლოშინებდა, აცა-ბაცა იქნევდა წალკოტს. ეს იყო მხოლოდ, დიდი დაჟინება იგრძნობოდა მის ერთი შეხედვით სასაცილო საქმიანობაში. უმრწემესი, პირში პაპიროსი რომ ჰქონდა გაჩრილი, უკნიდან მიუახლოვდა და ჰკითხა: რას სჩადი, ძმაო? შუათანამ დაბნეულად მოხედა, - აქ არხი უნდა გავიყვანო. - რადადა რისთვის? - ძველებურ ყაიდაზე უნდა მოვაწყო ბაღი. გაიცინა უმცროსმა ძმამ, აღარაფერი უკითხავს.

მთელი დღე მუშაობდა შუათანა წალკატით ხელში. არხს თხრიდა. ეძნელებოდა საქმე. ძვალტყავად ექცია სნეულებას. უჩვევი იყო თანაც, ჩქარა უწყდებოდა ქანცი. ბებერები დაასხდა ხელებზე, ფრჩხილები ასტკეცოდა, ტანში ამტვრევდა. დროდადრო შორს მოისვრიდა წალკატს, მკვდარივით მიეგდებოდა მიწაზე. მის ირგვლივ, ოხშივარადენილ ბაღში ლაღობდა ახალნაზარდი ბალახის ყლორტები და ყვავილები. ოხშივარი ასდიოდა ბაღს. სულს მოითქვამდა ორიოდ წამით, ისევ წაფორხიალდებოდა თხრილისაკენ.

დღე დღეს მისდევდა. ბაღს კი სასიკეთო ჯერ არაფერი ეტყობოდა. ტბაში ძველებურად ხასხასებდა წყალმცენარეები და ერთმანეთში გახირებული ჩინჩხვარადქცეული ხეთა ტოტები. ახლა წინანდელზე უფრო გამოყრუებული ჩანდა

ბაღი, განსაკუთრებით მას მერე, რაც ყვავილი დასცვივდა ხეხილს. სახლის მკვიდრთაგანს არავის მოსდიოდა თვალში ეს წამოწყება. უმრწემესი ძმა ანგარიშში ჩაეფლო, ბრინჯისა და აბრეშუმის ქორვაჭრად იქცა. მისი ცოლი ქალური ზიზღით ერიდებოდა ავადმყოფ მაზლს. დედა... დედა შიშობდა, მიწის თხრას მთლად არ მოეთავებინა ხელი მისი ვაჟიშვილისათვის. შუათანა არც ხალხს შეეპუა, არც ბუნებას, ნელინელ ასხვაფერებდა ბაღს.

ერთხელ, ნაწვიმარზე გამოვიდა ბაღში და დაინახა, რენიტი ქვებით აპირკეთებდა არხის

კიდეებს, საიდანაც ბუერას ფოთლები გადმოშლილიყო. მხიარულად შეაცქერდა რენიტი თვალებში: მეც მოგეხმარები, რა იქნებაო, შესთხოვა. „აგრე იყოს“. უჩვეულოდ გაიბადრა შუათანა ძმა. რა ხანია, ღიმი არ მიჰკარებია სახეზე. მას მერე რენიტი აღარ მოსცილებია ბიძას. მხარში უდგა დღენიადაგ. დროდადრო მუხლს ჩახრიდა მაშვრალი, ჩრდილს შეაფარებდა თავს. ძმისწულის გასართობად ათას რამეს გაიხსენებდა. ზღვის ამბებს იტყოდა, ტოკიოსას, რკინიგზებისას. ღიჯნიდა რენიტი მწვანე ქლიავს და მონუსხულივით უსმენდა ბიძას.

იმ წელს გვალვიანი ამინდი დაიჭირა. ორნი, საპყარი და ბალღი, არ ეპუებოდნენ არც მზის მშანთავ სხივებს, არც მწვანიანის მხუთავ ოხშივარს, თხრიდნენ მიწას, კაფავდნენ ხეებს და უფრო და უფრო ღრმად იჭრებოდნენ ბაღში. ასე ჯახირობდნენ და რის ვაინაჩრობით საქმეს როგორღაც ართმევდნენ თავს. ეგ იყო ოღონდ, სხვა გასაჭირს ვერაფერი მოუხერხეს. შუათანას მხოლოდღა სიზმრად ნანახივით ახსოვდა ბაღის

ძველებური იერი. როგორც კი შეეცდებოდა მოეგონებინა ხეების ადრინდელი განლაგება თუ ბილიკების ასავალ-დასავალი, მყის ბინდი ეკრობოდა თვალზე. ზოგჯერ მუშაობისას უეცრივ შედგებოდა, წალკატს ჩამოეყრდნობოდა და გაშტერდებოდა. შეშფოთებით მიაჩერდებოდა რენიტი. - ვერ გამიგია, რა იყო აქ ადრე? - თავისთვის დაბნეულად ბუტბუტებდა გაოფლილი ბიძა. - ეს ნეკერჩხალი აქ არ უნდა ყოფილიყო“. რენიტი ყუჩობდა და ზინზლიანი ხელებით ჭყლეტდა ჭიანჭველებს. სხვა რა ჩარა ჰქონდა.

ზაფხულის მიწურულს შუათანას გაუსაძლისი ჯაფისაგან თავბრუსხვევა დასჩემდა. ტბისთვის განკუთვნილი, საკუთარი ხელებით ამოღებული ორმოს ერთი ნაწილი ისევ ამოავსო მიწით, აქ ხეს რა უნდაო. იტყოდა, ამოთხრიდა ფიჭვს, ცოტა ხნის მერე კი იმ ადგილას კვლავ ფიჭვსრგავდა. ასე დასჩემდა. რენიტი განსაკუთრებით გაგულისდა, როცა ბიძამ წყლისპირა ტირიფები დაჩეხა სამარგილედ. ეს ტირიფები განა თქვენვე არ ჩარგეთ ამას წინათო? - უსაყვედურა. „ვაგლახ რომ მთლად დავკარგე მახსოვრობა“, - ბიძა დაღვრემილი დასცქეროდა მზედაღვრილ ტბას.

და მაინც, როს მოაწია შემოდგომამ, ბუჩქებისა და ბალახების ბარდებში ბუნდოვნად გამოიკვეთა ბაღის მოხაზულობა. ძველს ვერ მოერიდებოდა, რაღა თქმა უნდა. ვერც „შემოფრენილი ყანჩის ქოხს“ დალანდავდით სადმე, და ვერც გორებიდან გადმოქანებულ ჩანჩქერებს. ნაშთიც აღარ იყო ნაცადი მებაღის ნახელავისა. უკვალოდ გადაქრა ძველებური სინატიფე, მაგრამ ბაღი მაინც არსებობდა. ტბის მჭვირვალ წყალში ერთხელ კიდევ ათრთოლდა ნაყორი გორაკების ანარეკლი და ფიჭვებმაც კვლავ მედიდურად გადაატოტეს შტოები „გულის განსაბან ტალავერს“.

და როცა უკვე აღსდგა და განახლდა ბაღი, სწორედ მაშინ ჩავარდა ლოგინად შუათანა ძმა. სახსრებში სტეხდა, სიცხე აღარ გამონელებია. „რა ცუდუბრალოდ მიაკლა თავი“, -

გაუთავებლად მოთქვამდა შვილის სასთუმალთან მიმჯდარი დედა. შუათანა კი ბედნიერი იყო. მერე რა, თუ ბაღში ბევრი რამის გაკეთება კიდევ ეწადა.

ამას აღარაფერი ეშველებოდა. ამაოდ მაინც არ დამაშვრალა. ათი წლის შრომამ ასწავლა ბედის მორჩილება. ამით გაიტანა ლელო.

შემოდგომის მიწურულს შუათანა ძმა ისე უჩუმრად გათავდა, ვერავინ შეიტყო. პირველმა რენიტიმ შეიცხადა. ხმამაღლა ყვირილით გავარდა ტალანში ფლაგელისაკენ. წამსვე მიცვალებულის სარეცელთან მოიყარა თავი მთელმა დაზაფრულმა ოჯახმა. „ხედავ, ჩემი ძმა თითქოს იღიმის!“ - მიუბრუნდა დედას უმრწემესი. „ოი, დღეს ღიაა სახატეს კარი!“ - თქვა მისმა ცოლმა ისე, რომ ცხედრისაკენ არც მიუხედავს.

ბიძის დამარხვის შემდეგ რენიტი არ სცილდებოდა „გულის განსაბან ტალავერს“. გაოგნებული გასცქეროდა შემოდგომისეულ ხეებს.

დასასრული

ეს იყო ძველისძველი ოჯახის, ნაკამურას გვარეულობის კუთვნილი ბაღი, იმ ოჯახისა, საფოსტო

სადგურზე მიშენებულ კეთილშობილ მგზავრთა ფუნდუკს რომ მოურაობდა. ათი წელიც არ გასულიყო მას შემდეგ, რაც ბაღი განაახლეს. ახლა დაინგრა ოჯახი და კვლავ გავერანდა იქაურობა. იმ ალაგას რკინიგზის სადგური ააშენეს, სადგურის წინ რესტორანი წამოჭიმეს.

იმდროისათვის ნაკამურას გვარეულობიდან იქ უკვე აღარავინ ბოგინობდა. რა ხანი იყო, რაც დედამ დატოვა ეს ქვეყანა. უმრწემესი ძმა გაკოტრდა, გუდა-ნაბადი აიკრა და სადღაც, ოსაკასაკენ გაუტია.

მატარებლები ყოველდღე მოდიოდნენ და მიდიოდნენ, დიდ მაგიდასთან იჯდა ახალგაზრდა სადგურის უფროსი. ხალვათი სამსახური ჰქონდა, თავისუფალ დროს უმზერდა ქლიავისფერ მთებს და მოსამსახურეებთან მასლაათობდა. ამ საუბრებში არასოდეს იხსენიებოდანაკამურას ოჯახი. ვინ დაიჯერებდა, რომ აქაურობას ოდესმე ფანჩატურები და ხელოვნური გორაკები ამშვენებდა.

ამ დროს რენიტი მოლბერტს უჯდა ტოკიოში, აკასაკას ევროპული ფერწერის სტუდიაში. მინის სახურავიდან ჩამოდიოდა სინათლე. მძლავრობდა ზეთის საღებავების სუნი. კოხტაობდა „მომოვარეს“[175] ვარცხნილობით მოლამაზებული მენატურე ქალი და რენიტის არაფერი აგონებდა ბავშვობის სახლს. ოღონდ ხანდახან, როცა ფუნჯს დაუსვამდა ტილოზე, თვალწინ

დაუდგებოდა ნაღვლიანი, ბებრული სახე, გაუღიმებდა და უსაშველო შრომისაგან ქანცგაცლილს ეუბნებოდა: „მხარში მედექი ჯერ კიდევ ბალღი, ახლა ჩემი ჯერი მოდგა“. რენიტი ამჟამად სურათებს ხატავს, კვლავ არაფერი აბადია... უმცროსი ძმის ასავალ-დასავალი არავინ იცის. ივნისი***, 1922*** წ.

თარგმნა ედიშერ გიორგაძემ

როკუნომიელი ქალი

1

როკუნომიელი ქალის მამა ძველისძველი, კეთილშობილი გვარის შთამომავალი იყო. მაგრამ ძველი ყაიდის კაცი ჩამორჩენოდა დროს და ხებუნდაიუს[176] ჩინს ვერ გასცილებოდა. ქალი დედ-მამასთან ცხოვრობდა ერთ დაბალ სახლში, როკუნომიას მახლობლად, ამიტომ შეარქვეს მას როკუნომიელი ქალი.

მშობლები ანებივრებდნენ ქალიშვილს. თუმცა ძველი ჩვეულების თანახმად საზოგადოებაში არ დაჰყავდათ, არავის აჩვენებდნენ. იმედოვნებდნენ კი, რომ ერთხელაც იქნება, ვინმე დანიშნავდა მათ ქალიშვილს. დარბაისლურად და სადად ატარებდა იგი დღეებს, ისევე, როგორც მშობლებს ესწავლებინათ. მის გულს არ ეკარებოდა არც ნაღველი, არც სიხარული. მაგრამ ცხოვრებაში გამოუცდელი ქალი უკმაყოფილოდ არ გრძნობდა თავს. ოღონდ დედა და მამა ჯანმრთელად იყვნენო, - იტყოდა ხოლმე.

ძველთაძველ ტბორზე გადმოხრილი ბებერი ალუბლის რტოები წლიდან წლამდე ძუნწად ჰყვაოდნენ. ამასობაში მშვენიერი ასული შეუმჩნევლად დაქალდა. მამა, ქალის ნუგეში, სიბერეში

საკეს მიეძალა და ერთ დღეს მოულოდნელად გარდაიცვალა. ნახევარი წლის შემდეგ დედა გადაჰყვა ამ მოუნელებელ დარდს. ქალი მწუხარებაზე უფრო დაბნეულობამ მოიცვა. მართლაც, დედ-მამის ნებიერს ქვეყანაზე აღარავინ დარჩენოდა მოხუცი გადიის გარდა.

გადია თავს არ იზოგავდა ქალისათვის, მაგრამ საგვარეულო ძვიფასეულობანი - სადაფის კოლოფები და ვერცხლის საცეცხლურები თანდათან ქრებოდა სახლიდან. ძველი მსახურნი და მოახლენიც ერთმანეთის მიყოლებით ეცლებოდნენ ხელიდან ქალს. დღითიდღე გრძნობდა იგი ცხოვრების სიდუხჭრეს. მაგრამ რა ექნა? დაცარიელებულ პალატებში კვლავინდებურად იქცევდა თავს ერთფეროვანი გასართობით - უკრავდა კოტოს და ტანკებს თხზავდა. და აი, შემოდგომის ერთ საღამოს გადია შევიდა ქალთან და ენის ბორძიკით უთხრა:

- ჩემმა ძმისწულმა, ბერმა, მთხოვა მოგლაპარაკებოდით... ერთი კეთილშობილი კაცი, ტამბას პროვინციის ყოფილი განმგებელი, თქვენთან შეხვედრის ნებას ითხოვს... კარგი გარეგნობისა და კეთილი გულის კაცი ყოფილა, მამაც წარჩინებული ჰყოლია, ხოლო ოჯახი სასახლის კარზე დიდად მიღებული... ხომ არ ინებებდით მასთან დაახლოებას? ამ გაჭირვებაში ყოფნას ყველაფერი აჯობებს...

ქალი ჩუმად ატირდა. ამ კაცთან დაახლოება ხომ გაჭირვების გამო სხეულის გაყიდვას ნიშნავდა. განა არ იცოდა, რომ ხშირად ხდება ცხოვრებაში ასეთი რამ. მაგრამ იმ ფიქრმა, რომ მისი ხვედრიც ამგვარი გამოდგა, სასო წარუკვეთა, იჯდა ქალი გადიის წინ და პირისახე სახელოში ჩაერგო. გარეთ კი, პუერარიის[177] ფოთლებში ქარი უსტვენდა...

2

და მაინც ყოველღამ ხვდებოდა ამ კავალერს. კავალერი, გადიის თქმისა არ იყოს, რბილი ხასიათისა გამოდგა. სახეც და ტანიც ნატიფი ჰქონდა, როგორც მის წარმოშობას შეეფერებოდა. ამას გარდა, ყველასათვის ცხადი გახდა, რომ როკუნომიელი ქალის სილამაზისათვის იგი ყველაფერს დაივიწყებდა ამ ქვეყნად. ქალიც არ ექცეოდა მას ცუდად. ზოგჯერ ერთადერთ ნუგეშადაც კი მიაჩნდა იგი. მაგრამ არც ერთ ღამეს, როცა სანთლების შუქზე ერთად იწვნენ პეპლებით მოხატული შირმის იქით, არ მოუტანია ქალისათვის სიხარული.

ამასობაში კი სახლი გამხიარულდა. ოთახები ახალმა გაკრიალებულმა თაროებმა და ბამბუკის ფარდებმა დაამშვენა. მსახურებიც მომრავლდნენ. გადიას მხნეობა შეემატა და მეტი გულმოდგინებით უძღვებოდა საოჯახო საქმე. მაგრამ სასიკეთო ცვლილებათა მიუხედავად ქალს ვერა და ვერ განელებოდა ნაღველი.

ერთ წვიმიან ღამით საკეთი შეზარხოშებულმა კავალერმა უამბო ქალს შემზარავი ამბავი, რომელიც, მისივე თქმით, ტამბას პროვინციაში მომხდარა: სატახტოდან იძულებისაკენ მიმავალ ვიღაც მგზავრებს ოიამას მთის ძირას გაუთევიათ ღამე. სწორედ იმ ღამით მეფუნდუკის ცოლს ქალიშვილი უშობია. და აი, მგზავრები მომსწრენი გახდნენ, როგორ გამოვიდა სწრაფი ნაბიჯებით მელოგინის ოთახიდან ყველასათვის უცნობი კაცი. მხოლოდ ეს სიტყვები დასცდენია უცნობს: „რვა წლისა... საკუთარ თავს უბედურებას შეამთხვევს... ეს უთქვამს და გამქრალა. რვა წლის შემდეგ კიოტოში მიმავალი იგივე მგზავრები ამავე სახლში ჩამომხტარან. და რა გგონიათ? - მართლაც აღმოჩნდა, რომ რვა წლის გოგონა უცნაური სიკვდილით დაღუპულა! ხიდან ჩამოვარდნილა და ყელით ნამგალს დაჰხევია. აი, რა უამბო კავალერმა ქალს.

ამ ამბის გამგონე ქალი შეაძრწუნა კაცთა ცხოვრების ამაოებამ. იმ გოგონას ბედთან შედარებით კავალერის გვერდით ცხოვრება მართლაც რომ ბედნიერება იყო. „ბედს უნდა მივენდო, სხვა რაღა დამრჩენია?“ - ასე ფიქრობდა ქალი და მხოლოდ ბაგეებით აჩენდა მომხიბვლელ ღიმილს.

სახურავზე გადმოხრილი ფიჭვის რტოები არაერთხელ დაუმძიმებია თოვლს. ქალი ძველებურად აკვნესებდა კოტოს სიმებს და სუგოროკუს[178] თამაშობდა ხოლმე. ღამღამობით კავალერთან მწოლიარე უსმენდა ძველთაძველ ტბორზე დაფრენილი იხვების ხმაურს. ასე

უდრტვინველად გადიოდა დღეები, თუმცა სიხარულიც არ ჩანდა. მაგრამ ეს მოსაწყენი სიმშვიდე მოჩვენებით კმაყოფილებას ანიჭებდა ქალს.

სულ მალე ამ სიმშვიდესაც ბოლო მოეღო. ადრიანი გაზაფხულის ერთ ღამეს ქალთან განმარტოებულმა კავალერმა ძლივძლივობით ამოღერღა: „უკანასკნელად ვხვდებით ამღამ“. მამამისი მუცუს პროვინციის განმგებლად დაუნიშნავთ. კავალერიც უნდა გაჰყოლოდა მამას ამ თოვლიან და მივარდნილ მხარეში. გვიანღა იყო გამოტყდომოდა მამას, რომ მის უჩუმრად გაიხადა ცოლად ეს ქალი. დიდხანს, დიდხანს ამშვიდებდა ქალს, თან ოხრავდა.

- ხუთი წლის შემდეგ გავა სამსახურის ვადა. დამელოდეთ და ნუ იდარდებთ.

ქალი გულდაღმა იწვა და ტიროდა. მტანჯველი იყო მისთვის განშორება კავალერთან, რომელიც თუმცა არ უყვარდა, მაგრამ ნუგეშად კი მიაჩნდა. კავალერი ზურგზე ეფერებოდა ქალს, აიმედებდა და ამხნევებდა. მაგრამ თავადაც ხმა უთრთოდა, ვერ იკავებდა ცრემლებს.

ამ დროს გადიამ ახალგაზრდა მოახლესთან ერთად სინი და საკეთი სავსე სურა შემოიტანა. რა უნდა სცოდნოდა მოხუც გადიას? ამბავი ახარა, ტბორის ნაპირზე მდგარმა ალუბლებმა უკვე კვირტები გამოიღესო...

3

გავიდა ხუთი წელი და კვლავ გამოზაფხულდა. მაგრამ ჩრდილოეთში გამგზავრებული კავალერი არ დაბრუნებულა კიოტოს. ამ ხანში მსახურები მიმოიფანტნენ, ხოლო ქალის პალატები მინაშენში გადასახლდნენ. თუმც ბინა ერქვა, მაგრამ ვიწრო და გავერანებული იყო, ძლივს იცავდა მათ წვიმისა და ცვრისაგან. გადია უცრემლოდ ვერ უყურებდა ქალს. მაგრამ უმიზეზოდაც უწყრებოდა ხოლმე.

გაუჭირდათ. მოჩუქურთმებული კარადები რა ხანია ბრინჯად და ფქვილად გადაიქცა. შესამოსელიც მცირეღა შერჩა ქალს, შეშა არ ჰყოფნიდათ და ნახევრად დამპალ სახლს უკანსაკნელი ფიცრები ერღვეოდა. მაგრამ ქალი კვლავინდებურად გულს იყოლიებდა კოტოს სიმებითა და ტანკერებით, მოთმინებით ელოდა კავალერს.

და აი, იმავე წლის შემოდგომაზე, ერთ მთვარიან ღამით, გადია შევიდა ქალთან და ენის ბორძიკით უთხრა:

- მისი ბრწყინვალება ალბათ აღარ დაგიბრუნდებათ... იქნება დაგევიწყებინათ მისი ბრწყინვალება?.. სიტყვამ მოიტანა და, სამკურნალო უწყების ერთი მოხელე გასაქანს არ მაძლევს, თქვენთან დაახლოება სწადია...

ამის გამგონე ქალს გაახსენდა ექვსი წლის წინანდელი შემთხვევა. ექვსი წლის წინათ ისეთ მწუხარებას შეეპყრო იგი, რომ ტირილით გულს ვერ იოხებდა. ახლა კი დაღლოდა სხეულიცა და გულიც. ოღონდ მშვიდი სიბერე მქონდესო“, - ესღა იყო მისი საფიქრალი. მოუსმინა რა გადიას, სავსე მთვარისაკენ მიაპყრო ჩამომხმარი სახე და ნაღვლიანად გააქნია თავი.

- მე აღარაფერი მსურს. რა ბედენაა, - ვიცოცხლებ თუ მოვკვდები?

სწორედ ამ ჟამს ხიტატის შორეულ პროვინციაში კავალერი უჯდა თავის ცოლს და საკეს შეექცეოდა. ცოლი მოსწონებოდა მამამისს: ამ პროვინციის განმგებლის ასული გახლდათ.

- გეყურება? რაღაც ხმა ისმის. - თქვა კავალერმა და შემკრთალმა მიმართა მზერა სახურავის ლავგარდანს, რომელიც სავსე მთვარის შუქით განათებულიყო. იმავე წამს თვალწინ ცხადად წარმოუდგა როკუნომიელი ქალის სახე.

- ალბათ წაბლი თუ ჩამოვარდა.

ასე უპასუხა ხიტატიელმა ცოლმა და საკეთი სავსე სურა მოუხეშავად წამოაპირქვავა კათხაში.

4

ათი წლის შემდეგ გვიანი შემოდგომით კავალერი დაბრუნდა კიოტოში. თავის ხიტატიელ ცოლთან და მოყვრებთან ერთად რამდენიმე ხანს ავაძუში შეჩერდა, რათა მგზავრობისთვის სასიკეთო დღეს დალოდებოდა. ხალხის ყურადღება რომ არ მიეპყროთ, ბინდისას შევიდნენ კიოტოში. იმ მიყრუებულ პროვინციიდან კავალერმა ორიოდე თბილი წერილი გაუგზავნა კიოტოელ ცოლს, მაგრამ პასუხი არ მოსვლია: ერთი შიკრიკი აღარ მობრუნებულა უკან, სხვანი ხელცარიელი ბრუნდებოდნენ, ვერ მიეგნოთ ქალისათვის. ამიტომ კიოტოში ჩამოსვლისას სიყვარულმა მეტი ძალით იფეთქა მის გულში. ცოლი მამისეულ სასახლეში მშვიდობიანად დააბინავა და იმავ საათს გადაუცმელად გაემართა როკუნომიას.

როკუნომიაში მისვლისას ნახა, რომ ჭიშკრის კარბა ოთხ ბოძზეღა იდგა, ხინოკის ქერქით გადახურული სახლი და ქალის პალატები გამქრალიყო, ნანგრევებიღა ეყარა ირგვლივ. ბალახებში ჩამუხლული კავალერი უაზროდ ავლებდა მზერას იმ ადგილს, სადაც ერთ დროს ბაღი ჰყვაოდა. ნახევრად ამომშრალ ტბორში აქა-იქ ლერწამს ამოეყო თავი. ახალი მთვარის შუქზე ნება-ნება შრიალებდა ლერწამი.

ყოფილ სამოახლოს მახლობლად მან შეამჩნია დაბრეცილი ფიცრული. როცა ქოხს მიუახლოვდა, ვიღაცის ჩრდილი დალანდა. სიბნელეში მზირალი ხმადაბლა გაეხმიანა ლანდს. მაშინ მთავრის შუქზე ბარბაცით გამოვიდა მოხუცი მონაზონი. ეცნაურა.

კავალერმა თავისი სახელი ახსენა, მონაზონი ატირდა და დიდხანს ხმაამოუღებლივ ტიროდა. შემდეგ ცრემლნარევი ხმით უამბო ქალის ამბავი:

- აღარ გემახსოვრებით, თქვენო ბრწყინვალებავ... მე იმ ქალის დედა ვარ, რომელიც ერთ დროს ჩვენს ქალბატონს ემსახურებოდა. ჩემი ქალიშვილი კიდევ ხუთი წელი მსახურობდა აქ, მას შემდეგ, რაც თქვენი ბრწყინვალება კიოტოდან წავიდა. მერე ის იყო ტაძიმაში გათხოვდა ჩემი ქალიშვილი, მეც თან გავყევი. მაგრამ ვერ მოვითმინე, შემაწუხა ქალბატონის ამბავმა, და ახლახან მარტო ჩამოვედი კიოტოში. ჩამოვედი და რას ვხედავ: სახლიც კი გამქრალა. სად არის ახლა ქალბატონი, არც კი ვიცი. ალბათ არ ეცოდინება თქვენს ბრწყინვალებას, რომ იმხანად ძალზე უჭირდა ჩვენს ქალბატონს, ისე რომ, რა გითხრათ...

ყველაფერი ეს მოისმინა კავალერმა, გადაიძრო მოსასხამი და მისცა ამ წელში მოხრილ მონაზონს. შემდეგ თავჩაღუნული განშორდა იქაურობას.

5

მეორე დილას კავალერმა ქალის საძებრად მთელი სატახტო მოიარა, მაგრამ ვერც ქალის კვალს მიაგნო და ვერც მისი ამბისა შეიტყო რა.

რამდენიმე დღის შემდეგ სუძაკუმონის კარიბჭესთან იდგა კავალერი, დასავლეთის სტოას ქვეშ წვიმისაგან შეეფარებინა თავი. მასავით წვიმის გადაღებას უცდიდა მათხოვრის ძონძებში გამოხვეული ვიღაც ბერი. სულის წამღებად წვიმდა...

კავალერი ბოლთას სცემდა ქვაფენილზე და დროდადრო ალმაცერად გადახედავდა ბერს; არ იცოდა, როგორ გაენელებინა ნაღველი. უცებ სმენით იგრძნო, რომ სტოას

ნახევრადჩაბნელებული ფანჯრის გისოსებს მიღმა ვიღაც უნდა ყოფილიყო. გულგრილად გახედა სარკმელს.

მონაზონი თავთან უჯდა მწოლიარე ქალს და დაგლეჯილ ფარდაგს აკერებდა. ამ ბინდშიც კი ძალზე ღონემიხდილი ეჩვენა მწოლიარე ქალის სახე კავალერს. ერთი შეხედვაც კმაროდა, რომ იმ ქალში როკუნომიელი ქალი შეეცნო. ის იყო უნდა გამოლაპარაკებოდა, რომ ხმა წაუწყდა: იმდენად საწყალობელი სახე ჰქონდა ქალს. ის კი ვერ ხედავდა იქვე მდგარ კავალერს, მხოლოდ მხარი იცვალა და დიდის გაჭირვებით აღმოთქვა ეს ტანკა:

ჩემო კეთილო ალუბალო, მარტო რომ ხარობ ამ

აყვავებულ მთის კალტაზე ყრუ და ოხერი...

მეცა ვარ შენებრ:

უმეგობრო და უმოყვარო და მე ჭირთაგან

მოყვრიანი ვზი მარტოხელი.

რა მოესმა ეს ხმა კავალერს, უნებლიეთ აღმოხდა ქალის სახელი. ახლაღა შენიშნა ქალმა კავალერი, ერთი ამოიკვნესა და ფარდაგზე პირქვე დაემხო. მონაზონი, მისი ერთგული გადია, შემოვარდნილ კავალერთან ერთად წამოსაყენებლად მისწვდა ქალს. მაგრამ როცა წამოაყენეს და სახეში ჩახედეს, არა თუ გადია, არამედ კავალერიც უფრო მეტად შეშინდა.

სახეშეშლილი გადია ბერთან გაიქცა და სთხოვა ლოცვანი წაეკითხა მომაკვდავისათვის. ლოცვანის ნაცვლად ეს უთხრა ბერმა დედაკაცს:

- არა არს სიკვდილ-სიცოცხლე ნებისაებრ კაცისა. დაუცადებლად უხმობდეთ ბუდა ამიდას.

კავალერის მკლავებზე მისვენებული ქალი სუსტი ხმით იმეორებდა ბუდას სახელს. მაგრამ მეორე წამს შიშნარევი თვალები მიაპყრო ჩაბნელებულ ჭერს.

- აჰა, ცეცხლოვანი ეტლი...[179]

- ნუ გეშინის! ევედრე ხმას. მცირე ხნის შემდეგ ბურანში წასულმა ქალმა წაილუღლუღა:

- აჰა, ოქროს ლოტოსიც[180]... დიდი ლოტოსი - ღვთაებრივი ქოლგა... ბერს რაღაცის

  თქმა უნდოდა, ვერ მოასწრო. ქალმა წაიბუტბუტა:

- ლოტოსი გაქრა... უკვე ბნელა, მხოლოდ ქარი სტვენს წყვდიადში.

- მთელი გულით უხმობდე ბუდას! რად არ უხმობ ბუდას? ბერს რისხვა მორეოდა.

  მაგრამ სულთმობრძავი ქალი ერთსა და იმავეს იმეორებდა:

- ვეღარაფერს ვხედავ, ვეღარაფერს... ბნელა... მხოლოდ ქარი... სუსხიანი ქარი სტვენს ბნელში...

კავალერსა და გადიას ცრემლები ღაპაღუპით ცვიოდათ, თან ამიდას სახელს ჩურჩულებდნენ. გულხელდაკრეფილი ბერი ლოცვაში ეხმარებოდა ქალს. და ამგვარად, ლოცვის სიტყვებით, რომელთაც წვიმის ხმაური ერთოდა, ამ დაფლეთილი ფარდაგიდან მშვიდად გადავიდა ქალი სიკვდილის სამეფოში.

6

გამოხდა ხანი, და ერთ მთვარიან ღამით ის ჩამოგლეჯილი ბერი, რომელიც ლოცვად მოუწოდებდა მომაკვდავ ქალს, კვლავ იჯდა დასავლეთის სტოაში სუძაკუმონის კარიბჭის წინ. ხელები მუხლებზე მოეხვია. მთვარით განათებულ გზაზე უდარდელად მოსტვენდა მხიარული სამურაი. უნებურად შეჩერდა ბერთან და სხვათაშორის ჰკითხა:

- ამბობენ, ამ ჭიშკართან ქალის მოთქმა ისმისო. მართალია? ბერი არც კი წამომდგარა

ქვაფენილიდან, მხოლოდ ეს უთხრა:

- მიაყურადე.

სამურაიმ მიაყურადა. მხოლოდ ჭრიჭინობელას ჭრიჭინი არღვევდა სიჩუმეს. ჰაერში ფიჭვის სურნელი იდგა. ის იყო, რაღაც უნდა ეთქვა სამურაის, რომ სადღაციდან მოისმა ქალის ჩუმზე ჩუმი კვნესა.

სამურაიმ ჩაბღუჯა ხმლის ვადა. მაგრამ ხმა თანდათან სუსტდებოდა, იკარგებოდა შორს, შორს, შეუმჩნეველ ექოდ და ბოლოს უკვალოდ მიწყდა.

- ევედრე ბუდას! - ბერმა მთვარეს მიაპყრო სახე. - ეს უბადრუკი დიაცის ხმაა, რომელმან არ უწყის სამოთხე, არც ჯოჯოხეთი. ევედრე ბუდას!

სამურაი უსიტყვოდ აკვირდებოდა ბერს. და უცებ, გაოცებულმა ბიჯი წადგა მისკენ და მკლავებში სტაცა ხელი.

- ნუთუ ეს თქვენ ხართ? ნეტარო ნაიკი?[181] აქ რამ მოგიყვანათ...

იგი, ვისაც „ნეტარი ნაიკი“ უწოდეს, ერობაში იოსისიგე იასუტანე, გახლდათ უსათნოესი ბუდაელი ბერი, ღირსახსენებელი თვით ნეტარ კუის[182] მოწაფეთა შორის.

ივნისი, ***1922***წ.

თარგმნა ზურაბ კიკნაძემ

ო-გინი

გენის წლებში[183] იყო თუ კანისა[184], ეს კია - შორეულ წარსულში ოხდა აქ მოთხრობილი ამბავი.

იმ დროს ჭეშმარიტი სარწმუნოების ამღიარებლებს, თავიანთ რწმენას თუკი გაამჟღავნებდნენ, კოცონი ან ჯვარზე გაკვრა ელოდა. მაგრამ ეტყობა, რაც უფრო

ფიცხელი იყო ქრისტიანთა დევნა, მით უფრო მოწყალედ გარდამოვიდოდა მორწმუნეთა ზედა მადლი „ყოვლისმხილველი“ უფლის მფარველობისა. საღამოობით, როცა ცაზე ჩამავალი მზის დაფიონი აენთებოდა, ანგელოზები და წმინდანები ევლინებოდნენ ნაგასაკის ირგვლივ მდებარე სოფლებს. ხალხში ხმა დაირხა, ერთხელ ურაკამელ მიგერ-იახეის თავის წისქვილში სანძიოან ბატისტაც[185] კი გამოეცხადაო. სამაგიეროდ, იმავ დროს, ეშმაკიც არაერთგზის გამოჩენილა იმათ სოფლებში, რათა მორწმუნეთა ცხონება დაებრკოლებინა: ხან საკვირველი ზანგის სახედ იხილებოდა, ხანაც უცხოურ საწამლავად ანდა წნელით გადარაგვულ ოთხთვალად ევლინებოდა სოფელს. ისიცა თქვეს, ბნელ, უმზეო-უმთვარო დილეგში ჩაგდებულ მიგერ-იახეის რომ ვირთაგვები აწამებდნენ, სინამდვილეში ავსულთა თანამოსაგრე ჭინკები იყვნენო. გენის მერვე წელს, შემოდგომაზე, მიგერ-იახეი და თერთმეტი სხვა ქრისტიანი კოცონზე დაწვეს. გენის წლებში იყო თუ კანისა, ეს კია - შორეულ წარსულში მოხდა აქ მოთხრობილი ამბავი.

იმავე სოფელში, მთაგორიან ორაკამში, ცხოვრობდა ერთი ქალიშვილი, ო-გინი სახელად. ო-გინის მშობლები შორეულ ოსაკადან გადმოსახლებულიყვნენ ნაგასაკში, მაგრამ ვიდრე ახალ ადგილზე დაფუძნებას მოასწრებდნენ, ორივე გარდაიცვალა და ობლად დატოვეს ო-გინი. იმათ, სხვა კუთხის მცხოვრებლებს, რასაკვირველია, არც კი გაეგონათ ჭეშმარიტი სარწმუნოება, მათ მხოლოდ ბუდიზმი სწამდათ, საკია-მუნის მოძღვრება. მავანი ფრანგი იეზუიტის თქმით საკაი-მუნიმ, ბუნებით თვისით ჭურმან საცთურებისამან, მოვლო ყოველი მხარე ჩინეთისა, ბუდა ამიდას მოძღვრებას უქადაგებდა ერს და მერე ამავე მიზნით გადმოვიდა იაპონიაშიც. საკია-მუნის მოძღვრების თანახმად, ჩვენი ანიმა, იმისდა მიხედვით - მძიმეა, მსუბუქია, დიდია თუ მცირეა ჩვენი ცოდვები, ხარში განსხეულდება, ანდა ხეში. თანაც, საკია-მუნიმ დაბადებისას თავისი დედა მოაკვიდნა. ჰოდა, ეს მოძღვრება რომ უაზროა, არა არის ძნელი გასაგები; საკმაოდ სულელურიც რომ არის, ესეც უცილოა. ოღონდ, ო-გინის მშობლებს, როგორც უკვე ითქვა, არ შეეძლოთ ყოველივე ეს ცოდნოდათ. მაშინაც კი, სული რომ ამოსდიოდათ, მაინც საკია-მუნის მოძღვრება სწამდათ, პირქუში სასაფლაოს ფიჭვის ხეთა ჩრდილებში ამაოდ ოცნებობდნენ სამოთხეზე და ბაიბურშიც არ იყვნენ, რომ ინფერუნო ელოდათ.

საბედნიეროდ, ყმაწვილ ო-გინს ჩრდილი ვერ მიაყენა მშობელთა უვიცობამ. ამავე სოფლელმა გლეხმა, რახანია წმინდა წყლით თავნაპკურებმა გულმოდგინე ძიოანმაგოსიტიმ უწოდა მას სახელი მარია. ო-გინს არ სჯეროდა, თითქოს საკია-მუნის დაბადებიდანვე თითი გაეშვიროს

ცისა და მიწისაკენ და ეთქვას მჭექარედ: ‚ცათა შინა და მიწისა ზედა მე მხოლო ვარ ჭეშმარიტ“. სამაგიეროდ, მას მტკიცედ სწამდა, რომ „უსათნოესმა, უმოწყალესმა და უტკბესმა ქალწულმა სანტა-მარია-სამამ მუცლად იღო[186]“ უცოდველად და რომ „მოკვდინებული ჯვარცმითა, დადებული საფლავსა კლდოვანსა“[187], მიწაში ღრმად დამარხული ძესუსუ სამი დღის შემდეგ მკვდრეთით აღდგა. ასევე სწამდა, რომ ოდესმე დაჰკრავს საყვირი საშინელი სამსჯავროსი და „უფალი დიდებითა დიდითა, ძალითა ძლიერითა გარდამოვალს ზეცით“, შეაერთებს კაცთა წინანდელი ანიმას აწ მტვრადქცეულ სხეულებს, ცხოველ სულს შთაბერავს მათ, აღადგენს და მართალნი ზეციურ ნეტარებას ეზიარებიან, ხოლო „ცოდვილნი შთახდებიან ჯოჯოხეთს, საცა

ჰგიეს ეშმაკნი“. ყველაზე მეტად მაინც დიადი საგურამენტო[188] სწამდა, როცა „ძალითა უფლის სიტყვისაითა“[189], პურისა და ღვინის ბოღლიწო, სახეშეუცვლელად, უფლის სისხლად და ხორცად გადაიქცევა. ამრიგად, ო-გინის სული არ ჰგავდა მისთა მშობელთა სულს, არ იყო უნაყოფო უდაბნო, ხორშაკ ქართა სანავარდო. იგი იყო ველი ნაყოფიერი, აღმომცენებელი იფქლისაც და მინდვრის წმინდა ყვავილებისაც. ობლად დარჩენილი ქალიშვილი ძიოან-მაგოსიტიმ იშვილა. მაგოტისის ცოლი ძიოანა-ოსუმიც გულკეთილი ქალი გახლდათ. მამობილ-დედობილთან ერთად უვლიდა ოგინი საქონელს, მოჰყავდა ქერი და მშვიდად, უშფოთველად ატარებდა თავის წუთისოფელს. ცხოვრობდნენ ასე, თან თანასოფლელთა ნამალევად არც მარხულობა და ლოცვა ავიწყდებოდათ. გამოდიოდა ო-გინი ჭასთან მდგარი ლეღვის ჩრდილში, შესცქეროდა ნამგალა მთვარეს და გულმხურვალედ ლოცულობდა. მარტივი იყო ამ

თმაგაშლილი ქალიშვილის ვედრება: „მადლობა შენდა, მოწყალეო დედაო! დედამთავარ ევას დევნილი ასული გევედრები, გადმოხედე შენი მოწყალე თვალით ცრემლთა ამ უბადრუკ სავანეს. ამინ!“

და აი, ერთხელ, შობა დღეს, მცველებით ხლებული ეშმაკი უეცრად შევიდა მაგოსიტის სახლში. დიდ კერაზე „სააკვნე ცეცხლი“ ენთო. გაჭვარტლულ კედელზე მარტო ამ ერთი ღამით ჩამოეკიდათ ჯვარი. ეს კიდევ არაფერი: სახლის უკან, ბოსელში, ახალდაბადებული ძესუსუს განსაბანი წყლით სავსე როფი აღმოჩნდა. მცველებმაც მაშინვე თვალი უყვეს ერთმანეთს ფიცხლად მოსდეს თოკები მაგოსიტის და მის მეუღლეს. ო-გინიც გაკოჭეს. მაგრამ სამივენი მხნედ იყვნენ, შიშის ნასახიც კი არ დასტყობიათ. ოღონდ კი თავიანთი ანიმა გადაერჩინათ და წამება არად უჩნდათ. ეგონათ, უფალმა მოწყალება მოიღო მათზე: მაინცა და მაინც ამ შობის ღამეს რომ შეიპყრეს სამივე, განა ეს ზეციური მოწყალების ჭეშმარიტი ნიშანი არ იყო? სამივეს ასე სწამდა, თითქოს წინასწარ შეთანხმებულანო. გზაშიაც, როცა ნაცვლის სასახლისაკენ გაბაწრულები მიჰყავდათ მცველებს, მხნედ მიაბიჯებდნენ და ღამეულ ქარში ერთთავად საშობაო ლოცვანებს იმეორებდნენ: „ჰოი, ვაკაგიმი-სამა[190], ბერენის ქვეყნად დაბადებულო, სადა ხარ ახლა! კურთხეულ იყოს სახელი შენი!“

ეშმაკმა რომ გაკოჭილები ნახა ისინი, ტაში შემოჰკრა და მორთო მხიარული ხარხარი. ოღონდ ეს

კია, ცოტათი მათი სიმტკიცე აბრაზებდა. ჩამორჩა მცველებს, გადააფურთხა და წამსვე ვეება ფილთაქვად გადაიქცა, მერე გრუხუნით გაგორდა და სიბნელეს შეერია, გაქრა.

ძიოან-მაგოსი, ძიოანუ-ო-სუმი და მარია-ო-გინი მიწისქვეშა დილეგში ჩააგდეს და მისცეს ათასგვარ სატანჯველს, რათა ჭეშმარიტ სარწმუნოებას განდგომოდნენ. წყლითაც აწამეს, ცეცხლითაც, მაგრამ ვერა და ვერ შეარყიეს მათი სიმტკიცე. არაფერია, დაიწვას კანი და ხორცი, ცოტაც და პარაისოში ვიქნებითო, სწამდათ.

მართლაც: ახსენეს თუ არა უფლის წყალობა, პირქუში დილეგი მაშინვე აღივსო პარაისოს ბრწყინვალებითა! ძილში იყო თუ ცხადში, ნათელი ანგელოზები და წმინდანები მრავალჯერ მოფრინდნენ მათდა ნუგეშად. უფრო მეტად ო-გინი ეღირსა ამა წყალობათა! ზოგჯერ იგი ხედავდა, როგორ უწვდიდა სან-ძიოან-ბატისტა ორივე ხელით მთელ ბღუჯა მკალს და ეტყოდა: „ჭამე! ზოგჯერ იმასაც ხედავდა, როგორ

მოფრინდებოდა მთავარანგელოზი გაბურიერუ, დაკეცავდა თავის სპეტაკ ფრთებს და ოქროს ჯამფილით წყალს მიაწვდიდა.

ნაცვალმა არც ჭეშმარიტი სარწმუნოება იცოდა, აღარც ბუდას მოძღვრება და ვერაფრით შეეგნო, ასე რად ჯიუტობდნენ ტყვეები. ერთი ფიქრი იფიქრა, ჭკუაზე ხომ არ შეცდნენო. ბოლოს, სამივეს რომ ჭკუათმყოფლობა დაატყო, უკვე უშველებელ მახრჩობელა გველებად და

მარტორქებად ეჩვენებოდა ისინი, ყოველ შემთხვევაში - მხეცებად, არაფერი საერთო რომ არა აქვთ ადამიანთა მოდგმასთან. ასეთი მხეცების ცოცხლად გაშვება კი არათუ კანონებს ეწინააღმდეგებოდა, მთელი ქვეყნის სიმშვიდესაც საფრთხეს უქადდა. ამიტომ, ერთი თვის განმავლობაში დილეგში რომ აწამა პატიმრები, ბოლოს მათი კოცონზე დაწვა გადაწყვიტა (სიმართლე რომ ითქვას, ნაცვალი, ისევე, როგორც ჩვეულებრივი ბრბო, ერთხელაც არ დაფიქრებულა, მართლა თუ ემუქრებოდა ქვეყნის სიმშვიდეს ამათი სიცოცხლე: ჯერ ერთი, საამისოდ არსებობდა კანონები, მეორეც - იყო ხალხის მორალი; ამიტომ არც ღირდა ამაზე ნამეტანი ფიქრი).

სოფლის ბოლოს დასასჯელად გაყვანილ, ძიოან-მაგოსიტის თავკაცობით მავალ სამ მორწმუნეს არც გზაში ეტყობოდა შიშის ნასახი. ისინი სასაფლაოს გვერდით მდებარე ქვიან უშენზე უნდა დაეწვათ. მოყვანისთანავე სამივეს წაუკითხეს ბრალდება და ცალცალკე მიაკრეს მსხვილ, ოთხკუთხა სვეტებზე. მერე სვეტები უშენის შუა ადგილას ჩაარჭვეს მიწაში: მარჯვნივ ძიოანა-ო-სუმი, შუაში ძიოან-მაგოსიტი და მარცხნივ მარია-ო-გინი. მაგოსიტის ცოლი კიდევ უფრო მოებერებინა ხანგრძლივ წამებას. მაგოსიტისაც სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეცხო წვერწამოზრდილ ლოყებზე. ო-გინს თუ იკითხავთ, მათთან შედარებით არც ეგრერიგად იყო შეცვლილი. მაგრამ სამივეს, უკვე ფიჩხის გროვაზე შემაღლებულთ, მშვიდი სახე ჰქონდა.

დასჯის ადგილს რახანია შემოხვეოდა უსაქმურთა ბრბო. სასაფლაოზე კი, მოსეირეთა მიღმა, რამდენიმე ფიჭვის ხეს ცად გაეწვდინა საღვთო გავალაკთა მსგავსი შტოები.

სამზადისი რომ მოთავდა, ერთ-ერთი მცველი მედიდურად წადგა წინ და სამივეს გამოუცხადა, მოფიქრების დროს გაძლევთ, უარყავით თქვენი სარწმუნოებაო.

- კარგად დაფიქრდით თუ უარყოფთ, მაშინვე შეგხსნით თოკებს.

ბრალდებულებმა არაფერი თქვეს. მაღლა, ცისაკენ იმზირებოდნენ და ღიმილიც კი უკრთოდათ პირზე.

უჩვეულო სიჩუმე ჩამოვარდა. მცველები გაჩუმდნენ. მაყურებლებიც გასუსულიყვნენ. ყველამ ბრალდებულებს მიაშტერა თვალი. ოღონდ მღელვარებამ როდი შეუკრათ სუნთქვა, სეირი უნდოდათ და ელოდნენ, ახლა კი აბრიალდება კოცონიო. მცველებსაც მოსწყინდათ ლოდინი, ლაპარაკიც კი ეზარებოდათ. ანაზდად ყველამ გარკვევით გაიგონა:

- მე უარვყოფ ჭეშმარიტ სარწმუნოებას.

ო-გინის ხმა იყო.

მოსეირეებს ჩოჩქოლი შეუდგათ, მაგრამ მათი ზრიალი მალევე ჩაცხრა და კვლავ სიჩუმემ დაისადგურა. მაგოსიტი მიუბრუნდა ო-გინს და მწუხარედ უთხრა ხმაჩამწყდარმა:

- ო-გინ, ეშმაკეულმა გაცდუნა, შვილო! ცოტაც მოითმინე და უფლის სახეს იხილავ!

სიტყვა არ დაემთავრებინა, ო-სუმიმაც მოიცა საბოლოო ძალი და თითქოს შორეთიდან მოსცა ხმა:

- ეშმაკი ჩაგსახლებია გვამში, ილოცე, ო-გინ!

მაგრამ ო-გინი არ გამოპასუხებია, ბრბოს მიღმა იცქირებოდა, სასაფლაოსაკენ, სადაც რამდენიმე ფიჭვის ხეს ცად გაეწვდინა საღვთო გავალაკთა მსგავსი შტოები. ამასობაში მეორე მცველმა მისი ახსნა ბრძანა. ეს რომ დაინახა, ძიოან-მაგოსიტიმ თვალი დახუჭა თითქოს ბედს შეურიგდაო.

- იყავ ნება შენი, უფალო, ყოვლადძლიერო!

თოკებისაგან დახსნილი ო-გინი ერთხანს იდგა და დაბნეული კვლავ სასაფლაოსაკენ იყურებოდა. მერე მაგოსიტის და ო-სუმის შეხედა და უცებ მუხლი მოიყარა მათ წინაშე. სიტყვა არ უთქვამს, ისე აქვითინდა. მაგოსიტის თვალი არ გაუხელია. ოსუმიმაც პირი იბრუნა, შეხედვაც არ აღირსა შვილობილს.

- ჰოი, მამაო და დედაო, - ხმა ამოიღო ბოლოს ო-გინმა, - მაპატიეთ, გემუდარებით! კი განვუდექ ჭეშმარიტ სარწმუნოებას, მაგრამ ეს იმიტომ მომივიდა, რომ უცებ აი, იქ ფიჭვის ხეები დავინახე, საღვთო გავალაკებს უგავთ შტოები. იმ ხეებქვეშ განისვენებს ჩემი დედ-მამა. იმათ არაფერი იცოდნენ ჭეშმარიტი სარწმუნოებისა და, ალბათ, ინფერუნოში მოუწევთ ყოფნა. მაგრამ მე რომ ახლა მარტო შევსულიყავი პარაისოში, მშობლები არ მომიტევებდნენ. ამიტომ, გავყვები მე ჩემს მშობლებს ჯოჯოხეთში. ჰოი, მამაო და დედაო, წადით ძესუსუ-სამასთან და მარია-სამასთან, მე კი ჭეშმარიტ სარწმუნოებას ვუღალატე და მეტი აღარ შემიძლია ცხოვრება...

სლუკუნით თქვა ეს ყველაფერი და ამოუჯდა გული. მაშინ ძიოანა-ო-სუმის თვალებიდანაც იწვიმა ცრემლმა და დაედინა მის ფეხთით შემომდგარ ფიჩხს. არადა, პარაისოში შესასვლელად გამზადებულისათვის ამაოა წუხილი, არ ჰფერობს ეს მორწმუნეს. ამიტომ მჭვუნვარე ძიოან-მაგოსიტიმ ცოლს მოხედა და გაბრაზებით შესძახა:

- შენაც ეშმაკმა გადაგიბირა. არა? კარგი, თუკი ჭეშმარიტ სარწმუნოებას გინდა განუდგე, ჰქმენ, რაც გენებოს! მე მარტო დავიწვები თქვენს თვალწინ!

- არა, მეც შენთან ერთად მოვკვდები! - ცრემლთა ყლაპვით წამოიძახა ო-სუმიმ, - მაგრამ... მაგრამ იმიტომ კი არა, რომ პარაისოში მინდა შესვლა, არა, მე მხოლოდ შენთან ერთთად მინდა ყოფნა... მუდამ შენთან ერთად...

დიდხანს დუმდა მაგოტისი. სახე ხან უფითრდებოდა, ხან ისევ უფერიანდებოდა შუბლზე წვეთებად გამოასხდა ოფლი. შინაგანი მზერით ჭვრეტდა ახლა იგი თავის ანიმას, ხედავდა მისი სულისათვის მორკინალ ანგელოზსა და ეშმაკს. ოღონდ კი მის

ფერხთით მოქვითინე ო-გინს არ აეღო ახლა თავი...მაგრამ არა, უკვე მას ამოსცქეროდა ო-გინი. უცნაური სხივი გაუკრთა ცრემლით სავსე თვალებში, დაჟინებით უმზერდა მამობილს. ენიშნა მაგოსიტის: ადამიანის სული ელავდა ამ თვალებში, „განდევნილი დედაკაცის“, ევას სული.

- მამა, წავიდეთ ჯოჯოხეთში! ყველანი ეშმაკს მივყავართ - დედაც, მეც, ის ჩემი დედა და მამაც, წამოდი შენც. და მაგოსიტიც გატყდა.

ხომ ამდენი გადმოცემაა შემონახული რწმენისათვის წამებულთა შესახებ ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ ეს ამბავი განსაკუთრებით სამარცხვინო დაცემის მაგალითად შემოგვრჩა. დიახ, როცა სამივე განუდგა ჭეშმარიტ სარწმუნოებას, მოსეირნეებმაც კი - ბებრებმა თუ ჯეელებმა, კაცებმა თუ ქალებმა, ყველამ დაძრახა ისინი, ალბათ, გული დაწყდათ, კოცონზე მათი დაწვა რომ ვერ იხილეს. აკი ამისთვის იყვნენ შეყრილნი. თქმულება ამბობს, მეტისმეტი სიხარულისაგან ეშმაკი ვეება წიგნად გადაიქცა და მთელი ღამე ზე დაჰბრუნავდა დასჯის ადგილსო. თუმცაღა, ავტორს ეეჭვება, მართლა თუ ღირდა ეს წარმატება ესოდენ შლეგურ მოლხენად.

აგვისტო***, 1922***წ.

თარგმნა გიორგი ბაქანიძემ

ხინა-თოჯინები

[191]

აი, ყუთიდან ამოვიდნენ...
ნუთუ შემეძლო დამვიწყებოდა მე თქვენი სახე,
წყვილი სადღესასწაულო თოჯინისა? ბუსონი
დედაბრის ნაამბობი

მხოლოდ ნოემბერში გადაწყვიტეს, რომ ხინა-თოჯინები იოკოჰამელი ამერიკელისთვის მიეყიდნათ...

ჩვენი სახლი, რომლის საგვარეულოს ფუძემდებელი კინო კუნია[192] იყო, იმთავითვე მევახშეობას ეწეოდა - სესხს აძლევდა ფეოდალებს. პაპაჩემი სიტიკუ კი ძველებური ლამაზი ნივთების დიდი მცოდნე გახლდათ. მისი შეძენილი ხინა-თოჯინები ტრადიციულად ოჯახის ქალიშვილის, ე.ი. ჩემი კუთვნილება იყო და მეტად ძვირფას ნივთებად ითვლებოდა.

მაგალითისათვის ავიღოთ იმპერატორი და დედოფალი. დედოფლის გვირგვინს თვალისმომჭრელი მარჯანი ამშვენებდა; იმპერატორის ტყავის გალაქულ ობიზე[193] კი, რომელიც შემკული იყო იასპით, აქატითა და აგალმატოლიტით, შიგადაშიგ გერბები ამოექარგათ. აი, ასეთი იყო ეს თოჯინები.

რადგან მათი გაყიდვაც კი გადაწყვიტეს, ალბათ მიხვდებით, რარიგ უნდა გასჭირვებოდა მამაჩემს - იჰეიუს, კი-ნო კუნიას შთამომავალთაგან მეთორმეტე თაობის წარმომადგენელს. ბაკუფუს დაცემისა და საერთო კრახის შემდეგ[194] ვალის გადახდა მხოლოდ კასიუ-სამას[195] ძალუძდა და იმანაც სამი ათასი რიოს[196] მაგიერ მხოლოდ და მხოლოდ ასი რიო დაგვიბრუნა. ჩვენი ვალი ინსიუ-სამასაც[197] ჰქონდა, მაგრამ ოთხასი რიოს ნაცვლად, აკამაგასეკური სატუშე გამოგზავნა გირაოდ. უბედურს ქვა აღმართზე დაეწიაო, ნათქვამია და რამდენჯერმე სახლიც დაგვეწვა. ხელი მოგვეცარა ქოლგებით ვაჭრობაშიც, რასაც იმჟამად ვეწეოდით. და ბოლოს, თავი რომ იოლად გაგვეტანა, ყოველგვარი ფასეული ნივთი ერთიმეორის მიყოლებით გაგვქონდა გასასყიდად.

ამ დროს გამოჩნდა ანტიკვარი მარუსა და მამაჩემს შეუჩნდა, რაც არის, არის ხინათოჯინები გაყიდეო... ამ კაცმა კარგა ხანია თქვენი ჭირი წაიღო... მელოტი გახლდათ და მის ქაჩალ თავზე საოცარი სანახავი არაფერი იყო ალბათ: კეფაზე შავი სალბუნივით ჰქონდა ნასვირინგევი.

თვითონ მოგვიყვა - ახალგაზრდობაში დაესვირინგებინა - სიქაჩლეს დამიმალავსო. მაგრამ, მისდა საუბედუროდ, ბოლოს ერთიანად გამელოტებულა და ზედ კინკრიხოზე შავ ლაქადღა შერჩენოდა ის ნასვირინგევი. მამას ვეცოდებოდი, მაშინ ხომ სულ თხუთმეტი წლისა ვიყავი, და მართალია მარუსა საშველს არ აძლევდა, თოჯინებს მაინც ვერ იმეტებდა გასაყიდად.

ბოლოს თოჯინები ჩემმა ძმამ, ეიკიტიმ გაყიდა... დღეს აღარც ის არის ცოცხალთა შორის; მაშინ კი თვრამეტი წლის, საოცრად ფიცხი ჭაბუკი გახლდათ. ეიკიტი

განათლებული ყმაწვილი იყო - ხელიდან ვერ გააგდებინებდით ინგლისურწიგნებს; ამასთან პოლიტიკაც იტაცებდა. როცა საუბარი ხინა-თოჯინებზე ჩამოვარდა, სიცილადაც არ ეყო, თოჯინების დღესასწაული მოძველებული ზნე-ჩვეულებაა, რაღა საჭიროა ამ გამოუსადეგარი ნივთების შენახვაო. რამდენჯერ უკამათია ამის შესახებ დედასთან, რომელიც ძველი წესების ერთგული ქალი იყო; მაგრამ რაკიღა თოჯინების ღირებულება წლის ბოლომდე მაინც გაგვატანინებდა თავს, ალბათ, ამიტომ, დედა, რომელსაც კარგად გაეგებოდა მამაჩემის გასაჭირი, მაინცდამაინც წინააღმდეგობას აღარ უწევდა ძმას. ამრიგად, თოჯინების იოკოჰამელ ამერიკელზე მიყიდვა ნოემბრის შუა რიცხვებისთვის გადაწყდა. მე? მე ვინ რას მეკითხებოდა მაშინ, ქარაფშუტა გოგოს! მაინც, არც თუ ისე ძალიან მტკენია გული... მით უმეტეს, რომ მამა იისფერი ატლასის ახალი ობის ყიდვას შემპირდა.

მოლაპარაკების მეორე საღამოს მარუსა გვეახლა; მანამდე იგი იოკოჰამაში ყოფილიყო წასული.

მესამე ხანძრის შემდეგ აღარ აგვიშენებია სახლი... უბრალოდ, გადარჩენილ ნაწილში მოვაწყვეთ საცხოვრებელი, რომელსაც გვერდით ფარდულის მაგვარი რაღაც მივუშენეთ დროებით. მაშინ მოდაში იყო და ჩვენც გვქონდა ოჯახური აფთიაქი - კარადების თავზე, ნაირნაირი ჩინური აბებითა და შინაური წამლებით რომ იყო გამოტენილი. კოპწიად ყელყელაობდნენ ფირფიტები, რომლებზედაც ოქროს ასოებით იყო წარწერილი სახელწოდებები. იქვე, ჩაუქრობლად ენთო ზეთის ლამპარი. იქნებ თქვენ ეს არაფერს გეუბნებათ? ძველებური ლამპარი იყო, რომელშიც ნავთის მაგიერ საწვავ ზეთს ვასხამდით. ახლაც, ჩინური წამლების - მანდარინის ცედრისა ან რგოლოვანი რევანდის[198] სუნზე, უნებურად კვლავ ის ლამპარი მახსენდება. სასაცილოა, არა? იმ საღამოსაც, წამლების სუნში ათქვეფილი მკრთალი სინათლე იღვრებოდა ლამპარიდან.

მელოტი ანტიკვარი მარუსა და გაკრეჭილი, აბურძგნულთმიანი მამაჩემი იმ ლამპარის ქვეშ მოკალათებულიყვნენ.

- მაშ, ასე, აი, თანხის ნახევარი... დაითვალეთ...გეთაყვა...

ეს იყო ფულის დასტა, რომელიც ჩვენში მიღებული სალამ-ქალამის მოთავებისთანავე ამოიღო მარუსამ. შეთანხმებისამებრ, ბე იმ დღეს უნდა მიეღო მამას. მამაჩემმა ხელი გაუწოდა და უსიტყვოდ დახარა თავი და აი... დედის ბრძანებით მეც სწორედ იმ დროს შემოვედი, რათა ჩაი

მიმერთმია. როდესაც ფინჯნების ჩამორიგება დავაპირე, მარუსამ ხმამაღლა თქვა: „ასე არ ივარგებს!“ შევკრთი, მაგრამ როგორც კი ანტიკვარს შევხედე, მივხვდი, რომ მისი ნათქვამი მე არ მეხებოდა, ამას ჩაიზე კი არა, იმ ფულზე ამბობდა, გულმოდგინედ შეხვეული წინ რომ ელაგა.

- ბევრი არაფერია, მაგრამ მადლობის ნიშნად...

- როგორ გეკადრებათ, გეთაყვა, აიღეთ უკან!

- რას ამბობთ... თავს ნუ მომჭრით...

- ხუმრობა გვერდზე იყოს, ბატონო, და მართლა ნუ მომჭრით თავს - უცხონირომ არა ვართ! მამათქვენისგან ისე ვარ დავალებული... მოდი, ნუ დავწვრილმანდებით და ამით დავამთავროთ... ქალიშვილო! დღეს რა ლამაზი თმის ვარცხნილობა გამშვენებთ!

გულგრილად მოვისმინე მათი თავპატიჟი და სახლის საცხოვრებელ ნაწილში გავბრუნდი.

ზომით იგი დაახლოებით ოცი ძიო[199] იქნებოდა. ეს საკმაოდ ფართო სადგომი გავსებული იყო კომოდით, გრძელი ხიბატით[200], დიდი სკივრითა და სხვადასხვა დანიშნულების თართებით;

ამიტომ იგრძნობოდა განსაკუთრებული სივიწროვე. ამ პირობებში ყველაზე მეტ ყურადღებას ხებუერას ოცდაათამდე ხის ყუთი იქცევდა. ალბათ, უთქმელადაც მიმიხვდებით, რომ ეს გასაყიდი თოჯინების ჩასალაგებელი ყუთები იყო. ყუთები ფანჯრის ძირას ელაგა. რაკი ლამპარი ფარდულში გაეტანათ, ოთახს ფარანიღა ანათებდა. ამ ძველი ფარნის შუქზე დედა ტომსიკას კერავდა წამლებისათვის. ძმა კი ძველისძველ მაგიდას მისჯდომოდა და თავის ინგლისურ წიგნებში იქექებოდა. როგორც ყოველთვის, ყველაფერი თავის რიგზე იყო, მაგრამ როდესაც დედას დავაკვირდი, შევამჩნიე, რომ თვალები ცრემლებით ავსებოდა.

ჩაი რომ შევიტანე, სიმართლე უნდა ვთქვა, რომ დედისგან შექებას ველოდი. ამ დროს ვხედავ, რომ იგი ტირის... იმდენად დავიბენი, რომ თანაგრძნობას ვერ გამოვხატე, ძმის შორიახლო ჩამოვჯექი და ვცდილობდი დედისათვის არ შემეხედა.

ამ დროს ძმამაც გადმომხედა, რამდენჯერმე მე და დედა ეჭვის თვალით შეგვათვალიერა, შემდეგ უცნაურად ჩაიცინა და კვლავ გარდიგარდმო გამწკრივებული სტრიქონების[201] კითხვა განაგრძო. არასოდეს განმიცდია მის მიმართ, წარამარა თავისი განათლებით რომ ყოყლოჩინობდა, ისეთი სიძულვილი, როგორც იმ წუთში. დედასაც კი დასცინის! - გამიელვა თავში და რაც ძალა და ღონე მქონდა, ბეჭებში ჩავცხე ხელი.

– ეს რაღა იყო ვითომ? - მკითხა გაბრაზებულმა ძმამ.

- კიდევ დაგარტყამ! - ხელი მოვუქნიე აცრემლებულმა. წამით დამავიწყდა, რა ფხუკიანიც იყო. ხელის დაშვება ვეღარ მოვასწარი, იმავე წამს სილა გამაწნა.

- ტუტუცო!

ავქვითინდი. ამ დროს ძმას რკინის არშიანი მოხვდა. იგი გაბრაზებით მიეჭრა დედას. ამან კიდევ უფრო გააცეცხლა დედა და აკანკალებული, მილეული ხმით, ერთი მაგრად გამოთათხა ძმა.

მანამდე ვტიროდი საცოდავად, სანამ მამა, რომელმაც ის ის იყო ანტიკვარი მარუსა გააცილა, ლამპიანად შემობრუნდებოდა... მის დანახვაზე მარტო მე კი არა, ძმაც უმალ გაყუჩდა. ჩემზე რომ არაფერი ვთქვათ, მასაც ისე არავისი ეშინოდა, როგორც ჩვენი სიტყვაძვირი მამისა.

იმ საღამოს გადაწყდა - თვის ბოლოს, თანხის მეორე ნახევრის მიღების შემდეგ, თოჯინები იოკოჰამელ ამერიკელს გადაეცემოდა. ღირებულება? ახლა რომ ვიგონებ, სასაცილოდ არ მყოფნის - რამდენადაც მახსოვს, სულ რაღაც ოცდაათი იენიიყო, მაგრამ მაშინ ეს გვარიანი თანხა გახლდათ.

ახლოვდებოდა თოჯინებთან გამოთხოვების დღე, როგორც უკვე მოგახსენეთ, ისე ძალიან აღარ

მწყდებოდა გული... მართალია, მაშინ ჯერ კიდევ ბავშვი გახლდით, მაგრამ კარგად მესმოდა, რომ დღეს თუ ხვალ მაინც უნდა გამოვთხოვებოდი თოჯინებს. ახლა იმასღა ვნატრობდი, ვიდრე თოჯინებს ახალ პატრონს ჩააბარებდნენ, ერთხელ კიდევ შემევლო მათთვის თვალი; ერთხელ კიდევ დავმტკბარიყავი ამ ოთახში იმპერატორისა და დედოფლის ყურებით, ორკესტრის ხუთი წევრით, მარჯვნივ ალუბლითა და მარცხნივ ტაბიბან-ციტრუსით, ფარნებით, თეჯირებით, გალაქული, ოქროს მტვერშეფრქვეული პაწია მაგიდებითა და კარადებით. და მაინც, რამდენჯერაც ვთხოვე, იმდენჯერ უარით გამომისტუმრა ჩემმა ჯიუტმა მამამ. სხვისი ნივთების ხელში ტრიალი, აბა, ვის გაუგია - ამბობდა იგი, - რაკი ბე მიღებული მაქვს, ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი უკვე სხვისი საკუთრებაა.

თვის ბოლოს ქარიანი ამინდები დაიჭირა. დედა, არ ვიცი იმის გამო, რომ გაციებული იყო, თუ იმიტომ, რომ ქვედა ტუჩი ჰქონდა დასიებული, თავს უქეიფოდ გრძნობდა და საუზმეც არ მიურთმევია. როგორც კი სამზარეულო მივალაგ-მოვალაგეთ, იგი ხიბატთან ჩამოჯდა ხელზე თავდაყრდნობილი. შუადღისას, როცა თავი წამოსწია, დავინახე, რომ ტუჩზე სიმსივნე გადიდებოდა და წითელ კარტოფილს დამსგავსებოდა; ციებ-ცხელებიანივით ანთებულ თვალებზე ეტყობოდა, მაღალი ტემპერატურა ჰქონდა. შიშისაგან გულგახეთქილი მამასთან, ფარდულში შევიჭერი.

- მამა! მამა! დედა ძალიან ცუდადაა!

მამა და მასთან ერთად ჩემი ძმაც, რომელიც იქვე იყო, ოთახში შეცვივდნენ. დედის შემზარავმა სახემ ორივეს თავზარი დასცა, მამაც კი, რომელიც უბრალოდ არასდროს აღელვებულა, გაშეშებულივით იდგა და სიტყვის თქმა ვერ მოეხერხებინა. დედამ, როგორც იქნა, ძალა მოიკრიბა და ღიმილით თქვა:

- რამ შეგაშფოთათ, არაფერია საშიში... ტუჩი გავიკაწრე ოდნავ და... ახლავე საჭმელს მოვამზადებ, მოგშივდებოდათ!

- ეიკიტი! გავარდი ახლავე და ჰომა-სანს დაუძახე! - შეაწყვეტინა მამამ გაბრაზებით.

ჩემი ძმა თავქუდმოგლეჯილი გავარდა ქუჩაში, სადაც საზარელი ღმუილით დათარეშობდა ქარი.

ჰომა-სანმა, ექიმმა, ჩინური მედიცინის შესანიშნავმა მცოდნემ, რომელსაც ჩემი ძმა დაცინვით ექიმბაშს ეძახდა, შეხედა თუ არა დედას, დაბნეულმა გულხელი დაიკრიფა. დედის ტუჩის სიმსივნეს კარბუნკული[202] ერქვა. ოპერაცია რომ გაგვეკეთებინა, ალბათ ეშველებოდა, მაგრამ ვინ ფიქრობდა იმ დროს ოპერაციაზე - მაშინ მხოლოდ

ნახარშებს ასმევდნენ და წურბელებს უკიდებდნენ ავადმყოფს. ეს იყო და ეს მთელი მკურნალობა.

მამა ერთთავად საწოლთან ედგა და ჰომა-სანის გამოწერილ ნახარშს უმზადებდა. ჩემი ძმა კი ყოველ დღე თხუთმეტ სენად ღირებული წურბელის საყიდლად დარბოდა. მე, ძმას რომ არ გაეგო, ჩვენს მახლობლად მდებარე ინარი-სამას ტაძართან მივდიოდი უჩუმრად და ასჯერ მაინც შემოვუვლიდი გარშემო[203]. ასეთ ვითარებაში თოჯინებზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო და არც ერთი ჩვენგანი ზედაც არ ვუყურებდით კედელთან ჩამწკრივებულ ხებუერას ოცდაათ ყუთს.

და აი, 29 ნოემბერს, ხინა-თოჯინებთან გამოთხოვების წინა დღეს, როგორც კი წარმოვიდგინე, რომ უკანასკნელად ვიყავი მათთან, დაუოკებელი სურვილი აღმეძრა, ერთხელ მაინც გამეხსნა ყუთები. რამდენიც უნდა მეხვეწა, ვიცოდი, მამას მაინც ვერ დავითანხმებდი. დედას გამოვუტყდები-მეთქი, გადავწყვიტე, მაგრამ იგი ამ დროს თავს უარესად გრძნობდა - მხოლოდ სითხის გადაყლაპვა შეეძლო. ამას ისიც დაერთო, რომ პირში სისხლიანი ჩირქი უგროვდებოდა. მართალია, ჯერ თხუთმეტი წლისა ვიყავი, მაგრამ თოჯინების ნახვის გულისთვის, აბა, როგორ შევაწუხებდი ასე მძიმე ავადმყოფს! გამბედაობაც არ მყოფნიდა! დილიდან მოყოლებული, რვა საათამდე ხმაამოუღებლად ვეჯექი სასთუმალთან და თვალს არ ვაშორებდი გაწამებულ დედას.

წარამარა რკინისბადიდან ფანჯარასთან მიწყობილი ხებუერას ყუთები მელანდებოდა; ვიცოდი, რომ ეს ყუთები, ხინა-თოჯინებით სავსე ყუთები, როგორც კი ირიჟრაჟებდა, შორეულ

იოკოჰამაში, ვიღაც გადამთიელის სახლში გადაიბარგებდა... ვინ იცის, იქნებ ამერიკაშიც ამოეყო თავი. ვფიქრობდი და მოთმინების ძაფი მიწყდებოდა.

დედას დაეძინა თუ არა, დრო ვიხელთე და ფეხაკრეფით გავედი ფარდულში. მართალია შიგ მზის სხივებიც კი ვერ ატანდა, მაგრამ გუნება მაინც გამომიკეთდა, რადგან აქედან მთელი ქუჩა ხელისგულივით მოჩანდა. მამა თავის ანგარიშებში ჩაფლულიყო, ჩემი ძმა კი სააფთიაქო ფილთაქვაში ძირტკბილას ალაგებდა მთელის გულისყურით.

- მამა, თუ ღმერთი გწამს, გევედრები...

შევყურებდი მამას და კვლავ ხვეწნით ვუმეორებდი ჩემს ახირებულ სათხოვარს. მამაჩემი პასუხის ღირსადაც არ მთვლიდა. ბოლოს, თავი რომ მოვაბეზრე, მითხრა:

- აბა, ახლა ამისთვის გვცხელა? შენ ეი, ეიკიტი! სანამ მთლად არ დაბნელებულა, მარუსასთან გადაირბინე.

- მარუსასთან? მერე და, რა მინდა მარუსასთან?

- ლამპა უნდა გადმოიტანო.

- ვერ გავიგე რა ლამპაზე მელაპარაკები...

მამას ჩაეცინა და მე გადმომხედა.

- ვერაფერს გააგებინებ ამ კაცს... ამასწინათ ვთხოვე, რომ ლამპა ეყიდა ჩვენთვის.

- მაშ, ლამპარი აღარ გვექნება?

- ლამპარმა მოიხადა თავისი ვალი.

- ვინ მოთვლის. კიდევ რამდენი რამაა გადასაყრელი... უამრავი ძველმანი! ლამპის შუქზე დედაც უკეთ იგრძნობს თავს.

მამამ საანგარიშოს ჩხაკუნი განაგრძო. რაც უფრონაკლებ ყურადღებას მაქცევდა, მით უფრო მიძლიერდებოდა თოჯინების ნახვის სურვილი. მე კვლავ მივუახლოვდი და მხარზე შევეხე.

– მამა...

- დამეხსენ! - არც კი შემობრუნებულა, გაბრაზებით მომიგდო მამამ. გვერდიდან ძმის ალმაცერი

მზერაც ვიგრძენი და უსიტყვოდ გავბრუნდი ოთახში. დედას გაღვიძებოდა და ანთებული თვალებით დაჰყურებდა თავის წინ წამოწეულ ხელს. როგორც კი თვალი მომკრა, ხმააწევით მომმართა:

- რატომ გააჯავრე მამა?

დაბნეულობისაგან ვერაფერი ვუპასუხე.

- კვლავ წამოროშე რამე? ხმაში სისუსტეშეპარული, დაჟინებით შემომცქეროდა:

- ნუთუ ვერ ხედავ, რა დღეში ვარ... რაც უნდა გითხრას მამამ, დაუჯერე!.. რას უყურებ მეზობლის გოგოს! უნდა? იაროს ყოველდღე თეატრში!

- თეატრი არ მინდა, ოღონდ...

- თუ გინდა ეგრე იყოს! თეატრის გარდა რამდენი რამ მოგტაცებს თვალს - ლამაზი თმასარჭი, მოხდენილი საყელოები...

სანამ დედა ლაპარაკობდა, ისეთმა სევდამ და სინანულმა შემიპყრო, რომ ქვითინი ვეღარ შევიკავე.

- არა, დედა... მე არაფერი... მე არაფერს არ ვთხოულობ, ოღონდ თოჯინების გაყიდვამდე...

- თოჯინები? რა თოჯინების გაყიდვამდე? - თვალები გაუფართოვდა დედას.

ენა დამება. ამ დროს ოთახში ჩემი ძმა ეიკიტი შემოვიდა. იგი მაღალი იყო, ზემოდან დამხედა და მკაცრად მითხრა:

- ტუტუცო, კვლავ თოჯინებზე ლაპარაკობ?! დაგავიწყდა, რა დღე გაყარა მამამ?

- ნუ იგესლები მორიელივით!

დედამ უღონოდ მილულა თვალები, მაგრამ ჩემი ძმა, თითქოს არც სმენიაო, ჩემს კიცხვას განაგრძობდა:

- თხუთმეტი წლის გოგო ხარ და თავში ჭკუის ნატამალი არ გაგაჩნია! ნახა ამანაც საქმე - თოჯინები!

- რა შენი საქმეა, შენი ხომ არ არის! - შევეპასუხე. სიტყვას სიტყვა მოჰყვა; ბოლოს ძმამ

  თმით დამითრია და იატაკზე დამაგორა.

- მეტიჩარა!

ლაზათიანი გატყეპვა არ ამცდებოდა, დედა რომარ ჩარეულიყო საქმეში; ძლივსძლივობით წამოიწია ბალიშიდან და სუნთქვაშეკრულმა გაბრაზებით თქვა:

- რა ჩაიდინა ეხლა ისეთი ო-ცურუმ! აღარ მოეშვები, რას ერჩი!

- რას ვერჩი და თავისნათქვამა და ჯიუტია!

- აბა, რა გითხრა... შენ მარტო ო-ცურუ კი არა, საკუთარი დედაც კი არ გიყვარს... მეც... - დედას თვალები ცრემლებით ევსებოდა და ენაც საცოდავად ებმოდა. - შენ მეც არ გიყვარვარ... და ეს რომ ასე არ იყოს, რა გადაგაწყვეტინებდა ჩემი ავადმყოფობის დროს თოჯინების გაყიდვას! ჯანდაბას ყველაფერი, მაგრამ მაგ საწყალ ო-ცურუს რაღას ერჩი? რატომ ექცევი უცხოსავით? შენ რომ დედა გიყვარდეს...

- რას ამბობ, დედა! - შესძახა ეიკიტიმ, სახეზე ხელები აიფარა და აქვითინდა. არც მანამდე და არც შემდეგ ძმის ცრემლები არ მინახავს. მშობლები რომ გარდაგვეცვალა, მაშინაც კი არ უტირია. თავისი ცხოვრება პოლიტიკას შესწირა და, სანამ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოხვდებოდა, კლედასავით მაგარი და ცივი კაცი იყო... აღშფოთებული დედაც კი განაცვიფრა ეიკიტის ცრემლებმა, ღრმად ამოიოხრა და ხმის ამოუღებლად გადაწვა ბალიშზე.

ერთი საათის შემდეგ ფარდულში გამყიდველი ტოკუძო შემოვიდა, რომელიც კარგა ხანია არ გამოჩენილიყო. ძველი პროფესია სახელადღა შემორჩა, თორემ რა ხანია თევზს აღარ ყიდდა. ახლა რიქშა იყო. რას არ ყვებოდნენ მასზე - ათასგვარ თავშესაქცევ ამბავს. ერთი მათგანი, რომელიც მისი გვარის შესახებ მოგვითხრობს, კარგად დამამახსოვრდა. რევოლუციის[204] შემდეგ ტოძოკუმაც[205] ისურვა თურმე გვარის ტარება, მაგრამ რაკი მოიწადინა, ხეირიანი მაინც ხომ უნდა ყოფილიყო და ამიტომაც ტაკუგავა ირჩია; როცა ამის შესახებ განცხადება შეიტანა, ერთი მაგრად გამოულანძღავთ; სხვაგვარად არც შეიძლება მომხდარიყო! თავის წაცლითაც კი დამუქრებიან თურმე, თუ ჭკუით არ იქნებოდა. ტოკუძუმ ფარდულის შემოსასვლელთან მოაყენა თავისი ეტლი, რომელიც პიონებისა და ლომების სურათებით გაელამაზებინა. მითხრა, დღეს სამუშაო არა მაქვს და აიძუცუბარას[206] ქვის სახლებიან ქუჩებში გაგასეირნებო.

- რას იტყვი ო-ცურუ? - მკითხა მამამ და გვერდულად გადმომხედა.

დღეს რიქშით გასეირნება ბავშვებისთვის აღარაფერს ნიშნავს, ჩემთვის კი ეს მაშინ ყველაზე დიდი სიხარული იყო. მაგრამ უცებ დათანხმება, როცა დედა კვლავ ცუდად გრძნობდა თავს, თანაც ზემოაღწერილი სცენის შემდეგ, ძალზე უხერხულად მომეჩვენა და მაინც, ოდნავ გასაგონად მივუგე: „მინდა“.

- მაშინ წადი და დედას სთხოვე დასტური. ტოკუძო ხომ საგანგებოდ შენს გასასეირნებლად მოვიდა. დედას თვალიც არ გაუხელია და როგორც ვფიქრობდი, ღიმილით თქვა:

- საუცხოოა!

საბედნიეროდ, ჩემი ბოღმა ძმა შინ არ გახლდათ - მარუსასთან იყო გასული. გადამავიწყდა ცრემლები, ჩიტივით შევაფრინდი ეტლს და მუხლებზე შალის წითელი საბანი გადავიხურე... არახრახდა ბორბლები და წავედით...

საჭიროდ არ ვთვლი მოგიყვეთ, თუ როგორი იყომაშინ ეს ქალაქი. მოგითხრობთ მხოლოდ ტოკუძოს უკმაყოფილო ბურტყუნზე. ქვის სახლებიან ქუჩაში არც კი ვიყავით გასული, რომ

ცხენოსან ეკიპაჟს შევეჩეხეთ, რომელსაც ევროპელი ქალბატონი მოჰყავდა. რის ვაივაგლახით უქცია გვერდი ტოკუძომ და ენის წკლაპუნით აბუტბუტდა:

- ეჰ, ვერ გამოგივიდა კარგად. ქალიშვილი ძალზე მსუბუქია და ფეხსაც ამიტომ ვეღარა ვდგამ მტკიცედ... ქალიშვილი! ცოდვაა რიქშა... ისე, ოც წლამდე ახალგაზრდა არც კი უნდა ჩაისვას კაცმა...

ქუჩიდან რიქშამ ჩვენი სახლის მოსახვევში გადაუხვია. ამ დროს ეიკიტიც შემოგვხვდა. ხელში ბამბუკის შებოლილსახელურიანი ლამპა ეჭირა და აჩქარებული ნაბიჯით მიდიოდა. დამინახა თუ არა, მანიშნა, მოიცაო! და ლამპა გამომიწოდა. ტოკუძომაც სწორედ მაშინ მოატრიალა ხელნა და ეტლი პირდაპირ მასთან მიაგორა.

- გმადლობთ, ტოკუ-სან! საით გაგიწევიათ?

- ქალიშვილს ედოს[207] ვათვალიერებინებ. ჩემი ძმა, რომელსაც დამცინავი ღიმილი უკიაფებდა სახეზე, ახლოს მოვიდა.

- ო-ცურუ, სახლში გაიყოლე ეს ლამპა. მე ნავთზე უნდა შევიარო.

ჯერ კიდევ არ მქონდა დავიწყებული ჩვენი ამასწინანდელი კინკლაობა და ისე ჩამოვართვი ლამპა, კრინტიც არ დამიძრავს. ჩემმა ძმამ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, მერე კვლავ ჩემკენ შემობრუნდა, მომიახლოვდა და ეტლის დამცველ ფარზე დაყრდნობილმა, თქვა:

- ო-ცურო, მეტს ნუღარ ჩამოუგდებ მამას თოჯინებზე საუბარს!

მე წინანდებურად ვდუმდი. ამას წინათ ხომ სისხლი გამიშრო, ეს აღარ მაკმარა და არც ახლა იშლიდა თავისას. არაფრად აგდებდა ჩემს უგუნებობას და წყნარად განაგრძობდა:

- მამა მარტო იმიტომ კი არ გიკრძალავს მათ ნახვას, რომ ბე უკვე მიღებული აქვს. თოჯინების ხელახალი გამოჩენა ყველა ჩვენგანს სინანულს მოგვრის და გულს ატკენს. შენ ამაზე არც კი დაფიქრებულხარ! გაიგე? ჰო და, თუ გაიგე, მეტი აღარ წამოგცდეს, რომ მათი ნახვა გსურს...

ჩემი ძმის ხმაში მისთვის უჩვეულო გულჩვილობა ჟღერდა. მაგრამ იგი უცნაური კაცი გახლდათ. ის იყო, მომეჩვენა, ხმაში სევდა გამოერია-მეთქი და უკვე მუქარაზე გადავიდა:

- თუ სწორად გამიგებ, აღარც ჩემგან მოგხვდება! - მომიგდო გაღიზიანებული ტონით და ისე სწრაფად გაბრუნდა, ტოკუძოსაც არ გამოთხოვებია.

საღამოს მაგიდას ვუსხედით ოთხივე, ვახშამს შევექცეოდით. მართალია, დედა იწვა და იგი სუფრის წევრთათვის არ უნდა მიმეთვალა, მაგრამ იმ საღამოს ვახშამი მაინც ჩვეულებრივზე უფრო მხიარული აღმოჩნდა. ალბათ, მიხვდებით, რატომაც... მბჟუტავი ზეთის ლამპარის ნაცვლად ოთახს ახალი ლამპის შუქი აჩახჩახებდა. ჭამისას მეც და ჩემი ძმაც დროდადრო მას შევყურებდით, საოცრად ლამაზ ლამპას, რომელიც თავისი მოკაშკაშე ალის მინის გამჭვირვალე ჭურჭელში ჩასხმულ ნავთსაც კი აციმციმებდა.

- დღესავით ანათებს. - კმაყოფილი სახით გადასძახა მამამ დედას.

- ლამისაა დაგვაბრმავოს, - შეშინებულივით უპასუხა დედამ.

- ეგ იმიტომ გეჩვენება, რომ ლამპარსა ხარ მიჩვეული... მაგრამ რაკიღა ერთხელ აანთებ, ლამპარი სამუდამოდ მიგავიწყდება.

- თავიდან ყველაფერი აბრმავებს კაცს, კაშკაშა ლამპაც და ევროპული მეცნიერებაც. - წაიფილოსოფოსა ყველაზე მეტად გახარებულმა ჩემმა ძმამ.

- და მაინც, როცა შეეჩვევი, ალბათ განსხვავებაც ქრება. მალე დადგება ის დროც, როცა ეს ლამპაც დაკარგავს თავის ელვარებას...

- ვინ იცის! შეიძლება ასეც მოხდეს... ო-ცურუ, ბრინჯის ნახარში მოუმზადე დედას?

- არ უნდა. - გავიმეორე დედის ნათქვამი.

- როგორ, სულ არ გინდა ჭამა? მამის პასუხად დედამ ღრმად ამოიხვნეშა.

- ოჰ, ეს ნავთის სუნი... აი კიდევ ერთი დასტური, რომ ძველი დროის კაცი ვარ.

აქამდე წყნარად ვატრიალებდით ხასებს[208], მაგრამ დედას თითქოს აღარ უნდოდა ლამპის დავიწყება, - კვლავ მისი კაშკაშა შუქის ქებათაქებას განაგრძობდა. შესიებულ ბაგეზეც კი მოჰფენოდა რაღაც ღიმილის მსგავსი ნათელი.

თერთმეტს გადაცილებული იყო, დასაძინებლად რომ დავწექით. თვალი კი მოვხუჭე, მაგრამ ძილი მაინც არ მომეკარა. ძმამ უკვე ორჯერ გამაფრთხილა თოჯინების თაობაზე. თითქოს შევურიგდი კიდეც იმ აზრს, რომ მათი ამოლაგება და დათვალიერება არავითარ შემთხვევაში აღარ შეიძლებოდა, სურვილი კი... მაინც არ მაძლევდა მოსვენებას ძველებურად. იმის

გაფიქრებაც კი, რომ ხვალ ყველაფერი დამთავრდებოდა და შორს წაიღებდნენ ხინათოჯინებს, ცრემლებით მივსებდა თვალებს. ვითომდა რა მოხდება, რომ ახლა, როცა ყველას ღრმა ძილით სძინავს, ჩუმად ამოვალაგო ისინი? ანდა, წავიღო ერთი ყუთი და სადღაც გადავმალო? მაგრამ, რომ წამასწრონ! ვჭოჭმანობდი. მართალი თუ

გნებავთ გითხრათ, ჯერ არ მახსოვს ოდესმე ასეთი საზარელი აზრები მომსვლოდეს თავში, როგორც იმ ღამით. ოო! ხანძარი მაინც გაჩნდებოდეს! მაშინ თოჯინები დაიწვებოდა, მაგრამ უცხო კაცს მაინც არ ჩაუვარდებოდა ხელში. ან ამერიკელსა და მელოტ ანტიკვარ მარუსას მაინც შეჰყროდა ქოლერა. მაშინ თოჯინები ჩვენ დაგვრჩებოდა, აი, როგორი სურვილები მიტრიალებდა თავში, მაგრამ არ გამემტყუნებოდა, მაშინ ხომ ჯერ კიდევ ბავშვი ვიყავი. ამ ფიქრებში წასულს მალე ჩამეძინა კიდეც.

არ ვიცი, რამდენი ხნის მერე, უეცრად გამეღვიძა. ფარნის მკრთალ შუქზე ოთახში ვიღაც დადიოდა. ვირთხა ხომ არ არის? თუ ქურდია? იქნებ გათენდა კიდეც? ამ ვარაუდებით დაბნეულმა გაუბედავად მიმოვიხედე და დავინახე, რომ ჩემი საწოლის შორიახლო, ღამის კიმონოს ამარა, პროფილით ჩემკენ მობრუნებული მამა იჯდა. მამა!

მაგრამ მარტო მამის გარეგნობას კი არ განვუცვიფრებივარ! მის წინ ჩემი თოჯინები ელაგა - ჩემი ხინა, რომელთათვისაც თოჯინების დღესასწაულის შემდეგ თვალი აღარ მომეკრა. სიზმარია?!

სუნთქვაშეკრული მივჩერებოდი ამ სასწაულს. ფარნის სუსტ შუქზე ვხედავდი სპილოს ძვლის სკიპტრიან იმპერატორს, ბრწყინვალე გვირგვინოსან დედოფალს, მარჯვნივ ციტრუს - ტატიბანს და მარცხნივ - ალუბლის ხეს; პაჟს, რომელსაც გრძელტარიანი, მზის საჩრდილობელი გაშლილი ქოლგა ეპყრა ხელთ; სეფე-ქალს ლანგრით ხელში, ოქროს სახეებიან გაკრიალებულ სატუალეტო მაგიდას და ლაქწასმულ კომოდს; ნიჟარებით გაკოპწიავებულ თეჯირებს, მაგიდებს, ფინჯნებს, მოხატულ ფარანს, ფერადი ოქრომკერდით შეკერილ ბურთულებს... შევცქეროდი მამის პროფილს...

დღესაც არ ვიცი, ის თოჯინები სიზმარში ვნახე თუ ცხადში. როგორც უნდა ყოფილიყო, ცხადო თუ სიზმარი, მე ახლაც თვალწინ მიდგას, თუ როგორი სინაზით შეჰყურებდა თოჯინებს ჩემი მობერებული, მაგრამ მაინც მკაცრი და გაუტეხელი მამა; თვალწინ მიდგას და ვხვდები, რომ მასაც ჩემსავით ენანებოდა თოჯინებთან განშორება.

აღარც მახსოვს, როდის დავიწყე ამ მოთხრობის წერა. ამჟამად კვლავ მივუბრუნდი მას არა მარტო ბ-ნ ტაკიტას თხოვნით, არამედ უფრო იმიტომ, რომ ამ დღეებში, იოკოჰამაში, ინგლისელის სასტუმრო დარბაზში ვნახე ქერათმიანი გოგონა, რომელიც ძველი ხინა-თოჯინის

მოგლეჯილი თავით თამაშობდა. შეიძლება იმ თოჯინებსაც, რომელზედაც ამ მოთხრობაშია ლაპარაკი, მწარე ხვედრად ერგოთ მოხვედრილიყვნენ ერთ ყუთში რეზინების თოჯინებისა და ტყვიის ჯარისკაცების გვერდით.[209] თებერვალი, ***1923***წ.

თარგმნა ჯემალ მჭედლიშვილმა

თოვლია

1

გაზაფხულის თბილი დღე იდგა. თოვლია ცოცხალი ღობის გასწვრივ, უჩუმრად მიძუნძულებდა ქუჩაში. ღობის რტოებზე კვირტები აფეთქებულიყო, შიგადაშიგ კი ალუბლის ხეებიც ჰყვაოდა. ვერაფერს ამჩნევდა, დრუნჩი ჩამოეშვა და მიწის ყნოსვაყნოსვით მიცუნცულებდა თავისთვის.

როგორც იქნა, ჩათავდა ღობე. მოსახვევში შესვლა ვერც კი მოასწრო, რომ ელდანაკრავივით გაშეშდა ადგილზე.

ანდა რა საკვირველი იყო; შვიდ-რვა საჟენზე ძაღლისმჭერი იდგა, ზურგსუკან თოკს მალავდა და თვალს არ აცლიდა პატარა, შავ გოშიას, რომელიც მინდობილად შეექცეოდა მის მიერ მიგდებულ პურის ნატეხს. ძაღლისმჭერის არ შეშინებია თოლიას, იგი შავი ფინიას დანახვამ შეაშფოთა... მაწანწალა ძაღლი რომ ყოფილიყო, ჯანდაბას მისი თავი, რა ენაღვლებოდა! მაგრამ ძაღლისმჭერი ხომ მეზობლის ძაღლს, მის საუკეთესო მეგობარს - მურას უტრიალებდა, რომელსაც თოვლია ყოველ დილა ხვდებოდა და ეანცებოდა.

ის იყო უნდა შეეძახა, მურა, გაფრთხილდიო! რომ ძაღლისმჭერმა თვალები დაუბრიალა. ეს გამოხედვა თითქოს აფრთხილებდა, აბა, ერთი გაბედე და კრინტი დასძარი, პირველს შენ გაგაბამ მახეშიო. ახლა კი იგრძნო შიში, რომელმაც უმალ გადაავიწყა, გასაფრთხილებლად რომ აპირებდა შეყეფვას; უფრო სწორად, კი არ გადაავიწყდა, კრიჭა შეუკრა. თოვლია დაფრთხა, ადგილზე ვეღარ გაჩერდა. გულდაქანებული შეჰყურებდა ძაღლებზე მონადირეს და ნაბიჯ-ნაბიჯ იხევდა უკან. შემდეგ მესერს ამოეფარა და თავქუდმოგლეჯილმა გაკურცხლა.

სწორედ ამ დროს, ეტყობა, საბრალო მურას ყულფი ჩამოაცვეს კისერზე, გაისმა შემზარავი, გაბმული წკავწკავი. მაგრამ თოვლია არც კი შეჩერებულა; უკანმოუხედავად მიქროდა, ირგვლივ კენჭებს ფანტავდა, ურნებს პირქვე ამხობდა და თავს რომ ვეღარ იკავებდა, გუბეებში მიკოტრიალებდა. აი, იგი თავქვე დაეშვა და კინაღამ მანქანის ბორბლებქვეშ მოყვა. ნუთუ ასე გადარია შიშმა? არა! ასე თავპირისმტვრევით იმიტომ გარბოდა, რომ ჯერ კიდევ ყურებში უწიოდა მურას წკავწკავი:

- ჰავ-ჰავ! მიშველეთ! ჰავ-ჰავ! მიშველეთ!

2

სირბილისგან გულამოვარდნილმა თოვლიამ, როგორც იქნა, სახლამდე მიაღწია, მესერში, მისთვის დატოვებულ ხვრელში გაძვრა, ბეღელს გვერდი აუქცია და სახლს უკან, თავის ჯიხურთან აღმოჩნდა. ქარივით გაინავარდა ბაღში. აქ მას უკვე აღარც თოკი აშინებდა და არც სხვა ფათერაკი. ამასთან... - ჰოი, ბედნიერებავ! ბაღში, მწვანე მოლზე, მისი პატრონი გოგო და ბიჭი ბურთს თამაშობდნენ. ერთი ნახტომით გაჩნდა მათთან და კუდის ქიცინით დაიწყო:

- ძვირფასო გოგონავ! ძვირფასო ყმაწვილო! ყური მიგდეთ! გეტყვი, რა შემემთხვა დღეს! ეს –ეს არის ძაღლისმჭერს შევხვდი! - ჩაარაკრაკა ჯერ კიდევ სუნთქვაშეკრულმა თოვლიამ (თუმცა ბავშვებს რა გაეგებოდათ ძაღლური ენის - მათ ეს ჩვეულებრივი ყეფა ეგონათ).

გოგონა და ბიჭი, რაღაცით გაოცებულნი, ასეც მოფერებიან და საგონებელში ჩავარდნილმა თოვლიამაც ხელახლა დაიწყო:

- გოგონა! თუ იცით, ვინ არის ძაღლისმჭერი! უსაშინლესი კაცია! მე კი თავს ვუშველე, მაგრამ აი, თქვენი მეზობლის მურა დაიჭირა. გოგომ და ბიჭმა ერთმანეთს გადახედეს და მცირე ხნის შემდეგ ასეთი საუბარი გააბეს:

- ჰარუო-სან! თუ იცი, ვისია ეს ძაღლი?

- მართლაც და საიდან გაჩნდა ეს ძაღლი, დაიკო? „როგორ თუ ვისია?!“ ახლა კი მართლაც გაოგნდა თოვლია.

თოვლიას გოგოს ლაპარაკიც შესანიშნავად ესმოდა და ბიჭისაც. ჩვენ გვგონია, ძაღლებს არ ეყურებათ ჩვენი ენა, რადგან თვითონ არ გაგვეგება მათი... სინამდვილეში ძაღლები იმიტომ ითვისებენ ადამიანებისგან ათას რაღაცას, რომ ძალიან კარგად ესმით ჩვენი საუბარი. აი, ჩვენ რომ არაფერი გაგვეგება მათი, ამიტომაც ვერ ვსწავლობთ სიბნელეში გზის გაგნებას, ვერა ვგრძნობთ ოდნავ შესამჩნევ სულს და ბევრ სხვა რამეს, რაც მათ ჩვენზე უკეთ იციან.

- ვისი ძაღლიაო?! მე ვარ, თოვლია! მაგრამ გოგონა კვლავ ალმაცერად შეჰყურებდა.

- ეგებ ეს მეზობლის ძაღლის, მურას ძმა არის?

- შეიძლება, დაეთანხმა საზრიანი ბიჭი, - ეს ძაღლიც ხომ მასავით კუპრისფერია.

თოვლიამ იგრძნო, როგორ წამოებურძგნა ბეწვი. კუპრისფერიო?! ეს შეუძლებელია! აკი მაშინაც კი რძესავით ელვარებდა, როცა ჯერ კიდევ ლეკვი იყო.

თოვლიამ თათებზე დაიხედა. დიახ, თათებიც და არა მარტო თათები, მკერდიც, მუცელიც და ლამაზი ბომბორა კუდიც, ყველაფერი ფსკერდამწვარი ტაფასავით გაშავებოდა; ერთიანად შავი იყო, ღამესავით შავი. თოვლია აწრიალდა. აქეთ ეცა, იქით ეცა და ბოლოს მთელი ხმით აყეფდა.

- ვაიმე, ჰარუო-სან, მეშინია! ეს ძაღლი უთუოდ ცოფიანი იქნება! - საცოდავად აფშლუკუნდა გოგო. მაგრამ ბიჭი მამაცი გახლდათ. უცებ თოვლიას მარცხენა ფერდი აეწია... აი, კიდევ გაიშხუილა მის თავთან წკეპლამ... თოვლიამ ძლივს აიცდინა დარტყმა და მთელი ძალით მესერისკენ მოკურცხლა, სადაც ჭადრის ქვეშ ღია ყვითლად შეღებილი თავისი ჯიხური ეგულებოდა. ჯიხურთან მისულმა თავის ნორჩ პატრონებს გამოხედა და კიდევ ერთხელ შეჰყეფა:

- გოგონა! ბიჭუნა! მე ხომ თქვენი თოვლია ვარ! დაე, ვიყო შავი, მაგრამ მაინც ისევ ის თოვლია ვარ!

ჯავრისა თუ გულისწყრომისგან თოვლიასხმა უწყდებოდა, მაგრამ ეს არ შველოდა - გოგო და ბიჭი მაინც ვერას გაუგებდნენ ამით. „საძაგელი ძაღლი! კიდეც რომ იყეფება!“ - გაჯავრებით დააბაკუნა ფეხი გოგონამ. ბიჭმა კი... ბიჭმა ბილიკიდან კენჭები წამოკრიფა და გამეტებით დაუშინა თოვლიას.

- ერთი ამ თავხედს დამიხედეთ! ჩამოსახლებაც რომ მოგვინდომა! აი, შენ! ესეც შენ!

ქვები სეტყვასავით მოფრინავდნენ თოვლიასკენ. ერთმა მათგანმა ყური სისხლით შეღება. ბოლოს თოვლიამ კუდი ამოიძუა და მესერს გადაევლო.

მესერს გადაღმა მხიარულად დაფარფატებდა თეთრი პეპელა, რომლის ვერცხლისფრად დაწინწკლული ფრთები მზის სხივებზე კიაფობდა.

- რაო, ძმობილო, უპატრონოდ დარჩი? - ჩაუწრიპინა პეპელამ.

თოვლიამ გული ამოაყოლა ოხვრას, მცირე ხანს ტრამვაის ბოძთან იყურყუტა და შემდეგ ჩანჩალით დაადგა უცნობ გზას.

3

სახლიდან გაგდებულმა თოვლიამ ქალაქში დაიწყო წოწიალი. დაძრწოდა ქუჩა-ქუჩა, დაძვრებოდა პარკებში, დაწანწალებდა მოსახვევ-მისახვევებში, მაგრამ სიშავეს მაინც ვერსად გაექცა. ხან სადალაქოების შესასვლელებთან, მუშტრებისთვის დადგმულ სარკეებში გამოჩნდებოდა მისი გამოსახულება, ხან გუბეებში დალანდავდა თავს, რომელშიც წვიმის შემდეგ გაკრიალებული ცარგვალი ციალებდა, ხან კოპწიად მორთული ვიტრინების მოსარკულ მინებში ირეკლებოდა მისი კუპრისფერი, ხანაც სარკის მაგივრობას დიდი, მაგიდებზე გამწკრივებული შავი ლუდით სავსე კათხები უწევდა...

ერთხელ, როცა თოვლია უჩუმრად მიცუნცულებდა პარკის ღობის გასწვრივ, ჭიშკართან ავტომობილი მოგრიალდა და მის გაკრიალებულ, გალაქულ ძარაზე გარკვევით, როგორც სარკეში, დაინახა პარკის ღობის რიკულები, მასზე გადმოკიდებული რტოები, რომლებიც ის-ის იყო მწვანდებოდა; მათ ქვეშ კი ღობესთან მდგარი დიდი, შავი ძაღლი შენიშნა... თოვლიამ ნაღვლიანად ამოიოხრა და პარკში შევარდა. თავჩაქინდრული დაეხეტებოდა ხეების ქვეშ, რომელთა ახალგაშლილ, თოთო ფოთლებში მსუბუქი ნიავი დაშარიშურებდა. სიწყნარეს მხოლოდ ყვავილებს მისეული ფუტკრის ზმუილი არღვევდა და არსად ჩანდა სარკის მსგავსი რამ, გარდა მცირე ტბორისა და თოვლიაც დიდის გულმოდგინებით უვლიდა მას გარს. პარკში სიწყნარე სუფევდა, რამაც კინაღამ დაავიწყა თავისი ვარამი, მაგრამ დიდხანს არ გაგრძელებულა მოჩვენებითი სიმშვიდე. ის იყო აყვავებულ ბუჩქებს შორის შარაზე გამოვიდა, რომ ბაღის კუთხიდან ძაღლის გამაწვრილებელი ყეფა მოესმა:

- ჰავ-ჰავ! მიშველეთ! ჰავ-ჰავ! მიშველეთ!

თოვლიას ტანში გასცრა. შემზარავმა წკმუტუნმა მურას საშინელი ხვედრი გაახსენა. კუდი ამოიძუა და კვლავ თავის შველა დააპირა, მაგრამ განგაში წამიერი გამოდგა: მხნეობა მოიკრიბა, შეტრიალდა და მრისხანედ შეჰყეფა.

- ჰავ-ჰავ! მიშველეთ! ჰავ-ჰავ! მიშველეთ! - მოესმა განმეორებით.

- ჰავ-ჰავ! გამაგრდი! ჰავ-ჰავ! მოვდივარ! - გამოეხმაურა თოვლია.

და ისარივით გაიჭრა შეშინებული ძაღლისკენ.

ახლოს რომ მივიდა ძაღლისმჭერის მაგიერ სკოლიდან მომავალი, მოსწავლის ფორმაში გამოწყობილი რამდენიმე ბიჭი დაინახა, რომელთაც წითური ლეკვისთვის კისერში თოკი ჩაებათ, ძალისძალად მიათრევდნენ და ერთ აურზაურში იყვნენ. ლეკვი მთელი ძალით უძალიანდებოდა და განწირული ხმით გაჰკიოდა:

- „მიშველეთ, მიშველეთ!“

ბავშვები არაფრად აგდებდნენ მის წკავწკავს, წიხლისკვრით აიძულებდნენ ფეხის გადადგმას და მხიარულად იცინოდნენ.

თოვლია წუთით არ დაყოვნებულა, ყეფით ეცა ბავშვებს. მოულოდნელობისგან ბიჭები დაფრთხნენ. და მართლაც, აგუზგუზებულ თვალებიანი და დაღრჭენილ ეშვებიანი, მეტისმეტად შემზარავი შესახედავი იყო ჩვენი თოვლია.

ბიჭები აქეთ-იქით მიმოიფანტნენ; ერთი მათგანი კი ისე დაიბნა, რომ გაზონში გაიხლართა. როცა თოვლიამ ისინი კარგა მანძილზე გაჰფანტა, ლეკვს მოუბრუნდა და თითქმის გაჯავრებული ხმით უთხრა:

- წამოდი, სახლამდე მიგაცილებ.

თოვლია პარკის გასასვლელისკენ გაიქცა და გამხიარულებული ლეკვიც უკან აედევნა; ცდილობდა, არ ჩამორჩენოდა, ხან მერხების ქვეშ მიძვრებოდა, ხან კი ყვავილებში მიაბოტებდა, მირბოდა და ყელზე შებმულ თოკსაც მიათრევდა მიწაზე...

ერთი საათის შემდეგ თოვლია წითური ლეკვის თანხლებით იაფფასიანი კაფის წინ იდგა.

ნახევრადბნელ კაფეში დღისითაც კი ენთო ელექტროშუქი. შიგნიდან გრამოფონის ჩახლეჩილი ხმა ისმოდა.

- აი, აქ ვცხოვრობ, ამ კაფეში. თქვენ სადღა ცხოვრობთ, მამილო? - ჰკითხა თოვლიას ლეკვმა და კუდი ამაყად გააქიცინა.

- მე? მე... აქედან კარგა მოშორებით, სულ სხვა ქუჩაზე - ნაღვლიანად ამოიოხრა თოვლიამ. -წავედი...

- მოითმინეთ, რა, მამილო! ძალიან ბრაზიანი პატრონი გყავთ?

- პატრონიო? რატომ მეკითხები?

- თუ ბრაზიანი არ არის, ამაღამ ჩვენთან დარჩენილიყავით. მაშინ დედიკოსაც საშუალება მიეცემა, ჩემი გადარჩენისთვის მადლობა მოგახსენოთ... სახლში ყველანაირი გემრიელი საჭმელი გვაქვს - რძე, ყავა, ბიფშტექსიც...

- გმადლობ, დიდად გმადლობ... გამასპინძლება შემდეგისთვის გადავდოთ, რადგან ჯერ კიდევ არ მომიმთავრებია ზოგიერთი საქმე. დედიკოს მოკითხვა გადაეცი. თოვლიამ ცას ახედა, ერთი ამოიოხრა და წასასვლელად მიბრუნდა.

- მამილო, მამილო! - ლეკვმა წყენით გაჰკრადრუნჩი, - თქვენი სახელი მაინც მითხარით. მე ნაპოლეონი მქვია, შინაურულად ნაპოტიანს, ნაპოკოს მეძახიან, თქვენ?

- მე თოვლია მქვია.

- თოვლია? აი, უცნაური სახელი! თქვენ ხომ მთლად შავი ხართ... თოვლიას სუნთქვა შეეკრა.

- და მაინც თოვლია მქვია.

- რაკი ასეა, მაშინ, მამილო თოვლიას დაგიძახებთ. მამილო თოვლია, მალე გვეწვიეთ, თანაც ყოველ მიზეზგარეშე!

- აბა, ნაპოტიან, ნახვამდის!

- კარგად ბრძანდებოდეთ, მამილო თოვლია! ნახვამდის, ნახვამდის.

4

შემდეგ... ალბათ დაგაინტერესებთ, რა შეემთხვა შემდეგ თოვლიას. კაცმა რომ თქვას, არცა ღირს სიტყვის გაგრძელება - ისედაც ყველაფერი ცნობილია გაზეთებიდან. პრესაში მრავალი ცნობა გამოქვეყნდა შავ ძაღლზე, რომელსაც არაერთხელ უხსნია მრავალი გაჭირვებული აშკარა დაღუპვისაგან. ფილმიც კი გადაიღეს - „გმირი ძაღლი“. ეს შავი ძაღლი, რა თქმა უნდა, თოვლია გახლდათ. იმათ კი, ვინც შემთხვევით ვერც გაზეთების წაკითხვა თავის დროზე და ვერც ფილმის ნახვა შეძლო, ვთავაზობთ ამონაწერებს ამ გაზეთიდან.

„ტოკიო ნიტინიტი“, 18 ივლისი. გუშინ, დილის 8სთ. 40წთ. იმ დროს, როცა ჩქარი მატარებელი ოუდან სადგურ ტაბატის მახლობლად გადასასვლელზე გადადიოდა, მეისრის უყურადღებობის შედეგად ფირმა „ტაბატა იტინისან კაისიას“ მუშაკის სიბაიამა ტეცუტაროს ოთხი წლის ბიჭი სანეჰიკო ლიანდაგზე აღმოჩნდა და კინაღამ მატარებლის ქვეშ მოჰყვა. იმავე წუთს ლიანდაგზე ელვისებური სისწრაფით აიჭრა დიდი შავი ძაღლი და ბიჭუნა პირდაპირ ბორბლებიდან გამოსტაცა ორთქმავალს. შემთხვევის ადგილზე ხალხი მოგროვდა, ატყდა ერთი აურზაური. ამასობაში ძაღლი ისე გაუჩინარდა, რომ მისი კისერი მაინც ვერ დაამშვენა მედალმა განწირულთა გადარჩენისათვის, რამაც რკინიგზის მესვეურნი ძალიან დააღონა“.

„ტოკიო ასახი სიმბუნი“, 1 აგვისტო. ამერიკელ ედუარდ ბერკლეის მეუღლეს, რომელიც ზაფხულის სეზონს კარუიძავაში ატარებს, ჰყავდა სპარსული ჯიშის კატა, რომელიც საოცრად უყვარდა. ახლახანს აგარაკზე შეპარულა უშველებელი გველი და კატას სცემია. კატას მოულოდნელად საიდანღაც მოვარდნილი, ყველასათვის უცნობი შავი ძაღლი მიშვლებია, რომელსაც ოცწუთიანი ბრძოლის შემდეგ დაუფლეთია

გველი. ამის მერე გულადი ძაღლი თვალს მიფარებია. მ-ს ბერკლეი 50 დოლარს სთავაზობს მას, ვინც ძაღლის ადგილსამყოფელს შეატყობინებს“.

„კოკუმინ სიმბუნი“. პირველი ნორმალური სკოლის სამი მოსწავლე, რომლებიც იაპონიის ალპების გადალახვისას უგზო-უკვლოდ დაიკარგნენ, 7 აგვისტოს ჩამოვიდნენ კამიკოტის ცხელ წყაროებთან. ალპინისტთა ეს ჯგუფი, ჰოტაკაიამასა და იარიგატაკეს შორის ასცდენია გზას; ღვართქაფსა და გრიგალში მოყოლილთ, თავშესაფარს მოკლებულსა და შიმშილისგან მისავათებულებს, აშკარა დაღუპვა ელოდათ. მოულოდნელად ხეობაში, რომლისთვისაც ალპინისტებს შეუფარებიათ თავი, საიდანღაც დიდი, შავი ძაღლი გამოჩენილა და წინ გაძღოლია მათ. ძაღლს გაყოლილი ალპინისტები ერთი დღე-ღამის სიარულის შემდეგ, როგორც იქნა, კამიკოტამდე მისულან. როგორც კი საკურორტო შენობების სახურავები გამოჩენია, ძაღლს სიხარულისგან რამდენიმეჯერ შეუყეფია და ბამბუკებში გაუჩინარებულა. ალპინისტებს მიაჩნიათ, რომ ძაღლის გამოჩენას ისინი ღმერთების მფარველობას უნდა უმადლოდნენ“.

„ძიძი სიმპო“, 13 სექტემბერი. ხანძარმა ნაგოიაში ათ ადამიანზე მეტი იმსხვერპლა; ქალაქის თავმა კი კინაღამ ერთადერთი შვილიც დაკარგა. ვიღაცის დაუდევრობით სამი წლის ტაკენორი ალმოდებულ მეზონინში დარჩენილა, მაგრამ იმავე წამს, როცა ბავშვს ცეცხლი უნდა წაჰკიდებოდა, ერთ შავ ძაღლს უტაცია პირი და გარეთ გამოურბენინებია. ქალაქის თავმა ქალაქ ნაგოიას მიდამოებში მოხეტიალე ძაღლების ხოცვა აკრძალა“.

„იომიური სიმბუნი“. ოდავარაში საგასტროლოდ ჩამოსულ მიიაგის სამხეცეში, რომელმაც რამდენიმე დღეში თავის გარშემო აურაცხელი მაყურებელი შემოიკრიბა, 25 ოქტომბერს, ციმბირულმა მგელმა უეცრად გამოამტვრია თავისი გალიის წნული, დაგლიჯა ორი დარაჯი და ჰაკონეს მიმართულებით გაიქცა. ოდავარას პოლიციის ხელისუფლებმა მთელი თანამშრომლები ფეხზე დააყენეს და ქალაქს ალყა შემოარტყეს. დღის 4ს. 30წ. ხსენებული მგელი ძიუძის ქუჩებში გამოჩნდა და საიდანღაც მოვლენილ შავ ძაღლს შეება. ძაღლი მთელი ძალით იბრძოდა, ბოლოს ყელში სწვდა კბილებით და მიწაზე დაანარცხა იგი. ამ დროს პოლიციელებიც მიცვივდნენ და დამბაჩებით დაცხრილეს მგელი. ეს მგელი - Lupus gigantus-ის სახელს ატარებს და ამ ჯიშის ყველაზე მძვინვარე ნაირსახეობას მიეკუთვნება. სამხეცის პატრონს მგლის მოკვლა უკანონობად მიაჩნდა და საპოლიციო უბანს სასამართლოზე გადაცემას უპირებს“.

და ასე შემდეგ...

5

შემოდგომის ერთ ღამეს, სულიერად და ხორციელად დაქანცული თოვლია სახლში, თავის პატრონებთან დაბრუნდა.

გოგონა და ბიჭუნა დიდი ხნის დაძინებული იყვნენ. სახლში უკვე ყველა დაწოლილიყო. მიყუჩებულ ბაღში გაზონის თავზე, ნეკერჩხლის რტოებს ზემოთ. ვერცხლისფერი მთვარე ეკიდა. ტანდაცვარული, დაღლილი თოვლია ღია ყვითლად

შეღებილი ძველი ჯიხურის წინ მიეგდო, წინა თათები გაშალა, მთვარეს მიაჩერდა და აჩურჩულდა:

- ოჰ, მთვარევ, მთვარევ! ჩემს თვალწინ დაიღუპა საწყალი მურა. მე კი მას ვერაფრით მივეხმარე. ალბათ ამიტომაც დავისაჯე! მაგრამ მას შემდეგ, რაც ჩემს პატრონებს, გოგონასა და ბიჭუნას დავცილდი, რა არ გადამხდა: გულადად ვებრძოდი ყოველგვარ ხიფათს, რადგან ჩემი თანმხლები სიშავე ყოველთვის ჩემს სილაჩრეს მოახსენებდა და თავს მჭრიდა. სიშავის ზიზღის გამო, მისგან თავის დაღწევის მიზნით ვვარდებოდი ცეცხლში, ვებრძოდი გველს, ვეჭიდებოდი მგელს, მაგრამ თითქოს თვით სიკვდილიც კი გამირბოდა... ძალა აღარ შემწევს, დავიტანჯე. ერთადერთი სურვილიღა დამრჩა - ერთხელ კიდევ დავინახო ჩემი საყვარელიპატრონები... ეჰ! მათ რომ ჩემი ცნობა შეძლონ! მაგრამ ეს წარმოუდგენელია! ხვალ, როგორც კი გოგონა და

ბიჭუნა მომკრავენ თვალს, კვლავ მაწანწალა ძაღლად ჩამთვლიან. იქნებ ბიჭმა წკეპლის ცემითაც ამომხადოს სული. ახლა ჩემთვის ყველაფერი სულ ერთია. მხოლოდ ერთხელ დავინახო ისინი -ეს ერთადერთი დაუოკებელი სურვილიღა დამრჩა, ოი, მთვარევ! განა ასე ძნელია ჩემი სურვილის შესრულება... ერთხელ კიდევ შემახედა ჩემი საყვარელი პატრონების თვალებში! მხოლოდ ამისთვის მოვლასლასდი შუაღამისას შორეთიდან გემუდარები, მთვარევ ნათელო, გამომიწოდე მოწყალე ხელი, ამისრულე ერთადერთი ნატვრა-სურვილი...

დაასრულა თუ არა, დრუნჩი თათებში ჩამალა და ღრმა ძილს მიეცა.

- აი, სოაცრება, ჰარუო სან!

- რა მოხდა, დაიკო?!

თოვლია ბავშვების წკრიალა ხმამ გამოაღვძა. ძაღლის ჯიხურთან მდგარი გოგო და ბიჭი განცვიფრებული შეჰყურებდნენ ერთმანეთს. თოვლია ბალახს ჩააჩერდა. ზუსტად ასევე გაოცდნენ მაშინ გოგო და ბიჭი, როცა განგებამ იგი კუპრისფრად აქცია. იმ დღის გახსენებამ ნაღველით აავსო თოვლია. ინანა კიდეც დაბრუნება. სწორედ ამ დროს ბიჭუნა შეხტა და მთელი ხმით შეჰყვირა:

- მამა! დედიკო! თოვლია დაბრუნდა:

თოვლიაო! თოვლია ადგილიდან წამოფრინდა. მზად იყო გაქცეულიყო, მაგრამ გოგონა წინ გამოწვდილი ხელებით კისერზე დაეკიდა. თვალებში ჩახედა გოგოს და მის გუგებში დაინახა მკვეთრი ანარეკლი ნაკერჩხლის ქვეშ მდგარი ღია ყვითელი საძაღლე ჯიხურისა, ჯიხურის წინ კი ბრინჯის მარცვალივით ნამცეცა თეთრი ძაღლი. თვალი ვერ მოეწყვიტა ამ თეთრი ძაღლის ანარეკლისთვის.

- შეხე, ტირის თოვლია! - თქვა გოგონამ, უფრო მაგრად მიიკრა ძაღლი მკერდზე და ძმისკენ შემობრუნდა.

ბიჭი...

ო, რა თვითკმაყოფილებით იყურებოდა იმ წუთში ბიჭი, - პატარა ხომ აღარა ხარ, რა გაზლუქუნებს!..

ასე გახდა თოვლია კვლავ ქათქათა თეთრი და დაუბრუნდა თავის საყვარელ პატრონს - გოგონას და ბიჭუნას. მაგრამ მათთვისაც და საერთოდ, ყველასთვის, დღემდე საიდუმლოდ დარჩა, რომ

თოვლია სწორედ ის მამაცი შავი ძაღლი გახლდათ, რომელმაც მრავალ ადამიანს აჩუქა სიცოცხლე და ამით სამარადისო დიდება მოიპოვა.

საიდან ვიცი ყოველივე ეს? - მკითხავთ ალბათ. ეს მე მთვარემ მიამბო ერთ ღამეს, პირბადრმა მთვარემ.

ივლისი***, 1923*****წ.***

თარგმნა ჯემალ მჭედლიშვილმა

სანემონის დანაშაული

ეს მოხდა ბუნსეის მეოთხე წელს[210]. ტირისდენის თვეში. კაგას მფლობელის, თავად ხარუნაგას ვასალმა, ქეშიკმა[211] ხოსიო სანემონმა მოკლა ჭაბუკი კაძუმა, კინუგასა ტახეის, მისივე რანგის ქეშიკის, უმცროსი ვაჟი. მაგრამ ორთაბრძოლაში როდი მოუკლავს. - შემოაკვდა. ერთხელ როცა სანემონი მგოსანთა შეკრებიდან ბრუნდებოდა, ძაღლის ჟამისას საჯირითო მოედანს ჩაუარა და სწორედ ამ დროს ხმალამოწვდილი კაძუმა დაეცა თავს, მაგრამ მისივე ხელით დაიღუპა.

ამბავი ესე მისწვდა თავადის ყურს და ხარუნაგამ უბრძანა სანემონს, მის წინაშე გამოცხადებულიყო. არც არავის გაკვირვებია ეს ბრძანება.

ჯერ ერთი, - ბრძენკაცად იცნობდნენ ხარუნაგას. ყველა მნიშვნელოვან საქმეს თავად გადაწვეტდა ხოლმე. ვასალებს არ ანდობდა. ვიდრე ძირამდე არ ჩასდევდა ფესვს საქმისას, ვიდრე თავად არ განსჯიდა ჯერისამებრ, ვერ მოისვენებდა... განა ამას არ ადასტურებს ამბავი მისი ორი ბაზიერისა? ერთი რომ დააჯილდოვა, მეორე რომ დასაჯა? ამ ამბიდანაც ხომ ჩანს, რა კაცი ბრძანდებოდა ხარუნაგა, კაგას პატრონი. ამიტომაც არ იყო ზედმეტი ამის გახსენება.

ერთხელ ერთმა ბაზიერმა, მძლევარი ფრინველების თვალთვალი რომ ევალებოდა, აცნობა, - იტიკავას სოფლის ყანებში წითელნისკარტა წეროების გუნდი დაეშვაო. მისი ბრწყინვალება დიდად გაახარა ამ ცნობამ. ხვალისათვის მოითავეს მზადებანი და დილაადრიან გაემართნენ იტიკავას სანახებისკენ. ბაზთაგან უკეთესი შევარდენი, ფუძი-ცუკასას ჩვეულებრივ სამურაი აიმოტო კიძაემონი ბაზიერობდა, იმ დღეს კი თავად მისმა ბრწყინვალებამ მოინება საკუთარი ხელით ეტარებინა შევარდენი. რაღაც ხიფათად ამასწინანდელი წვიმებისაგან ყანებზე გამავალი ბილიკი მოლიპულიყო, და მის ბრწყინვალებას უცაბედად ფეხი დაუსხლტა, შევარდენი მოსწყდა მის ხელს. შეინავარდა და იმავე წამს აფრინდა წითელნისკარტა წეროების გუნდი, ცაში გაუჩინარდა. ამის დანახვისას კიზაემონმა, ბრაზისაგან გონდაკარგულმა, ერთი მაგრად შეუძახა:

- რა ჰქენი, ბრიყვო! - მაგრამ იმავე წამს გონს მოეგო, იაზრა, რომ მის წინაშე მისი ბრწყინვალება იდგა, მუხლებში ჩაუვარდა თავადს, ცივმა ოფლმა დაასხა. ასე ელოდა თავადის მოქნეულ ხმალს. მისმა ბრწყინვალებამ კი მხოლოდ გაიღიმა და ბრძანა:

- ჩემი ბრალია! მომიტევე, დამნაშავე ვარ!

ციხე-კოშკში დაბრუნებისას კიძაემონის ერთგული სამსახურითა და გულწრფელობით ნაამებმა თავადმა ახლად გატეხილი ყამირი მიწა უწყალობა, ასი კოდი ბრინჯის მოსავლიანი, და თანაც ბაზიერთუხუცესად დაადგინა.

იმხანად ფუძი-ცუკასას, შევარდენს, ვინმე სამურაი, სახელად იანასა სეიხატი მიუჩინეს. და მოხდა ისე, რომ შევარდენს რაღაც სენი შეეყარა. გამოიძახა მისმა ბრწყინვალებამ სეიხატი და ეკითხება: - როგორაა ფუძი-ცუკასა, ჩემი შევარდენი? ამ დროისათვის შევარდენი უკვე გამოჯანსაღებულიყო და სეიხატიმაც უპასუხა:

-
  საღადაა! იმდენად საღად, რომ კაცის დაკაწვრაც არ გაუჭირდება. ეტყობა,

არ ეთნო მის ბრწყინვალებას ასეთგვარი ტრაბახი, ამიტომაც ბრძანა:

- კეთილი, მაშ, გვაჩვენე კიდეც, როგორ დაეცემა კაცს.

რა ღონე ჰქონდა, იმ დღიდან სეიხატი დაადებდა ხოლმე თავზე თავის შვილს სეიტაროს თევზსა ან ნანადირევის ნამუსრევს, ან სხვა საქნიერს რასმე და მთელი დღეებით წვრთნიდა ფუძი-ცუკასას, ისე რომ, შევარდენი თანდათან შეაჩვია კაცის თავზე დაჯდომას. მაშინ ბევრი აღარ უფიქრია სეიხატის და ბაზიერთუხუცესის პირით შეუთვალა თავადს. მზად ვარ გიჩვენო შევარდენით კაცზე ნადირობაო, - რაზეც მისმა ბრწყინვალებამ ბრძანა:

- დიდად სასეიროა! ხვალვე ყველანი ერთად გავემართებით სამხრეთის ასპარეზზე. დაე, შევარდენმა შეიპყრას უფროსი სამურაი, ობა ძიუგენი, ჩაის სმის წესებს რომ განაგებს.

დილაადრიან, სისხამზე, მიადგა მისი ბრწყინვალება სამხრეთის ასპარეზს. ბრძანა, შუაგულ მინდორში დაეყენებინათ ობა ძიუგენი. ასეც მოიქცნენ და თავადმაც შესძახა:

- გაუშვი შევარდენი, სეიხატი!

- ამწუთას, თქვენო ბრწყინვალებავ! - და სეიხატიმ გაუშვა შევარდენი. ისარივით გავარდა ფრთოსანი, „ერთის იეროგლიფივით სწორი ხაზი გააავლო ჰაერში და ობა ძიუგენს დააცხრა თავზე.

- მოხვდა! - დასცა ყიჟინა სეიხატიმ, მოკლე სატევარი იშიშვლა (ფრინველთა გულღვიძლის ამოსართმევად რომ ხმარობენ მონადირენი) და ობა ძიუგენს მიჰვარდა, რათა იქვე დაეკლა, მაგრამ ამ დროს გაისმა თავადის ხმა:

- რას სჩადი, სეიხატი!

გონს როდი მოეგო სეიხატი, წარმატებით გაბრუებული ცდილობდა მახვილი ეძგერებინა ობა ძიუგენისათვის, თან ბურტყუნებდა:

- რაკი შევარდენმა მოინადირა ნადირი, ხო უნდა ამოვართვა გულ-ღვიძლი. მაშინ

  რისხვამ აიტანა მისი ბრწყინვალება და ბრძანა:

- თოფი! - მიართვეს თოფი და იმავ წამს მოცელილივით დაეცა სეიხატი. უებრო მსროლელი გახლდათ თავადი...

ეს ერთი. მეორე ის იყო, რომ თავადი ხარუნაგა დიდი ხანია, რაც გულისყურით აკვირდებოდა სანემონს. ერთხელ მოხდა ასეთი ამბავი: მოჯანყეთა დაშოშმინებისას თავში დაჭრეს სანემონი და კიდევ ერთი სამურაი. ეს სამურაი წარბებს შუა იყო დაჭრილი, სანემონს კი მარცხენა საფეთქლის ცისფერი ძარღვი შესიებოდა. ხარუნაგამ მოიხმო ორთავენი და გაკვირვებით იკითხა:

- სასწაული არაა? - მერე: - გტკივათ? - რაზეც იმ სამურაიმ მიუგო:

-

- სულაც არ მტკივა. ბედზე გადავრჩი! ხოლო სანემონმა პირქუში სახით ჩაიბურტყუნა: არ მტკივაო? მხოლოდ მკვდარს თუ არ ეტკინება ასეთი ჭრილობა.

მას შემდეგ დარწმუნდა ხარუნავა, რომ სანემონი პატიოსანი და გულმართალი კაცი იყო, სიცრუე არ ამოვიდოდა მისი პირიდან. „სხვისა რა მოგახსენოთ, ამ კაცს კი ვენდობი“, - გაიფიქრა მაშინ თავადმა.

ასეთი კაცი იყო ხარუნაგა, კაგას მფლობელი. ამიტომაც ასე გადაწყვიტა: მოულოდნელი მკვლელობის გამოსაკვლევად პირადად დაეკითხა სანემონი.

თავადთან ხლების ბრძანება რომ მიიღო, გულჩათხრობილი წარდგა მის წინაშე სანემონი. გარნა დამნაშავე და მონანიე კაცის სახე არ ჰქონდა. დაძაგროდა ხმელი პირისახე, მღელვარებისგან გაქვავებოდა, რაღაც შინაგან შეუპოვრობას შეეპყრო.

- ამბობენ, კაძუმა მოულოდნელად დაგცემია თავს, სანემონ, - უქარაგმოდ დაიწყო თავადმა. - ალბათ გმტრობდა. რას გერჩოდა?

- მტრობის საბაბი ვერ გამიხსენებია.

მცირე ხანს დააყოვნა ხარუნაგამ და ისე ჰკითხა, თითქოს ცდილობდა კარგად მიეხვედრებინა სანემონისთვის შეკითხვის აზრი:

- კარგად გაიხსენე, იქნებ მიგიძღვოდა რაიმე ბრალი?

- არ მახსენდება... თუმცა კი მაქვს ერთი ვარაუდი... შესაძლოა ერთი რამის გამო გამინაწყენდა...

- მაინც რის გამო?

- ოთხი დღის უკან მოხდა ეს შემთხვევა. ფარიკაობის სკოლაში ყოველწლიური ასპარეზობა იყო გამართული. თქვენი ბრწყინვალების მასწავლებლის, იამამოტი კოძაემონის ნაცვლად მე დამადგინეს მსჯავრად. თუმცა მე ყოველთვის წვრთნადაუმთავრებელი სამურაების ორთაბრძოლას ვმსაჯობდი ხოლმე. კაძუმასც მე დამევალა ამჯერად.

- ვინ იყო მისი მეტოქე?

- სამურაი, სახელად ტამონი, თქვენი ბრწყინვალების ვასალის, ხირატა კიდაის ვაჟიშვილი და მემკვიდრე.

- და კაძუმა დამარცხდა ორთაბრძოლაში?

- დამარცხდა, თქვენო ბრწყინვალებავ. ორგზის შეეხო ტამონი კაძუმას მაჯას და ერთხელ თავს მისას. ამან კი ვერც ერთხელ ვერ უჩხვლიტა მოწინააღმდეგეს. სამივე წრეში სასტიკი მარცხი იწვნია კაძუმამ. მსაჯზე თუ დაიბოღმა, ჩემზე მოგახსენებთ, თქვენო ბრწყინვალებავ.

- ხომ არ იფიქრა კაძუმამ, მიკერძოებით სჯიდაო მსაჯი? ამას ვარაუდობ?

-

- ასე ვვარაუდობ, თქვენო ბრწყინვალებავ. მაგრამ მე არასოდეს მჩვევია ასეთი რამ. არც რაიმე საბაბი მქონია ოდესმე, ვინმესთვის მიმენიჭებინოს უპირატესობა. მაინც ვფიქრობ, რომ კაძუმა დაეჭვდა ჩემს სამართლიანობაში.

მანამდე ხომ არ წალაპარაკებიხართ ერთმანეთს? ცილობა ხომ არ ჩამოვარდნილა თქვენ შორის? აბა, გაიხსენე?

- არა, არასდროს შევცილებივართ ერთმანეთს ოღონდ... - აქ ენა დაება სანემონს, ყოყმანისგან როდი; ჩანდა უზუსტეს სიტყვებს ეძებდა. რათა უკეთესად გამოეთქვა აზრი. - ოღონდ ერთხელ... ასპარეზობის წინადღით კაძუმამ ჩემდა მოულოდნელად პატიება მთხოვა, უკმეხად მოგექეციო

ამას წინათ. მე ვერაფერი გავიხსენე და ვკითხე, რას გულისხმობ-მეთქი. კაძუმას არაფერი უპასუხნია; ერთი კი გაიღიმა დარცხვენილმა. მაშინ ვუთხარი, არაფერში არ გადანაშაულებ, არაფერი მაქვს საპატიებელი მეთქი. მე მომეჩვენა, რომ დამიჯერა კაძუმამ, რაკი უკვე მშვიდად ჩაილაპარაკა, „მომჩვენებია... გთხოვ, გულიდან გადაიგდო ეს საუბარი...“ ახლა კი მაგონდება, რომ ამის თქმისას კვლავ გაეღიმა კაძუმას, მაგრამ მორცხვად როდი, რაღაც ავი ნაპერწკალი გაუკრთა თვალებში...

- მაინც რას გულისხმობდა?

- ვერაფერს მივმხვდარვარ. რაღაც უმნიშვნელო რამ კი უნდა ყოფილიყო... ეს არის და ეს. სხვა რამ ცილობა ჩვენ არ გვქონია... ერთხანს ორთავენი დუმდნენ.

- რა ზნის კაცი იო კაძუმა? ეჭვიანობა ხომ არ შეგიმჩნევია მისთვის?

- არა, არ შემიმჩნევია... კეთილი ზნისა იყო, გულგაშლილი... გრძნობების გამომჟღავნებისა არა რცხვენოდა. ფიცხი კი იყო... - დადუმდა ამ სიტყვებზე სანემონი.

მერე ამოხვნეშით ჩაილაპარაკა: - ეს კია, რომ... ტამონთან ორთაბრძოლა მისთვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო.

- ძალზე მნიშვნელოვანი? რატომ?

- კაძუმას გავლილი ჰქონდა წინასწარი გამოცდები. ამ ბოლოს რომ გაემარჯვა, მისი წვრთნა დასრულებულად ჩაითვლებოდა. თუმცა ტამონსაც ასე ჰქონდა საქმე. ორთავენი - ტამონიცა და კაძუმაც - ჭაბუკ სამურაებს შორის ყველაზე ნიჭიერი მოფარიკავეები იყვნენ.

ხარუნაგა ფიქრს მიეც ანაზდად, თითქოს რაღაც ახალი აზრი გაუჩნდაო. იმ საბედისწერო ღამის გამო გამოკითხვა დაუწყო ვასალს.

- ნამდვილად გიდარაჯებდა საჯირითო მოედანთან კაძუმა?

- ასე გამოდის. იმ სუსხიან საღამოს მარტომ ჩავუარე მოედანს. მოსასხამი არ მქონდა თან და ქოლგის გაშლა მომიხდა. ანაზდად გაძლიერდა ქარი, თოვლმა ირიბად იწყო

-
ცვენა და მეც მარცხნივ გადავხარე ქოლგა. სწორედ ამ დროს დამეცა კაძუმა და ამიტომაც ამცდა მისი მახვილი. მხოლოდ ქოლგას მოხვდა და გაფატრა.

- ისე მოგიქნია მახვილი, რომ არც კი შეგეხმიანა?

- ასე გამოდის.

- იცანი? რა იფიქრე?

გაფიქრებაც ვერ მოვასწარი. მეყსეულად მარცხნივ ვუგანე და იმავ წამს გამიმეორა დარტყმა. ერთ მტკაველზე გამიფატრა ხალათის სახელო. კვლავ განზე გავხტი, მახვილი ვიშიშვლე და ვაძგერე. მკერდი გამიფატრავს მისთვის. რაღაც წამოიყვირა...

- მაინც რა?

- არ მახსოვს. ისე, უბრალოდ წამოიყვირა, რაღაც გამძვინვარებულმა... მაშინღა მივხვდი, კაძუმა რომ იყო.

- შენ ამბობ, ხმაზე ვიცანიო?

- არა, მაგას არ ვამბობ!

- მაშ, როგორღა მიხვდი, კაძუმა რომ იყო?

დუმდა სანემონი, არაფერი უპასუხნია თავადისთვის. მაშინ ხარუნაგამ მეტი დაჟინებით განუმეორა კითხვა. მაგრამ სანემონი კვლავ დუმდა, თავი დაეხარა და თავის ხამლებს ჩაშტერებოდა: ჰგავდა, არც კი აპირებდა ხმის ამოღებას.

- აბა, სანემონ! - ერთბაშად გადასხვაფერდა თავადი, მრისხანე და დიდებული იერი მიეცა. მსგავსი წამიერი ფერისცვალებანი სჩვეოდა ხარუნაგას. თავი არც აუწევია. ისე განახვნა სანემონმა ჯიუტად მოკუმული ბაგენი. მაგრამ მისთა ბაგეთაგან აღმომხდარი სიტყვები პირდაპირი პასუხი არ იყო პატრონის შეკითხვაზე. ხარუნაგას გასაოცრად, ეს იყო დანაშაულის თვინიერი აღიარება.

- დიახ, მძიმე ბრალი მაწევს, ტყუილუბრალოდ დავღუპე სამურაი, თქვენი ბრწყინვალების ძვირფას სამსახურში მდგარი.

მოიღრუბლა პატრონი. მიუმხვდარობა ეწერა სახეზე, მაგრამ მზერა, სანემონისკენ მიმართული, კვლავ მრისხანე და დიდებული იყო.

- სრული უფლება ჰქონდა კაძუმას ვძულებოდი, - განაგრძო ყმამ, - უსამართლოდ ვსჯიდი მათ ორთაბრძოლას. კიდევ უფრო მოიღრუბლა ხარუნაგა.

- წეღან პირუთვნელობა ახსენე შენი. ირწმუნებოდი, ფიქრადაც არ მომსვლია, ვინმესთვის უპირატესობა მიმენიჭებინაო.

- მერწმუნეთ. მართალი ვთქვი წეღან. მზადა ვარ იგივე გავიმეორო... - დიდის ძალისხმევით არჩევდა სიტყვებს სანემონი, თითქოს მთელი გულისნადების გაცხადება სურსო. - აი, სად იყო უსამართლობა: მე მართლაც არ მქონია განზრახული

-

ხელი შემეწყო ტამონის გამარჯვებისა და კაძუმას დამარცხებისათვის. ჭეშმარიტად ასეა ეს, როგორც წელან მოვახსენე თქვენს ბრწყინვალებას. მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს, ეს ჯერ კიდევ არაა იმის დასტური, თითქოს მე პირუთვნელად მოვიქეცი. მე შეგნებულად მეტ იმედებს ვამყარებდი კაძუმაზე. ტამონის ხელოვნება მანკიერია, მხოლოდ და მხოლოდ გამარჯვებისაკენ მიისწრაფვის, ოღონდ გაიმარჯვოს, არაფერს არ დაგიდევს, სიმდაბლისაც არ შერცხვება. კაძუმა სხვაა - მისი ხელოვნება ამაღლებულია, კეთილშობილური. იგი ჭეშმარიტი ხელოვანია, ალალმართალი და

პირდაპირი, მუდამ რომ მზადაა პირისპირ შეხვდეს მოწინააღმდეგეს. იმასაც კი ვფიქრობდი, რომ ორი-სამი წლის შემდეგ ტამონი აღარ ივარგებდა კაძუმას მეტოქედ...

- მაშ, რად მიუსაჯე დამარცხება კაძუმას?

- საქმეც ეგაა... სიმართლე გითხრათ, მე კაძუმას გამარჯვება მწადდა და არა ტამონისა. მაგრამ მე

არ მავიწყდებოდა, რომ მსაჯი ვიყავ, ხოლო მსაჯმა გულიდან უნდა გადაიგდოს პირადი თანაგრძნობანი. როცა მარაომომარჯვებული დგახარ მოასპარეზეთა შორის, მხოლოდ ზეციურ კანონებს უნდა მისდევდე და არა გულისთქმას. ასეთია ჩემი რწმენა. ამიტომაც იმ ორთაბრძოლის დროს მარტოოდენ უზენაეს სამართალზე ვფიქრობდი. ოღონდ, წეღანაც მოგახსენებდით, გულის სიღრმეში მაინც მწადდა კაძუმას გამარჯვება. გულისხმიერი სასწორი მის სასარგებლოდ დაიწონა. და მოხდა ისე, რომ პინების გასაწონასწორებლად ტამონის პინაში ერთი მცირე საწონი ჩავაგდე... გვიანღა მივხვდი, ზედმეტი რომ მომივიდა; ძალზე ლმობიერად მოვექეც ტამონს, ხოლო კაძუმას მიმართ მეტისმეტი სისასტიკე გამოვიჩინე. სანემონი კვლავ დადუმდა. თავადიც დუმდა ამბის მოლოდინში.

- აი, დგანან ერთმანეთის პირისპირ, დაძაბულან, თვალს არ აშორებენ ერთურთის ხმლის წვერს. არც ერთი არ იწყებს ბრძოლას... უცებ წამი მოიხელთა ტამონმა და შეეცადა ხმლის წვერით შეხებოდა კაძუმას თავს. კაძუმამ ბრწყინვალედ მოიგერია დარტყმა, საბრძოლო ყიჟინა დასცა და იმავ წამს მაჯაში მოახვედრა ტამონს ხმალი. სწორედ ამ წუთიდან ვიწყე უსამართლო სჯა. მე, რა თქმა უნდა, გამარჯვებად ჩავთვალე კაძუმას დარტყმა. მაგრამ გულში გავივლე თუ არა, „მარჯი-მეთქი“, - მაშინვე ეჭვმა გამკრა, „მეტისმეტად სუსტი ხომ არ იყო-მეთქი დარტყმა?“... ამ ყოყმანმა შეარყია ჩემი სიმტკიცე: და მე არ აღვმართე მარაო კაძუმას თავზე, თუმცა ამგვარად კი

უნდა მოვქცეულიყავ. მოწინააღმდეგენი ერთხანს კვლავ გაუნძრევლად იდგნენ ერთმანეთის პირისპირ და ზვერავდნენ ერთურთს. ამჯერად დაძუმა გახტა წინ, ტამონის მაჯა ამოიღო მიზანში. მაგრამ ტამონმა მოიგერია დარტყმა, იერიშზე გადავიდა მეყსეულად და კაძუმას ხელს შეახო ხმლის წვერი. ეს დარტყმა უფრო სუსტი, გაცილებით სუსტი იყო, ვიდრე წეღანდელი, კაძუმასეული. ყოველ შემთხვევაში უფრო მარჯვე დარტყმად ვერ ჩაითვლებოდა ტამონისეული დარტყმა... მაგრამ მე იმავ წამს აღვმართე მარაო ტამონის თავზე. ამრიგად, პირველ შეტაკებაში გამარჯვება ტამონს ხვდა წილად. „ეს რა ჩავიდინე-მეთქი“,-– გამიელვა თავში შიშნეულმა ფიქრმა, მაგრამ მაშინვე რაღაც სხვა ხმამაც ჩამჩურჩულა: „არა, მსაჯი არ შეცდებოდა. და თუ ახლა მეჩვენება, რომ შეცდომა დავუშვი, ეს მხოლოდ იმის გამოა, რომ ზედმეტად ვწყალობ კაძუმას...“

- შემდეგ რა მოხდა? - წყენანარევი ხმით იკითხა ხარუნაგამ, რაკი სანემონი კვლავ დადუმდა.

- მეტოქენი კვალვ ერთმანეთის პირდაპირ დადგნენ. შეტაკება ამჯერად დიდხანს გაგრძელდა. ანაზდეულად ხმალი გადაუჯვარედინა ტამონს კაძუმამ და ყელში მოარტყა ხმლის წვერი. ეს იყო ელვისებური დარტყმა, ძლიერი და სუსტი.

- მაგრამ წამსაც არ გაუვლია, რომ ახლა კაძუმას თავს შეეხო ტამონის ხმალი. მე მათ შორის

აღვმართე მარაო, რათა ფრე გამომეცხადებინა. მაგრამ, ვინ იცის, იქნებ არც კი ვიყავ სწორი... ალბათ გამიძნელდა გამოცნობა, ვინ სჩხვერა პირველმა... თუმცა არა, ყელს უფრო ადრე მომიხვდა ხმალი, ვიდრე მეორე ხმალი თავს მოხვდებოდა. ასე მომივიდა, რა ვქნა. ფრეს გამოცხადების შემდეგ მეტოქენი მესამეგზის შეემზადნენ შესარკინებლად, კვლავ დადგნენ წესისამებრ და ზვერავდნენ ერთმანეთს. ახლაც პირველმა კაძუმამ დაიწყო ბრძოლა, ამჯერადაც მიზანში მოწინააღმდეგის ყელი ამოიღო. წინ გახტა, მაგრამ ძალზე მაღლა მოუვიდა ხმლის აწევა და ტამონს შეეძლო მისწვდენოდა მის მკერდს... ამის შემდეგ კიდევ ათი წუთი მძვინვარებდა ორთაბრძოლა. საბოლოოდ ტამონის ხმალი მისწვდა კაძუმას თავს...

- როგორი იყო დარტყმა?

- ბრწყინვალე და უზუსტესი. ახლა კი ყველა ცხადად დაინახავდა ტამონის უპირატესობას. ამ ხელმოცარვამ გააცოფა კაძუმა. ასერიგად აღელვებულს რომ ვხედავდი, კიდევ უფრო მომინდა მისი გამარჯვება. მომინდა და კიდევ უფრო მომეძალა ყოყმანი: ვერა და ვერ გავბედე, კაძუმას თავზევით ამეწია მარაო. მეტოქენი კვლავ შეებნენ ერთმანეთს და უცებ კაძუმა - ვერც კი მივხვდი რას ეპირებოდა - შეეცადა ახლოს მიდგომოდა ტამონს. ვერ მივხვდი-მეთქი, იმიტომ მოგახსენებთ, რომ კაძუმა ჩვეულებრივ არ იყენებდა ახლოდგომის ილეთს. სუნთქვა შემეკრა. მოსახდენი მოხდა: ტამონმა მკერდი გამოაჩინა და იმავ წამს მისი ხმლის წვერი ელვის

სისწრაფით შეეხო კაძუმას თავს... მესამედ მომიხდა მარაოს აწევა ტამონის თავზე... აი, სად ვუღალატე პირუთვნელობას, შესაძლოა ერთადერთი ზედმეტი ბუმბული დავაწონე ჩემი სულის სასწორის პინას... და ესეც საკმარისი გახდა, რომ წონასწორობა დარღვეულიყო: კაძუმამ წააგო მისთვის ეგზომ მნიშვნელოვანი ორთაბრძოლა. ამიტომაც მეჩვენება ახლა, რომ იგი სამართლიანად გაწყრა ჩემზე...

- ამან ხომ არ მიგახვედრა, რომ იმღამინდელი თავმდამსხმელი კაძუმა იყო?

- დარწმუნებული არ ვარ, თქვენო ბრწყინვალებავ, მაგრამ ახლა, როცა ყველაფერს ვიხსენებ, თანდათან ვრწმუნდები, რომ დანაშაულის გრძნობა ბუდობდა ჩემში, სადღაც, სულის ფსკერზე... სწორედ დანაშაულის გრძნობამ მიმახვედრა, რომ კაძუმა იყო, ვინც თავს დამესხა.

- ნანობ, რომ შემოგაკვდა?

- ვნანობ, თქვენო ბრწყინვალებავ. რაც მთავარია, ჩემი თავისთვის ვერ მიპატიებია, რომ ასე სასტიკად მოვუსპე სიცოცხლე სამურაის, თქვენი ბრწყინვალების მოყმეს... -

სიტყვა გაწყვიტა სანემონმა და ჩაჰკიდა ბრალეული თავი. დეკემბრის სუსხის მიუხედავად, ოფლს მოეცვარა მისი შუბლი. თავადმა ხარუნაგამ კი, რომელიც ამასობაში კარგ გუნებაზე დამდგარიყო, რამდენჯერმე დაუქნია თავი, თითქოს საკუთარ აზრებს დასცაო დასტური.

- კეთილი... კეთილი... გატყობ, რა ცეცხლი გიკიდია. იქნებ არც კი მოიქეცი კარგად. მაგრამ რას იზამ, საშველი არ არის... ამიერიდან კი ეცადე, რომ, - შუაზე გაწყვიტა უცებ სათქმელი ხარუნაგამ და სწრაფიმზერა ესროლა ყმას. - როცა მახვილი ჩაეცი, ხომ იცოდი უკვე, რომ შენ წინაშე კაძუმა იყო? რატომ მოჰკალ?

პასუხად ჯიქურ ასწია თავი სანემონმა. მისი თვალები, ალმასებივით რომ კიაფოდნენ შავგვრემან სახეზე, წინანდელი შეუდრკელობით ენთნენ.

- მოვალე ვიყავ, მომეკლა! სანემონი თქვენი ბრწყინვალების მსახურია. ამას გარდა სამურაიც ხომ გახლავთ იგი. რაც უნდა მებრალებოდეს ახლა კაძუმა, ავაზაკს ვერ შევიბრალებდი! დეკემბერი***, 1923*** ***წ.***

თარგმნა ზურაბ კიკნაძემ

დიალოგი წყვდიადში

ხმა. სულ სხვა კაცი აღმოჩნდი, ვიდრე მეგონე. მე.

მაგაზე მე არ ვაგებ პასუხს.

ხმა. განა შენ თვითონ არ ამიბნიე თავგზა?

მე. არა. მე არასოდეს მიცდუნებიხარ.

ხმა. თითქოს მშვენიერებაც გიყვარდა. თუ მომაჩვენე, რომ გიყვარდა?

მე. დიახ. მე მიყვარს მშვენიერება. ხმა. რაო? მშვენიერებაო? თუ

ქალი? მე. ერთიც და მეორეც.

ხმა. (ცივი ირონიით). განა ეს ურთიერთსაწინააღმდეგოდ არ მიგაჩნია?

მე. ნეტა თუ ვინმეს მიაჩნია?! ქალის მოთაყვანეს იქნებ სულაც არ მოსწონდეს ძველებური ფაიფური, მაგრამ ეგ მხოლოდ იმიტომ, რომ ვერა გრძნობს მთელ ხიბლს ძველებური ფაიფურისას.

ხმა. ესთეტმა ამ ორში ერთ-ერთი უნდა აირჩიოს.

მე. სამწუხაროდ მე ნდომასაყოლილი კაცი უფრო ვარ ბუნებით, ვიდრე ესთეტი. თუმცა, მომავალში, ვინ იცის, შეიძლება ძველებური ფაიფური ვამჯობინო ქალს.

ხმა. თანმიმდევრულობა გკლებია.

მე. შეიძლება, მაგრამ თუ ასეა, მაშინ ინფლუენციით ავადმყოფი, ცივი ტილოებით რომ სისტემატურად იზელს ტანს, ყველაზე თანმიმდევრული კაცი ყოფილა.

ხმა. თავს ნუ იკატუნებ. თითქოს ძლიერი იყო. სუსტი ხარ შინაგანად! და აგრე იმიტომ ლაპარაკობ, რომ საზოგადოების შემოტევები თავიდან აიცილო.

მე. რაღა თქმა უნდა, მაგის დავიწყება არ ძალმიძს. თუ თავდასხმები არ ავიცილე, ბოლო-ბოლო გავისრისები და ეგ იქნება.

ხმა. ო, რა უსირცხვილო ხარ!

მე. სულაც არა ვარ უსირცხვილო. პირიქით, უმნიშვნელო მიზეზიც კი ისე გამიცივებს ხოლმე გულს, თითქო ყინულს შევხებოდე.

ხმა. მაშ, საკუთარი თავი ძალ-ღონით სავსე კაცად მიგაჩნია?

მე. რა თქმა უნდა. მაგრამ ყველაზე ძლიერი მაინც არა ვარ. ყველაზე ძლიერი რომ ვყოფილიყავ, ალბათ მთლად გავკერპდებოდი იმ კაცის მსგავსად, სახელად გოეთე რომ ერქვა. ხმა. წმინდა იყო სიყვარული გოეთესი.

მე. ეგ სიცრუეა. ლიტერატურისისტორიკოსების მიერ მოჭორილი სიცრუე. ოცდათხუთმეტი წლის გოეთე უეცრად იტალიაში გაიქცა. დიახ, ეს სხვა არა იყო რა,

გარდა გაქცევისა. და ეგ საიდუმლო, გოეთეს გარდა, მადამ შტაინმა[212] იცოდა მხოლოდ.

ხმა. შენი ნათქვამი თავდაცვისათვის გამიზნულსა ჰგავს. თავდაცვაზე იოლი კი არაფერია.

მე. თავდაცვა არც ისე ადვილი საქმეა. ადვილი რომ იყოს, აღარც ვექილის პროფესია

იარსებებდა.

ხმა. ცბიერო ყბედო! იქნებ გგონია ვინმეს მოუნდეს შენთან ურთიერთობა?!

მე. არც მაგას ვინაღვლებ. სამაგიეროდ, ურთიერთობა მაქვს ხეებთან და ნაკადულებთან, სულს რომ სიხარულით მიჩქროლებენ. სამასიოდე წიგნიცა მაქვს. ჩემთვის ძვირფასი, იაპონური და ჩინური, დასავლური და აღმოსავლური.

ხმა. იცოდე, მკითხველები სამუდამოდ შეგაქცევენ ზურგს.

მე. სამაგიეროდ, მომავალში დამაფასებენ.

ხმა. მომავლის მკითხველები სადღეისო პურს თუ გაჭმევენ ნეტა?

მე. არც დღევანდელი მკითხველები მავსებენ ოქროთი. ჩემი უმაღლესი ჰონორარი გვერდში ათი იენია[213].

ხმა. თითქოს რაღაც ქონებაც გებადა?

მე. მთელი ჩემი ქონება[214] კატის შუბლისოდენა ნაკვეთია ჰონძიოში. ხოლო ჩემს თვიურ შემოსავალს, ყველაზე იღბლიან დროსაც, კი, არ გადაუჭარბებია სამასი იენისათვის.

ხმა. სახლი რომ გაქვს კიდევ? აგრეთვე, ქრესტომათია ახალი ლიტერატურისა[215]...

მე. იმ სახლმა სისხლი გამიშრო. ქრესტომათიის შემოსავალი კი შენთვის დამითმია. ოთხასი თუ ხუთასი იენი მომიტანია სულ, ეგ იყო და ეგ.

ხმა. განა თვითონვე არ შეადგინე ის ქრესტომათია? სხვა რომ არა, ეგეც გეყოფოდა

სირცხვილად და თავის მოჭრად. მე. ვითომ და რატომ? ხმა. იმიტომ, რომ

განათლების მუშაკებს მიეტმასნე.

მე. სიცრუეა! პირიქით, განათლების მუშაკები მოგვეკედლნენ ჩვენ. მე მხოლოდ მათი

გასაკეთებელი საქმე ვიტვირთე. ხმა. არ დაგავიწყდეს, რომ მაინც ნაცუმე-სენსეის

მოწაფე ხარ.

მე. ცხადია, ნაცუმე-სენსეის მოწაფე ვარ. შენ ალბათ იმ სოსეკი-სენსეის გულისხმობ, მწერალი რომ იყო, მაგრამ ნაღდად არ გეცოდინება მეორე, სხვაგვარი ნაცუმე-სენსეი, გენიალური, შეშლილს რომ ჰგავდა.

ხმა.

შენ იდეებიარ გაგაჩნია. და თუ ზოგჯერ მაინც გაგიჩნდება, ისიც ურთიერთსაწინააღმდეგო იქნება.

მე. ეგ მხოლოდ ჩემს წინსვლაზე მეტყველებს. იდიოტი თუ იქნება ბოლომდე დარწმუნებული, რომ მზე კასრზე მცირეა ზომით. ხმა. ეგ ქედმაღლობა იქნება, სულს რომ ამოგხდის.

მე. ზოგჯერ ასე ვფიქრობ: იქნებ არა ვარ იმათთაგანი, ვისაც საკუთარ საწოლში უწერია სიკვდილი?

ხმა. ეტყობა არ გეშინია სიკვდილისა? ჰა?

მე. მეშინია, მაგრამ არ მიმძიმს. ჩემივე ნებით არაერთხელ გამიყრია ყულფში თავი. და ოციოდე

წამის ტანჯვის შემდგომ, ასე გასინჯე, რაღაც სასიამოვნო განცდაც კი მეუფლებოდა ხოლმე. მე უყოყმანოდ შემიძლია მოვკვდე არა მარტო მაშინ, როცა სიკვდილს თვალებში ჩავცქერი, არამედ მაშინაც, როცა რაიმე უსიამოვნო შემემთხვევა.

ხმა. თუ ეგრეა, რატომ არ კვდები? განა არ იცი, რომ კანონით დამნაშავედ ითვლები?

მე. გეთანხმები. დამნაშავე ვარ ისევე, როგორც ვერლენი, ვაგნერი, ანდა დიდებული სტრინდბერგი. ხმა. მაგრამ შენ სულ არ ცდილობ საკუთარ ცოდვათა გამოსყიდვას. მე. არ არსებობს ტანჯვაზე დიდი გამოსასყიდი.

ხმა. გამოუსწორებელი არამზადა ხარ!

მე. თუ სიმართლე გინდა, ქველმოქმედი უფრო მეთქმის. არამზადა განა ასე გაიწამებდა თავს? ვისარგებლებდი ქალების სიყვარულით და ფულს დავცინცლავდი მათ. ხმა. მაშინ იდიოტი ყოფილხარ.

მე. ჰო. რაღა დაგიმალო, ვარ. „შლეგის აღსარება“ ჩემთვის სულიერად ძალზე ახლობელმა იდიოტმა დაწერა.

ხმა. თანაც, სულ არ გცოდნია ცხოვრება.

მე. ცხოვრების ცოდნა რომ უმთავრესი იყოს, საქმოსნები ყველაზე საპატიო ადგილზე წამოსხდებოდნენ.

ხმა. შენ თითქოს გეზიზღებოდა სიყვარული. ახლა ვხედავ, თურმე სიყვარულს აღმერთებდი მხოლოდ. მე. არა, სულაც არ ვაღმერთებ სიყვარულს. მე პოეტი ვარ, შემოქმედი.

ხმა. ჰო, მაგრამ განა სიყვარულის გულისათვის არ მიატოვე დედა და მამა, ცოლი და შვილები? მე. ტყუი! მე ისინი მხოლოდ ჩემივე გულისათვის მივატოვე.

მაშასადამე, ეგოისტი ყოფილხარ.

ხმა.

მე. სამწუხაროდ, არა. მინდოდა კი, ვყოფილიყავი. ხმა. თანამედროვე „ეგოს“ კულტითა ხარ მოწამლული. მე. ამიტომაცა ვარ თანამედროვე ადამიანი. ხმა. მაგრამ დღევანდელი ადამიანი ვერ შეედრება გარდასული დროისას. მე. ოდესღაც გარდასული ხანის ადამიანებიც თანამედროვენი იყვნენ.

ხმა. არ გეცოდება საკუთარი ცოლ-შვილი?

მე. განა ვინმე მოიძებნება, ვისაც ცოლ-შვილი არ ეცოდება? წაიკითხე გოგენის წერილები[216]. ხმა. გამოდის, რომ ყველაფერს ამართლებ, რაც ჩაგიდენია. მე. ყველაფერს რომ ვამართლებდე, კამათსაც არ დაგიწყებდი.

ხმა. მაშ, თავის მართლებას არ მოჰყვები? მე. მე ვურიგდები საკუთარ ხვედრს! ხმა. ჰო, მაგრამ პასუხისმგებლობას რაღას უპირებ?

მე. ერთ მეოთხედზე ჩემმა წარმომავლობამ აგოს პასუხი, მეორე მეოთხედზე - გარემო პირობებმა, მესამე მეოთხედზე - შემთხვევითობამ, ჩემდა წილად პასუხისმგებლობის ერთი მეოთხედიღა რჩება. ხმა. რა წვრილმანი ადამიანი ხარ! მე. ყველა ჩემსავით წვრილმანია.

ხმა. სატანისტი ყოფილხარ.

მე. სამწუხაროდ, არა ვარ სატანისტი. განსაკუთრებულ ზიზღსაც მგვრიდა უსაფრთხოების ზონაში მოქცეული სატანისტები. ხმა. (ერთ ხანს ჩუმადაა.) აშკარაა, რომ იტანჯები. ამაში მაინც გამოტყდი.

მე. ნუ აჭარბებ! ვინ იცის, იქნებ მეამაყებოდეს კიდეც ჩემი ტანჯვა. ეგეც არ იყოს, ძლიერებს არ ეშინიათ, რომ დაკარგავენ იმას, რაც მიიღეს. ხმა. შეიძლება პატიოსანი იყო. მაგრამ ვაი, თუ მასხარა ხარ და მეტი არაფერი. მე. მაგას მეც ვფიქრობ: ვინა ვარ, ბოლოს და ბოლოს? ხმა. შენ ყოველთვის გწამდა, რომ რეალისტი ხარ. მე. ჰოი, იმდენად იდეალისტი ვიყავი, რომ მწამდა. ხმა. იცოდე, დაიღუპები. მე. შესაძლოა. მაგრამ რამაც მე შემქმნა, შექმნის მეორე „მეს“.

ჰოდა, რაკიაგრეა, იტანჯე. მე ხელი დამიბანია.

მე. მოიცა! ჯერ ეს მითხარი, უხილველო და მოუხელთებელო, რომ არ მასვენებ იდუმალ ხმებით, ვინა ხარ შენ?

ხმა.

ხმა. მე? ის ანგელოზი ვარ, იაკობს რომ ებრძოდა ქვეყნიერების გარიჟრაჟზე.[217]

II

ხმა. შენ ვაჟკაცი ხარ გასაოცარი.

მე. არა, მე არ გამაჩნია ვაჟკაცობა. გულადი რომ ვიყო, ჩემივე ნებით კი არ ჩავუვარდებოდი ლომს ხახაში, მოვუცდიდი, როდის გადამსანსლავდა თვითონ.

ხმა. მაგრამ შენს საქციელში რაღაც ადამიანური მაინც არის.

მე. რაღაც ადამიანური ამავე დროს მხეცურიცაა.

ხმა. შენ საუბრო არაფერი ჩაგიდენია. მხოლოდ ეგაა, იტანჯები ამჟამინდელი საზოგადოებრივი წყობილების გამოისობით.

მე. საზოგადოებრივი წყობა კიდევაც რომ გამოიცვალოს, ჩემი საქციელი მაინც გააუბედურებდა ვინმეს.

ხმა. მაგრამ თავს მაინც არ იკლავ. ეტყობა, მართლაც გაგაჩნია ერთგვარი ძალა.

მე. არაერთხელ დავაპირე თავის მოკვლა. მინდოდა ჩემს სიკვდილს ბუნებრივი ელფერი ჰქონოდა და ამიტომ, ყოველდღიურად ათ-ათ ბუზს ვჭამდი. ბუზების გადაყლაპვა, თუ მათ წინასწარ დაანამცეცებ, იოლია, მაგრა მათი ღეჭვა საზიზღრობაა.

ხმა. სამაგიეროდ, შენ დიდების გვირგვინს დაიდგამ.

მე. ჩირადაც არ მიღირს დიდება. აი, სულის სიმშვიდე კი ნამდვილად მენატრება. წაიკითხე ვაგნერის წერილები. იგი წერს, საყვარელ ქალთან და ორ-სამ ბავშვთან ერთად ცხოვრებისათვის, სამყოფი ფული რომ მქონოდეს, დიდად კმაყოფილი ვიქნებოდი იმ ხელოვნების გარეშეც, რომელსაც ვქმნიო. ასე ფიქრობს ვაგნერი, ისეთი აშკარა ინდივიდუალისტიც კი, როგორიც ის გახლდათ.

ხმა. ვხედავ, მართლა იტანჯები, არც სინდისგარეცხილი კაცი

ჩანხარ. მე. მე არ გამაჩნია სინდისი. მე ნერვები მაქვს მხოლოდ. ხმა.

შენი ოჯახური ცხოვრება ვერ წარიმართა ბედნიერად. მე.

მიუხედავად ამისა, ცოლი ყოველთვის ერთგული იყო ჩემი.

ხმა. შენს ტრაგედიაში ცივმა გონებამ იმაზე მეტი წილი დაიდო, ვიდრე ამას სხვათა ცხოვრებაში ვხედავთ.

მე. ტყუი. ჩემს თავზე დატრიალებულ კომედიაში ცხოვრების ცოდნა იმაზე ნაკლები იყო, ვიდრე სხვა ადამიანებს ახასიათებთ.

ხმა. შენ პატიოსანი ხარ. სანამ რაიმე გახმაურდებოდა, თვითონვე ყველაფერში გამოუტყდი საყვარელი ქალის ქმარს.

მე. ეგეც ტყუილია. კრინტიც არ დამიძრავს, ვიდრემდის ძალა მყოფნიდა.

ხმა. შენ პოეტი ხარ, შემოქმედი. ამიტომ ყველაფერი გეპატიება.

მე. დიახ. მე პოეტი ვარ, შემოქმედი, მაგრამ წევრიცა ვარ საზოგადოებისა და განა გასაკვირია, რომ მეც ჩემს ჯვარს ვეზიდებოდე? თანაც იგი არც ისე მძიმეა.

ხმა. შენ გავიწყდება საკუთარი „მე“. პატივი ეცი შენს ინდივიდუალობას, და გეზიზღებოდეს სულმდაბალი ხალხი.

მე. რჩევის გარეშეც ვაფასებ საკუთარ ინდივიდუალობას, მაგრამ ხალხი სულაც არ მეზიზღება. ერთხელ ასე ვთქვი: „ძვირფასი ნივთი იოლად იმსხვრევა, კრამიტი კი არა“. შექსპირი, გოეთე, ტიკამაცუ მონძაემონი ოდესმე დავიწყებას მიეცემიან, მაგრამ მათი წარმომშობი წიაღი - ხალხი - უკვდავია. ყოველგვარი ხელოვნება, როგორც უნდა შეიცვალოს მისი ფორმა, ხალხის საშოში ისახება. ხმა. შენს ნაწერებს ორიგინალობის ბეჭედი აზის.

მე. არა, ჩემი ნაწერები არ გამოირჩევა ორიგინალობით. ან ვინაა ორიგინალური? ყოველივე იმას, რაც სხვადასხვა დროის ტალანტებმა შექმნეს, საკმაოდ დაეძებნება პროტოტიპები. ჰოდა, მეც არაერთხელ გამიქურდავს ვინმე. ხმა. მაგრამ შენ ხომ მოძღვრავ კიდეც სხვებს! მე. მე მხოლოდ შეუძლებელს ვქადაგებდი მუდამ.

ხმა. ნუ შეეჭვდები, რომ ზეკაცი ხარ.

მე. არა, მე არა ვარ ზეკაცი. და არც ვინმეა ზეკაცად დაგულვებული. ზეკაცი მხოლოდ ზარატუსტრა იყო, მაგრამ როგორი სიკვდილი ეწია ზარატუსტრას, ეგ თვით ნიცშემაც არ იცის. ხმა. შენც კი გეშინია საზოგადოებისა. მე. ნეტა თუ ვინმეს არ ეშინია?

ხმა. გაიხსენე უაილდი. სამი წელი რომ გაატარა ციხეში. იგი ამბობდა: „თავს მხოლოდ საზოგადოებისგან დამარცხებული კაცი იკლავს“.

მე. უაილდმა არაერთხელ განიზრახა თავის მოკვლა ციხეში და თუ არ მოიკლა, მხოლოდ იმიტომ, რომ ვერ მოახერხა. ხმა. დათრგუნე კეთილი და ბოროტი! მე. მე სწორედ ახლა მინდა სიკეთის მთესველი ვიყო. ხმა. ძალზე მარტივი ხარ. მე. არა ძალზე რთული. ხმა. მაგრამ შეგიძლია გულმშვიდად იყო, მკითხველი ყოველთვის გეყოლება. მე. კი, თუ საავტორო უფლება გაუქმდება.

ხამა. შენ ახლაც გტანჯავს სიყვარული.

მე. სიყვარულიო? ეგ საკენკი პირტიტველა ლიტერატორებს დაუყარე. მე მხოლოდ წავიბორძიკე სიყვარულზე. ხმა. სიყვარულზე წაბორძიკებისაგან არავინაა დაზღვეული. მე.ეგ მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ყველა შეიძლება იოლად აცდუნოს ფულმა.

ხმა. შენ გაკრული ხარ ცხოვრების ჯვარზე.

მე. ეგ სულაც არ მეამაყება. საყვარლის მკვლელი და სხვათა ფულის მიმტაცებელიც გაკრულნი არიან ცხოვრების ჯვარზე. ხმა. ცხოვრება არც ისე შავბნელია, როგორც შენ სახავ.

მე. ცნობილია, რომ ცხოვრება ყველასათვის შავბნელია, მხოლოდ „რჩეული უმცირესობაა“ გამონაკლისი. „რჩეულ უმცირესობას“ კი, სხვაგვარად, იდიოტებს და არამზადებს უწოდებენ.

ხმა. ჰოდა, იტანჯე, რამდენიც გენებოს. მიცანი? მე ის გახლავარ, რომელიც ვითომდა იმიტომ მოგევლინე, რომ სულის სიმშვიდეს გაზიარო მე. ქოფაკი ხარ შენ! ეშმა ხარ, ოდესღაც ფაუსტს ქოფაკის სახით რომ გამომეცხადა.

III

ხმა. რას საქმიანობ?

მე. ვწერ. ხმა.

რატომ წერ?

მე. მხოლოდ იმიტომ, რომ არ შემიძლია არ ვწერო.

ხმა. ჰოდა, წერე. წერე სიკვდილამდე. მე. თავისთავად ცხადია. სხვა რა

დამრჩენია. ხმა. მეტისმეტად მშვიდად გამოიყურები. მე. სულაც არა ვარ

მშვიდი. კარგად რომ მიცნობდე, გაიგებდი ჩემს წამებას.

ხმა. სად გაქრა ღიმილი შენი?

მე. ღმერთებს დაუბრუნდა ცაში. ცხოვრებას რომ ღიმილი აჩუქო, საჭიროა, მქონდეს ჯერ ერთი, გაწონასწორებული ხასიათი, მეორე - ფული, მესამე - უფრო ძლიერი ნერვები, ვიდრე მე მაქვს.

ხმა. მაგრამ შენ ახლა, მგონი, გულზე მოგეშვა.

მე. ჰო, გულზე მომეშვა, მაგრამ სამაგიეროდ შიშველი მხრებით მიჭირავს ტვირთი მთელი ცხოვრებისა.

ხმა. აღარაფერი დაგრჩენია გარდა იმისა, რომ შენს ჭკუაზე იცხოვრო. ანდა, შენს ჭკუაზე...

მე. ჰო, არაფერი დამრჩენია გარდა იმისა, რომ ჩემს ჭკუაზე მოვკვდე.

ხმა. და შენ ახალ ადამიანად გარდაიქმნები, სრულიად სხვა ადამიანად, ვიდრე იყავი.

მე. მე იგივე დავრჩები მარად. მხოლოდ პერანგს კი გამოვიცვლით ვითარცა გველი...

ხმა. შენ ყველაფერი იცი.

მე. არა, ყველაფერი როდი ვიცი, ის, რაც ვიცი, მხოლოდ ნაწილია ჩემი სულისა. ხოლო რაც არ ვიცი, იგი ჩემი სულის უდაბნოა, გადაშლილი უკიდეგანოდ. მე მეშინია მისი. სინათლეში ურჩხულები ვერ იბუდებენ, მაგრამ უსაზღვრო წყვდიადში მუდამ თვლემს რაღაც გამოუცნობი.

ხმა. ჩემი ბავშვი ხარ შენც.

მე. ვინა ხარ? წეღან რომ მეამბორე? თუმცა ჰო, გიცნობ.

ხმა. მაინც ვინა გგონივარ?

მე. შენ ისა ხარ, ვინც სამუდამოდ წამართვა სულის სიმშვიდე. ვინც შემუსრა სიხარული ჩემი.

მაგრამ მხოლოდ ჩემი? შენ ისა ბრძანდები, ვისი წყალობითაც დაგვეკარგა სულიერი წონასწორობის შეგრძნება, აგრე დაჟინებით რომ გვასწავლიდა ძველი ჩინელი ბრძენი.[218] ყველაფერს მისწვდა შენი მსახვრალი ხელი: ლიტერატურის ისტორიასაც, საგაზეთო სტატიასაც.

ხმა. მაინც რა სახელს დამარქმევდი?

მე. მე... არ ვიცი, რა გიწოდო. მაგრამ თუ სხვებსაც დაეჯერებათ, შენ ის ძალა ხარ, ჩვენ რომ დაგვჯაბნე. შენ დემონი ხარ, ჩვენი განმგებელი.

ხმა. შეგიძლია მოულოცო საკუთარ თავს. მე არავისთან დავდივარ სალაპარაკოდ.

მე. მე ძალიან ვეცდები ავირიდო შენთან შეხვედრა. იქ, სადაც შენ გამოჩნდები, იმღვრევა სიმშვიდე სულისა. შენ რენტგენის სხივებივით ყველაფერში აღწევ.

ხმა. ჰოდა, წინასწარ გაფრთხილდი.

მე. რაღა თქმა უნდა, ვიფრთხილებ. მაგრამ, როცა ხელთ კალამი მიპყრია...

ხმა. როცა ხელთ კალამი გექნება, მინატრებ, ნეტა მოვიდესო!

მე. ვინ? მე? მე ხომ ერთი წვრილფეხა მწერალი ვარ და მინდა დავრჩე წვრილფეხა მწერლად. უამისოდ ვერ მოვიპოვებ სულის სიმშვიდეს. მაგრამ კალამი თუ დავიჭირე ხელში, შეიძლება ძალაუნებურად ჩაგივარდე ტყვედ.

ხმა. ამიტომ ყურადღებით იყავი. იქნებ ყველა შენი სიტყვა საქმედ ვაქციო. აბა, მშვიდობით! იცოდე, მე კვლავ გინახულებ.

ხმა. (განმარტოებით) აკუტაგავა რიუნოსკე! აკუტაგავა რიუნოსკე! უფრო ღრმად ჩაეზარდე მიწას ფესვებით. შენ ლერწამი ხარ, ქარისაგან რხეული. იქნებ შენს თავზე მოგროვილი საავდრო ღრუბლები ოდესმე განიფანტოს კიდეც. ამიტომ მტკიცედ უნდა იდგე ფეხზე. შენივე თავისთვის! შენთა შვილთათვის! ნურც გაამპარტავნდები, ნურც დაიმცირებ თავს. და შენ აღსდგები. დეკემბერი, ***1926*** **წ.**

თარგმნა თეიმურაზ მაღლაფერიძემ

წყლის კაცების ქვეყანაში

ერთი ფსიქიატრიული საავადმყოფოს პაციენტი, ოცდამესამე ნომერი, ყველას უყვება ამ ამბავს, ის ალბათ ოცდაათს გადასცილდა, მაგრამ, ერთი შეხედვით, ძალზე ახალგაზრდად გამოიყურება. რაც მას თავს გადახდა... თუმცა სრულიადაც არა აქვს მნიშვნელობა, რა გადახდა მას. აი, ის უძრავად ზის ჩემსა და საავადმყოფოს დირექტორის, ექიმ ს-ის წინ, მუხლებზე ხელი შემოუხვევია და გაჭიანურებულად გვიყვება თავის თავგადასავალს, თან დროდადრო ფანჯარაში იცქირება. მესერს იქით განმარტოებით დგას მუხა, რომელსაც შიშველი, განძარცვული ტოტები თოვლის მაუწყებელ ქუშ ღრუბლებისაკენ აუშვერია. ავადმყოფი ზოგჯერ ხელებს აქნევს და ტანსაც ყოველნაირად ამოძრავებს. მაგალითად, მე განცვიფრებული ვიყავიო, რომ წარმოთქვა, თავი უცბად გადაიქნია უკან.

მგონია, მისი ნაამბობი საკმაოდ ზუსტად ჩავიწერე. ჩემი ჩანაწერები თუ არ დაგაკმაყოფილებთ, მაშინ გაემგზავრეთ სოფელ ნ-ში. ეს სოფელი ტოკიოს ახლოსაა. შეიარეთ ექიმ ს-ის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში. აქ მოახალგაზრდავო ოცდამესამე ნომერი ჯერ ალბათ თავს ზრდილობიანად დაგიკრავთ და სკამს შემოგთავაზებთ. მერე ნაძალადევი ღიმილით წყნარად გაგიმეორებთ ამ მოთხრობას. ხოლო როცა დაამთავრებს... მე კარგად მახსოვს, ამ დროს როგორი

გამომეტყველება აქვს, როცა დაამთავრებს მოყოლას, წამოხტება, მუშტების ქნევას დაიწყებს და დაიღრიალებს:

- გაეთრიე აქედან! შე შეჩვენებულო! ბინძურო ქმნილებავ! გონებაჩლუნგო, შურიანო, უსირცხვილო, თავხედო, თვითკმაყოფილო, შეუბრალებელო და საზიზღარო! შეჩვენებულო!

1

ეს ამბავი მოხდა ზაფხულში, სამი წლის წინ. მეც ზურგჩანთა წამოვიკიდე სხვებსავით და კამიკოტის ცხელ წყაროებამდე ჩავაღწიე. იქიდან ჰოტაკაიამას მთას ავუყევი. ცნობილია, რომ ჰოტაკაიამასკენ ერთი გზა მიდის - აძუსაგავას დინების აღმა. ადრეც ავსულვარ ჰოტაკაიამაზე და, წარმოიდგინეთ, იარიგატაკზეც, ამიტომ გამყოლი არ მჭირდებოდა და მარტო გავემგზავრე. აძუსაგავას ველი დილის ნისლში იძირებოდა. დიახ... დილის ნისლში იძირებოდა. ამასთან ნისლი გაფანტვას არ აპირებდა, პირიქით, უფრო და უფრო სქელდებოდა. ერთი საათი ვიარეთ და უკვე ფიქრი დავიწყე, ხომ არ გადამედო მთაზე ასვლა და უკან, კამიკოტიში დავბრუნებულიყავ. მაგრამ დაბრუნება რომც გადამეწყვიტა, ლოდინი მაინც მიწევდა გამოდარებამდე. ნისლი კი ჯიბრზე უფრო და უფრო მატულობდა. „ეჰ, რაც არის, არის, მაინც უნდა ავიდე!“, - გავიფიქრე და ჯიქურ შევერიე ბამბუკის რაყას, თან ვცდილობდი ნაპირს ძალზე არ დავშორებოდი.

ნისლის მეტს ვერაფერს ვხედავდი. მართალია, დროდადრო წიფლის სქელი ღერო ან სოჭის მწვანე ტოტი იკვეთებოდა, ან უცებ ზედ ცხვირწინ ცხენების ან ძროხების დრუნჩიც ჩნდებოდა, აქ რომ ძოვდნენ, მაგრამ ეს ყველაფერი გამოჩენისთანავე იკარგებოდა ხშირ ნისლში. ამასობაში ძალზე დავიღალე. შიმშილიც ვიგრძენი. ამას

დაემატა ისიც, რომ ჩემი მთამსვლელის სამოსელი და პლედი მთლიანად ნამით გაიჟღინთა და საოცრად დამძიმდა. ბოლოს და ბოლოს ხელი ჩავიქნიე და აძუსაგავას ნაპირისკენ დავეშვი, მიმართულების გარკვევას კი ქვაზე წყლის თქაფუნის მიხედვით ვცდილობდი.

წყლის ნაპირას ლოდზე ჩამოვჯექი და უპირველესად საჭმლის თადარიგს შევუდექი. ლორის ქილა გავხსენი, ხმელი ფიჩხისაგან კოცონი გავაჩაღე... ალბათ ათიოდე წუთი მოვანდომე ამას და პურს რომ ვღეჭავდი, შევამჩნიე, ის წყეული ნისლი თანდათან იფანტებოდა. დაბნეულმა საათს დავხედე. აი, სეირი! უკვე ორის ოცი წუთი იყო, მაგრამ ყველაზე ძლიერ სხვა რამემ გამაოცა. ჩემი საათის მრგვალ მინაზე რაღაც საშინელი სახის ანარეკლმა გაიელვა, შეშინებული შემოვბრუნდი და... მაშინ პირველად ჩემს ცხოვრებაში ნამდვილი ცოცხალი კაპა დავინახე: ის ჩემ უკან კლდეზე იდგა, ზუსტად ისეთი, ძველ სურათებზე რომაა გამოსახული. ერთი ხელი არყის ხისთვის შემოეხვია, მეორეთი შუბლი მოეჩრდილა და ცნობისმოყვარეობით მიმზერდა.

გაოცებისაგან რამდენსამე ხანს ვერც გავინძერი. კაპაც გაკვირვებული ჩანდა. ხელაწეული ერთ

ადგილას გაშეშებულიყო. წამოვხტი და მისკენ გავიქეცი. ისიც გაიქცა, ყოველ შემთხვევაში, ასე მომეჩვენა. გვერდზე გახტა და მაშინვე გაქრა. თითქოს მიწამ ჩაყლაპაო. გაოცება უფრო და უფრო მიპყრობდა. ბამბუკის რაყა მოვათვალიერე და იცით რა? კაპა სულ ორი-სამი მეტრის იქით აღმოვაჩინე. გასაქცევად მომზადებული, ბეჭებმოხრილი იდგა და ცერად მიყურებდა. ეს კიდევ არაფერი, უფრო მისმა კანის ფერმა ჩამაგდო საგონებელში. როცა კაპა კლდიდან დამცქეროდა, ნაცრისფერი იყო, ახლა კი თავიდან ფეხებამდე მომწვანო ზურმუხტისფერი გადაჰკრავდა. „უჰ, შე საძაგელო!“ - დავიღრიალე და კვლავაც გავეკიდე, ისიც, რა თქმა უნდა, გაიქცა. ნახევარი საათი მაინც მივდევდი, ბამბუკებს შორის მივძვრებოდი, ქვებს ვახტებოდი.

სისწრაფესა და სიმარჯვეში კაპა მაიმუნებს არ ჩამოუვარდება. კისრისტეხით მივდევდი, ზოგჯერ თვალიდან მეკარგებოდა, ფეხი მისხლტებოდა, ქვებსაც წამოვედებოდი და ვეცემოდი კიდეც... კაპამ დიდ, ტოტებგაშლილ ცხენის წაბლამდე მიირბინა და აქ, ჩემდა საბედნიეროდ, ხარმა გადაუღობა გზა. ღონიერ ხარს დიდი რქები და სისხლით ჩაწითლებული თვალები ჰქონდა. ხარის დანახვაზე კაპამ საწყლად დაიკნავლა, გვერდზე გაძვრა და იმწამსვე მაღალი ბამბუკის რაყას შეერია. ხოლო მე... მე ვიფიქრე, ახლა კი ვერ გამექცევა-მეთქი, და ნელა გავყევი უკან. ეტყობა, იქ ორმო იყო. ეს მე არ ვიცოდი. ისე, რომ, კაპას სლიპინა ზურგს ოდნავ შევეხე თუ არა, მაშინვე თავდაყირა გადავეშვი კუნაპეტ წყვდიადში. როცა ჩვენი სიცოცხლე ბეწვზე ჰკიდია, ჩვენ, ადამიანები, საკვირველად სულელურ რამეებზე ვფიქრობთ. ჰოდა, იმ წუთში, როცა

საშინელებისაგან სუნთქვა შემეკრა, უცებ გამახსენდა, რომ კამიკოტის ცხელი წყაროების შორიახლოს ხიდია, რომელსაც „კაპას ხიდი“ - „კაპაბასი“ ეწოდება. შემდეგ... რა მოხდა შემდეგ, არ მახსოვს. თვალწინ ნაპერწკლებმა გამიელვა და გონება დავკარგე.

2

ბოლოს როცა გონზე მოვედი, დავინახე, გარშემო კაპების დიდი ბრბო შემომხვეოდა. ზურგზე ვიწექი. ჩემს გვერდით ერთ კაპას დაეჩოქა, სქელ ნისკარტზე პენსნე ეკეთა და მკერდზე სტეტოსკოპს მაბჯენდა. თვალი რომ გავახილე, მანიშნა, მშვიდად იწექიო. შემდეგ ვიღაცას მიუბრუნდა და წარმოთქვა: „Quax, quax“. მაშინვე საიდანღაცორი კაპა გამოჩნდა საკაცით. საკაცეზე დამაწვინეს და დიდი ბრბოს თანხლებით, რომელიღაც ქუჩას გავუყევით. ეს ქუჩა არაფრით განსხვავდებოდა ჰინძისაგან. წიფლის ხეივნის გასწვრივ სხვადასხვა მაღაზია ჩამწკრივებულიყო. ვიტრინებზე საჩრდილობელი გადმოეშვათ. ქვაფენილზე ავტომობილები დაქროდნენ.

აი, ვიწრო ჩიხში შევუხვიეთ და ერთ შენობაში შემიყვანეს. როგორც შემდეგ შევიტყვე, ეს სახლი სწორედ პენსნეიან ექიმს, ჩაკს ეკუთვნოდა. ჩაკმა სუფთა საწოლში ჩამაწვინა და ერთი ჭიქა რაღაც გამჭვირვალე წამალი დამალევინა. ახლა ჩაკის წყალობის ამარა ვიყავ. ან სხვა რა უნდა მეღონა? განძრევაც არ შემეძლო, ყველა სახსარი მტკიოდა.

ჩაკი ყოველდღე რამდენჯერმე მსინჯავდა. ორ-სამ დღეში ერთხელ მნახულობდა მეთევზე ბაგაც, ის კაპა, სულ პირველად რომ ვნახე. კაპები ადამიანებს უკეთ გვიცნობენ, ვიდრე ჩვენ იმათ. ალბათ იმიტომ, რომ ადამიანები კაპებს უფრო ხშირად ჩავარდნიათ ხელში, ვიდრე კაპები ჩვენ. შეიძლება ხელში ჩავარდნიათო - არცთუ ზუსტი გამოთქმაა, მაგრამ როგორც უნდა იყოს, ჩემზე ადრე სხვებიც არაერთხელ ყოფილან კაპების ქვეყანაში. ისიც უნდა ითქვას, ბევრი მათგანი სამუდამოდ დარჩენილა იქ. რატომო? - იკითხავთ თქვენ. აი, რატომ. კაპების ქვეყანაში რომ ვცხოვრობთ, ჩვენ შეგვიძლია არ ვიმუშაოთ და ისე ვჭამოთ, მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ადამიანები ვართ და არა კაპები. ასეთი უპირატესობა აქვთ ადამიანებს იმ ქვეყანაში. ერთხელ თურმე, ბაგის ნაამბობით, კაპებთან სრულიად შემთხვევით ახალგაზრდა გზის ოსტატი მოხვდა. ის ძუ კაპაზე დაქორწინდა და სიკვდილამდე ერთად ცხოვრობდნენ. ქალი კაპების ქვეყანაში ულამაზესად ითვლებოდა და თურმე გზის ოსტატს ამიტომაც ძალზე მოხერხებულად ადგამდა რქებს.

ერთმა კვირამ გაიარა და ამ ქვეყნის კანონების მიხედვით, „განსაკუთრებული უფლებებით მოსარგებლე მოქალაქის“ რანგი მომანიჭეს. ჩაკის მეზობლად დავსახლდი. სახლი პატარა მქონდა, მაგრამ გემოვნებით მოწყობილი. უნდა ითქვას, რომ კაპების ქვეყნის, კულტურა თითქმის არაფრით განსხვავდება სხვა ქვეყნის, ყოველ შემთხვევაში იაპონიის კულტურისაგან მაინც. სასტუმრო ოთახის კუთხეში პატარა პიანინო დგას, კედლებზე ჩარჩოიანი გრავიურები

ჰკიდია. ქუჩისკენ ფანჯრებია დატანებული, ოღონდაც, დაწყებული სახლითა და დამთავრებული ავეჯით, ყველაფერი აბორიგენთა სიმაღლეზეა გათვალისწინებული და ამიტომაც ყოველთვის რაღაც უხერხულობას ვგრძნობდი.

ყოველ საღამოს ჩაკი და ბაგი იყვნენ ჩემთან სტუმრად და ამ ქვეყნის ენას ვსწავლობდი. თუმცა მარტო ისინი როდი მოდიოდნენ. როგორც განსაკუთრებული უფლებებით მოსარგებლე მოქალაქე, ყველას ვაინტერესებდი. ასე რომ, ჩემს სასტუმრო ოთახში ისეთი კაპებიც მოსულან, როგორიცაა შუშის ფირმის დირექტორი გერი. იგი ყოველდღიურად ექიმ ჩაკს იწვევდა თავისთან წნევის გასაზომად. მაგრამ პირველ ორ კვირას ყველაზე მეტად მაინც მეთევზე ბაგს დავუახლოვდი.

ერთ დახუთულ საღამოს მე და ბაგი ჩემს სასტუმრო ოთახში მაგიდასთან ვისხედით ერთმანეთის პირდაპირ. უცებ, სრულიად უმიზეზოდ, ბაგი გაჩუმდა.

ისედაც დიდი თვალები გადმოკარკლა და მომაშტერდა. ეს, რა თქმა უნდა, უცნაურად მომეჩვენა და ვკითხე:

– Quax, Baqq, quo queb quan?

იაპონურად ეს ნიშნავს: „მომისმინე, ბაგ, რა მოგივიდა?“ მაგრამ ბაგმა არ მიპასუხა. ოღონდაც უცებ წამოხტა, გრძელი ენა გამომიყო და იატაკზე უზარმაზარი გომბეშოსავით გაიფარჩხა. ვაიმე, ახლა უცებ რომ მეცეს! შემეშინდა და ფრთხილად ავდექი, კარში გახტომას ვაპირებდი. საბედნიეროდ, სწორედ იმ წუთს ოთახში ჩაკი შემოვიდა.

- რას აკეთებ აქ, ბაგ? - იკითხა მან და პენსნედან მკაცრად გახედა მეთევზეს.

ბაგს შერცხვა. თავზე ხელი გადაისვა და მოიბოდიშა.

- მაპატიეთ, ბატონო ექიმო, თავის შეკავება ვერ შევძელი. ეს ბატონი ისე სასაცილოდ ფრთხება ხოლმე... თქვენც, ბატონო, დიდსულოვნება გამოიჩინეთ და მაპატიეთ. - მომმართა მერე მე.

3

ვიდრე გავაგრძელებდე, ჩემს ვალად მიმაჩნია კაპებზე ზოგი რამ გაცნობოთ. დღემდე ეეჭვებათ, არსებობენ თუ არა ცხოველები, კაპებს რომ ვუწოდებთ. პირადად მე მათი არსებობა არ მეეჭვება, ვინაიდან თვითონ ვცოცხლობდი კაპებს შორის. როგორი ცხოველებია ისინი? მათი გარეგნობა, ისეთ წყაროებში რომაა აღწერილი, როგორიც „სუიკო-კორიაკუა“, თითქმის მთლიანად

შეეფერება სინამდვილეს. კაპებს თავზე მართლაც მოკლე ბეწვი აქვთ, ხელისა და ფეხის თითები მართლაც საცურაო აპკითა აქვთ გაერთიანებული. კაპების საშუალო სიმაღლე ერთი მეტრია. ექიმ ჩაკის მონაცემებით, წონა ოც-ოცდაათ გირვანქას შორის მერყეობს. სხვათა შორის, ამბობენ, იშვიათად, მაგრამ არიან ისეთი კაპებიც, ორმოცდაათ გირვანქას რომ იწონიან. კაპებს კოსროზე ოვალური ლამბაქის მოყვანილობის ჩაღრმავება აქვთ. ხანში შესვლასთან ერთად ამ ლამბაქის ფსკერი უფრო და უფრო მცირდება. მაგალითად, ხანშიშესული ბაგისა და ახალგაზრდა ჩაკის თავის ლამბაქები რომ სხვადასხვანაირია, ხელის შეხებითაც იგრძნობა. მაგრამ შეიძლება ითქვას, კაპები ყველაზე უფრო კანის ფერით გვაოცებენ. საქმე ის არის, რომ კაპებს არა აქვთ განსაზღვრული ფერი. ის იცვლება გარემოცვის მიხედვით. მაგალითად, როცა ცხოველი ბალახზეა, მისი კანი, ბალახის შესაბამისად, მომწვანოზურმუხტის ფერისაა, ხოლო როცა კლდეზე დგას, ტყავი რუხი ქვის ფერს ღებულობს. როგორც ცნობილია, ქამელეონსაც ასე სჩვევია. გამორიცხული არ არის, რომ კაპებისა და ქამელეონის ტყავის სტრუქტურა ერთმანეთის მსგავსია. როცა ეს ყველაფერი შევიტყვე, გამახსენდა, ჩვენ ფოლკლორში მოხსენიებული დასავლეთ პროვინციების კაპები მომწვანო-ზურმუხტის ფერია, ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთისა - წითელი. გამახსენდა ისიც, როგორ მარჯვედ გამიქრებოდა ბაგი, როცა მივდევდი - თითქოს მიწამ ჩაყლაპაო. სხვათა შორის, კაპებს, როგორც ჩანს,

კანქვეშ ცხიმის მოზრდილი ფენა აქვთ. მიუხედავად მათი მიწისქვეშა ქვეყნის შედარებით დაბალი საშუალო ტემპერატურისა (ფარენჰაიტით 50 გრადუსამდე), ისინი ტანსაცმელს არ იცვამენ. ჰო, კიდევ

თითოეულ კაპს შეუძლია იხმაროს სათვალე, ჰქონდეს პორტსიგარი, ქისა. თუმცა კაპებს ჯიბეები არა აქვთ, მაგრამ, დედალ კენგურუს მსგავსად, მუცელზე ჰკიდიათ ჩანთა, რომელშიც სხვადასხვა საგნის ჩაწყობა შეუძლიათ. უცნაურად მომეჩვენა მხოლოდ ის, რომ წინ არაფერს იფარებენ. როცა ერთხელ ბაგს ვკითხე, ეს რით აიხსნება-მეთქი, პასუხად დიდხანს ჭიხვინებდა უკან გადაზნექილი, შემდეგ კი თქვა:

- აი, მე კი სასაცილოდ არ მყოფნის, თქვენ რომ დაფარული გაქვთ.

4

თანდათან ცოტა-ცოტათი დავეუფლე სიტყვების იმ მარაგს, კაპები ყოველდღიურ ცხოვრებაში რომ ხმარობენ, ამრიგად, საშუალება მომეცა, მათ ზნე-ჩვეულებებს გავცნობოდი. ყველაზე ძლიერ გამაკვირვა მათმა არაჩვეულებრივმა, მე ვიტყოდი, შებრუნებულმა წარმოდგენამ სასაცილოსა და სერიოზულზე. რაც ჩვენ, ადამიანებს, მნიშვნელოვნად და სერიოზულად მიგვაჩნია, მათ სიცილს იწვევს, ხოლო რასაც ჩვენ დავცინით, ისინი ფრიად მნიშვნელოვნად თვლიან. ასე, მაგალითად, ჩვენ დიახაც სერიოზულად ვეპყრობით ჰუმანიზმისა და სამართლიანობის ცნებებს, ხოლო კაპები ამ სიტყვების გაგონებაზე სიცილით იფხრიწებიან. მოკლედ რომ ვთქვათ, იუმორი ჩვენ და კაპებს სრულიად განსხვავებულად გვესმის. ერთხელ

ექიმ ჩაკს ვუყვებოდი ბავშვთა შობადობის შეზღუდვის თაობაზე. მან მომისმინა, შემდეგ ხახა დააღო და ისე ახარხარდა, პენსნე ჩამოუვარდა. მე, რა თქმა უნდა, გავცხარდი და ახსნა-განმარტება მოვითხოვე, შეიძლება მისი ნათქვამის ზოგიერთი ნიუანსი ვერ გავიგე, მაშინ ხომ ჯერ კიდევ კარგად არ ვიცოდი კაპების ენა, მაგრამ რამდენადაც მახსოვს, ჩაკმა, მგონი, შემდეგი მიპასუხა:

- განა სასაცილო არაა მხოლოდ მშობელთა სურვილებს გავუწიოთ ანგარიში? განა ეს ეგოიზმი და პატივმოყვარეობა არაა?

სამაგიეროდ, ჩვენთვის, ადამიანებისათვის კაპების გამრავლებაზე უფრო უაზრო არაფერია. ჩემი და ჩაკის საუბრიდან რამდენიმე დღის შემდეგ ბაგის ცოლს მშობიარობა დაეწყო. ბაგის ქოხში წავედი, რათა მენახა, როგორ ხდება ეს. კაპებიც ისევე შობენ, როგორც ადამიანები. მშობიარეს ექიმი და ბებიაქალი ეხმარება. მაგრამ მშობიარობის წინ მამა-კაპა პირით მშობიარეს საშოს მიეკვრება და მთელი ხმით, თითქოს ტელეფონში ჩასძახისო, კითხულობს: „ამ ქვეყანას გინდა მოევლინო თუ არა? კარგად მოიფიქრე და ისე მიპასუხე!“ ცოლთან მუხლებზე დაჩოქილმა ბაგმაც რამდენჯერმე გაიმეორა ეს კითხვა, შემდეგ ადგა, მაგიდაზე დადგმული ფინჯანი მოიყუდა და პირი დეზინფიცირებული ხსნარით გამოირეცხა. მაშინ ჩვილი დამორცხვებული, ძლივს გასაგონი ხმით გამოეპასუხა დედის საშოდან:

- არ მინდა დაბადება. ჯერ ერთი, მაშინებს მამის მემკვიდრეობა, თუნდაც მისი ფსიქოპათია. გარდა ამისა, დარწმუნებული ვარ, რომ კაპები არ უნდა მრავლდებოდნენ.

ასეთი პასუხი რომ მოისმინა, ბაგმა დაბნეულმა მოიფხანა კეფა. ამასობაში იქ მყოფმა ბებიაქალმა სასწრაფოდ შეჰყო მისი ცოლის საშვილოსნოში შუშის მსხვილი მილი და რაღაც სითხე ჩაასხა. ცოლმა შვებით ამოისუნთქა. იმავე წამს მისი დიდი მუცელი იმ საჰაერო ბუშტივით დაიფუყა, რომლიდანაც წყალბადი გამოუშვეს.

თავისთავად იგულისხმება, რომ ჩვილი კაპები, რომელთაც დედის საშოდანვე შეუძლიათ მსგავსი პასუხების გაცემა, დაბადებისთანავე დამოუკიდებლად დადიან და ლაპარაკობენ. ჩაკმა მიამბო, ისეთი ჩვილიც გამოერია, რომელმაც ოცდაექვსი დღისამ ლექცია წაიკითხა თემაზე: „არის თუ არა ღმერთი“ თუმცა, დაუმატა ჩაკმა, ეს ჩვილი ორი თვის ასაკში მოკვდაო.

რაკი მშობიარობაზე ჩამოვარდა სიტყვა, არ შემიძლია არ გავიხსენო უზარმაზარი პლაკატი, ერთი ქუჩის კუთხეში რომ დავინახე ამ ქვეყანაში ჩემი ყოფნის მესამე თვის ბოლოს. პლაკატის ქვემო ნაწილში გამოსახული ზოგი კაპა საყვირს უბერავდა, ზოგი ხმალს იქნევდა. ზევითა ნაწილი კი მთლიანად აჭრელებული იყო ნიშნებით, კაპების ქვეყანაში მიღებული დამწერლობით - საათის ზამბარისებური იეროგლიფებით. პლაკატის ტექსტის თარგმანი

დაახლოებით შემდეგს გადმოგვცემს (ვერც აქ დავდებ თავს, უმნიშვნელო შეცდომა არ დამიშვია-მეთქი, მაგრამ უბის წიგნაკში სიტყვასიტყვით ვიწერდი, რასაც მიკითხავდა სტუდენტი რაპი, ერთ-ერთი კაპა, რომელიც ჩემთან ერთად დასეირნობდა):

გაერთიანდით სულელური მემკვიდრეობის წინააღმდეგ მებრძოლ მოხალისეთა რიგებში!!!

ჯანმრთელო ხვადებო და ძუებო!!! ცუდი

მემკვიდრეობის მოსასპობად შეუღლდით

ავადმყოფ ხვადებთან და ძუებთან!!!

რა თქმა უნდა, რაპს მაშინვე განვუცხადე, ასეთი რამ დაუშვებელია-მეთქი. რაპმა გადაიხარხარა. მას პლაკატის ახლოს მდგომი კაპებიც აჰყვნენ.

- დაუშვებელია? განა თქვენშიაც იგივე არ ხდება, რაც ჩვენთან? ეს თქვენი მონაყოლიდან ჩანს. როგორ ფიქრობთ, თქვენი ბატონიშვილები რატომ ჰყვარობენ მოახლეებს, ხოლო თქვენი ახალგაზრდა ქალბატონები შოფრებს რად ეარშიყებიან? რა თქმა უნდა, ინსტიქტურად

ცდილობენ ცუდი მემკვიდრეობის თავიდან აცილებას. ახლა ავიღოთ თქვენი მოხალისენი, რომლებზედაც ამ დღეებში მიყვებოდით, - რაღაც რკინიგზის გამო რომ სპობენ ერთმანეთს. ჩემი აზრით, ჩვენი მოხალისენი მათთან შედარებით გაცილებით უფრო კეთილშობილნი არიან.

რაპმა ეს სრულიად სერიოზულად წარმოთქვა, თუმცა, თითქოს სიცილს იკავებსო, სქელი ღიპი ჯერ ისევ უთახთახებდა. მაგრამ მე სულაც არ მემხიარულებოდა. შევამჩნიე, ვიღაცა კაპამ ჩემი დაუდევრობით ისარგებლა და ავტომატური კალამი მომპარა. აღშფოთებისაგან თავგზააბნეულმა, მისი შეპყრობა ვცადე, მაგრამ კაპას

სლიპი კანი აქვს და მისი დაჭერა არცთუ ადვილია. ხელიდან გამისხლტა და მთელი ძალ-ღონით მოკურცხლა. კოღოსავით წვრილი ტანი წინ წაეხარა და ისე გარბოდა, თითქოს სადაცაა ქვაფენილს დაენარცხებაო.

5

რამპა ბაგზე არანაკლები პატივი მცა. მაგრამ ყველაზე მეტად მისგან იმით ვარ დავალებული, რომ ტოკი გამაცნო. ტოკი პოეტია. კაპების პოეტებს გრძლად აქვთ თმა მოშვებული და ამით ჩვენი პოეტებისაგან არ განსხვავდებიან. დროდადრო, როცა მოწყენილობა მეუფლებოდა, გასართობად ტოკთან მივდიოდი. ტოკს ყოველთვის ნახავდით თავის ვიწრო სენაკში. სენაკი სავსე იყო მაღალი მთის ყვავილების ქოთნებით. იჯდა ტოკი ამ ყვავილებში, წერდა ლექსებს,

პაპიროსს აბოლებდა და საერთოდ თავისთვის ცხოვრობდა. სენაკის კუთხეში საკერავს უჯდა მისი ძუ (ტოკი თავისუფალი სიყვარულის მომხრე იყო და პრინციპის გამო არ დაქორწინდა). როცა მასთან შევდიოდი, ტოკი ყოველთვის ღიმილით მხვდებოდა (უნდა ითქვას, მომღიმარე კაპა არცთუ სასიამოვნო სანახავია, ყოველ შემთხვევაში, პირველ ხანებში მაინც მეშინოდა).

- შენი მოსვლა გამიხარდა, - მეუბნებოდა ის, - აი, ამ სკამზე ჩამოჯექი.

ტოკი ხშირად და ბევრს მიყვებოდა კაპების ცხოვრებასა და ხელოვნებაზე. მისი აზრით, ჩვეულებრივი კაპას ცხოვრებაზე უაზრო არაფერია. მშობლები და შვილები, ქმრები და ცოლები, ძმები და დები - ყველა ესენი ცხოვრების სიხარულს მხოლოდ იმაში ხედავდნენ, რომ ერთმანეთი დაუნდობლად სტანჯონ. და ტოკის თქმით, სრულიად უაზროა ოჯახური ურთიერთობის სისტემა. ერთხელ, როგორღაც, ტოკმა ფანჯარაში გაიხედა და ზიზღით წარმოთქვა:

- აი, დატკბი!.. რა იდიოტობაა!

ქუჩაში, ფანჯრის ქვემოთ ფეხებს ძლივს მიათრევდა ჯერ კიდევ ახალგაზრდა კაპა. კისერზე რამდენიმე ხვადი და ძუ ჩამოჰკიდებოდა, მათ შორის ორი ხანში შესული ალბათ დედ-მამა თუ

იყო. ტოკისთვის მოულოდნელმა ამ ახალგაზრდა კაპას თავგანწირვამ აღმაფრთოვანა და მისი ქება დავიწყე.

- ოჰო, - თქვა ტოკმა, - გატყობ. ამ ქვეყანაშიც ღირსეული მოქალაქე გახდი... მოიცა, შენ ხომ სოციალისტი ხარ? მე, რა თქმა უნდა, qua-მეთქი, ვუპასუხე.

(ეს კაპების ენაზე „დიახ“ -ს ნიშნავს).

- და შენ უყოყმანოდ გასწირავდი გენიოსს ასობით უბრალო მომაკვდავის გამო?

- შენი შეხედულებები როგორია, ტოკ? ვიღაც მეუბნებოდა, ანარქისტიაო.

- მე? მე ზეკაცი ვარ! - ამაყად წარმოთქვა ტოკმა (სიტყვასიტყვით რომ ვთარგმნოთ - „ზეკაპა“).

ტოკს ხელოვნებაზედაც თავისი ორიგინალური აზრი აქვს. დარწმუნებულია, რომ ხელოვნება არავითარ გავლენას არ ექვემდებარება, რომ ის ხელოვნება არავითარ გავლენას არ ექვემდებარება, რომ ის ხელოვნებაა ხელოვნებისათვის, ისე რომ, მხატვარი ვალდებულია,

პირველ რიგში იყოს ზეკაცი, სიკეთისა და ბოროტების საზღვარს რო გადააბიჯა. თუმცა ასეთი შეხედულებისა მარტო ტოკი როდია. მას თითქმის ყველა მისი კოლეგა პოეტი იზიარებს. ტოკი და მე რამდენჯერმე ვიყავით ზეკაცების კლუბში. ამ კლუბში იკრიბებიან პოეტები, პროზაიკოსები, დრამატურგები, კრიტიკოსები, მხატვრები, კომპოზიტორები, მოქანდაკენი, ხელოვნების დილეტანტები და სხვები. ყველა ისინი ზეკაცები არიან. როცა უნდა მივსულიყავით, ყოველთვის ელექტრობით გაკაშკაშებულ ჰოლში ისხდნენ და გაცხოველებით ბაასობდნენ. დროდადრო სიამაყით უჩვენებდნენ ერთმანეთს თავის ზეკაცურ ნიჭსა და უნარს. ასე, მაგალითად, ერთ მოქანდაკეს ახალგაზრდა კაპა გამოეჭირა ეშმაკის გვიმრის უზარმაზარ ქოთნებს შუა და ყველას თვალწინ გულმოდგინედ ეწეოდა სოდომის ცოდვას. ხოლო ძუმწერალმა, მაგიდაზე რომ შესკუპებულიყო, ზედიზედ სამოცი ბოთლი აბსენტი გამოცალა. მესამოცის დაცლის შემდეგ მაგიდიდან ჩამოვარდა და იქვე განუტევა სული.

ერთ მშვენიერ მთვარიან ღამეს მე და ტოკი ხელკავით ვბრუნდებოდით ზეკაცთა კლუბიდან. ტოკი უჩვეულოდ დუმდა და ნაღვლიანი იყო. როცა განათებულ პატარა ფანჯარას ჩავუარეთ, ტოკი უცებ შეჩერდა. ფანჯარაში მოჩანდა მაგიდის გარშემო შემომსხდარი ხნიერი ხვადი და ძუ, როგორც ჩანს, ცოლ-ქმარი, და მათი სამი ნაშიერი. ტოკმა ღრმად ამოიოხრა და თქვა:

- შენც იცი, სიყვარულზე ზეკაცური შეხედულების მომხრე ვარ, მაგრამ როცა ასეთ სურათს ვუცქერი, შურით ვისები.

- როგორ გგონია, შენს თავს ხომ არ ეწინააღმდეგები?

ტოკი ერთხანს ჩუმად იდგა მთვარის შუქში, მკერდზე ხელები გადაეჯვარედინებია და კაპების ხუთეულის მშვიდ ტრაპეზს უმზერდა. შემდეგ მიპასუხა:

- რა თქმა უნდა, ცოტაოდენ კი. რაც უნდა თქვა, აი, ის ერბო-კვერცხი გაცილებით სასარგებლოა, ვიდრე ყოველგვარი სიყვარული.

6

საქმე ის არის, რომ კაპების სიყვარული ძლიერ განსხვავდება ადამიანთა სიყვარულისაგან. ძუ დაინახავს თუ არა შესაფერ ხვადს, მაშინვე ცდილობს მის დაუფლებას. იმავე დროს, არანაირ საშუალებას არ ერიდება. ყველაზე პატიოსანი და გულწრფელი ძუები, ყოველგვარი ზედმეტი სიტყვის გარეშე, გადაეკიდებიან ხოლმე ხვადებს. საკუთარი თვალით ვნახე, ერთი ძუ გიჟივით მისდევდა გაქცეულ შეყვარებულს. ეს კიდევ არაფერი, გაქცეულს ახალგაზრდა ძუსთან ერთად ხშირად მისი მშობლები და ძმებიც მისდევდნენ... საწყალი ხვადები! ბედმა რომ გაუღიმოთ და მდევართაგან თავის დაღწევაც შეძლონ, ასეთი დევნის შემდეგ ორი-სამი თვე მაინც მოუწევთ ლოგინში წოლა.

ერთხელ შინ ვიჯექი და ტოკის ლექსთა კრებულს ვკითხულობდი. მოულოდნელად ოთახში სტუდენტი რაპი შემოიჭრა, იატაკზე დაეცა და ქოშინით წარმოთქვა:

- რა საშინელებაა! მაინც დამიჭირეს!

წიგნი გადავაგდე და კარი გასაღებით დავკეტე. შემდეგ საკლიტურში გავიხედე. კარის წინ დაბალი ძუ დატანტალებდა. სახე მთლიანად გოგირდით მოეთხუპნა. რაპი რამდენიმე კვირას იწვა ჩემს საწოლში. ამას ისიც დაემატა, რომ ნისკარტი მთლად დაულპა და მოსძვრა.

სხვათა შორის, ზოგჯერ ისეც ხდება, რომ ხვადი კისრის ტეხით მისდევს ძუს, მაგრამ ამ შემთხვევაშიც ყველაფერი მაინც ძუს მოწყობილია. ისე იქცევა, რომ ხვადს არ შეუძლია არ გაეკიდოს. ერთხელ დავინახე, ხვადი გაგიჟებულივით მისდევდა ძუს. ძუ თავგამოდებით გაურბოდა, მაგრამ დროდადრო ჩერდებოდა, უკან იყურებოდა, მდევარს აღიზიანებდა და ოთხზე დგებოდა, მხოლოდ როცა შეამჩნია, მეტი გაგრძელება აღარ შეიძლებაო, ისეთი გამომეტყველება მიიღო, თითქოს ძალა გამოელია და სიამოვნებით დააჭერინა თავი. ხვადმა შეიპყრო და მასთან ერთად გაგორდა მიწაზე. როცა რამდენიმე ხნის შემდეგ ადგა, გასაცოდავებულ სახეზე მონანიება თუ გულგატეხილობა აღბეჭდვოდა. მაგრამ ის კიდევ იოლად გადარჩა. სხვა სცენის ნახვაც მომიწია. პატარა ხვადი ძუს მისდევდა. ძუ, როგორც მას

სჩვევია, გაურბოდა და თან ხვადს აცდუნებდა. ამასობაში ჩიხიდან ხმამაღალი ქშენით უზარმაზარი ხვადი გამოვიდა. ძმამ ერთი შეხედა, უცებ მივარდა და გამყინავი ხმით შეჰყვირა: „მიშველეთ! მიშველეთ! ეს საზიზღარი მომდევს და ჩემი მოკვლა უნდა!“ უზარმაზარ ხვადს დიდხანს არ უფიქრია, მაშინვე შეიპყრო პატარა და ქვაფენილს დაანარცხა. იმ საცოდავმა აპკიანი თითები ჰაერში გაასავსავა და იქვე განუტევა სული. ხოლო ძუ? ის უკვე კისერზე ეკიდა უზარმაზარ ხვადს, ღონივრად ჩასჭიდებოდა და მიმზიდველად იღრიჭებოდა.

ყველა ხვად კაპას, ვისაც კი ვიცნობდი, ძუ სდევნიდა; ძუები დაცოლშვილებულ ბაგსაც მოსვენებას არ აძლევდნენ. რამდენჯერმე დაეწივნენ კიდეც. მხოლოდ ერთი ფილოსოფოსი, სახელად მაგი (ის ტოკის მეზობლად ცხოვრობდა) არც ერთხელ არ ჩავარდნიათ ხელში. ალბათ იმიტომ, რომ მასზე უფრო შეუხედავი გარეგნობის ხვადის ნახვა შეუძლებელი იყო. მეორეს მხრივ, მაგი, სხვა ხვადებისაგან განსხვავებით, იშვიათად გამოდიოდა ქუჩაში. ზოგჯერ შინ ვეწვეოდი ხოლმე და ვსაუბრობდით. მაგი ყოველთვის მაღალ მაგიდას უჯდა და რაღაც დიდტანიან წიგნებს კითხულობდა. სხვადასხვა ფერის შუშიანი ფარანი ანათებდა ოთახს. ერთხელ სიყვარულზე ჩამოვუგდე სიტყვა:

- თქვენი მთავრობა რატომ არ მიიღებს მკაცრ ზომებს ხვადების მადევარ ძუთა წინააღმდეგ? - ვკითხე მე.

უწინარეს ყოვლისა, იმიტომ, - მიპასუხა მაგმა, რომ მთავრობის აპარატში ძალზე ცოტა ძუა.. ცნობილია, რომ ძუები ხვადებზე გაცილებით უფრო ეჭვიანები არიან. მთავრობის ორგანოებში ძუთა რიცხვი რომ გავზარდოთ. ხვადები ალბათ უფრო თავისუფლად ამოისუნთქებდნენ. თუმცა დარწმუნებული ვარ, ასეთი ზომები

არავითარ შედეგს არ მოგვცემდა: რატომ? თუნდაც იმიტომ, რომ ძუ-ჩინოვნიკები კოლეგა-ხვადებსაც დაუწყებდნენ დევნას.

- მაშინ, როგორც ჩანს, ყველაზე უკეთესია, ისეთ ცხოვრებას მისდიონ, როგორსაც თქვენ მისდევთ, მაგ. მაგი ადგა, ჩემი ორივე ხელი ჩაბღუჯა და ამოიოხრა:

- თქვენ კაპა არა ხართ და ამას ვერ გაიგებთ. ზოგჯერ ძალზე მინდა, რომ ეს საშინელი ძუები დამდევდნენ.

7

პოეტი ტოკი და მე ხშირად ვესწრებოდით კონცერტებს. განსაკუთრებით მესამე კონცერტი დამამახსოვრდა. კაპების ქვეყნის საკონცერტო დარბაზი თითქმის არაფრით განსხვავდება

იაპონიის საკონცერტო დარბაზებისაგან. სავარძლების რიგები ისევეა ამაღლებული, როგორც ჩვენთან. სავარძლებში სმენადქცეული სამი-ოთხი ასეული ხვადი და ძუ გატრუნულა და ხელში აუცილებლად პროგრამა უკავიათ. მესამე კონცერტზე ჩემსა, ტოკისა და მისი ძუს გარდა ფილოსოფოსი მაგიც გახლდათ. პირველ რიგში დავიკავეთ ადგილი. ვიოლონჩელოზე სოლო შეასრულეს. შემდეგ სცენაზე ავიდა არაჩვეულებრივად წვრილთვალებიანი კაპა, დაუდევრად აქნევდა ნოტებს. პროგრამაში ეწერა, რომ ეს ცნობილი კომპოზიტორი კრაბაკი გახლდათ. თუმც მე არა მჭირდებოდა პროგრამაში შეხედვა. ტოკის ზეკაცთა კლუბს კრაბაკიც ეკუთვნოდა და მას სახით ვიცნობდი.

„Lied Grabach“ (ამ ქვეყანაში პროგრამებსაც კი ძირითადად გერმანულ ენაზე ბეჭდავდნენ).

კრაბაკმა მქუხარე ოვაციების პასუხად ოდნავ დახარა თავი, მერე მშვიდად გაემართა როიალისაკენ და ასევე დაუდევრად შეასრულა საკუთარი სიმღერა. ტოკის სიტყვით, კრაბაკისთანა გენიალური მუსიკოსი არცა ჰყოლია ამ ქვეყანას და არც ეყოლება. კრაბაკი ძალზე მაინტერესებდა - მისი მუსიკა და ლირიკული ლექსები მაქვს მხედველობაში - და ყურადღებით ვუსმენდი როიალის ბგერებს. ტოკი და მაგი ალბათ ჩემზე ძალიან იყვნენ მუსიკით აღტაცებულნი. მხოლოდ ერთი მშვენიერი (ასე მიაჩნიათ, ყოველ შემთხვევაში, კაპებს) ძუ მოუთმენლად ჭმუჭნიდა ხელში პროგრამას და დროდადრო ზიზღით ჰყოფდა ენას. მაგმა

მიამბო, ათიოდე წლის წინ ეგ კრაბაკს დასდევდა, მისი გამოჭერა ვერ შეძლო და ამის მერე გენიალური კომპოზიტორი შეიძულაო.

კრაბაკი დაკვრას განაგრძობდა, უფრო და უფრო გატაცებით, თითქოს როიალს ებრძვისო. უცებ დარბაზში მეხივით იჭექა:

- კონცერტს ვკრძალავ!

შევკრთი და შეშინებული შემოვბრუნდი. უეჭველია, ეს ხმა უკანასკნელ რიგში მდგომ დიდებულ და წარმოსადეგ პოლიციელს ეკუთვნოდა. სწორედ მაშინ, როცა შემოვბრუნდი, მან მშვიდად, ისე, რომ ადგილიდან არც დაძრულა, ისევ იქუხა:

- კონცერტს ვკრძალავ! ხოლო შემდეგ...

შემდეგ საშინელი ხმაური ატყდა. საზოგადოება აღრიალდა: „პოლიცია თვითნებობს!“ „დაუკარ, კრაბაკ! დაუკარ!“ „იდიოტები!“ „მამაძაღლები!“ „გაეთრიეთ!“ „არ დანებდე!“... სავარძლები

ძირს ენარცხებოდა, პროგრამები ფრენდა. ვიღაცები სიტროს ცარიელ ბოთლებს, ქვებსა და კიტრის ნარჩენებს ისროდნენ... ძალზე შევძრწუნდი და ტოკისაგან შევეცადე გამეგო, რა ხდებოდა, მაგრამ აღგზნებულ ტოკსაც თავგზა დაჰკარგოდა, სავარძელზე შემდგარიყო და დაუსრულებლად გაჰყვიროდა: „დაუკარ, კრაბაკ! დაუკარ!“ იმ ლამაზ ძუსაც გაჰქრობოდა კრაბაკის სიძულვილი და ისე გასწიოდა: „პოლიციის თვითნებობაა!!!“ - ტოკის ხმასაც ფარავდა. მაშინ მაგს მივმართე:

- რა მოხდა?

- ასეთი რამჩვენს ქვეყანაში ხშირად ხდება. იცით, აზრი, რომელსაც გამოხატავს სურათი ან ლიტერატურული ნაწარმოები... - მაგი ლაპარაკობდა, როგორც ყოველთვის, ხმადაბლა და მშვიდად, მხოლოდ ოდნავ ჩაერგო თავი მხრებში, რომ ახლოს გასროლილი საგნები აეცდინა, - აზრი, რომელსაც გამოხატავს, ვთქვათ, სურათი ან ლიტერატურული ნაწარმოები, ჩვეულებრივად ერთი შეხედვითვე ყველასათვის გასაგებია, ამიტომ წიგნების გამოქვეყნებას და გამოფენას ჩვენს სახელმწიფოში არ კრძალავენ. სამაგიეროდ ჩვენთან შეიძლება აიკრძალოს მუსიკალური ნაწარმოების შესრულება. როგორი მავნეც უნდა იყოს ზნეჩვეულებისათვის, მუსიკალური ნაწარმოებისა კაპებს სულ ერთია არა გაეგებათ რა, მათ ხომ მუსიკალური სმენა არა აქვთ.

- მაშასადამე, ამ პოლიციელს მუსიკალური სმენა აქვს?

- ოო... მეეჭვება. უფრო სავარაუდოა, რომ ამ მუსიკამ მას მოაგონა, როგორ უცემს გული, როცა ცოლთან წვება ლოგინში.

ამასობაში აურზაური უფრო გამძაფრდა. კრაბაკი ძველებურად როიალს უჯდა და მედიდურად დაგვყურებდა, თუმცა ეს მედიდურობა ძლიერ უშლიდა ხელს ზოგჯერ მისთვის დამიზნებული ჭურვები აეცდინა, ეს კია, მაინც შეძლო დიდი მუსიკოსის ღირსება შეენარჩუნებინა. მხოლოდ წვრილი თვალები უბრწყინავდა გააფთრებით. მე კი... მე რა თქმა უნდა, ყოველნაირად ვცდილობდი საშიშროება ამეცდინა და ტოკის ზურგს ვეფარებოდი. თან ცნობისმოყვარეობა მძლევდა და მაგს ვეკითხებოდი:

- ნუთუ ვერ ხვდებით, რომ ასეთი ცენზურა ბარბაროსობაა?

- სრულიადაც არა, პირიქით, ჩვენი ცენზურა გაცილებით უფრო პროგრესულია, ვიდრე რომელიმე სხვა სახელმწიფოს ცენზურა. აიღეთ თუნდაც იაპონია. სულ ერთი თვის წინ იქ... მაგრამ სწორედ იმ წამს მაგს ზედ კოსროში მოხვდა ცარიელი ბოთლი, „guck“ (ეს, უბრალოდ, შორისდებულია) წამოიყვირა და გონებადაკარგული დაეცა.

8

რა უცნაურადაც უნდა მოგეჩვენოთ, მე მომწონდა შუშის ფორმის დირექტორი გერი. იგი კაპიტალისტთა კაპიტალისტია. რა თქმა უნდა, ეჭვი მეპარება, რომ არც ერთ კაპას ამ ქვეყანაში არა აქვს გერისთანა დიდი ღიპი. მიუხედავად ამისა, როცა ის ღრმა, რბილ სავარძელში ზის ლოკოკინას მსგავსი ცოლისა და ჩაკიტრებული შვილების გვერდით, მაშინ ნამდვილი სრული ბედნიერების განსახიერებაა. ზოგჯერ მოსამართლე ბეპისა და ექიმი ჩაკის თანხლებით გერის ბინაში ბანკეტებს ვესწრებოდი. გერის სარეკომენდაციო ბარათით ვათვალიერებდი აგრეთვე სხვადასხვა საწარმოებს, თვით გერის ან მისი მეგობრების ნაცნობებს რომ ეკუთვნოდა. ამ სხვადასხვა საწარმოთა შორის განსაკუთრებით წიგნის გამომცემლობის კომპანიის ინჟინერ კაპასთან ერთად აღმოვჩნდი ფაბრიკაში და ჰიდროელექტროენერგიით მომუშავე გიგანტური მანქანები ვნახე, კვლავ განმაცვიფრა და აღმაფრთოვანა ამ ქვეყნის მაღალმა ტექნიკურმა დონემ. როგორც გამოირკვა, ფაბრიკა შვიდ მილიონამდე წიგნს ბეჭდავდა წელიწადში, მაგრამ მე წიგნების რაოდენობამ როდი გამაოცა. გამაოცა იმან, რომ წიგნის გამოშვება შრომის უმცირეს დანახარჯსაც კი არ თხოულობს. წიგნის შესაქმნელად ამ ქვეყანაში თურმე საჭიროა მხოლოდ ქაღალდი, მელანი და რაღაც ნაცრისფერი ფხვნილი ჩადოთ მანქანაში საგანგებო ძაბრისებური მიმღებით. ხუთი წუთიც არ გაივლის და მანქანიდანუსასრულო ნაკადად გამოვა მზამზარეული წიგნები განსხვავებული ფორმატისა - ერთი მერვედი, ერთი მეთორმეტედი, ერთი მეოთხედი

ნაბეჭდი თაბახისა. წიგნების ნაკადს რომ ვუცქერდი, ინჟინერს ვკითხე, რას წარმადგენს ნაცრისფერი ფხვნილი, ძაბრისებურ მიმღებს რომ მიეწოდება-მეთქი. ინჟინერი გაუნძრევლად იდგა შავად მბზინავ მექანიზმებთან და უგულისყუროდა მიპასუხა:

- ნაცრისებური ფხვნილი? ეს ვირის ტვინია. მას აშრობენ, შემდეგ ფხვნიან და სულ ეს არის, ახლა ტონა ორი-სამი სენი[219] ღირს.

ასეთი ტექნიკური სასწაული, რა თქმა უნდა, მარტო წიგნის გამომცემელ კომპანიებში არ გვხვდება. დაახლოებით ასეთივე ხერხებით სარგებლობენ სურათებისა და მუსიკის მწარმოებელი კომპანიები. გერი ამბობდა, ჩვენს ქვეყანაში ყოველთვიურად შვიდასიდან რვაასამდე ახალ მექანიზმს იგონებენ და მასობრივ წარმოებაში მუშახელის ჩარევა უკვე საჭირო აღარაა. ამის შედეგად მთელ საწარმოებში ყოველთვიურად ათავისუფლებენ ორმოც-ორმოცდაათ ათასამდე მუშას. აქვე უნდა ითქვას, რომ გაზეთებს ყოველ დილით გულდასმით ვათვალიერებდი და არც ერთხელ არ შემხვედრია სიტყვა „უმუშევრობა“. ეს გარემოება გამიკვირდა და ერთხელ, როდესაც გერმა ბეპი, ჩაკი და მე მიგვიწვია მორიგ ბანკეტზე, ამის ახსნა ვთხოვე.

- სამუშაოდან დათხოვნილებს ჩვენში ჭამენ - გულგრილად მიპასუხა გერმა და თან სადილის შემდგომ სიგარა გააბოლა.

ვერ გავიგე, რა ჰქონდა მხედველობაში. მაშინ ჩაკმა, ნისკარტზე ყოველთვის პენსნე რომ ჰქონდა დაკოსებული, გადაწყვიტა ჩემთვის განემარტა:

- ყველა ამ დათხოვნილ მუშას ხოცავენ, მათ ხორცს კი საკვებად იყენებენ. აი, დახეთ გაზეთს! ამ თვეში დაითხოვეს სამოცდაორი ათას შვიდას სამოცდაცხრა მუშა და ზუსტად ამის შესაბამისად ხორცის ფასმაც დაიკლო.

- განა ისინი მორჩილად ეგებებიან სიკვდილს?

- მეტი რა გზა აქვთ? სწორედ ამას ითვალისწინებს მუშების დაკვლის კანონი.

უკანასკნელი სიტყვები ბეპს ეკუთვნოდა, სახეჩამომტირალი რომ იჯდა ატმის ქოთნის უკან. სრულიად ამებნა თავგზა. მაგრამ არც ბატონ გერს, არც ბეპს არც ჩაკს ეს არაბუნებრივად სულაც არ მიაჩნიათ. პაუზის შემდეგ ჩაკმა ღიმილით, დამცინავად რომ მომეჩვენა, კვლავ განაგრძო:

- ამ გზით სახელმწიფო ამცირებს თვითმკვლელობათა და შიმშილისაგან დახოცილთა რაოდენობას. გარდა ამისა, ისინი სულაც არ იტანჯებიან - მცირეოდენ მომწამვლელ გაზს შეასუნთქებენ მხოლოდ.

- მაგრამ მათი ხორცის ჭამა მაინც...

- ოჰ, გეყოფათ, გეთაყვა. ახლა ფილოსოფოსი მაგი რომ გისმენდეთ სიცილით გაიფხრიწებოდა. მაპატიეთ, მაგრამ განა თქვენს ქვეყანაში პლებეები საკუთარ ქალიშვილებს საროსკიპოებში არ ჰყიდიან? უცნაური გულჩვილობაა იმის გამო აღშფოთდე, მუშების ხორცს საკვებად რად იყენებენო.

გერი ჩვენსსაუბარს უსმენდა, მერე გვერდით, პატარა მაგიდიდან ბუტერბროდებიანი თეფში მომიცურა და წყნარად წარმოთქვა:

- სხვანაირად როგორ შეიძლება? იქნებ გასინჯოთ? ესეც ხომ მუშების ხორცია...

მთლად დავიბენი. ცუდად გავხდი. გერის სასტუმრო ოთახიდან გამოვვარდი. მესმოდა ბეპისა და ჩაკის ხარხარი. ქარიშხლიანი ღამე იდგა. ცაზე არც ერთი ვარსკვლავი არ კიაფობდა. შინ ვბრუნდებოდი და განუწყვეტლივ მაღებინებდა. ჩემი ნარწყევი თეთრად ჩანდა საზარელ ღამის წყვდიადში.

9 შუშის ფირმის დირექტორი გერი, უეჭველია, მაინც ყველაზე სიმპათიური კაპა იყო. გერთან ერთად ხშირად წავსულვარ კლუბში, რომლის წევრადაც ის ითვლებოდა. აქ დროს გატარება სასიამოვნო იყო. დიახ, ეს კლუბი გაცილებით მყუდრო იყო ზეკაცთა კლუბზე, სადაც ტოკი დაიარებოდა. გარდა ამისა, გერთან საუბარი - მართალია, არც ისე ღრმა შინაარსიანი, როგორც ფილოსოფოს მაგთან - სრულიად ახალ, უსასრულოდ დიდ სამყაროს მიშლიდა წინ. გერი სიამოვნებით და კმაყოფილებით ლაპარაკობდა სხვადასხვა თემაზე და ბაჯაღლო ოროს კოვზით ყავის ფინჯანს ურევდა.

ერთხელ, რომელიღაც ნისლიან საღამოს, ზამთრის ვარდების ლარნაკებს შუა ვიჯექი და გერს ვუსმენდი. მახსოვს, უახლესი სტილით გაწყობილ და მოპირკეთებულ ოთახში ვსაუბრობდით. ოთახის თეთრ კედლებს, ჭერსა და ავეჯს წვრილი ოქროს ხაზები კვეთდა. გერი ჩვეულებრივზე უფრო თვითკმაყოფილი იღიმებოდა და „კუორაკსის“ პარტიის მინისტრთა კაბინეტზე მიყვებოდა. ეს პარტია ახლახან ჩასდგომოდა სახელმწიფოს მართვა-გამგეობას სათავეში. სიტყვა „კუორაკსი“

შორისდებულია, რომელსაც არავითარი განსაკუთრებული მნიშვნელობა არა აქვს და თუ არა „ოჰო“ -თი, სხვანაირად არც ითარგმნება. თუმცა, როგორც უნდა იყოს, პარტიის ლოზუნგია: „ყველა კაპის ინტერესებისათვის“.

- „კუორაკსის“ პარტიას მართავს ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე როპე. ბისმარკმა ოდესღაც

თქვა, პატიოსნება საუკეთესო დიპლომატიაა. ხოლო როპემ პატიოსნება საშინაო პოლიტიკის პრინციპად გამოაცხადა...

- მაგრამ როპეს გამოსვლები ხომ...

- ნუ მაწყვეტინებთ, ჯერ მომისმინეთ. დიახ, ყველა მისი გამოსვლა მთლიანად სიცრუეა, მაგრამ ვინაიდან ყველამ იცის, რომ მისი გამოსვლები სიცრუეა, მაშინ საბოლოო ჯამში ეს იგივეა, თითქოსდა სრული სიმართლე ელაპარაკოს. მხოლოდ ისეთ წინასწარ წინააღმდეგ განწყობილ არსებებს, როგორიც თქვენ, ადამიანები ხართ, შეუძლიათ მას მატყუარა უწოდონ. ჩვენ, კაპები, ასე სულაც არ... თუმცა ეს არც ისე მნიშვნელოვანია. ჩვენ როპეზე ვსაუბრობთ. მაშ ასე, როპე მართავს „კუორაკსის“ პარტიას. მაგრამ როპესაც ჰყავს უფროსი. ეს კუიკუია, გაზეთ „პუ-ფუს“ („პუ-ფუც“ შორისდებულია, რომელიც შეიძლება „აჰ“ -ად ითარგმნოს) პატრონი, მაგრამ თავის მხრივ, კუიკუსაც ჰყავს უფროსი და ეს უფროსი ის მავანი ბატონი გერია, ახლა თქვენ წინ რომ ზის.

- მაგრამ, მაპატიეთ, შეიძლება სწორედ ვერ გავიგე... გაზეთი „პუ-ფუ“ ხომ, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, მუშების ინტერესებს იცავს და თუ გაზეთის პატრონი, როგორც ამტკიცებთ, თქვენ გემორჩილებათ...

- რაც შეეხება გაზეთ „პუ-ფუს“ თანამშრომლებს, ისინი ნამდვილად მუშების ინტერესებს იცავენ. მაგრამ კუიკუის გარდა განკარგულებას მათ არავინ აძლევს. კუიკუის კი ნაბიჯის გადადგმა არ შეუძლია თქვენი მონა-მორჩილი მსახურ გერის დაუხმარებლად.

გერი ძველებურად იღიმებოდა და ოქროს კოვზს ათამაშებდა. ვუყურებდი მას და მის მიმართ იმდენ სიძულვილს არ ვგრძნობდი, რამდენადაც თანავუგრძნობდი „პუ-ფუს“ უბედურ თანამშრომლებს. ეტყობა, გერი ფიქრებს მიმიხვდა, უზარმაზარი ღიპი ამობურცა და დააყოლა:

- არა, ჩემო ბატონო, „პუ-ფუს“ ყველა თანამშრომელი როდის იცავს მუშათა ინტერესებს. თითოეული კაპა ხომ პირველ რიგში თავის საკუთარ ინტერესებს იცავს, ასე ვართ ჩვენ მოწყობილნი. გარდა ამისა, მდგომარეობა კიდევ ერთი გარემოებით რთულდება. საქმე ის არის, რომ არც მე შემიძლია თავისუფლად ვიმოქმედო. თქვენი აზრით, ვინ მმართავს მე? ჩემი მეუღლე, მშვენიერი ქალბატონი გერი. გერმა გადაიხარხარა.

- ქალბატონ გერის ბრძანებათა აღსრულება დიდი ბედნიერებაა, თავაზიანად ვუპასუხე.

- ყოველ შემთხვევაში, მე კმაყოფილი ვარ. მაგრამ ყველაფერ ამაზე გულახდილი საუბარი შემიძლია მხოლოდ თქვენთან, რამდენადაც თქვენ კაპა არა ხართ.

- მაშ, საბოლოო ჯამში ქალბატონი გერი მართავს „კუორაკსის“ კაბინეტს?

- ჰმ... მართალი გითხრათ, არ ვიცი, შეიძლება თუ არა ასე ითქვას... თუმცა ამ შვიდიოდე წლის წინათ დიახაც ძუს გამო ვომობდით.

- ომობდით? მაშასადამე, თქვენთანაცაა ომები?

- რა თქმა უნდა, და კიდევ რამდენჯერ ვიომებთ! ხომ იცით, ვიდრე მეზობელი სახელმწიფოები არსებობენ...

პირველად მაშინ გავიგე, რომ კაპების ქვეყანა ამ სამყაროში ერთადერთი თავისებური სახელმწიფო არაა. გერმა თქვა, უძველესი ხანიდან კაპების პოტენციურ მტრად წავები ითვლებიანო, წავების შეიარაღება და აღჭურვილობა არაფრით ჩამოუვარდება კაპების შეიარაღებასა და აღჭურვილობასო. კაპებისა და წავებს შორის ომებზე საუბარმა დიდი ცნობისწადილი აღმიძრა. ის ამბავი, რომ წავების სახით კაპებს ძლიერი მოწინაღმდეგე ჰყავთ, ჭეშმარიტად უცნობია „სუიკუკორიაკუს“ ავტორისათვის და, მით უმეტეს უცნობია „იამასიმას ხალხური ლეგენდების კრებულის ავტორ კუნიო იანაგიდასთვის.

- თავისთავად იგულისხმება, - განაგრძობდა გერი, - რომ ომის წინ ორივე მხარე განუწყვეტლივ ზვერავდა ერთმანეთს. ჩვენ ხომ პანიკურად გვეშინოდა წავებისა, ზუსტად ისევე, როგორც წავებს ეშინიათ ჩვენი. და აი, ამ დროს ვიღაც ჩვენს სახელმწიფოში მცხოვრები წავი ეწვია ერთ კაპა ცოლ-ქმარს, როცა ამ ოჯახის ძუს განზრახული ჰქონდა ქმარი მოეკლა. ის კაცი დიდი გარყვნილი ვინმე იყო და გარდა ამისა, საკუთარი სიცოცხლე დაზღვეული ჰქონდა, რამაც ალბათ არანაკლებ აცდუნა ძუ.

- თქვენ იცნობდით მათ?

- დიახ... თუმცა არა, მე ვიცნობდი მხოლოდ ხვადს, ქმარს. ჩემს მეუღლეს იგი მტარვალად მიაჩნია, მაგრამ, ჩემი აზრით, იმდენად მტარვალი არაა, რამდენადაც ის უბედური ჭკუაზე შეშალა სექსზე ფიქრმა, სულ ეჩვენებოდა, ძუები მომსდევენო... ჰოდა, აი, ცოლმა კაკაოში კალიუმციანი ჩაუყარა. არ ვიცი, როგორ მოხდა, მაგრამ საწამლავიანი ფინჯანი სტუმარ წავს დაუდგეს. მან დალია და, რა თქმა უნდა, მოკვდა. და აი, მაშინ...

- ომი დაიწყო?

- დიახ. საუბედუროდ, ის წავი ორდენოსანი გახლდათ.

- ვინ გაიმარჯვა?

– რა თქმა უნდა, ჩვენ. ამ გამარჯვებას მამაცურად შესწირა თავი სამას სამოცდაცხრა ათას ხუთასმა კაპამ! მაგრამ ეს დანაკარგი მოწინააღმდეგის დანაკარგზე შედარებით უმნიშვნელოა. წავის ბეწვეულის გარდა ჩვენში სხვა ბეწვეულს ვერც ნახავ. მე თვითონ ომის დროს შუშის ნაწარმის გარდა ფრონტს ქვანახშირის წიდასაც ვუგზავნიდი.

- რისთვის სჭირდება ფრონტს ქვანახშირის წიდა?!

- ეს ხომ საკვებია. ჩვენ, კაპებს, თუკი კუჭმა შეგვაწუხა, ყველაფრით შეგვიძლია გამოკვება.

- იცით რა... ნუ გეწყინებათ, გეთაყვა, მაგრამ ბრძოლის ველზე მყოფი კაპებისათვის... ჩვენთან, იაპონიაში ასეთი მოღვაწეობისთვის სამარცხვინო ბოძზე გააკრავდნენ.

- ეჭვი ნუ შეგეპარებათ, ჩვენთანაც გააკრავდნენ სამარცხვინო ბოძზე, მაგრამ ვინაიდან მე თვითონ ვაღიარებ ამას, სხვა ვეღარ შემარცხვენს. იცით, რას ამბობს ფილოსოფოსი მაგი? „შენ მიერ ჩადენილი ბოროტება თუ აღიარე, ბოროტება თავისთავად გაქრება“...

ამასთან ისიც მიიღეთ მხედველობაში, რომ მარტო მოგების სურვილი კი არ მამოძრავებდა, არამედ პატრიოტიზმის კეთილშობილური გრძნობაც!

იმწუთს კლუბის ლაქია მოგვიახლოვდა, გერს თავი დაკრა და, თითქოს სცენაზეა, ისე მიმართა:

- თქვენს მეზობელ სახლში ხანძარია!

- ხაა... ხანძარი!

გერი შეშინებული წამოხტა. რა თქმა უნდა, მეც ავდექი. ლაქიამ ცივად დაუმატა:

- მაგრამ ხანძარი უკვე ჩააქრეს.

გერმა ისეთი გამომეტყველებით გააცილა ლაქია, თითქოს თან ტირის და თან იცინისო. და სწორედ მაშინ მივხვდი, რომ შუშის ქარხნის დირექტორი დიდი ხანია მეზიზღებოდა. ჩემ წინ ყველაზე დიდი კაპიტალისტი კი არა, ჩვეულებრივი რიგითი კაპა იდგა. ლარნაკიდან ზამთრის ვარდების თაიგული ამოვიღე, გერს გავუწოდე და ვუთხარი:

- ხანძარი ჩაუქრიათ, მაგრამ თქვენი მეუღლე ალბათ ძალზე აღელვებულია. ინებეთ ეს ყვავილები და შინისაკენ გასწიეთ.

- გმადლობთ...

გერმა ხელი ჩამომართვა. შემდეგ კმაყოფილებით ჩაიქირქილა და ჩურჩულით წარმოთქვა:

- ეს მეზობელი სახლიც მე მეკუთვნის. ახლა დაზღვევის პრემიას მივიღებ. დღესაც

  მახსოვს მისი ქირქილი... არ შემეძლო გერი ამ წუთს არ მძულებოდა.

10

- დღეს რა მოგივიდა? - ვკითხე სტუდენტ რაპს, - ასე რამ დაგაღონა?

ხანძრის მეორე დღეს ჩემს სასტუმრო ოთახში ვისხედით. სიგარეტს ვაბოლებდი, რაპს კი შეწუხებული სახე ჰქონდა. ფეხი ფეხზე გადაედო და ისე თავჩაქინდრული ჩაშტერებოდა იატაკს, დამპალი ნისკარტი არც კი უჩანდა.

- მაინც რა მოგივიდა, რაპ? როგორც იყო, თავი ასწია.

- ისეთი არაფერი, - დუდღუნა ხმით ნაღვლიანად გამომეპასუხა, - დღეს ფანჯარასთან ვიდექი

და სხვათა შორის, ჩემთვის ჩავილაპარაკე, ოჰო, აი, უკვე ცვარიანა-ბუზიჭერიებიც აყვავდა-მეთქი... და თქვენ წარმოიდგინეთ, ჩემი და უცებ გააფრთდა და მომვარდა: „შენ რა, მე ბუზიჭერია გგონივარ?“ ჰოდა, შარი ამიტეხა. დედაჩემიც მაშინვე აჰყვა. ის ყოველთვის ჩემს დას ემხრობა ხოლმე.

- კი, მაგრამ აყვავებულ ბუზიჭერიას რა კავშირი აქვს შენს დასთან?

- ალბათ იფიქრა, მე გადამიკრაო, რაკი ნიადაგ ხვადებს დასდევს. ამ ალიაქოთში დეიდაჩემიც ჩაერია - მას და დედას ყოველთვის უთანხმოება აქვთ, საშინელი აურზაური ატყდა. ჩვენი აყალმაყალი მუდამ მთვრალმა მამაჩემმაც გაიგო და ყველას განურჩევლად ცემა-ტყეპა დაგვიწყო. ბოლოს ჩემმა უმცროსმა ძმამ ამ ალიაქოთით ისარგებლა, დედაჩემს ფულით სავსე ქისა მოპარა და მოცოცხა... არ ვიცი, კინოში თუ სადღაც სხვაგან. ხოლო მე... მე უკვე...

რაპმა ხელები აიფარა სახეზე და უხმოდ აქვითინდა. რა თქმა უნდა, შემეცოდა, რა თქმა უნდა, ისიც მაშინვე გამახსენდა, როგორ ეზიზღებოდა ოჯახურ ურთიერთობათა სისტემა პოეტ ტოკს. რაპს მხარზე დავკარი ხელი და, როგორც შემეძლო ისე ვანუგეშე.

- ეს ყველა ოჯახში ხდება, - ვუთხარი, - ასე არ უნდა აიშალო ნერვები.

- ნისკარტი, ნისკარტი მაინც მქონდეს მთელი...

- აბა, მაგას ვერაფრით გაამართლებ. მომისმინე, ტოკთან ხომ არ გაგვევლო, ჰა?

- ბატონ ტოკს ვეზიზღებოდი. მე ხომ არ შემიძლია მასავით სამუდამოდ მივატოვო ოჯახი.

- მაშინ კრაბაკს ვეწვიოთ.

იმ კონცერტის მერე, რომელზეც უკვე მოგახსენეთ, კრაბაკს დავუმეგობრდი და შემეძლო რაპიც წამეყვანა დიდი მუსიკოსის სახლში. კრაბაკი უფრო ფუფუნებით ცხოვრობდა, ვიდრე თუნდაც ტოკი, მაგრამ, რა თქმა უნდა, არა ისე, როგორც კაპიტალისტი გერი. მისი ოთახი წითელი თიხის ქანდაკებებით, სპარსული კერამიკით და ყოველნაირი სუვენირებით იყო გამოტენილი. იქ თურქულ დივანზე იდგა. თვითონ კრაბაკი ჩვეულებრივად თურქულ დივანზე იჯდა საკუთარი სურათის ქვეშ და შვილებს ეთამაშებოდა. როცა მივედით, რატომღაც მარტო იყო. შუბლშეკრული იჯდა და მკერდზე ხელები გადაეჯვარედინებინა. პოეტ ტოკთან ერთად რაპი ალბათ ხშირად ხვდებოდა კრაბაკს. მაგრამ ახლა, როგორც კი დაინახა, კრაბაკი ცუდ გუნებაზეაო, მაშინვე შეშინდა, გაუბედავად დაუკრა თავი და ჩუმად მიჯდა კუთხეში.

- რა მოხდა, კრაბაკ? - ვკითხე მისალმებისთანავე.

- კიდევ მეკითხები? - გამომეპასუხა დიდი მუსიკოსი, - როგორ მოგწონს ეს კრეტინი კრიტიკოსი? გამოაცხადა, თითქოს ჩემი ლირიკა არაფრად არ ვარგა ტოკის ლირიკასთან შედარებით.

- მაგრამ შენ ხომ მუსიკოსი ხარ...

- დამაცა, ამის მოთმენა კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ ეს არამზადა იმასაც ამტკიცებს, რომ როკთან შედარებით არარაობა ვარ და მუსიკოსი არც შეიძლება მიწოდონ!

როკი ის მუსიკოსია, რომელსაც მუდამ ადარებენ კრაბაკს. სამწუხაროდ, ის ზეკაცთა კლუბს არ ეკუთვნოდა და მასთან არასოდეს მისაუბრია. მაგრამ გაზეთებში გამოქვეყნებული ფოტოსურათებიდან კარგად ვიცოდი მისი სიფათი, მისი დამახასიათებლად აპრეხილი ნისკარტი.

- როკიც, რა თქმა უდა, გენიოსია, - ვთქვი მე, - მაგრამ მის ნაწარმოებებს აკლია თანამედროვე ვნება, რაც შენი მუსიკიდან ჭარბად იღვრება.

- ნამდვილად ასე ფიქრობ? - ჰო, სწორედ მასე ვფიქრობ.

კრაბაკი უცებ წამოხტა, ერთ-ერთ ტანაგრულ ქანდაკს ხელი დასტაცა და იატაკზე დაანარცხა. შეშინებულმა რაპმა შეჰკივლა და გაქცევა დააპირა, მაგრამ კრაბაკმა მბრძანებლურად გვანიშნა, დამშვიდდითო, და შემდეგ ცივად დაუმატა:

- ასე იმიტომ ფიქრობ, რომ, როგორც ყველა მომაკვდავს, სმენა არ გაგაჩნია, მე კი როკისა მეშინია.

- შენ? თუ შეიძლება თავმდაბლობას მოეშვი!

- მე და თავმდაბალი? რატომ უნდა ვიყო თავმდაბალი? მე თქვენთან უფრო თავმდაბლურად არ მომაქვს თავი, ვიდრე კრიტიკოსებთან. მე, კრაბი, გენიოსი ვარ. ამ გაგებით, როკისა არ მეშინია.

- მაშ, რიღასი გეშინია?

- რაღაც გაურკვეველის... შეიძლება იმ ვარსკვლავისა, რომელზეც როკი დაიბადა.

- რაღაც არ მესმის შენი.

- ვეცდები სხვანაირად აგიხსნა, გასაგები რომ იყოს: როკი ჩემს გავლენას არ განიცდის. მე კი ჩემდა შეუმჩნევლად როკის გავლენას განვიცდი.

- შენი აღქმა...

- გეყოფა ერთი, გეთაყვა! რა შუაშია აქ აღქმა? როკი მუშაობს მშვიდად და დარწმუნებით. ის მხოლოდ იმას აკეთებს, რისი დაძლევაც შეუძლია. მე კი ასეთი არა ვარ. ყოველთვის გაღიზიანებული და დაბნეული ვარ. შეიძლება როკი ფიქრობს, რომ ჩვენ ერთი ნაბიჯიც არ გვაშორებს ერთმანეთს. მე კი მგონია, ჩვენ ათობით მილი გვყოფს.

- კი მაგრამ, მაესტრო, თქვენი „გმირული სიმფონია“!.. - მორიდებულად ჩაილაპარაკა რაპმა.

- გაჩუმდი! - კრაბაკს ისედაც წვრილი თვალები უფრო დაუწვრილდა და ზიზღით გადახედა სტუდენტებს, - შენ რა გესმის? შენ და შენს მსგავსებს! მე როკს უკეთ ვიცნობ ვიდრე ყველა ის ძაღლი, ფეხებს რომ ულოკავენ.

- კარგი, კარგი. დამშვიდდი.

- დამშვიდება რომ შემეძლოს... მე ხომ მხოლოდ ამაზე ვოცნებობ... ვიღაცა უჩინარმა დაცინვა მომინდომა და ჩემს გზაზე როკი წამოიჭიმა. ფილოსოფოს მაგს ეს კარგად ესმის, დიახ-დიახ, ესმის, თუმცა თავისი შვიდფერა ფარნის ქვეშ დაძენძილ ფოლიანტებს ფურცლავს მხოლოდ...

- ეს რას ნიშნავს?

- აბა მისი უკანასკნელი წიგნი „იდიოტის სიტყვა“ წაიკითხე.

კრაბაკმა წიგნი მომაწოდა, უფრო სწორედ, გადმომიგდო. შემდეგ კვლავ გადაიჯვარედინა მკერდზე ხელები და უხეშად გვითხრა:

- მშვიდობით.

მე და საბოლოოდ დაძმარებული რაპი კვლავ ქუჩაში აღმოვჩნდით. როგორც ყოველთვის, ქუჩა ახლაც ხალხით იყო სავსე. წიფლის ხეივნის ჩრდილში ათასნაირი დუქანი და მაღაზია ჩამწკრივებულიყო. რამდენიმე ხანს ჩუმად მივდიოდით.

მოულოდნელად გრძელთმიანი პოეტი ტოკი შემოგხვდა. დაგვინახა თუ არა, გაჩერდა, მუცლის ჩანთიდან ცხვირსახოცი ამოიღო და შუბლზე ოფლის მოწმენდა დაიწყო.

- დიდი ხანია ერთმანეთი არ გვინახავს, - თქვა მან, - ახლა კრაბაკთან მივდივარ, რა ხანია არც მასთან შემივლია...

არ მინდოდა ხელოვნების ამ ორ მოღვაწეს ჩხუბი მოსვლოდა და გადაკვრით ვაგრძნობინე ტოკს, კრაბაკი თავს რაღაც კარგად ვერა გრძნობს-მეთქი.

- მაშ ასეა? - თქვა ტოკმა, - რა ვქნა, ვიზიტს გადავდებ. თუმცა კრაბაკი ხომ ნევრასთენიკია... სიტყვამ მოიტანა და მეც ბოლო დროს უძილობა დამჩემდა.

- იქნებ ჩვენთან ერთად გამოგესეირნა?

- არა, სჯობია არა... უჰ! ტოკი აცახცახებული ჩაეჭიდა ჩემს ხელს. თავიდან ფეხებამდე

ცივმა ოფლმა დაასხა.

- რა დაგემართა?

- მომეჩვენა, თითქოს იმ მანქანის ფანჯრიდან მწვანე მაიმუნმა გამოჰყო თავი.

შევშფოთდი და ტოკს ვურჩიე, ყოველ შემთხვევაში ექიმ ჩაკს ეჩვენე-მეთქი. დაჟინებით ვთხოვდი, მაგრამ მოსმენაც არ სურდა. უმიზეზოდ დაეჭვებულმა დაგვიწყო ცქერა და ბოლოს გამოგვიცხადა:

- ანარქისტი არასოდეს ვყოფილვარ. დაიხსომეთ ეს და არასოდეს დაივიწყოთ... ახლა კი მშვიდობით. მაპატიეთ, გეთაყვა, მაგრამ თქვენი ექიმი ჩაკი არ მჭირდება.

დაბნეულები ვიდექით, მიმავალ ტოკს მივჩერებოდით... თუმცა არა, ორივე კი არა, მარტო მე. სტუდენტი რაპი შუა ქუჩაში იდგა. მოხრილი ხელები მიწაზე დაებჯინა, განზე გაწეული ფეხებიდან თავი გამოეყო და ავტომობილებისა და გამვლელთა

უწყვეტ ნაკადს ათვალიერებდა. ვიფიქრე, ესეც გაგიჟდა-მეთქი, და მისი წელში გამართვა დავაპირე. - ეს რა ოინებია? რას აკეთებ? რაპმა თვალები მოიწმინდა და ჩემდა მოულოდნელად მშვიდად მიპასუხა:

- დიდი არაფერი. უბრალოდ, ისე შემზიზღდა ყველაფერი, გადავწყვიტე ქვეყანა ამობრუნებული დამენახა. აღმოჩნდა, თურმე იგივეა.

11 აი, ზოგიერთი გამონათქვამი ფილოსოფოს მაგის წიგნიდან „იდიოტის

სიტყვა“. იდიოტი დარწმუნებულია, რომ მის გარდა ყველანი იდიოტები არიან.

*

ჩვენი სიყვარული ბუნებისადმი, სხვათა შორის, იმითაც აიხსნება, რომ ბუნებას არც ვეზიზღებით და არც ვძულვართ.

*

ცხოვრების ყველაზე ბრძნული წესია, რომ გინდაც გეზიზღებოდეს შენი დროის ზნეჩვეულებანი, ერთხელაც არ გადაუხვიო ამ ზნე-ჩვეულებებს.

*

ჩვენ ყველაზე ძლიერ გვსურს იმით ვიამაყოთ, რაც არ გვაბადია.

*

კერპების დამხობის წინააღმდეგ არავინ გამოდის. ამავე დროს არავინაა წინააღმდეგი იმისა, რომ თვითონვე გახდეს კერპი. მაგრამ კვარცხლბეკზე მშვიდად დგომა მხოლოდ ღმერთების განსაკუთრებული წყალობით დაჯილდოებულთ შეუძლიათ - იდიოტებს, ბოროტმოქმედებს, გმირებს (ეს ადგილი კრაბაკს ბრჭყალებით გაეხაზა).

*

ჩვენი ცხოვრებისათვის აუცილებელი ყველა იდეა ალბათ ჯერ კიდევ სამი ათასი წლის წინათ უთქვამთ. ჩვენ მხოლოდ ის დაგვრჩენია, რომ ცეცხლი ხელახლა მივუმატოთ.

*

ჩვენი თავისებურება ის არის, რომ მუდმივად შეგვიძლია საკუთარი შეგნების გადალახვა.

თუ ბედნიერება ტკივილის გარეშე შეუძლებელია, ხოლო სამყარო იმედის გაცრუების გარეშე, მაშინ?..

*

საკუთარი თავის დაცვა უფრო ძნელია, ვიდრე სხვისი. ვისაც ეს ეეჭვება, ვექილს მიმართოს.

*

მედიდურობა, ავხორცობა, ეჭვი - აი, სამი მიზეზი უკანასკნელი სამი ათასწლეულის გამოცდილების მიხედვით ცნობილი ყველა მანკიერებისა.

*

ფიზიკურ მოთხოვნილებათა ალაგმვა მშვიდობას სრულებითაც არ ამყარებს. მშვიდობის მოპოვებისათვის ჩვენვე უნდა მოვთოკოთ ჩვენი სულიერი მოთხოვნილებანიც (კრაბაკს აქაც დაეტოვებინა თავისი ბრჭყალის ნაკვალევი).

*

ადამიანები კაპებზე უფრო ბედნიერნი არიან. ადამიანები ისე განვითარებულნი არ არიან, როგორც კაპები (ამას რომ ვკითხულობდი, ღიმილის შეკავება ვერ შევძელი).

*

შესრულება - შეძლებას ნიშნავს, ხოლო შეძლება - შესრულებას. საბოლოო ჯამში ჩვენ არ ძალგვიძს ამ ჯადოსნურ წრეს თავი დავაღწიოთ. სხვანაირად რომ ვთქვათ, ამაში არავითარი ლოგიკა არაა.

*

ბოდლერი ჭკუაზე რომ შეირყა, თავისი მსოფლმხედველობა მხოლოდ ერთი სიტყვით გამოხატა და სიტყვა იგი იყო „ქალი“. მაგრამ თვითგამოხატვისათვის არ უნდა ეთქვა ასე. მას გადაჭარბებული იმედი ჰქონდა საკუთარი გენიისა, პოეტის გენიისა, რომელიც განაპირობებდა მის არსებობას. ამიტომ სხვა სიტყვა დაავიწყდა - სიტყვა „კუჭი“ (კრაბაკის ბრჭყალის ნაკვალევი აქაც ემჩნეოდა).

*

გონებას ყოველთვის რომ მივსდიოთ, აუცილებლად მივალთ საკუთარი არსებობის უარყოფამდე. ის გარემოება, რომ გონების გამაღმერთებელი ვოლტერი თავის სიცოცხლეში

ბედნიერი იყო, კიდევ ერთხელ გვიმტკიცებს ადამიანთა ჩამორჩენილობას კაპებთან შედარებით. **12**

ერთ დღეს საკმაოდ გრილოდა. „იდიოტის სიტყვის“ კითხვა მომწყინდა და ფილოსოფოს მაგთან გავეშურე. რომელიღაც უკაცრიელი ჩიხის კუთხეში მოულოდნელად მოვკარი თვალი კოღოსავით გამხდარ კაპას. კედელს უნდილად მიყრდნობოდა. უმალ ვიცანი, ის იყო, ავტოკალამი რომ მომპარა. „ჩავავლე!“ - გავიფიქრე და უმალვე გამვლელ უზარმაზარ პოლიციელს მოვუხმე.

- დააკავეთ, გეთაყვა, აი, ეს კაპა, - მივმართე მე, - დაახლოებით ერთი თვის წინ ავტომატური კალამი მომპარა.

პოლიციელმა ხელკეტი აღმართა (იმ ქვეყანაში პოლიციელები ხმლის მაგიერ ურთხმელის ხელკეტს ატარებენ) და ქურდს დაუყვირა: „ეი შენ, აქ მოდი!“ მეგონა, ქურდი გაიქცეოდა. თქვენც არ მომიკვდეთ, ძალიან მშვიდად, უფრო მეტიც, გულზე ხელდაკრეფილი როგორღაც ქედმაღლურად, გვიმზერდა. ასეთ საქციელზე, სხვათა შორის, პოლიციელი სულაც არ გაბრაზებულა. მან მუცლის ჩანთიდან წიგნაკი ამოიღო და დაკითხვას შეუდგა:

- სახელი?

- გრუკი.

- რას საქმიანობ?

- ბოლო დრომდე ფოსტალიონად ვმუშაობდი.

- ძალიან კარგი. აი, ეს კაცი ამტკიცებს, ავტომატური კალამი მომპარაო.

- დიახ, ეს დაახლოებით ერთი თვის წინ მოხდა.

- რად მოპარე?

- ჩემს ბავშვს მივუტანე სათამაშოდ. პოლიციელი გრუკს ჩააშტერდა.

- მერე ეს ბავშვი?

- ერთი კვირის წინ მოკვდა.

- ცნობა გარდაცვალების შესახებ თან გაქვს?

გამხდარმა კაპამმუცლის ჩანთიდან ქაღალდი ამოაცურა დაპოლიციელს გაუწოდა. უკანასკნელმა თვალი გადაავლო, გაიღიმა და გრუკს მხარზე მოუთათუნა ხელი:

- ყველაფერი წესრიგშია. მაპატიე, რომ შეგაწუხე.

ძალზე გავვოცდი და პოლიციელს შევხედე. გამხდარმა კაპამ რაღაც ჩაიბურტყუნა თავისთვის და წავიდა. ბოლოს გონს მოვედი და პოლიციელს ვკითხე:

- რატომ გაუშვით?

- არ არის დამნაშავე, - მიპასუხა პოლიციელმა.

- მან ხომ კალამი მომპარა.

- ქურდობა ბავშვის გამო ჩაიდინა, ბავშვი კი მოჰკვდომია. თუ თქვენ გეეჭვებათ რამე, სისხლის სამართლის კოდექსის ათას ორას ოთხმოცდამეხუთე მუხლი წაიკითხეთ.

პოლიციელი შეტრიალდა და სწრაფი ნაბიჯით გამცილდა. რა უნდა მეღონა? მაგისკენ გავეშურე. თან გუნებაში ვიმეორებდი: „სისხლის სამართლის ათას ორას ოთხმოცდამეხუთე მუხლი“.

ფილოსოფოს მაგს სტუმრები უყვარდა. ამ დღეს ნახევრად ბნელ ოთახში შეკრებილიყვნენ მოსამართლე ბეპი, ექიმი ჩაკი და შუშის ფირმის დირექტორი გერი... ყველა სიგარას ეწეოდა, სიგარის ბოლი შვიდფერა ფარანთან იხვეოდა. ჩემთვის პირდაპირ მისწრება იყო მოსამართლე ბეპის იქ ყოფნა. დავჯექი თუ არა, მაშინვე მივმართე, მაგრამ ათას ორას ოთხმოცდამეხუთე მუხლზე კი არა, სხვა რამეზე შევეკითხე:

- დიდი ბოდიში, ბატონო ბეპ, მიბრძანეთ, თქვენს ქვეყანაში სჯიან თუ არა დამნაშავეებს?

ბეპმა მშვიდად გამოუშვა ოქროსზოლიანი სიგარის კვამლი და მოწყენილად მიპასუხა:

- რა თქმა უნდა, სიკვდილით დასჯის შემთხვევებიც არის.

- საქმე ის არის, რომ ერთი თვის წინ...

ავტოკალმის ქურდობის ამბავი დაწვრილებით მოვუყევი და შემდეგ სისხლის სამართლის ათას ორას ოთხმოცდამეხუთე მუხლის შინაარსი გამოვიძიე.

- ოჰო, - თქვა ბეპმა. - მუხლი ასე ამბობს: „როგორიც უნდა იყოს დანაშაული, დანაშაულის ჩამდენი პიროვნება სასჯელს არ იმსახურებს, თუკი მიზეზი ან გამეორება, რომელმაც გამოიწვია ეს დანაშაული, გამქრალია“. ავიღოთ თქვენი შემთხვევა. ჩადენილია ქურდობა, ქურდი მამა იყო, მაგრამ ახლა მამა აღარ არის და ამიტომ მისი დანაშაულიც თავისთავად მოისპო.

- რა უაზრობაა!

- რას ამბობთ, უაზრობა იქნებოდა, კაპა, რომელიც მამა იყო, გაგვეთანაბრებინა კაპასთავის, რომელიც მამაა... სხვათა შორის, მაპატიეთ, მაგრამ იაპონიის კანონები ხომ ამ განსხვავებას არ ითვალისწინებენ. მაგრამ ჩვენ, მაპატიეთდა, ეს სასაცილოდ მიგვაჩნია, ჰა-ჰა-ჰა...

ბეპმა სიგარა გადააგდო და გამყინავად გადაიხარხარა. მაშინ საუბარში ექიმი ჩაკი ჩაერია. პირი, რომელსაც იურისპრუდენციასთან საერთო არაფერი ჰქონდა; პენსნე შეისწორა და შემეკითხა:

- იაპონიაშიც სჯიან სიკვდილით?

- რა თქმა უნდა, სჯიან. სიკვდილით დასჯა ჩამოხრჩობაა. ბეპის გულგრილობამ

  გამაბრაზა და საჩქაროდ გაღიზიანებულმა დავუმატე:

- მაგრამ თქვენს ქვეყანაში, უეჭველია, უფრო სრულყოფილი ხერხებით სჯიან, განა ასე არაა?

- დიახ, ჩვენთან უფრო სრულყოფილად სჯიან. - ისევ ისე აუღელვებლად დაადასტურა ბეპმა, - ჩვენს ქვეყანაში ჩამოხრჩობა მიღებული არაა. საამისოდ ზოგჯერ ელექტრონს იყენებენ. საერთოდ კი ჩვენთან ელექტრობაც არ გამოიყენება. როგორც წესი, ჩვენთან უბრალოდ დამნაშავეს დანაშაულის სახელწოდებას გამოუცხადებენ. - და დამნაშავე ამის გამო კვდება?

- დიახ. კვდება. არ დაგავიწყდეთ, რომ კაპებს ნერვული სისტემა უფრო ნაზი გვაქვს, ვიდრე თქვენ, ადამიანებს.

- ასეთი ხერხი მარტო სიკვდილით დასჯისას კი არ გამოიყენება, არამედ კაცის მოკვლის დროსაც, - თქვა შუშის ფირმის დირექტორმა გერმა. დაცემული შუქი იასამნისფერს ჰფენდა და გულარხეინად მიღიმოდა და კინაღამ გული გამისკდა.

- ეს უფრო ხშირად ხდება, ვიდრე ჩვენ გვგონია. ახლახან ერთი ჩემი ნაცნობი ვექილი ასე მოკვდა.

ახლა ფილოსოფოსი მაგი ჩაერთო საუბარში, მე მისკენ მივბრუნდი. მაგი არავის უყურებდა, მისთვის ჩვეული ირონიული ქირქილით განაგრძობდა:

- ვიღაცამ მას ბაყაყი უწოდა. თქვენ, რა თქმა უნდა, იცით, რომ ჩვენში მავანისთვის გნებავთ ბაყაყი გიწოდებიათ და გნებავთ არამზადაზე არამზადა... ჰოდა, ისიც ჩაფიქრდა. დღედაღამ ფიქრობდა, ბაყაყია თუ არა და ბოლოს და ბოლოს სულიც განუტევა.

- ეს მართლაც თვითმკვლელობაა, - ვთქვი მე.

- და მაინც ბაყაყი უწოდეს მოკვლის მიზნით. თქვენ ადამიანებმა, ეს ამბავი შეიძლება თვითმკვლელობად მიიჩნიოთ...

სწორედ იმ წამში, კედლის მიღმა, სადაც პოეტ ტოკის ბინა იყო, დამბაჩამ იჭექა.

13

დაუყოვნებლივ გავიქეცით იქით. ტოკი იატაკზე გაშხლართულიყო, მაღალი მთის მცენარეთა ქოთნებს შორის. მარჯვება ხელში დამბაჩა ჩაებღუჯა, თავის ლამბაქიდან სისხლი გადმოჩქეფდა. მის გვერდით ძუ დამხობილიყო, სახით მკერდზე მიხუტებოდა დაღრიალებდა. მხრებზე ხელები მოვხვიე დაწამოვაყენე (ჩვეულებრივად ვცდილობ კაპას სრიალა კანს არ შევეხო). მე მას ვკითხე:

- როგორ მოხდა?

- არ ვიცი, არაფერი არ ვიცი. იჯდა, რაღაცას წერდა და უცებ თავში დაიხალა... ახლა რა მეშველება? ურ-რ-რ... უ-რ-რ... (კაპები ასე ტირიან).

შუშის ფირმის დირექტორმა გერმა ნაღვლიანად გააქნია თავი და მოსამართლე ბეპს უთხრა:

– აი, სადამდე მივყავართ ჭირვეულობას.

ბეპმა არაფერი უპასუხა და ოქროსზოლიანი სიგარა გააბოლა. ექიმი ჩაკი ჩაცუცქდა, ჭრილობა შეათვალიერა, მერე წამოდგა და ყველას პროფესიულ კილოზე მოგვმართა:

- ყველაფერი დასრულდა. ტოკს კუჭის დაავადება აწუხებდა, მარტო ესეც საკმარისი იყო, სრულებით გამოსულიყო მწყობრიდან.

- უყურეთ, - ისე ჩაილაპარაკა ფილოსოფოსმა მაგმა, თითქოს თვითმკვლელს ამართლებსო, - აი, აქ რაღაც ჩანაწერია.

მაგიდიდან ქაღალდის ფურცელი აიღო. ყველა (ჩემ გარდა) მაგის უკან შეგროვდა, კისრები წაიგრძელეს და მის განიერ ბეჭებიდან ჩანაწერს ჩააშტერდნენ:

წადი ველობში,
ჩვენს მსოფლიოს რომელიც საზღვრავს, იქ
წმინდა მთები და ანკარა წყაროებია და დგას
სურნელი ყვავილების და მწვანე კვამლის. მაგი
მოგვიბრუნდა და მწარედ ჩაიცინა:

- ეს პლაგიატობაა. გოეთეს „მინიონია“. როგორცა ჩანს, ტოკმა თავის მოკვლა კიდევ იმიტომ გადაწყვიტა, რომ, როგორც პოეტი, ამოიწურა.

სწორედ იმ დროს ტოკის სახლთან ავტომობილი გაჩერდა. კრაბაკი მოვიდა. ცოტა ხანს მდუმარედ იდგა კარებში და ტოკის გვამს უმზერდა. შემდეგ ჩვენთან მოვიდა და მაგს დაუღრიალა:

- ეს მისი ანდერძია?

- არა. უკანასკნელი ლექსია.

- ლექსია?

კრაბაკს თმა ყალყზე დაუდგა. მუდამ აუღელვებელმა მაგმა მშვიდად გაუწოდა ფურცელი. კრაბაკს სხვებისათვის არც შეუხედავს, ისე ჩააცქერდა ლექსის სტრიქონებს. კითხულობდა და კითხულობდა ხელახლა, მაგის შეკითხვებს ყურადღებას აღარ აქცევდა.

- რას ფიქრობთ თვითმკვლელობაზე?

- ადექი... მეც როდისმე მოვკვდები... ველობში, ჩვენს მსოფლიოს რომელიც საზღვრავს. - თქვენ ხომ, მგონია, ტოკის ერთ-ერთი უახლოესი მეგობარიბრძანდებით?

- მეგობარი? ტოკს არასოდეს ჰყოლია მეგობარი. ველობში, ჩვენს მსოფლიოს რომელიც საზღვრავს... სამწუხაროდ, ტოკი... იქ წმინდა მთებია...

- სამწუხაროდ?..

- კამკამა წყლები... ბედნიერი უნდა იყოთ... იქ წმინდა მთებია...

ტოკის ძუ კიდევ ტიროდა, შემეცოდა, მხრებზე ხელი მოვხვიე და ოთახის კუთხეში მდგარი ტახტისკენ წავიყვანე. მისი ორი-სამი წლის ნაშიერი იქ იჯდა და იცინოდა. როგორც ჩანს, არაფერი გაეგებოდა. ძუ დავსვი, ნაშიერი ავიყვანე და ცოტა გავანანავე. ვიგრძენი, თვალები ცრემლით ამევსო. ეს პირველი და ერთადერთი შემთხვევა იყო, როცა კაპების ქვეყანაში ვტიროდი.

- ცოდოა ამ უსაქმურის ოჯახი, - შენიშნა გერმა.

- ჰო, ასეთები სულაც არ ფიქრობენ, რა მოჰყვება მათ სიკვდილს, - უპასუხა მოსამართლე ბეპმა, თან ჩვეულებრივ სიგარა გააბოლა.

ყველა შეგვაძრწუნა კრაბაკის ხმამაღალმა შეძახებამ. ლექსიან ფურცელს აქნევდა, უმისამართოდ გაჰყვიროდა:

- შესანიშნავია? ეს შესანიშნავი სამგლოვიარო მარში იქნება!

ვიწრო თვალები გაუბრწყინდა, მაგს საჩქაროდ ჩამოართვა ხელი და გასასვლელისკენ გავარდა. ამასობაში ტოკის მეზობლების გარდა მოზრდილი ბრბო შეკრებილიყო კართან, ისინი ცნობისმოყვარედ იცქირებოდნენ ოთახში. კრაბაკმა უხეშად და მოურიდებლად გასწი-გამოსწია ისინი და მანქანაში ჩასკუპდა. იმავე წუთს

ავტომანქანა აგუგუნდა, ადგილიდან მოწყდა და მოსახვევში გაუჩინარდა. - აბა, აბა, დაიშალეთ, ნეტავ, რას უყურებთ! - ცნობისმოყვარეებს გადასძახა ბეპმა.

ბეპმა პოლიციელის ვალდებულებანი იკისრა, ბრბო გაჰყარა და კარი გასაღებით დაკეტა. ალბათ ამიტომაც ოთახში მოულოდნელად სიჩუმე გამეფდა. ამ სიჩუმეში და მაღალი მთის მცენარეთა ყვავილებისა და ტოკის სისხლის სუნით დახუთულ ჰაერში ჩვენ განვიხილეთ საკითხი დაკრძალვის თაობაზე. მხოლოდ ფილოსოფოსი მაგი დუმდა, დაბნეულად დაჰყურებდა გვამს და რაღაცაზე ფიქრობდა, მხარზე ხელი დავარტყი და ვკითხე:

- რაზე ფიქრობთ?

- კაპების ცხოვრებაზე.

- მერე?

- ცხოვრებამ რომ დაგვაკმაყოფილოს, ამისათვის ჩვენ, კაპებმა, რაც უნდა იყოს... - მაგმა რატომღაც მორცხვად დაუწია ხმას, - რაც უნდა იყოს, უნდა ვირწმუნოთ მათი ძლიერება, ვინც კაპა არაა.

14

მაგის სიტყვებმარელიგია გამახსენა. მატერიალისტი ვიყავიდა თავისთავად იგულისხმება, სერიოზულად რელიგიას არასოდეს ვუწევდი ანგარიშს. ახლა კი, ტოკის სიკვდილით შეძრწუნებული, უცაბედად დავფიქრდი: ნეტა როგორია კაპების ქვეყნის რელიგია? - ამ კითხვით დაუყოვნებლივ მივმართე სტუდენტ რაპს.

- ჩვენ ქრისტიანებიცა გვყავს და ბუდისტებიც, მაჰმადიანებიცა და ცეცხლთაყვანისმცემლებიც, -

მიპასუხა მან, - მაგრამ ყველაზე დიდი გავლენით ეგრეთ წოდებული „თანამედროვე რელიგიის“ მიმდევარნი სარგებლობენ. მას კიდევ „ცხოვრების რელიგიას“ უწოდებენ.

(შესაძლოა „ცხოვრების რელიგია“ მთლად ზუსტი თარგმანი ვერ იყოს. კაპების ენაზე ეს სიტყვა „კუემუჩად“ გამოითქმის. დაბოლოება „ჩა“ ინგლისურ „იზმს“ ეთანადება. სიტყვა „კუემალის“ ფესვი „კუემუ“ მარტო ცხოვრებას, არსებობას კი არა, აგრეთვე „საჭმელით გაძღომას, ღვინის ხმას და სქესობრივ შეერთებასაც“ ნიშნავს).

- მაშ, თქვენს სახელმწიფოშიცაა თემები და ტაძრები?

- აქ არაფერია სასაცილო. თანამედროვე რელიგიის დიდი ტაძარი ჩვენი ქვეყნის ყველაზე დიდი ნაგებობაა. ნახვა არ გინდათ?

და აი, ერთ დახუთულ, ნისლიან დღეს რაპმა ამაყად წამიყვანა ტაძრის დასათვალიერებლად. ეს ტაძარი მართლაც უზარმაზარი შენობაა და ტოკიოს წმინდა ნიკოლოზის ტაძარზე ათჯერ დიდი. ეს კიდევ არაფერი. ამ შენობაში სულ სხვადასხვანაირი არქიტექტურული სტილია შერწყმული. ტაძრის წინ ვიდექი. მის მაღალ ქონგურებს და მრგვალ გუმბათებს რომ შევცქეროდი, რაღაც საშინელმა გრძნობამ შემიპყრო. ქონგურები და გუმბათები ურიცხვი

თათებივით აღმართულიყვნენ ზეცისაკენ. ჩვენ სადარბაზო კართან ვიდექით და (ჰოი, რა საოცრად პაწაწკინტელები მოვჩანდით!) თავაწეულნი დიდხანს შევცქეროდით უცნაურ ნაგებობას, ურჩხულს რომ უფრო ჩამოჰგავდა.

ტაძრის დარბაზებიც ძალზე ვრცელი იყო. კორინთელ სვეტებს შორის მრავალი მლოცველი დაბორიალობდა. თითოეული მათგანი, ჩემი და რაპისა არ იყოს, აქ ნამდვილად იოტისოდენა მოჩანდა. მალე წელში მოკაკულ ხნიერ კაპას შევხვდით. რაპმა თავი დახარა და პატივისცემით გამოელაპარაკა:

- ძალზე მოხარული ვარ, ასე ჯანმრთელს რომ გიყურებთ, პატივცემულო წინამძღვარო.

ბერმა თავი დაგვიკრა და ასევე ზრდილობიანად უპასუხა:

- თუ არ ვცდები, ბატონი რაპი ბრძანდებით? იმედი მაქვს, რომ თქვენც... - ამ დროს, როგორც ჩანს, შეამჩნია რაპის დამპალი ნისკარტი და ენა დაება, - ე... ე... ჰო. ყოველ შემთხვევაში ვიმედოვნებ, ძალიან არ უნდა გაწუხებდეთ, რით გემსახუროთ?

- ეს ბატონი მოვიყვანე ტაძარში, - თქვა რაპმა, - როგორც ალბათ თქვენთვის ცნობილია, ეს ბატონი...

რაპი დაწვრილებით მოჰყვა ჩემს თავგადასავალს. გეგონებოდა, თავისი ახსნაგანმარტებით ცდილობდა მოხუცს ისიც გაეგო, რომ ბოლო დროს ტაძარში სასიარულოდ მრავალი მნიშვნელოვანი გარემოება უშლიდა ხელს.

- გთხოვთ, ამ ბატონს ტაძარი დაათვალიერებინოთ. წინამძღვარმა მოწყალედ გამიღიმა, მომესალმა და შემდეგ ხმის ამოუღებლად გავემართეთ დარბაზის წინა ნაწილში მოთავსებულ საკურთხევლისკენ.

- სიამოვნებით გიჩვენებთ ყველაფერს, - წარმოთქვა მან, - მაგრამ ვშიშობ, დიდად ვერ გამოგადგებით. ჩვენ, მორწმუნენი, თაყვანს ვცემთ „ძელს ცხოვრებისას, რომელიც აქვეა საკურთხეველში. როგორც ხედავთ, „ძელს ცხოვრებისას ოქროსფერი და მწვანე ნაყოფი ასხია. ოქროსფერ ნაყოფს „სიკეთის ნაყოფი ჰქვია, მწვანეს კი „ბოროტებისა“...

ვუსმენდი და აუტანელ მოწყენილობას ვგრძნობდი. წინამძღვრის თავაზიანი ახსნაგანმარტებანი რომ დაასრულა, წელში მოხრილმა წინამძღვარმა მე და რაპი მარჯვნივ პირველ ნიშთან მიგვიყვანა, ბიუსტზე გვანიშნა და გვითხრა:

- აი, ერთი ჩვენი წმინდანთაგანი - სტრინდბერგი, ყველას წინააღმდეგ რომ ამხედრდა. ბევრის

აზრით, ეს წმინდანი დიდხანს იტანჯა, შემდეგ კი შვება პოვა სვედენბორგის ფილოსოფიაში - სინამდვილეში კი ვერც ამან უშველა. როგორც ჩვენ ყველა, ისიც „ცხოვრების რელიგიას“ აღიარებდა. უფრო სწორად, მას ამ რელიგიის აღიარება მოუწია. აიღეთ თუნდაც „ლეგენდები“, რომლებიც ამ წმინდანმა დაგვიტოვა. „ლეგენდებში“ ის აღიარებს, რომ თავის მოკვლა სცადა.

დავნაღვლიანდი და მომდევნო ნიშზე გადავიტანე მზერა. იქ ხშირულვაშა გერმანელის ბიუსტი იდგა.

- ეს კი ნიცშეა, ზარატრუსტას ბარდი. ამ წმინდანმა მერე თავის დახსნა სცადა ზეკაცისაგან, რომელიც თვითვე შექმნა. თუმცა ხსნა ვერ შეძლო და გაგიჟდა. რომ არ გაგიჟებულიყო, ალბათ წმინდანთა შორისაც არ მოხვდებოდა... წინამძღვარი ცოტა ხანს გაჩუმდა და მესამე ნიშთან მიგვიყვანა.

- ჩვენი მესამე წმინდანი ტოლსტოია. ამ წმინდანმა ყველაზე მეტად გაიტანჯა თავი, ვინაიდან წარმოშობით არისტოკრატი იყო და ცნობისმოყვარე ბრბოს წინაშე საკუთარი ტანჯვა-წამების გამხელას ვერ იტანდა. ეს წმინდანი ცდილობდა, ქრისტე ეწამა, რაც, რა თქმა უნდა, შეუძლებელია. ის ხომ ზოგჯერ საჯაროდაც აცხადებდა, მწამსო. და აი, სიცოცხლის ბოლოს

ვეღარ შეძლო ეს ტრაგიკული მატყუარობა. ცნობილია, რომ ამ წმინდანს კაბინეტის ჭერზე გადებული კოჭიც აშინებდა ხოლმე ზოგჯერ, მაგრამ თავი მაინც არ მოუკლავს - ეს თუნდაც იქიდან ჩანს, რომ ის წმინდანად აღიარეს.

მეოთხე ნიშში იაპონელის ბიუსტი იდგა. ამ იაპონელის სახე კარგად გავარჩიე, ვიცანი და, როგორც მოსალოდნელი იყო, ნაღველი შემომაწვა.

- ეს კუნიკიდა - დოპოა, - თქვა წინამძღვარმა, - პოეტი, რომელმაც ბოლომდე შეიცნო მუშის სული და მატარებლის ბორბლებს ქვეშ მოჰყვა. ვფიქრობ, სხვაც კიდევ რომ მოგიყვეთ მის შესახებ, აზრი არ აქვს. მეხუთე ნიშს შეხედეთ...

- ეს, ვგონებ, ვაგნერია?

- დიახ. რევოლუციონერი და მეფის მეგობარი. წმინდა ვაგნერი სიცოცხლის მიწურულს სუფრის ლოცვანსაც კითხულობდა. და მიუხედავად ამისა, ის უფრო „ცხოვრების რელიგიის“ მიმდევარი იყო, ვიდრე ქრისტეს მოძღვრებისა. ვაგნერის წერილებიდან შევიტყვეთ, რომ ამ სოფლის ტანჯვა-წამებანი თურმე ხშირად აღუძრავდა ამ წმინდანს თვითმკვლელობაზე ფიქრს. წინამძღვარი ისევ ვაგნერზე ლაპარაკობდა, როცა მეექვსე ნიშთან შევჩერდით.

- ეს კი წმინდა სტრინდბერგის მეგობარი ფრანგი მხატვარია. მან თავისი მრავალშვილიანი ცოლი მიატოვა და თოთხმეტი წლის ტაიტელი გოგონა შეირთო... მის დაბერილ ძარღვებში მეზღვაურის სისხლი ჩქეფდა. ერთი მის ტუჩებს შეხედეთ, ისინი თითქოს დარიშხანს თუ რაღაც მის მსგავს ნივთიერებას დაუჭამია. რაც შეეხება მეშვიდე ნიშს... მაგრამ თქვენ, გეტყობათ, უკვე დაიღალეთ. გთხოვთ, აქეთ მობრძანდეთ.

მე მართლა დავიღალე, წინამძღვარს უკან მივყევით, საკმევლის სუნით გაჟღენთილი ტალანი გავიარეთ და რომელიღაც ოთახში აღმოვჩნდით. მომცრო ოთახის კუთხეში ვენერას შავი ქანდაკება აღმართულიყო. ქანდაკების ფეხებთან ყურძნის მტევანი იდო. მეგონა, სადად მოწყობილ მონაზვნის სენაკს ვნახავდი ყოველგვარი მორთულობის გარეშე და თავი ცოტა გაწბილებულად ვიგრძენი. ეტყობა, ჩემი გაკვირვება წინამძღვარმაც შეამჩნია. სანამ დასხდომას შემოგვთავაზებდა, თანაგრძნობით მითხრა:

- არ დაგავიწყდეთ, გეთაყვა, რომ ჩვენი რელიგია „ცხოვრების რელიგიაა“. ჩვენი ღმერთი ხომ... ჩვენი „ძელი ცხოვრებისა გვასწავლის: „იცხოვრეთ, როგორც გსურთ“. ჰო, ბატონო რაპ, თქვენ უკვე უჩვენეთ ამ ბატონს ჩვენი წმინდა წიგნი?

- არა, - უპასუხა რაპმა, კეფაზე ლამბაქი მოიფხანა და გულწრფელად აღიარა: - მართალი გითხრათ, ეგ წიგნი არც მე წამიკითხავს საფუძვლიანად. წინამძღვარი ძველებურად მშვიდად იღიმებოდა და განაგრძობდა:

- მაშინ თქვენთვისაც ბევრი რამ გაუგებარი იქნება. ჩვენმა ღმერთმა სამყარო ერთ დღეში შექმნა („ძელი ცხოვრების“, მართალია, ხეა, მაგრამ მისთვის შეუძლებელი არაფერია). უფრო მეტიც, მან ძუც შექმნა. ძუს მოეწონა და ხვადს დაუწყო ძებნა. ღმერთმა მისი წუხილი შეისმინა, ტვინი ამოაცალა და ამ ტვინისგან ხვადი შექმნა. და ჩვენმა ღმერთმა კაპების ამ პირველ კაპა ქალსა და კაცს უბრძანა: „თქვლიფეთ, შეერთდით, იცხოვრეთ, როგორც გინდათ“.

წინამძღვარს ვუსმენდი და პოეტი ტოკი მახსენდებოდა. თავისდა საუბედუროდ, პოეტი ტოკი ჩემსავით ათეისტი იყო. მე კაპა არა ვარ და წარმოდგენა არა მაქვს, რა არის „ცხოვრების რელიგია“. მაგრამ ტოკს, რომელიც კაპების ქვეყანაში დაიბადა და მთელი ცხოვრება იქ გაატარა, არ შეიძლება არ სცოდნოდა, რა არის „ძელი ცხოვრებისა“. შემეცოდა ტოკი, ასეთი მოძღვრება რომ არ უწამებია. წინამძღვარს შევაწყვეტინე და ვკითხე, ამ პოეტზე რას ფიქრობთ-მეთქი.

- ოო, ეს პოეტი ყოველგვარი შეწყნარების ღირსია, - თქვა წინამძღვარმა და ღრმად ამოიოხრა. - რა განსაზღვრავს ჩვენს ბედს? რწმენა, გარემოებანი, შემთხვევა. თქვენ ალბათ მიუმატებდითკიდევ მემკვიდრეობას. სამწუხაროდ, ბატონი ტოკი მორწმუნე კაცი არ იყო.

- ალბათ ტოკს შურდა თქვენი. აი, მეცა მშურს თქვენი. ახალგაზრდობაც, როგორც, მაგალითად, რაპი...

- ნისკარტი მთელი რომ მქონოდა, შეიძლება მეც ოპტიმისტი გავმხდარიყავი.

წინამძღვარმა ისევ ღრმად ამოიოხრა. თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე და გაუნძრევლად შეჰყურებდა შავ ვენერას.

- მართალი რომ ვთქვა, - გამოსცრა მან. - მხოლოდ ამას ნურავის ეტყვით, ჩემი საიდუმლოა... მართალი რომ ვთქვა, მეც არ შემიძლია ჩვენი ღმერთი ვიწამო, როცა იქნება ჩემი ლოცვანი...

სიტყვის დამთავრება ვერ მოასწრო, სწორედ იმ წუთს კარი გაიღო, ოთახში უზარმაზარი ძუ შემოვარდა და მოძღვარს ეცა. ჩვენ ძუს გაკავება ვცადეთ, მაგრამ მან თვალის დახამხამებაში წინამძღვარი იატაკზე დაანარცხა.

- უჰ, შე ბინძურო ბებრუხანავ! - გაჰკიოდა ის. - ჩემი ქისიდან დღესაც მოიპარე ფული დასალევად?

წინამძღვარი და მისი ცოლი მივატოვეთ და ათი წუთის შემდეგ თითქმის სირბილით ჩავათავეთ ტაძრის კიბე. რამდენიმე ხანს ჩუმად ვიდექით, შემდეგ რაპმა თქვა:

- ახლა გასაგებია, ჩვენს წინამძღვარს რატომ არ სწამს „ძელი ცხოვრებისა“.

ამ მიპასუხნია. უნებურად ტაძარს ავხედე. ტაძარს ძველებურად ნისლიანი ცისკენ აღემართა ურიცხვი თათებივით მაღალი კოშკები და მრგვალი გუმბათები. და ისეთივე გრძნობა გეუფლებოდა, როგორც უდაბნოში, მირაჟების ცქერისას...

15

დაახლოებით ერთი კვირის შემდეგ ექიმმა ჩაკმა მოულოდნელად უჩვეულო ამბავი შემატყობინა. განსვენებული ტოკის სახლს თურმე მოჩვენება შემოეჩვია. იმ დროისათვის ჩვენი უბედური მეგობრის საყვარელი სადღაც გადაკარგულა და სახლში ფოტოსტუდია გაუხსნიათ. ჩაკის გადმოცემით, სტუდიაში გადაღებულ ყველა სურათზე, კლიენტის გამოსახულების მიღმა, აუცილებლად ტოკის ბუნდოვანი სილუეტი აღიბეჭდებოდა. თუმცა ჩაკი ჩამოყალიბებული მატერიალისტი იყო და იმქვეყნიური ცხოვრება არ სწამდა, მოყოლა რომ დაასრულა, მწარედ ჩაიცინა და ასე დაასკვნა: „უნდა ვიფიქროთ, რომ ეს მოჩვენება ისევე მატერიალურია, როგორც

მე და თქვენ“. მეც არა მჯეროდა მოჩვენებისა და ჩაკისაგან ამ საკითხში არ განვსხვავდებოდი. მაგრამ ტოკი ზალზე მიყვარდა და ამიტომ დაუყოვნებლივ გავარდი წიგნის ფარდულში, ყველა გაზეთი ვიყიდე, სადაც კი ტოკის აჩრდილზე სტატიები და ფოტოსურათები იყო გამოქვეყნებული. ფოტოსურათებზე მოხუცი და ახალგაზრდა კაპების ზურგს უკან ბუნდოვან ლანდად მოჩანდა ვიღაც, კაპას რომ ჩამოჰგავდა. ამ ფოტოსურათებზე უფრო ძალიან ტოკის აჩრდილის შესახებ გამოქვეყნებულმა სტატიებმა გამაოცა - განსაკუთრებით კი სპირიტული საზოგადოების ერთმა ანგარიშმა. მე ჩემთვის გადმოვთარგმნე ეს სტატია თითქმის სიტყვასიტყვით და, როგორც დამამახსოვრდა, ისე მომყავს აქ.

„ანგარიში პოეტ ტოკისჩრდილთან საუბრისა (სპირიტული საზოგადოების ჟურნალი N 8274).

ჩვენი საზოგადოების კომისიის საგანგებო სხდომა ჩატარდა თვითმკვლელ პოეტ ტოკის ყოფილ რეზიდენციაში, ბატონ მავანის ახლანდელ ფოტოსტუდიაში, ნნ ქუჩა, სახლი N 251. სხდომას ესწრებოდნენ საზოგადოების წევრები (გვარებს აღარ ჩამოვთვლი).

ჩვენ, საზოგადოების ჩვიდმეტი წევრი, საზოგადოების თავმჯდომარის ბატონ პეკის მეთაურობით, 27 სექტემბერს, დილის ათ საათსა და ოცდაათ წუთზე ზემოთ ნახსენები ფოტოსტუდიის ერთ-ერთ ოთახში შევიკრიბეთ. მედიუმის პირობაზე თან გვახლდა ქალბატონი

ჰოპი, რომელიც ჩვენი უსაზღვრო ნდობით სარგებლობს. აღმოვჩნდით თუ არა ხსენებულ სტუდიაში, ქალბატონმა ჰოპმა მაშინვე იგრძნო სულის მოახლოება. მას კრუნჩხვები დაეწყო და რამდენჯერმე წააღებინა. მისი სიტყვებით, ეს იმითაა გამოწვეული, რომ ბატონი ტოკი სიცოცხლეში გამოირჩეოდა თამბაქოს მეტისმეტი სიყვარულით და ახლა მისი სული ნიკოტინით იყო გაჟღენთილი.

კომისიის წევრებმა და ქალბატონმა ჰოპმა მრგვალი მაგიდის გარშემო მდუმარედ დაიკავეს ადგილები. სამი წუთისა და ოცდახუთი წამის შემდეგ ქალბატონი ჰოპი

ღრმა ტრანსის მდგომარეობაში ჩავარდა და პოეტ ტოკის სულს ეზიარა. ჩვენ, კომისიის წევრებმა, ასაკის მიხედვით უფროს-უმცროსობის დაცვით, ბატონ ტოკის სულს, ჩასახლებულს ქალბატონ ჰოპის სხეულში, შემდეგი კითხვებით მივმართეთ და შემდეგი პასუხები მივიღეთ: კითხვა: რატომ მოევლინე კვლავ ამ ქვეყანას? პასუხი: რათა შევიცნო სიკვდილის შემდგომი დიდება.

კითხვა: შენ და დანარჩენ ბატონ სულებს განა დიდება სიკვდილის შემდგომაც გწყურიათ?

პასუხი: ყოველ შემთხვევაში, მე არ შემიძლია არ მწყუროდეს, მაგრამ ერთ იაპონელ პოეტს,[220] რომელსაც როგორღაც შემთხვევით შევხვდი, სიკვდილის შემდგომი დიდება ეზიზღება. კითხვა: იმ პოეტის სახელი იცი? პასუხი: სამწუხაროდ, დამავიწყდა. მახსოვს მხოლოდ მისი საყვარელი ლექსი. კითხვა: რა ლექსია ეს? პასუხი: ძველი საგუბარი.

წყალში ბაყაყი ჩახტა. ჩქაფუნა ისმა სიჩუმეში.
კითხვა: ეს ლექსი დიდ ნაწარმოებად მიგაჩნია?

პასუხი: რა თქმა უნდა, ცუდი არა მგონია. მხოლოდ სიტყვა „ბაყაყს“ „კაპათი“ შევცვლიდი, ხოლო სიტყვა „ჩახტას“ მაგიერ ვიხმარდი „დიდებულად აფრინდა“.
კითხვა: რატომ?

პასუხი: ჩვენ, კაპებს, გვახასიათებს, ხელოვნების ყოველ ნაწარმოებში კაპა ვეძიოთ.

აქ საზოგადოების თავმჯდომარე ბატონმა პეკმა საუბარი გაწყვიტა და კომისიის წევრებს მოაგონა, რომ ისინი სპირიტულ სეანსს ატარებდნენ და არა ლიტერატურულ დისკუსიას. კითხვა: როგორია ბატონი სულების ცხოვრების წესი? პასუხი: თქვენი ცხოვრებისაგან არაფრით განირჩევა. კითხვა: ხომ არ ნანობ ამის გამო თავის მოკვლას?

პასუხი: რა თქმა უნდა, არა. აჩრდილის ცხოვრება თუ მომწყინდა. მაშინ კვლავ ავიღებ დამბაჩას და თვითაღდგომით დავასრულებ. კითხვა: ადვილია თვითაღდგომით დასრულება?

ამ კითხვას ტოკის აჩრდილმა კითხვავე შეაგება. ტოკის ეს ჩვევა ყველასათვის ცნობილი გახლდათ, ვინც კი მას სიცოცხლეში იცნობდა. პასუხი: განა ადვილია თავის მოკვლა? კითხვა: სულები მარად ცოცხლობენ?

პასუხი: ჩვენი სიცოცხლის ხანგრძლივობაზე მრავალი თეორიაა, მაგრამ არც ერთი მათგანი სანდო არ არის. არ გვმართებს იმის დავიწყება, რომ ჩვენ შორისაც არსებობენ სხვადასხვა რელიგიის მიმდევარნი - ქრისტიანები, ბუდისტები, მაჰმადიანები, ცეცხლთაყვანისმცემლები. კითხვა: შენ რომელ რელიგიას აღიარებ? პასუხი:

ყოველთვის სკეპტიკოსი ვიყავი. კითხვა: მაგრამ სულთა არსებობაში, ეტყობა, ეჭვი არ გეპარება? პასუხი: სულთა არსებობა თქვენზე ნაკლებად მჯერა. კითხვა: მაშ შენს სამყაროში მრავალი მეგობარი გყავს? პასუხი: ყველა დროებასა და ყველა ხალხში სამას მეგობარზე ნაკლები არა მყოლია. კითხვა: ყველა შენი მეგობარი თავისმკვლელია?

პასუხი: სულაც არა. თუმცაღა, მაგალითად, მონტენი, რომელიც თვითმკვლელობას ამართლებს, ჩემი ყველაზე პატივსაცემი მეგობარია. ხოლო აი, ამ ტიპის, ამ პესიმისტი შოპენჰაუერის, რომელმაც მაინც არ მოიკლა თავი, სახელის გაგონებაც კი არ მინდა. კითხვა: როგორ ბრძანდება შოპენჰაუერი?

პასუხი: თანამედროვე პირობებში ის თავის ახალ მოძღვრებას ანვითარებს სულთა პესიმიზმის შესახებ და არკვევს, კარგია თუ ცუდი თვითაღდგომით დასრულება. თუმცა, რომ გაიგო, ქოლერაც გადამდები დაავადებაა, მგონი, ცოტათი დამშვიდდა.

შემდეგ ჩვენ, კომისიის წევრები, შევეკითხეთ ნაპოლეონის, კონფუცის, დოსტოევსკის, დარვინის, კლეოპატრას, საკია მუნის, დემოსთენეს, დანტეს და სხვა გამოჩენილ ადამიანთა სულებზე. მაგრამ მათ შესახებ ტოკს რაიმე საინტერესო არა შეუტყობინებია და თავის მხრივ ჩვენ მოგვცა რამდენიმე შეკითხვა საკუთარ თავზე. კითხვა: ჩემზე რას ამბობენ სიკვდილის შემდგომ? პასუხი: რომელიღაც კრიტიკოსმა „ერთი საშუალო პოეტთაგანი“ გიწოდა.

კითხვა: ეგ ერთი იმ განაწყებულთაგანია, ვისაც ჩემი ლექსების კრებული არ ვაჩუქე. გამოიცა თუ არა ჩემი თხზულებათა სრული კრებული? პასუხი: გამოიცა, მაგრამ ამბობენ, თითქოს არ იყიდებაო.

კითხვა: სამასი წლის შემდგომ, როცა გაქრება ცნება „საავტორო უფლება“, ჩემს თხზულებებს მილიონობით ადამიანი შეიძენს, რა მოუვიდა ჩემს ძუსა და მეგობარს? პასუხი: ის წიგნების დუქნის მეპატრონე ბატონ რაკს გაჰყვა ცოლად.

კითხვა: საწყალი, ალბათ არ იცის, რომ რაკს ცალი თვალი ჩასმული აქვს, ჩემი შვილები? პასუხი: ისინი, ვგონებ ობლების სახელმწიფო თავშესაფარში არიან. ტოკი ერთხანს ჩუმად იყო, შემდეგ სხვა კითხვა მოგვცა. კითხვა: ჩემი საწერი მაგიდა სადღაა?

პასუხი: არ ვიცით.

კითხვა: მაგიდის უჯრაში საიდუმლოდ ვინახავდი ზოგიერთ წერილს... მაგრამ თქვენ, ბატონო, როგორც საქმიან ადამიანებს, საბედნიეროდ, ეს არ გეხებათ. ახლა კი ჩვენს სამყაროში ბინდი დგება და იძულებული ვარ დაგცილდეთ. მშვიდობით ბატონებო, მშვიდობით, მშვიდობით, ჩემო კეთილო ბატონებო.

ამ უკანასკნელი სიტყვების წარმოთქმისას ქალბატონი ჰოპი მოულოდნელად ტრანსულ მდგომარეობიდან გამოერკვა. ჩვენ ყველა, კომისიის ჩვიდმეტივე წევრი, მაღალი ღმერთის წინაშე ფიცით ვადასტურებთ გადმოცემული საუბრის ჭეშმარიტებას (შენიშვნა: ჩვენი ნდობის ღირსმა ქალბატონმა ჰოპმა ანაზღაურებით მიიღო ის თანხა, რასაც იგი თავის მსახიობობის ჟამს ერთ დღეში იღებდა)“.

16

ამ სტატიის წაკითხვის შემდეგ თანდათან ისეთმა დარდმა დამრია ხელი, რომ იმ ქვეყანაში აღარ

მინდოდა და ჩვენს სამყაროში, ადამიანთა სამყაროში დაბრუნებაზე დავიწყე ფიქრი. ბევრი ვეძებე, მაგრამ იმ ორმოს, საიდანაც ამ ქვეყანაში ოდესღაც ჩამოვვარდი, ვეღარ მივაგენი. ამასობაში მეთევზე ბაგმა ერთხელ მიამბო, რომ სადღაც, კაპების სახელმწიფოს განაპირას, სიმყუდროვესა და სიმშვიდეში ცხოვრობს ერთი მოხუცი, რომელიც მთელ დღეებს წიგნების კითხვასა და ფლეიტის დაკვრაში ატარებს.

„რა იქნება, იმ კაპას რომ მივმართო? - გავიფიქრე გუნებაში, - შესაძლოა მან მიჩვენოს ამქვეყნიდან გასასვლელი გზა“. მაშინვე ქალაქის გარეუბანში გავეშურე. მაგრამ იქ, პატარა ქოხში, მოხუცი კი არა, ყრმა კაპა დამხვდა, თორმეტ-ცამეტი წლისა, თავზე ჯერ კიდევ რბილი ლამბაქი ჰქონდა. ის თავისთვის უკრავდა ფლეიტაზე. რა თქმა უნდა, გადავწყვიტე, სახლი შემეშალა-მეთქი. შესამოწმებლად იმ კაპას სახელით მივმართე, რომელიც ბაგმა მითხრა. დიახ, ეს კაპა სწორედ ის მოხუცი აღმოჩნდა.

- კი მაგრამ, მთლად ბავშვი ჩანხართ... - ჩავიბუტბუტე.

- შენ რა, არ იცი? ბედის განგებით დედის საშო ჭაღარა მოხუცმა დავტოვე, შემდეგ კი თანდათან გავახალგაზრდავდი და გავახალგაზრდავდი. ახლა მთლად ბიჭუნად გადავიქეცი. სინამდვილეში, როდესაც დავიბადე, სამოცისა მაინც ვიყავი. ისე რომ, ახლა ას ორმოცდაათის ან ას სამოცდაათისა ვარ.

ოთახი მოვათვალიერე. რა ვიცი, რა განწყობაზე ვიყავი, ეს კია, მომეჩვენა, აქ, სკამებსა და პატარა მაგიდებს შორის, რაღაც ნათელი ბედნიერება გამეფებულიყო.

- ჩანს, თქვენ უფრო ბედნიერად ცხოვრობთ, ვიდრე ყველა სხვა კაპა?

- იქნებ ეგრეც იყოს. სიჭაბუკეში მოხუცი ვიყავი, მოხუცებულობაში ჭაბუკი გავხდი. დაუკმაყოფილებელ სურვილებს არ გამოვუფიტივარ, როგორც ეს სხვა მოხუცებს სჩვევიათ, არც ახალგაზრდებივით ხორციელ ვნებებს მივდევ, ყოველ შემთხვევაში, ბედნიერი თუ არა, მშვიდი მაინცაა ჩემი ცხოვრება.

- ჰო, ასეთ ვითარებაში თქვენი ცხოვრება მშვიდი იქნებოდა.

- ეჰ, სიმშვიდისათვის მხოლოდ ეს არაა საკმარისი. მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე დიდებული ჯანი და საკმაო ქონებაც მქონდა, რომ თავი გამომეკვება, მაგრამ, რა თქმა უნდა, ყველაზე ბედნიერი გარემოება ჩემს ცხოვრებაში ის იყო, მოხუცად რომ დავიბადე.

ერთხანს ვისაუბრეთ. თავისმკვლელი ტოკი გავიხსენეთ. გერზეც ვილაპარაკეთ, ყოველდღე ექიმს რომ იძახებს ბინაში. მაგრამ რატომღაც მოხუც კაპას გამომეტყველებაზე ემჩნეოდა, რომ სულაც არ აინტერესებდა ეს საუბარი. ბოლოს ვკითხე:

- თქვენ ალბათ ისე არა ხართ ცხოვრებაზე მიჯაჭვული, როგორც სხვა კაპები? მოხუცმა

  კაპამ ჯიქურ შემომხედა და წყნარად წარმოთქვა:

- სხვა კაპების მსგავსად, არც მე მიმიტოვებია დედის საშო იმაზე ადრე, ვინემ მამაჩემმა არ მითხრა, გინდა თუ არა ამ ქვეყანას მოევლინეო.

- აი, მე კი სრულიად შემთხვევით აღმოვჩნდი თქვენს სამყაროში, - ვუთხარი მე, - მაშ კეთილინებეთ და მასწავლეთ, აქაურობას როგორ უნდა დავაღწიო თავი.

- აქედან მხოლოდ ერთი გზა მიდის.

- რომელი?

- გზა, რომლითაც თქვენაქ მოხვედით. ეს რომ გავიგონე, თმა ყალყზე დამიდგა.

- მე ვერ ვიპოვი ამ გზას, - ჩავიბურტყუნე.

მოხუცმა კაპამ წყაროს წყალივით ანკარა თვალებით დაკვირვებით შემომხედა. შემდეგ ადგა, ოთახის კუთხეში მივიდა და ჭერიდან ჩამოშვერილი თოკი ჩამოსწია. იმწამსვე ჭერში მრგვალი საძრომი გამოჩნდა, რომელიც ადრე არ შემიმჩნევია. ამ საძრომში, კვიპაროსებისა და ფიჭვების ტოტებს ზემოთ ლურჯი ცა დავინახე. ცაში კი გიგანტური ისრის წვერივით იარიგატაკეს პიკი აღმართულიყო. სიხარულისაგან ისე შევხტი, ვითარცა ბავშვი თვითმფრინავის დანახვაზე.

- აი, ახლა, - მითხრა მოხუცმა კაპამ, - შეგიძლია წახვიდე. - ამ სიტყვებით თოკზე მიმითითა. პირველად თოკად მომეჩვენა, მაგრამ თოკის კიბე იყო.

17

კაპების ქვეყნიდან დაბრუნებული დიდხანს ვერა და ვერ შევეგუე ადამიანთა კანის სუნს. კაპები ხომ ჩვენზე გაცილებით სუფთები არიან. უფრო მეტიც, თურმე ისე მივეჩვიე კაპებში ყოფნას, ადამიანები, უბრალოდ, მახინჯები მეჩვენებოდნენ. თქვენ ალბათ ამას ვერ გაიგებთ. თვალები და ტუჩ-პირი კიდევ ასატანი იყო, ცხვირები კი რაღაც უცნაურ ძრწოლას აღმიძრავდა. ბუნებრივია, ვცდილობდი პირველ ხანებში არავის შევხვედროდი. შემდეგ თანდათან შევეგუე ადამიანებს და ნახევარი წლის შემდეგ უკვე შემეძლო ნებისმიერ ადამიანთან ყოფნა. უსიამოვნებას მხოლოდ ის იწვევდა, რომ საუბარში ზოგჯერ კაპების სიტყვებს გავურევდი ხოლმე. დაახლოებით ასე ხდებოდა:

- ხვალ შინ იქნები?

- Qua.

- რა თქვი?

- კი-კი, ვიქნები.

ერთი წლის შემდეგ გავკოტრდი რაღაც სპეკულაციის გამო და ამიტომ... (აქ ექიმმა ს-მა შენიშნა: „არა ღირს ამის მოყოლა“. მან მაცნობა, ავადმყოფი ამის გახსენებაზე მაშინვე ისეთ შფოთსა სტეხს ხოლმე, რამდენიმე დარაჯიც ვერ აკავებსო).

კარგი, ამაზე არ ვილაპარაკებ. ერთი სიტყვით რაღაც სპეკულაციის გამო გავღარიბდი და კვლავაც მომინდა კაპების ქვეყანაში დაბრუნება. დიახ, სწორედ დაბრუნება. გამგზავრება და წასვლა კი არა, არამედ დაბრუნება. იმიტომ, რომ იმ დროისათვის კაპების ქვეყანას უკვე სამშობლოდ აღვიქვამდი.

ჩუმად გავიპარე შინიდან და ცენტრალური ხაზის მატარებელში შევეცადე ჩავმჯდარიყავი.

სამწუხაროდ, პოლიციამ შემიპყრო და ამ საავადმყოფოში მომათავსეს. მაგრამ აქაც რაღაცა დროის განმავლობაში კაპების ქვეყანაზე ვდარდობდი. რას აკეთებს ახლა ექიმი ჩაკი? ან ფილოსოფოსი მაგი? ის ალბათ, თავის შვიდფერა ფარნის შუქით განათებული, რაღაცაზეფიქრობს. რასა, იქმს ჩემი კეთილი მეგობარი, დამპალნისკარტიანი რაპი?

- ერთხელ ისეთივე ნისლიან დღეს, როგორც ახლაა, ჩვეულებისამებრ ჩემს მეგობარზე ფიქრმა შემიპყრო და უცებ გაკვირვებულმა კინაღამ შევყვირე - მეთევზე ბაგი დავინახე. არ ვიცი, როდის შემოაღწია ჩემთან, მაგრამ ჩემ წინ კი ჩაცუცქულიყო და მისალმების ნიშნად თავს მიკრავდა. როცა ოდნავ დავმშვიდდი... არ მახსოვს, ვიცინოდი თუ ვტიროდი, მახსოვს მხოლოდ, ამდენი ხნის შემდეგ რა სიხარულით დავილაპარაკე კაპების ენაზე.

- მომისმინე, ბაგ, რისთვის მოხვედი?

- თქვენი ნახვა მინდოდა. ამბობენ, ავადაარ.

- ვისგან გაიგე? ბაგმა ჩაიცინა. ის კმაყოფილი იყო.

- რადიოში გამოაცხადეს.

- აქ როგორ მოხვდი?

- ეს სულაც არ არის ძნელი საქმე. ტოკიოს მდინარეები და ღელეები ჩვენთვის, კაპებისათვის, იგივეა, რაც თქვენთვის ქუჩები.

და მე გამახსენდა. თითქოს მხოლოდ ახლა შევიტყვე, რომ კაპები ბაყაყებივით წყალხმელეთა ცხოველებს განეკუთვნებიან.

- მაგრამ აქ ახლოს მდინარე არსადაა.

- არა, აქ წყალსადენის მილებით შემოვძვერი. შენობაში კი სახანძრო ონკანი გავაღე...

- სახანძრო ონკანი გააღე?

- განა დაგავიწყდათ ბატონო, რომ კაპებს მექანიკოსებიც ჰყავთ.

კაპები ყოველ ორ-სამ დღეში მნახულობენ. ექიმ ს-ს მიაჩნია, რომ მე ავად ვარ dementia praecox

- (ნაადრევი ჭკუასუსტობა) -ით. მაგრამ ექიმი ჩაკი (მაპატიეთ გულახდილობა) ამტკიცებს, არავითარი dementia praecox არა გჭირსო, თქვენ თვითონ, ადამიანები, დაწყებული ექიმ ს-ით, დაავადებულნი ხართ dementia praecox-ითო. ცხადია, რაკი ექიმი ჩაკი მოდის ჩემთან, სტუდენტი რაპი და ფილოსოფოსი მაგიც მოდიან ხოლმე. თუმცა მეთევზე ბაგის გარდა დღისით არც ერთი მათგანი არ მოდის. ისინი ხან ორნი, ხან სამნი მოდიან და თანაც მუდამ ღამღამობით... როცა მთვარიანი ღამეა. აი, გუშინაც, ვსაუბრობდი მუშის ფირმის დირექტორ გერსა და ფილოსოფოს მაგთან, ხოლო კომპოზიტორი კრაბაკი ჩემთვის ვიოლინოს უკრავდა. ხედავთ მაგიდაზე შავი შროშანების თაიგულს? ეს გუშინ კრაბაკმა მომართვა...

(მოვტრიალდი, რა თქმა უნდა, მაგიდაზე არავითარი შროშანები არ ეწყო).

ეს წიგნი ფილოსოფოსმამაგმა მომიტანა, წაიკითხეთ პირველი ლექსი, თუმცა არა, თქვენ ხომ მათი ენა არ იცით, მე წავიკითხავ. ეს ტოკის თხზულებათა სრული კრებულის ერთ-ერთი ტომია, რომელიც ახლახან დაიბეჭდა.

მან ტელეფონების ძველი წიგნი გადაშალა და ხმამაღლა წაიკითხა შემდეგი ლექსი:

ქოქოსის ყვავილებში, ტანაშოლტილ ბამბუკებს შორის,
დიდი

ხანია ბუდა რომ განისვენებს,
გამხმარ, ბებერ ლეღვის ხის ძირას ქანცგაწყვეტილმა
განისვენა ქრისტემ.
ჩვენც ხომ დროა გავუგოთ გემო მოსვენებას,
თუნდაც აქ, ამ თეატრალურ სცენაზე*?*

(დეკორაციების მიღმა თუ გავიხედავთ, იქ ხომ მხოლოდ დაკემსილ ტილოებს დავინახავთ!).

მაგრამ ამ პოეტივით პესიმისტი როდი ვარ, და სანამ ჩემთან კაპები დადიან... მართლა, სულ დამავიწყდა, თქვენ ალბათ გახსოვთ ჩემი მეგობარი მოსამართლე ბეპი. აი, ამ კაპამ სამუშაო დაკარგა და ნამდვილად ჭკუაზე შეცდა. ამბობენ, ახლა ის კაპების ქვეყანაში ფსიქიატრიულ საავადმყოფოშიაო. ექიმმა ს-მა ნება რომ დამრთოს, აუცილებლად ვინახულებდი მას. თებერვალი***, 1927*** **წ.**

თარგმნა კარლო არსენიშვილმა

ცხოვრება იდიოტისა

[221]

ეპოქა

ეს მოხდა წიგნის მაღაზიის მეორე სართულზე. იგი, ოცი წლის ჭაბუკი, თაროებთან მიდგმულ კიბეზე იდგა და ახალ წიგნებს ათვალიერებდა: მოპასანი, ბოდლერი, სტრინდბერგი, იბსენი, შოუ, ტოლსტოი...

ამასობაში ბინდბუნდი ჩამოწვა. ჭაბუკი მაინც დაჟინებით განაგრძობდა ყდებზე წარწერების კითხვას. მის წინ მთელი „საუკუნის დასასრული“ იყო: ნიცშე, ვერლენი, ძმები გონკურები, დოსტოევსკი, ჰაუტმანი, ფლობერი...

ძლივსღა არჩევდა გვარებს. წიგნები ნელიად გაუჩინარდა ბნელში. ჭაბუკი ბოლოს გაბეზრდა და ის იყო ძირს ჩამოსვლა დააპირა, რომ ზუსტად ის ზემოთ უთალფაქო ელექტრონათურა აინთო. კიბიდან გადმოხედა მაღაზიის მოსამსახურეებს და მუშტრებს, რომლებიც თაროებშუა დაბორიალობდნენ. ყველა უცნაურად პატარა და უსუსური ჩანდა.

- ადამიანის მთელი ცხოვრება ბოდლერის ერთ სტრიქონადაც არ ღირს... - იგი ერთხანს კიბიდან დაჰყურებდა მათ - უმწეო, საცოდავ ქმნილებებს.

დედა

შეშლილებს ერთნაირი, თაგვისფერი ხალათები ეცვათ. ამის გამო დიდი ოთახი კიდევ უფრო პირქუში ჩანდა. ერთი შეშლილი მონდომებით უკრავდა ჰიმნებს ფისჰარმონიაზე, მეორე ოთახის შუაგულში ცეკვავდა, უფრო სწორად, ხტოდა.

იგი იდგა ღაჟღაჟა ექიმის გვერდით და ამ სურათს უმზერდა. ათი წლის წინათ დედამისი არაფრით გამოირჩეოდა მათგან. არაფრით... მართლაც შეშლილთა სუნში იგი ნაცნობ, დედისეულ სუნს გრძნობდა.

- ეჰ, რა გაეწყობა, წავიდეთ!

ექიმმა, დერეფნის გავლით, ერთ-ერთ ოთახში შეიყვანა. კუთხეში, შუშის დიდ ქილებში დასპირტული ტვინები ეწყო, ერთ ტვინზე მან მკრთალი, მოთეთრო ლორწო შეამჩნია - თითქოს ცოტაოდენი კვერცხის ცილა დაუსხურებიათო და ექიმთან საუბრისას კვლავ გაახსენდა დედა.

ამ ტვინის პატრონი ერთი ელექტროკომპანიის ინჟინერი იყო. თავი შავ, მბრწყინავ დინამო-მანქანად ჰყავდა წარმოდგენილი.

ექიმის მზერა რომ აეცილებინა, მან ფანჯარაში გაიხედა. ეზოში არაფერი ჩანდა, გარდა აგურის გალავნისა, რომლის თავშიც დამტვრეული ბოთლის ნატეხები ჩაეყოლებინათ. ნატეხები მღვრიე, მქისე ათინათსა ჰფენდა მეჩხერ ხავსს.

ოჯახი

იგი ქალაქგარეთ ცხოვრობდა, მეზონინიან სახლში. ფხვიერი ნიადაგისა გამო მეზონინი რაღაც უცნაურად იყო გადაბრეცილი.

ამ სახლში ხშირად ეჩხუბებოდა დეიდა. ზოგჯერ მათი შერიგება დედობილმამობილს უწევდა. დეიდა მაინც ყველაზე მეტად უყვარდა. როცა მას თორმეტი წელი შეუსრულდა, შინაბერა დეიდა უკვე სამოცი წლის მოხუცი იყო.

ქალაქგარეთ, მეზონინში მრავალჯერ დაფიქრებულა: ადამიანები, რომელთაც ერთმანეთი უყვართ, ნუთუ ყოველთვის ტანჯავენ ერთმანეთსო? და ამ ფიქრების დროსაც უსიამოდ უგრძვნია, როგორ იყო მეზონინი გადაბრეცილი.

ტოკიო

მდინარე სუმიდაგავაზე[222] პირქუში ნისლი ჩამოწვა. იგი გაჰყურებდა კუნძულ მუკოძიმას ალუბლებს პატარა, სწრაფად მავალი გემის სარკმლიდან. ეს ალუბლები მაშინ დაერგოთ, როცა ტოკიოს ჯერ კიდეც ედო ერქვა.

თეთრად გადაპენტილი ალუბლები მის თვალში გასაშრობად გამოკიდებულ ძონძებსა ჰგავდა, მაგრამ ამ ალუბლებმა, მუკოძიმას ძველთაძველმა ალუბლებმა, ბოლო დროს მას შეაცნობინა თავი თვისი.

„მე“

ერთ უფროს ამხანაგთან ერთად კაფეში ჯდომისას იგი განუწყვეტლად აბოლებდა პაპიროსს, ყურადღებით უსმენდა მოსაუბრეს: თვითონ კი ცოტას ლაპარაკობდა.

- დღეს დიდხანს ვიარე მანქანით.

- საქმეზე? მაგიდაზე იდაყვდაყრდნობილმა ამხანაგმა დაუდევრად უპასუხა:

- არა, სეირნობა მინდოდა.

ამ სიტყვებმა გაათავისუფლა იგი - გზა გაუხსნა შეუცნობი სამყაროსაკენ, საკუთარი „მესაკენ“, რომელიც ახლოს იყო ღმერთთან. ამან რაღაც ტკივილი აგრძნობინა, ამავე დროს, სიხარულიც.

კაფე ძალზე პატარა იყო. სურათის ქვემოდან, რომელზედაც მითიური პანი ეხატა,[223] წითელ ქოთანში ჩარგული კაუჩუკის ხის სქელი, ხორციანი ფოთლები ეშვებოდა.

ავადობა

ზღვაურის განუწყვეტლივ ქროლვაში მან ინგლისური ლექსიკონი გადაფურცლა და თითი გააყოლა სიტყვებს:

„Talaria - ფეხსაცმელი, სანდლები.

Tale - მოთხრობა.

Talipot - პალმა, იზრდება აღმოსავლეთ ინდოეთში. სიმაღლით 50-დან 100 ფუტს აღწევს. ფოთლებს ხმარობენ ქოლგების, მარაოების და შლაპების გასაკეთებლად. ყვავილობს 70 წელიწადში ერთხელ...“

მის წარმოდგენაში მკაფიოდ აისახა ამ პალმის ყვავილი. იმავე წამს ყელში მანამდე განუცდელი ქავილი იგრძნო და უნებლიეთ ლექსიკონზე გადმონერწყვა. გადმონერწყვა?.. მაგრამ არა, ეს ნერწყვი არ იყო.

იგი ჩააფიქრა უხანობამ წუთისოფლისამ და გონებაში ისევ ჩაეხატა პალმის ყვავილი, ამაყად რომ ირხეოდა შორს, ზღვის გადაღმა...

სურათი

იგი უცებ... ეს მართლა უცებ მოხდა. წიგნის მაღაზიის ვიტრინაში ვან-გოგის სურათების თვალიერებისას იგი უცებ მიხვდა, თუ რას ნიშნავდა მხატვრობა. რა თქმა უნდა, ეს რეპროდუქციები იყო, მაგრამ რეპროდუქციებშიც იგრძნობოდა ბუნების სიციცნცხალე.

სურათებით გატაცებამ იგი აიძულა, ყოველივესთვის ახლებურად შეეხედა. ბოლო დროს მუდმივ, დაჟინებულ მზერას მიაპყრობდა ხოლმე ხის ტოტების ხვეულებსა და სიმრგვალეს ქალთა ღაწვებისას.

ერთხელ, ქალაქგარეთ, შემოდგომის წვიმიან ბინდბუნდში რკინიგზის ვიადუკზე მიაბიჯებდა. ვიადუკის გადაღმა, მიწაყრილთან, ფორანი გაჩერდა. ფორანთა ჩავლისას იგრძნო, რომ ამ გზით მასზე ადრე ვიღაცას გაევლო უკვე. მაგრამ ვის?

ეს არც უნდა ეკითხა საკუთარი თავისთვის.

ოცდასამი წლის ჭაბუკმა შინაგანი ხედვით აღიქვა, თუ ნაღვლიანი პეიზაჟი გამსჭვალავი მზერით როგორ შეათვალიერა ყურწაჭრილმა ჰოლანდიელმა[224], რომელსაც კბილებში გრძელი ჩიბუხი ჰქონდა გაჩრილი...

ნაპერწკალი

იგი მიაბიჯებდა ასფალტზე, წვიმაში. ძლიერი წვიმა იყო. ირგვლივ ყოველივე წყალს გაეჟღინთა და იგი გრძნობდა რეზინის მაკენტოშის სუნს.

და აი, მის ზემოთ, მავთულებში მოლურჯო ნაპერწკალმა იელვა. იგი უცნაურად აღელდა. პიჯაკის ჯიბეში ხელნაწერი ედო, რომელიც მეგობრების ჟურნალში უნდა მიეტანა დასაბეჭდად. წვიმაში მოხეტიალემ ერთხელ კიდევ ახედა მავთულებს...

მავთულები ისევ აკვესებდა კაშკაშა ნაპერწკლებს. მთელს ადამიანურ ყოფაში არაფერი ეგულებოდა უფრო სანატრელი. ოღონდ ამ მოლურჯო ნაპერწკალს, მაღლა, ჰაერში შემზარავად მოელვარე ნაპერწკალს დაუფლებოდა და მერე თუნდაც მომკვდარიყო.
ცხედარი

გვამებს ცერზე ფირფიტები ეკიდათ მავთულით. ფირფიტაზე გვარი და წლოვანება ეწერა. მეგობარი, რომელიც მარჯვედ ხმარობდა სკალპერს, წახრილიყო და მიცვალებულს სახის კანს ათლიდა. კანის ქვეშ ჩანდა ლამაზი, ყვითელი ქონი.

იგი უყურებდა გვამს. ეს სჭირდებოდა ერთი ნოველისათვის[225], რომელშიც მოქმედება უძველეს დროს ხდებოდა. მძორის სიმყრალე, დამპალი ჭერმის სიმყრალეს რომ წააგავდა, უსიამოვნო იყო, შუბლშეჭმუხნილი მეგობარი ნელა ამოძრავებდა სკალპერს.

- ბოლო ხანს გვამები აღარა გვყოფნის, - თქვა მეგობარმა.

ამის პასუხად მან უნებლიეთ გაიფიქრა: „გვამები რომ შემოკლებოდა, ყოველგვარი ბოროტი განზრახვის გარეშე ჩავიდენდი მკვლელობას“... მხოლოდ გაიფიქრა, ხმამაღლა არ უთქვამს.

მოძღვარი

იგი მოძღვრის თხზულებას კითხულობდა დიდი მუხის ქვეშ. შემოდგომის დღის ციალში მუხას ფოთოლიც კი არ ერხეოდა.

სადღაც, შორს ზეცაში სრული წონასწორობით სუფევდა მინის პინებიანი სასწორი. აი, ასეთი სურათი მოელანდა მოძღვარს თხზულების კითხვისას.

რიჟრაჟი

ნელიად თენდებოდა. მან თვალი მოავლო დიდ ბაზარს ქუჩის ბოლოში. ბაზარში თავმოყრილი ხალხი და ურმები ვარდისფრად შეფერილიყვნენ.

გააბოლა და ნელა გაემართა ბაზრის შუაგულისაკენ. უცებ პატარა შავმა ძაღლმა შეუყეფა. არ შემკრთალა. ეს პატარა ფინიაც კი უყვარდა.

ბაზრის შუაგულში ფართოდ გაებარჯღა ჭადარს ვარჯები. მან ტოტებშუა ახედა ცის მაღალ თავანს. ცაზე, ზუსტად მის ზემოთ, ვარსკვლავები კიაფობდა.

ეს მაშინ მოხდა, როცა იგი ოცდახუთი წლისა იყო - მოძღვართან შეხვედრის მესამე თვეზე.

სამხედრო ნავსადგური

წყალქვეშა ნავში სანახევროდ ბნელოდა. იგი, უზარმაზარ მექანიზმებს შორის მიკუნჭული, პერისკოპის პატარა ოკულარში იჭვრიტებოდა. ოკულარში ჩანდა შუქით ალივლივებული პორტი.

- აქედან, ალბათ, მოჩანს „კონგო“. არა? - ჰკითხა მას ფლოტის ოფიცერმა.

ოთხკუთხა ლინზიდან პაწია სამხედრო გემების ცქერისას მას რატომღაც ნიახური გაახსენდა. სურნელოვანი ნიახური, ოცდაათ სენიანი ბიფშტექსის ულუფას რომ მოჰყვებოდა ხოლმე.

მოძღვრის გარდაცვალება

იგი ბოლთას სცემდა ერთი ახალი სადგურის ბაქანზე. წვიმის შემდეგ ქარმა დაუბერა. ჯერ

კარგად არ გათენებულიყო. ბაქნის გადაღმა რკინიგზის მუშები ერთდროულად აქნევდნენ წერაქვებს და ხმამაღლა მღეროდნენ.

ნაწვიმარზე ამოვარდნილმა ჭალიკონმა თან წარიტანა მუშების სიმღერაცა და მისი განწყობაც. არ უკიდებდა პაპიროსს და სიხარულის მომიჯნავე ტანჯვას განიცდიდა. პალტოს ჯიბეში დეპეშა ედო: „მოძღვარი სიკვდილის პირზეა“...

მწვერვალ მაცუიამას მხრიდან კლაკნითა და კვამლის წვრილი ბოლქვების ფრქვევით ახლოვდებოდა ტოკიოსკენ მიმავალი დილის ექსპრესი.

ქორწინება

ქორწინების მეორე დღეს მან ცოლს უსაყვედურა: „არ უნდა დაგეხარჯა ფული უყაირათოდ“. ეს სიტყვები დეიდას დაძალებით იყო ნათქვამი. ცოლმა მოუბოდიშა არა მარტო მას - ეს თავისთავად – არამედ დეიდასაც.

... მოიბოდიშა ქმრისთვისვე ნაყიდი ნარგიზებიანი ლარნაკის გვერდით.

ისინი

ისინი უშფოთველად ცხოვრობდნენ დიდი, გაფოთლილი ბანანის ჩრდილში... სახლი ზღვის სანაპირო პატარა ქალაქში ედგათ - ტოკიოდან ერთი საათის სავალზე.

ბალიში

იგი კითხულობდა ანატოლ ფრანსს და სასთუმლად ედო სკეპტიციზმის კეთილსურნელოვანი ვარდები. სულ ვერ შეამჩნია, რომ სასთუმალს კენტავრი შემოსჩვეოდა.

პეპელა

წყალმცენარეების სუნით გაჟღენთილ ჰაერში ლაღად დაფარფატებდა პეპელა; მან სულ ერთი წამით განიცადა პეპლის ფრთების შეხება გამომშრალ ტუჩებზე, მაგრამ შემორჩენილი ნაზი მტვერი ფრთებისა, მრავალი წლის შემდეგაც განუზომელ სიხარულს ანიჭებდა.

მთვარე

მოულოდნელად შეეჩეხა სასტუმროს კიბეზე ქალს, დღისითაც კი, სახე მთვარით განათებულს უგავდა. მან თვალი გააყოლა მიმავალს (ადრე არასოდეს ენახათ ერთამანეთი) და მანამდე განუცდელი კაეშანი შემოაწვა...

ხელოვნური ფრთები

ანატოლ ფრანსიდან მან XVIII საუკუნის ფილოსოფოსებისაკენ გადაინაცვლა, მაგრამ რუსოთი არ დაუწყია. ეს იქნებ იმიტომ, რომ იგი თავისი არსების ერთი ნაწილით - ადვილად აგზნებადი ნაწილით - სწორედ რუსოს ენათესავებოდა. ამიტომ „კანდიდის“ ავტორს მიმართა, რომელთანაც ახლობლობას გრძნობდა მეორე მხრიდან - ცივი გონების მხრიდან.

მისთვის, ოცდაცხრა წლის კაცისათვის, წუთისოფელი სულაც აღარ ჩანდა მშვენიერი. მაგრამ ვოლტერმა ხელოვნური ფრთებით შეაიარაღა.

მან გაისწორა ეს ხელოვნური ფრთები და მსუბუქად, იოლად გაფრინდა ცისკენ. მაშინ გონების სინათლით გაცისკროვნებული სიხარული და ურვა ადამიანური ცხოვრებისა მისი თვალსაწიერის მიღმა დარჩა.

სავსებით თავისუფალ, მოკაშკაშებულ სივრცეში პირდაპირ მზისკენ მიფრინავდა და დაბლა დარჩენილ საცოდავ ქუჩებზე ირონიასა და დაცინვას აფრქვევდა. თითქოს გადაავიწყდა ძველი ბერძენი, რომელიც ზღვაში ჩავარდა და დაიღუპა, რადგან მზის მხურვალებამ გაულღო სწორედ ასეთივე ხელოვნური ფრთები...

ბორკილები

იგი ცოლთან ერთად იმავე სახლში დასახლდა, რომელშიც დედობილ-მამობილი ცხოვრობდა. ეს იმიტომ რომ გადაწყვიტა, სამსახური დაეწყო ერთი გაზეთის რედაქციაში. იმედიცა ჰქონდა ყვითელ ქაღალდზე დაწერილი ხელშეკრულებისა, მაგრამ ბოლოს გამოირკვა, რომ ეს ხელშეკრულება გამომცემლებს ყოველგვარი ვალდებულებისაგან ათავისუფლებდა დავალდებულებათა მთელ სიმძიმეს მხოლოდ მას აკისრებდა.

შეშლილის ქალიშვილი

მოღრუბლულ დღეს, უკაცრიელ შარაგზაზე ორი რიქშა მირბოდა. გზა ზღვას უახლოვდებოდა, ეს იქიდანაც ჩანდა, რომ შემხვედრი ზღვაური ქროდა. იგი უკანა ეტლში იჯდა. წინასწარ იცოდა, ამ სეირნობას გულის გასახარელი არაფერი მოჰყვებოდა და ფიქრობდა, აქ რამ წამომიყვანაო. ცხადია, სიყვარულმა არა... პასუხისათვის რომ თავი აერიდებინა, დაასკვნა: „ასეა თუ ისე, ჩვენ მაინც ჯუფთები ვართ“.

წინა ეტლში შეშლილის ქალიშვილი იჯდა. ამ ქალის უმცროსმა დამ ეჭვიანობის ნიადაგზე თავი მოიკლა.

- ახლა ვეღარაფერს გააწყობ კაცი...

მას უკვე აღიზიანებდა შეშლილის ქალიშვილი, რომლის სულში მხოლოდ ცხოველური ინსტინქტები ბუდობდა.

რიქშები ამ დროს სასაფლაოს გასწვრივ გარბოდნენ. ლოკოკინების ნიჟარებით დაფარული ღობის იქით შავად ჩანდა სასაფლაოს ძეგლები. იგი უყურებდა ზღვას, რომელიც მქისედ ციმციმებდა ძეგლების უკან და საშინელ ზიზღს გრძნობდა ქალის მეუღლისადმი, - მეუღლისადმი, რომელმაც ვერ შეძლო ქალის დაურვება.

ვინმე მხატვარი

ეს ჟურნალის ილუსტრაცია იყო. მაგრამ ტუშით შესრულებული მამლის სურათს საოცარი ინდივიდუალობა ემჩნეოდა. მან ერთ ამხანაგს მხატვრის ასავალ-დასავალი და ვინაობა გამოჰკითხა.

გამოხდა კვირა და მხატვარმა თვითონ მოძებნა იგი. ეს განსაკუთრებული მოვლენა იყო მის ცხოვრებაში. მხატვარში მან სხვათათვის შეუმჩნეველი პოეზია აღმოაჩინა. უფრო მეტი: მან თავის თავშიც აღმოაჩინა სული, რომლის არსებობა მანამდე არ იცოდა.

ერთხელ, შემოდგომის სუსხიან ბინდბუნდში, მან სიმინდის ღეროს შეხედა და უცებ, მხატვარი გაახსენდა. სიმინდის მაგარი, წაწვეტებულფოთლებიანი ღერო მაღლამაღლა მიიწევდა, ხოლო აჩიჩქნილ მიწაში იკლაკნებოდა ადამიანის ნერვების მსგავსი წვრილი ფესვები. ცხადია, ეს მისი პორტრეტი იყო, მისი, ვისთვისაც სულ ადვილად შეიძლებოდა ტკივილის მიყენება. ამ აღმოჩენამ გუნება მოუშხამა.

- გვიანღაა. თუმცა ბოლო წუთებში...

ქალი

ბინდდებოდა. იგი აღელვებული მიაბიჯებდა მოედანზე. დიდი სახლები განათებული ფანჯრებით ბრწყინავდა ოდნავ შევერცხლილი ცის ფონზე.

ტროტუარის კიდესთან შედგა და დაელოდა. ხუთ წუთში ქალიც გამოჩნდა. თითქოს დაქანცულს ჰგავდა. მართლაც, ქალმა შეხედა თუ არა, დავიღალეო! - თქვა და გაიღიმა. მხარდამხარ გაჰყვნენ ჩაბნელებულ მოედანს. ასე იყო პირველი შეხვედრის დროსაც. ოღონდ ამ ქალის სიახლოვეს ყოფილიყო და დაუფიქრებლად მიატოვებდა ყოველივეს.

როცა მანქანაში ჩასხდნენ, ქალმა ჩაციებით შეხედა და ჰკითხა: „ხომ არ ნანობთ?“

მან გულწრფელად უპასუხა: „არა“. ქალმა ხელი მოუჭირა და თქვა: „არც მე ვნანობ, მაგრამ...“

ქალის სახე მაშინაც მთვარით განათებულს ჰგავდა.

მშობიარობა

ფუსუმასთან იდგა და უცქერდა, როგორ ჰბანდა თეთრხალათიანი ბებიაქალი ახალშობილს. როგორც კი საპონი ჩაუვიდოდა თვალში, ჩვილი საცოდავად იჭმუხნიდა სახეს და ხმამაღლა ჭყვიროდა. იგი იყნოსავდა ჩვილის სუნს, თაგვისას რომ ჰგავდა და უნებლიეთ მწარე ფიქრები ეძალებოდა:

„რისთვის დაიბადა ამ ტანჯვა-ურვით სავსე ქვეყანაზე? ბედმა რად არგუნა მამად ჩემისთანა კაცი?“. და ეს იყო პირველი ბიჭი, მისმა ცოლმა რომ შვა.

სტრინდბერგი

იგი კარიდან უმზერდა, მთვარის შუქზე, აყვავებულ ბროწეულებს შორის, ვიღაც ტურტლიანი

ჩინელები როგორ თამაშობდნენ „მაჯანს“. მერე ოთახში შებრუნდა და ლამპასთან „შლეგის აღსარების“ კითხვა დაიწყო. მაგრამ ორი გვერდიც არ წაეკითხა, ტუჩებზე მწარე ღიმილი აეგრიხა. სტრინდბერგიც კი გრაფის ქალს - თავის სატრფოს, სიცრუეს სწერდა. სიცრუეს, რომელიც არაფრით განსხვავდებოდა მისეული სიცრუისაგან. სიძველე

ბუდას დაბზარულმა ქანდაკებებმა, ურწმუნოებმა, ცხენებმა და ლოტოსებმა ლამის მთლად გაანადგურა იგი. შეჰყურებდა და ყველაფერი ავიწყდებოდა. ავიწყდებოდა თავისი ბედნიერი იღბალიც კი, რომლის წყალობითაც თავი დააღწია შეშლილის ქალიშვილს.

სპარტანული აღზრდა

იგი ამხანაგთან ერთად შესახვევში მიაბიჯებდა. მოპირდაპირე მხრიდან რიქშა მოახლოვდა. ეტლში, მოულოდნელად, გუშინდელი ქალი აღმოჩნდა. სახე ახლაც კი, დღისითაც, მთვარით განათებულს უგავდა. ამხანაგის თანდასწრებით ცხადია, არ მისალმებიან ერთმანეთს.

- კარგი ვინმეა, არა? - თქვა ამხანაგმა.

მან გახედა გაზაფხულით ამწვანებულ მთებს, რომელთაც ტერფამდე უწევდა ქუჩა და შეუმღვრევლად უპასუხა: - ჰო, ძალიან კარგი ვინმეა.

მკვლელი

მთისკენ ამავალი სარა მზის გულზე ძროხის ფუნის სუნად ყარდა. კაცი ოფლს იწმენდდა და ისე მიჰყვებოდა მთისკენ მიმავალ გზას. გზის ორივე მხარეზე მწიფე ქერის სურნელება იდგა.

- მოჰკალ! მოჰკალ!

მან როგორღაც შეუმჩნევლად დაიწყო ამ სიტყვების გამეორება. ვინ უნდა მოეკლა? იცოდა, ვინც. მაშინვე გაახსენდა საზიზღარი, მოკლედ გაკრეჭილი კაცი.

გადაყვითლებული ქერის ყანის ბოლოში კათოლიკური ტაძრის გუმბათი წამოისვეტა.

ფორმა

ეს იყო თუნუქის პატარა სურა. ამ წვრილად მოტვიფრულმა სურამ იგი „ფორმის“ მშვენიერებას აზიარა.

წვიმა

იგი ლოგინში იწვა და ქალს ემასლაათებოდა. ფანჯრის მიღმა წვიმდა. ამ გაუთავებელი წვიმისაგან ყვავილებს ლპობა შეპარვოდა. ქალის სახე კვლავინდებურად მთვარით განათებულს ჰგავდა. თუმც, მასთან ლაპარაკი ოდნავ მოსაწყენი ეჩვენებოდა. პირქვე მწოლიარემ აუჩქარებლად გააბოლა და მოაგონდა, რომ მეშვიდე წელი იყო, რაც ამ ქალთან ჰქონდა ურთიერთობა.

- „ისევ მიყვარს?“ - ჩაეკითხა თავის თავს და პასუხი, მისთვისაც კი, ყოველთვის რომ ყურადღებით აკვირდებოდა საკუთარ გუნება-განწყობილებას, მოულოდნელი აღმოჩნდა:

- ჰო, ისევ მიყვარს! დიდი მიწისძვრა

ეს სუნი რაღაცით გადამწიფებული ჭერმის სუნს მიაგავდა. გვამების სუნი არცთუ აუტანელი ყოფილაო. მაგრამ როც გვამებით ამოვსებულ ტბორს მიადგა, მიხვდა, რომ სიტყვა „საშინელება“ ემოციურად სულაც არ იყო გადაჭარბება. განსაკუთრებით თორმეტ-ცამეტი წლის ბავშვთა გვამების ხილვამ დასცა თავზარი. უყურებდა გვამებს და, რაღაც შურის მსგავსს განიცდიდა. გაახსენდა სიტყვები: „ღმერთების რჩეულნი ადრე კვდებიან“. მის უფროს დას და ნახევარძმასაც დაეწვათ სახლები, ხოლო უფროსი დის ქმარს ცრუმოწმეობისათვის გამოტანილი განაჩენის აღსრულება გადაუდეს.

- ნეტამც დახოცილან ყველანი!.. იდგა ნახანძრალთან

და თავს ვერ აღწევდა უამურ ფიქრებს. ჩხუბი

იგი წაეჩხუბა თავის ნახევარძმას. უდაო იყო, ძმას მის გამო შევიწროებულად ცხოვრობდა, მაგრამ ისიც უდაო იყო, რომ ძმა თავისუფლებას უზღუდავდა. ნათესავები გამუდმებით ეჩიჩინებოდნენ ძმას, მისგან აიღე მაგალითიო, მაგრამ ეს სულ ერთი იყო, ჩხუბით და ჯაჯგურით შუშაბანდის ბოლომდე ჩაგორდნენ. შუშაბანდის მიღმა, ბაღში, - კარგად ახსოვდა, - წვიმიანი ზეცის ქვეშ წითლად ყვაოდა ინდური იასამნის ლაღი ბუჩქი.

კოლორიტი

მან, უკვე ოცდაათი წლისამ, როგორღაც შეუმჩნევლად შეიყვარა ერთი ტიალი ადგილი. ამ ვერან ალაგას, ხავსში, აგურისა და კრამიტის ნამტვრევები ეყარა. და მის თვალში ეს უშნო კუთხე არაფრით განირჩეოდა სეზანის პეიზაჟისაგან.

უცებ, თავისი შვიდი-რვა წლის წინანდელი გატაცება გაიხსენა. უმალ იგრძნო, რომ მაშინ, თურმე, წარმოდგენაც კი არა ჰქონია კოლორიტზე.

რეკლამის მანეკენი

მას უნდოდა ისე დაძაბულად ეცხოვრა, რომ შესძლებოდა ყოველ წამს სინანულის გარეშე მომკვდარყო. და მაინც შეჭირვებულ ცხოვრებას განაგრძობდა დედობილმამობილთან და დეიდასთან ერთად. ასეთი ყოფა ქმნიდა მისი ცხოვრების ორ მხარეს - ნათელსა და ბნელს. ერთხელ, ევროპული ტანსაცმლის მაღაზიაში სარეკლამო მანეკენი დაინახა და გაიფიქრა, საოცრად ვგავარ ამ მანეკენსო. მაგრამ მისმა ქვეცნობიერმა „მემ“, მისმა მეორე „მემ“ ეს განწყობა კარგა ხანია ერთ მოთხრობაში გამოიყენა. დაქანცულობა იგი, ერთი სტუდენტის თანხლებით, მინდორზე სეირნობდა.

- თქვენ ყველას, ალბათ, ჯერ კიდევ დიდი წყურვილი გაქვთ ცხოვრებისა, ჰა?

- დიახ... მაგრამ აკი თქვენც...

- არა, მე აღარ! შემოქმედების წყურვილი შემომრჩა მხოლოდ, მაგრამ...

მართლაც ასე გრძნობდა. შეუმჩნევლად დაკარგოდა ცხოვრების ხალისი. - შემოქმედების წყურვილი იგივე ცხოვრების წყურვილია.

აღარ უპასუხია. მინდვრის გადაღმა, მოწითალო თავთავებს ზემოთ მკაფიოდ იხატებოდა ვულკანი. და მან ამ ვულკანის მიმართ რაღაც შურის მსგავსი იგრძნო. თვითონაც არ იცოდა, რატომ. კაცი ჰოკურიკუდან**[226]**

ერთხელ იგი ისეთ ქალს გადაეყარა, ნიჭიერებითაც რომ ტოლს არ უდებდა, მაგრამ მან დაწერა „კაცი ჰოკურიკუდან“ და სხვა ლირიკული ლექსები და თავი დაღწია მარცხს. ამის შეგრძნება მწარე იყო, თითქოს ხის ტანზე მიყინული მბრწყინავი თოვლი ჩამოეფხიკოს.

ქარს მიაქვს მრგვალი სუგეგასა**[227]**

და დასცემს სადმე მტვრიან სარაზე... რა

საჭიროა, რომ შემიბრალო?

თუ ტირილია - შენი თავი იტირე მხოლოდ.

შურისძიება

ეს მოხდა მწვანე ხეებში ჩაფლული სასტუმროს აივანზე. იგი სურათებს უხატავდა პატარა ბიჭს და ამით ართობდა. ბიჭი შვილი იყო ქალისა, რომელსაც იგი შვიდი წლის წინ დასცილდა.

შეშლილის ქალიშვილი სიგარეტს ეწეოდა, თან უყურებდა მათ თამაშს. იგი გულდამძიმებული ხატავდა მატარებლებსა და თვითმფრინავებს. საბედნიეროდ ბიჭი არ იყო მისი შვილი. მაგრამ ბიჭი „ძიას“ ეძახდა, რითაც დიდ ტანჯვას ჰგვრიდა.

როცა ბიჭი სადღაც გაიქცა, შეშლილის ქალიშვილმა ღრმად ჩაისუნთქა სიგარეტის ბოლი და გამომწვევად ჰკითხა:

- განა თქვენ არა გგავთ ბავშვი?

- სულაც არა. ჯერ ერთი...

- ჰო, მგონი, ამას ჰქვია „საშოსმიერი ზემოქმედება“, არა?

მან უსიტყვოდ მოარიდა მზერა. მაგრამ გულის სიღრმეში უნებლიეთ აღეძრა სურვილი ქალის მიხრჩობისა.

სარკეები იგი იჯდა კაფეში და ამხანაგებთან

საუბრობდა.

ამხანაგი შემწვარ ვაშლს მიირთმევდა, თან ლაპარაკობდა ამინდზე, ბოლო ხანების გაუთავებელ სიცივეზე და მან ხელადვე იგრძნო რაღაც წინააღმდეგობრივი ამ საუბარში.

- ისევ უცოლო ხარ?

- იმ თვეში უნდა დავქორწინდე.

იგი გაჩუმდა. კედლის სარკეები უთვალავჯერ ირეკლავდნენ მას და თითქოს ცივად ემუქრებოდნენ...

დიალოგი

- რატომ ებრძვი თანამედროვე საზოგადოებრივ წყობილებას?

- იმიტომ, რომ კაპიტალიზმი ბუდეა ბოროტებისა.

- ბოროტებისა? მე კი მეგონა, შენ არ სცნობდი განსხვავებას კეთილსა და ბოროტს შორის. ეგეც არ იყოს, თვითონ როგორღა ცხოვრობ?

ასე ესაუბრებოდა იგი ანგელოზს. ჰო, ანგელოზს, რომელსაც ახალთახალი ცილინდრი

ეხურა. ავადობა

უძილობა დასჩემდა. ამას ძალ-ღონის დაშრეტაც მოჰყვა. ყველა ექიმი თავ-თავის დიაგნოზს უსვამდა: კუჭის კატარი, ნაწლავების ატონია, მშრალი პლევრიტი, ნევრასთენია, სახსრების ქრონიკული ანთება, ტვინის გადაქანცვა...

მაგრამ თვითონ ყველაზე უკეთ იცოდა ავადობის მიზეზი. ეს იყო სირცხვილი საკუთარი თავისა და შიში საძულველი საზოგადოების წინაშე!

ერთხელ მოქუფრულ, ნაღვლიან დღეს კაფეში იჯდა, სიგარას ეწეოდა და უსმენდა მუსიკას, რომელიც გრამოფონიდან ისმოდა. მუსიკა საშინლად უფორიაქებდა სულს. დაელოდა მუსიკის დამთავრებას, მერე მივიდა გრამოფონთან და ფირფიტის ეტიკეტს დახედა.

მოცარტი - „ჯადოსნური ფლეიტა“.

იგი მაშინვე მიხვდა, რომ მოცარტიც წმინდა მცნებათა დამრღვევი იყო და იტანჯებოდა. თუმც, ალბათ მასავით არა... თავი ჩაქინდრა და ნელი ნაბიჯით დაუბრუნდა მაგიდას. ღმერთების სიცილი

იგი, უკვე ოცდათხუთმეტი წლისა, გაზაფხულის მზით აციაგებულ ფიჭვნარში სეირნობდა. თან იგონებდა ორი-სამი წლის წინათ დაწერილ თავისავე სიტყვებს: „ღმერთებს, საუბედუროდ, არ შეუძლიათ, ჩვენსავით მოიკლან თავი“.

ღამე

ისევ ჩამოწვა ღამე. მრუმეში აზვირთებული ტალღების თავზე განუწყვეტლად იქოჩრებოდა ქაფის ნაფლეთები. ასეთი ცის ქვეშ მან მეორედ იქორწინა საკუთარ ცოლზე. ეს სასიხარულო იყო მათთვის. მაგრამ, ამავ დროს, მტანჯველიც. სამი ბავშვი მათთან ერთად უმზერდა ზღვაზე ელვათა კლაკნას. ცოლს ერთი ბავშვი ატატებული ჰყავდა და ისე ჩანდა, თითქოს ცრემლებს იკავებდა.

- იქ, მგონი, ნავი ჩანს, არა?

- ჰო.

- ანძებდამსხვრეული ნავი.

სიკვდილი

ისარგებლა, რომ მარტო ეძინა და ფანჯრის ცხაურზე თავის ჩამოხრჩობა სცადა ქამრით. მაგრამ გაუყარა თუ არა კისერი ყულფში, შეეშინდა სიკვდილისა. არა, იმიტომ არ შეშინებია, რომ ბოლო წუთებში ტანჯვის გადატანა მოუხდებოდა. გადაწყვიტა, გაემეორებინა ცდა, გაეზომა დახრჩობისათვის საჭირო დრო. და აი, მცირედი წვალების შემდეგ იგრძნო, რომ გონება ებინდებოდა. ცოტაც და, გათავდებოდა კიდეც. თვალი უსწორა საათის ისრებს, და ცხადი გახდა, რომ ჭირთათმენა წუთსა და 20 წამს გრძელდებოდა. ფანჯარას უკუნი მოსდგომოდა, ამ სიბნელეში მამლის ყივილი გაისმა.
„Divan“[228]

„Divan“-მა ერთხელ კიდევ გაუღვიძა მითვლემილი სული. ეს იყო მისთვის უცნობი „აღმოსავლელი გოეთე“. მან დაინახა კეთილისა და ბოროტის მიღმა მშვიდად მდგარი

გოეთე და იგრძნო შური, სასოწარკვეთილებასთან მომიჯნავე. პოეტი გოეთე მის თვალში ქრისტეზე მაღლა იდგა. ამ პოეტის სულში არა მარტო აკროპოლი და გოლგოთა თავსდებოდა, არამედ იქვე ხარობდა ვარდებიც არაბეთისა... ო, რომ ჰყოფნოდა ძალა მის კვალზე სიარულისა! ბოლომდე ცაიკითხა „Divan“-ი და, მღელვარებისაგან დამცხრალმა შეიზიზღა საკუთარი თავი - დაბადებული ცხოვრების საჭურისად. სიცრუე

სიძის თვითმკვლელობამ მას უეცარი დარტყმა აგემა. ახლა დის ოჯახზეც უნდა ეზრუნა. მომავალი, ყოველ შემთხვევაში მისთვის, დაბინდული იყო მიმწუხრივით. საკუთარი სულიერი გამოფიტვისადმი რაღაც გულგრილი დაცინვის მსგავსს გრძნობდა (საკუთარი ცოდვანი და სისუსტენი ბოლომდე ჰქონდა გაცნობიერებული) და ძველებურად კითხულობდა სხვადასხვა წიგნს. მაგრამ რუსოს „აღსარებაც“ გმირული სიცრუით სავსე. კიდევ უფრო მეტად ეს „ახალ ცხოვრებაზე“ ითქმოდა. არასოდეს შეხვედრია ასეთ ეშმაკსა და ფლიდს, როგორიც „ახალი ცხოვრების“[229] გმირი იყო. მხოლოდ ფრანსუა ვიიონმა აუღელვა სული. მის ლექსთა შორის ერთს წააწყდა, რომელსაც „მშვენიერი ხარი“ ერქვა.

სახრჩობელის მომლოდინე ვიიონის სახემ სიზმრებში დაუწყო გამოცხადება. რამდენჯერ მოსდომებია მასაც, მსგავსად ვიიონისა, მთლად ფსკერზე დასულიყო! მაგრამ ცხოვრების ვითარება არ აძლევდა საშუალებას და არც ფიზიკური ძალა შესწევდა საამისოდ. ნელიად სუსტდებოდა - კენწეროდან ხმობაშეპარული ხესავით, ოდესღაც ჯონათან სვიფტმა რომ იხილა...

ცეცხლთან თამაში

ქალს სახე ისე უციმციმებდა, თითქოს დილის მზის სხივი ათინათდაო თხელ ყინულზე. იგი

შეეთვისა ამ ქალს, თუმც სიყვარულს კი ვეღარ გრძნობდა. მეტიც: თითი არ დაუკარებია მისთვის.

- ოცნებობთ სიკვდილზე?

- დიახ... არა, სიკვდილზე კი არ ვოცნებობ, სიცოცხლემ მომაბეზრა თავი. ამ საუბრის

  შემდეგ მათ ერთად სიკვდილი გადაწყვიტეს.

- პლატონური თვითმკვლელობა. ხომ ასეა?

- ორმაგი პლატონური თვითმკვლელობა.

იგი გააოცა საკუთარმა სიმშვიდემ.

სიკვდილი

არ მომკვდარან. იგი კმაყოფილი იყო, რომ აქამდე თითიც არ დაეკარებინა ქალის სხეულისათვის. ქალიც ზოგჯერ ისე იქცეოდა, თითქოს მათ შორის განსაკუთრებული არაფერი

მომხდარიყოს; უფრო მეტიც, საწამლავიანი ფლაკონი მისცა და უთხრა: „რაკიღა ესა გვაქვს, ძლიერები ვართ“.

და მართლაც, ქალმა გამოუღვიძა მთვლემარე სული. იჯდა დაწნულ სავარძელში, უყურებდა მუხის ახალგამოტანილ ფოთლებს და ფიქრობდა იმ სიმშვიდეზე, სიკვდილი რომ მოუტანა.

გედის ფიტული

როცა უკანასკნელი ძალაც გამოელია, ავტობიოგრაფიის დაწერა სცადა. მაგრამ სავსებით მოულოდნელად, ეს იოლი არ აღმოჩნდა, იმიტომ, რომ მას აქამდე შემორჩა პატივმოყვარეობა, სკეპტიციზმი და ანგარიშიანობა. და სწორედ ამის გამო ეზიზღებოდა საკუთარი თავი. მეორე მხრივ, ვერც ამ აზრს იშორებდა; „თუ ადამიანებს ძირისძირობამდე გავაშიშვლებთ, ყველა ჩემნაირი აღმოჩნდება“. მზად იყო ეფიქრა, რომ „პოეზია და სინამდვილე“[230] ყველა ავტობიოგრაფიას გამოადგებოდა სათაურად. ისიც ცხადი იყო, რომ მხატვრული ნაწარმოები სულაც არ აღელვებდა ყველა მკითხველის სულს. მისი ნაწერები გამოძახილს პოვებდა მხოლოდ ახლობელთა შორის, იმათ სულში, ვინც დაახლოებით მისდაგვარად იცხოვრა.

აი, ამნაირად იყო განწყობილი. და სწორედ ამიტომ გადაწყვიტა, მოკლედ დაეწერა თავისი „პოეზია და სინამდვილე“.

როცა „ცხოვრება იდიოტისა“ მოათავსა, მეძველმანის დუქანში შემთხვევით გედის ფიტულს წააწყდა. გედი თავაწეული იდგა, ხოლო მისი გაყვითლებული ფრთები ჩრჩილისგან იყო დაჭმული. იგი უნებლიეთ დაუფიქრდა მთელ თავის ცხოვრებას და იგრძნო, ყელში ერთდროულად რომ აწვებოდა ცრემლი და სიცილი. წინ მხოლოდ შეშლილობა ან თვითმკვლელობა ელოდა. მარტოდმარტო მიმავალმა დაბინდულ ქუჩაში გადაწყვიტა, მოთმინებით დალოდებოდა ბედს, რომელიც მის მოსაშთობად მოვიდოდა.

ტყვე

ერთ-ერთი მისი ამხანაგი შეიშალა[231]. ამ ამხანაგს ყოველთვის ახლობლად თვლიდა. ალბათ იმიტომ, რომ მთელი არსებით, ისე, როგორც არავინ, განიცდიდა მის მარტოობას. მარტოობას, რომელსაც მხიარულების ნიღაბი ფარავდა. შეშლის შემდეგ, ერთი-ორჯერ ინახულა იგი.

- მე და შენ ბოროტმა დემონმა დაგვიმორჩილა, „საუკუნის დასასრულის“ ბოროტმა დემონმა - ეუბნებოდა ამხანაგი ხმადაბლა. ორი-სამი დღის შემდეგ კი, სეირნობისას, ვარდის ფურცლებს დაუწყო ჭამა.

როცა იგი საავადმყოფოში მოათავსეს, ტერაკოტის ბიუსტი გაახსენდა, ოდესღაც რომ აჩუქეს. ეს

იყო ბიუსტი შეშლილი ამხანაგის საყვარელი მწერლისა, რომელმაც „რევიზორი“ დაწერა. მას გაიხსენა, რომ გოგოლიც შეშლილი გარდაიცვალა და რაღაც დამმონებელი ძალის გარდუვალი მოახლოვება იგრძნო.

სავსებით ძალაგამოცლილმა რადიგეს[232] სიკვდილის წინა სიტყვები წაიკითხა და ერთხელ კიდევ ჩაესმა ღმერთების სიცილი. აი ის სიტყვებიც: „ღვთის ჯარისკაცები მომეახლნენ წასაყვანად“... გულდაგულ ცდილობდა საკუთარ ცრურწმენასა და სანტიმენტალობასთან ბრძოლას, მაგრამ ყოველგვარი ბრძოლა ფიზიკურად აუტანელი შეიქნა. „საუკუნის დასასრულის“ ბოროტმა დემონმა მართლაც დათრგუნა იგი. უნებლიე შური იგრძნო შუა საუკუნეთა ადამიანების მიმართ, რომლებიც ღვთის იმედით სულდგმულობდნენ. ღვთის რწმენა, ღვთის თაყვანებით სულდგმულობა მას აღარ შეეძლო. თუნდაც იმ ღვთისა, ჟან კოკტოს რომ სწამდა.

დამარცხება

კალმიანი ხელი უთრთოდა. ნერწყვმა უმწეო ბავშვივით დაუწყო დენა. გონება ნათელი ჰქონდა მხოლოდ გამოღვიძების შემდეგ, დაძინებას კი უამრავი ვერონალით ახერხებდა. და გონებასაც სულ ნახევარი ან ერთი საათით თუ უბრუნდებოდა ჩვეული ძალა. აუწყველ და ამოუხაპავ

სიბნელეში მიიზლაზნებოდა დრო. თითქოს წვრილ მახვილზე იყო დაყრდნობილი, რომელსაც ალესილი პირი გადასტეხოდა.

ივნისი***, 1927*** ***წ.***

თარგმნა თეიმურაზ მაღლაფერიძემ

ფიქრები ლიტერატურაზე

ლიტერატურული, მხოლოდ და მხოლოდ ლიტერატურული ნაწარმოები; მოკლებული ყოველგვარ „თხრობას“[233].

არა მგონია, რომ „თხრობას“ მოკლებული ნაწარმოები სხვებზე უმჯობესი იყოს. აი ამიტომაც არ ვქადაგებ, მხოლოდ „თხრობას“ მოკლებული ნაწარმოები წერეთ-მეთქი. უწინარეს ყოვლისა, ჩემი ნოველებიც მეტნაკლებად „თხრობითია“. სურათის შექმნა უესკიზოდ არავის ძალუძს. ასევე, პროზაული თხზულებაც „თხრობაზე“ ფუძნდება (სიტყვა „თხრობას“ მარტო „მოთხრობის“ მნიშვნელობით არა ვხმარობ). პირდაპირ უნდა ითქვას, ნაწარმოების შექმნა „თხრობის“ გარეშე ყოვლად წარმოუდგენელია და ბუნებრივია ჩემი მოწიწებაც თხრობაზე დაფუძნებული ნაწარმოებებისადმი. განა შეიძლება სხვანაირად მოვიქცეთ, როცა ჯერ კიდევ უხსოვარ დროს „თხრობაზე“ დააფუძნეს „დაფნისი და ქლოე“, ყველა სხვა პროზაული ნაწარმოები და ეპიკური პოემა. „ქალბატონი ბოვარის“, „ომი და მშვიდობის“, „წითელი და შავის“ ქვაკუთხედიც „თხრობაა“.

მაგრამ ნაწარმოების შეფასებისას არ შეიძლება „თხრობის“ ღირსება-ნაკლოვანებებს დავემყაროთ, მით უმეტეს „თხრობის“ ორიგინალობა თუ არაორიგინალობა შეფასების გარეთ

უნდა რჩებოდეს (ყველასთვის ცნობილია, ძიუნიტირი ტანიძაკი[234] ორიგინალურ „თხრობაზე“ აგებული მრავალი ნაწარმოებთაგან ზოგიერთმა შეიძლება საუკუნეებს

გაუძლოს. ეს სულაც არ ნიშნავს, თითქოს მათი უკვდავება „თხრობის“ ორიგინალობაზე იყოს დამოკიდებული). კაცმა რომ თქვას, საკითხს - ნაწარმოებში არის თუ არა „თხრობა“, ამ პრობლემასთან საერთო არაფერი

აქვს. ვიმეორებ: არა მგონია, რომ საერთოდ „თხრობას“ მოკლებული ნაწარმოები სხვებზე უმჯობესია. მაგრამ ვფიქრობ, ასეთ ნაწარმოებსაც აქვს არსებობის უფლება. „თხრობას“ მოკლებული ნაწარმოები მხოლოდ ადამიანის საქციელს როდი ასახავს. სხვა პროზაულ ქმნილებათაგან იგი ყველაზე უფრო ახლოა ლექსთან. ამავე დროს, ის უფრო ახლოა პროზასთან, ვიდრე ე.წ. პროზაული ლექსები. მესამედ ვიტყვი: არა მგონია, რომ „თხრობას მოკლებული ნაწარმოები სხვებზე უმჯობესია და მაინც, „სიწმინდის“ თვალსაზრისით, ის უფრო წმინდა სახის მხატვრული ნაწარმოებია. შეიძლება კვლავ მოვიყვანოთ მაგალითი ფერწერიდან - უესკიზოდ სურათის შექმნა შეუძლებელია (მხედველობაში არა მაქვს კანდინსკის მთელი რიგი ტილოები, „იმპროვიზაცია“ რომ ეწოდება). მაგრამ, მიუხედავად ამისა, ცხოვრების ამსახველი სურათი იმდენად ესკიზის წყალობით არ იქმნება, რამდენადაც საღებავებისა. ჩვენდა საბედნიეროდ, იაპონიამდე მოღწეული სეზანის რამდენიმე ტილო ამას ნათლად გვიმტკიცებს. მე სწორედ ისეთი ნაწარმოებები მიტაცებს, რომლებიც ამ სურათებს მაგონებს.

გვხვდება თუ არა სინამდვილეში ასეთი თხზულებანი? პირველად ძველმა გერმანელმა ნატურალისტებმა შექმნეს ისინი. უფრო გვიანდელებიდან შეიძლება მხოლოდ ჟიულ რენარი დავასახელოთ. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, რენარის „ფილიპის ოჯახის ცხოვრება“, ერთი შეხედვით, დაუმთავრებელი გვეჩვენა. ასეთი ქმნილება იმათ რიცხვს გაენკუთვნება, რომელთა დამთავრება შეუძლია მხოლოდ „დაკვირვებულ თვალს“ და „მგრძნობიარე გულს“. სეზანს კიდევ ერთ მაგალითს დავესესხები. შთამომავლობას მან მრავალი დაუმთავრებელი სურათი დაუტოვა ისევე, როგორც მიქელანჯელომ მრავალი დაუმთავრებელი ქანდაკება. მაგრამ უნებურად ეჭვი გვიპყრობს - განა ნამდვილად დაუმთავრებელ სეზანის ტილოები? გავიხსენოთ, რომ მიქელანჯელოს დაუმთავრებელ ქანდაკებებს როდენი დამთავრებულად თვლიდა! თუმცა რენარის ნაწარმოებებს, მიქელანჯელოს ქანდაკებებს, ისევე როგორც სეზანის ზოგიერთ ტილოს არ შეიძლება დაუმთავრებელი ეწოდოს. საქმეში ჩაუხედაობის გამო, სამწუხაროდ, ვერაფერს ვიტყვი იმაზე, თუ როგორ აფასებენ რენარს ფრანგები, მაგრამ, ეტყობა, მისი შემოქმედებითი მანერის ორიგინალობამ საკმაო აღიარება ვერ ჰპოვა.

ნუთუ მხოლოდ უცხოელებს შეუძლიათ შექმნან მსგავსი რამ? ჩემი აზრით, იაპონელებზე თუ ვიმსჯელებთ, შეიძლება ნაოია სიგას მოთხრობები დავასახელოთ. მე ვთქვი, რომ ასეთი სახის ნაწარმოებნი არ არის „ვულგარულად თავშესაქცევი“.

ვულგარულად თავშესაქცევს ვუწოდებ ერთგვარ ლტოლვას მხოლოდ და მხოლოდ ამბისადმი. დღეს ქუჩაში ვიდექი და მძღოლისა და რიქშას ჩხუბს თვალს ვადევნებდი. გარკვეული ცნობისწადილიც აღმეძრა. როგორი იყო ეს ცნობისწადილი? ბევრი ვიფიქრე და ვერ წარმოვიდგინე, რითი განსხვავდებოდა იგი იმ ცნობისწადილისაგან, როცა ვუცქერ ჩხუბს თეატრის სცენაზე. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ჩხუბი სცენაზე არ მემუქრება, ხოლო ქუჩაში ატეხილი აურზაური პირადად ჩემთვის

ხიფათად შეიძლება გადაიქცეს. არ ვაპირებ იმ ლიტერატურის უარყოფას, ასეთ ცნობისწადილს რომ აღძრავს. მაგრამ მჯერა, რომ არსებობს კიდევ სხვა, უფრო მაღალი ცნობისწადილი. ამის მაგალითად (პირველ რიგში ძიუნიტირო ტანიძაკის ვუპასუხებდი) მოვიყვანდი „ჟირაფის“ რამდენიმე გვერდს, განსაკუთრებულ ცნობისწადილს რომ აღძრავს. „თხრობას მოკლებულ ნაწარმოებს თითქმის სრულიად არ გააჩნია ვულგარული თავშესაქცევი (საკითხავია, როგორ გავიგებთ სიტყვა „ვულგარულს“). რენარის დახატული ფილიპი პოეტის თვალსა და გულში გავლილი ფილიპია - ჩვენს ცნობისწადილს კი ძირითადად იმიტომ იწვევს, რომ ის ჩვენთვის ახლობელი, ჩვეულებრივი ადამიანია. ამას რომ ვულგარული თავშექცევა ვუწოდოთ,

უსამართლობა იქნებოდა (ბუნებრივია, ჩემს მსჯელობაში არ მსურდა დავყრდნობოდი გამოთქმას „ჩვეულებრივი ადამიანი“). ბევრს ვიცნობ, ლიტერატურა ასეთი თავშესაქცევისათვის რომ უყვარს. ჩვენ არ გვწყინდება ზოოპარკში ჟირაფის ცქერა - ეს სრულიად ბუნებრივია. მაგრამ, ამავე დროს, კატაც გვიყვარს, ჩვენს ბინაში რომ მოუკალათებია.

თუ სეზანს, ერთი კრიტიკოსის მსგავსად, ჩვენც ფერწერის დამამსხვრეველს ვუწოდებთ, მაშინ რენარმაც დაამსხვირია „თხრობა“. ისევე, როგორც საკმევლის სურნელით გაჟღენთილი ჟიდი, ისევე, როგორც ქუჩის სუნით აქოთებული ფილიპი, რენარი მიაბიჯებს ხაფანგებითა და ხიფათით სავსე უდაბურ გზაზე. ჩემს ცნობისწადილს იწვევს იმ მწერლების შემოქმედება, ანატოლ ფრანსისა და ბარესის[235] შემდგომ რომ მოვიდნენ. როგორი ნაწარმოებები მაქვს მხედველობაში, „თხრობამოკლებულს“ რომ ვუწოდებ და რატომ აღმიძრავენ ისინი ცნობისწადილს, ამის გაგება ჩემ მიერ ზემოთ ნათქვამიდან შეიძლება.

ტიკამაცუ მონძაემონი[236]

ძიუნიტირო ტანიძაკისა და ჰარუო სატოსთან[237] ერთად თოჯინების თეატრში ვიყავი. დიდი ხანია მარიონეტების სპექტაკლი არ მენახა. თოჯინა მსახიობზე ლამაზია, განსაკუთრებით მაშინ, როცა არ ამოძრავებენ. თოჯინების გამთამაშებელი შავსამოსიანი მსახიობი უსიამო გრძნობას იწვევს, ასეთი ფიგურები გოიას ნამუშევრებში უკანა პლანზე მოჩანს ხოლმე. ასე გეგონება, ეს შავი ფიგურები, როგორც შენი ნაღვლიანი ბედისწერა, სადღაც მიგერეკებოდეს...

ახლა თოჯინებზე კი არა, ტიკამაცუ მონძაემონზე მინდა გესაუბროთ. ძიჰეისა და კოჰარუს ვუყურებდი და ავტორზე დავიწყე ფიქრი. რეალისტ საიკაკუს[238] საპირისპიროდ, ტიკამაცუს

იდეალისტად თვლიან. ტიკამაცუს მსოფლმხედველობას არ ვიცნობ. ზეცას რომ შეღაღადებდა, ალბათ ჩვენს არასრულყოფილებაზე თუ შესჩიოდა. შესაძლოა, დღევანდელი დღის შემყურე, შიშით ელოდა ხვალინდელს. ახლა დაბეჯითებით ვინ მოგცემს ამის პასუხს? მისი დრამების მნახველმა ნამდვილად შემიძლია დავამტკიცო, რომ ტიკამაცუ იდეალისტი არაა. იდეალისტი?.. როგორ შეიძლება მას იდეალისტი ვუწოდოთ? საიკაკუს შემოქმედება და მსოფლმხედველობა რომანტიკულია. ოცნებისაკენ ლტოლვას თუ რომანტიზმს ვუწოდებთ, მაშინ ტიკამაცუც რომანტიკოსია. მაგრამ, ამავე დროს, გარკვეული ასპექტით, ის ჭეშმარიტი რეალისტია.

მისი რეალისტური დრამა ადამიანის სულის ყველაზე იდუმალ კუნჭულს აღწევს. დრამაში, ცხადია, გენროკუს ეპოქის[239] დამახასიათებელი ლირიკული ლექსებიც გვხვდება...

ტიკამაცუს ხშირად იაპონელ შექსპირს უწოდებენ. მისი შემოქმედება უფრო მეტადაა შექსპირული, ვიდრე ფიქრობენ. ჯერ ერთი, შექსპირის მსგავსად, თითქმის ყველას აღემატება ინტელექტით (გავიხსენოთ თუნდაც მოლიერის ინტელექტი). მეორეც, მისი დრამები სავსეა ბრწყინვალე სტრიქონებით და, ბოლოს, თვით ყველაზე მძაფრად დრამატულ ქარგაშიც კი კომედიური სცენაა ჩაქსოვილი. მაყალთან მოფუსფუსე ღარიბი ბერის მაყურებელს[240] ხშირად გამხსენებია დიადი „მაკბეტის“ ლხინი.

ტიოგიუ ტაკაიამას გამოკვლევების გავლებით, ტიკამაცუს ყოფით დრამებს მისავე ისტორიულ

დრამებს ამჯობინებენ. მაგრამ არც ისტორიულ დრამაში გვევლინება ტიკამაცუ რომანტიკოსად. ამ თვისებითაც შექსპირს ენათესავება. შექსპირმა სამუდამოდ შეაჩერა თავისი საათი რომში. ტიკამაცუმ ეპოქის უგულვებელყოფაში შექსპირსაც გაუსწრო. უფრო მეტიც, ღმერთების საუკუნეც[241] გენროკუს ეპოქის სამყაროდ გადააქცია. პარადოქსულია, მაგრამ მისი პერსონაჟების ფსიქოლოგიური მონახაზები ხშირად სრულიად რეალისტურია. მაგალითად, ისტორიულ დრამაში „ნიხონ ფურისოდე ხაძიმე“ ძმების - კოტანას და სოტანას (პიესის გმირები) ჩხუბი ყოფითი დრამის სცენად წარმოგვესახება, ხოლო კოტანას ცოლის და თვით კოტანას სულიერი მდგომარეობა მამის მოკვლის შემდგომ ჩვენი დროისათვისაც მახლობელია. უფრო მეტიც, სუსანოო-ნო-მიკოტოს სიყვარული, გავბედავ და ვიტყვი, მარადი სახით შემორჩა ისტორიის ფერიცვალებას.

ტიკამაცუს ისტორიული დრამა, ბუნებრივია, უფრო მეტადაა გაჟღენთილი ფანტაზიით, ვიდრე ყოფითი დრამა და სწორედ ამ ფანტაზიის წყალობით ათის უფრო მომხიბვლელი, რასაც ვერ ვიტყვით ყოფით დრამაზე.

ლექსის-ფორმა

მრავალ წელს მშვიდად ეძინა ზღაპრულ პრინცესას ციხე-კოშკში. იაპონური ლექსი, ტანკას[242]

და ჰაიკუს[243] გარდა, ამ ზღაპრულ პრინცესას ჰგავდა. ტიოკის[244] ფორმითაა დაწერილი „მანიოსიუ“[245], საიბარა[246], „ტაირის სახლის თქმულება“, იოკიოკუ და ძიორური. მრავალი სალექსო ფორმა თვლემს ამ ნაწარმოებებში. ადრე ვწერდი, რომ იოკიოკუ ახლოსაა თანამედროვე ლექსის ფორმასთან. მას ახასიათებს თანამედროვე ენის რიტმი. ეგრეთ წოდებული თანამედროვე ხალხური პიესების უდიდესი ნაწილი დიდოიცუს[247] ფორმითაა დაწერილი. მძინარე პრინცესას დანახვაც კი დიდ ცნობისწადილს აღუძრავს ადამიანს და რაღა იქნება, ის რომ გავაღვიძოთ!

დღევანდელი, ან ძველი ტერმინოლოგიით, ახალი სტილის ლექსი, ვგონებ, სწორედ ამ გზით მიემართება. ახლანდელი გრძნობების გამოსახატავად, ჩანს, ლექსის გუშინდელი ფორმა არ გამოდგება. ამავე დროს, სულაც არ ვამტკიცებ, რომ უცვლელად უნდა მივდიოთ ძველ პოეტურ ფორმას. ვგრძნობ უბრალოდ, რომ ამ

პოეტურ ფორმაშიც არის რაღაც ცხოველმყოფელი. ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ: შეგნებულად უნდა ვეცადოთ, ამ რაღაცას ჩავჭიდოთ ხელი.

ჩვენ, ყველანი, გარდამავალ ხანაში გავჩნდით და წინააღმდეგობაზე წინააღმდეგობას ვუმატებთ. სინათლე იაპონიისათვის მაინც დასავლეთიდან უფრო მოდის, ვიდრე აღმოსავლეთიდან. მაგრამ შუქი წარსულიდანაც გვეფინება... ბუნებრივია, პრინცესას გაღვიძება ყველას არ შეუძლია...

ძველ იაპონურ ლექსში არის ცინცხალი რამ, ის, რაც გამოძახილს ითხოვს. ბუნებრივია, ეს „რაღაც“ ჩემს სმენას სწვდება, მაგრამ მისი ხორცშესხმა არ ძალმიძს. ლიტერატურის თვალსაზრისით შეიძლება ეს წვრილმანია, მაგრამ მე, რაგინდ უცნაურადაც მოგეჩვენოთ, მთელი არსებით მიველტვი ამ ბურუსით დაფარულს და მოუხელთებელს.

პროლეტარული ლიტერატურა

ჩვენი დროის სამანთა გადალახვა არ შეგვიძლია. არ შეგვიძლია ჩვენი კლასის სამანთა გადალახვა...

საშუალო კლასებმა, უეჭველია, მრავალი რევოლუციონერი წარმოშვა. თეორიულად და პრაქტიკულად მათ საკუთარი იდეები გამოხატეს, მაგრამ განა შეძლო მათმა სულმა საშუალო კლასების ზღუდეთა გადალახვა? ლუთერმა რომაულ-კათოლიკური ეკლესიის წინააღმდეგ გაილაშქრა. ის ხედავდა ეშმას, მის საქმეს წინ რომ ეღობებოდა. ლუტერი ახალი იდეებით იყო აღჭურვილი, მაგრამ მის სულს არ შეეძლო არ შეემჩნია რომის კათოლიკური ეკლესიის ჯოჯოხეთი. ეს მხოლოდ რელიგიას არ ეხება. იგივეა, როცა სოციალურ სისტემაზე ლაპარაკობენ.

ჩვენი სული კლასობრივი დამღით არის დატვირთული. მაგრამ მხოლოდ კლასობრივი კუთვნილება არ გვაერთიანებს. ჩვენ შეკავშირებულნი ვართ გეოგრაფიულადაც - დაბადების ადგილით, ჯერ იაპონიით და შემდეგ მშობლიური ქალაქითა და სოფლით. ახლა მემკვიდრეობასა და გარემოცვას თუ გავიხსენებთ, ჩვენვე გაგვიკვირდება, იმდენად რთული წარმონაქმნი ვართ... მცენარეები ვართ, სხვადასხვა მიწაზე და სხვადასხვა ცის ქვეშ რომ ხარობენ. ჩვენი თხზულებანიც განსხვავებულ პირობებში აღმოცენებულ მცენარეთა ნაყოფია. ღვთის თვალით რომ გადმოვხედოთ საკუთარ თავს, დავინახავთ, ჩვენს ნაწარმოებებში მთელი ჩვენი ცხოვრებაა აღბეჭდილი.

რა არის თავისთავად პროლეტარული ლიტერატურა? უპირველეს ყოვლისა, ეს, რა თქმა უნდა, ლიტერატურაა, რომლის ყვავილებიც პროლეტარული კულტურის წიაღში იფურჩქნება. დღევანდელ იაპონიაში ამას ვერ ვხედავთ. შემდეგ, ეს პროლეტარიატის ინტერესებისათვის მებრძოლი ლიტერატურაა. ჩვენ ამას იაპონიაშიც ვხედავთ (მეზობლად შვეიცარია რომ ყოფილიყო, პროლეტარული ლიტერატურა უფრო განვითარდებოდა.) მესამე - ესაა ლიტერატურა (სულ ერთია, კომუნიზმის ან ანარქიზმის პრინციპებს ემყარება თუ არა), რომელსაც პროლეტარული სული უდევს საფუძვლად. პროლეტარული ლიტერატურის მეორე და მესამე განსაზღვრა ერთმანეთს სრულიად შეესაბამება. ახალი, ახალგაზრდა

ლიტერატურა რომ შეიქმნას, ის პროლეტარული სულით უნდა იყოს შთაგონებული... კომუნისტური ან

ანარქისტული იდეების გამოსახვა ნაწარმოებში სრულიადაც არაა ძნელი, მაგრამ ნაწარმოებს მხოლოდ პროლეტარული სული ანიჭებს პოეტურ სიდიადეს და ალმასისებურ ბრწყინვალებას. უდროოდ გარდაცვლილ ახალგაზრდა ფილიპს[248] პროლეტარული სული ჰქონდა... ნეოსენსუალისტთა ჯგუფი[249]

ახლა ალბათ ძალზე გვიანია ნეოსენსუალისტთა მოღვაწეობის კრიტიკული ანალიზი, მაგრამ გავეცანი ამ ჯგუფის კრიტიკულ სტატიებს და ძლიერმა სურვილმა შემიპყრო, ნეოსენსუალისტთა დადებითი და უარყოფითი მხარეები აღმენიშნა.

პოეზიაზე თუ ვიმსჯელებთ, ის ყველა დროს ნეოსენსუალისტთა ჯგუფის ინტერესების სასარგებლოდ ვითარდება. ამ აზრით სრულიად მართალი საისეი მუროოს[250] მტკიცება, რომ ბასიო[251] იყო გერნოკუს ეპოქის ყველაზე დიდი პოეტი, რომლისთვისაც ზედგამოჭრილია განსაზღვრება „ნეო“. ბასიო ყოველთვის იმას ცდილობდა, ლიტერატურისათვის „ნეო“ გამხდარიყო. რამდენადაც პროზა და დრამაც პოეზიის ელემენტებს შეიცავს, ე.ი. ფართო გაგებით ორივე პოეზიას წარმოადგენს, ნეოსენსუალისტთა ჯგუფის გამოჩენას ისინიც უნდა მიესალმონ. მახსოვს, ამ ჯგუფს, ასე თუ ისე, ჰაკუსიუ კიტაჰარაც[252] ეკუთვნოდა (იმდროინდელ პოეტებს სიმბოლოდ ჰქონდა „გრძნობათა თავისუფლება“). ძიუნიტირო ტანიძაკიც ემხრობოდა ნეოსენსუალისტთა[253] ჯგუფს.

დღევანდელ ნეოსენსუალისტთა ჯგუფის მიმართ მეც, ბუნებრივია, გარკვეული ინტერესი აღმეძვრის. ამ მწერლებმა, ყოველ შემთხვევაში კამათის მონაწილეებმა, გამოაქვეყნეს თეორიული ნამუშევრები, გაცილებით უფრო „ნეო“, ვიდრე ჩემი მოსაზრებანია ნეოსენსუალისტთა ჯგუფზე. სამწუხაროდ, სათანადოდ არ ვიცნობ მათ. ჩემთვის ცნობილია, და ისიც არც თუ ისე კარგად, მხოლოდ ნეოსენსუალისტთა ჯგუფის ნაწარმოებნი. პირველი მოთხრობები და ნოველები რომ გამოვაქვეყნეთ, ჩვენ „ნეორაციონალისტების“ ჯგუფი შეგვარქვეს (რა თქმა უნდა, ჩვენს თავს ასე არ ვუწოდებთ). მაგრამ ნეოსენსუალისტების ჯგუფის მწერალთა თხზულებებს თუ გადავხედავთ, მაშინ უნდა ითქვას, რომ ისინიც, რაღაც აზრით, უფრო მეტად არიან „ნეორაციონალისტები“, ვიდრე ჩვენ ვიყავით. რას ნიშნავს „რაღაც აზრით“? ეს არის რაციონალიზმის სხივი, მათ ეგრეთ წოდებულ სენსუალობას რომ აშუქებს. ერთხელ, სისე მუროო და მე უსუის მთაზე გადმომდგარ მთვარეს ვუყურებდით. უცებ საისე მუროოს სიტყვები მომესმა მიოგის მთა კოჭას მაგონებსო. მეც, ჩემდა მოულოდნელად, აღმოვაჩინე, რომ ეს მთა მართლაც მოგვაგონებს კოჭას ფესვს: ასეთი, ეგრეთ წოდებული სენსუალობა რაციონალიზმის სინათლით არ გაშუქებულა. რას წარმოადგენს თავისთავად მათი ე.წ. სენსუალობა? რიიტი იოკომიცუმ ჩემთვის მათი ეგრეთ წოდებული სენსუალობის აღმაფრების ასახსნელად ტაკეო ფუძისავას[254] ფრაზა მითხრა: „ცხენი გარბოდა, როგორც მწითური აზრი“. მე არ შემიძლია ვთქვა, რომ მსგავსი აღმაფრენა ჩემთვის გაუგებარია, მაგრამ ეს სტრიქონი აშკარად რაციონალისტურმა ასოციაციებმა გამოიწვია. ამრიგად, მათ თავისი ეგრეთ წოდებული

სენსუალობა არ შეუძლიათ რაციონალიზმის შუქით არ გაანათონ. ესაა, როგორც ჩანს, ამ ჯგუფის განსაკუთრებულობა. თუ ეგრეთ წოდებული სენსუალობის მიზანი რაიმე სიახლეა თავისთავად, მაშინ ვალდებული ვარ, მიოგის მთის აღქმა კოჭას ფესვად ყოველგვარ სიახლეზე უახლესად ჩავთვალო. ასე აღიქვამდნენ ჯერ კიდევ შორეული ედოს დროიდან.[255]

ნეოსენსუალისტთა ჯგუფი აუცილებლად უნდა წარმოქმნილიყო. ეს წარმოქმნა სულაც არ იყო ადვილი, როგორც ყოველგვარი სიახლის წარმოქმნა (ლიტერატურაში). ნეოსენსუალისთა ჯგუფის წევრებით, ან, უფრო სწორია თუ ვიტყვით, მათი ეგრეთ წოდებული ნეოსენსუალობით აღფრთოვანება მიჭირს, - მე ეს მითქვამს კიდეც. მაგრამ კრიტიკოსები მაინც ძალზე მკაცრად ექცევიან მათ. ასე თუ ისე, ნეოსენსუალისტთა ჯგუფის წევრები ცდილობენ ახალი მიმართულებით მოძრაობას. ეს აუცილებლად უნდა ვაღიაროთ. მათი დაცინვა მარტო იმას კი არ გამოიწვევს, რომ დარტყმას მივაყენებთ ნეოსენსუალისტურ მწერლებს, ან იმ მიზანს, რომელსაც დაისახავს ნეოსენსუალისტთა ჯგუფის ახალი თაობა, ძველს კვალდაკვალ რომ მოჰყვება, არამედ მათ შემდგომ ზრდასაც შეაფერხებს. ეს კი, ბუნებრივია, იაპონიის ლიტერატურის თავისუფალ განვითარებას, მის პროგრესს ხელს არ შეუწყობს.

კლასიკა

ვეჭვობ, „რჩეული უმცირესობა“ ის უმცირესობა იყოს, რომელსაც უმაღლესი მშვენიერების ჭვრეტა ძალუძს. მათ უფრო ნაწარმოებში გამოსახულ გრძნობებთან შეხების უნარი შესწევთ. გამოდის, თითქოს მხატვრულ ქმნილებას არ უნდა ჰყავდეს მკითხველი, გარდა „რჩეული უმცირესობისა“. ეს როდი ნიშნავს, არ არსებობდეს „მკითხველთა არარჩეული უმრავლესობა“. „გენძის ამბავის“[256] მაქებარი ბევრი მინახავს. არაფერს ვიტყვი, როგორ ესმით და როგორ სიამოვნებას ანიჭებთ ეს რომანი. მაგრამ ჩემს მახლობელ მწერალთა შორის მხოლოდ ორი -ძიუნიტირო ტანიძაკი[257] და ტოსიო აკასი თუ მეგულება მისი ბოლომდე წამკითხველი. ამრიგად, კლასიკური შეიძლება ეწოდოს ნაწარმოებს, ორმოცდაათი მილიონი ადამიანიდან[258] ერთი-ორს რომ წაუკითხავს.

„მანიოსიუს“ გაცილებით ბევრი კითხულობს, ვიდრე „გენძის ამბავს“, არა იმიტომ, რომ მათ უფსკრული ყოფთ: ერთი პროზაული, მეორე - პოეტური ქმნილებაა; უბრალოდ, „მანიოსიუში“ შეტანილი ნაწარმოებნი თითოეული ცალ-ცალკე შეუდარებლად მოკლეა „გენძის ამბავზე“. ყოველ დროს, აღმოსავლეთსა თუ დასავლეთში, მკითხველს მაინცდამაინც არ იზიდავდა გრძელი ნაწარმოები. ასეთი თხზულება წარმატებით სარგებლობდა, თუ მოკლე ამბებისაგან იყო შედგენილი. ჯერ კიდევ პოეზიის საკუთარი პრინციპების განმტკიცებისას, ზუსტად ამ ფაქტს ემყარებოდა.

ბირსიც[259] ასე მოიქცა. პროზის საკუთარი პრინციპების განმტკიცებისას. ჩვენ, აღმოსავლელი ადამიანები, არა გონებით, არამედ გრძნობით ვხელმძღვანელობდით და ამ საკითხში მათი წინამორბედნი აღმოვჩნდით. სამწუხაროდ, მათ მსგავსად ამ ფაქტზე დაფუძნებული, ლოგიკურად დასრულებული შენობა არ აგვიგია. რომ გვეცადა, მაშინ ისეთ რომანსაც კი, როგორიც „გენძის ამბავია“, შესაბამისი მასალით უზრუნველვყოფდით. მშვენიერი მასალა რომანს ყოველ შემთხვევაში პოპულარობას

მოუტანდა (მაგრამ პოს თეორიის გაცნობისას, დიდი სხვაობა აღმოჩნდება აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის; პოს ლექსის ყველაზე შესაფერ სიგრძედ ასი სტრიქონი მიაჩნია. იგი ჩვენს სამსტრიქონიან და ჩვიდმეტმარცვლიან ჰაიკუს ლექსად არც ჩათვლიდა და „ეპიგრამას“ შეარქმევდა).

უკვდავება, სულ ერთია აღიარებენ ამას თუ არა, ყველა პოეტის სანუკვარი ოცნებაა. ეს გამოთქმა არაა ზუსტი. უფრო სწორია თუ ვიტყვით: „სანუკვარი ოცნებაა იმ პოეტებისა, რომელთაც გამოუქვეყნებიათ საკუთარი თხზულებანი“.

ისეთი ადამიანებიც არიან, საკუთარი პოეტობა რომ სწამთ და ერთი სტრიქონიც არ გამოუქვეუყნებიათ. შევთანხმდეთ და პოეტად ჩავთვალოთ მხოლოდ ის კაცი, ვინც ხასიათისა და გარემოებათა მიხედვით ან ლექსს წერს ან პროზას. ამ პოეტის პრობლემა ის კი არ არის, თუ „რა აქვს დაწერილი“, არამედ ის, „რაც არ დაუწერია“. ჰონორარის შემყურე პოეტისათვის ეს,

ბუნებრივია, მაინცდამაინც სასიამოვნო არაა. თუ გულზე არ ეხატება, დაე, გაიხსენოს, ფეოდალიზმის ეპოქის პოეტი როკუძიუენ ისაკავა[260] ფუნდუკის მფლობელი რომ იყო. ჩვენ ლიტერატურის დღიური მუშაკნი რომ არ ვიყოთ, რაიმე ხელობას შევისწავლიდით. იქნებ გამოცდილება და ცოდნაც გაგვეღრმავებინა. ზოგჯერ შურით ვიგონებ ძველ დროებას. არავინ ცხოვრობდა ლიტერატურული შრომით, მაგრამ სწორედ ამ ეპოქამ დაგვიტოვა კლასიკური მწერლობა. შეცდომა იქნებოდა, გვემტკიცებინა, არსებობისათვის დაწერილი თხზულება კლასიკურ ნაწარმოებად ვერ გადაიქცაო (ზოგიერთ მწერალს სხვადასხვა პოზის მიღება სჩვევია, მათგან ყველაზე ბუნებრივია - „არსებობისათვის ვწერ“). ოღონდ არ უნდა დავივიწყოთ, ანატოლ ფრანსი გვაფრთხილებდა - მომავლისაკენ გაფრენის მსურველი მსუბუქი უნდა იყოსო.

ბოლოს დავსძენდი, კლასიკური მხოლოდ იმ ნაწარმოებს შეიძლება ვუწოდოთ, რომელსაც ყველა კითხულობს თავიდან ბოლომდე.

საუბარი ლიტერატურაზე

ჩვენი თხზულებანი გაზეთებსა და ყოველდღიურ ჟურნალებში იბეჭდება. წინათაც ასე იყო, ახლაც არაფერი შეცვლილა.

ევროპიდან ერთმა მეგობარმა ღია ბარათი გამომიგზავნა ნოტრ-დამის გამოსახულებით. ვუყურებდი და კვლავ ფიქრი ამეკვიატა. საქმე ისაა, რომ არქიტექტურა რამდენადმე გაბატონდა ფერწერაზე. მიქელანჯელოს უზარმაზარი ფრესკები რომანული არქიტექტურის გავლენით გაჩნდა. ვან დეიკის მომცრო სურათებიც გოთურმა არქიტექტურამ განაპირობა. როგორც ჩანს, ლიტერატურულ ნაწარმოებსაც იმ ყოველთვიური ჟურნალ-გაზეთების დაღი აზის, სადაც ის იბეჭდება. ახლანდელი რომანები გაზეთის სულითაა გამსჭვალული. ახლანდელ მოთხრობებს მომავლის თვალით რომ გადავხედოთ, მაშინ ალბათ სტრიქონთა შორის მთელ ჟურნალს დავინახავდით. იქნებ ეს, უბრალოდ, ჩემი ფანტაზიაა, მაგრამ ის, რომ ჩვენს ნაწერებში გაზეთი ან ჟურნალი ტივტივებს, რეალურზე სარწმუნო ფანტაზიაა და ექსპრესიონისტულ ფილმს მოგვაგონებს.

ჩვენი ჟურნალ-გაზეთები წელიწადში ათასზე მეტ რომანსა და მოთხრობას აქვეყნებენ. მათი სიცოცხლის ხანგრძლივობა ძალზე მოკლეა. ლიტერატურის სახეობათაგან რომანი ყველაზე უკეთ ასახავს ცხოვრებას. ამავე დროს ცხოვრების ხასიათი იცვლება და რომანის ზემოქმედება მცირდება ლიტერატურის სხვა სახეებთან შედარებით. გუშინდელი რომანი უნდა წავიკითხოთ გუშინდელი ცხოვრების შესაცნობად. ამ რომანებს პირველ რიგში შემეცნებითი ღირებულება აქვს და არა ის, რომ აგვაღელვოს და გული აგვითრთოლოს.

ჩემი დროის მწერლები ტადანაო კიოსა[261] თუ ბერი სიუნკანი[262] ადამიანურ სახეებს ქმნიან. მაგრამ ისინი ადრე თუ გვიან გარდაიქმნებიან ტადანაო კიოს თუ ბერ სიუნკანისეულ „ადამიანურზე გაცილებით უფრო“ დამაჯერებელ სახეებად. ყველაზე წმინდა, ნათელი გრძნობა, მაგალითად, მამაკაცისა და ქალის სიყვარული, ყოველთვის გვაღელვებს, თუნდაც ის „გენძის ამბავში“ ამოვიკითხოთ. მაგრამ ვის ეყოფა სიჯიუტე, ასეულ ფურცელს გააწყალებინოს თვალი ცხოვრებისეული სიმართლით სავსე რამდენიმე სტრიქონისათვის. საუკუნეებს რჩება მხოლოდ ის, რაც დიდი გამომსახველობითი ძალით გადმოგვცემს ამ წმინდა, ნათელ გრძნობას. ლირიკული ლექსები იქნებ ამიტომ სძლებენ რომანზე დიდხანს. იაპონური ლიტერატურა ნამდვილად ძალზე მდიდარია, მაგრამ არც ერთ ნაწარმოებს არ უწერია ისეთი დიდი ხნის სიცოცხლე, როგორც „მანიოსიუს“ ტანკას.

რომანი და პიესა რომ ჟურნალისტიკასთან ახლოს არის, ამაზე ზემოთ თქმულიც მეტყველებს. მკაცრად რომ ვთქვათ, ეპოქის გარეშე არც მწერალს შეუძლია არსებობა და არც ნაწარმოებს. ასეთია ის ხარკი, რომელიც რომანმა აუცილებლად უნდა გაიღოს, მაქსიმალური გამომსახველობით რომ გადმოსცეს ცხოვრება. აკი ვამბობდი, ლიტერატურის არც ერთ სახეობას არ უწერია ისეთი დღე, როგორც რომანს. ამავე დროს, არც ერთი სახეობა არ ცხოვრობს ისეთი დაძაბული ცხოვრებით, როგორც რომანი. ამრიგად, რომანი უფრო მეტადაა შემკული ლირიკული ტონებით, ვიდრე თვით ლირიკული ლექსი. რომანი ჩვენს თვალწინ წამიერად გაელვებულ პეპელას მოგვაგონებს.

პროლეტარული ლიტერატურის დიდი იმედი მაქვს. ეს სრულიადაც არ არის ირონია. გუშინდელი პროლეტარული ლიტერატურა მწერლებისაგან აუცილებლად მოითხოვდა საზოგადოებრივ შეგნებას. მაგრამ „გენძის ამბავი“, „გენძის ამბავად“ არც ავტორის არისტოკრატიზმს გადაუქცევია და არც სასახლის ცხოვრების ცოდნას. ამაში ეჭვს ვერავინ შეიტანს.

კრიტიკოსები ე.წ. ბურჟუაზიულ მწერლებს მოუწოდებენ, საზოგადოებრივი შეგნება შეიძინეთო! ამ სიტყვებს არ ვეწინააღმდეგები. მე მხოლოდ ეს მინდა ვუთხრა მწერლებს, პროლეტარულს რომ უწოდებენ თავიანთ თავს: შეიძინეთ პოეტური სული...

მწერლის ათი მცნება

1. მტკიცედ უნდა გვახსოვდეს, რომ ლიტერატურის ყველა სახეობიდან პროზა ყველაზე ნაკლებმხატვრულია. ჭეშმარიტი მნიშვნელობით, მხოლოდ პოეზიაა ლიტერატურა. კუთვნილი ადგილი პროზას მხოლოდ იმის წყალობით უკავია, თუ

რამდენად მოიცავს პოეზიას. ამრიგად, ისტორიული და ბიოგრაფიული ნაწარმოები ფაქტიურად პროზაა.

2. პროზაიკოსი, გარდა იმისა, რომ პოეტია, ისტორიკოსი და ბიოგრაფიცაა ერთდროულად.

მაშასადამე, ის განუყრელად უნდა დაუკავშირდეს (გარკვეულ ეპოქაში, გარკვეულ ქვეყნის) ადამიანთა ცხოვრებას. ამას გვიდასტურებს იაპონელ პროზაიკოსთა თხზულებანი მურასაკი-სიკიბუდან[263] მოყოლებული და დამთავრებული იჰარა საიკაკუთი.

3. პოეტი ის კაცია, ყველას თავის სულს რომ გადაუხსნის (ავიღოთ თუნდაც სასიყვარულო ლირიკა, რომელიც ქალის მოსახიბლავად არსებობს). რამდენადაც პროზაიკოსი არა მხოლოდ პოეტია, არამედ ისტორიკოსიცაა და ბიოგრაფიც, ამიტომ მემუარისტიც უნდა იყოს. აქედან - პროზაიკოსი ჩვეულებრივ ადამიანზე მეტად განიცდი თავის ტანჯულ ცხოვრებას. პროზაიკოსში მომეტებულად არ უნდა ჭარბობდეს პოეტი. თუ პოეტურობა ჭარბობს მემუარისტობას ან ბიოგრაფობას, მაშინ პროზაიკოსის ცხოვრება აუცილებლად გადაიქცევა მძიმე ტრაგედიად (ნაპოლეონი ან ლენინი პოეტები რომ გამხდარიყვნენ, მაშინ უსათუოდ ორი შეუდარებელი პროზაიკოსი დაიბადებოდა).

4. ზემოთ მოყვანილი სამი პუნქტი გვიჩვენებს, რომ პროზაიკოსის ტალანტი სამ ტალანტზე დაიყვანება. პოეტის ტალანტი, ისტორიკოსისა ანუ ბიოგრაფის ტალანტი და ყოფითი ტალანტი. ჩვენი წინაპრები ყველაზე რთულად თვლიდნენ ამ სამ ტალანტს შორის წონასწორობის შენარჩუნებას (ადამიანები, რომლებიც ამას ყველაზე რთულად არ თვლიან - ჩვეულებრივი მოკვდავნი არიან). ის, ვისაც მწერლობა სურს, მძღოლსა ჰგავს, საავტომობილო სკოლა რომ არ

დაუმთავრებია და სრული სიჩქარით მიაქროლებს ქუჩაში მანქანას. მას არ შეიძლება მშვიდობიანი და წყნარი ცხოვრების იმედი ჰქონდეს.

5. მწერალს არ შეიძლება მშვიდობიანი და წყნარი ცხოვრების იმედი ჰქონდეს, ამიტომ ის უნდა ეყრდნობოდეს მხოლოდ საკუთარ სასიცოცხლო ძალებს, ფულს და ცხოვრებისადმი ფილოსოფიურ დამოკიდებულებას (შესწევდეს უნარი მოუწყობლად ცხოვრებისა). მტკიცედ უნდა გვახსოვდეს, რომ რარიგ მოულოდნელიც უნდა იყოს, ცნებები - მწერლობა და მშვიდი ცხოვრება შეუთავსებელია. ის, ვინც წყნარ ცხოვრებას ესწრაფვის, უმჯობესია, მწერლობას ნუ მოეკიდება. უნდა გვახსოვდეს - მწერალი, რომელზეც შეიძლება ითქვას, შედარებით მშვიდ ცხოვრებას ეწევაო, ის მწერალი, ვისი ბიოგრაფიის დეტალებიც უბრალოდ უცნობია.

6. მიუხედავად ამისა, თუ მწერალს მაინც სურს შედარებით მშვიდად იცხოვროს, მაშინ სამ ტალანტთაგან ყველაზე მეტად ცხოვრებისეული ტალანტი უნდა გამოიწრთოს. ეს, რასაკვირველია, არ ნიშნავს, რომ ცხოვრებისეული ტალანტის წყალობით ის აუცილებლად დატოვებს თვითმყოფად მემკვიდრეობას. ცხოვრებისეული ტალანტი ნიშნავს საკუთარ ბედის ბატონ-პატრონობას (ამასთან, არ არის გარანტია, რომ საკუთარი ბედის ბატონ-პატრონობა შეიძლება), აგრეთვე

ზრდილობისა და თადარიგიანობის გამოჩენას ნებისმიერ, ყველაზე წყალწაღებული იდიოტის მიმართაც კი.

7. ლიტერატურა - სიტყვების საშუალებით თვითგამოხატვის ხელოვნებაა. მაშასადამე, მწერალმა შრომა არ უნდა დაზოგოს სიტყვის დასახვეწად. თუ კაცს სიტყვის სილამაზით აღფრთოვანება არ შეუძლია, მაშინ არ ფლობს მწერლისთვის აუცილებელ ყველა მონაცემს. საიკაკუს[264] „ჰოლანდიელ საიკაკუს“ უწოდებდნენ არა მარტო იმ დროისათვის მიღებული პროზის კანონთა დარღვევის გამო, არამედ იმიტომ, რომ პოეზიიდან ამოხაპული სიტყვის მადლი შეიცნო.

8. რომელიმე ქვეყნის პროზაული ნაწარმოები რომელიმე ეპოქის განსაზღვრულ კანონებს ემყარება (რომლებიც ისტორიული ვითარებითაა განპირობებული). კაცი მწერლობას რომ გადაწყვეტს, ამ კანონებს უნდა მისდევდეს. ეს ხელსაყრელია, რადგან: 1) შეიძლება საკუთარი ნაწარმოები შექმნათ წინამორბედთა მხრებზე დაყრდნობით; 2) თუკი არ გადახვალ საზღვარს, ლიტერატურული ქოფაკები არ შეგიყეფენ. ოღონდ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ამ გზით აუცილებლად თვითმყოფადი ნაწარმოების ავტორი შეიქმნები (სულაც არ არის საჭირო ვამტკიცოთ, რომ ერთი არ ეწინააღმდეგება მეორეს). გენიოსი, უბრალოდ, არღვევს ყველა ამ კანონს (ამავე დროს, უცნობია ანგრევს თუ არა ის ამ კანონებს იმდენად, რამდენადაც ადამიანებს ეჩვენებათ). გენიოსები ცაში სხვადსხვა სიმაღლეზე ფრენენ, ე.ი. ლიტერატურაში სოციალურ პროგრესის (ანუ ცვლილების) გარეთ მოძრაობენ და არ შეუძლიათ მდინარების მიმართულებას მიჰყვნენ. ის შეიძლება ლიტერატურული მზის გარეთ მდგომ პლანეტას შევადაროთ. ამის გამო

მისი არც სიცოცხლეში ესმით და არც სიკვდილის შემდეგ აღიარებენ სწრაფად (ეს მარტო პროზას კი არა, საერთოდ მთელ ლიტერატურას ახასიათებს).

9. კაცი მწერლობას რომ ესწრაფვის, მოვალეა, ფრთხილად მოექცეს ფილოსოფიურ, საბუნებისმეტყველო და ეკონომიკურ მეცნიერებათა იდეებს. სანამ ადამიანი მხეცია, მანამ ნებისმიერ იდეას თუ თეორიას არ შეუძლია ადამიანის ცხოვრებაზე გაბატონება, ყველაფერს ისე უნდა ვუცქერდეთ, როგორც ცხოვრებაშია და გამოვხატოთ ისე, როგორც არის - სწორედ ამას ჰქვია ნატურიდან გადაღება. საუკეთესო მეთოდი, რომელიც მწერალმა უნდა აირჩიოს, ნატურიდან გადაღებაა. სიტყვები - „როგორიც ის არის“ უნდა გავიგოთ: „როგორც ის ხედავს“ და არა „როგორც ისე ხედავს მაშინ, როცა თამასუქს უყურებს“.

10. ნებისმიერი მცნება პროზაული ნაწარმოების შექმნისა არ არის ქოროს მცნება: რა თქმა უნდა, ჩემი „ათი მცნებაც“ არ არის ოქროსი[265]. ვისაც უწერია მწერლად ქცევა, გახდება კიდეც. ვისაც არა - არა.

შენიშვნა: მე ყველაფერში სკეპტიკოსი ვარ. მაგრამ უნდა გამოვტყდე, რამდენჯერაც ვცადე სკეპტიციზმი შემენარჩუნებინა პოეზიათა შეჯახებისას, არ შემეძლო სკეპტიკოსი დავრჩენილიყავი. ამავე დროს უნდა ვაღიარო, პოეზიასთან შეჯახების დროსაც, მთელი